

მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ,  
ამიერკავკასიაში, რომელიც განახორციელა  
1820—1824 წლებში შავალიე გამბამ, ვეფხის  
კონსულმა თბილისში



• ტომი პირველი •



ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო  
გზია მგალობლიძე

ჩედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. შ. ხანთაძე

გამბა იმ მოგზაურთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში, ძირითადად ევროპის სავაჭრო ინტერესები ამოძრავებდათ. იგი წლების მანძილზე იყო საფრანგეთის კონსული თბილისში და შესაძლებლობა ჰქონდა დეტალურად გასცნობოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, რაც ფართოდ აისახა მის თხზულებაში.

გამბას „მოგზაურობა“ გამოირჩევა საქართველოს შესახებ ცნობების სიუხვითა და მრავალფეროვნებით. მასში ეხედებით ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობის აღწერას, ცნობებს ხალხის ადათ-წესების, ეთნოგრაფიული ყოფის, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის შესახებ. თხზულებაში განსაუკუთრებული ადგილი ეთმობა საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური მდგომარეობის აღწერას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ პერიოდში. ამდენად, გამბას „მოგზაურობა“ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროს საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ისტორიის შესასწავლად.

წინამდებარე ნაშრომის ქართული თარგმანი გვეყენდება პირველად. იგი საინტერესოა როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის, ასევე საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი მ. ხაშხონაძე  
ისტ. მეცნ. კანდიდატი ჭ. ოდიშელი

## გამზას მისია

იმ ევროპელ ავტორთა შორის, რომლებიც წერდნენ საქართველოს შესახებ გასულ საუკუნეში, თვალსაჩინო ადგილი მიეკუთვნება ჟაკ ფრანსუა გამბას (1763 — 1833), რომლის მოგზაურობათა ჩანაწერები ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს წარმოადგენს საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების ისტორიისათვის ე. წ. შელავათიანი ტარიფის მოქმედების ხანაში (1821 — 1831).

საქართველოს თავისი ისტორიის ხანგრძლივი დროის მანძილზე ქმონდა სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობა ევროპასა და აზიის ქვეყნებს შორის. შავი ზღვის აუზში თურქების გაბატონებამ ერთხანს დასცა მისი მნიშვნელობა ამ მხრივ, მაგრამ შემდეგ რუსეთთან შეერთებამ და რუსეთის მიერ შავი ზღვის სანაპიროების დაკავშირებამ კასპიის ზღვასთან, შეიძლება ითქვას, გახსნა აზიასთან ვაჭრობის ეს გზა და რუსეთის ამიერკავკასიურმა სამფლობელოებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვეს.

აქტიურ როლს ასრულებდა საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი. მაკრამ მის თავისუფალ მოქმედებას ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სერიოზულად ზღუდავდა რუსეთის ადმინისტრაცია, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო რუსეთთან ამიერკავკასიის სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებისა და ამ ტერიტორიის საკუთარ სატრანზიტო ვაჭრობაში გამოყენებისათვის.

საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალს ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის ინგლის-ინდოეთის სავაჭრო კომპანიებთანაც უხდებოდა ბრძოლა. ანგარიშგასაწევი იყო აგრეთვე ირანისა და თურქეთის სავაჭრო ურთიერთობაც ამიერკავკასიის ქვეყნებთან.

ასე მრავალმხრივად იყო გადახლართული ერთმანეთთან სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები ამიერკავკასიის რეგიონში და ასეთ რთულ ვითარებაში უხდებოდა საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალს საკუთარი ინტერესების დაცვა.

ევროპული, და, მაშასადამე, ფრანგული, კაპიტალის მოქმედებას ერთობ ზღუდავდა რუსეთის იმპერიაში ჯერ კიდევ 1810 წელს დადგენილი მაღალი მფარველობითი საბაჟო ტარიფი. მართალია, შემდეგ 1816, 1819 წლებში ეს ტარიფი რამდენადმე შერბილებულ იქნა, მაგრამ ახალი სახითაც კი იგი არ აძლევდა ხელს უცხოელ კაპიტალისტებს და მისი შეცვლისათვის ბრძოლა საფრანგეთის სავაჭრო აგენტების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა. ამ მხრივ მათ მართლაც მიაღწიეს წარმატებას და ამაში თვალსაჩინო როლი შეასრულა გამბამ.

ეაქ ფრანსუა გამბა ვაჭრის ოჯახში დაიბადა 1763 წლის 26 დეკემბერს, ქალაქ დიუნკერკში. საშუალო განათლება მან ეიუილის სამონასტრო კოლეგიუმში მიიღო, უმაღლესი კი — პარიზსა და ლაიფციგში. მამის გარდაცვალების შემდეგ სათავეში უდგება მის სავაჭრო ფირმას. მისი ფირმა ხე-ტყეს აწვდიდა საფრანგეთის გემშენებლობას, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მას ვოგეზებში შპალერის წარმოების დაწინაურებაში.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის წლებში გამბას სავაჭრო ფირმა გაუქმდა. გამბამ ერთხანს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში იმოგზაურა, შემდეგ კი პარიზში დასახლდა და მთარგმნელობით საქმიანობას მიჰყო ხელი. ამასთან იგი აღგენდა საქმიან ქალაქებს სხვადასხვა დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის, უპირატესად, ფინანსურ საკითხებზე.

ბურბონთა რესტავრაციის ხანაში გამბამ შეადგინა და მთავრობას წარუდგინა აზიასთან (ძირითადად, ინდოეთთან) ვაჭრობის გაუმჯობესების პროექტი. პროექტი ითვალისწინებდა რუსეთზე (კერძოდ, ამიერკავკასიაზე) გაშვებული სატრანზიტო სავაჭრო გზის გამოყენებას. ამ პროექტმა დაინტერესა მინისტრი რიშელიე (რომელიც ადრე ოდესის გუბერნატორი იყო) და მისი წინადადებით გამბამ 1817 — 1818 წლებში იმოგზაურა სამხრეთ რუსეთში სატრანზიტო გზის ადგილობრივ გასაცნობად. ამ პირველი მოგზაურობის დროს გამბამ მოიარა სამხრეთ რუსეთის ქალაქები — ოდესა, ნიკოლაევი, ხერსონი, ტაგანროგი, ნახიკევანი, ნოვოჩერკასკი, აპყვა დონს კალაჩამდე და შემდეგ ვოლგით ასტრახანს ჩავიდა. აქედან თერგის სანაპიროებით მოზღოვს მივიდა, შემდეგ კი ყუბანის გავლით ტამანს მიაღწია. ამ მოგზაურობის ბოლო ეტაპი იყო ქერჩი, ფეოდოსია, სიმფეროპოლი და ოდესა. 1818 წ. პარიზში დაბრუნდა. ამ მოგზაურობის დროს შესრულებული

ჩანაწერების ნაწილი მან გამოაქვეყნა ჟურნალში: „Nouvelles annales des voyages“.

რიშელიეს აზრით, საფრანგეთის სავაჭრო ფირმებს შეტი ყურადღება უნდა მიექციათ საქართველოსადმი. მინისტრი ფიქრობდა, რომ საქართველო შეიძლებოდა გადაქცეულიყო ევროპა-აზიის ვაჭრობის მთავარ სატრანზიტო ცენტრად. ამ შეზღუდულების შესამოწმებლად რიშელიემ შესთავაზა გამბას ზელმეორედ ემოგზაურა რუსეთში და, რაც მთავარია, შეესწავლა საქართველოს (და ამიერკავკასიის) სავაჭრო ინტერესებისათვის გამოყენების შესაძლებლობანი. ამისი შედეგი იყო გამბას მეორე მოგზაურობა რუსეთში 1819 — 1824 წლებში. რომლის დროს მან მთავარი ყურადღება საქართველოს დაუთმო. გ. ბა კვლავ ოდესაში ჩავიდა. აქედან ნოვოჩერკასკაზე გავლით მოზღოკამდე მივიდა და შემდეგ საქართველოს სამხედრო გზით თბილისს ეწვია.

საქართველოს მთავარმმართველზე, გენ. ა. პ. ერმოლოვზე მან სასურველი შთაბეჭდილება დატოვა. მისი რჩევით, ერმოლოვმა შეადგინა ამიერკავკასიაში შეღავათიანი ვაჭრობის დაწესების კანონ-პროექტი და წარუდგინა იგი იმპერატორს.

1821 წ. 8 ოქტომბრის ბრძანებულებით ამიერკავკასიაში გარკვეული ვადით დაწესდა შეღავათიანი ვაჭრობა და ტრანზიტი, რაც გამბას დიდი გამარჯვება იყო. რუსეთი ამ ღონისძიებით ვარაუდობდა ინგლისის ვაჭრობის შეზღუდვას მისთვის კონტინენტური ევროპის (საფრანგეთის, გერმანიის) სავაჭრო კაპიტალის დაპირისპირების უზით.

ოქტომბრის ბრძანებულებასთან ერთად ერმოლოვმა მიიღო განკარგულება, მიეცათ გამბასათვის უფლება სავაჭრო დაწესებულებების მოწყობისა, მასვე უნდა გამოჰყოფოდა 16000 დესეტინამდე მიწა შერჩევით, რომლის ღირებულება 16000 მანეთი (დესეტინა 1 მანეთად) 5 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა<sup>1</sup>. გამბას ამ განკარგულების საფუძველზე მიეცა მიწები დას. საქართველოში—სახნავი მიწა და ტყეები (აჭამეთის ტყეები). სავაჭრო დაწესებულებების შექმნაზე გამბას არც უფიქრია. ის იმთავითვე შეუდგა გამოყოფილი მიწების ექსპლუატაციას: გასცემდა მათ იჯარით, ხე-ტყითა და შეშით ამარაგებდა ადგილობრივ სამხედრო უწყებას. მიწის ღირებულება გამბამ ხელოვნურად შეამცირებინა მთავრობას, განკარგულებაში არ იყო

<sup>1</sup> პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. I, თბ., 1949, გვ. 149.

აღნიშნული, რა კურსით უნდა ყოფილიყო გადახდილი მიწის ღირებულება — ვერცხლით თუ ასიგნაციებით. ვერცხლის მანეთი ოთხჯერ მეტს ფასობდა ასიგნაციასთან შედარებით. გამბამ მოითხოვა მიწის ღირებულება ასიგნაციებით მიეღოთ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გრაფ ნესელროდეს შუამდგომლობით იმპერატორმა შეიწყინარა ეს თხოვნა და გამბას ფაქტიურად გამოსასყიდი თანხის (რომელიც შეედაც ძალიან მცირე იყო) მეოთხედის გადახდა მოუხდა<sup>1</sup>.

შელავათიანი ვაჭრობის შემოღებისთანავე გამბა საფრანგეთის მოაქრობამ დაიწყო თავის კონსულად თბილისში. ამ პოსტზე იგი აქტიურად საქმიანობდა — მხარს უჭერდა და ეხმარებოდა ფრანგ ვაჭრებსა და მრეწველებს, რომლებიც საქართველოსა და ამიერკავკასიაში მოდიოდნენ ბედის საძებნელად (მაგ., კასტელა).

ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის გამბა დააჯილდოვეს საპატიო ლეგიონის ორდენით.

1824-1826 წლები გამბამ საფრანგეთში გაატარა. აქ მან გამოსცა თავისი მოგზაურობის აღწერა ორ ტომად, რომლის ქართულ თარგმანსაც ეთავაზობთ მკითხველს.

თავის ამ ნაშრომში გამბა ვაჭარ-ეკონომისტის თვალთ უყურებს და აფასებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში XIX საუკუნის 20-იან წლებში შექმნილ ვითარებას. ამასთანავე, გამბას ინტერესებს ისტორიული თუ ეთნოგრაფიული მასალებიც და მათ გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური ისტორიის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ამ ნაშრომს. იგი საინტერესოა, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის.

გამბას ტენდენციურობა თვალში საცემია. იგი საფრანგეთის სავაჭრო ბურჟუაზიის ინტერესებს იცავს და ინგლისის გავლენას ებრძვის. ინგლისთან დაპირისპირებაში რუსეთისა და კონტინენტური ევროპის ინტერესები ღროებით დაემთავა ერთმანეთს. ღროებით, ვამბობთ იმიტომ, რომ ამიერკავკასიის შელავათიან ტრანზიტს თავიდანვე სერიოზული მოწინააღმდეგეები ჰყავდა რუსეთში, ხოლო მას შემდეგ რაც რუსეთის ფინანსთა მინისტრი გახდა კანკრინი, შელავათიანი ტრანზიტის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა დაიწყო. კანკრინს მიაჩნდა, რომ 1821 წლის 8 ოქტომბრის კანონი დიდ ზიანს აყენებდა რუსეთის

<sup>1</sup> პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

ადგილობრივ მრეწველობას. შეღავათიანი ტრანზიტი გაუქმდა 1831 წელს.

ამის შემდეგ გამბა მალე გარდაიცვალა (1833 წ. ქუთაისში)<sup>1</sup> მას დარჩა ქალიშვილი შარლოტა გამბა, რომელთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძე იგონებს: „იმავე უბანში, სადაც ჩარეკიშვილებს სახლი ედგათ, ერთი მოხუცი მდიდარი ფრანგის ქალი ცხოვრობდა, რომელსაც ყველა მადმუაზელს ეძახდა. ეს იყო ფრანგის მიცვალებული კონსულის გამბას ქალიშვილი და მემკვიდრე. ამ კონსულს ეორონტოქა ორმოციან წლებში უწყალობა იმერეთის მეფეებისეული, დიდებული აჯაძეთის ტყის უმეტესი ნაწილი იმ პირობით, რომ გამბას ადგილობრივი მებატონეებისათვის მაგალითი ეჩვენებინა, ან საფრანგეთში მიწას როგორ ამუშაებენ, ან რა და რაის მოწვევა იციან. გამბას ალბათ შართლა ნდომებია ამ დავალების ასრულება. მას საფრანგეთიდან მთელი კრებული მოეყვანა მებაღეების, მებოსტნეების და სხვა და სხვა ხელობის ხალხისა. საუბედუროდ, ის მალე მომკვდარა, მის ქალს ტყეში შარტო ვერ გაუძლია და ქუთაისს გადმოსახლება ურჩევია“.<sup>2</sup>

ამ მოგონებაში საინტერესოა ხალხის წარმოდგენა გამბას მისი-აზე — ესწავლებინა ადგილობრივი მებატონეებისათვის ევროპული მიწათმოქმედება.

გამბას უფრო დიდი მასშტაბის მისია ეკისრებოდა და მის შესახებ ჩვენ ზემოთ გვკონდა საუბარი.

შ. ხანთაძე

<sup>1</sup> ბიოგრაფიული ცნობები გამბას შესახებ იხ. P. E. C. ლარუსის ენციკლოპედია, ბტების VI — VIII ტომები და პ. პოლივექტოვის *Европейские путешественники по Кавказу 1800—1830 гг.* Тб., 1946, გვ 86, 89

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, *ჩრეული ნაწერები*, I თბ., 1931, გვ. 12.

## გამბას თხზულების გამოცემისათვის

წინამდებარე ნაშრომი, რომლის სრული სათაურია „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ, ამიერკავკასიაში, რომელიც განახორციელა 1820—1824 წლებში შვეალიე<sup>1</sup> გამბამ, მეფის კონსულმა თბილისში. ოთხი გეოგრაფიული რუკით“, შეიცავს მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო ცნობებს საქართველოს შესახებ. ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ, აღწერასთან ერთად ვხვდებით საგულისხმო ცნობებს ხალხის ადათ-წესების, რელიგიის, ეთნოგრაფიული ყოფის, ბუნების, ფაუნისა და ფლორის და სხვ. შესახებ. გამბას ცნობები ორგვარი ხასიათისაა: ერთი მხრივ, ეს არის თვითმზილველი ავტორის დაკვირვება ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ, მოგზაურის მიერ ნანახი სოფლებისა და ქალაქების დეტალური აღწერა, შეხვედრები სხვადასხვა პირებთან, მსჯელობა ქვეყნის სამრეწველო რესურსების გამოყენების შესახებ და სხვა. მეორე მხრივ, გამბას თხზულებაში ჩართულია ვრცელი ისტორიული ექსკურსები, სადაც მოგზაური უხვად იყენებს როგორც სხვის მიერ მონათხრობ ამბებს, ასევე ძველ ბერძენ თუ რომაელ ავტორთა ცნობებს, მის წინამორბედ ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებს და ევროპაში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას საქართველოს შესახებ, რაც უდავოდ, მოგზაურის ფართო განათლებასა და ერუდიციასზე მეტყველებს.

ბუნებრივია, გამბასათვის, როგორც უცხოელისათვის, ძნელი იყო ბოლომდე ჩასწვდომოდა ქვეყანაში არსებული მდგომარეობის კუთხით არსს და ობიექტურად შეეფასებინა იგი. ამის გამო მისი ჩანაწერები არ არის დაზღვეული უზუსტობისა და ტენდენციურობისაგან (ზოგიერთი ამ ადგილის თარგმნა არ ვცანით საქიროდ და ტექსტში მრავალწერტილით გვაქვს აღნიშნული). მის მიერ მოთხრობილი ამბებიდან ზოგი რამ არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს, ზოგიც ბუნდოვანია, ვხვდებით აგრეთვე ამა თუ იმ მოვლენის გადაქარბებულ

<sup>1</sup> Chevalier — (ფრანგ.) ჩაინდი, აზნაური, კავალერი.



შეფასებასაც. მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არ ამცირებს ამ ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებასა და მნიშვნელობას. როგორც ისტორიული წყარო, იგი მოითხოვს კრიტიკულ პიდგომას და ამავე დროს იმ ინტერესებისა და მიზნების გათვალისწინებას, რასაც ემსახურებოდა ავტორი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა უცხოელ მოგზაურთაგან განსხვავებით, გამბას ნაშრომი მეტი ობიექტურობით გამოირჩევა, მასში ნაკლებად იგრძნობა ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების მიმართ ის ტენდენციური დამოკიდებულება, რაც ესოდენ დაახასიათებელია საზოგადოდ თავიანთი ქვეყნის ორიენტაციის გამომხატველ უცხოელ მოგზაურთათვის.

გამბას „მოგზაურობა“ ორი ტომისაგან შედგება. აქამდელ მკითხველს ვთავაზობთ I ტომის ქართულ თარგმანს, რომელიც შესრულებულია 1826 წლის პარიზის გამოცემის მიხედვით. აქ წარმოდგენილი მასალა ძირითადად დასავლეთ საქართველოს შეეხება. I ტომს დამატების სახით ერთვის ნაწყვეტები პეისონელისა და დიუპრეს ნაშრომებიდან, რომლებიც ისევე როგორც გამბას ნაშრომი, პირველად ქვეყნდება ქართულად. „მოგზაურობის“ II ტომი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს აღწერას ეძღვნება, ჩვენ მიერ უკვე თარგმნილია და უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება. მასვე დაერთვის ავტორის მიერ შედგენილი რუკები.

თარგმანზე მუშაობის დროს, ისევე როგორც საერთოდ უცხოური წყაროების თარგმნისას, განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემა, რაძენადაც ტექსტში ისინი ძალზე დამახინჯებულია და ხშირად შეუძლებელია მათი ქეშმარიტი ფორმის დადგენა. თარგმნისას ჩვენ შევეცადეთ დაგვეცვა შემდეგი პრინციპი: შეძლებისდაგვარად გავვესწორობინა ავტორისეული დამახინჯებული ფორმა და გადმოგვეცა მათი ქართული შესატყვისი; რიგ შემთხვევაში, როცა საერთოდ ვერ შევძელით ავტორისეული ტოპონიმის ამოკითხვა და დადგენა ქართულად, ფრანგულის კალკას ვიძლევი. ამასთან, ორივე შემთხვევაში ფრანგულში დავტოვეთ მათი ფრანგული დაწერილობაც, რაც საშუალებას მისცემს სპეციალისტს ჩაუკვირდეს ავტორისეულ ფორმას და შეამოწმოს ჩვენ მიერ გადმოღებული ფორმის სიზუსტე ან უზუსტობა. აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ თარგმნისას ზოგიერთი ტოპონიმის ავტორისეული თურქული ან სომხური ფორმა (ახისხა, ტაიჭი, გუგარჯი და სხვ.) ან კიდევ ზოგ შემთხვევაში რუსული სიტყვებაც უცვლელად გადმოვიღეთ.

სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა გადაეუხადოთ ყველას, ვინც გულისხმიერად მოეკიდა ჩვენს ნაშრომს და თარგმანზე მუშაობისას სასარგებლო მითითებანი მოგვცა. განსაკუთრებით კი დაგეხმარა ტოპონიმების დადგენაში. ცხადია, დამახინჯებული ტოპონიმების გადმოცემისას თარგმანი არ იქნება დაზღვეული გარკვეული შეცდომებისაგან. ყოველგვარ სასარგებლო შენიშვნასა და შესწორებას ჩვენ დიდი მადლობით მივიღებთ. ამასთან, ვიმედოვნებთ, რომ გამბას „მოგზაურობის“ ქართული თარგმანი გარკვეულ სარგებლობას მოუტანს სპეციალისტებსა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

**მზია მგალობლიშვილი**  
**1984 წელი**

## წი ნ ა თ ქ მ ა

სამხრეთ რუსეთში პირველად 1817-1818 წლებში ვიმოგზაურე. ვიყავი ოდესაში, ნიკოლაევში<sup>1</sup>, ხერსონში<sup>2</sup>, მოვიწახლეთ გერმანული მენონიტური<sup>3</sup>, თათრული და ბერძნული კოლონიები.

ტაგანროგში<sup>4</sup> ერთს თვეს დავრჩი. ამ ქალაქმა განსაკუთრებით გაითქვა სახელი იმის გამო, რომ აქ ახლანან გარდაიცვალა მონარქი, რომელიც გულმხურვალედ დაიტირეს<sup>5</sup>. შემდეგ გავემგზავრე ნახჩივანის (Nakhivan), ანუ ნახქევანის<sup>6</sup> (Nakhdchevan) სომხურ კოლონიაში. რამდენიმე დღით შევჩერდი ნოვოჩერკასკში<sup>7</sup>, დონის კაზაკთა ახლანდელ დედაქალაქში და დავბრუნდი უკან დონის ნაპირებზე გაშენებული მათი ძველი დედაქალაქის სანახავად. იგი მდინარეებით არის დასერილი და ამით ქვეშაირიტად ეწეცოას მოგვაგონებს. შემდეგ დონს კალაჩამდე<sup>8</sup> აყუვი და მოვიწოდე თხუთმეტი ლიე<sup>9</sup> გამეულო ვოლგაზე მდებარე დუბოვკამდე<sup>10</sup>. ამ გზით ყოველდღიურად 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე თხუთმეტი ათასზე მეტი ურემი მთელი ციმბირის პროდუქციას, ცენტერს 40 სანტიმად,<sup>11</sup> შავი და ხმელთაშუა ზღვებისაკენ ეზიდება. მასთან ერთად გადააქვთ სახომალდე ქვემეხები, რომლებსაც ვოლგაზე შლიან და დონზე გადატანის შემდეგ წარმოუდგენელი სისწრაფით ხელახლა აწყობენ.

შემდეგ ვოლგას ჩამოყუვი ასტრახანამდე. ხუთი კერა დავრჩი თათრების ამ ძველი სამეფოს დედაქალაქში<sup>12</sup>, სადაც ევროპისა და აზიის ყველა ხალხი და ეროვნება ცხოვრობს. აქ ბერძნული, კათოლიკური და სომხური წესის მიმდევრებს თავთავიანთი ეკლესიები აქვთ; შიიტ და სუნიტ<sup>13</sup> მაჰმადიანებს კი — თავიანთი მეჩეთები; აქ დიდ ლამას<sup>14</sup> მრავალრიცხოვანი მომხრე ჰყავს, ხოლო ზოროასტრის<sup>15</sup> კიდევ შემორჩენია თაყვანისმცემლები.

ასტრახანიდან გადავკვეთე კასპიის ზღვის ნაპირზე თერგის შესართავამდე გადაჭიმული ქვიშის უდაბნოები. მცირე ხნით შევჩერდი ყიზლარში<sup>16</sup>; შემდეგ თერგს აყუვი მოზდოვამდე<sup>17</sup>, საიდანაც დარიელის (Darial), ხეობით თბილისისაკენ მიმავალი გზა იწყება. მოზ-

დოკში სამი დღე გავატარე მთავარსარდალ ერმოლოვთან<sup>18</sup>. იგი ახალი დანიშნული იყო საქართველოსა და კავკასიის პროვინციის მთავარ-მართებლად. მასთან რეკომენდაცია გამიწიეს აწ განსვენებულმა ბ-მა პერცოვმა დე რიშელიში<sup>19</sup> და ბ-მა გრაფმა დე ლანეერონმა<sup>20</sup>. გენერალმა ერმოლოვმა მასად გულთბილად მიმიღო. მას იმთავითვე ჰქონდა შენიშნული საქართველოს ხელსაყრელი მდებარეობა ვაქრობოსათვის და სწორედ მისმა დაყენებულმა თხოვნამ გადაამაწყვეტინა ვწვეოდი ამ მხარეს.

გენერალ ერმოლოვის მფარველობის მეოხებით უხიფათოდ ვიმოგზაურე ყაბარდოს საზღვრებამდე და ყუბანის გასწვრივ, ტამანამდე<sup>21</sup>, რომლის სრუტე გადავლახე ენიკალეში<sup>22</sup> (Jénikalé) ჩასასვლელად. შემდეგ ვეწვიე ქერჩს, ფეოდოსიას, სიმფეროპოლს, კვლავ ვინახულე ოდესა და ერთი წლით დაებრუნდი პარიზში, სადაც შევეუდექი სამზადისს საქართველოში სამოგზაუროდ.

ეს ჩემი პირველი მოგზაურობა აღვწერე, მაგრამ იგი ისეთ ქვეყნებს შეეხება, რომელთა შესახებაც ბევრი დაწერილა; ამიტომაც „ანალებში“<sup>23</sup> ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებათა მხოლოდღა ნაწილის შეტანას დაეჭვადი. „ანალებს“ დიდი შეფასება მისცეს ბატონებმა ეირიესმა (Eyriés) და მალტ-ბრუნმა<sup>24</sup> (Malte-Brun).

1819 წლის ნოემბერში რუსეთში დაბრუნებისას, მას შემდეგ, რაც მოვიარე ამიერკავკასიის რუსული პროვინციები, შავი და კასპიის ზღვისპირა მხარეები, გადავწყვიტე ერთი წელი მოსკოვსა და პეტერბურგში გამეტარებინა. შემდეგ საქართველოში გახლდით, როგორც მეფის კონსული. ამგვარად, ჩემმა მდგომარეობამ შესაძლებლობა მომცა შეშეკრიბა მონაცემები ესოდენ ნაკლებად ცნობილი ქვეყნების შესახებ, რომელთა მიმართაც თანაბარ ინტერესს იჩენენ როგორც მეცნიერები, ისე კოპერსანტები.

როდესაც 1824 წელს საფრანგეთის მთავრობამ აქედან გამიწვია, საშუალება მომეცა ჩემი მოგზაურობის შთაბეჭდილებების გამოცემისათვის მეზრუნა; მაგრამ ვშიშობდი, დააინტერესებდა თუ არა იგი განათლებულ საზოგადოებას. ჩემ მიერ მოვლილი ქვეყნების სიძველეებსა და ისტორიაზე სრულფასოვანი ნაშრომის შესაქმნელად საჭირო იყო მრავალმხრივი ძიებანი, რისი დროც მე არ მქონდა; ზოგიერთი ჩემი კერძო დაკვირვება გეოლოგიასა, ბუნებისმეტყველებასა და მინერალოგიაზე ვერ დააკმაყოფილებდა სწავლულთ. აზიის მრავალრიცხოვანი ხალხების იდიომების გადმოცემისას კი, რაც უცხო იყო აღსაქმნელი ენების მკვლევართათვის, შეიძლებოდა შეცდომები და-

მეშეა. ეს სირთულეები მებრკოლებდნენ მანამდე, ვიდრე დავრწმუნდებოდი, რომ ჩემი მოგზაურობის შთაბეჭდილებათა პუბლიკაციას შეეძლო სარგებლობა მოეტანა ვაჭრობისათვის, განსაკუთრებით კი მანუფაქტურისათვის, რომელიც ასე ძლიერ საჭიროებდა პროდუქციის გასაღების ბაზრებს.

მოგზაურობის ქრონოლოგია რომ დამეცვა, თავდაპირველად უნდა გადმოვიყა 1820 წლის დღიური, რომელიც საქართველოს, კასპიისპირეთსა და ასტრახანს, შემდეგ კი აფხაზეთს (Abazie), სამეგრელოსა (Mingrelie) და იმერეთს (Ummirette) შეეხებოდა; და მაშინ იძულებული გავხდებოდი ჩემი პირველი „მოგზაურობის“ წიგნში შენიშვნების სახით მომეთავსებინა მთელი წყება მერმინდელი დაკვირვებებისა და მოვლენებისა, რომელნიც მხოლოდ სამი წლის შემდგომ გადავხედა თავს. ამიტომაც ჩავთვალე, რომ უფრო მოხერხებული იქნებოდა „მოგზაურობის“ I და II ტომში ქვეყნები თანაპიმდევრულად წარმომედგინა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე.

ამავე დროს, რაკი საქმე მარშრუტებს შეეხებოდა, ადგილთა აღწერის სიზუსტისათვის საჭიროდ მივიჩნიე მოგზაურობის თარიღების აღნიშვნა.

## შესავალი

დასავლეთ ევროპა კოლონიების დიდ საქირთებას განიცდის; ამას განაპირობებს აქაური საზოგადოებრივი წყობილება.

ერთ დროს ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის ნაპირები მოფენილი იყო ეგვიპტელთა, ბერძენთა, ტირენიელთა და კართაგენელთა კოლონიებით. კიმბრებმა<sup>1</sup>, ჰუნებმა<sup>2</sup>, ვანდალებმა<sup>3</sup> და გუთებმა<sup>4</sup>, რომლებიც ერთმანეთს ექიშებოდნენ, დაიპყრეს გერმანია, გალია, იტალია და ესპანეთი, უპირველესად იმის გამო, რომ ეს ადგილები მათ ახალშენებად სჭირდებოდათ, ხოლო ამ მხარეთა მშვენიერი ჰავით და სოფლის მეურნეობის უცხო, მრავალფეროვანი პროდუქციით ისინი მხოლოდ შემდეგ დაინტერესდნენ. გალები, ევროპაში ყველაზე მებრძოლი ხალხი, შორს წავიდნენ ტერიტორიების დასაპყრობად, როცა ჰარბი მოსახლეობისათვის საკუთარი მიწა აღარ ეყოთ. ისინი ფლობდნენ იტალიას და კოლონიები მცირე აზიაშიც კი ჰქონდათ.

მოგვიანებით ქვაროსნულმა ომებმა<sup>5</sup> შთანთქა ჰარბი მოსახლეობა, რომლის სიმძიმეც ტვირთად აწვა დასავლეთს. ამის გამო ევროპაში სიმშვიდემ დაისადგურა, რითაც მას საშუალება მიეცა პალესტინაში პირველი მიგრაციისა; ამიტომაც იყო, რომ ამ ხანას „უფლისმიერი მშვიდობის“ ხანა ეწოდა.

როდესაც ეს რელიგიური და ამასთანავე დაპყრობითი ომები შეწყდა, კეთილი იმედის კონცხის შემოვლით ამერიკისა და ინდოეთის აღმოჩენამ ზღვაოსან ხალხებს გასაღების უზარმაზარი ბაზარი შესძინა; მათ გამოყენებას შეეცადნენ ისინი, ვისაც საკუთარ სამშობლოში არაფერი ებადა და ვისაც მსგავსი შორეული ფათურაყების საძიებლად გაბედულება არ აკლდა. სწორედ ამ პერიოდიდან მოკიდებულ, ვესტფალიის ხელშეკრულებამდე<sup>6</sup>, ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ლუი XIV<sup>7</sup>-ის დროინდელმა და აგრეთვე რელიგიურმა ომებმა ყველა სახელმწიფოს საკმარისი გასაღების ბაზარი მოუპოვეს.

ამას მოჰყვა ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი რევოლუციური ამოსვლები და შეტაკებები, რამაც დიდად შეამცირა მთელი ევრო-

მის, განსაკუთრებით კი, საფრანგეთის მოსახლეობა; მოპოვებული გა-  
შარჩევნების გამო ეს ნაკლებად საგრძნობი იყო, მაგრამ საკმარისი  
აღმოჩნდა საიმისოდ, რომ კოლონიების საჭიროების აუცილებლობა  
გამქრალიყო.

თორმეტი წლის მანძილზე საფრანგეთსა და დასავლეთ ევროპაში  
ყველაფერი შეიცვალა: სხვადასხვა მიზეზებმა მოსახლეობის სწრაფი  
ზრდა გამოიწვია, რომლის სიჭარბემაც მოითხოვა დაუყოვნებლივ გა-  
შოფებნათ გზები ახალი საზრდოს მოსაპოვებლად.

ახლადამოჩენილი ატრების გამო ევროპაში მნიშვნელოვნად იკ-  
ლო ყვავილით გამოწვეულმა სიკვდილიანობამ, რომლის მეთაუდი ამ  
ეპიდემიის მძვინვარების შედეგი იყო. საფრანგეთში სიკვდილიანობა  
საგრძნობლად შეამცირა აგრეთვე ნავიგაციის კლებამ, ლარიბთა კლასი-  
სის მდგომარეობის გაუმჯობესებამ, უკეთესმა კვების რეჟიმმა და  
მკურნალობის სრულყოფამ; მაგრამ ამასთანავე, მოსახლეობის უმე-  
ტესი ნაწილისათვის არსებობისათვის ზრუნვის სიძნელეები მაინც არ  
შოისპო, რის გამოც მნიშვნელოვნად იკლო ქორწინებისა და კანონიერ  
ბავშვთა შობადობის რიცხვმა(1); ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადას-  
ტურებს, რომ ემიგრაციის საჭიროებამ საფრანგეთში უფრო ფართო  
და გარდაუვალი ხასიათი მიიღო ამ დროს, ვიდრე მონარქიის არსებო-  
ბის რომელიმე ეპოქაში; ემიგრაციას ხელი შეუწყო აგრეთვე ამ სახელ-  
მწიფოში არსებულმა პოლიტიკურმა მიზეზებმა და სხვა განსაკუთრე-  
ბულმა მოსაზრებებმა.

„იგი აუცილებელია იმათთვის, ვისაც გაუჩნდა სხვა ცის ქვეშ  
ყოფნის მოთხოვნილება და იმათთვისაც, ვისაც სამშობლომ ვერაფერი  
შისცა, იმედის გაცრუებისა და სიდუხჭირის გარდა; ვინაც გონებით  
ვერ გადაწყვიტა ურიცხვი პოლიტიკური პრობლემები, ვერ გადალახა  
დაბრკოლებები და მაინც გული არ გაიტეხა; მათთვის, ვინც მუდამ  
შვეიწროებულია საკუთარ სამშობლოში; ხარბი სპეკულანტებისათ-  
ვისაც და ავანტიურისტებისათვისაც; იმ ადამიანებისათვის, რომლებ-  
საც დაუოკებლად იზიდავთ საკუთარი სახელის დაკავშირება აღმოჩე-  
ნებთან, ქალაქების დაარსებასთან, უცხო ცივილიზაციებთან; აუცილე-  
ბელია იმათთვის, ვისაც მოწესრიგებული საფრანგეთი მაინც არე-  
ულად ეჩვენება; ვისთვისაც აქ მეთისმეტი სიმშვიდე სუფევს; ვინც

(1) იხილეთ მოხსენება მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ საფრანგეთში,  
წყაითხული მეცნიერებათა აკადემიაში, ა. წ. 30 იანვარს.

ვერ ეგუება თანასწორობას და ვინც დაჰოუკლებლობას ეწრაფვის“ (2).

მას შემდგომ, რაც ეს ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ასე მტკიცედ და დაბეჭითებით იცავდა კოლონიების საჭიროებას, მის მიერ აღნიშნული მორალური და პოლიტიკური მიზეზები უდიდესი ნაწილი მოისპო; მშვიდობიანმა თორმეტმა წელმა საგრძნობლად გაზარდა საფრანგეთის მოსახლეობა, რაც არანაკლებ საგრძნობია სხვა ქვეყნებშიც.

შექმნილი მდგომარეობის გამო მთავრობის საქმიანობა საერთოდ გაძნელდა, მართაც ქვეყნისა ვართუღდა: საზღრენავი გახდა სახელმწიფოს შინაგანი სიმშვიდის შენარჩუნება. ვინაიდან ყოველგვარი ომი იწვევს მრეწველობისა და ვაჭრობის შეზღუდვასა და შეფერხებას. მათზე კი დამოკიდებულია მოსახლეობის უდიდესი ნაწილის არსებობა. უდავოდ, ამით არის განპირობებული უძლიერეს იმპერიათა მიერ საკუთარი ძალების შემჭიდროების საჭიროება. მე ვიტყვოდი, მსხვერპლის გაღებაც კი იმ-სათვის, რათა შეინარჩუნონ მსოფლიო მშვიდობა. ომის საშიშროებამ სულ უფრო და უფრო საგრძნობი გახადა ქვეყნების სტაბილურობის გარდაუვალობა, რაც ევროპის მიზნებს შეესატყვისება.

საფრანგეთი, რომელიც ძველ საზღვრებშია ჩაკეტილი, მაგრამ ახსოვს თავისი ძლიერებას ხანა, ათი წლის მანძილზე ომისაგან იკავებს თავს. ავსტრიის ბრძნული მმართველობა სულ იმ-ს ცდაშია, რომ სიმშვიდე შეუნარჩუნოს იმპერიის ქვეშევრდომ ხალხებს. რუსეთის ძლიერება მთლიანად აზიას და აგრეთვე თურქეთის ევროპულ ნაწილს ემყარება; იგი ვერ შეაფიწროებს გერმანიას, მით უფრო საფრანგეთს, როგორც არ უნდა იყოს ამის შესახებ ოკეანის გაღვიდან გავრცელებული საწინააღმდეგო თვალსაზრისი. ამ სამი დიდი იმპერიიდან არც ერთი არ ბატონობს ევროპაზე; ყოველ შემთხვევაში არცერთს არ ეყოფა ძალა მარტომმარტომ წინააღმდეგობა გაუწიოს კოალიციას, რომელიც მხოლოდ ერთი მიზნით — თავდაცვისათვის შეიქმნება. ევროპაში წონასწორობა იმიტომ დაირღვა, რომ ინგლისმა ხელთ იგდო ზღვებზე ბატონობა, განიმტკიცა თავისი მდგომარეობა, დაისაკუთრა ვაჭრობის მონოპოლია და საკუთარ კუნძულზე დააგროვა მსოფლიოს სიმდიდრის უდიდესი ნაწილი.

ღღეისათვის ეს უზარმაზარი სახელმწიფო ამ მიზნით იძულებულია გადასინჯოს თავისი პოლიტიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა

(2) ბ-ნ ჟავად დე ტალირანის<sup>6</sup> მოხსენება ინსტიტუტში.



და წარმართოს ისევე. როგორც იგი ანგარიშობს საკუთარ ფინანსებს — თავისი მდგომარეობებისა და ინტერესების შესაბამისად, ე. ი. ჩემი აზრით, საკუთარი უვნებლობის უზრუნველყოფის შესაბამისად. იგი ვაჭრობდა მონებით, როცა ამას მისთვის სარგებლობა მოჰქონდა, მხოლოდ მას შემდეგ. რაც ინდოეთში კოლონიური საქონლით ვაჭრობა გაფართოვდა, ე. ი. მაშინ. როცა ზანგებით ვაჭრობა მისთვის საქირო აღარ იყო. მონათვაჭრობა აიკრძალა. იგი შეუწყენარებელი იყო უცხოეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის მიმართ, როცა მისი საზღვაო ფლოტი და მანუფაქტურული ინდუსტრია ყალობდებოდა; დღეს მას შეუძლია ყურადღება აღარ მიაქციოს ნავიგაციის მდგომარეობას, რადგან იგი ზღვებზე ბატონობს და არაავითარი საშიშროება არ ელის რომელიმე სახელმწიფოსაგან; დაბოლოს, იგი შზადაა კარი გაუხსნას სხვა ხალხების მანუფაქტურულ საქონელს, რადგანაც ინგლისის ფაბრიკებს არ ეშინიათ არაავითარი კონკურენციისა და ამასთანავე, საზოგადოებრივი აზრიც უარყოფს ყოველივე უცხოურს<sup>(3)</sup>.

ეს სახელმწიფო, რომელიც ზოგჯერ საფრანგეთს დამპყრობელ ქვეყნად აცხადებდა ევროპაში, ზოგჯერ კი რუსეთით ამინებდა. ისე სწრაფად და შეუმჩნეველად აღზევდა, რომ ვფიქრობ, უსარგებლო არ იქნება ამის შესახებ ზოგიერთი შენიშვნის გამოთქმა და ამასთანავე აღნიშვნა იმისა. რომ ეს უზარმაზარი იმპერია ჯერ კიდევ 1763 წელს თავისი ტერიტორიით ევროპის სხვა სახელმწიფოებს არ აღემატებოდა.

ამ პერიოდში, როდესაც ინგლისი დიდებით იყო მოსილი, ხოლო საფრანგეთი სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან მან დაკარგა ლუიზიანა<sup>9</sup>, იძულებით დათმო კანადა<sup>10</sup> და აკადია<sup>11</sup>, ინგლისის წლიური გადასახადები, ჩვეულებრივი თუ გაუთვალისწინებელი ხარჯები არ აღემატებოდა 14.901.315 გირვანქა სტერლინგს<sup>12</sup>, რაც შეადგენდა 339.937.711 გირვანქა ტურილს<sup>13</sup>(4).

მაგრამ ამავე დროს ამ ქვეყნის მთავრობა ისეთ სიძნელეებს აწ-

(3) პეტრა პალატის ა. წ. 13 მაისის სხდომაზე საბაჟო კანონის თაობაზე დისკუსიის დროს ბან გრაფ დე სენ-კრიკმა (Saint-Cricq) მისთვის დამახასიათებელი გონიერებითა და გამკრიახობით განმარტა, თუ როგორ აწარმოებს თავის საბაჟო სისტემაში ლიბერალური ინგლისის მთავრობა გადასახადების გაანგარიშებას ისე. რომ ხელი არ შეუშალოს მანუფაქტურული ინდუსტრიის არცერთ დარგს.

(4) „მემუარები ინგლისის ფინანსურ ადმინისტრაციაზე“, ნაშრომი, რომელიც ეკუთვნის ბან გრენილს<sup>14</sup> ტ. I, 10—4<sup>o</sup>, 1768 წ., გვერდი XLII.

ყდებოდა, რომ ოთხი წლის განმავლობაში (1763 წლიდან 1767 წლამდე) აქ მინისტრთა კაბინეტები ხუთჯერ შეიცვალა.

როკინგემის, ლორდ ნორთისა<sup>15</sup> და გრენვილის მერყეე და უმფოთველ მთავრობას, როცა ინგლისის პასივი 340 მილიონს არ აღემატებოდა, მხოლოდ ოცდაათი წელი აშორებს სახელოვანი პიტის<sup>16</sup> მტკიცე მმართველობისაგან, როცა ამ სახელმწიფოს ხარჯებმა ორ მილიარდს გადაჭარბა, როგორც ჩანს, აღამიანებს ყოველთვის არ ხელეწიფებთ საკუთარი შესაძლებლობის განსაზღვრა; მისი შეცნობისათვის მიწიერთ განგებამ უნდა მიჰაძლოს ზეგარდმო ნიჭი, რათა მათი თვალსაწიერი გასწვდეს საზოგადოების ინტერესებს.

რევოლუციის დროს ინგლისი უნდა შებრძოლებოდა საფრანგეთს, უმდიდრეს სახელმწიფოს, რომლის ენერგიით აღსავსე მოსახლეობა კარგად იყო შეიარაღებული. ასეთ გარდაუქვალ საშესრთებაშიც კი პიტი მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს უქეთეს მოჰაქვალს კერეტდა; ამ დროიდან მოყოლებული მისი მმართველობის ხანაში გადასახადები და სესხები დამხმარე საშუალებებს წარმოადგენდა. იგი იძულებული იყო გაუზარდა გადასახადები და გაეცა ისეთი დიდი სესხები, რომ ვს გარემოება შემამფოთებელი გახდა ყველასათვის, მხოლოდ არა მისთვის; თავისი უდიდესი შორსმჭერეტელობითა და გონიერებით პიტი ამ შემთხვევაშიც დიდი წარმატების შესაძლებლობას ხედავდა იგი ითხოვდა ხალხისაგან გაუგონარ გადასახადებს, მაგრამ ამასთანავე, ყოველგვარ საშუალებებს მიმართავდა მათი გამდიდრებისათვის. ასე რომ, არსებული საზოგადოებრივი გადასახადი და სესხი ყოველწლიურად თავისთავად იზრდებოდა ახალი გადასახადებითა და სესხებით.

უწინ ინგლისის ვაქრობა შეზღუდული იყო; ამჟამად იგი მთელს მსოფლიოს მოიცავს. მისი მრეწველობის პროდუქციის გასაღების ბაზრებს ავიწროებდა უცხოური კონკურენცია: დღეს ზღვები მხოლოდ ინგლისის გემებითაა მოფენილი.

დიდი მოვლენებით აღსავსე ამ მძიმე კვილილში პიტის გენია ხან მხოლოდ საკუთარი ძალებით იბრძოდა მთელი ევროპის წინააღმდეგ, ხანაც ევროპაში ქირაობდა ჯარებს სახელმწიფო სახსრებით; თუ რაიმე მოულოდნელი ვითარება ან გაუთვალისწინებელი გარემოება მანუფაქტურის მუშაობას შეაფერხებდა და დააბრკოლებდა მათი პროდუქციის გასაღებას, პიტი მწარმოებელს აძლევდა ჭილდოებს, ავანსეს და სხვა სახის დანხარებებს, რომელთა წყალობითაც ისინი სულს იტყვამდნენ მანამდე, ვიდრე ფართო მასშტაბის ოპერაციები მათ ახალი გასაღების ბაზრებს გაუხსნიდა. გარეგნულად თავდაქერი-

ლი, გმირული სულისკვეთებით დაჯილდოებული პრეტისათვის საშემ-  
როება, როგორც ასეთი, მხოლოდ იმისათვის არსებობდა, რომ იგი  
უგულაბელაყო ან თავიდან აეცილებინა; ხოლო წინააღმდეგობანი ის  
ზღუდე იყო, რომელიც აუცილებლად უნდა გადაეღებინა; განსაცდელ-  
ნი ჩაყარდნის ბრძოლისათვის ერთადერთი საშუალებაა რომ ჰქო-  
ნოდა, იგი მას ჩაეჭიდებოდა ისეთი ენერჯითა და ძალით და ისე  
მოხერხებულად გამოიყენებდა, რომ მსგავს მაგალითს ვერცერთი ქვე-  
ყნის ისტორიაში ვერ იპოვით.

ამდენად, თუ ახლა თვალს გადავავლებთ, როგორ გაზარდა ინგ-  
ლისმა სესხი და დაიგროვა სიმდიდრე ოცდახუთწლიანი ომის განმავ-  
ლობაში, თუ გავითვალისწინებთ იმ მიზეზებს, რომლებმაც განსაზ-  
ღვრა სხვა სახელმწიფოებთან შედარებით მისი გაძლიერება და აღმავ-  
ლობა, შეუძლებელია ვერ შევამჩნიოთ, რომ ეს იყო პიტის გონივ-  
რული პოლიტიკის შედეგი; იგი გაჟღერებით ამახვილებდა ევროპის  
ქვეყნების ყურადღებას საფრანგეთის აგრესიულ მისწრაფებებზე, ამა-  
ვე დროს კი გეგმაზომიერად და უხმაუროდ შეუერთა თავის იმპერიას  
მთელი ანტილია<sup>17</sup>, აზიის უმდიდრესი ნაწილი, ხმელთაშუა ზღვისა  
და ოკეანის საუცხოო ადგილები, ვაჭრობისა და კოლონიების დასაარ-  
სებლად ყველაზე ხელსაყრელი აფრიკის ქვეყნები. პიტის სიკვდილის  
შემდეგ მის გემგმებსა და დოქტორინას ზუსტად იცავდნენ და გულმოდ-  
გინედ ასრულებდნენ მისი მოწაფეები — აღინგტონები<sup>18</sup>, კანიგები<sup>19</sup>  
კასტლერები<sup>20</sup>. ამრიგად, საფრანგეთის ძლიერება ბოლოს და ბოლოს  
დაეცა. იგი კვლავ თავის ძველ საზღვრებს დაუბრუნდა, ხოლო ინგ-  
ლისმა დაპყრობილი ვრცელი ქვეყნები შეინარჩუნა და გაზარდა კი-  
დეც კოლონიები თავისი მუდმივი მეტოქის ხარჯზე(5).

(5) ჩემი აზრით, პიტს მძიმე პერიოდში მოუხდა დიდი სახელმწიფოს მართვა. მას  
უნდოდა ინგლისისათვის აეცილებინა ის უღელი, რომელიც კონტინენტს დააწვა და  
მზუნდა ისახავდა მის დამორჩილებას; უპირატესად ეს მძიმე მდგომარეობა იყო  
განსაზღვრელი იმ ღონისძიებებისა, რომელთა გამოც პიტს კიკაუდნენ ისინი, ვინც  
მთავრობისაგან შორს იდგა, ვინაც ჰქონდა საკუთარი პრინციპები და გაბედულად  
იცავდა მათ.

პიტის ხანგრძლივი მმართველობის შესახებ ზოგჯერ შეიძლება თავისუფლად ვი-  
ფიქროთ, რომ ამონარქის ღირსება და პატიოსნება განსხვავდება კერძო პირის  
ღირსებისა და პატიოსნებისაგან; რომ მან უნდა იმოქმედოს უფრო თავისუფლად  
და უფრო მასშტაბურად, რამეთუ ეყირება მძიმე ტვირთის ზეჯვა<sup>21</sup>. იგი ხშირად  
მისახურობდა საყვედურს იმის გამო, რომ ყოველნაირად ცდილობდა ხმებით ყოფი-  
ლიყო უზრუნველყოფილი პარლამენტში; მაგრამ მოუხდავად ყველაფრისა, იგი  
ზოლომდე უანგარო დარჩა და თავისი დაკრძალვის ხარჯებს უაღარცა სამშობლოს

მაშასადამე. ამ მოკლე მიმოხილვაში კარგად ჩანს, თუ როგორ მოახერხა ინგლისმა ფინანსური და ტერიტორიული ძლიერების ასეთ სიმძლავრე სწრაფად ასვლა; ამასთანავე ჩანს ისიც, რომ მშვიდობიანობის პერიოდშიც მას არ შეიძლებოდა არ შეენარჩუნებინა დიდა უპირატესობა კონტინენტის სხვა ხალხებზე და არ დაეჯახნა ისინი ვაჭრობაში, მრეწველობასა და ნაოსნობაში.

მართლაც, ათი წლის განმავლობაში ინგლისი თავის ვრცელ გეგმებს ისეთი სიპტიკითა და წარმატებით ახორციელებდა, რომ მათი საშუალებით განსაკუთრებული მდგომარეობა დაიქვედრა, რითაც დაარღვია ევროპის ქვეყნებს შორის არსებული თანაფარდობა.

ინგლისი არ კმაყოფილდება მისდამი დაქვემდებარებული ინდოეთის ვრცელი ტერიტორიებით; იგი ბატონობს ნეპალზე<sup>22</sup>, ემუქრება ტიბეტს და ცდილობს დაეპატრონოს ბირმის სახელმწიფოს; ავანს<sup>23</sup> სამეფოს დაპყრობით კი იგი უახლოვდება ჩინეთის ტერიტორიას(6); ამავე დროს, საპი წელია, რაც მას სპარსეთის ყურეში ყეშმის<sup>25</sup> (Kishmich) კუნძული უპყრია და ამით თითქოს წინასწარ უნდა გვაძინოს, რომ მას სულაც არ სურს დაუტოვოს რუსეთს განსაკუთრებული უფლება იმისა, რომ ოდესმე იგი სპარსეთს თავის გავლენის ქვეშ მოაქციეს.

არანაკლებად ფართო გეგმები აქვს ინგლისს აფრიკაშიც; ამერიკაში კი, იმისათვის რომ არ დათმოს ახალი შტატები, რომლებიც იქ ყალიბდება და რომელთა დამოუკიდებლობაც მან პირველმა აღიარა, თუ იგი დამპყრობლად არ გვევლინება, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც კარგად იცის, როგორ მოიპოვოს ამ მხარეში ერთპიროვნული მორალური ბატონობა. ფერმერებისა და მმართველებისათვის ავანსების გაცემის გზით(7).

აქ უადგილო არ იქნებოდა ახალი სამყაროს<sup>26</sup> მდგომარეობასთან დაკავშირებით ზოგიერთი ცნობის მოტანა.

დაუტოვა საზრუნავად; ამდენად სრული სიმატლავა, რომ უანგარობა ქვეშარიტად აძლიერებული სულის თვისებაა.

\* იხილეთ შარონი<sup>21</sup> (Charon) „სიბრძნის შესახებ“.

(6) არ შეიძლება იმის დაიწყება, რომ 1758 წელს ლორდმა კლაივმა<sup>24</sup> იმდროინდელმა ინდოეთის შთავარმმართველმა, ჩინეთის დაპყრობის წინადადება წამოაყენა, რის განსახორციელებლადაც იგი მოითხოვდა მხოლოდ თხუთმეტიათასკაციან ჯარს. ეს წინადადება მაშინ წარდგენილ იქნა ინგლისის პარლამენტში.

(7) ინგლისის ვაჭრობის რამდენიმე მარცხი, თუ არ ჩავთვლით მექსიკის მღაჟროების ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ სიძნელეებს და სამხრეთ ამერიკისათვის გაღებული ხარკების გაზრდას, მხოლოდ და მხოლოდ ხანმოკლე უსიამოვნებებია, რომლებიც სრულბითაც არ ამათილებენ ჩემს ვარაუდებს.

სამი საუკუნის მანძილზე ევროპის გავლენის ქვეშ მოქცეული ახალი სამყარო დღეს თითქმის მთლიანად განთავისუფლებულია. ამ ვრცელი კონტინენტის სხვადასხვა ნაწილები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იძულებულნი იყვნენ დაეცათ თავს მოხვეული კანონები და თვითმმართველობაში თავიანთი მეტროპოლიების პრინციპებითა და სურვილებით ეხელმძღვანელათ, მათგან მიეღოთ არსებობისათვის აუცილებელი საქონელი და მთელი თავიანთი პროდუქცია უკლებლივ მათთვის მიეყიდათ, გათავისუფლდნენ ძველ სუვერენთა ბატონობისაგან და დღეს დამოუკიდებელი საქმეების, ურთიერთობების, ვაჭრობისა და სავადასახადო კანონების დაწესების სრული შესაძლებლობა აქვთ.

რევოლუცია, რომლის პირველი მაგალითი შეერთებულმა შტატებმა მოგვცა, მოხდა სან-დომინგოშიც და ამ ბოლო დროს თითქმის მთელ ამერიკას მოედო; იგი ევროპისათვის რაიმე ზიანის მიყენების ნაცვლად, ვეებერთელა სარგებლობის წყარო იქნებოდა, რომ ერთადერთ სახელმწიფოს, თავისი აურაცხელი სიმდიდრისა და საზღვაო ფლოტის სიძლიერის წყალობით, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ახლად გათავისუფლებულ ახალ სამყაროში ასეთი გავლენისა და უპირატესობისათვის არ მიეღწია; ეს უპირატესობა ეკვივალენტურია ძალმორეობისა. რასაც ესპანეთი და პორტუგალია ახორციელებდნენ ამ ვრცელ ტერიტორიაზე.

ჩრდილო ამერიკამ ორმოცი წლის განმავლობაში მოსახლეობის მნიშვნელოვან ზრდას მიაღწია; იგი გამდიდრდა, გაძლიერდა, რითაც საბოლოოდ განიპტკიცა დამოუკიდებლობა და თუკი იგი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ინგლისისადმი დამორჩილებულ ქვეყნად, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი აღმავალი სიძლიერე ნაკლებ საშიშია ევროპისათვის, ვიდრე უფრო, რომ დიდ ბრიტანეთსა და მის ძველ კოლონიებს შორის არსებული მტრობა შეიძლება ერთ დღეს შესუსტდეს და კიდევაც გაქრეს. უკვე ახლაც თანამედროვე ეპოქაში ნაკლებად იგრძნობა ქიშპობა მათ შორის; ამჟამად შესაძლებელია ყველა მოსალოდნელ მოვლენათა გათვალისწინება. მხედველობაში მაქვს არა მარტო ამ ორი ქვეყნის ერთმანეთთან უბრალო დაახლოება, არამედ მათ შორის მჭიდრო ურთიერთობა. მტკიცე კავშირი, რომლის საფუძველზეც ინგლისი ჰოლანდოების სამხრეთ ამერიკასა და, უდავოდ, წყნარი და ინდოეთის ოკეანეების ნაპირებზე მდებარე ტერიტორიებზე გაბატონებას. წარმოშობა, ენა, ზნე-ჩვეულებანი, რელიგია, ხსოვნა წახსული დიდებისა და საერთო ინტერესები აწმყოში, ყველაფერი

ეს ხელს შეუწყობს ამ ორ ქვეყანას შორის ასეთი კავშირის დაშე-  
არებას და ეს მათი მჭიდრო ურთიერთობა შეიძლება საფუძველი გას-  
დეს კონტინენტთან დასაპირისპირებლად.

მართლაც, შეერთებულ შტატებს საშხრეთ ამერიკა დიდი ხნია  
უზრუნველყოფს გასაღების უზარმაზარი ბაზრებითსოფლის მეურნე-  
ობის პროდუქციისათვის და ამასთანავე, გასაღების ფართო შესაძლებ-  
ლობებს მისცემს ინგლისის მანუფაქტურულ მრეწველობას.

ინგლისის მთავრობას კელიშობილური ზრახვანი ამოძრავებდა,  
როცა ლა პლატას რესპუბლიკასთან დადებული პირველი ხელშეკრუ-  
ლებით მას ზანგებით ვაჭრობა აუკრძალა, მაგრამ ხომ არ შეიძლება ეს  
აქტი მივიჩნიოთ იმის საბუთადაც. რომ ინგლისს სურს საშხრეთ ამე-  
რიკაში მორჩილებაში იყოლოს მომხმარებელი და არა მწარმოებე-  
ლი, რომელთა შორის შეუღლი საშიში იქნებოდა კოლონიურ სასურსა-  
თო საქონელზე მონოპოლიის მოპოვებისათვის.

როგორც არ უნდა იყოს საბოლოო სტატუსი ახალი შტატებისა,  
რომლებიც ამერიკაში ყალიბდება, დროთა განმავლობაში შესაძლოა  
ისინი ორთავე სახელმწიფოს — ინგლისსა და შეერთებულ შტატებს  
დაეჭვემდებაროს და მაშინ აქ მომხდარ რევოლუციებს ფაქტიურად  
არაერთარი მნიშვნელობა არ ექნება ევროპის კონტინენტისათვის.

აქ ერთი კითხვა იბადება: აქვს თუ არა ევროპას იმის საშუალება,  
რომ თავიდან აიცილოს ეს მდგომარეობა. აღადგინოს ქვეყნებს შორის  
დარღვეული თანაფარდობა, აიძულოს ინგლისი, ბოროტად არ გამო-  
იყენოს თავისი საზღვაო ფლოტის სიძლიერე და ბოლო მოუღოს მის  
განუწყვეტელ დაპყრობით ომებს? ეს ომები ხონ იმით დამთავრდება,  
რომ კონტინენტის სხვა დიდ სახელმწიფოთა საჯარეო ვაჭრობა ინგლი-  
შის მთავრობის ნება-სურვილის შემყურე დარჩება?

გარწმუნებთ, საკითხი იმდენად ახალი და მნიშვნელოვანია, რომ  
უკიდურესი სიფრთხილითა და წინდახედულობით ვებდავ მასზე ჩემი  
აზრის გამოთქმას.

ევროპის ქვეყნები რომ გაუთანაბრდნენ ინგლისის ძლიერებას,  
ამისათვის ორი საშუალება არსებობს(8); სიტყვა „ძლიერება“ ფარ-

---

(8) ჩემ მიერ დასახელებულ იმ საშუალებათა შორის, რომლებთაც ევროპის  
კომერციას შეუძლია თავი დაიხსნას ინგლისის ბატონობისაგან, არ ვიხსენებ დიდი  
საზღვაო ფლოტის აღდგენას ესპანეთში, ბელგიაში, დანიაში, შვეიცარიაში, ფრანციის  
ეურეში, შუა ზღვაზე, და განსაკუთრებით, ჩვენს ნავსადგურებში, ეს ცხადია როდეს  
ნიშნავს ამას, თითქოს ვიზიარებდე იმ მრავალრიცხოვან ავტორთა მოსაზრებას,  
რომლებიც აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მხოლოდ ამას ხედავენ, თუ როგორ

თო მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. იგი გულისხმობს ფულს, კრედიტს, ვაჭრობას, ნაოსნობას, მოსახლეობას, კოლონიებს, სახელეთო და საზღვაო ძალებს.

პირველი საშუალება ითვალისწინებს არა შეიარაღებულ, არამედ მშვიდობიან ნეიტრალიტეტს, რომელიც ევროპის დიდ სახელმწიფოებს გააერთიანებდა ფართო სავაჭრო ინტერესებით.

მეორე გულისხმობს ევროპის კომერციული ინტერესების ძირითადად აზიაში გადატანას შავი ზღვით; ასეთ პირობებში, ინგლისმა ევროპასთან საზღვაო ომი რომ დაიწყო, მსოფლიოს ამ ორ უძველეს ნაწილს შორის შეიძლება აღდგეს ის სავაჭრო ურთიერთობა, რაც ამერიკისა და კეთილი იმედის კონცხის აღმოჩენამდე არსებობდა.

მკითხველი მომტიკეებს, მაგრამ იძულებული ვარ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით აქ განმარტებები მოვიყვანო.

ევროპა უნდა უმადლოდეს კონტინენტის სახელმწიფოებს შორის შეთანხმების საფუძველზე დამკვიდრებულ მშვიდობას, რითაც იგი

---

დგას ეს საკითხი ამჟამად, მაგრამ არ ითვალისწინებენ, რანაირად იდგა იგი წარსულში და როგორ შეიძლება დადგეს მომავალში; ამიტომ ხშირად ამბობენ საყაროდ: საურჩევთს ერთი საუკუნე დასკირდება, რომ ინგლისის ფლოტს შეებრძოლოს.

ცხადია, საფრანგეთი მართლაც ვერასოდეს შესძლებს ამას, თუ ჩვენ კარბ ზარალს მოვირიდებით და არ მოვიძებნით მასთან შებრძოლვას რეალურ საშუალებას. როდესაც ლეი XIV-ის სურდა ჩამდინებე წლის განმავლობაში შეეკმნა საზღვაო ფლოტი, რომელმაც ტურკილებისა<sup>27</sup> და დიუკენების<sup>28</sup> ჯროს გაიმარჯვა ინგლისისა და პოლანდის შეერთებულ ფლოტზე, ამ მონარქმა მიზნის სიღიადეს შეუფარდა მისი ვანზორციელების ზერაები. მკიცე სურვილისა და საყუთარი ზალხს წყალობით მისთვის შეეძლებელი არაფერი იყო.

ერთი საუკუნის შემდეგ, ლეი XVI-მ<sup>29</sup>, სათნომ მოუყვასთა მიმატო და საფრანგეთის დიდების ტრფილმა; არ გაიზიარა საზღვაო ფლოტის მინისტრის ბერაეს (Berrier) სასოწარკვეთა 1763 წლის ზავის შექმნე<sup>30</sup>; შუა ხდომამზე ბერაეს მოურიდებლად წამოუყენებია წინადადება საყაროდ გაეყიდათ ჩვენს ნავსადგურებში არსებულ საზღვაო საბრძოლო მარაგი, რაღვან, ჩენი საზღვაო ძალებს აღდგენა შეეძლებელიათ. ლეი XVI არ შეუშინდა დაბრკოლებებს; მას დიდი სუოვილი ჰქონდა ავედგინა თავისი საზღვაო ფლოტი; ამის შედეგად ამერიკის მიერ დაწყებულ ომში ჩვენმა საზღვარო ფლოტმა ყველგან უპირატესობა გამოავლინა და აქობა ინდოეთის ფლოტს.

ის, რაც ოჩერ მოხდა, შეიძლება კვლავაც განმეორდეს, მაგრამ ამას ვერ ნივალწვით, სანამ ჩენი საგარეო ვაჭრობის მდგომარეობისა და პირობების გ.წ. მღლე გრძელდება საზღვაო ფლოტის პერსონალის კატასტროფული კლება. ზომალდება ზღვაში ვერ გავლენ, თუ მათი ეკიპირებისათვის არ გვეყოლება გამოყვინო ოფიცრები და მებლუაურები.

ათი წლის განმავლობაში სარგებლობს; მაგრამ ეს შეთანხმება, რომელიც ორ მიზანს — მეფეთა მდგომარეობის სიმტკიცესა და სახელმწიფოთა სიმშვიდეს ისახავს, ექვემდებარება, ყოველთვის მტკიცე როლი იქნება; ერთმანეთთან შეთანხმებული მონარქები ყურად იღებენ ვაჭრობის გადაუღებელ ინტერესებს და სათანადო ღონისძიებებს განახორციელებენ, რათა თავიანთ ქვეშევრდომთა შორის მრავალფეროვანი სავაჭრო ურთიერთობა დამყარდეს, რაც ერთმანეთის ერთგულებასა და საერთო ინტერესების საფუძველს წარმოადგენს.

ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება ევროპის ხალხებისათვის გონიერებისა და ფართო ინტერესების საფუძველზე მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი ტარიფის დარსება, რომელიც, ბუნებრივია, გაითვალისწინებს სახელმწიფოთა გეოგრაფიულ მდებარეობასა და მათ მდგომარეობას. ასეთი ტარიფი გამოირიცხავს ყოველგვარ ტაბუს და შეინარჩუნებს მხოლოდ აუცილებელ გადასახადებს, რათა თითოეული ქვეყნისათვის დამახასიათებელი მანუფაქტურული მრეწველობა არ განადგურდეს. ევროპის ხალხთა შორის აღებ-მიცემობის გაზრდა, მათი მოთხოვნილებების გადიდება, საარსებო საშუალებებით მათი უზარუნველყოფა, ცხადია, არ ნიშნავს მათი კეთილდღეობისათვის ზიანის მიყენებას და კიდევ უფრო ნაკლებად ნიშნავს მათი არსებობის საფრთხეში ჩადებას.

ასეთმა ღონისძიებამ რომ სათანადო შედეგი გამოიღოს, ყველამ ქვეყანაში, მათ შორის საფრანგეთსა და ავსტრიაში, სატრანზიტო საქონელი გადასახადებსაგან უნდა გათავისუფლდეს და მას განსაკუთრებული მფარველობა გაეწიოს. ამგვარი ღონისძიების სარგებლიანობაში ეჭვის შეტანა ან ამის გამო შიში საწინდარი იქნება იმისა, რომ საფრანგეთი, რაც არ უნდა მალაღი სახელმწიფოებრივი ინტერესები ამოძრავებდეს, ეერასოდეს შეძლებს ისე გააფართოოს თავისი საზღვრები და გაამრავლოს საბაჟოები, მისი ვაჭრობა და მრეწველობა დაქვეითების საფრთხის წინაშე რომ არ აღმოჩნდეს.

თანამედროვე ეპოქაში ჩვენ მოწმენი გაცხდით იმისა, თუ როგორ განავრცო ბონაპარტმა საფრანგეთის ფარგლები, თანდათანობით როგორ შემოიერთა ბელგია, რაინის მარცხენა ნაპირი, პიკონტაჟი და უზარმაზარი ტერიტორიების დაპყრობით ქვეყნის საზღვრები ელბამდე გადაიტანა. ყოველივე ეს ისე მოხდა, რომ ჩვენს მანუფაქტურებს არ განუტლიათ შემოერთებულ ხალხთა მოქმედი მრეწველობის კონკურენცია; არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ თუ არა ის დიდი შეცდომები, რაც თან სდევდა პატივმოყვარე დამპყრობლის უკანასკნელ



ნაბიჯებს, შესაძლოა ევროპის კონტინენტი, მცირე ხნით მაინც, ერთი სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოქცეულიყო, დამორჩილებოდა მის სისტემას და ფართოდ გაეშალა კომერცია, მაშინ საბაჟოები მხოლოდ და მხოლოდ ინგლისს გაუწევდნენ ზედამხედველობას; ამით გაგრძელდებოდა ღონისძიება, რომელმაც განხორციელება ბერლინისა და მილანის დეკრეტებით დაიწყო.

განა არ შეიძლება ის, რაც ერთხელ ჩვენი ბრძოლების შედეგად მოპოვებულ გამარჯვებებს მოჰყვა კონტინენტის ვაჭრობისა და მრეწველობის სასარგებლოდ, კაცობრიობის სურვილების შესაბამისად მონარქთა ნებაყოფლობითი შეთანხმებით დამყარდეს ისე, რომ ამათ არცერთი ხალხის ინტერესები არ შეიზღუდოს? ბოლოს და ბოლოს, განხორციელდებოდა დიადი იდეა თავისუფალი ვაჭრობისა, რომელიც ასერიგად ეთანხმება ეპოქის მოთხოვნილებებს.

იმ დროს, როცა ეს საკითხი ტურგომ<sup>22</sup> (Turgot) და ეკონომისტებმა წამოჭრეს, ამ იდეას შეეძლო უდიდესი საფრთხის შექმნა, რადგანაც მაშინ ჩვენი მანუფაქტურული მრეწველობა ჯერ კიდევ ახალფეხადგმული იყო. დღეს მისი მრავალრიცხოვანი პროდუქტთა აღარ არის უშუალოდ დამოკიდებული მომხმარებელსა თუ ექსპორტის<sup>23</sup> შეზღუდვაზე და თავისუფალი ვაჭრობა ევროპისათვის საჭირო კი არა, მე ვიტყვოდი, აუცილებელ საქმედ იქცა. სხვანაირად რომ ყოფილიყო, ამას არ შემოგვთავაზებდა ბატონი ჰატიჩინსონი<sup>23</sup>, ეს საკითხი ყურადღებიდან არ გაჰორჩებოდა ამ დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც არ სჯერდებოდა იმას, რომ საქმე მხოლოდ სასიკეთო და მნიშვნელოვანი ყოფილიყო, იგი ამ საქმის დროულად და რიგიანად შესრულებასაც მოითხოვდა.

ამასთანავე, თავისუფალი კონკურენციიდან მე არ გამოვრიცხავდი ინგლისსაც; შორსა ვარ მეტოქეობისა და ყოველგვარი შეუწყნარებლობისაგან იმ ერისადმი, რომლისგანაც ეგზომ დავალებულა მეცნიერება და მრეწველობა. მაგრამ თუ მივიღებდით ვაჭრობის საყოველთაო თავისუფლების სისტემას, საჭირო გახდებოდა კარგად აგვეწონდაგვეწონა ყველა შესაძლებლობა. კონტინენტის სახელმწიფოებს რომ დიდი ზარალის გაუღებლად ამხედრებდა იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც კოლონიური საქონლის მონოპოლიას ფლობს, მსოფლიოს ყველა კუთხეში ვრცელი ტერიტორიები უზყრია. ამასთანავე აქვს უდიდესი გავლენა ევროპის ყველა მთავრობაზე, რამეთუ მათ სესხით ამარაგებს; ამხედრებდა იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომლის კაპიტალით მდიდარ ფაბრიკებს შეუფერხებლად შეუძლიათ საქონლის გრძელვა-

დიანი კრედიტო გაყიდვა, სადაც ვაჭრობა მთავრობის მუდმივი მზრუნველობის საგანია, და ბოლოს, იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც ზღვებზე ბატონობს.

თუ ვეროპის ქვეყნები შეაკეშირდებიან, თუ ვაჭრობისადმი დიდი ინტერესი მათ შორის მეტ ნდობასა და მჭიდრო ურთიერთობას დაამყარებს, თუ მანუფაქტურული მრეწველობის პროგრესთან შეთანხმებული საბაჟოების ახალი სისტემა გაზრდის ურთიერთმოთხოვნილებებს. და ბოლოს. თუ ინგლისი ამ ასოციაციაში დაიშვება და იპოვის გასაღების ისეთ ვრცელ ბაზრებს, მის ფაბრიკებსა და ნაოსნობას რომ შეეფერება, ვფიქრობთ, ასეთი ავტორიტეტული მთავრობა ყველაფერში მოწინავე ქვეყნისა, რაც მაღალი ცივილიზაციისათვისაა დამახასიათებელი, საზღვაო ძალებს ბოროტად აღარ გამოიყენებს და მსოფლიო ვაჭრობას გაათავისუფლებს კაბალისგან. მაშინ, ექვგარეშეა, საფრანგეთის ჭარის ესპანეთში შესვლას დროს ინგლისი გაიზიარებს დოფინის კეთილშობილურ იდეას და დათანხმდება ხელშეკრულებით აღიაროს ზღვების თავისუფლება. იგი სენობს ქრისტიანი, ცივილიზებული ქვეყნების მოქალაქეთა უფლებას თავგანწირულად დაიცვან მოძალადეთაგან კერძო საკუთრება. ამგვარად, ინგლისის უზარმაზარი ფლოტო, ნაცვლად იმისა. რომ ვეროპის ჩაგვრის საშუალებას წარმოადგენდეს. იქნება მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის კანონიერი თავლები და მეკობრეობისაგან ნამდვილი დაცველი.

ასეთი ხელშეკრულებითა და გარანტიით აღჭურვილი ჩვენი ექსპედიციები დღეს საყოველთაო ყურადღების ცენტრში მყოფ სამხრეთ ამერიკაში. ისე წარმართება, რომ მათი შეწყვეტის საშიშროება აღარ დადგება. მაშინაც კი. როცა ამ ექსპედიციების გაფართოება დიდ ბრიტანეთში მოუხვენრობისა და შურის გრძნობას აღძრავს; მაშინ აღარც იმის საშიშროება იქნება, რომ მსგავსად 1744, 1756, 1793 და 1803 წლებისა, ჩვენს ხომალდებს ომის გამოუცხადებლად უეცრად არ გაიტაცებენ და რომ ჩვენი კომერცია და ფაბრიკები უეცრად არ განადგურდება უმოქმედობისაგან; ასეთი რამ ხომ დღეად შეარყევს ჯალბების კეთილდღეობასა და სახელმწიფოთა სიმშვიდეს.

ამგვარი გარანტიის გარეშე ჩემ მიერ აღნიშნული საშიშროება საფრანგეთისათვის განსაკუთრებით დიდი იქნება. რადგანაც ომის დაწყების შემთხვევაში მას აღარც კაპიტალი შერჩება და არც კრედიტი, რაც თანამედროვე სახელმწიფოთა ძალის ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

ინგლისი ყოველთვის კარგად აფასებდა ვაჭრობის შედეგად მოგე-

ბული ფულის მნიშვნელობას, ჩვენ კი ვაპრობას ამდენი ხნის მანძილზე არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით.

უწინ, როცა საფრანგეთმა სხვა ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემებს აღგენდნენ და მათი სიძლიერის წყაროებს ერთმანეთს აღარებდნენ, ითვალისწიებდნენ მხოლოდ მოსახლეობის, ქარებისა და ხომალდების რაოდენობას; მსჯელობდნენ მიწების ნაყოფიერებაზე, ხოლო ფულითა და კრედიტით დაგროვილ სიმდიდრეს არაღ აგდებდნენ; სიამოვნებით აღნიშნავდნენ, რომ ყველა სახელმწიფო, სადაც ვაჭრობა იყო განვითარებული, დაეცაო; ფინიკიელებმა,<sup>34</sup> ფოკეელებმა<sup>35</sup>, თავიანთი ეფემერული სიდიადის არავითარი კვალი არ დატოვესო; ტირის<sup>36</sup> სიმდიდრემ ვერ შეძლო ეს ქალაქი ალექსანდრეს<sup>37</sup> ჯარისაგან დაეცვაო; ღარიბი რომის გამარჯვებებს უპირისპირებდნენ სავაჭრო ქალაქ კართაგენის<sup>38</sup> განადგურებას; იგონებდნენ, რა უძლურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ვენეციისა და გენუის რესპუბლიკები, თითქოს მათი სიმდიდრე ყოფილიყო მიზეზი მათი დაცემისა. დაბოლოს, ფიქრობდნენ, რომ ინგლისს იმით დაჯაბნიდნენ, თუ ამ ძლიერ ქვეყანას ვაჭრებისა და მეღუქნეთა სახელმწიფოდ მოიხსენიებდნენ.

მაგრამ იმავე ცხრილში რომ აღენიშნათ ის უამრავი ისტორიული ფაქტი, რომელიც ადასტურებს ფულის ნაკლებობით გამოწვეულ მარცხსა თუ სიღუბსიერეს და ოქროს ძალაზე დამყარებულ წარმატებებს, ამ არგუმენტების საწინააღმდეგოდ ვერაფერს იტყოდნენ ისინი, ვინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა მრეწველობასა და ნავიგაციას.

მაგალითისათვის გავიხსენოთ ვაჭრობით განთქმული კართაგენი, რომელმაც ერთ დროს მცირე ხნით დაუგვიანა ხელფასი დაქირავებულ ჯარისკაცებს, რის გამოც აქ შინა ომი გაჩაღდა და კართაგენის დაცემის ძირითად მიზეზადაც იქცა<sup>39</sup>. იგივე ითქმის ინდოეთის მთავრობაზეც, რომელმაც მხოლოდ სამი თვის განმავლობაში რომ არ გადაუხადოს ინგლისის დაქირავებულ ჯარებს — სიფაქიებს<sup>40</sup> კუთვნილი ჯამაგირი, ალბათ დაიღუპება.

უახლოესი დროის ფაქტებს აღენიშნავ: მარცხი, რომელმაც განსაზღვრა 1763 წლის საზავო ხელშეკრულება<sup>41</sup>, ჩვენი ფინანსების ნაკლებობამ განაპირობა. ბოლო პერიოდში კრედიტორთა შორის ავტორიტეტის დაკარგვის გამო, საფრანგეთის მთავრობამ 1760 წლიდან 1763 წლამდე შეძლო სესხად ეშოვა მხოლოდ 150 მილიონი, მაშინ როდესაც ინგლისმა 600-ზე მეტი შეკრიბა; თანაფარდობა, როგორც სტაუარტი<sup>42</sup> შენიშნავს თავის „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატში“,

მაშინ შეადგენდა 1-ს 4-თან; ამის გამო იყო, რომ საფრანგეთის მეურ-  
ბრწყინვალედ დაწყებული ომი მისი სრული მარცხით დასრულდა.

თუ უსახსრობით გამოწვეული მარცხის ამსახველი მაგალითების  
გვერდით მოვიყვანთ ფაქტებს, რომლებიც მდიდარ სახელმწიფოთა  
კეთილდღეობასა და ძლიერებას აღასტურებენ, ასეთ მაგალითს შეცა-  
მეტე საუკუნის ვენეციაში ვიპოვით. როდესაც ფრანგი ჯვაროსნები  
იძულებულნი გახდნენ ვენეციელებისაგან ეთხოვათ ხომალდები  
კონსტანტინოპოლში ჩასასვლელად და მათ ვერ შეძლეს შეპირებული  
ფასის მთლიანად გადახდა, შეთანხმდნენ, რომ დარჩენილი ოცდაათო-  
ხმეტი ათასი მარკის გარდა რესპუბლიკას, მისი უფრო მეტად დაინ-  
ტერესების მიზნით, მიეცემოდა დაპყრობილი ქვეყნების ნახევარი. ეს  
შეთანხმება ზუსტად იქნა შესრულებული ფრანგების მ-ერ კონსტან-  
ტინოპოლის აღების შემდეგ, თუმცა ბრძოლაში მხოლოდ რამდენიმე  
ვენეციელმა ჯარისკაცმა მიიღო მონაწილეობა თავაანთი დოყის<sup>43</sup> —  
მოხუცი და მამაცი დანდოლოს ხელმძღვანელობით<sup>44</sup>, რომლის არც  
დაკნინება მსურს აქ და არც განდიდება.

მეათხუთმეტე საუკუნეში ბურგუნდიის ჰერცოგთა სიძლიერე და-  
მოკიდებული იყო უპიჯურესად ნიდერლანდების კომერციასა და სიმ-  
დიდრეზე, რობერტსონის ცნობით, სწორედ ამ ეპოქაში საფრანგეთის  
დედოფალი ჟანა (Jeanne de France)<sup>45</sup> ბრიუეგში<sup>46</sup> ერთ ტურნირს  
დასწრებია და როცა დაუნახავს ოქროთი და ვერცხლნაჭარგი ფარჩე-  
ბით შემოსილი, უამრავი მარგალიტითა და ბრილიანტით შემკული ვაჭ-  
რების ცოლები, ჯავრით წამოუძახია: „მე ჩემს თავს ერთადერთ დე-  
დოფლად ვთვლიდი, აქ კი ასზე მეტი დედოფალიაო“.

სხვა ფაქტებს აღარ მოვიყვან; მოვიგონებ მხოლოდ ერთ მაგა-  
ლითს ინგლისის ისტორიიდან: რევოლუციური ბრძოლების პერიოდში  
ინგლისმა დახმარება აღმოუჩინა საფრანგეთის წინააღმდეგ გაერთიანე-  
ბული ევროპის დაქირავებულ ჯარებს; ტორეს ვედრასის<sup>47</sup> საზღვრებზე  
თავი მოუყარა პორტუგალიის მთელ მოსახლეობას და იქ თავისუფ-  
ლად ცხოვრების პირობები შეუქმნა; ლონდონიდან ლისაბონამდე ხო-  
მალდებით გადაიტანა არა მარტო იქაური მოსახლეობისა და ჯარი-  
სათვის აუცილებელი სურსათი, არამედ ცხენებისა და პირუტყვისათვის  
საჭირო საკვებიც. მასენას<sup>48</sup> ჯარი კი პორტუგალიაში მალე დაიმშა,  
რადგან ყველაფერი განადგურებული იყო და დიდი სიმამაცით მოპო-  
ვებული ეს გამარჯვება ხელიდან გამოგვეცალა მხოლოდ და მხოლოდ  
ინგლისის დაუშრეტელი სიმდიდრის გამო.

ვფიქრობ, ამ ფაქტებით დავამტკიცე, რომ სახელმწიფოთა თანაფარდობა და დაპირისპირება არა მხოლოდ ხმელეთსა და ზღვაზე მათი ძალების თანაფარდობაზე და მოკიდებული, არამედ მეტ-ნაკლებად იგი ფულსა და კრედიტსაც ეფუძნება. სასურველია, რომ საფრანგეთის მეფის მთავრობამ განსაკუთრებული მფარველობა გაუწიოს მანუფაქტურულ ინდუსტრიას, რომლის პროდუქციაც დღეს სახელმწიფოთა ძირითად სიმდიდრეს წარმოადგენს და ასევე განსაკუთრებული გულისყურით მოეციდოს ვაჭრობას, რომელიც ერთადერთი საშუალებაა პროდუქციის გასაღების უზრუნველსაყოფად.

ექვსგარეშეა, რომ საშინაო მოხმარება საფრანგეთში უფრო მეტად ვიდრე სხვაგან, წარმოადგენს პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან სტიმულს მანუფაქტურულ ინდუსტრიის ზრდისათვის, რადგანაც საყოველთაო სიუხვის მოთხოვნილება მომხმარებელთა რაოდენობას იმდენად ზრდის, რომ ამ მხრივ მას ვერცერთი ქვეყანა ვერ შეედრება; მაგრამ საქონლის მოხმარება, შრომის პროდუქციის გამოყენება შეიძლება ათასგვარი გარემოებით შეიზღუდოს ან ერთ წერტილზე გაიყინოს; მას ზღუდავს საგარეო ომები; მასზე დიდ გავლენას ახდენს საშინაო შფოთი და არეულობა, ჩვენ დავრწმუნდით, რომ რევოლუციის მძიმე პერიოდში პროდუქციის მოხმარება იმდენად შემცირდა, რომ სახელმწიფო ხაზინა იძულებული შეიქნა ერჩინა აუარება გაჭირვებული ხალხი, რომელთაც გარდა საკუთარი მარკვენიისა საარსებოდ სხვა საშუალება არ გააჩნდათ. ამასთანავე, თუ ეს საშინაო მოხმარება ზრდის ვაჭრობის მასშტაბებს და იწვევს დიდ საქონელბრუნვას, იგი არ ზრდის ოქროსა და ვერცხლის მარაგს: ის მხოლოდ საგარეო ვაჭრობის შედეგად იზრდება და, მაშასადამე, საგარეო ვაჭრობა უნდა წარმოადგენდეს მთავრობის გამუდმებული ზრუნვის საგანს.

ოცდაათი წლის განმავლობაში ინგლისის სამინისტროები საგარეო ვაჭრობას მთელ თავის ყურადღებას უთმობდნენ, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, — ინგლისის მიერ წარმოებულ ომებსა და მოლაპარაკებებს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — ასეთი ვაჭრობის წარმატებით დაგვირგვინება. ამას შედეგად მოჰყვა სიმდიდრის დაგროვება, რომლის წყალობითაც განვითარდა სოფლის მეურნეობა, აიგო ფაბრიკები, არხები, გაფართოვდა სხვა სახის მშენებლობა, ე. ი. ყველაფერი, რასაც სახელმწიფო დაწესებულებები და კერძო პირი განაგებდნენ, ისეთ დონემდე ამაღლდა, რომ დღესაც გაკვირვებას იწვევს.

ინგლისი დარწმუნებულია, რომ მსოფლიოს ოთხსავე ნაწილში მისგან დამორჩილებულ მრავალრიცხოვან ქვეშევრდომთა მიერ საქონლის

მზხმარება და ამასთანავე ევროპის ქვეყნებში შეზიდული საქონელი, სრულიადაც არ შეესატყვისება მისი მანუფაქტურული ინდუსტრიის აღმავლობის ტექნიკებს და ამიტომ მუდამ იმის ცდაშია, რომ იზოვოს ჯედაშიწის რაღაც ახალი ნაწილი, სადაც უზრუნველყოფს პროდუქციის გასაღებას. რამეთუ კარგად უწყის, რომ ეს ზრდის სახელმწიფოს სიმდიდრესა და აქტიურობის შენარჩუნების შესაძლებლობას ქვეყნის ფაბრიკებში.

1785 წელს ფორსტერმა (Forster) გადალახა აზია ბენარესიდან<sup>49</sup>. ასტრაბადაშდე<sup>50</sup> (Asterabad) და თავის ქვეყანაში ჩამოიტანა პირველი ცნობები ქაშმირის<sup>51</sup> კომერციასა და ფაბრიკების შესახებ. რამდენიმე წლის შემდეგ ჩინეთში გაიგზავნა ჯერ ლორდი მაკარტნე<sup>52</sup>, შემდეგ კი ლორდი ამჰერსტი (Amherst) და ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ელჩობა სათანადო ბრწყინვალეობით ჩატარებულიყო; მის ერთადერთ მიზანს ინგლისის ვაჭრობის გაფართოება წარმოადგენდა. პოლკოვნიკებმა მორიერმა<sup>53</sup> (Morier) და მალკოლმა<sup>54</sup> (Malcolm) სპარსეთი მოიარეს და აქ ცხოვრობდნენ როგორც ინგლისის წარმომადგენლები; ბატონი გორ აუზლი<sup>55</sup> (Gore Ouseley) იქ ელჩად იქნა წარგზავნილი ინგლისის ახლაც კი თავისი საქმეთა რწმუნებულთა კყავს სპარსეთში (9). დაახლოებით ამ ოცდაათი წლის მანძილზე ტრეტის შიდა რაიონებს იკვლევდნენ ჯორჯ ბოგლი (George Bogle) და სემუელ თარნერი (Samuel Turner); ყანდაპარში<sup>56</sup> ელჩად გაიგზავნა ბატონი მონტ სტუარტ ელფინსტონი (Mount Stuart Elphinston). დაბოლოს, აზიისა და აფრიკის ყველა ნაწილი და მთელი ახალი სამყარო მოთენილია ინგლისის მიერ წარგზავნილი მოგზაურებითა და აღმოჩენათა ხელშემწყობი საზოგადოებებით, რომელთა მისიის ძირითად მიზანს ამ ქვეყნების დაზვერვა და მათთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარება წარმოადგენს; რაც შეეხება სამეცნიერო კვლევა-ძიებებს, იგი მათთვის მხოლოდ და მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისაა.

ინგლისისაგან განსხვავებით, საფრანგეთი თავის მოგზაურებს თითქმის ყოველთვის მხოლოდ ასტრონომთა, გეოლოგთა, ბოტანიკოსთა თუ ანტიკვართაგან შეარჩევდა; სწორედ ამიტომ, რომ მას მსოფლიოს მეცნიერები ასე ემადლიერებიან; საფრანგეთი ხომ მხოლოდ დიდების მოსაპოვებლად იღვწოდა; ჩვენი წარმოებისა და ვაჭ-

(9) დაახლოებით ერთი წელია, რაც სპარსეთში ინგლისის წარმომადგენლად იმყოფება ლორდი კინეირი (Kinneir) და საქმეთა რწმუნებულის მოვალეობას ასრულებს.

რობის ინტერესები კი არაეის ახსოვდა; ვაჭრებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ რანაირი ურთიერთობა შეეძლოთ დაემყარებინათ იმ ქვეყნებთან, რომელთაც ინგლისი გულდასმით ზეერავდა, რაღა თქმა უნდა, ნაკლებად ამაღლებული, მაგრამ გაცილებით ანგარებიანი მიზნით.

ლონდონის მთავრობის ინტერესები ამით არ შემოფარგლულა: ინგლისელ მოგზაურებს შეეძლოთ მოეწოდებინათ ზოგადი ცნობები, მათეითებინათ ქვეყანაში არსებულ რესურსებზე, მაგრამ ეს სულაც არ იქნებოდა საკმარისი ვაჭრებისათვის: ხსენებულ ვაჭრებს ყველგან ნდობით აღჭურვილი მეგზურები და დამკვალიანებლები სჭირდებოდათ.

ამ ორმაგი მიზნის მისაღწევად ინგლისის მთავრობა არა მარტო ცდილობს დააარსოს დიპლომატიური მისიები და საკონსულოები ყველა იმ ქვეყანაში, რომელთა მხარდაჭერა, გავლენა თუ შუამავლობა სასარგებლო და აუცილებელი იქნება მისთვის, არამედ იგი ხელს უწყობს და მფარველობას უწყევს ვაჭრობის განვითარებას იქ, სადაც კი, მისი ვარაუდით, ინგლისელი კომერსანტები ხელსაყრელი ურთიერთობის დამყარებას შეძლებენ.

1550 წლიდან არხანგელსკში (Arkhangel) მოქმედებს ინგლისის მიერ დაარსებული სავაჭრო კანტორები, რომელთა წარმატების უზრუნველსაყოფად ამ ქვეყნის მთავრობას არაფერი დაუკლავ. იგი ამ კანტორებს ისე მფარველობდა, რომ დღიდან დაარსებისა მათ იქ არავითარი კონკურენცია არ განუცლიათ. დაარსდა თუ არა პეტერბურგი, აქაც ინგლისელმა ვაჭრებმა თავიანთი ფაქტორია შექმნეს, რომლის მიღწევებიც დღესაც თვალსაჩინოა. ასეთივე ფაქტორიები დაარსებულია რიგაში, სტოკჰოლმში, როტერდამში. 1737 წლიდან 1745 წლამდე ამგვარი ფაქტორიები ინგლისს კასპიის ზღვის მთავარ ნავსადგურებშიც ჰქონდა<sup>57</sup>.

საფრანგეთი ინგლისთან მნიშვნელოვან ვაჭრობას აწარმოებდა ბორდოს ღვინით: ამ მიზნით ბორდოში შეიქმნა ინგლისური სავაჭრო სახლები, რომლებმაც სულ მალე ნდობა და პატივისცემა დაიმსახურეს. ხოლო როცა ინგლისის ფაბრიკებს ესპანეთის მშვენიერი მატყლი დასჭირდათ, ინგლისელი ვაჭრები ბილბაოშიც<sup>58</sup> გაჩნდნენ და თავიანთი ქვეყნის ფაბრიკები უზრუნველყვეს საუცხოო ხარისხის მატყლით. პორტოში<sup>59</sup>, ლისაბონში<sup>60</sup>, კადისში<sup>61</sup>, მადეირას უნძოელებზე<sup>62</sup>, მალაგაში<sup>63</sup>, კართახენაში<sup>64</sup>, ალიკანტეში<sup>65</sup>, ბენიკარლოში, ბარსელონაში<sup>66</sup> ინგლისის სავაჭრო კანტორები იძენდნენ და ინგლისში აგზავნიდ-

ნენ ამ მხარეების ღვინოს. მდიდარ ინგლისურ სავაჭრო სახლებს ვხედავთ გენუაში<sup>67</sup>, ლივორნოსა<sup>68</sup> და ნეაპოლში<sup>69</sup>. ისიც უნდა ითქვას, რომ აფრიკის სანაპიროზე, ალუპოში<sup>70</sup> თუ სმირნაში<sup>71</sup>, კონსტანტინოპოლში, ოდესაში თუ ტაგანროგში ინგლისის ვაჭრობას მდიდარი და სანდო შუამავლები ჰყავს.

ოცდაათი წლის განმავლობაში ინგლისის მთავრობის ხარჯზე განხორციელებული მრავალრიცხოვანი მოგზაურობანი. ის შეუწყობდა ეურადღება, რომლითაც დედამიწის ყველა სავაჭრო ნავსადგურში ამ ქვეყნის დამკვალთანებლები სარგებლობდნენ, მისი მეცადინეობა უცხო ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოებისათვის, ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ ვიდრე ინგლისი თავის ფაბრიკებში ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევების დანერგვაზე გადავიდოდა და ხელით მუშაობის უწინდელ დროსთან შედარებით ბევრად გაზრდიდა პროდუქციას, მან იმთავითვე დაიჭირა თადარიგი, რათა ქარბი პროდუქცია უზრუნველყო გასაღების ბაზრებით.

ამგვარად, ინგლისმა თავიდან აიცილა მანქანების შემოღებასთან დაკავშირებული საშიშროება, ხოლო საფრანგეთს კატასტროფა ელის, თუ ბოლოს და ბოლოს დაუყოვნებლივ არ იზრუნებს და საგარეო ვაჭრობის საშუალებით არ უზრუნველყოფს მანუფაქტურულ პროდუქციას მნიშვნელოვანი გასაღების ბაზრებით.

საფრანგეთის მეფის მთავრობამ ყურადღება უნდა მიაპყროს არა მხოლოდ მთელს ამერიკას, არამედ აფრიკასაც, განსაკუთრებით კი მსოფლიოს უძველეს ნაწილს — აზიას, სადაც უდიდესი მოთხოვნილებაა ჩვეულებრივი მოხმარებისა და ფუფუნების იშვიათ საგნებზე.

ხოლო ეს ყურადღება შედეგი უნდა იყოს ღრმა რწმენისა, იგი უნდა მომდინარეობდეს თვით მეფისა და საზოგადოების წარჩინებულნი ფენების მხრიდან.

ინგლისის მაღალი საზოგადოება პატივისცემით ეპყრობა ვაჭრობას. ცნობილ სავაჭრო ფირმებს აქ მანუფაქტურები აქვთ; პერებს შორის კი, რომლებიც პარლამენტში სხედან, არიან ისეთებიც, რომელთა ძმებიც ქალაქ ლონდონის ვაჭრებად ითვლებიან.

ვენეციაში, რომელზედაც მე უკვე მქონდა საუბარი, უძველესი საგვარეულოს წარმომადგენლები, რომლებიც დოებენ უწევდნენ დახმარებას, ვაჭრობით გამდიდრდნენ.

სამილდრის ძირითად წყაროს ფლორენციელი მედიჩებისა, რომლებმაც ორი დედოფალი აღუზარდეს საფრანგეთს<sup>72</sup>, აბრეშუმის ფაბ-



რიკები და მათ მიერ ხმელთაშუა და შავი ზღვის საშუალებით აზიასთან დამყარებული სავაჭრო ურთიერთობანი წარმოადგენდა.

თუ ამ ქვეყნების მაგალითისამებრ საფრანგეთის თავადაზნაურობაც დაინტერესდება დიდი მანუფაქტურებით, დიდი ასოციაციებით, შორეული ექსპედიციებით, რომლებიც სარგებლობას მოუტანს საშინაო წარმოებას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სიახლე კეთილ გავლენას იქონიებს ჩვენი ვაჭრობის წარმატებაზე და შესაძლოა, საზოგადოებრივ აზრზეც.

მაშინ მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ვაჭრობისა და ინდუსტრიის განვითარების საქმეს, რადგან იგი ყველა კლასის ცხოველ ინტერესს გამოხატავს. სასწრაფოდ დაგზავნის სათანადოდ გაწაფულ ადამიანებს შორეულ ექსპედიციებში, რათა მათ წარმოადგენა შეიქმნან სხვადასხვა ქვეყნის მიერ წარმოებულ პროდუქციასზე, შეისწავლონ თუ რა გზით შეიძლება ამ პროდუქციის შექმნა პირველი ხელიდან. გაიგონ, რა ითვლება იქ ყოველდღიური მოხმარების საქონლად და რა — ფუფუნების საგნად, რითაც ჩვენი ინდუსტრია მოამარაგებდა მათ. სასარგებლო გამოგონების უპირატესობით გაჰხნეეზული საფრანგეთი აღარ აღმოჩნდება საფრთხის წინაშე, გამოგონებლები, რომლებმაც დაარსეს ქაღალდის წარმოება, განათებისათვის გაზი გამოიყენეს და სხვა მრავალი სიახლე შემოიღეს, იძულებულნი აღარ იქნებიან დატოვონ სამშობლო და გააძიდრონ ინგლისი, რომელიც ჩვენზე მეტი მონდომებით ეკიდება და ხელს უწყობს ყოველგვარ იმას, რასაც მისი ფაბრიკების მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია; დაბოლოს, საფრანგეთმა განსაკუთრებით უნდა იზრუნოს ყველა უცხოურ მთავრობასთან კეთილსაიქედო ურთიერთობის დასამყარებლად და ამ გზით მიაღწიოს იმ შედეგებებს, რითაც მისი მეტოქე ქვეყნები სარგებლობენ. ახლახან დაარსებული მანუფაქტურებისა და ვაჭრობის უმაღლესი საბჭო დასტურია იმისა, რომ მეფის მთავრობამ უკვე მიაპყრო ყურადღება თანამედროვე ერების სიმდიდრისა და ძლიერების ამ ორ ძირითად ფაქტორს.

როდესაც ჩამოვთვალე ის მიზეზები, რომლებმაც განსაზღვრეს ინგლისის კომერციის თვალსაჩინო უპირატესობა ჩვენს კომერციასთან შედარებით, მე მივიუთხოვე, რომ კონტინენტის ყველა სახელმწიფოთა შორის საბაჟოების ახალი სისტემა უადრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა და მისი შემოღება ნაკარნახევია იმ მდგომარეობით, რო-

მელშიაც ინგლისის ზემოხსენებულმა უპირატესობამ ჩააყენა ეს სახელმწიფოები.

მეორე ღონისძიება, რომლის გატარებაც აუცილებელი იქნებოდა, ინგლისის მონოპოლიისა და მისი მოკავრებული სიძლიერისათვის ზღვარის დასადებად და ევროპის გასათავისუფლებლად მისი გავლენისაგან, როგორც უკვე აღვნიშნე, გახლავთ ევროპისა და აზიის გაერთიანება, მათი ურთიერთდაკავშირება შავი ზღვით, ე. ი. ჩაკეტილი ზღვით.

მაშინ, საზღვაო ომის შემთხვევაში, აზიასა და ევროპას შორის სატრანსპორტო ოპერაციები თითქმის მთლიანად იწარმოებს სახმელეთო ან სამდინარო გზით. საქონელი აღარ გადაიზიდება დარდანელის სრუტით და ამდენად თავიდან იქნება აცილებული ხარკები და კარანტინთან დაკავშირებული უხერხულობანი; დაიზოგება ამგვარი საქროებისათვის აუცილებელი თანხები; საქონელი ადგილზე მიადწევს დანიშნულ დროს; კვიანურად მოფიქრებული შეთანხმების საფუძველზე დადგინდება ევროპული კურსით ტურათის გადასაზიდო ზომიერი ფასი. ეს ფასი აზიაში დიდი არ არის, რადგანაც აქ, ჩვეულებრივ, ბინაში ფულს არ იხდიან და სასაქონლო ცხოველებიც საძოვრებზე იკვებებიან; ხოლო რადგან თითქმის ყველა სახის საქონელი, რომელიც აზიელებსა და ევროპელებს შორის გაცვლის საგანს წარმოადგენს, მათ წონასა და მოცულობასთან შედარებით დიდი ღირებულებისაა, ამიტომ ეკვი არ არის, რომ ომიანობის დროს ვაჭრობა, ამ ახალი გზის წყალობით, გაუძღვებს ხმელთაშუა ზღვით მოწოდებული საქონლის კონკურენციას, მაშასადამე, კეთილი იქვლის კონცხის გზით შემოსული საქონლის ორმაგ კონკურენციასაც.

ამ ახალი გზებით მიმოსვლის უფრო გაადვილება შეიძლება დუნაის საშუალებით და საფრანგეთსა და გერმანიაში შიდა არხების გაყვანის არსებული პროექტების განხორციელებით. თუ ეს მოხდება, გილანის ხაში აბრეშუმი და სომხეთის ბამბა დუნაის შესართავშივე დაიტვირთება გემებზე და რაინზე<sup>73</sup> გავლით იმავე გემებით ქერ სტრასბურგამდე<sup>74</sup> მივა რომელიც უზარმაზარ საერთო საწყობად გადაიქცევა; შემდეგ ამ ქალაქიდან რაინის დაყოლებით საქონელს პოლანდიაში ჩაზიდვენ; ჩაიტანენ ხმელთაშუა ზღვამდე არხით, რომელიც დუს<sup>75</sup>, სონასა<sup>76</sup> და რონას<sup>77</sup> ერთმანეთთან დააკავშირებს; სენდიზედან<sup>78</sup> წამოღებულ საქონელს კი ოკეანემდე მიიტანენ მარნასა და რაინს შორის გაყვანილი არხით, რომლის პროექტიც უკვე არსებობს. ამგვარად, სრული მასშტაბით განხორციელებული ლუი XIV-ის

ეს გრანდიოზული ჩანაფიქრი, ოკეანეს რა-ნ ხმელთაშუა ზღვასთან შეაერთებს, სამდინარო გზებზე ერთმანეთთან დააკავშირებს შავ ზღვას, ბალტიის ზღვას, ხმელთაშუა ზღვასა და ოკეანეს. მაშინ ევროპისა და აზიის ეს კავშირი დაუპირისპირდება კოლოსალურ ასოციაციას, რომელიც მოიცავს მთელ ახალ მსოფლიოს, ინგლისსა და შეერთებულ შტატებს; პირველთა სამდინარო ნოსნობა და ქვეყნის შიდა ტვირთზიდვა დაუპირისპირდება მეორეთა საზღვაო ბატონობას; კონტინენტის ხალხთა თავისუფალი ურთიერთობანი — ინგლისის მონოპოლიას; მცირე აზიის, სომხეთისა და შავი ზღვის აუზის კოლონიური საქონლის მეურნეობა — ამერიკისა და ინდოეთის მეურნეობას; დაბოლოს, აზიის ცივილიზაცია დაუპირისპირდება ამერიკის ემანსიპაციას.

ასეთი დიდი და ფართო ღონისძიებები სავსებით შეესატყვისება ოტომანთა იმპერიაში არსებულ ვითარებას. მართლაც, თუ ეს სახელმწიფო კვლავაც იარსებებს, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ შინაური შფოთისა და საგარეო ომების თავიდან ასაცილებლად დივანი<sup>79</sup> მოერიდება ხოლმე რატიფიცირებული ხელშეკრულებების უთავბოლო დარღვევას და განსაკუთრებულ მფარველობას გაუწევს სხვადასხვა წესის მიმდევარ მრავალრიცხოვან ქრისტიანებს. რომლებიც გაბნეულნი არიან მის ევროპულ სახელმწიფოებში და აზიურ სამფლობელოებში; იგი დაიცავს მათ შეურაცხყოფსაგან, სოციალური უსამართლობისაგან, ყოველგვარი სახის ჩავერისაგან, რაც მათ მიმართ აღმშფოთებელი განუკითხაობის შედეგია. ამავე დროს, ფუნაზე თავისუფალი ნოსნობა ხანგრძლივი მშვიდობისა და კონტინენტის სახელმწიფოებთან მისი გულწრფელი დაახლოების საწინდარი გახდება.

მაგრამ თუ უშედეგოდ ჩაივლის აღაპიანთა კეთილგონივრული ზრუნვა და მცდელობა მიმართული იმ გამანადგურებელი მიზეზების წინააღმდეგ, რაც აჩქარებს თურქეთის იმპერიის დაცემას ევროპაში და მის შემობრუნებას აზიისაკენ. მაშინ, როგორც კაცობრიობის ერთიანობისათვის, ასევე მისი პოლიტიკური ინტერესებისათვის სასურველი იქნება ხელოვნურად შეჩერდეს იმპერიის დაცემის პროცესი და ვნებათა დასაოცებლად გათვალისწინებულ იქნას საჭირო ზონები, რათა ქრისტიანი და წინასწარ ბედს შეგუებელი მამუდიან-ხალხებოც კი იმპერიის ნგრევისას ქვათაგან არ მოიპრან. მაშინ ჩვენი დროის ეს ყველაზე საჭირობოროტო მოვლენა, რომელსაც შესაძლოა უდიდესი შედეგები მოჰყვეს, იმის მაგივრად, რომ იმის მიზეზად იქცეს, დიდი ხნით უზრუნველყოფს მსოფლიო მშვიდობას, რადგანაც იგი ფართო ვაკრობით იქნება განპირობებული.

ევროპული თურქეთი ერთადერთი ქვეყანა როდია, რომელიც საჭიროებს ბოლო მოვლას მასში დამკვიდრებულ ბარბაროსობას; ინდიდან<sup>80</sup> მოყოლებული ვიდრე ხმელთაშუა ზღვამდე, მთელ დასავლეთ აზიას ევროპისაყენ აქვს გამოწვედილი მავედრებელი ხელი და შესთხოვს შას მშვიდობას და ცივილიზაციის ნაპერწყალს. მე ამას იმათი სახელით ვლაპარაკობ, ვისაც მოვლილი აქვს ეს უძველესი მხარე, ვლაპარაკობ მოგზაურთა ერთსულოვანი მოწმობის საფუძველზე (10). საქართველოში ჩემი ყოფნის დროს შესაძლებლობა მქონდა დავრწმუნებულიყავი, როგორ ტოვებდნენ ქრისტიანები და თვით მაჰმადიანები ამ გაჩანაგებულ მიწებს, რომლის საზღვრებსაც აქვე. თქვენის ნებართვით მოვხაზავ.

უჩვეულო სანახაობას წარმოადგენს მსოფლიოს ეს უძველესი ნაწილი, ადამიანთა მოდგმის აკვანი, პირველ ცნობილ იმპერიათა სამყოფელი, დედამიწის ეს ვრცელი მონაკვეთი, რომელსაც საზღვრებად უდევს ხმელთაშუა ზღვა, შავი ზღვის სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაპირი ყუბანის შესართავამდე, კავკასია, კასპიის ზღვა, ბუხარას ჩრდილოეთით უდაბნო ინდის, ანუ სინდის, სათავეებამდე, ინდოეთის ოკეანე, მისი ნაპირები და სპარსეთის ყურე ევფრატის შესართავამდე, უდაბნოს გზა, რომელიც მიემართება სუეცის ყელამდე, დაბოლოს, ამ ადგილიდან ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი დარდანელამდე.

აქ ასირიის<sup>82</sup> იმპერიის, იუდეველთა<sup>83</sup>, სირიის<sup>84</sup>, ბითინიის<sup>85</sup>, პონტოსა და სომხეთის სამეფოს ნანგრევებზე ხანგრძლივი დროის მანძილზე დამკვიდრებული თურქეთი, რომელმაც ფეხქვეშ გაათლა სემირამიდას,<sup>86</sup> სელევკიდების<sup>87</sup>, მითრიდატესა და სხვა მრავალ დიდთა მეფეთა მიერ სახელგანთქმული ეს მიწა-წყალი, ახლა თვითონვე ირღვევა დამოუკიდებელი ფაშების შინაური ომების, ფანანაური არეულობისა და ფანატკური უმეცრების გამო.

აქვეა სპარსეთის ძველი სამეფო, რომელიც მოწმე იყო თუ როგორ გაქრა მიდიელთა<sup>88</sup> და პართიელთა<sup>89</sup> იმპერია და მრავალი ცნობილი დინასტია, ახლა კი მისი ძლიერება თანდათანობით შეასუსტა შომთაბარე ურდოებ-ს ზრდამ და იმ მართვა-გამგებლობის შედეგებმა, რომლის პრინციპები და წესები მიუღებელია როგორც სუვერენისათვის, ასევე ხალხისათვის. სპარსეთს ზღუდავს აგრეთვე ეს ურთიერთობა, რომელიც დამყარებული აქვს აზიისათვის ორ შრასხანე სახელ-

(10) იხილეთ პოლკოვნიკ მორიერის, ლორდ კინეირის, მაიორ ჯონსონისა და ბატონების ანდრე ჯობერტის (Amédée Yaubert), დიუპრესი (Dupré), ფრეიხერისა (Fraser) და სხვათა მოგზაურობანი.

მწიფოსთან — ინგლისთან და რუსეთთან, დღეს კი, სპარსეთის აღმოსავლეთით ქაბულის<sup>90</sup> სამეფოს დაქუცმაცების შემდეგ, მას ინდის მხარეს რაჯა-სინგის (Radgy-Sing) ქვეშევრდომმა შეიხებმა<sup>91</sup> (Saiks), ხოლო ინდოეთის ოკეანეს მხარეს ამბოხებულმა ბელუჯებმა<sup>92</sup> (Belutchis) უმდიდრესი პროვინციები წაართვეს.

დაბოლოს, მთელი ცენტრალური აზია, სადაც მდებარეობს ბაქტრია<sup>93</sup> და თემურ-ლენგის<sup>94</sup> უზარმაზარი სახელმწიფოს დედაქალაქი, რომელმაც წარმოშვა ინდოეთის თითქმის ყველა დამპყრობელი, დაწაფილებულია სახელდახელოდ შექმნილ მცირე სახანოებად. მათ ზომიერებითა და სულგრძელობით მფარველობს რუსეთის იმპერატორი, რომელიც უკვე ფლობს კოლხეთს, საქართველოსა და სპარსეთის ძველ პროვინციებს არაქსის მარცხენა ნაპირზე.

ნუთუ ევროპა მუდამ გულგრილი დარჩება აზიის ამ მშვენიერ ნაწილის აწმყოსა და მომავლის მიმართ? ნუთუ ეს სახელოვანი მიწა-წყალი სამუდამოდ განწირულია დარჩეს ნაოხრალად და ყოველგვარი ბოროტმოქმედების სისხლიან ასპარეზად?

იმ დროს, როცა ევროპის მთელ კონტინენტზე იგრძნობა კოლონიების საჭიროება. ახალი მიწების შემოერთების საჭიროება. ყველა ქვეყნის კოლონიზატორსათვის განა უფრო უპრიანი არ იქნება, რომ კოლონიები აზიაში ეძიონ და არა აფრიკაში, რომლის ცხელი ჰავა მეტად ჰავნება ევროპელთათვის, ან კიდევ ამერიკაში, ფუქი ილუზიების ქვეყანაში. სადაც მიწების ასათვისებლად მთელი ტომის გასახლება იქნება საჭირო, ხოლო საზღვაო ომის დროს გაწყდება ყოველგვარი კომუნიკაცია ევროპასთან.

ამრიგად, ევროპის კონტინენტზე შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვაჭრობის, შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების შედეგად, აზიაში დაარსდება კოლონიები, რაც ცრემლის ფასად აღარ დაუჯდება კაცობრიობას და ამავე დროს აზიის ხალხთა და თვით მონარქთა ინტერესებსაც შეუხამდება(11). ამ კოლონიების არსებობა

(11) ტატიის შემკვიდრის, უფლისწულ ახას-შირასს<sup>95</sup> ერთ-ერთ მინისტრსა და მეგობარს პირზა-შაჰედს წერილი გაუგზავნე, რომელშიაც რეკომენდაცია გაუწიე ახალგაზრდა ფრანგს, ბ-ნ შოგინს (Maugin), კონსტანტინოპოლის ექიმის ვაჟიშვილს. პასუხი, რომელიც სიტუვასიტყვით მოჰყავს, ადასტურებს, რომ მისი მთავრობა საშუალებით შეზღუდვა სპარსეთში ევროპელთა კოლონიების დაარსებას.

<sup>90</sup>ოაერზი, 4 შაბანი<sup>96</sup>, 1238<sup>97</sup>

მასი უდიდებულესობის საფრანგეთის მეფის კეთილშობილ კონსულს თბილისში. დიდად კეთილშობილო შეგობარო,

ხელს შეუწყობს მოუსაველიანი უდაბნოების მდიდარ მოსაველიან მინდვრებად გადაქცევის, აზიის ხალხებში ახალ მოთხოვნილებათა გაღვივებას, ევროპული ინდუსტრიისათვის თითქმის უსაზღვრო გასაღების ბაზრების გახსნას და ევროპისა და აზიის ხალხთა სამუდამოდ გაერთიანებას შეგობრობის, საერთო ინტერესებისა და მტკიცე კავშირების საფუძველზე.

ასეთი შედეგები მოპყვება აქ კოლონიების დაარსებას; ამ შედეგებმა უნდა მიიქციონ ევროპის სუვერენთა ყურადღება, უნდა გამოიწვიონ მათი გააქტიურება, რამეთუ ამ ვრცელ ტერიტორიაზე შეიძლება ყოველგვარი იღვის დანერგვა, ყოველგვარი ზარალის ანაზღაურება, მძიმე მოგონებების გაქარება და სიძულვილთ აღსაყუ ვნებათა დაცხრომა.

ამით იფარგლება ჩემი დაკვირვებანი დასავლეთ აზიაზე. დრო ჭერ კიდევ შეუვალი საფარველით ფარავს ბედ-იღბალს იმ ქვეყნებისა, რომელთა მიმართაც შევეცადე საჭაროდ გამემახვილებინა ყურადღება. როგორც არ უნდა იყოს მათდამი განგების განაჩენი, ჩემ მიმართ ისინი აღბათ მადლიერნი დარჩებიან, რადგანაც შევძელი ზოგიერთი ზუსტი ცნობის მოწოდება აზიის ამ ნაწილზე; აადაც ვაჭრობა და კოლონისტები მოიხმო 1821 წლის 8(20) ოქტომბრის უკაზმა (ukase) და სადაც ძველ დროსა და შუა საუკუნეებში ევროპული საქონელი აზიურზე იცვლებოდა.

ბ-ნ პანიბალ მოგინმა გადმოცა 20 თებერვლით დათარიღებული თქვენი წერილი. მესმის, ისევე როგორც თქვენ, ბატონო, რაოდენ სარგებლობას მოიტანს აქტიური ვაჭრობა ჩვენს დიდ ერებს შორის. ჩემი ცნობილი მეუფის, ტატარს შემკვიდრის კეთილმოფხვლი სული ხელს უწყობს ხალხის კეთილდღეობას, იგი სიამოვნებით შესტკერა, როცა მის ირვლივ სიზარული და წარმატება სუფევს. სპარსეთი ძლიერი და შურის აღმძვრელი სახელმწიფო იყო; იგი ბევრს რასმე მიადწევს ისეთი უფლისწულის დახმარებით, როგორც ჩვენა გყავს; იგი ყველაფერს ესწრაფვის, რაც მისი ღირსების შესაფერისია; ზოლო მისი ღირსებინ შესაფერისი ყი არის ის, რაც ჩვენი ხალხის ნეტარებას უზრუნველყოფს. მე, ბატონო, მის აზრებს გამოვთქვამ. დე, ბედმა და კეთილმა იღბალმა ხელი მოუმართოს შეგობართა სურვილებს...

დიდად კმაყოფილი დავრჩი თქვენგან რეკომენდირებული პირობით; იგი პატივისცემა ახალგაზრდა და ჩვენ მოწადინებული ვართ, რომ იგი ჩვენთან დამკვიდრდეს. მე მუდამ სიამოვნებით გაუფუე სამსახურს ბ-ნ პანიბალ მოგინს, მით უმეტეს, რომ მას პატივი აქვს იყოს თქვენ მიერ რეკომენდირებული.

ერწმუნეთ, კეთილშობილო მეგობარო, განსაკუთრებულ გრძნობებს, რითაც პატივი მაქვს თქვენდამი დავშთე.

თქვანი დიდად მორჩილი და დიდად გამგონე მსახური,  
(ელმოწერილია) მასუდი."

## თ ა ვ ი

ოდესის აღწერა და მისი ვაჭრობა. — ამ ქალაქიდან გამგზავრება. — სევასტოპოლში ჩასვლა. — ნავსადგურის აღწერა. — ნაოსნობა ჩერქეზეთისა და აფხაზეთის სანაპიროს გასწვრივ. — სიახუმ-კალეში ჩასვლა.

1821 წლის 8(20) ოქტომბრის უკაზით<sup>(1)</sup>, იმპერატორმა ალექსანდრემ<sup>2</sup> ხმელთაშუა ზღვის ხალხებს აზიასთან ვაჭრობის უმოკლესი და უძველესი გზა გაუხსნა.

ეს ღონისძიება, რომლის პრავალმსროვი შედეგების განკვერტა დღეს უკვე შესაძლებელია, ეფუძნებოდა ჩემ მიერ შედგენილ ახსნა-განმარტებებსა და გეგმებს, რომლებიც მ-სი იმპერატორობითი უმაღლესობის მინისტრებს გადაეცეო განსახილველად და რომლებიც შიღებულ იქნა მთავარმართებელ ერმოლოვის წარდგინებით. იმპერატორმა ინება ებრძანებინა მისი ბრწყინვალეების, შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ძალების უფროსისა, დიდად განათლებულ და უადრესად თავაზიან ბ-ნ ადპირალ გრეივისათვის<sup>3</sup>, რომ მას ოდესაში გაეგზავნა პირველი სამხედრო გემი, რომელიც სევასტოპოლიდან რედუტ-კალეში<sup>4</sup> ჩავიდოდა. ამასთან, ამ ხომალდით მგზავრობის ნება დამართო მე და იმ პირებს, რომლებიც უნდა გამოყოლოდნენ თბილისაჲდ, სადაც ახალი დანიშნული ვიყავი საფრანგეთის კონსულად.

პეტერბურგიდან 1822 წლის 1 მარტს გამოვემგზავრე და მოსკოვის, ტულის, ორიოლის (Orel), კურსკის, ხარკოვის, ბახმუტის, ტაგანროგის, ხერსონისა და ნიკოლაევის გავლით ოდესაში ჩავედი.

ამ უკანასკნელ ქალაქში მისაპვლელი გზა, მართლაც, რომ მშვენიერია. მისიკენ ქვაფენილი მიემართება და ქალაქში შესვლისთანავე აღტაცებაში მოხვალთ განაერი ქუჩებისა და ფართო მოედნებს ხილვით, რომლებსაც საუცხოო ალვის ხეივნები აშვეენებს.

1792 წლამდე ოდესა თათრულ სოფელს წარმოადგენდა და ისევე როგორც მისი რეიდი<sup>5</sup>, ჰადიბეის<sup>6</sup> (Adgibey) სახელს ატარებდა. ხერ-

(1) „დამამტყიცებელი დოკუმენტების“ პირველი შენიშვნა.

სიანის კლიმატის უვარგისობაში დარწმუნებულმა ადმირალმა დე რი-  
ბასმა<sup>7</sup> დედოფალ ეკატერინეს<sup>8</sup> აქ ქალაქის გაშენება ურჩია. მისი პრო-  
ექტი დაუყოვნებლივ იქნა მიღებული, რადგანაც აქ ქალაქის დაარსე-  
ბა რუსეთის აახლოებდა თურქეთთან, ხოლო ვოლინისა<sup>9</sup> და პოდოლის<sup>10</sup>  
მფლობელთ დიდ უპირატესობას უქმნიდა: ხმელთაშუა ზღვაში გას-გ-  
ზავნი მარცვლეულის თავიანთ საწყობთან მისასვლელად მათ აღარ  
დასჭირდებოდათ ბუგის<sup>11</sup> გადალახვა.

ოღესის მიმდებარე ტერიტორიის ნიადაგი, გარდა ხერსონისაკენ  
მიმავალი გზის სანაპირო ზოლისა, მეტად ნაყოფიერია. პაერი ჭანსა-  
ლია. ქალაქი განლაგებულია შუა ფერდობზე, ამფითეატრისებურად;  
მაგრამ რადგან მისი ნავსადგური, განსაკუთრებით ზამთრობით, ხო-  
მალდებისათვის ნაკლებად საიმედოა და ამასთანავე ქალაქი მოკლე-  
ბულია ტყეებსა და მტკნარ წყალს, იგი ალბათ გამოუვალ მდგომარე-  
ობაში ჩავარდებოდა, თუ არა ბედნიერი გარემოება, როქელმაც 1803  
წელს მას მმართველად ბ-ნი ჰერცოგი დე რიშელიე მოუვლინა. მისი  
მგზნებარე და ამალღებული სული მყისვე აღვისო ყველა იმ დიადი  
და კეთილშობილური გრძნობით, რაც ახალშენის დამაარსებლისათვის  
იყო აუცილებელი.

ბ-ნი ჰერცოგი დე რიშელიე მიხვდა, რა სასარგებლო იყო ამ დაუ-  
სახლებელი მხარის ათვისება და აქ ხალხის ჩასახლება: იმ მიწის დამუ-  
შავება, სახნისს რომ არასოდეს დაუსერავს, მართვა მხარისა, რომელიც  
შეიძლებოდა თავშესაფარი გამხდარიყო ყველასათვის, ვინც რევოლუ-  
ციებმა გააყოტრა ან ომმა დააზარალა. გულმოწყალე, საუკეთესო  
ღირსებებით შემკულ, უბრალო და პირად ხარჯებში მომჭირნე ბ-ნი რი-  
შელიეს ხელგაშლილობასა და ქველმოქმედებას საზღვარი არ უჩანდა.  
მისი თავდადებული მმართველობის პერიოდში მან აქ მოზიდა, მე ეი-  
ტყოდი, თითქმის ძალით ჩამოიყვანა უამრავი მაცხოვრებელი. ბ-ნმა  
რიშელიემ თავისი ხასიათით დაიმსახურა იმ მონარქის ნდობა და მე-  
გობრობა, რომელმაც შეიფარა იგი და მისი ეს კეთილგანწყობა სამხ-  
რეთ რუსეთის ინტერესებისათვის გამოიყენა. იგი დაბეჭივებით ით-  
ხოვდა და აღწევდა კიდევ ყველაფერს, რაც მოსახლეობისათვის სა-  
სარგებლო იყო. ეს გახლდათ მუდმივმოქმედი ფოსტისა და კარანტი-  
ნის მოწყობა, სავაჭრო პალატის, ბირჟის, საეადმყოფოების, გიმნაზი-  
ისა და სხვა უწყებების დაარსება. სულ ათი წლის განმავლობაში აქ  
ქალაქის მოსახლეობამ საკმაოდ იმატა, ფართოდ გაიშალა ვაჭრობა



და შემოსავალიც ისე გაიზარდა, რომ გაუტოლდა დონეს, რომელიც ამ სფეროში ჩრდილო ამერიკისათვისაც კი ძნელად მისაღწევი იყო.

1803 წელს ოდესაში ოთხასამდე სახლი და შეიდიდან რვა ათასამდე მაცხოვრებელი იყო; ამ ქალაქისათვის კონცესიით ნაბოძები არყის შემოსავალი მხოლოდ 47.000 მანეთს აღწევდა(2); ფოსტისა — 11.000-ს, ხოლო შავი ზღვის ვაჭრობისაგან მიღებული მთელი თანხა ძლიერს აღიოდა 5 მილიონ მანეთამდე.

1814 წელს კი, იმ დროს, როცა ბ-ნი პერცოგი დე რიშელიე ოდესას ტოვებდა, სახლების რიცხვი უკვე ორი ათას ექვსასი იყო; ამასთანავე ეს უკვე გაცილებით დიდი, მტკიცედ და გემოვნებით ნაგები შენობები გახლდათ. მაცხოვრებელთა რაოდენობა მაშინ ოცდათხუთმეტ ათას სულზე მეტი იყო. საფოსტო შემოსავალმა 190.000 მანეთს მი-აღწია, არყის იჭარამ 280.000 მანეთს. შავი ზღვით გატანილი და შემო-ტანილი საქონლის ბრუნვამ 45 მილიონ მანეთს გადააჭარბა, საბაჟო-ების შემოსავალმა დაახლოებით 2 მილიონი მანეთი შეადგინა, ხოლო ოდესის ბანკში 25 მილიონი მანეთი იყო ბრუნვაში (3).

(2) რუსეთში ჩვეულებრივ ბრუნვაში ხმარებული მანეთი ქალაქის მანეთიანია, რომელიც 1 ფრანკის<sup>12</sup> ეკვივალენტურია და მას ბანკის ანიგაციით განსაზღვრავენ. ვერსილი<sup>13</sup> მანეთიანი ტოლფასია დაახლოებით 3 მანეთისა და 80 კაპიქისა ქალაქ-ლით და ეკვივალენტურია 3 ფრანკისა და 80 სანტიმის.

(3) ბ-ნი პერცოგი დე რიშელიეს ინტერესების სფერო ქალაქ ოდესით როდი იფარგლებოდა. მთელ მის გუბერნიაში, კრელი მოსახლეობის ყველა ფენისა და ყველა ეროვნების წარმომადგენელი გრძნობდა მის ზრუნვა-მფარველობას.

ოდესსაც რუსეთმა შავი ზღვისა და აზოვის სანაპირო მხარეები დაიპყრო<sup>14</sup>, ეს აღიარება უკაცრიელი იყო; იმის გამო რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კავკასიის ვადლმა მხარეს და თურქეთში გადაიხვეწა, კონტინენტს შერჩა მხოლოდ ერთი ათასი ნოღაელი (Nogais)<sup>15</sup>, ყირიმის ნაქვეარცუნძულს კი ასე ოთხმოცდახუთი ათასი თათარი, რომელნიც აქ დააკავა საყოთარბა კარაქიდანამ და რელიგიურ ფა-სტიზმსა და დამპყრობელთა მიმართ სიძულვილზე უფრო მქალაქმა გრძნობამ — მშობლიური მიწის სიყვარულმა.

1814 წელს ამ მხარის მოსახლეობა უკვე მნიშვნელოვნადა გაზარდილი; მას ახალი რუსეთი<sup>16</sup> (Nouvelle—Russie) უწოდეს; მისი მოსახლეობა შედგებოდა შიდა რუ-სეთიდან თუ უცხოეთიდან მოსული ახალმოშენებისაგან; ამ მიწა-წყალზე ყირიმის ტერიტორიის გამოკლებით, ახალი ქალაქები და სოფლები წარმოიშვა<sup>17</sup>. იმპერატორ პავლუს<sup>18</sup> დროს მთელ ახალ რუსეთში, რომელსაც მიუერთეს ორი მახრა—დღეს პოლ-ტავის გუბერნიის შემადგენელი ნაწილი, — არყის იჭარა იძლეოდა 220.000 მანეთს. 1812 წელს ეს თანხა 2.800.000 მანეთს შეადგენდა და ითვლებოდა, რომ მეტრც უნდა უკაფილიყო. პერცოგის მარისაბლეო კი თუ წინათ 200.000 მანეთს იძლე-ოდა, ახლა ამ შემოსავალმა 2.000.000 მანეთს გადააჭარბა.

\* ისაღეთ ბ-ნ პროფესორ გუროვის (Gouroff) ნაშრომი ნოღაელ თათრებზე.

ბატონ ჰერცოგ დე რიშელიეს მმართველობა, მისი მეგობრის, ბ-ნ მთავარსარდალ გრაფ დე ლანჟერონის მმართველობამ შეცვალა. ამ უკანასკნელს არ შეეძლო არ გაეთვალისწინებინა მისი წინამორბედის საქმიანობა და შეიძლება ითქვას, რომ მან განაგრძო ბ-ნ დე რიშელიეს დაწყებული საქმე; ისიც გულითადად და განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ყველაფერს, რასაც შეეძლო სარგებლობა მოეტანა ოდესის მცხოვრებთათვის. მისი მმართველობის წლებში ოდესა, ისევე როგორც ბ-ნ დე რიშელიეს დროს, ინტენსიურად ვითარდებოდა; ამის თაობაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ქალაქის ვაჭრობის 1816 წლის მონაცემებით.

ამ ერთი წლის განმავლობაში ექსპორტი გაიზარდა 52.716.704 მანეთით;

ამ თანხიდან მარცვლეულზე მოდიოდა	49.364.704 მანეთი,
ეკიპაჟის სურსათზე და ხომალდის ფრახტზე	3.152.070 „—“
სხვა საექსპორტო საქონელზე მხოლოდ	200.000 „—“
	<hr/>
	სულ 52.716.704 მანეთი.

1817 წელს ექსპორტი კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ მის უდიდეს ნაწილს მარცვლეული და ფქვილი შეადგენდა, რადგანაც უკანასკნელი ორი წლის მოუსაგლიანობა გაჭირვების ლოდან დააწვა დასაყვლეთ ევროპას და ხმელთაშუა ზღვის ყველა ნავსადგურში ერთდროულად დიდი მოთხოვნილება გაჩნდა ამ ექსპორტზე. მარცვლეული იმ ხანად ერთადერთი კულტურა იყო, რომლის დამზადებით სამხრეთ რუსეთის მეწარმენი იყვნენ დაინტერესებულნი. მარცვლეული იყო ერთადერთი საზრდო ოდესის ვაჭრობისათვის. ხოლო როდესაც საფრანგეთის, ესპანეთისა და იტალიის მთავრობებმა თითქმის ერთდროულად გამოსცეს შემზღუდველი კანონები უცხოეთიდან მარცვლეულის შემოტანაზე, ოდესაში, ფეოდოსიასა და ტაგანროგში ნაოსნობამ საგრძნობლად იკლო და რუსეთის მემამულეების შემოსავალიც შესაძინევად შემცირდა. ამ ხანგრძლივი ვაჭრობის შენელებამ აუცილებლად უნდა გამოიწვიოს ცვლილებანი შავი ზღვის ნავსადგურების ექსპორტში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ოდესელი ვაჭრები მეტ ყურადღებას მიაქცივენ ფქვილის წარმოებას(4): რადგან ეს უკანასკნელი უფრო ადვილი გადასაზიდია

(4) როგორც ამოიხსენ, ამჟამად ყალიბდება ასოციაცია ფქვილის საწარმოებლად. გარწმუნებთ, უფრო გონივრულად მიმართა წისქვილების მოწყობა თვით პოლონეთშიც კი, ვიდრე ოდესაში, სადაც სრულებით არ არის ვარდნილი წყლები და ტყის ნაკლებობაც შეიძინევა.

შორეულ მხარეებში და ნაკლებ ადგილს იკავებს გემზე; ისინი მოძებნიან ვასაღების ახალ ბაზრებს იმ ქვეყნებში, რომლებთანაც, თანამედროვე ვითარება რომ არა, ალბათ, არასოდეს ექნებოდათ ურთიერთობა. ხმელთაშუა ზღვის სხვადასხვა ადგილას ოდესელი ვაჭრები გახსნიან მარცვლეულის საწყობებს შოუსაელიანი წლებისათვის და ამგვარად ისარგებლებენ ამ საქონელზე ფასების მომატებით. ასეთი ვაჭრობა გაანელებდა შუაშავის მეშვეობით წარმოებულ ვაჭრობასთან შედარებით, გართულდება და მეტ კაპიტალს მოინდოვებს, სამაგიეროდ, აკვარი ვაჭრობა უფრო სარგისი იქნება და უფრო ფართო ხასიათს მიიღებს. მეორე მხრივ, იმის შიშით, რომ მარცვლეულზე ფასი დაეცემა, მწარმოებელი იგრძნობს საჭიროებას. მრავალფეროვანი გახადოს თავისი მეურნეობა. მამულებიდან მიღებული შემოსავალი მარტოდენ მარცვლეულზე აღარ იქნება დამოკიდებული: დაიწყებენ ნარგავების გაშენებას, გაამრავლებენ პირუტყვს. ცხენის რემა სხვადასხვა ჭიშებით შეივსება; ცხერის ჭინი გაუქობესდება; ტყავი, საქონლის ქონი, დამარილებული ძროხის ხორცი, მატყლი, კანაფი, ცვილი და თუთუნის მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელი გახდება. სამხრეთ რუსეთის სხვადასხვა სახის პროდუქცია ვასაღების ყველა ბაზარზე კონკურენციას გაუწევს შეერთებული შტატებიდან შემოსულ პროდუქციას და ამგვარად, ხმელთაშუა ზღვის ყველა სახელმწიფოს მიერ მიღებული ამკრძალავი ღონისძიებანი, რაც რუსეთის მემამულეების დროებით დანაკარგს იწვევდა, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის აღმავლობასა და ახალ სავაჭრო ურთიერთობათა გაფართოებას. ბ-ნ ანტუანის (Antoine) ნარკვევი შავი ზღვის ვაჭრობაზე და ბ-ნ სიკარდის (Siccardi) ნარკვევი ოდესის კომერციაზე ძვირფას ცნობებს იძლევა რუსეთის იმ მრავალფეროვანი პროდუქციის შესახებ, რომლის ექსპორტირებაც ამ ნავსადგურებიდანაა შესაძლებელი. მაგრამ არსებობს ვაჭრობიც ისეთი დარგებიც, რომელთა შესახებ ეს მკვლევარები ვერაფერს იტყოდნენ მათი ნაშრომების გამოქვეყნებისას. ამ ხარვეზს მე შევავსებ.

1811 წელს რუსეთმა თავის სახელმწიფოს შეუერთა პესარაბია და პრუტის გაღმა მდებარე მოლდავეთის ნაწილი<sup>17</sup>; მაგრამ ვიდრე დნეპრის მარცხენა ნაპირზე კარანტინი იარსებებს და ამ მდინარეზე გადასვლა შეუძლებელი იქნება საქონლის შეყვანილი სანიტარული კონტროლის გარეშე, ამ მხარეს ოდესის ვაჭრობისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ქვეყნების დაუფლებით მოლდავეთისა და თვით ვლახეთის ვაჭრობა რუსებს ჩა-

უვარდებათ ხელში. უწინ ამ პროვინციებში დიდი მოთხოვნილებები იყო მაუღზე, საბაყლო საქონელზე, ლიონის აბრეშუმის ნაწარმზე, ვარაყებზე, კავეულობაზე, ყველა იმ საქონელზე, რომელსაც ჯერაც აგზავნიან ამ პროვინციებში კონსტანტინოპოლი; ოდესას კი შესაძლებლობა ექნება უფრო იოლად და გაცილებით იაფად უზრუნველყოს ეს პროვინციები აღნიშნული საქონლით.

მოლდავეთიდან და ვლახეთიდან<sup>18</sup> დიდი რაოდენობით გადიან ცვილი, ხარისა და კამეჩის ტყავი, მატყლი, საქონლის ქონი, სელა, კანაფი, მარცვლეული, დამარილებული და დაშაშხული ხორცი, აგრეთვე სამშენებლო და საანძვე ხე-ტყის მასალა. ფარაში ჭარბობს გრძელი და წმინდა მატყლის ციგაის (cigaye) ჯიში. როგორც ამბობენ ეს ჯიში ტრიაიანეს<sup>19</sup> დროს გაუმჯობესებული ჯიშის შთამომავალია და დასაბამს იმ დროიდან იღებს, როდესაც იმპერატორი დაკიას<sup>20</sup> სახელწოდებით ცნობილ ამ მხარეს დაეპატრონა. სწორედ ამ ჯიშის ას ორმოცდაათი ცხვარი გაუგზავნა ყუბანის ნაპირებზე მცხოვრებ შავიზღვისპირელ კაზაკებს გრაფმა დე ლანჟერონმა, რომელმაც ეს ფარა 1817 წელს ბესარაბიაში იყიდა.

მოლდავეთში გავრცელებულია ორი საუცხოო ჯიშის ცხენი. მთის ცხენი პატარა ტანისაა, მაგრამ აქტანია და მსუბუქი კავალერიისათვის მართლაც რომ მისწრებაა. ბარის ჯიშის ცხენი წვივმაღალია და მშვენიერი გარეგნობა აქვს; როგორც თურქული ანდაზა გვამცნობს, მოლდავეური ცხენი და სპარსელი ყმაწვილი ორი უმშვენიერესი არსებია, რაც კი ბუნებას შეუქმნიაო.

როდესაც დნესტრი კარანტინისაგან გათავისუფლდება და მდინარეზე კვლავ დაიწყება ნაოსნობა, მის ორსავე ნაპირზე დამზადებული პროდუქცია ოდესამდეც ჩააღწევს(5).

---

(5) ამ სამდინარო მიმოსვლის დიდმა მნიშვნელობამ გადააწყვეტინა ზოგიერთი დეტალი საგანგებოდ აღმნიშვნა.

დნესტრის ნავიგაციის შესაძლებელ სარგებლობაზე პირველი ძიებანი თავადმა ნასო-სიეგენმა (Nassau-Siegen) ჩატარა; იგი იყო ამ საუკუნის უმამაცესი ადამიანი, დიდად გამრჩე და გაბედული, კარლოს XII<sup>21</sup>-ის მიმბაძველი.

1789 წელს ის დაეშვა მდინარე დნესტრზე, ვიზობა და დაადგინა მისი სეგრძე; ამ მოგზაურობაში მას თან ახლდა აბატი გასპარი (Gaspari). 1803—1804 წლებში მან კვლავ დაათვალიერა ეს მიდამოები, დიდი სიზუსტით შეადგინა რუკა, რომელიც პეტერბურგის სამხედრო უწყების საცავში ინახება.

როდესაც მან პეტროვი დე რიშელიე აქ მმართველად დაინიშნა, მისი პირველი საზრუნავი იყო ვინზე დაეინტერესებინა ახალი ექსპედიციით, რომელიც ახალი მდ-

დნესტრის გაღმა მხარეს, მის გაყოლებაზე, ძიედისება პრუტი, რუსეთ-მოლდავეთის ახლანდელი საზღვარი. ამ მდინარის ნაპირებზე რუსებმა შური იძიეს პეტრე დიდის საბედისწერო ლაშქრობებისა და დამლუპველი ხელშეკრულებისათვის, რომლებმაც დაახლოებით ერთი საუკუნით დააყოვნა რუსების მიერ შავ ზღვაზე კოლონიების შექმნა (6)<sup>33</sup>. პრუტი სათავეს იღებს კარპატების მთებში, ლემბერგის ახლოს. მას შემდეგ, რაც მთელს სიგრძეზე მოლდავეთს გადასცქრის, იგი გალაცთან<sup>34</sup> დუნაის ერთვის. მის შემოგარეხში უამრავი ქაობია და ზაფხულობით ამ მდინარეზე ბევრგან შეიძლება ფონს გასვლა. (7), რაც ხელს უშლის კარანტინების მოწყობას მის ნაპირებზე. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ზოგიერთი ჰიდრაულიკური სამუშაოს ჩატარების შემდეგ შესაძლებელი გახდება პრუტის კალაპოტის დავიწროება და სანაოსნოდ მისი გამოყენება. მაგრამ სალებით გაამდიდრებდა თავად ნასოს დაკვირვებებს. ეს მოგზაურობა სრული წარმატებით დაგვირგვინდა.

ექსპედიციისათვის გამოყოფილი ზომალდის სიგრძე ას ოცი ფუტი<sup>22</sup> იყო, სიგანე — ორმოცი; მას ელვაზე გამოყენებული ზომალდების მსგავსად, ანძები და იალქნები ქონდა. 1804 წლის 25 აპრილს ზომალდი დემბერკიდან<sup>23</sup> ხუთი მილით<sup>24</sup> ანუ ათი ლიეთი დამორებულ სოფელ როზოვოდოკიდან (Rosovodock) გავიდა; ეს ის ადგილია, საიდანაც დნესტრი სანაოსნო ხდება. იმავე თვის 29-ში ზომალდი ზალუშჩიკში<sup>25</sup> (Zalestchik) ჩავიდა; აქ მან 10 მისამდე დაპყრო, რათა დატვირთულიყო ბეტყის მასალითა და სხვა საქონლით. ორი დღე დასჭირდა ზომალდს ივანეცში (Iwanetz) ჩასასვლელად, რომელიც ციხე ხოტინის<sup>26</sup> (Khotin) გამოღმა მდებარეობს (იმ ზანდ იგი თურქებს ეკუთვნოდა). აქ მან საშვი აიღო და თავისი ტვირთი შეაფსო. შემდეგ ჩაუარა მოგილევს<sup>27</sup>, მნიშვნელოვან ქალაქს, გრაფ პოტოცკის<sup>28</sup> (Potulski) მამულს, სადაც გრაფი საქმაოდ სარფიანად ეპქრობს მოლდავეთთან; ზომალდმა შვიდობიანად ჩააღწია იამპოლს<sup>29</sup>. ამ ადგილას ორი ლოცმანი აიყვანეს, რადგანაც ქალაქის ქვემოთ მდინარეში გრანიტის ბრავებია, რომელთა შორის ზომალდისათვის მხოლოდ ორი ვაწრო გასასვლელი რჩება, დინება კი აქ ძალზე სწრაფია; კარგი იქნება, თუ გასასვლელი გაფართოვდება, რისთვისაც საჭირო გახდება კლდის ერთი ნაწილის აფეთქება. შემდეგ ზომალდი მიუახლოვდა ცეკინოვკას (Tzekinowka) და დუბოსარს<sup>30</sup> (Doubosar). ამ ქალაქების გარეუბნებში გაშენებულია ვახი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, რომაელების დარჩული უნდა იყოს. შეიძლება ლიეს სიგრძეზე ნადავი ზოგან ქვიშიანია, ზოგან — ქვიანი, საერთოდ კი ეს მრწები ნაკლებმოსავლიანია.

31 მაისს ზომალდმა ბენდერში<sup>31</sup> ჩაუშვა ლუზა: შემდეგ სლობოძიავეწ<sup>32</sup> (Slobodzie) აიღო გეზი, სადაც დნესტრი, ვიდრე იგი შავ ზღვას შეუერთდებოდეს, დიდად დალაქნილია და ხეებითა და ხშირი ჩაგნარით ჩაბერტილ მხარეს ჩაუვლის. ამ ადგილას პირდაპირი ბუნებრივი არხია შექმნილი: იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბეტყის დასაცურებლად; მცირე დანახარჯის გაღებით იგი ნაოსნობისათვის გამოსადეგი გახდება და ამგვარად თავიდან იქნება აცილებული მდინარის მოსახვევები და დროც ბევრი აღარ დაიკარგება.

ბოლოს ზომალდმა მიაღწია მაიაკას (Mayaka): ეს ის ადგილია, სადაც დნესტრს

ამგვარ ხარჯს არაუინ გაიღებს, ვიდრე მოლდავეთი და ვლახეთი ოტომანთა იმპერიას ემორჩილება.

ეს ორი პროვინცია დასახლებულია ბერძნული წესის ქრისტიანებით. მათ ჰოსპოდარებს<sup>37</sup> (hovpodars), ანუ მმართველებს, თურქეთი ნიშნავს. ხალხი უსასტიკეს ჩაგვრას განიცდის. სოფლის მეურნეობა

თავისი კალაპოტიდან გადაგდებას უპირებენ, რათა ათი ლიეს სიგრიძს ახალი კალაპოტით იგი ღიშანთან, ანუ მაჩილანნი წყლის ტბასთან, მიიყვანონ.

ეს მხარე, სადაც კალაპოტის შეცვლის შემდეგ მდინარე ჩაივლის, ვაჟე ადგილია და ამ სამუშაოების ჩასატარებლად არაერთარ სიძნელეს არ ქმნის. ამის საბუთად შეიძლება მოვიყვანოთ თავად პოტიომკინის (Potemkin) მიერ ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ ჩატარებული გათხრები, რის შედეგადაც აღმოჩნდა რამდენიმე ფილა, ქანდაკება და მარმარილოთი მოპირკეთებული ქა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვადასხვა მიზეზებით გამოწყვეულ შეუკონებებსა და დაგვიანებებს, დავრწმუნდებით, რომ ხომალდის დნესტრზე დაბლა ჩამოსვლას სულ ორი კვირა დასჭირდება.

27 ივნისს ხომალდი კვლავ გაემგზავრა ოდესიდან და მის აღმა სვლას ამ მდინარეზე 59 დღე დასჭირდა.

1804 წელს მცირე ზომის სრულად დატვირთული ოთხმოცათხუთმეტი ხომალდი 'ჩაილა შაიკამდე.

შემდგომში კი, მიმოსვლის ეს გზა თითქმის მთლიანად იქნა შეუწყვეტელი. ნავრამ ქალაქ ოდესისათვის ხელსაყრელი იქნება ამ გზით საწყაისა და სამშენებლო ხე-ტყის და თვით ქვანაპირის ჩამოხრდევაც კი; როგორც მარწმუნებენ, დნესტრის ნაპირებზე არსებობს მიტოვებული და ძალზე მდიდარი მალაროები.

ამ მდინარით ნაოსნობა მე მხოლოდ იმიტომ ეახსენე, რომ იგი შავი ზღვით მკიდროდ არის დაკავშირებული ევროპის კონტინენტსა და აზიას შორის წარმოებულ ვაჭრობასთან და კიდევ იმიტომ, რომ ამ გზით გერმანიიდან წამოღებულ სატრანზიტო საქონელს არ დასჭირდება ძნელი გზის გაველა პოდოლსა და ეპოლონზე — კავშირით პალესტინაზე, სადაც ებრაელებს ხელთ უყურიათ ინდუსტრიის ყველა დარგი და, მიუხედავად კანონებისა და კონტროლისა, რომელთაც ისინი ემორჩილებიან. მაინც ეწევიან მათთვის ჩვეულ მტაცებლობას.

(6) პრეტის ხელშეკრულება დაიდა ქალაქ ფოქსანში 1711 წლის 20 ივნისს.

(7) მანშტაინის (Manstein) მემუარებში მოყვანილია ფაქტი, რომელიც აღსატყობებს, რომ პრეტის შეიძლება გამოყენებულ იქნას საზღვრად, რადგანაც აქ მუდამ არსებობს ინფექციური დაავადებათა საშიშროება და მისგან თავის დაზღვევა ძალზე ძნელია.

1739 წელს ამ მდინარის წყლებმა ისე დაიკლო, რომ მარშალმა მინიხმა<sup>38</sup> (Münich) შექლო მისი ფონით გადაღებულ მთელი თავისი კავალერიით. ეს ადგილი ორმოცდაათ ტუპის<sup>39</sup> სივანის იყო, სწორედ აქ შექმნა მან შემდგომში პლაცდარში და სან-სან-ჟან, რომელსაც წმინდაიანე (Saint-Jean) უწოდა. აქვე ერთმანეთი-ხაგან მცირე მანძილით დაშორებული სანჯრები ააგეს, რაც საშუალებას იძლევა უზიფათოდ დაუკავშირდნენ ხორის ინდუსტრისა და ღუნის საშუალებით.

უყურადღებოდაა მიტოვებული; ვაჭრობა დაცემულია, შავი ჭირის დაავადება თუმცა არცთუ ისე ხშირია, მაგრამ მაინც ამცირებს მოსახლეობის რიცხვს; ხოლო ამ სენისაგან სოფლების დასაცავად მიღებული ზომები მათი ძარცვის საბაბი ხდება. აი, მოკლე ცნობები, ამ პროვინციის ხალხზე. ხოლო რაც შეეხება რუსეთსა და ავსტრიას, ამ ორი იმპერიას ეს მხარეები გამუდმებით უქმნის შავი ჭირის საფრთხეს და მათი სავაჭრო ურთიერთობანი სუსტი იქნება, ვიდრე დუნაი ჯებირად არ იქცევა ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სახელმწიფოთა შორის.

ოდესას საკმაოდ ფართო ვაჭრობა აქვს გაჩაღებული ხერსონთან, საიდანაც სამშენებლო ხე-ტყეს და შემას ეზიდებიან. ამ მასალის უდიდესი ნაწილი ზაფხულობით წყლით გადააქვთ ხოლმე და წყლიდან ამოღებისას, მას ადგილზე ზოჰიერი ფასი აქვს. ზამთარში კი, მკაცრი ყინვების ეპას, ეს საქონელი მეტისმეტად ძვირდება. მუშახელი ჭარბადაა ოდესაში, და რადგანაც სურსათ-სანოვანე ძალზე იაფია, ის მუშა, ვისაც დანაზოგი აქვს, სულ რამდენიმე წელწადში შეძლებული ხდება. შემას მხოლოდ მდიდარი ხალხი იყენებს საწვავად. თითქმის ყველგან ღუმელს ჩალით, ლერწმით, ან ძროხისა და ცხვრის წივით ახურებენ, რომელსაც კიზიაცს (kisiq) უწოდებენ. ექვს გარეშეა, რომ მომავალში ღუმელისათვის ამ უკანასკნელს აღარ გამოიყენებენ, რადგან მიწა საუკეთესო სასუქის გარეშე რჩება. ხერსონიდან გააქვთ აგრეთვე მარცვლეულის საკმაოდ დიდი რაოდენობა და ბევრი სხვა პროდუქტი. რომლითაც მდიდარია უკრაინის მიწები.

ოდესის ნავსადგური მხოლოდ კაბოტაჟური ნაოსნობით უკავშირდება ხერსონსა და კონსტანტინოპოლს. ეს უკანასკნელი ფართო ვაჭრობას ეწევა. რაც თითქმის მთლიანად ბერძნებისა და სომხების ხელშია(8).

კონსტანტინოპოლში ოდესიდან გააქვთ მისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობისათვის საჭირო მარცვლეულის დიდი ნაწილი, აგრეთვე კარაქი, დამარილებული და შებოლილი თევზი და ზოგიერთი სხვა პროდუქტი. თავის მხრივ, კონსტანტინოპოლი ოდესაში აგზავნის თამბაქოს, ჩიბუხებს, შებოლილ ენას, სხვადასხვა სახის მურაბას და სხვ.

როდესაც ოდესა პორტო ფრანკოდ იქცა<sup>9</sup>, მან დიდად გააფართოვა ურთიერთობანი ევროპასთან. ყველაფერი ეს იმის საწინდარია, რომ მალე ეს ქალაქი რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ბაზრად გადა-

(8) ბერძნების შეიარაღებული აჯანყების შემდეგ ოდესასა და კონსტანტინოპოლს შორის კაბოტაჟურმა ნაოსნობამ დაკარგა მთელი თავისი მნიშვნელობა.

იქცევა; მაგრამ კანონის ზოგიერთი დარღვევის გამო, რასაც უდავოდ შეიძლება ეშველოს, განგაში ატყდა პეტერბურგში. ამის საფუძველზე ოდესისათვის ნაბოძები პრივილეგია, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ძალაში შესული. შეიზღუდა, შემდეგ კი შეიცვალა: ქალაქი გადაიქცა საქონლის შესანახ საწყობად, რომელიც სხვადასხვა ფორმალობის ტყვეობაში მოექცა. ამან უეცრად შეაჩერა ოდესის კომერციისათვის მინიჭებული გაქანება და ხელი შეუწყო მის მიმართ უცხოეთში უნდობლობის დანერგვას; ამის შედეგად, შენელდა მიზადულობის ძალის მოქმედება, რომელიც საქმრეთ რუსეთის პროვინციებისაკენ იზიდავდა გამრჩე, საქმის მტოდნე ხალხს და აურაცხელ კაპიტალს.

ოდესისათვის მინიჭებული შეღავათი, მიელი თავისი სისრულით, ანიშვნელოვან ჩანაფიქრს წარმოადგენდა. მაგრამ ამ ჩანაფიქრის წარმატებით დაგვირგვინებისათვის საჭირო იყო დროებითი სიძნელეების დაძლევა, რასაც არ ითვალისწინებდა ეროვნული ბუნებისათვის დამახასიათებელი მოუთმენლობა. ეს შეღავათი ემსხვეოდა უზარმაზარი იმპერიის შეთავრის ამაღლებულ მიზნებს, და რადგან, მისი წარმატება უზრუნველყოფილი იყო, ამიტომ ყურადღება არ უნდა მიექციათ მებაჟეების პროტესტისათვის, გაუმართლებელ სიფრთხილისა და მცირეოდენი კონტრაბანდისათვის, რაც ყოველგვარ შეღავათს თან ახლავს ხოლმე; ამავე დროს, კანონის ამ დარღვევას, როგორც ბ-ნი პერტოვი დე რიშელიე მწერდა, დადი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა რუსეთისთვის, რადგანაც მას შეიძასა ლეეს სახმელეთო საზღვარი ჰქონდა დასაცავი.

ჩემ მიერ მოხსენიებულმა „უკაზმა“ ოდესელ სოცდაგრებს ვაჭრობის ახალი პერსპექტივები შეუქმნა, რაც იმიოთაც იყო განპირობებული, რომ ქალაქ ოდესის მდებარეობა და მისთვის ნაბოძები პრივილეგიები ამავე დროს ქალაქს ევროპასა და აზიას შორის გასაცვლელი პროდუქციის საწყობით უზრუნველყოფდა, ხოლო საზღვარ ომის შემთხვევაში აქ დიდძალი სატრანზიტო საქონელი მოიყრიდა თავს. მაგრამ ოდესელი ვაჭრები, სხვა ქვეყნის ვაჭრებისაგან განსხვავებით, ერიდებიან გათელილი გზიდან გადახვევას: მათ აღიზიანებთ ყოველგვარი სიახლე; ახალი გზის შესახებ ისინი წარმოდგენას იქმნიან გადაზიდვის საბედისწერო შედეგებით, რაც უვარგისმა, ცუდად შერჩეულმა და გადაზიდვის ხარჯების გამო ძვირადღირებულმა საქონელმა გამოიწვია; ამიტომაც, რომ მათ ჯერაც არ იციან, რა სარგებლიანი იქნება მათთვის თბილისი, მის ხელსაყრელ მდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობის გამო.



ევროპელებისა და აზიელებისაგან შემდგარი ოდესის თანამედროვე მოსახლეობა ორპოც ათას სულს ითვლის. მცხოვრებთა დაახლოებით მეოთხედი რუსები არიან; დანარჩენები კი — ფრანგები, იტალიელები, ინგლისელები, ავსტრიელები. ვერმანელი, პოლონელი და კარაიტი (caraites) (9) ებრაელები<sup>10</sup>, პოლონელები, სომხები, ბულგარელები და სხვ.<sup>11</sup> ზოგი სელოსანია, ზოგი — ვაჭარი.

ამ მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის გარდა, ოდესაში ყოველ წელს პირველი აპრილიდან 1 ნოემბრამდე რუსი და პოლონელი დიდებულები ჩამოდიან. რუსეთისათვის იგი ისეთივე მხარეა, რაც შვეიცარია და იტალია დასავლეთ ევროპისათვის.

ამ დროისათვის მოსახლეობას ასე ანგარიშობდნენ:

პორტო ფრანკოს სტატუსის ფარგლებში ორი ათას სამას სამოცდათვრამეტ კომლს, რომელიც ითვლიდა დაახლოებით... 28.000 მცხოვრებს

გარეუბანში, ქალაქის ფარგლებს გარეთ ცხრაას ექვსას კომლს ე. ი.

12.00 მცხოვრებს

40.000 მცხოვრები

ასეთი დანაწევრებით:

მთავრობის მოხელეები. — მათ შორის სამსახურიდან

გადამდგარიც

1.732 მცხოვრებს

რეგისტრირებულა

1.732 მცხოვრებმ.

სხვა მხრივაც აღრიცხულია

1.732 მაცხოვრებელი

დიდვაჭრების, ყველა ჭურის ვაჭართა და მოქალაქეთა

რიცხვი, რომელნიც მუნიციპალიტეტის მიერ იყვნენ

აღრიცხულნი, უღრიდა 19.858

საშვითა და საგარანტიო ბარათებით მოსარგებლეთა

რიცხვი დაახლოებით იყო

18.000 მცხოვრებმ

39.590 მცხოვრები

ქალაქში შემოსულთა და ქალაქიდან გასულთა რიცხვი ამ წლის განმავლობაში შეადგენდა სამას ოცდარვა ათას რვაასს.

მრავალრიცხოვანი ებრაელი კოლონისტები დასახლებული არიან

(9) კარაიტი ებრაელები სპარსეთში დატყვევების შემდეგ გადარჩენილ უბრა-ელთაგან მომდინარეობენ. მათ არავითარი კავშირი არა აქვთ სხვა ებრაელებთან ხასიათითა და ზნე-ჩვეულებით. ისინი ამბობენ, რომ სრულებითაც არ შეუღობიათ მონაწილეობა იესო ქრისტეს წამებასა და მოკვდინებაში.

მდინარე კოდინას<sup>42</sup> გაღმა მხარეს; ეს მდინარე ძველად თურქეთისა და პოლონეთის საზღვარი იყო. ებრაელებმა აქ გააშენეს ბევრი სოფელი, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სოფელი სევერინოვკა (Severinowka). იგი ეკუთვნის გრაფ სევერინ პოტოცკის<sup>43</sup> (Severyn Polocky). მეცნიერის, გრაფ ივანე პოტოცკის<sup>44</sup> (Jean Potocky) ძმას, ივანე პოტოცკის მსგავსად დიდად ჰყვარსა და განსწავლულ ადამიანს. ამ დიდებულმა ოცი წლის მანძილზე თითქმის მთელი თავისი დრო და უნარი მოახმარა მოსახლეობის გაზრდის საქმეს და მისი პატარა „სახელმწიფოს“ აყვავებას — შეიძლება ასე ვუწოდოთ ტერიტორიას, რომელიც ოთხმოც ათას რუსეთისა<sup>45</sup> (სამოც ათას ფრანგულ არპანს<sup>46</sup>) მოიცავს. გრაფ სევერინ პოტოცკი აქ ნარგავები მოაშენა; სახე უცვალა ამ მხარეს და პირველმა დარგო ვაზი იქ, სადაც მანამდე სახნისს არასოდეს გაეგლო. რადვან ზამთრობით თერმომეტრის სინდიყი — 22°-მდე ჩამოდის ხოლმე.

რამდენიმე კომლისაგან შემდგარი დაბა ჭერ დიდ დასახლებად გადაიქცა, დასახლებული პუნქტი კი თანდათანობით ქალაქს დაემსგავსა, სადაც ჭვით ნაგები ეკლესიაც მოქმედებს ბერძნულ წესის მოლდაველებისა და რუსებისათვის; აქვე აიგო სინაგოგები, გაშენდა შადრევნები და სასეიჩრო ადგილები. გარდა იმ უწყებებისა, რაც ადმინისტრაციულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული, აქ გახსნილია, აგრეთვე, ბანკი სენიორის ანგარიშზე: იგი ზომიერი სარგებლის წესით ფულს აძლევს იმათ, ვისაც აქ სახლების მშენებლობა, მიწათმოქმედების წარმოება ან ვაჭრობის გაფართოება სურს. დავძენ, რომ გრაფი სევერინ პოტოცკი თავის ტერიტორიაზე მუდმივად ნერგავს ახალ გამონაგონებს, რომელთა სარგებლიანობა უკვე სათანადო ექსპერიმენტით დადასტურდა.

სევერინოვკას ძირითადი მოსახლეობა ებრაელების, პოლონელების, რუსებისა და მეტწილად მოლდაველებისაგან შედგება.

ოდესის გარეუბნებში არის ბერძნული კოლონია; აქ ამუშაებენ რუსეთის მთავრობის მიერ ნაწყალობევი მიწებს. ამ კოლონიიდან ერთმა ბატალიონმა მიიღო მონაწილეობა უკანასკნელ ომში და ყოველთვის მამაცობით გამოიჩინოდა.

თურქეთის მთავრობის ჩაგვრას გამოქცეულმა მრავალრიცხოვანმა ლტოლვილმა ბულგარელმა და სერბმა აქ ეკატერინე დედოფლის მიერ შეთავაზებული თავშესაფარი მიიღო. ისინი შრომისმოყვარე, გამარჯე, ჰკვიანი ხალხია და მათ მიერ დაკავებული სოფლები განსაკუთრებული ბარაქიანობით გამოიჩინეა. ოდესლაც ვაჭრები სინანულს გა-

მოთქვამდნენ ხოლმე მათი სიძუნწის გამო: ისინი იმდენად ძუნწები არიან, რომ თავიანთი მამულებიდან მიღებულ პროდუქციას ინახავენ, ნაცვლად იმისა, რომ გამოიყენონ იგი მათთვის საჭირო საქონლის შესაძენად; მაგრამ ეს ჩვეულება უდავოდ ნელ-ნელა გაქრება: იგი, ბუნებრივია, შეძენილია თვითნებური მშართველობის დროს ისეთ ქვეყანაში, სადაც სიმდიდრე და მდიდრის სახელი სახიფათოა; უდავოდ, უფრო მეტად ეს გარემოება. ვიდრე კლიმატი, ხსნის ბერძნების, სპარსელების, ინდოელებისა და თითქმის ყველა იმ ხალხთა სიძუნწეს, რომლებიც აბსოლუტურ დესპოტიზმსა და დამპყრობლებს ემორჩილებიან. ბულგარელები მთელს სამხრეთ რუსეთში ფერჰის იშვიათ მუშებად ითვლებიან.

რაც შეეხებათ ოდესის გარეუბნებში დასახლებულ ვირტეშბერგისა და სუაბის კოლონიტებს, მათ არსებითად, ნაკლებ წარმატებას მიიღწიეს: ისინი მოვიდნენ ცუდ დროს, როცა მათ არავენ ელოდა, მათთვის არ იყო მოწადებული არც სახლები, არც საჭირო სანოვავე. ეს უსიამოვნებანი დღეს შივიწყებულა. უკანასკნელ დროს კი გერმანელებმა ისე ძვირად გაყიდეს თავიანთი მარცვლეული, რომ ამჟამად ისინი უზრუნველყოფილნი არიან. ქვემოთ ჩვენ ენახავთ, რომ დიდი ნაწილი ამ გერმანელებისა საქართველოშია დასახლებული: ზოგიერთი საკუთარი დაუდგროველი ბუნების გამო გადასახლდა იქ. ზოგიერთი კი ცრუპორწმუნეობის გამო — ახალი წარღვნის შიშმა გადააწყვტილნათ არარატის მოასთან მიახლოება. სადაც მათ თავის შეფარებისა და გადაჩენის იქედი აქვთ.

ბულგარელების, ბერძნების, ებრაელებისა და გერმანელების მიერ ათვისებული მიწების გარდა, ოდესის მიმდებარე ტერტორიაზე ვხვდებით რუსების მიერ დამუშავებულ საკმაოდ მრავალრიცხოვან მამულებს: აქ დასახლებული რუსები ლტოლვილი ყმები არიან. ზოგი მათგანი კი ჩრდილო რუსეთიდანაა ჩამოსახლებული მათი ბატონების ნება-სურვილით, რომელთაც ამ მხარეში მამულები აქვთ.

1814 წელს ეკატერინოსლავის<sup>47</sup> (Katerinoclav), ხერსონისა და ტავრიდის<sup>48</sup> (Tauride) სამ გუბერნიაში ირიცხებოდა:

ოცდათხუთმეტი ათასი გერმანელი, ორთავე სქესისა, ცამეტი ათასი ბულგარელი და მოლდაველი.

შვიდი ათასი ებრაელი.

ოთხი ათას ჩუთასი რუსი.

ათას ხუთასი ბერძენი.

ამ დროიდან მოყოლებული გერმანელებმა, ბულგარელებმა და

რუსებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს და მათი რუსებიც დიდად გაიზარდა. ებრაელთა ერთმა ნაწილმა მიატოვა მიწის დამუშავება და დასახლდა ოდესაში, სადაც ვაჭრობას მოჰკიდა ხელი. ბერძენთა შორის არიან ძალზე მდიდრები, მაგრამ უმრავლესობა წერილმანებით ვაჭრობს და მცირე შემოსავალს სჯერდება.

ჩემ მიერ ზემოთ მოხსენებულ კოლონიებს გარდა, სამხრეთ რუსეთში დიდი მეურნეობები აქვთ ფრანგებს, შვეიცარიელებსა და პოლანდიელებს.

ამ კოლონიებს შორის უნდა აღინიშნოს აწ გარდაცვლილი ბ-ნ რუვიე მარსელელის (Rouvier de Marseille) ახალმოსახლეობა: მის ორ ქალიშვილს. რომლებიც გათხოვლნი არიან გენერალ პოტიესა (Potier) და ბ-ნ ვასალზე (Vassal). აქვთ ოცდათხუთმეტი ათასი დესეტინა, დაახლოებით ოთხმოცდაშვიდი ათასი ფრანგული არპანი და ჰყავთ მერინოსის ჩიშის ოცდათხუთმეტი ათასი ცხვარი. ისარა,<sup>49</sup> რომელსაც უწოდებენ „აქილეუსის სარბენს“<sup>50</sup> (Cursus Achilles), განლაგებულია ყირიმში, ზედ პერეკოპის ყურესთან და ამ მამულის ნაწილს შეადგენს.

ბ-ნ რუვიეს შემდეგ შეიძლება დავასახელოთ ბ-ნ პიქტე (Pictet) ენევიდან: თუკი პირველმა მერინოსის ჩიშის ცხვარი შემოიყვანა ზღვით, ბ-ნ პიქტემ მრავალრიცხოვანი ფარა ენევიდან რეულეცის<sup>51</sup> ნაპირებამდე ხმელეთით გადმოიტყა: შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე ბ-ნი რვეილო (Reveillon), რომელსაც ბუგის მარცხენა მხარეს ოცდაოთხი ათასი დესეტინა (ორმოცდაათი ათასი არპანი) მიწა აქვს და მერინოსის ჩიშის ოცი ათასი ცხვარი ჰყავს.

პოლანდიელ ბ-ნ პავსაც (Paw) უზარმაზარი მამული აქვს ამ მხარეში. რომელიც იმათაც არის ცნობილი, რომ მოშენებული ჰყავს დიდი რაოდენობით მერინოსის ჩიშის ცხვარი და აქვს მუდის ქარხანა.

დაბოლოს. უნდა ვახსენოთ გერმანელი ბ-ნი ფიჩი (Fitsch): იგი დაახლოებით ოცთუთმეტი წლის განმავლობაში მართავს ვიურტემბერგის მთავრის საუცხოო ადგილ-მამულს, რომელიც ოდესას შეიდი ლეთია დამორებული.

ყველა ამ მემამულეს და ბევრ სხვას, ვისი სახელების ჩამოთვლაც უსარგებლოდ მიგვაჩნია, გარდა მერინოსის ჩიშის ცხვრის ფარებისა, მრავალი მსხვილფეხა რქიანი საქონელი და ცხენი ჰყავს.

ამ დიდ მემამულეთა გარდა. ოდესაში ჩამოვიდა პარიზის გარეუბანში მდებარე ცნობილი სანერგის პატრონი ბ-ნი დესემე (Descemet), რათა ეხელმძღვანელა დაახლოებით ოთხმოცი არპანი მიწის ნაკვეთის

დამუშავებისათვის, რომელიც მთლიანად გამოყოფილი იყო ნერგების გასაშენებლად. 1814 წელს პარიზის მისეული საუცხოო სანერგე სენდენი (Saint-Denis) მოსპეს იმ საბაბით, თითქოს ეს პარიზის დაცვის გეგმით იყო გათვალისწინებული. გაკოტრებულმა ბ-ნმა დესეშემ, რომელსაც საფრანგეთში ამ დარგში საქმიანობამ სიმღადრე მოუტანა, თანხმობა განაცხადა შეთავაზებულ წინადადებაზე შავი ზღვის ნაპირებზე, სამხრეთ რუსეთის ხროვ ტრამალეებში გადასულიყო. მთავარ-მართებლების, გრაფების და ლანეერონისა და ეორონცოვის<sup>52</sup>, აგრეთვე გრაფ სევერინ პოტოცკის მხარდაჭერით. მისმა წარმატებებმა მოლოდინს გადააჭარბა. ამჟამად მისი სანერგე მემამულეებს ამარაგებს მათთვის საჭირო ყოველგვარი ხეხილისა თუ ტყის ნერგებით. მან შთაუნერგა ოდესელ მემამულეებს ნარგავეებს გამზენებას ჩვევა და ეს მისასაღებელი სიახლე უფიადეს გავლენას მოახდენს ქვეყნის გარეგან სახეზე, სოფლის მეურნეობის აყვავებასა და თვით ჰევაზეც. რადგანაც იგი დაიცავს მიწებს რუსეთის ცივი და ზღვის ნესტიანი ქარებისაგან.

ახალი რუსეთის მიწათმოქმედებაზე ჩემი დავერებებუ რომ სრულყოფილი იყოს, დასასრულ მოვიყვან ერთ ფაქტს. რომელიც ბ-ნ პერცოვ და რიშელიეს მიერ საყუთარი ხელით დაწერილი სტატიიდან არის ამოღებული. პერცოვმა ეს სტატია პირადად მე გადამომცა.

„ღიდებოსა და ამასთანავე ვაჭირების გამო დავეიწყარი 1812 წლის ზამთარი სამხრეთ რუსეთში მეტისშეტად მკაცრი იყო და შედეგებიც წარმოუდგენლად მძიმე გამოდგა.

მოკლე დროის განმავლობაში ხშირი ქარბუქების (météils) (10) შედეგად დაიღუპა ას ორი ათასი ცხენი, ორას ორმოცდაათი ათასი მსხვილფეხა რქიანი საქონელი და მილიონზე მეტი ცხვარი.

ეს დანაკარგი, რომელიც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში უსაზღვროდ დიდი მოგვეჩვენებოდა. ახალ რუსეთში ნაკლებად იგრძნობოდა. ასე რომ ფასი ამ საქონელზე სრულებით არ აწეულა“.

აქ მთავრდება ის მეორეოდენი ცნობები, რომელთა მოწოდებაც საჭიროდ ჩავთვალე მრავალ სწავლულ მოგზაურთა მიერ საქმარისად აღწერილ ამ ქალაქზე. ოდესაში თითქმის ერთ ღვის ველოდი სევასტოპოლიდან მომავალ ფრეგატს.<sup>53</sup> 12(14) მაისს იგი რეილზე დადგ და 14(28) მაისს ჩვენ ამ ფრეგატში ჩავსხვდით.

(10) ქარიშხალი, რომელსაც თან ახლავს თოვლი და ხშირად მოულოდნელად ამოვარდება ხოლმე სამხრეთ რუსეთის სტეპებში.

გრაფმა დე ლანეერონმა,—ამ დროს სამხრეთ რუსეთის მთავარმართებელმა, რომლის მზრუნველობამ, მფარველობამ და მეგობრულმა განწყობილებამ შემიწყო ხელი, რათა მოგზაურობის ნებართვა მიძღვროს და ეს მოგზაურობა წარმატებით დაჰმეგვირგვინებინა, ჩემთან გამომშვიდობება მოისურვა; ჩემი გაცილება ბ-ნმა დე რიბაპიერმა (Ribaupierre) მოინდომა, რომლის მიმართ ასევე დიდად მაღლიერი ვიყავი პეტერბურგში ყოფნის დროს.

მგზავრობისათვის ჩინებული ამინდი იდგა: ქროდა ზურგის ქარი. კაპიტანმა დილიდანვე მოისურვა დარწმუნებულყო, ადვილად ამოიღებდა თუ არა ღუზას ოდესის რეილის სქელ და ბლანტი ქვიშის ფსკერიდან. მისმა ცდამ წარმატებით ჩაიარა და ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ ფრეგატზე ასვლისთანავე აფრის აშლისათვის ხელი არაფერს შეეშალა; მაგრამ ამ მოულოდნელმა სტუმრობამ კაპიტანი იძულებული გახდა შეეყოვნებულყო.

როდესაც მთავარმართებელმა ფრეგატი დატოვა, კაპიტანმა, ჩვეულების თანახმად, ქვემეხის რამდენიმე ზალპი მისცა: მთავარმართებლის ნავი ნაპირზე არც კი იყო მისული, რომ ფრეგატზე სამზადისს შეუდგენენ გასამგზავრებლად.

ვიდრე ეკიპაჟის ერთ ნაწილს გემბანი წესრიგში მოჰყავდა, მეორე ნაწილი ფრეგატის თავში მუშაობდა ღუზის ამოსაღებად: მაგრამ აჩქარად ქვიშას მგონი სამუდამოდ დაეტყვევებინა ღუზა. საშველად მოხმობილმა მეზღვაურებმა ფრეგატის წვეტი დააზიანეს და ამის გამო საჭირო გახდა დღის სინათლეს დავლოდებოდით.

საბედნიეროდ, ძლიერი ქარი ქროდა: კაპიტანმა გამოიყენა ეს მდგომარეობა და გადაწყვიტა ყველა აფრა გაეშალა: ქარმა ღუზა სწრაფად ამოგლიჯა ფსკერიდან და რამდენიმე წუთში ეკიპაჟის „ვაშას“ (houras) ძახილში ფრეგატი ადგილიდან მოწყდა.

ფრეგატს, რომლითაც ვმგზავრობდით, „სპეშნოი“ (Spechnoy) („მარდი“) ეწოდებოდა. ეს სახელწოდება მას იმ დროს მისცეს. როცა მისი მშენებლობა ნიკოლაევის გემსაშენებო ბ-ნმა მარკიზ დე ტრავერსეიმ (Traversay) დაიწყო. მაშინ იგი შავი ზღვის საზღვაო-სამხედრო ძალების უფროსი გახლდათ, დღეს კი იგი რუსეთში საზღვაო-სამხედრო ფლოტის მინისტრია (11). ფრეგატი „სპეშნოი“ ამ ოფიცერმა საფრანგეთის სამეფოს იმ საზღვაო ფრეგატის მიხედვით ააგო, რომლითაც რევოლუციამდე მან ცაქეტ დღეში გაიარა გზა ბოსტონიდან ბრესტამდე. ხომალდის კრილი. მისი აღჭურვილობა, შიდა განლა-

(11) ეს აღმირალი რამდენიმე თვის წინათ გარდაიკვალა რუსეთში.

გება. ყველაფერი ფრანგული ფრეგატის მოდელის მიხედვით დაიზადდა. და მაინც, „სპეშნოი“ შავი ზღვის ფლოტში ყველაზე ცუდად მცურავ გემად ითვლება.

საქმე ისაა, რომ ოცდაათი წლის განმავლობაში გემთმშენებლობაში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, მათემატიკური გამოანგარიშებით ჯერ კიდევ ვერ გებენ როგორ იმობილავებს ესა თუ ის ხომალდი თუ ფრეგატი. ისიც ხდება, რომ თუ ერთი კაპიტნის ხელში ხომალდი მცირედ ცურავს. ტაკელაჟში ან ტვირთის განაწილებაში სულ რაღაც უშნიშვნელო ცვლილების შეტანით მეორე კაპიტნის ხელში ხშირად იგი სწრაფ ხომალდად იქცევა ხოლმე.

როგორც არ უნდა იყოს ფრეგატის მიმართ ეს საყვედური და მისი ცული რეპუტაცია, ქარმა ისე შეგვიწყო ხელი, რომ ოდესიდან სამშაბათს, დილის ექვს საათზე გასულებმა, პარასკევს ოთხ საათზე სევასტოპოლის ყურეს მივალწიეთ. აქ იძულებული გავხდით შევჩერებულყავით ფრეგატის ახალი წვეტის გასაკეთებლად.

სევასტოპოლის ყურე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი და უსაფრთხო ყურეა; აქ მრავალი უბეა და შექმნილია დოკები, სადაც წყალი თანაბარი სიღრმისაა. საჭიროების შემთხვევაში სწორედ აქ აწარმოებენ გემების შეკეთებას; მაგრამ გემთმშენებლობას აქ არ ეწევიან.

უწინ იმპერიის ნავსაშენი განლაგებული იყო ნიკოლაევში, ბუგისა და ინგულეტის შესართავთან და ხერსონში — დნებრზე; მაგრამ ეს უკანასკნელი გემსაშენი ახლახანს გააუქმეს და ყველა სამუშაო ნიკოლაევში გადაიტანეს.

შავ ზღვაზე რუსეთის იმპერიის ფლოტი შედგება თხუთმეტი თუ თვრამეტი სარეიდო გემისაგან და შესაბამისად საკმაო რაოდენობის ფრეგატისა და სხვა მსუბუქი ხომალდისაგან.

სამშენებლო მასალას იძლევა დნებრისა და დნესტრის ნაპირებზე მდებარე უზარმაზარი ტყის მასივები. საანძე ხე-ტყეს დნებრით დააცურებენ ხოლმე. რკინა და გემისათვის საჭირო სპილენძის გარსამოსი ტაგანროგში ვოლგითა და დონით ციმბირიდან მოდის.

ფლოტის ოფიცერთა შორის, გარდა ჰრავალრიცხოვანი ბერძნებისა, საკმაოდ დიდი რაოდენობით არიან ინგლისელები. რაგუზელები, დანოელები და შეედები. ყოველწლიურად, გაზაფხულობით, ამ ფლოტის რვა თუ ათი გემი ჩვეულებისამებრ, აღმირალ გრეივის მეთაურობით შავ ზღვაზე დაცურავს, ეითომდა იმის საუწყებლად, რომ აქ მხოლოდ ჩუხული დროშა ბატონობს.

სევასტოპოლი ამფითეატრისებურადაა გაშენებული. თითქმის ყველა სახლი მეზღვაურების მიერ ქვისა და აგურისაგანაა აგებული. ნაგებობებში გამოყენებულია ხერსონის ნანგრევები: მათ კედლებში ყველგან მოჩანს სვეტებისა და კაპიტელების ფრაგმენტები და ხშირად შემორჩენილი წარწერებაც კი. სევასტოპოლის მიმდებარე ტერიტორია ჩვეულებრივ საკმაოდ მშრალი და ხრიოკია: ჰაერი ჭანსალია. ყურე და მრავალი აუზი ჭიებითაა სავსე; ისინი დიდ ზიანს აყენებენ და კიდევაც ანადგურებენ გემებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სპილენძის გარსაპოსი.

საეპრო გემებს აკრძალულია აქვთ ამ ნავსადგურში შესვლა.

სევასტოპოლში ყოფნის დროს დავათვლიერეთ ძველი ხერსონის<sup>54</sup> ნანგრევები, ქვების უაზრო გროვა. მათ შორის ვერ აღმოვაჩინეთ რაიმე კვალი იმ ძეგლებისა, რომლებიც ოდესღაც უეჭველად ამკობდნენ ბერძნული წარმოშობის ამ ქალაქს.

ხერსონი ხერსონესის ყოფილი დედაქალაქია. ამ ქვეყანაში ოდესღაც რესპუბლიკური მმართველობა იყო. კოლონისტები, რომლებიც მის მოსახლეობას შეადგენდნენ, პონტოს სამეფოში<sup>55</sup> მდებარე ჰერაკლეადან<sup>56</sup> (Héraclée) მოვიდნენ. იგი შევიდა მითრიდატე ევპატორის<sup>57</sup> მფარველობაში, როდესაც მან ყირიმის განაპირას ბოსფორის სამეფო შექმნა.<sup>58</sup> შემდეგ აქ ბატონობდნენ რომაელები. ბოზანტის ბატონობის ეპოქაში კი იგი იმ პირთა თავშესაფრად გადაიქცა, რომლებმაც აღმოსავლეთის იმპერატორთა გულსწყრომა გამოიწვიეს.

პაპი მარტინ I,<sup>59</sup> იმპერატორი იუსტინიანე II<sup>60</sup>, რინომეტი ტახტიდან ჩამოგდებული და დასახიჩრებული ლეონისი<sup>61</sup> (Léonce) მიერ, ერთმანეთის მიყოლებით აქ ყოფილან გადმოსახლებულნი. ცნობილია, რომ ამ უკანასკნელმა, როცა კვლავ დაიბრუნა ტახტი, გაუგონარი სიმკაცრე გამოიჩინა ხერსონელებისა და ბოსფორელების მიმართ, რომლებიც მისი ვადასახლების მოწმენი იყვნენ და არა დამნაშავენი (12).

ამ რესპუბლიკის ტერიტორია ძალზე ვაწრო იყო. იგი შავ ზღვას მოუყვებოდა ბალაქლავამდე.<sup>62</sup>

სევასტოპოლის ფლოტის მეზღვაურების, მრავალრიცხოვანი მოხელეებისა და ნავსადგურში დასაქმებული მუშახელის რიცხვი თხუთმეტ ათას კაცამდე აღწევს, ხოლო უცხოელთა რიცხვი სასლვაო ფლოტში არ აღემატება ორი ათას სულს. უმრავლესობას ვაჭარი

(12) იხილეთ ბ-ნ დე რეილის (Reuilly) „მოგზაურობა ყირიმში“.



ბერძნები წარმოადგენენ. რაც შეეხება ბერძენ ქალებს, ისინი სწორი სახის ნაკვთებითა და სიტურფთ გამოირჩევიან: სწორედ ამით აიხსნება ის აზრები, რომ საზღვაო ფლოტის ბევრმა ოფიცერმა სევასტოპოლელი ბერძენი ქალი შეირთო ცოლად.

ჩვენთვის წარმოუდგენელი რამ იყო, ამ ქალაქში რვა დღე დავრჩენილიყავით და არ მოგვენახლებინა სოფელი ინერმანი,<sup>65</sup> ძველი ავტორების ექტენოსი. ამ სოფელში მისასვლელად ყურეს შოულს გაყოლებასე ჩაუბრათ; ჩვენგან ხელმარჯვნივ ნავსადგური ჩამოვიტოვეთ, სადაც განიარადებული გემები დგას, ხელმარცხნივ კი კარანტონის ყურეა, ხე-ტყის საწყობებითა და პურის საცობებოთ, რომელსაც „პატარა პოლანდია“ ეწოდება. მტკნარი წყალი სევასტოპოლში საკმაოდ ცოტაა და თან სასმელადაც უფარგისა. ეს ერთი ყველაზე დიდი სიძნელეთაგანია ეკიპაჟისათვის. ძნელი როდია ამ ადგილის წყლით უზრუნველყოფა, თუ რამდენიმე წყალსატევისათვის ხარჯს გაიღებენ, ან თუნდაც იმ წყალსატევს აღადგენენ, ძველ ბერსონესს რომ ამარაგებდა წყლით. ეს საწინდარი იქნებოდა ეკიპაჟის ჩანჩრთელობისა, და ამასთანავე აღარც შეეზღვაზე საცურაველ გასულ ხომალდებს მოუწევდათ სულ რამდენიმე დღეში უკან დაბრუნება და წყლის მარაგის ხელახლა შევსება.

ნავსადგურიდან გამოსვლისას, ვიდრე ყურის სიღრმეში შეხვალთ, სადაც ინერმანი მდებარეობს, ჯერ მდინარე უზენი უნდა ჩაიაროთ; იგი აყროლებულ ლელიანისა და ჭაობებს განწერივ შიკინება, სადაც დიდი რაოდენობით ბუდობს პატარა, რუხი კუ.

მდინარის შესართავთან მოთავსებულია საანძვე მასალისათვის გათვალისწინებული ფიჭვის საცავ-საწყობი. ტულონას პორტისა არ იყოს, მორები აქაც წყლის ფაქრზეა დამავრებული. ქვებით გამოტენილი ხის ყუთებით.

ექტენოსი ბერსონის რესპუბლიკის ნაწილს შეადგენდა და მისი არსებობაც, როგორც ჩანს, მაშინ შეწყდა, როცა რესპუბლიკა დაეცა.

მდინარის ორივე ნაპირზე ციცაბო კირქვიან კლდეებს ვხედავთ; ამბობენ, უწინ ეს ნაპირები ერთმანეთთან უზარმაზარი ხედი იყო შეერთებული. პირადად ჩემთვის, გარწმუნებთ. ძნელი წარმოსადგენია, ასეთი ნაკვობა თუ არსებულა ოდესმე. ასეა თუ ისე, კირქვიან შივებში დიდი რაოდენობით ვხედავთ მღვიმეებსა და გამოქვაბულებს. რომლებსაც ომიანობის დროს, — ომს კი არა ერთხელ გაუობრებია ეს მხარე — თავშესაფრად და სახიზნავად იყენებდნენ დევნილინი. იმავე კლდეებში შევნიშნეთ ძველთაძველი ეკლესიის ინტერი-

ერი; იგი დიდი მონდომებითაა ნაგები, ყველა ხუროთმოძღვრული კონონის დაცვით. თითქმის მთელი კარნიზი და სვეტების ერთი ნაწილი ჭერაც არსებობს. რამდენიმე გაუბედურებული მწყემსი და ბოშათა ოჯახი ცხოვრობს ამ გამოქვაბულებში, სადაც ოღესღაც, შესაძლოა, ძველი ხერსონესის აბორიგენები ცხოვრობდნენ.

მა: შემდეგ, რაც ექტენოსის ნანგრევები დავათვალიერეთ, რასაც ორი საათი მოვანდომეთ, დავბრუნდი ფრეგატზე. იგი კვლავ ლუზაზე იდგა დიდი ნავსადგურის შესასვლელში: პარასკეს. 7 ივნისს (ახალი სტილით), დილის შვიდ საათზე ადგილიდან დავიძარი.

გემს მეთაურობდა კაპიტანი პაპა ეგოროვი (Papa Yegoroff), წარმოშობით ბერძენი. იგი კარგად ლაპარაკობდა ფრანგულად, იტალიურად და რუსულად და მეტად მხიარული ხასიათისა გახლდათ. მოგზაურობამ კარგად ჩაიარა და საკმაოდ სასიამოვნო მოგონებებიც შემოგვჩაჩა. სასწაულებრივად გადავსერეთ მთელს სიგრძეზე ზღვა, რომელიც ცნობილია უძველესი საზღვაო ექსპედიციებით: ზღვა, რომლის ნაპირები ბერძნული კოლონიების ნანგრევებითაა მოფენილი და რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აფრთხობდა მოგზაურთ ხშირი ქარიშხლების. ნავსადგურების უქონლობისა და მის სანაპიროებზე მცხოვრებთა სისასტიკის გამო. კეთილი იმედის კონცხის აღმოჩენამდე იგი აზიის კომერციისათვის ყველაზე ხშირი მიმოსვლას ადგილს წარმოადგენდა. შემდეგ კი სამი საუკუნის განმავლობაში ქრისტიანული ქვეყნების დროშისათვის იგი ჩაკეტილი იყო და ამ ორმოცი წლის წინათ ძლივს გაიხსნა მათი ხომალდებისათვის. ახლა კი შავი ზღვა კვლავ უნდა გადაიქცეს მსოფლიოს უმდიდრეს სავაჭრო ცენტრად.

ოღესიდან სევასტოპოლამდე ზღვის ნაპირი არასოდეს იკარგება მხედველობის არედან; ამ ნაპირთან ბევრი დასამახსოვრებელი რამ არის დაკავშირებული.

შორს, დუნაის შესართავის მახლობლად, მდებარეობს ტომე<sup>64</sup>, რომელიც ცნობილია. როგორც ოვიდიუსის გადასახლების ადგილი:<sup>65</sup> აქ თითქმის ყოველ ზამთარს მიწა თოვლით. ხოლო ზღვის ნაპირები ყინულით იფარება. ამაზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ თევზნოს მოწმობით ფიქრობდნენ, თითქოს საბრალო პოეტის მიერ ამ მხარის აღწერას სიზუსტე აკლდეს(13).

(13) თევზნომ აქ გაატარა ერთ-ერთი თბილი ზამთარი, რომელიც ზოგჯერ დგება ხოლმე ამ სანაპიროზე. ამ გამოჩენილის საფუძველზე მან და მასთან ერთად სწავლულებმაც განაცხადეს, რომ სეველამ ოვიდიუსს ყალბ ფერებში დაანახა ეს ქვეყანა. იბილეთ „ნარკვევები ჰენეზზე“.

ბუგის შესართავთან, ამ მდინარის მარჯვენა მხარეს, ჩანს ოლვიის<sup>66</sup> (Olbia), მილეტის<sup>67</sup> კოლონიის ნანგრევები, სადაც თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩატარებული გათხრების შედეგად უამრავი რაოდენობით აღმოჩინეს უცხო მონეტები.

ოდნავ მოშორებით, ტენდრას<sup>68</sup> (Tindra) კუნძულზე, ახლახან ჩატარებული გათხრები და აღმოჩენილი ნივთები მოწმობენ, რომ ეს კუნძული ნამდვილად „აქილევსის სარბენია“. სადაც აქილევსის პატრესაცემად თამაშობანი იპართებოდა.

ყირიმის შესასვლელში არის გეზლევე<sup>69</sup> (Kozlov), ძველი ევპატორი, მითრიდატე ევპატორელის კოლონია.

ჩვენ ვილაპარაკეთ ხერსონის ნანგრევებზე, ხერსონესის ბოლოს კი, ამ ქალაქიდან ორ ლიეთი დაშორებულ ადგილზე, ბალაკლავასთან წმინდა გიორგის მონასტერია აღშართული, სადაც რამდენიმე უწყინარი ბერი ცხოვრობს; იგი სწორედ იმ მაღალ კონცხზე დგას, რომელიც დიანას ტაძრითა<sup>70</sup> და ტავრიდის ამ ნაწილში მცხოვრები ხალხების ბარბაროსობითაა ცნობილი.

მოშორებით მდებარეობს ფეოდოსია<sup>71</sup>, რომელიც ცნობილი ქალაქი იყო ბერძნების ბატონობის ეპოქაში და კიდევ უფრო მეტად — გენუელების დროს; თათრებმა მას კაფა უწოდეს; ხოლო ქალაქიდან ოც ლიეზე, ყირიმის ნახევარკუნძულის ბოლოს მდებარეობს პანტიკაპეა,<sup>72</sup> ანუ ქერჩი, საბერძნეთის ერთ-ერთი მთავარი ბელელთაგანი, ბოსფორის სამეფოს დედაქალაქი და მოწმე დიდი მითრიდატეს სიკვდილისა.

ოდესიდან სევასტოპოლამდე მხოლოდ ორი ლიბტერი<sup>73</sup> შემოგხვდა, რომლებიც ხერსონიდან ოდესაში მოდიოდნენ. სევასტოპოლიდან სოხუმ-კალემდე კი სამი გემი დაეინახეთ; მათ ტაგანროგიდან თუ ფეოდოსიიდან ხმელთაშუა ზღვისაკენ აეღოთ გეზი; ხოლო რაც შეეხება ანატოლიის<sup>74</sup> ნაპირებს, რომელსაც გარკვევით ვარჩევდით, — მის ნაპირზე მდებარე ქერაკლეაში, სინოპსა<sup>75</sup> და ტრაპიზონში<sup>76</sup> ცოტადაა მოსახლეობა, მაგრამ ძველი დიდების კვალი ჯერ კიდევ არის შემორჩენილი, — ნავიგაციის ნიშანწყალი არ ჩანდა; ყველაფერი, რაც ოტომანთა იმპერიას გარს არტყია, თითქოს სამარისებული სიჩუმით იყო მოცული.

დაახლოებით ას ორმოცდაათი წლის წინათ ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა შარდენმა, რომელიც იძულებული იყო ფეოდოსიაში, ანუ კაფაში, შეჩერებულიყო. ერთი თვის განმავლობაში ნავსადგურში შემოსული ოთხასამდე ხომალდი დათვალა<sup>77</sup>, მაგრამ იმხანად ყირიმში

დიდძალი მოსახლეობა ცხოვრობდა. ძღვეამოსილ მის ხანებს<sup>78</sup> მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ კონსტანტინოპოლთან. ამ პეროდში ჩერქეზეთიდან, ძველი კოლხეთიდან და თვით საქართველოდან აგზავნიდნენ აქეთ ტყვეთა დიდ ნაკადს. რომლითაც ავსებდნენ მაჰლუქების ლაშქარს<sup>79</sup>, ხალიფების<sup>80</sup> სასახლეებსა და დიდ სენიორთა<sup>81</sup> პარამხანებს. დაბოლოს, უნდა ითქვას ისიც, რომ აქ ვასაცულელად ჩამოტანილი საქონელი არა მარტო მრავალრიცხოვანი იყო, არამედ დიდძალი ვენელოვანიც.

მე შემეძლო ბევრი სხვა მიზეზის ხსენებაც, რამაც შავ ზღვაზე ნაოსნობის გააქტიურება გამოიწვია იმ დრომდე, ვიდრე თათრებს აქედან გააძევებდნენ და ყირიმიდან პრუტამდე გადაქიმულ მიწებს რუსები თავიანთ სამფლობელოებად აქცევდნენ, მაგრამ ეს ჩემი თემიდან დიდი გადახვევა იქნებოდა.

1815 წლიდან 1819 წლამდე ამ გზაზე ნაოსნობა კვლავ დიდად გამოცოცხლდა. 1818 წელს ოდესის რეიდზე ცხრასი სავაჭრო გემი დადვა; ფეოდოსიაში ოთხასზე მეტი, ტავანროგშიც ამდენივე, სამხრეთ რუსეთის უზარმაზარი ტრამალებიდან მიღებული პროდუქცია, რომელიც საქაროების შემთხვევაში საკვებით დააკმაყოფილებდა მთელს ევროპას, ამ დროს მთლიანად გაიგზავნა საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში, — ქვეყნებში, რომლებიც მოუსავლიანობამ შოიცივა.

ამ დროიდან მოყოლებული, რომელიც ასეთი ბრწყინვალე ხანა იყო ამ ნავსადგურებისათვის, ყველაფერი შეიცვალა. საფრანგეთში პალატამ გამოისცა ამკრძალავი კანონი სოფლას მკურნეობას სასარგებლოდ.

ოთხი წლის კარგმა მოსავალმა დაადასტურა ამ კანონის კეთილგონიერება; ორი წლის სასტიკი გვალვებისა თუ ვაღაულებელი წვიმების გამო კი შესაძლოა წინდაუხედავ ნაბიჯად ჩაეთვალათ იგი, მაგრამ მე პირადად ამ კანონს ვიცავ და საკამათოდ არ ვხედი. შემოვიფარგლები მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ეს კანონი დროებით აღატაკებდა პოდოლისა და უკრაინის შემამულეებს და რუსეთს აიძულებდა გაედიდებინა გადასახადები ჩვენს ღვინოზე. ანდა აეკრძალა ზოგიერთი ჩვენი სამრეწველო პროდუქციის შემოტანა, ამასთან ერთად, იგი ზღუდავდა ჩვენს ნაოსნობას შავ ზღვაზე, ართმევდა მის ფრასტს ნამდვილ საზრდოს და ამკრებდა სამეფო საზღვაო ფლოტისათვის საჭირო მეზღვაურთა რაოდენობას. ამგვარად, დიდი იმპერიის მმართველობაში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ხშირად

ცალკეულმა ღონისძიებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სოციალური ორგანიზაციის მთელ სისტემას.

დაუბრუნდეთ ჩვენს მოგზაურობას. სამხრეთ-დასავლეთის ქარმა ხელი შეგვიწყო და საკმაოდ ახლოს ჩაუვარტო ჩრქვეთისა და აფხაზეთის ნაპირებს. ისე რომ შეგვეძლო დავმტკბარიყავით ლამაზი დაბლობებით, რომელთაც ტყით შეფენილი მთები მიუყვებოდა და შორს, მარადიული თოვლით დაფარული კავკასიის მწვერვალები გადმოიყურებდა.

ამ მწვერვალებს შორის გამოირჩევა იალბუზი (Elbourous): ახლახანს ჩატარებული დაკვირვებას შედეგად დაიტყვიანდა, რომ მისი სიმაღლე ხუთასი ტუზით აღემატება მონბლანის სიმაღლეს<sup>52</sup>; იალბუზის ორ თანაბარ და პარალელურ ნაწილებად დაყოფილმა მწვერვალმა სომხებს აფიქრებინა, რომ ვზააბნეულმა ნოემ. ეიდრე არარატის მთას მოაღწედა. ეს მთა გადმოლახაო.

სოხუმ-კალეში ჩასვლამდე მსურდა ბიჭვინთის (Pilsunda) ყურეში შესვლის და იქ ნაპირზე გადმოსვლის შესაძლებლობა მოგვეცემოდა: მაგრამ აფხაზეთის ის ნაწილი, სადაც ბიჭვინთა მდებარეობს, არ ემორჩილება რუსეთის მიერ დანიშნულ ხელსუფალს და ისევე როგორც სტრაბონის<sup>53</sup> დროს, ნაპირის გაყოლებაზე მცხოვრები ხალხი დღესაც მეკობრეობას... ეწევა. ამიტომაც აქ ჩამოხდომაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო.

ქარი, რომელმაც ხელი შეუწყო ჩვენს მოგზაურობას ოდესიდან სევასტოპოლამდე. არც ახლა ვვაკლებდა მთარეულობას და ამ უკანასკნელი ნავსადგურიდან სოხუმ-კალეს ყურეში ჩავედი: ღუზა აქ ყოველიდან ჩენი გამომგზავრების შეეჭვა უღეს ჩავეუწოთ. ციხიდან დაახლოებით ორ ვერსზე (14) და ქვეყნის რამდენ-მე ვასროლით ციხეს მივესალმეთ.

ღუზის დამავრების ადგილას ზღვა ოცდაათი საზღვაო საენის სიღრმისა იყო.

(14) ვერსი<sup>54</sup> შედგება ხუთასი საენისა, ანუ ტუზისაგან, ექვსი ფუტი, ექვსი გოჩი<sup>55</sup>, ექვსი წირისაგან<sup>56</sup>.

თემრუქი და ტამანი. — შავი ზღვის კახაეზი, ზამოროვიელი კახაეზი წარსულში. — მათი ზნე-ჩვეულებანი. — როგორ ამუშავენ ისინი ყუბანის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მიწებს. — სილუზიისა და ციკაის ქიშის ცხვარი. — არნუტკას (arnaut) ქიშის ხორბალი. — ანაპა, ფაშას რეზიდენცია. — ამ ქალაქსა და კასპიის ზღვას შორის მომოსვლის შესაძლებლობა. — მისი ვაჭრობა. — მოსაზრებანი ამ ტერიტორიის შესახებ. — სეფუ-კალე. — გელენჯიკი (Ghelintchik). — ფშადი (Pschad). — ჩერქეზეთისა და აფხაზეთის საზღვრები.

ვიდრე შევუდგები სოხუმ-კალეს აღწერას, ვილაპარაკებ ამ ციხეში ჩვენი ყოფნის შესახებ და რედუტ-კალემდე შევდგომ მოგზაურობაზე, ორიოდ სიტყვით აღწერ სხვადასხვა ნავსადგურებსა და ყურეებს, რომლებიც ამ ნაპირზე გვხვდება ანაპიდან ბათუმამდე, რათა წარმოვანიხო ამ მხარის სავაჭრო და სანაოსნო რესურსები და ამასთანავე მივუთითო, თუ რა სამუშაოებია ჩასატარებელი იქისათვის, რომ მათი სარგებლიანობა გაიზარდოს.

მართალია, თავად ვერ შევძელი სანაპიროს ამ მონაკვეთის დათვალიერება, მაგრამ ასეა თუ ისე, ყველაფერი ვილონე, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული, რათა შემეგროვებინა უზუსტესი ცნობები და მკითხველს წარმოვუდგინე მხოლოდ მას შემდეგ. რაც ეს ცნობები ამ ნავსადგურებში, ყურეებსა და პატარა უბებში ნამყოფ კაპიტნების ნაამბობსა და მოსაზრებებს შევადარე, შევაჯერე აქაურ რუს მოხელეთა მოხსენებებს და იმ სომხების ცნობებს, რომლებიც ამ მხარეში ვაჭრობას მისდევენ.

აღნიშნული საქმეშაოსათვის მე მოვიშველიე აგრეთვე ბ-ნ ტებუ დე მარინის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი „1818 წლის მოგზაურობა ჩერქეზეთში“<sup>1</sup>; იგი დღეს ფეოდოსიაში ნიდერლანდების მეფის ვიცე-კონსულია; განსაკუთრებული დახმარება გამიწვია კონსულ პეისონელის ნაშრომმა შავი ზღვის კომერციაზე.<sup>2</sup>

თემრუქი და ტამანი უწინ ჩერქეზეთის ნაწილს წარმოადგენდა. დღეს ორთავე ეს ქალაქი რუს ჯარისკაცებს უკავიათ; მათ ტამანის ახლოს ციხე ააგეს და ფანაგორია უწოდეს, ძველი ბერძნული ქალაქის მოსაგონებლად. რომელიც ოდესღაც ამ ადგილას იყო აშენებული.<sup>3</sup>

ქანდაკებებს, კაპიტლების, სვეტების ნანგრევ-ნამსხვრევები, წარწერები მარმარილოზე და აგრეთვე ამ ციხის მშენებლობისათვის გამოყენებული ფლეთილი ქვები ამ ანტიკური ქალაქის ძველი მოსახლეობის ცივილიზაციის საბუთია.

მეტისმეტად უცნაურია ის კონტრასტი, რომელიც ბერძნებისათვის ასე რიგად დამახასიათებელ ნატიფ ხელოვნებასა (ისინი პერიკლეს<sup>1</sup> დროს მოვიდნენ კოლონიის დასაარსებლად ტამანის სრუტის სამხრეთ ნაპირზე) და იმ ბარბაროსობას შორის არსებობს, რომელიც დაახლოებით ნახევარი საუკუნეა, რაც ცნობილ ზაპოროჟიელ კაზაკებში შეინიშნება; ისინი დედოფალ ეკატერინე II-ის დროს დნუპრის ქორომების ჰიდამოებიდან ყუბანის ნაპირებზე გადმოსახლებულან და დღეს ჩერნომორელ (tchernomorsky), ანუ შავი ზღვის კაზაკებად იწოდებიან<sup>2</sup>.

მათი წარმოშობა დაახლოებით 800 წლით თარიღდება; მათი პირველი სამხედრო კრება კი მხოლოდ — 948 წლით.

ვინმე ფათერაკის მაძიებელი, ამა თუ იმ ერის წარმოქმედგენელი რომ თავიანთ რიგებში მიეღოთ, მას აუცილებლად დიდი სიმამაცე უნდა გამოეჩინა და მკაცრი კანონების ბრმა მორჩილი ყოფილიყო (1).

თუ ერთი კაზაკი მეორეს წინასწარი განზრახვით მოკლავდა, მკვლელსაც სიკვდილით სჯიდნენ და ორთავეს ერთად მარხავდნენ.

როდესაც უკრაინაში დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული რომელიმე კაზაკი ჰოინდომებდა უეცოლობის აღთქმის დარღვევას, კანონი მას არ სჯიდა, ქალთა თავაშვებულობის მიმართ კი იგი შეუწყნარებელი იყო.

თუ ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი ბავშვს გააჩენდა, მას თმებით მიაბამდნენ ეკლესიის კარზე და ყველა იქ შემსვლელი ამ ქალს სახეში აფურთხებდა, თან უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა.

თუ გათხოვილ ქალს ქმრის ღალატს დაუშტკიცებდნენ, მას მიწაში კისრამდე ჩაფლავდნენ და შიმშილით სულს ამოხდიდნენ.

ამ ჩვეულებებისა და კანონების მქონეთ, სტუმართმოყვარეობა საყოველთაო წესად ჰქონდათ მიღებული და მათს ქვეყანაში ჩამოსულ უცხოელ მოგზაურს ყველგან სანაქებო მასპინძლობას უწევდნენ. ამასთანავე, უხუცესების მიმართ კაზაკები განსაკუთრებულ პატივისცემასა და თაყვანისცემას იჩენდნენ, რაც პატრიარქალურ ჩვეულებებს გვაგონებს.

ზაპოროჟიელი კაზაკები დიდი ხნის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდნენ თავიანთ მეზობლებს — რუსებს, პოლონელებს, მოლდაველებს, თათრებსა და თურქებს. ისინი ამ სახელმწიფოთაგან ხან ერთის, ხან მეორის მფარველობაში შედიოდნენ; ყველაზე მეტად კა

(1) იხილეთ „მალორუსების (Malo-Russes), ანუ მცირე რუსების, ისტორია“.

საერთო ენას ნახულობდნენ რუსებთან, რომლებიც მათსავით ბერძნულ სარწმუნოებას აღიარებდნენ.

სულთან მურადი<sup>7</sup> (Amurat) ხშირად ამბობდა ხოლმე: თუ ვინმე რაღაცას მიწყობს ან მებრძვის, ყოველი შემთხვევისათვის ცალ გვერდზე მძინავსო, მაგრამ თუ ზაპოროჟიელები მეშუქებიან, განუწყვეტლივ ვფხაზლობო.

ნაკლებ შიშს როდი ჰკვირდნენ კაზაკები სულთან ოსმანსა<sup>8</sup> (Osman) და მის შემკვიდრებს.

ამიტომაც იყო, რომ ოტომანთა იმპერიასა და პოლონელებს შორის დადებულ ყველა ხელშეკრულებაში პირველი პუნქტი ითვალისწინებდა კაზაკებისათვის ბორისთენსა<sup>9</sup> და ევქსინის-პონტონზე<sup>10</sup> (Pont-Euxin) ნაოსნობის აკრძალვის მოთხოვნას.

ზაპოროჟიელისათვის მთავარ სიძნელეს დნებრის კოროპების გადალახვა წარმოადგენდა. ამ დაბრკოლების დაძლევის შემდეგ კი მათი ზომაღებები ერთად მოაყრიდნენ თავს, მიეკვროდნენ ერთმანეთს და ასე გაივლიდნენ ამ მდინარის შესართავთან თურქების ორ ციხეს შუა და ორმოცი საათი საკმარისი იყო მათთვის ტრაპიზონისა თუ სინოპის გასაძარცვად და კონსტანტინოპოლში გასაყრიდ ტყვეების შესაგროვებლად.

ფელდ-მარშალი რაზუმოვსკი<sup>11</sup> (Rasumolski) უკრაინელი კაზაკი გახლდათ; იგი ზაპოროჟიელ კაზაკთა პეტმანად დაინიშნა<sup>12</sup>.

ეს წოდება რაზუმოვსკის შემდეგ სხვა ალარავის მიუღია, რადგანაც რუსეთი მეტად შეაშფოთა იმ ძალაუფლებამ, რომლითაც ამ წოდების კაცი სარგებლობდა.

პოლონეთის საზღვრებთან განლაგებულ კაზაკთა ამბოხებებს ბოლო არ უჩანდა. ამ მიზეზისა თუ კაზაკთა მებრძოლი ბუნების გამო ყუბანის მარცხენა ნაპირზე მეცხოვრებ ჩერქეზთა მიერ რუსებზე ხშირი თავდასხმების ასალაგმავად ოსინი დედოფალმა ეკატერინე II-მ აუსტ-ლაბანადან ტამანამდე განასახლა მდინარე ყუბანის, ძველი ავტორების ჰიპანისის<sup>13</sup>, მარჯვენა მხარეს.

ახლა სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ჩერნომორელ კაზაკებს, მას შემდეგ, რაც მათ ხელი მიჰყვეს მათთვის მიცემული ნაყოფიერი მიწების დამუშავებას, ზნე შეეცვალათ; მათი ძველთაძველი, უმკაცრესი ჩვეულებანი და კანონები მოისპო ან მოძველდა. სოფლის მეურნეობით, ვაჭრობითა და მეთევზეობით გამდიდრებულებმა იწყეს ბავშვების განათლებაზე ზრუნვა, რაც მათ ყოველთვის აკლ-



დათ. 1817 წელს მე ვნახე ამ ამაყ ზაპროუიელთაგან ერთ-ერთის ვაჟიშვილი, რომელიც ოდესაში რიშელიეს ლიცეუმში<sup>14</sup> აღიზარდა.

კახაკებმა უკრაინიდან ჩამოიყვანეს კარგი ჭიშის ხარები, რომელიც აქ საკმაოდ გავრცელებულია და დიდად დასანანია, რომ ეს ჭიში ამიერკავკასიის პროვინციებში ჯერ კიდევ არ მოუშენებიათ.

კახაკთა ცხვრის ჭიშები გაცილებით უკეთესია, ვიდრე ისინი, რომელთაც დონის გასწვრივ ვხვდებით. ამ ჭიშის გაუქობესება პეტრე დიდს მიეწერება, რომელიც ყოველნაირად ზრუნავდა თავისი იმპერიის აყვავებისათვის<sup>15</sup>.

ამ დიდ აღამაისს ყოველთვის თან დაჰქონდა უბის წიგნაკი და წერდა იმ ახტებას და გეგმებს, რომელთა განხორციელებაც მას საჭიროდ მიჰჩნდა.

ერთ-ერთი ასეთი ჩანაწერი იქნებოდა:

„1720 წლის 23 იანვარი. უკრაინაში, რუმანოვს (Roumanoff) უნდა გავგზავნოს ბრძანება ამ ქვეყნის ხარების გაცლის შესახებ სილეზიის ცხვრებზე. გაიგზავნოს ხალხი ცხვრებისა და ვერძების ჭიშის გამოყვანის შესასწავლად, ასევე მათი გაკრების წესისა და მატყლის დამზადების შესასწავლად“ (2).

ეს ბრძანება განხორციელდა და დღეს, რუსეთის არაერთ გუბერნიამი სილეზიის ცხვარმა უწინ აქ გავრცელებული ჭიში შეცვალა.

სილეზიისა და ციგაის ჭიშის ცხვარი ორთავე საკმაოდ დიდი ტანისაა; აქვთ მოგრძო და ხვეული მატყლი. მერიანოსის ჭიშთან შეჯვარებული ეს ცხვარი მეოთხე თაობაში აბრეშუმისმაგვარ მატყლს იძლევა, თუმცა იგი უწინდელთან შედარებით ოდნავ უფრო მოკლეა. ინგლისელ ფაბრიკანტებში ამ მატყლს დიდი გასავალი აქვს. ციგაისა და სილეზიის თითო ცხვრის ფასია 10 — 12 მანეთი, ანუ ფრანკი.

კახაკებს თავიანთ მიწებზე მოჰყავთ საუცხოო მაგარი ჭიშის ხორბალი, რომელიც ცნობილია არანუტკას ხორბლის სახელწოდებით: ეს ის ჭიშია, რომელიც გავრცელებულია ნეაპოლის სამეფოში და ეწოდება *grano duro*<sup>16</sup> (3). 1817 და 1818 წლებში მათ ეს ხორბალი ძალზე დიდი რაოდენობით გაგზავნეს ტაგანროგსა და ფეოდოსიაში, საიდანაც იგი ევროპაში გაზიდეს.

ერთ ჩეტვერტ<sup>17</sup> (chetvert) მარცვლეულს, ანუ სამას ოცდაცამეტ და ერთ მესამედს ძვ. წონის ერთეულით, იმხანად დაახლოებით 36 ფრანკად ყიდდნენ; დღეს ეს ფასი 7-8 ფრანკამდე დაეცა. ამის გამო

(2) იხილეთ „რუსეთის ისტორია“, ლეკლერისა (Leclerc) და ლ'ევეისა (L'Evêque).

(3) ეს მარცვლეული ერთადერთია, რომლისგანაც იტალიური მაკარონი მზადდება.

მარცვლელის მოყვანა შემცირდა და სანაცვლოდ ცხერის მოშენებასა და ცხენების მომრავლებას მიჰყევს ხელი. აქაური ცხენი საკმაოდ ტანმაღალია და ერთნაირად გამოსადეგია როგორც სასაძალნედ, ასევე საჯდომად; სამწუხაროდ, საბაჟოს წესდებით სასტიკად იკრძალება აქედან ცხენების გაყვანა. ამ ღონისძიებამ, რომელიც შესაძლოა გამართლებული იყო ხანგრძლივი რევოლუციური ბრძოლების პერიოდში, შედეგად მხოლოდ ის გამოიღო, რომ სოფლის მეურნეობას მოაკლო საუცხოო მანძირები, რომლებიც გადაჭიმულია მოსკოვიდან კავკასიამდე, ხოლო რუსეთს მოუსპო მნიშვნელოვანი ფულადი შემოსავალი, რასაც იგი უდავოდ მიიღებდა ცხენებით ვაჭრობის შედეგად.

როდესაც ძველ კოლხეთში საქმის მცოდნე მიწათმოქმედნი დამკვიდრდებიან, სწორედ ტამანიდან შეძლებენ მათთვის საჭირო ცხენებისა და ყოველგვარი სახის პირუტყვის იაფად ჩამოყვანას.

მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის კაზაკები ყუბანის ნაპირებზე მიწათმოქმედებას მისდევენ, ისინი მაინც შეუპოვარ მკობრებად დარჩნენ და მთიელებს შიშის ზარს სცემენ. მათ ჩერქეზებისაგან გადაიღეს ტანსაცმელი, იარაღი, ჩვეულებანი და ბრძოლის წესები. თარეშის უინი, რომელიც მათში ჭერ კიდევ არ გამქრალა, კაზაკებს უბიძგებს გადალაზონ ყუბანი და ძარცვონ ჩერქეზული სოფლები; თუმცა, ეს სხვა არა არის რა, თუ არა რეპრესიების მსგავსი ქმედება. რუსეთის მთავრობამ აკრძალა მათი ყოველგვარი თავდასხმა ჩერქეზებზე, მაგრამ კაზაკებს კანონიერი თავდაცვის უფლება დაუტოვა. ამ აკრძალვის შედეგად და ამასთანავე შავი ჭირის სამიწროების თავიდან ასაცილებლად, კაზაკებს, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად, არა აქვთ ყუბანის გადალაზვის უფლება.

თემრუქი და ტამანი გაუშავრებელი ადგილებია. ეს ორი პუნქტი ერთმანეთთან ახლოსაა: პირველი მათგანი ყირიმის აღმოსავლეთით მდებარეობს, მეორე — ენიკალეს უკიდურესი აღმოსავლეთით.

ნაწილი გემებისა აქ, აზოვის ზღვაზე, აწარმოებს თევზჭერას, რაც დიდ შემოსავალს იძლევა; ნაწილიც — ტამანის სრუტის გადასალაზვად გამოიყენება.

ტამანსა და ანაპას შორის ძველად საკმაოდ ფართო ვაჭრობა იყო გაჩაღებული; ამჟამად კი იგი სავსებით შეწყვეტილია, ჭერ ერთი იმის გამო, რომ თურქები, რომლებიც ანაპის ციხეს ფლობენ, ყუბანის გადალაზვის დროს ემორჩილებიან სანიტარულ ღონისძიებებს, უფრო კი იმის გამო, რომ რუსებსა და ოტომანთა შორის ცუდი ურთიერთ-

დამოკიდებულება, რაც არასოდეს არ ყოფილა ისე გამწვავებული, როგორც ახლა.

ანაპა<sup>16</sup> პირველი ნავსადგურია ჩერქეზეთის სანაპიროზე. აქედან ყუბანის შესართავი საქმოდ ახლოა. თურქებმა ეს ქალაქი 1784 წელს დააარსეს, როდესაც რუსებმა დაიკავეს ტამანი — ჩერქეზების კოფილი მთავარი ბაზარი (4).

ანაპა დღეს ფაშის რეზიდენციაა. მ-სი მდებარეობა და ფლობა თურქებისათვის იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი დამაკავშირებელი პუნქტია არა მარტო კავკასიაში მცხოვრებ მაჰმადიანურ მოსახლეობასთან, არამედ. უდავოდ, ბუხარის<sup>20</sup> (Buckarie) სურნტ თათრებთანაც. რომლებიც დიდ სულთანს თავიანთ ხალიფად, ანუ რელიგიის მეუპურად. აღიარებენ.

უნდა აღვნიშნო, რომ გულით მეწადა შემეგროვებინა სარწმუნო საბუთები ამ შორეული გზის შესახებ იმ-ს დასტურად. არსებობდა თუ არა იგი ნამდვილად; და თუ იგი მართლაც არსებობდა, მაშინ სავარაუდოა, რომ დერბენტსა<sup>21</sup> და ყიზლარს<sup>22</sup> (Kislaer) შორის ერთი ან რამდენიმე პუნქტი უნდა ყოფილიყო, სადაც საქონელი იტვირთებოდა. დასაშვებია ისიც, რომ კასპიის ზღვის გადალახვით მანგიშლაკის ყურემდე არსებობდა რუსებისათვის უცნობი უწყვეტი სანაოსნო გზა.

სარწმუნო საბუთების უქონლობის მიუხედავად, ბ-ნ დე ნიგრის (Nigri) ორენბურგიდან ბუხარამდე (Bocara) 1820 წლის ოქტომბრის ექსპედიციის ანგარიშმა დაგვარწმუნა, რომ მთელი სამი წლის განმავლობაში ბუხარის ხანი ხალიფას სამ მილიონად ღირებულ საქონელს უგზავნიდა და მადლობის ნიშნად მისგან ყოველთვის საპასუხო ელჩობა ჩამოსდიოდა.

ამგვარი მიმოსვლისათვის კი ძნელია სხვა გზა ივარაუდო. თუ არა შიდა კავკასიის გზა მთელ სიგრძეზე ანაპიდან კასპიის ზღვამდე. სპარსეთისა და ქურთისტანის გავლით მოგზაურობა გაცილებით სახიფათო იქნებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამ მილიონად ღირებული ტვირთი იყო გადასაზიდი.

ეს ვარაუდი შესაძლოა ერთი იტალიელის<sup>23</sup> მტკიცებამ დაადასტუროს, რომელიც 1823 წლის მაისში ბრიუგელი ბ-ნ დე ლ'ეკლუზის<sup>24</sup> (L'Ecluse) ხომალდით ანაპაში გახლდათ. იგი მარწმუნებდა, რომ მან

(4) იხილეთ ბ-ნ პროფესორ კლაროთის<sup>19</sup> მოგზაურობა კავკასიაში.

აქ ბუხარელებისა (Buckares) და დაღესტნელი (Dagheston) შაჰრების მრავალრიცხოვანი ქარავანი ნახა; მათ თავიანთი მეკობრების ანუ ყონალების<sup>25</sup> (Konacs) მფარველობით მშვიდობიანად გადაუვლიათ კავკასია კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე.

ანაპაში ვაჭრობას გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა, რომ რუსეთისადმი თურქეთის განწყობილება დაბრკოლებებს არ უქმნიდეს კონსტანტინოპოლელ თურქ და სომეხ ვაჭრებს და მათ ხელს არ უშლიდეს მთიელებისათვის საჭირო საქონლის შესანახი საწყობების შექმნაში.

1823 წლის ივლისში ეს ბაზარი სრულიად მოკლებული იყო ყოველგვარ ევროპულ საქონელს. ასე რომ, როდესაც აქ ბ-ნ დე ლ'ეკლუსის მიერ საცდელად გამოგზავნილი ხომალდი გამოჩნდა, თვით ფაშამ მეტად ძვირ ფასებში სასწრაფოდ იყიდა მანდი, ტილო და ბეჭი სხვა ყოველდღიური მოხმარების საქონელი, რომლითაც გემი იყო დატვირთული.

ანაპა დაახლოებით სამი ათას მცხოვრებს ითვლის, რომლის მესამედს თურქები შეადგენენ; დანარჩენი ორი მესამედი კი — ჩერქეზები, სომხები და ბერძნები არიან; მათ შორის ბერძნების რიცხვი ყველაზე მცირეა; ისინი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან, ცხოვრობენ ქობახებში და მათ ისე ექცევიან, როგორც ტყვეებს.

ანაპის ციხე ოთხმოცზე მეტ ბრინჯაოს ქვეშებითაა აღჭურვილი, მაგრამ ციხის მიწაყრილი ვერაა მთლად საიმედო, ამდენად იგი მტრის სერიოზულ შემოტევას ვერაერთარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს.

ციხესთან არსებული ნავსადგური, უფრო სწორად სანაპირო, გაშლილ ადგილს წარმოადგენს; ფსკერი აქ ქვიშიანია და არამყარი. ნავსადგურში შესვლა მხოლოდ მცირე წყალწყვის გემებს შეუძლიათ და ამავე დროს, როცა კი ხმელეთის მხრიდან ქარი მძლავრად დაუბერავს, მათ ზღვაში გატაცების საშიშროება ელით.

1791 წელს ანაპა იერიშით იქნა აღებული გენერალ-ლეიტენანტ გუდოვიჩის<sup>26</sup> მიერ, ხოლო ზავის შედეგად იგი თურქებს დაუბრუნდა.

1807 წელს ეს ქალაქი კვლავ აიღეს რუსებმა და 1811 წლამდე შეინარჩუნეს. მათ ფლოტს მეთაურობდა მარკიზი დე ტრავერსეი და სწორედ მან აიძულა ქალაქი დანებებულიყო. სახმელეთო ჯარებს მეთაურობდა აწ განსვენებული ბ-ნი ჰერცოგი დე რიშელიე.

1812 წლის ზავის შემდეგ ანაპა კვლავ დაუთმეს პორტანს; ეს ღონისძიება იმდენად ეწინააღმდეგებოდა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ინტერესებს, რომ გენერალ კუტუზოვის (Kutusoff), რო-

მელიც საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო შეუნდეს, რომ გაჩნდა სასწრაფო და გარდაუვალი საჭიროება მოლდავეთის არმიის გამოყენებისა ფრანგების წინააღმდეგ, რომლებიც დაეუფლნენ მოსკოვს, და ალბათ, კიდევ იმის გამოც, რომ არ ესმოდათ, რა კარგი მდებარეობა ჰქონდა და რა მნიშვნელოვანი იყო ეს ადგილი.<sup>27</sup>

ასეა თუ ისე, დაშვებული შეცდომა მხოლოდ წინდაუხედაობად მიიჩნეეს და როგორც ამბობენ, გენერალს, — ამ ციხის უფროსს, — უბრძანეს თურქებისათვის მისი გადაცემა შეძლებისდაგვარად გაევიწყლებინა. მაგრამ ამ ბრძანებამ დროზე ვერ მიაღწია ადგილამდე, თუ სულაც არ არსებულა იგი. მოხდა ისე, რომ ფოთიცა და ანაპაც ერთდროულად გადაეცათ თურქებს; ამავე დროს, ფოთის დაკარგვით რუსეთს ფაზისზე<sup>28</sup> (Phase) ნაოსნობაზეც უნდა ეთქვა უარი, რაც ასე საჭირო იყო იმერეთში განლაგებული მისი ჯარების მოსამარაგებლად და სავაჭრო ურთიერთობისათვის; ხოლო ანაპის დაკარგვით იმპერიის საზღვრებზე, კავკასიის ხალხთა შორის მისი მუდმივი მტერი იჭრებოდა და ამის გამო ამ ხალხების დამორჩილება შემდეგში ძალზე გაძნელებოდა.

ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ერთი გარემოება იჩენს თავს: როგორც ცნობილია, ევროპის ქვეყნების მთავრობათა ერთსულოვანი შეთანხმებით და ამის შემდგომ თვით ინგლისის ინიციატივით გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება ზანგებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ. იმპერატორმა ალექსანდრემ, რომელსაც სხვა მონარქებზე მეტად სძაგდა ეს ამაზრზენი საქმიანობა, თანხმობა განაცხადა თავის სახელმწიფოში კოლონიური საქონლის შემოტანის აკრძალვაზე იმ ქვეყნებიდან, სადაც ხსენებული ვაჭრობა ჯერ კიდევ დაშვებული იყო. ასეთ ვითარებაში ანაპის ფაშა თუ მაინც კვლავ მხარს დაუჭერს კავკასიის ხალხების მუდმივ შულს რუსებთან და საამისოდ მათ იარაღითა და საბრძოლო მასალით მოამარაგებს, თუ იგი არ შესწყვეტს აქ მამაკაცების, ქალების, ბავშვების უწინდებურად ყიდვას და ამ ხალხის რბევის შედეგად მოპოვებული ტყვეებით ვაჭრობას ყუბანის გაღმა მხარეში, დაიძებნება განა რაიმე დებულება საერთაშორისო სამართალში, ცივილიზებულ ერთა კოდექსში, რომელსაც ძალუქს აიძულოს რუსეთი ითმინოს ასეთი ვითარება? როგორც ჩანს, ანაპისა და ფოთის დათმობა რუსეთისათვის ძირითადი პირობა უნდა გახდეს რუსეთის იმპერიისა და დივიანის დასაახლოებლად და მათ შორის მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად.

ბ-ნი კლაპროთი, ვფიქრობ, ცდება, როცა ამტკიცებს, ჩერქეზები იშვიათად ყიდიან თავიანთ ბავშვებს, განსაკუთრებით გოგონებსა. ბ-ნ ტებუ დე მარინი, რომელმაც როგორც ვაჟარმა, ბევრჯერ იმოგზაურა ანაპაში, დარწმუნებით ამბობს, რომ თურქები აქ ვაჭრობენ ჩერქეზებთან და რომ კონსტანტინოპოლიდან ან ანატოლიიდან ყოველწლიურად შემოტანილ სხვადასხვა საქონელს უცვლიან მათ გოგონებსა და ბიჭუნებზე(5). ეს გარემოება დამიდასტურა ერთმა სარწმუნო პიროვნებამ, რომელიც 1823 წლის ზაფხულში ანაპაში იმყოფებოდა. ამ მტკიცების დასასაბუთებლად მეც მოვიყვან ერთ ფაქტს. რომელიც მოხდა 1817 წელს, ყუბანზე მდებარე ეგორლიკ-ს<sup>29</sup> (Egorlick) კარანტინში, ჩემს იქ ჩასვლამდე ერთი თვით ადრე.

ერთმა ჩერქეზმა მდინარე გადალახა თავისი კაუკიო, ანუ ნავით, მამასთან და თხუთმეტ-თექვსმეტობდე წლის ძმასთან ერთად: აქ მან პირი შეკრა ერთ სომეხთან, მოატყუა მამამისი და რამდენიმე ფუთ (6) მარჩლზე გაუცვალა იგი სომეხს. ნეაქრით კმაყოფილმა, სომეხს შესთავაზა — ძმასაც მოგიყიდიო; როდესაც ფასზე შეთანხმდნენ, ჩერქეზი მიუახლოვდა ძმას, მკლავები ზურგს უკან შეუბოჭა და მისი ცრემლებისა და მუდარის მიჰართ უგრძნობელმა, ხარბ მყიდველს ჩააბარა, რომელმაც იგი შიდა რუსეთში წაიყვანა.

ეს ამბავი ეგორლიკ-ს კარანტინის მოხელეებმა მიაგმეს, რომლებიც თავს დებდნენ, ამ საზიზღარი ვაჭრობის მოწმენი თავად ვიყავითო. ასეთი რამ მართლაც შეიძლება მოხდეს ისეთ ქვეყანაში, სადაც თავადები თავიანთ მცირეწლოვან ბავშვებს აღსაზრდელად სხვებს აძლევენ და როცა მათი აღზრდა დამთავრდება, შეილენ მხოლოდ მაშინ იხილავენ ხოლმე<sup>30</sup>.

ჩერქეზების ამ ზნე-ჩვეულებას, და საერთოდ, სხვა ჩვეულებებმაც რაღაც მსგავსება აქვთ სპარტელებს ზნე-ჩვეულებებთან, რომელთაც ამ სანაპიროზე კოლონიები ჰქონდათ დაარსებული<sup>31</sup>.

დაეუბრუნდით ანაპას; ფაშა მიზნად ისახავდა ჩერქეზეთის მთელი ვაჭრობა ანაპიდან წარეპართა. ამის მისაღწევად კონსტანტინოპოლში ფირმანების<sup>32</sup> გაცემაც კი აკრძალეს სუჯუყ-კალეში<sup>33</sup>, ფშადანა<sup>34</sup> და გელენჯიკში<sup>35</sup> მიმავალი ხომალდებისათვის. მაგრამ ჩერქეზები, რომელთაც კარგად ახსოვდათ 1812 წლის შავი ჭირის ეპიდემიამ როგორ

(5) ბ-ნ ტებუ დე მარინი „1818 წლის მოგზაურობა ჩერქეზეთში“ (1821 წ. 83-6).

(6) ფუთი (poud) შეადგენს ოცდაცამეტ ლივრსა და ერთ მესამედს ძვ. ზომის ერთეულით.

განადგურა მათი ქვეყანა; ძალზე ეურჩებოდნენ ფაშის ამ შუამდგომლობას და ამჟობინებდნენ, რომ მათ ნავსადგურებთან პირდაპირი ვაჭრობა დამყარებულიყო.

რუს ვაჭრებს ანაპაში შიშისა და უნდობლობის გრძნობით ხვდებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ამ ადგილსა და ყირიმის ნავსადგურებს შორის არაერთარი ურთიერთობა არ არსებობდა.

ბ-ნ ტებუს, რომელმაც ახლახან იმოგზაურა ამ მხარეში, თავდაპირველად შიშის გრძნობა გაუჩნდა, მაგრამ როგორც კი გაირკვა, რომ იგი ფრანგია (7), მისდამი ყოველგვარი უნდობლობა უმაღლესე გაქრა, და ბ-ნი ტებუც მხოლოდ ქებით იხსენიებს თურქ ფაშას გულთადობისათვის, რომელიც ამ უკანასკნელმა მის მიმართ გამოიჩინა.

ანაპა შეესაძლოა ხელსაყრელი ნავსადგური გახდეს ფრანგებისათვის, თუკი ისინი აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროებზე სავაჭრო-კანტორებს გახსნიან. განურჩევლად იმისა, თურქების ხელში იქნება ეს ადგილი, თუ კვლავ რუსეთი დაეუფლება მას.

ანაპის გარნიზონში მყოფი თურქები კონსტანტინოპოლს აპარაგებენ საქონლით.

რაც შეეხება ჩერქეზებისათვის განკუთვნილ საქონელს, ნაცულად იმისა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩემი ვარაუდი გამოვთქვა, საჭიროდ ჩავთვალე „დამამტკიცებელი დოკუმენტებისათვის“ დაშერთო კონსულ პეისონელის მიერ შედგენილი ჩერქეზეთის საიმპორტო და საექსპორტო საქონლის სია, რომელიც მას მოტანილი აქვს თავის 1787 წლის „ტრაქტატში შავი ზღვის ვაჭრობის შესახებ“ (8).

მთიელები სოფლის მეურნეობის წესებსა და ტრადიციებს იმე მტკიცედ ინახავენ, რომ შეუძლებელია მათში რაიმე ცვლილების შეტანა, მოსალოდნელია მხოლოდ პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების მკვეთრი შემცირება. ეს შედეგია 1812 წლის შავი ჭირისაგან მთის მოსახლეობის გაჩანაგებისა და იმ უმოქმედობისა, რომელშიაც ვაჭრობა აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც რუსეთი ყირიმსა და ყველა მოსაზღვრე მხარეს დაეუფლა.

როდესაც ბ-ნი დე ლ'ეკლუზი ანაპის ნავსადგურში იყო, მისი მოხელეები ხშირად ხვდებოდნენ ქუჩებში რუს ტყვეებს, რომელთაც ძალიან უნდოდათ მისი ხოპალდით ესარგებლათ, რათა თავისუფლება

(7) ბ-ნი ტებუ დღეს ნიდერლანდების მეფის ვიცე-კონსულია ყირიმში.

(8) „დამამტკიცებელი დოკუმენტების“ მეორე შენიშვნა.

დაებრუნებინათ; მაგრამ თურქების მეთვალყურეობა ბ-ნ დე ლ'ეკლუზის მოხელეებს საშუალებას არ აძლევდა შეესრულებინათ რუსების სურვილი.

ანაიდან დაახლოებით ოცდათორმეტ ვერსზე (რვა ლიე) მდებარეობს სუჯუკ-კალე. მას მხოლოდ ერთი ღია ყურე აქვს, რომელიც ჩრდილოეთის ქარებისაგან ტაუბას (Taouba) კონცხითაა დაცული. იგი კეტავს მუღმივი დინებით შექმნილ შესასვლელს; ეს დინება საოცარი სისწრაფით მიუყვება მთელს ნაპირს სიგრძეზე, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

ყურის ფსკერი შლამიანია და წელიწადში რვა თვის განმავლობაში ზომალდებს აქ არაერთარი საფრთხე არ ემუქრებათ.

სუჯუკ-კალეში ვაჭრობა სრულებით აღარ წარმოებს და მისი სადღეისოდ ძალზე მცირერიცხოვანი მოსახლეობა საჭირო ევროპულ საქონელს ანაპაში ცვლის ტყავზე, ბზაზე, ცვილზე, თაფლსა და ტყვეებზე.

სუჯუკ-კალესა და გელენჯიკს შორის, რომლებიც ერთმანეთისაგან დაახლოებით სამოცი ვერსით (თხუთმეტი ლიე) არიან დაშორებულნი, ვხვდებით პატარა ყურეს, რომელსაც თურქები იალანჯიკს (jalandji), ანუ ცრუ გელენჯიკს, უწოდებენ. საკუთრივ გელენჯიკს აქვს ერთი ყურე, რომელსაც ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქარებისაგან იცავს ორი კონცი; ამ ყურეს მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის ქარი აღწევს.

ძველად თურქებს ამ ადგილას ქარი ჰყავდათ. მოგვიანებით, ისევე როგორც სუჯუკ-კალედან, თურქებმა აქედანაც გაიყვანეს თავიანთი ქარები, რათა საკუთარი ძალებისათვის ანაპაში მოეყარათ თავი. სწორედ გელენჯიკში დააარსა დიდად განათლებულმა და ენერგიით აღსავსე გენუელმა ბ-ნ დე სკასიმი<sup>36</sup> თავისი ძირითადი ფაქტორია, სწორედ მისი იდეა გახლდათ, ჩერქეზები და კავკასიის სხვა ხალხები ვაჭრობის საშუალებით თანდათანობით ცივილიზაციას უნდა ეზიარონო.

ამ პროექტს, რომელიც 1813 წელს აწ განსვენებულ ბ-ნ ჰერცოგ დე რიშელიეს წარუდგინეს, იგი უსათუოდ დიდი ენთუზიზმით მიიღებდა, რამეთუ თვითონაც დიდად გაბედული ადამიანი იყო და საფრთხის წინაშე ქედს არასოდეს იხრავდა, თანაც გულთან ახლოს მიჰქონდა ხოლმე ოპის გამო დატრიალებული უბედურება. დიდი ხნის განმავლობაში, სამხრეთ რუსეთის მთავარმართებლად ყოფნის დროს, მთიელებთან განუწყვეტელი შეხლა-შემოხლის ვითარებაში, უზუნებობისადმი მათი მიდრეკილების მიუხედავად, ამ ხალხის ხასიათში მან საკმაოდ ამაღლებული თვისებები შეიცნო. იგი დარწმუნდა, რომ ისი-



ნი განუწყვეტელ თავდასხმებს აწყობდნენ არა მარტო იმიტომ, რომ მეომრული ეინი აპოძრავებდათ და თანაც ადვილად შეეძლოთ შეხიზნოდნენ მაუდგომელ მთებს, რომელთა გზა-ბილკები მარტო მათთვის იყო ცნობილი. არამედ უფრო იმის გამო იბრძოდნენ, რომ უკიდურეს გასაჭირში აყენენ ჩაყარდნილნი მას შემდეგ, რაც ისინი მათსავე ტერიტორიაზე შეაფიწროვეს; ამავე დროს, საგარეო ვაჭრობის დაკნინების გამო ისინი ველარ პოულობდნენ თავიანთ ნანადირევისათვის და ტყის პროდუქციისათვის გასაღების ბაზარს, ჰერცოგმა დე რიშელიემ გამოიყენა ამალღებული სათნოებოთ მოპოვებული მთელი თავისი გავლენა, პატივი, რითაც იგი სარგებლობდა და მზარი დაუჭირა ბ-ნ დე სკასის პროექტს; ჰერცოგმა ეს პროექტი ადვილად მიაღებინა ერთ სუვერენს, რომელიც თავისი ქველმოქმედებით გამოიჩინებდა.

როდესაც ბ-ნმა გრაფმა დე ლანფერონმა შეცვალა ბ-ნი ჰერცოგი დე რიშელიე, მან განაგრძო თავისი წინამორბედის მიერ აღთქმული მფარველობა ბ-ნ დე სკასისადმი. ამ უკანასკნელს ნება მისცეს სავაჭროდ თავის განკარგულებაში სახელმწიფო შენობა ჰქონოდა და ასი ათასი ფუთი მარილიც საჩუქრად უბოძეს. ბ-მა დე სკასიმ მიიღო ჭილღობი და უცხოეთთან წარმოებული საქმიანობის შედეგად სწრაფად დაწინაურდა. მას დაეველა ფშადში დაეარსებინა საწარმო ნიკოლაევისა და ხერსონის ნავსაშენისათვის საჭირო ხე-ტყის მოსაპოვებლად. ამავე დროს, ბ-ნ დე სკასის მიანდევს შესყიდვა და გამართვა იმ ხომალდებისა, რომელთაც უნდა შეედგინათ ქერჩის ფლოტილია და გადაეტანათ სურსათი კოლხეთში განლაგებული რუსეთის ჯარის ნაწილისათვის. ბ-ნი დე სკასი დღეს ვაჭრობას მესვეურობს ყირიმში, ქერჩში, ძველ პანტიკაპეაში. ეს ნავსადგური ბოლოს და ბოლოს გაიხსნა ევროპის ხომალდებისათვის. აქვეა კარანტინი და საბაჟო. ამასთანავე, უცხოელებს, რომელთაც აქ დასახლება სურთ, სახლების მშენებლობისათვის უკანით მიწის ნაკვეთები ეძლევათ; დაბოლოს, ქალაქის შორიახლო განლაგებული მარლსახდელის ადმინისტრაცია შეღავათიან ფასებში, ე. ი. მოპოვების ფასში ჰყიდის მარლს — მთელს ამ სანაპიროზე პირველი საჭიროების საქონელს, რომელიც ჩერქეზებისა და აფხაზების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლადაა გათვალისწინებული. 1824 წლის ივნისში, ამ ქალაქში ჩემი ჩამოსვლის დროს, მისი სავაჭრო ურთიერთობანი ევროპასთან, ტავანროგთან და ჩერქეზეთის სანაპიროსთან ჯერ კიდევ ძალზე უმნიშვნელო იყო.

ასეა თუ ისე, თუკი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა კვლავაც მშვიდობიან ღონისძიებათა გატარებასა და შეთანხმებების

დადებას ესწრაფვის, როგორც ამას ფაქტები გვადასტურებენ, მაშინ მათი განხორციელების ყველაზე ხელისშემწყობ პირობად ის ურთიერთობანი გამოდგება, რომელსაც აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროზე დამკვიდრებული ევროპელები ჩერქეზეთთან დამყარებენ.

ბ-ნი ტებუ ირწმუნება, რომ ჩერქეზებს ჯერ კიდევ ახსოვთ გენუელები და აქ არსებული მათი კოლონიები. ჩერქეზები მათ Dgenoves-ს უწოდებენ და თავიანთ ძმებად მიაჩნიათ<sup>37</sup>. ბ-ნი ტებუ დასძენდა, რომ ჩერქეზები ფრანგებსაც Dgenoves-ს უწოდებენო, მაგრამ ამ გაუგებრობის ახსნა ბ-ნმა ტებუმ ვერ შეძლო. ეს ფაქტი კი ეტყობა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ჯვაროსნული ომების წარუმატებლობის შემდეგ ფრანგი მეომრები შესაძლოა ნიკეაში<sup>38</sup> ან ნიკომედიაში გადმოვიდნენ, ჩერქეზეთის სანაპიროზე კოლონიები დააარსეს და თან შემოიტანეს მათ ქვეყანაში გავრცელებული ჯავშნები, სამკლავეები, მუზარადები და ხმლები, რომელთა ვაღის თავს ჯვრის ფორმა ჰქონდა. აქ ახლაც შეხვდებით ძველებურ სატევარს ასეთი წარწერით: **pro Deo, pro aris et focis. Dieu le vult**, ზოგიერთ დანაზე კი სხვა მსგავს წარწერას ამოიკითხავთ, რაც უდავოდ, მათს ფრანგულ წარმომობაზე მეტყველებს. ამ იარაღის შოვნა ძალზე ადვილად შეიძლება ჩერქეზეთთან და მათ მეზობელ სვანებთან (Souanes).

აფხაზეთის საზღვართან, გელენჯიკიდან დაახლოებით სამოც ვერსზე, ფშადის ყურეა. მას შეჰვდებ. რაც ფშადში ბ-ნ სკასის წარმოება გაანადგურეს იმ უსიამოვნების გამო, რაც გამოიწვია ახალგაზრდა თავადის ასულის მოტაცებამ ბ-ნ დე სკასის ერთ-ერთი მოხელის მიერ, ეტყობა მან უარი თქვა ფშადზე და თავისი წარმოება გელენჯიკში გადაიტანა<sup>39</sup>. მთელს ამ ნაპირზე ბ-ნ დე სკასის ყონალად ანუ მფარველად ჰყავდა თავადი მეჰმედ-ინდარ-ოღლი<sup>40</sup> (Mehmet-Nidar-Oglow); იგი ყოფილა სილამაზითა და სიმამაცით ცნობილი ჩერქეზი თავადის ასულის, გენერალ ბუხჰოლცის (Bukholtz) მეუღლის ნათესავი<sup>41</sup>.

ფშადის ყურე უსაფრთხოა წელიწადის ცხრა თვის განმავლობაში. მისი საერთო სიღრმე შვიდი-ცხრა საზღვაო საეენია; ფსკერი შლამიანია და ნიჟარებითაა დაფარული. ახლა ფშადში ეაჭრობა საერთოდ არ წარმოებს.

მისი ხეობა გაშლილია ჩრდილოეთის განედის 44 გრადუსზე და 22 მინუტზე. რედი შექმნილია ორი კონცხით.

ჩერქეზეთის ამ ნაწილის მიწები გამოირჩევა ნაყოფ-ერებით და მთლიანად დაფარულია მაღალი ხეებით.

ჰავა ზომიერია მთებში, ცხელია დაბლობებში, საერთოდ კი, ჭან-

სალია. თუკი ნაპირის გაყოლებაზე ზოგიერთ ადგილას ჰავა მანევა, ეს უფრო აღამიანთა დაუდევრობისა და წინდაუხედლობის ბრალია, ვიდრე თვით ქვეყნის ბუნებისა.

ფშადიდან დაახლოებით ოცდაათ ვერსზე, სუბაშია (Soubaschi) ყურემდე<sup>42</sup>, ჩერქეზეთისა და აფხაზეთის საზღვრები. ზუსტად ისეა გადაჭიმული, როგორც ეს რუკების უმრავლესობაზეა აღნიშნული.

არ ვიცი ეს საზღვრები რაიმე პოლიტიკური აქტით ან შემოსევების შედეგად არის დადგენილი, თუ იგი ბუნებრივად გამოყოფს ერთმანეთისაგან ორ ხალხს, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ ენის, ზნე-ჩვეულებებისა და ხასიათის მხრივ და, რომლებიც აშკარად სხვადასხვა წარმოშობისანი არიან.

### თ ა შ ი III

სუბაში. — მამაი. — აღლერი (Ardler). — გაგროს ზეობა. — ბიკენინთის ყურე. — ქველი მონასტერი. — აფხაზეთის ცრუმორწმუნეობა. — სოხუმ-კალე. — მისი ყურე. — მისი გალავანი. — ამ ადგილის მნიშვნელობა ვაქრობისათვის. — რედუტ-კალესთან კომუნიკაციის იოლი საშუალება. — შენიშვნები აზიის ციხეებზე, რომელთა გადაცემას ოსმალეთისათვის პორტა დაინებით მოითხოვს. — მოგზაურობა ამ მხარეში. — მისი ზედი. — ცნობები აფხაზეთა მთავრის გვარის შესახებ. — ქვეყნის არაჩანსალი კლიმატი, რასაც ადვილად ეშველება. — მალაროები გარეუბნებში. — აფხაზეთის ვაკრობა. — მათი ხასიათი. — მათი ენის შედარება ჩერქეზეთისა და ქართველების ენასთან. — როგორ წარმოებს ციხის მომსახურება. — შენიშვნები სოხუმ-კალეს გარნიზონის მდგომარეობაზე.

სუბაშის ყურე პირველი ყურეა აფხაზეთის ნაპირზე; იგი საკმაოდ საიმედოა. საკმარისია მეტად უმნიშვნელო ჰიდრაულიკური სამუშაოების ჩატარება, რომ ამ ყურეში კარგი ნავსადგური აშენდეს. შემდეგი ყურე მამაის ყურე<sup>1</sup> გახლავთ: სუბაშის ყურესთან შედარებით იგი გაცილებით უფრო ღიაა და სინამდვილეში პატარა უბეს წარმოადგენს. აქ მხოლოდ ზაფხულობით შემოდინან ხომალდები საუცხოო ხის მასალისათვის, რომელსაც ახლაც, ისევე როგორც პეისონელის დროს, მარილზე ცვლიან წონაზე წონას და ხშირად უფრო მეტი სარგებლითაც. ვაკრობის ეს დარგი დღეისათვის სრულიად დაცემულია, ძველად კი მას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და იგი უზარმაზარ მოგებას აძლევდა იმათ, ვინც ამ საქმიანობას მისდევდა; ხომალდების

დაქირავებაც ადვილად შეიძლებოდა. ვაჭრობის ასეთი დაცემის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ საკომისიო და ყოველგვარი სახის ხარჯები განუწყვეტლივ იზრდება, რაც მეტისმეტად აძვირებს ისედაც ზედმეტი ხარჯებით გადატვირთულ უმნიშვნელო ღირებულების საქონელს, ეს კი ვაჭრობისათვის სარფიანი აღარ არის.

მამისა და ადლერს შორის სანაპიროზე მხოლოდ რამდენიმე პატარა უბეა, სადაც ძველად, ზაფხულობით, თურქული გემები შემოდის და ბზისა და ბეწვეულის შესაძენად.

ადლერს მხოლოდ ერთი პლაჟი აქვს, რომელსაც ჩრდილოეთის ქარებისაგან კონცხი იცავს. მის მეზობლად კი გაგრის სახელწოდებით ცნობილი მშვენიერი ხეობა იშლება. გაგრა გაშენებულია ზღვის სანაპიროსა და ციცაბო მთის ფერდობს შორის და სამზრვთ აფხაზეთს ჩრდილო აფხაზეთისა და ჩერქეზეთისაგან გამოჰყოფს. აქ რომ ქვის ციხე-სიმაგრე აშენდეს, საკმარისი იქნება ხუთასკაციანი გარნიზონი იმისათვის, რომ კავკასიის ხალხებისაგან სამეგრელოსა და ძველი კოლხეთის მოსაზღვრე აფხაზეთის ეს ნაწილი დაიცვან. გაგრის ადგილმდებარეობა ძლიერ მოხერხებულია, რუსეთს მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ადგილს და მისი ხელში ჩაგდება უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად უნდა დაისახოს, თუკი კავკასიის ხალხების საბოლოო დაშოშმინება და დამორჩილება სურს. ეს მით უმეტეს აუცილებელია, რადგან უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ეს ხალხები განუწყვეტლივ ეომებიან მას, ყოველ შემთხვევაში, ეომებიან ისინი, ვინც რუსეთთან მომიჯნავე საზღვარზე ცხოვრობს და მის მიმართ მტრულადაა განწყობილი.

აფხაზეთს არ გააჩნია ნავსადგური, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით; იგი ამ დანაკლისს ინაზღაურებს ბიჭვინთისა და სოხუმ-კალეს ორი ფართო ყურით.

ბიჭვინთა, უდავოდ, ძველი გეოგრაფოსებისა და ისტორიკოსების მიერ დიდი პიტუსის<sup>3</sup> (Grand Pyllus) სახელწოდებით მითითებული ადგილია. აღმოსავლეთის იმპერატორების დროიდან იგი იმპერიის საზღვარი იყო აზიის მხრიდან (1).

ისევე როგორც ღღეს, იგი მაშინაც უკაცრიელ. გველურებულ ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც შერისხულ სახელოვან რომაელებს ასახლებდნენ. მეხუთე საუკუნის დასაწყისში, არკადიუსის<sup>6</sup> მეფობის დროს, წმინდა იოანე ოქროპირი<sup>8</sup> სწორედ აქ გადმოასახლეს დედო-

(1) იხილეთ გიბონის (Gibbon) „რომის იმპერიის დაცემის ისტორია“.

ფალ ევლოკიას ბრძანებით; მაგრამ ღრმა მოხუცებულობისა და ხანგრძლივი, დამძლევი მოგზაურობის გამო მან ვერ ჩააღწია დანიშნულების ადგილს. იგი ანატოლიის ნაპირზე ერთ-ერთ პატარა ნავსადგურში შეჩერდა და იქვე გარდაიცვალა.

ბიჭვინთის ყურის ფსკერი შლამიანია; მაგრამ საიმედოა და ღუზას მშვენივრად იმაგრებს. აქ ვერ ნახავთ ვერც ციცაბო კლდეებს, ვერც რიფებს; აქ ნაპირზეც კი თიხნარია და, მაშასადამე, გამორიყულ გენებს დიდი საფრთხე არ ემუქრება.

მთელს ამ ყურეში წყლის სიღრმე სამიდან ოც საყენამდე აღწევს. ღუზაზე დაბმულ ხომალდებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქარებისაგან მაღალი მთები იცავს, სოლო ზღვის ქარებისაგან — გემალღებული კონცხი. აქ დღემდე შემორჩენილია ნანგრევები, ან უფრო სწორად. თითქმის მთლიანი კედლები ძველი მონასტრისა, რომელიც დიდი ზნის წინათ, ჩერქეზების შემოსევის შემდეგ მიუტოვებიათ.

ბიჭვინთის ყურე ფაქტიურად მხოლოდ ტრაპიზონიდან დანაქროლი სამხრეთ-დასავლეთის ქარებისაგან არის დაუცველი; მაგრამ ეს ქარები იშვიათადაა საშიში.

აქ მცირე ხარჯებით იოლად შეიძლება საუცხოო გემსაშენის მოწყობა დიდი ზომის გემების ასაგებად.

შესაძლებელია აგრეთვე საკუთარ მრეწველობასა და ვაჭრობას მოკლებული, გადატაკებული აფხაზების გემსაშენში დასაქმება და ოსტატთა ხელმძღვანელობით სულ მცირე დროში მათი კარგ მუშაბეულად გამოწრთვნა.

ტყეების დამუშავებას ხელს შეუწყობდნენ ადგილობრივი თავადები, თუკი საჩუქრების წყალობით მწარმოებლები მათ ყონალებად (ანუ მფარველებად) გაიხდიდნენ.

ჩრდილოეთით, მომალლო კონცხის თავზე განლაგებული და ჩემ მიერ მოხსენებული მიტოვებული მონასტერი<sup>8</sup> მაკმადიანი აფხაზებისა და აქ დასახლებული სომხებისათვის შიშისა და თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენს. აფხაზები, ცრუმორწმუნენი არიან, რის გამოც ამ მონასტერში შემორჩენილ ავეჯს, საეკლესიო მორთულობასა და წიგნებს დღესაც კი ეთაყვანებიან. ვერც ერთი აფხაზი, თურქი თუ სომეხი, რომელიც ბიჭვინთაში ჩამოდის, რათა შარილი ბზაში გაცვალოს (ბიჭვინთა ბზის ერთ-ერთი ძირითადი ბაზარია), ვერ ბედავს აწივებებს მკრეხელური ხელი ახლოს.

1821 წელს აქ სავაჭროდ ჩამოსულმა ვილაც სომეხმა ერთ-ერთი წიგნიდან ორი ფურცელი მოიპარა, რომელიც მისთვის უცნობი ასო-

უბით იყო დაწერილი. როდესაც იგი სოხუმ-კალეში თავის საცხოვრებელს დაუბრუნდა, მყისვე ციებით დაავადდა, რაც ანაზღად ჩადენილ დანაშაულს — მიუტყვევებელ ქურდობას მიაწერა. ციება კარგა ხანს ვერ მთირჩინა; ავადმყოფობა, ექვეგარეშეა, შიშისაგან იყო გამორწვეული და იგი მხოლოდ მაშინ ჩაცხრა, როცა ვაჭარმა მოპარული ორა ფურცლის მონასტრისათვის დაბრუნება გადაწყვიტა. ამ ამბავმა, რომელსაც სასწაულის დასტურად დიდი ხნის მანძილზე აზვიადებდნენ, ხელი შეუწყო ამ კონსერვატიული რწმენის განმტკიცებას.

ბიჭვინთაში თხუთმეტობედ სახლია, სადაც ამდენივე ოჯახი ცხოვრობს; ისინი მისდევნენ მიწათმოქმედებას, განსაკუთრებით კი დაკავებულინი არიან ძველი, მიტოვებული მონასტრის მოვლა-პატრონობით. აფხაზებსა და ჩერქეზებს აქ ხშირად მოაქვთ საღვთო ძღვნად ნაძარცვი საქონლის ნაწილი. აქაური მცხოვრებლები უზრუნველყოფილნი არიან, ალბათ იმ-ს გამო, რომ სხვის ქონებას ითვისებენ და იმიტომაც ამ მხარეთა მრავალრიცხოვანი ხალხების შემოწირულებაზე ex voto-ს უფლება აქვთ.

ბიჭვინთა სოხუმ-კალედან დაახლოებით სამოციობედ ვერსიათა (თხუთმეტი ლიე) დაშორებული; ამ ორ ადგილს შორის გემები თავს ვერსად აფარებენ.

სოხუმ-კალეს ყურე ბიჭვინთის ყურესთან შედარებით ნაკლებად არის დაცული სამხრეთის ქარებისაგან; მაგრამ აქ ძალზე იოლად შეიძლება მიწაყრილის ამოყვანა და პატარა უბის შექმნა, სადაც წელიწადის ყველა დროს გემებს თავშესაფარი ექნებათ.

ციხის ხელმარცხნივ ჯერ კიდევ მოჩანს ქვის ძველთაძველი არხის ნანგრევები, რომელიც ზამთრობით საფრთხისაგან იცავდა აქაურ სომებს თუ თუჩ ვაჭართა ხოპალდებს: იმხანად ტრაპიზონსა და კონსტანტინოპოლში გემები მუდმივად მიმოდირდნენ.

ისევე როგორც ბიჭვინთის, სოხუმ-კალეს ყურეშიც შლამიანია ფსკერი. ეს ადგილი სწორი რომ იყოს და არა ზღვისაგან დაქანებული, აქ ძალზე იოლი იქნებოდა ლუზის დამაგრება. ამის გამოა, რომ, როცა ნაპირს ქარი მძლავრად ქრის, ლუზა ზოგჯერ ფსკერს მოსწყდება ხოლმე და ქარს შეუძლია გემი გაშლილ ზღვაში გაიტაცოს. ყოველივე ეს ჩვენ პირადად გამოვცადეთ. საუცხოო დილა იდგა; ციხის კომენდანტი სადილად გვეწვია გემბანზე. ის იყო მაგიდას მიუღსხედით, რომ უეცრად ისეთი ძლიერი ნაპირის ქარი ამოეარდა, რომ რამდენიმე წუთში ტალღებმა გასაოცარ სიმაღლეს მიაღწია და ერთ-ერთი ტალღა თავზეც კი გადაგვევლო.

იძულებული შევიქნით სასწრაფოდ ჩაგვეკეტა გემის სათოფურები; ჩვენი ღუზა თავისით აიხსნა და გემმაც ისეთი სისწრაფით გაგვაქანა საიმპერიო საზღვაო გოლეთისაყენ<sup>10</sup>, რომელიც დილით მოსულა და შორიახლო ღუზაზე იდგა, რომ აუცილებლად ჩაქმირავდით მას. ქარი რომ ასევე უეცრად არ ჩამდგარიყო.

გემსაშენის მოსაწყობად სოხუმ-კალეს ყურე ისევე გამოსადეგია, როგორც ბიჭვინთის ყურე. სულ ეჭვსიოდე წელი თუ იქნება, რაც ბერძნებმა აქ ძალზე იაფად ააშენეს სამასტონიანი გემი; ყველა საჭირო მასალა ტაგანროგიდან ჩამოჭიდეს, მუხისა და საანძე ხე-ტყის გარდა, რომელიც ამ მხარეში იშოვეს.

ამასთანავე ეს ადგილი საწყობების ასაშენებლად და ვაჭრობისათვის გაცილებით უფრო მოსახერხებელია, ვიდრე ბიჭვინთის ტერიტორია. მას იცავს ერთი ციხე და დაახლოებით ოთხასკაციანი გარნიზონი; იგი მხოლოდ ასი ვერსითაა (ოცდახუთი ლიე) დაშორებული რედუტ-კალეს ნავსადგურიდან, რომელთანაც კავშირის დამყარება ზღვით ან სახმელეთო გზით ძალზე ადვილია. ეს გზა ნაპირს გაჰყვება სოხუმ-კალესა და ხობის (Khopi) შესართავს შორის.

ამგვარი კავშირის დასამყარებლად ხარჯის გაღება მხოლოდ იმისათვის იქნება საჭირო, რომ ამ ორ პუნქტს შორის არსებულ მრავალრეცხოვან მდინარესა თუ სევზე რამდენიმე ხის ხიდი აშენდეს. ამასთანავე, ორი თუ სამი სიმაგრე ან ციხე ვაჭრებს აფხაზთა შესაძლებელი თავდასხმებისაგან დაიცავს. მათგან თავის დაცვა იმიტომაც გაიოლდება, რომ მთების პირველი ქედი, რომლის გასწვრივაც მუდმივი მიმოსვლა იწარმოებს, საკმაოდ დაშორებულია ზღვის ნაპირს.<sup>11</sup>

ანაჰიდან ბათუმამდე ნაპირის უბრალო დათვალეერებაც საკმარისია იპისათვის, რომ სოხუმ-კალე ნამდვილად მიიჩნიო ცნობილ დიოსკურიად (Dioscurias), რომელიც აგრეთვე სებასტოპოლის (Sebastopol) სახელს ატარებდა.<sup>12</sup>

საესებით ნათელია ისიც, რომ სოხუმ-კალეს ყურეს, აქ ცნობილ ბაზრობაზე მოსული გემების სადგომად იყენებდნენ. სადაც რომაელებს, სტრაბონის მიხედვით, ას ოცდაათობმეტი თარჯიმანი ჰყავდათ ამ მოსაზრების სისწორეს ადასტურებს ციხე-სიმაგრისა და სხვა ნანგრევების არსებობაც, რომელთა ხილვა ჭერაც შეიძლება კელასურში (Kelassaour),<sup>13</sup> სოხუმიდან ხუთი ვერსის დაშორებით.

რუსების გამგებლობაში მხოლოდ სოხუმ-კალე და მისი ვიწრო გალავანი ითვლება: ამ გალავანს მიღმა კი მათ ყოველ ნაბიჯზე საფ-

რთხე ემუქრებათ. როცა ჭარისკაცებს შეშის მოსატანად უწევთ აქედან გასვლა, იმის შიშით, აფხაზებმა არ მოგვიტაცონო, ისინი თავითფეხამდე შეიარაღებულნი მიდიან. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, თოფებით, ხმლებითა და ხანჯლებით(2) შეიარაღებული აფხაზები, მეტწილად დიდ ჯგუფებად, ყოველდღიურად მოდიან ციხის კართან. კიდრე ციხეში შემოვლენ, თავიანთ საომარ აღჭურვილობას — დამწვლურთადმი მტრობის დამამტკიცებელ ამ საბუთებს, ჩამოიხსნიან და ციხიდან გამოსვლისას კვლავ აიხსამენ. აქ ისინი საქონლის გაცვლა-გამოცვლის მიზნით მოდიან ხოლმე.

სოხუმის ციხე კვადრატული ფორმისაა, აგებულია თურქების მიერ. მას ოთხი კოშკი აქვს: ერთი მათგანი, ის რომელიც ზღვას გადასცქერის, ნაწილობრივ დანგრეულია.

ყველა ეს შენობა ქვის, აგურის ან რიყის ქვისაგანაა ნაგები. შელესილია კირხსნარით, რომელშიაც თიხა სჭარბობს; ამიტომაც, რომ კედლებს ის სიმტკიცე არ გააჩნია, რაც, ჩვეულებრივ, თურქების მიერ აგებული ციხეებისათვისაა დამახასიათებელი.

ციხის კედლების უდიდეს ნაწილს დანგრევა ემუქრება. ხალხი ნაგები ფაშას ძველი სასახლე — თავის დროზე ვრცელი და მშვენიერი შენობა, მალე მწყობრიდან გამოვა.

ექვსი წლის წინათ გალავანს გარეთ ჯერ კიდევ იდგა ასი, ას ორმოცდაათი სახლი თუ ბარაკი; სწორედ ეს გახლდათ ბაზარი, რომელიც სომეხი ან ბერძენი ვაჭრების ხელში იყო; მთავარმართებლის ბრძანებით ეს სახლები დაანგრიეს, რადგან აფხაზები მათ თავშესაფრად იყენებდნენ და ადვილად ახერხებდნენ რუს ჭარისკაცთა მოტაცებას.

სოხუმის მოსახლეობა 1787 წელს სამი ათას სულს შეადგენდა; დღეს აქ სომეხების რიცხვი სამოც კაცამდე შემცირდა, რაც გამვლელთა რაოდენობას არც კი აღემატება. მათი ღუქნები ციხის შიგნითაა განლაგებული.

სოხუმ-კალე აზიის უმთავრესი ციხესიმაკრეა; იგი მუდმივი დავის საგანია პორტასა<sup>14</sup> და რუსებს შორის. ირწმუნებიან, რომ მასაც მაშინ დათმობდნენ, როცა ანაპა და ფოთი დათმეს, თვითონ თურქეთს რომ აღესრულებინა უკანასკნელი ხელშეკრულების საიდუმლო მუხლი. ამ მუხლის თანახმად მან ვალდებულება იკისრა რუსეთისათვის

(2) ხანჯალი (quindjal) ერთგვარი სატევარია, რომლის სიგრძე დასტეობით თხუთმეტ გოჯს უდრის, შუა ნაწილის სიგანე კი — სამ გოჯს.



გადაეცა სრუტის შესასვლელში აგებული პატარა ნავსადგური, რომელსაც რუსეთი თავისი ხომალდების სადგომად გამოიყენებდა.

აზიის სხვა ციხეებს შორის, რომლის დაბრუნებასაც პორტა მოითხოვს, უნდა ვახსენოთ ამჟამად რუსების მიერ მიტოვებული ანაგლია<sup>15</sup> (Anagri) ენგურის (Engour) შესართავთან და აგრეთვე, რედუტ-კალე, ხობის შესართავთან.<sup>16</sup>

შეუძლებელია იმ მოტივების ახსნა, თუ რატომ მოითხოვს დივანი ასე დაინებით მისი სახელმწიფოდან დაშორებულ საცოდავ ქოხმახებს, ორი იმპერიის უსაზღვრო ტერიტორიებს შორის განლაგებულ ამ ერთ მტკაველ მიწებს, თუ არ მოვიგონებთ, რომ სამი საუკუნის განმავლობაში ჩერქეზეთი, სამეგრელო და საქართველო კონსტანტინოპოლის პარამხანებსა და ეგვიპტეში მამლუქთა კორპუსებს ტყვეებით აპარაგებდა; ამიტომაც არის, რომ თურქეთი სასტიკად განიცდის ამ ნავსადგურების დაკარგვას. მაგრამ განა რელიგია, ღირსება, ჰუმანურობა არ შთააგონებს რუსეთის მთავრობას იმ მოვალეობას, რომ არასოდეს არ მიატოვოს ციხესიმაგრეები, რომელთა ფლობასაც თურქების მიერ სხვა მიზანი არ ექნება, გარდა იმისა, რომ კვლავ ივაკრონ საკუთარი ქვეშევრდომებით? ამასთანავე, არსებობს სხვა მოტივიც, რომლის გამო რუსეთი უარს ამბობს ამ ციხესიმაგრეთა თურქეთისათვის დაბრუნებაზე და რომელიც გამართლებულია თვით უმკაცრესი კრიტიკოსების მიერაც.

ჩერქეზეთისა და აფხაზეთის ხალხები უხსოვარი დროიდან მისდევდნენ მეკობრეობას... მათ მეკობრეობა ერთ ხანს შეწყვიტეს, როცა შავ ზღვაზე ოტომანთა პორტა გაბატონდა და ქრისტიანი ერების დროშა აქ აღარსად ფრიალებდა.

მას შემდეგ, რაც ეკატერინე დედოფალს მისმა გამარჯვებებმა დარდანელის სრუტე მოაპოვებინა და თითქმის ყველა საზღვაო სახელმწიფომ აქ გავლის უფლება მიიღო, ევქსინის პონტოზე მეტ-ნაკლებად მრავალმა ევროპულმა ხომალდმა გამოიარა<sup>17</sup>. ამ დროიდან მოყოლებული ჩერქეზებმა და აფხაზებმა კვლავ მიჰყვეს ხელი მეკობრეობას. საბედნიეროდ, მათი ეს მეკობრეობა დიდად საშიში არ იყო, რადგან ამ ხალხებს მხოლოდ ნიჩბიანი ნაევი აქვთ და არცერთი ქვემეხი არ გააჩნიათ. მაგრამ ბოლოს მაინც საჭირო გახდა ქრისტიანთა გემებისათვის ყურადღების მიქცევა და რუსეთმა, სადღეისოდ ერთადერთმა შეიარაღებულმა სახელმწიფომ შავ ზღვაზე, მათი დაცვა იკისრა.

ამ მიზნით, ყოველ სამ თვეში ერთხელ, საიმპერიო საზღვაო ფრე-  
ჯატი, ბრიგი<sup>18</sup> თუ გოლეტი სამეგრელოს ნაპირთან მოდის და აქ ლუ-  
ხას უშვებს. ქარიშხლიან ამინდში ისინი სოხუმ-კალეს ყურეში, ზოგ-  
ჯერ კი რედუტ-კალეს რეიდზე დგებიან ხოლმე(3). ამ ორი ციხესი-  
მაგრის დათმობა რუსეთის საზღვაო ფლოტს ამ სანაპიროზე ყო-  
ველგვარ თავშესაფარს მოუხსნობ, და ევროპული გემებიც ამის გამო  
მთარველის გარეშე აღმოჩნდებიან. ამდენად, არ შეიძლება იმის დაშ-  
ვება, რომ ამ ციხისმაგრეებს მოთხოვნა პორტას პროტენზიების ნა-  
წილად დარჩეს.

ჩერქეზები და აფხაზები ძალიან ჰგვანან ბერბერებს<sup>20</sup>. რადგანაც  
პორტა ვერაფერს გახდა და ვერ დაიმორჩილა ეს ტომები, იგი თანახ-  
მაა დათმოს ეს ციხესიმაგრეები, რომელთა ფლობის მიზანს მხოლოდ  
და მხოლოდ ჩერქეზებსა და აფხაზების დამორჩილება წარმოად-  
გენდა.

სოხუმში ყოფნის დროს კომენდანტს გაეუზმელავე ამ ქვეყანაში  
მოგზაურობის ჩვენი დიდი სურვილი; ამის საწინააღმდეგო მას არა-  
ფერი ჰქონდა და მია ბრძანებით, ჩვენი უსათრახობისათვის საჭი-  
რო ზომებიც იქნა მიღებული. ჩვენი ესკორტი ორასი კაცისაგან შედ-  
გებოდა, რომელთაგანაც ერთ ნაწილს უნდა დაეზვერა რაიმე ხრიკე-  
ბი ხომ არ იყო ჩვენს წინააღმდეგ მოწყობილი. მხარე, რომელიც და-  
ვათვალეირეთ, საუცხოო იყო მიწის ნაყოფიერებითა და მცენარე-  
ული საფარის სიმდიდრით; ხეებს შორის განსაკუთრებით ქარბობდა  
კარგი ჯიშის კაკლისა და ტანშალაი ლეღვის ხეები. ხეობები და გო-  
რაკები აქ ერთმანეთს ენაცვლებიან. ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხედავ-  
დით წყალუხვ მდინარეებს, გამჭვირვალე ნაკადულებსა და ბორ-  
ცვებს, რაც უმშვენიერეს პეიზაჟს ქმნიდა.

(3) მიუხედავად გამაფრთხილებელი ზომებისა, ცნობილია, რომ როდესაც კაიტა-  
ნი გოტიე (Gautier) 1820 წელს აჭარის შესაღწევად და იმ შესანიშნავი რუ-  
კის შესადგენად, რომლის არსებობასაც ამ ნიჭიერ ოფიცერს უნდა უმაღლოდნენ,  
აფხაზეთის ნაპირის გასწვრივ დაეკარგა, მას თავდასხმით დაემუქრა ორი მე-  
კობრული გემი. შემდეგ, 1823 წელს, მეკობრეებმა ხელში ჩაიგდეს ტრაპიზონიდან  
მომავალი ლიტერი, რომელზედაც ხუთი იტალიელი იმყოფებოდა და იგი ფშალში  
(Pscial) გაიტაცეს. ამის შემდეგ ბ-ნ აღმირალმა გრეიგმა კიდევ დაამატა ორი  
საომარი ხომალდი, რომლებიც განუწყვეტლივ დაეკარგნენ ნაპირის გასწვრივ  
და საეკრო ხომალდებს ხიფათისაგან იცავდნენ.

<sup>18</sup> ეკიპაჟის მეტი ნაწილი ფულით გამოისყიდეს საქართველოში დამკვიდრებულ-  
მა მკირეირიცხოვანმა ფრანგებმა<sup>19</sup>.

დაახლოებით ოთხი ვერსი (ერთი ლე) ვიარეთ წინ შემალლებულ მათა ქედის ჰწკერვალამდე, საიდანაც საკჳოდ დღე სოფელი გამოჩნდა; სახლები აქ ერთმანეთისაგან ისევე იყო დაშორებული. როგორც სამეგრელოში. ამ სოფელში შესვლას მოვერიდეთ და ხუთსაათიანი მოგზაურობის შემდეგ უკანვე დავბრუნდით სოხუმში.

ციხესიმაგრედან ჩვენს გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე კაპიტანმა პაპა ეგოროვმა (Papa yegoroff) სადილად აფხაზეთის ახალგაზრდა მთავარი დავეიპატიოა. მას დაუყოვნებლივ მიუღია ეს მოწვევა, რადგან მისივე სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, გახარებია ცოტა ხნით მაინც ევროპელებთან ურთიერთობის საშუალება რომ მიეცემოდა. მაგრამ როცა ფრეგატის გემბანზე მისასვლელად ნავში ჩაქღობა დაუპირებია, იგი შეყოვნებულა, რადგანაც შეუტყვია, რომ ორ თუ სამ ათას ჩერქეზს, მაჰმადიან აფხაზებთან ერთად, განუზრახავთ თავს დასხმოდნენ მის საცხოვრებელს სოუკ-სუში (Souksou) (ცივი წყალი)<sup>21</sup>; ამ ადგილას თხრილებით, მესერათა და მაწყარილით გარშემორტყმულა ციხესიმაგრე იღვა, რომელიც ქვემეხით იყო შეიარაღებული და რომელსაც რუსი ჯარისკაცები იცავდნენ.

ახალგაზრდა სუვერენი, რომელიც მაშინ ბატონობდა აფხაზეთში, აქაური თურქი ფაშას მეორე შემკვიდრე იყო, წარმოშობით აფხაზი, შარვაშიძის (Tchelvasè) საგვარეულოდან. რომელიც ერთ-ერთ უძლიერეს და უძველეს გვარად ითვლება ამ მხარეში.

ეს ფაშა, სახელად ქელიშ-ბეი (Kelich-Bey) სოხუმს განაგებდა და ემორჩილებოდა თურქეთს; მას აქ თავშესაფარი მიუცია პორტას მიერ გაძევებული ერთი ფაშისათვის და მისი ყონალი გამხდარა. ხოლო რაკი მასთან სტუმართმოყვარეობის ვალდებულებებით იყო დაკავშირებული, რასაც ძალზე წმიდად იცავენ აქაური ხალხები. იგი არ დამორჩილებია დივანის ბრძანებას, თავისი ყონალი არ გაუცია. დივანს კი იმდენი ძალა არ ჰქონდა, რომ ხელთ ეგდო ეს ფაშა და ლალატის საძაგელი საშუალებისათვის მიუმართავს; ამ საცოდავი აფხაზი მთავრისათვის შეთქმულება მოუწყვიათ და იგი მოუკლავთ. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ქელიშ-ბეი ქრისტიანი გამხდარა და რუსეთის მფარველობა მიუღია. უჭირობენ, რომ შეთქმულებას მისი ერთ-ერთი შვილი მეთაურობდა<sup>22</sup>.

ქელიშ-ბეის ექვსი ვაჟიშვილი ღარჩა. უფროსს, საფარ-ბეის (Saphir-Bey) ახლანდელი მთავრის მამას, აგრეთვე ქრისტიანობა მიუღია. რუსეთის სამსახურში საფარ-ბეის პოლკოვნიკის წოდება ჰქონდა და წმინდა ანას ორდენით იყო დაჯილდოებული. შინაგანად იგი მაინც

ისლამთან იყო დაკავშირებული. თუმცა, ისევე როგორც ყველა კავკასიელს, არც მას ქენჯნიდა სინდისი, როცა ლეინოს სეამდა და საკმაოდ ხშირად თვრებოდა კიდეც რომით; ეს სასამელი ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იყო მისთვის.<sup>23</sup>

საფარ-ბეის დანარჩენი ძმები დამოუკიდებელ მთავრებად დარჩნენ. ჰასან-ბეი (Assem-Bey), მესამე ძმა, ყველაზე მოუსვენარი იყო; უკანასკნელად რუსებმა სწორედ ის გააძევეს მისი მულმივი საცხოვრებლიდან, კელასურიდან.<sup>24</sup>

საფარ-ბეის ოთხი ვაჟი და ექვსი ასული დარჩა.

1821 წლის ბოლოს მე პეტერბურგს გახლდით, როცა იქ საფარ-ბეის სიკვდილის ამბავი გავიგეთ. მისი უფროსი ვაჟი მაშინ მისი საიმპერიო უდიდებულესობის პაეი იყო და საოცრად გაუკვირდა, როცა შეატყობინეს, რომ იმპერატორმა, რომელსაც წინაღობით ემსახურებოდა, იგი აფხაზეთის სუვერენად სცნო და საღამოს თავის მაგილასთან მიიწვია.<sup>25</sup>

ალექსანდრეს სასახლიდან მამისეულ ხის უბრალო სახლში გადმოსახლებული მთავარი, რომელიც არც თავის ხალხს იცნობდა და არც მათი ენა იცოდა, ორი წლის განმავლობაში უფრო ტყვეს ჰგავდა, ვიდრე სუვერენს; მისი ქვეყნის გამგებლობა კი დედამისს ებარა.

სოხუმიდან ჩვენი გამგზავრების ოთხი თვის თავზე იგი მოულოდნელად გარდაიცვალა და თავის მემკვიდრედ მომღვენო ძმა<sup>26</sup> დატოვა, რომელიც სოუკ-სუმი ცხოვრობდა იმ დრომდე, ვიდრე ახლახან მომხდარი ამბების გამო სოხუმ-კალეში დაბრუნდებოდა.

შემოდგომობით ამ ციხესიმაგრის შემოგარენში არაჩანსალი კლიმატის მიზეზი დაგუბებული წყლებია; ეს იმის გამო ხდება, რომ ქარიშხლის შედეგად კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე დაბლობზე ჩამომდინარე წყლები არსად გაედინება. უწინ ამას ნავსადგურად გამოყენებული არხი უზრუნველყოფდა, რომელიც მოგვიანებით მიწით ამოვსებულა. ამ დაბლობის უბრალო დათვალიერებაც კმარა, რათა დავრწმუნდეთ, თუ რა ადვილია სოხუმ-კალეს გარნიზონში მოდებული ავადმყოფობის მიზეზის მოსპობა.

ხერსონის ჰავა დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა მავნე ჰავად, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა დნეპრი თავის კალაპოტში შეეკაეებინათ, რომ სიკვდილიანობის პროცენტს არ გადაეჭარბებინა იმ ქვეყნებში აღრიცხული პროცენტისათვის, სადაც უჩანმრთელესი ჰავაა. როცა ბატავია<sup>27</sup>, პოლანდიელების სამარე, ინგლისელების ხელში აღმოჩნდა, მაშინვე მოისპო ყოველგვარი ხაშიშროება ევროპელთა

არსებობისათვის, რადგან ინგლისელებმა ნეგოციანტების ბალების ირკველვე შემოყოლებული თხრილები მიწით ამოავსეს და ნარგავები გონიერულად გააშენეს. არავითარ ექვს არ იწვევს ის გარემოება, რომ სოხუმ-კალეში და მთელს სანაპიროზე ციებ-ცხელების საშიშროება მოისპობა იმ დღიდან, როცა რუსეთის მთავრობა გადაწყვეტილებას მიიღებს ყურადღება მიაქციოს ამ ადგილებს და ნავსადგურების გარშემო მდებარე ქაობებსა და დაბლობებს ამოაშრობს: მაშინ ამ საუცხოო მხარის ბუნება ერთბაშად შეიცვლება.

აფხაზეთის ნაყოფიერი მიწები გამოსადეგია ბამბის, თამბაქოსა და ინდიგოს მოსაყვანად; ენდრო და ვაზი აქ ყველგან ველურად იზრდება.

სოხუმიდან ექვს ვერსზე ვხედებით გრაფიტით მდიდარ ადგილებს, ხოლო სოფელ სოუჯ-სუსთან არის ოქროს საბადო. ირწმუნებიან, საფარ-ბეი მას გულმოდგინედ მალავდაო, რადგანაც ეშინოდა, საბადოს გამო რუსებმა ამ მხარის მთლიანი დაპყრობა არ განიზრახონო. იმასაც კი ვარაუდობენ, რომ ციხესიმაგრეიდან ოდნავ მოშორებით, მთებში, კერცხლის საბადოებია.

აფხაზეთს უთუოდ აქვს იმის საშუალება, რომ სოფლის მეურნეობათა და მის ტერიტორიაზე არსებული საბადოებით გამდიდრდეს; რაც შეეხება კულტურის ძეგლებს, ისინი აქ არცთუ ისე ბევრია.

სოხუმ-კალედან რამდენიმე ლიეს დაშორებით ძველი ციხის ნანგრევები და კარგად შემონახული ეკლესია მდებარეობს. ოდნავ მოშორებოთ. მთის წვერზე სხვა ეკლესიაც არის, რომელსაც აფხაზები განსაკუთრებულ თავყვანს სცემენ; იგი საფარ-ბეის კარის ეკლესიაა. აფხაზების მიერ აქ დაღებული ფიცი წმინდაა და გაუტეხელი.

დაბოლოს, სოუჯ-სუს მახლობლად არის მღვიმე, რომელსაც შესასვლელა ძალზე ვიწრო აქვს, შემდეგ კი იგი სულ უფრო და უფრო ფართოვდება და დიდი სიღრმისაც უნდა იყოს. ამ მღვიმედან კამკაშა წყარო გამოდის. ჩემმა თარჯიმანმა ბ-ნმა პოლ გიბალმა (Paul Guibal), რომელიც რუსეთში ჩემი მეორედ მოგზაურობის დროს მახლდა, თქვა, რომ ამ გამოქვაბულში მან ერთ ვერსზე მეტი იარა. მისი ძარი მთლიანად ყოფილა დაფარული მიჯრით მიწყობილი პატარა კენჭებით. ბ-ნი პოლ გიბალი იზიარებს საერთო აზრს, რომ ეს მღვიმე გადაკიმულია ერთ-ერთ მაღალ მთამდე ოცდაათი ვერსის მანძილზე<sup>28</sup>.

სოხუმსა და სოუჯ-სუს შორის აღმართულ მთაზე მოჩანს სამწახნავა ციხე, რომელსაც ანაკოფიას (Phanacopée) უწოდებენ<sup>29</sup>; იგი

მეტად მტკიცედ არის ნაგები თლილი ქვით და ძველთაძველი უნდა იყოს.

უკლებლივ ყველა ცნობა, რომელთა შეგროვებაც შევიძელი აფხაზეთსა და ძველ კოლხეთში ჩემი ყოფნისას, ადასტურებს, რომ მთიელები დღემდე ეთაყვანებიან ქვის ჯვრებსა და ძველ ეკლესიებს, რომლებიც ძალზე მრავლადაა აფხაზეთში, ჩერქეზეთსა და კავკასიის მთებში. ამრიგად, რადგან ამ ხალხებს ძალით მიაღებინეს მაკმადიანური სარწმუნოება, რომლის მიხედვითაც ქრისტე ბრძენად ითვლება, მათ აღარ შეუბღალავთ ის ტაძრები, სადაც მათი წინაპრები საუკუნეებონ განმავლობაში ქრისტიანულ რიტუალს ასრულებდნენ. აფხაზეთის მოქცევა იუსტინიანეს მეფობის ხანაში მომხდარა და 510 წლით თარიღდება.<sup>30</sup>

რადგანაც არ მინდა ცალკე თავი მიეუძღვნა ამ ხალხების ზნე-ჩვეულებებსა და ცრუმორწმუნეობას, აღვნიშნავ, რომ აფხაზეთისა და სამეგრელოს საზღვარზე, ილორში, არის კიდევ ერთი უძველესი ეკლესია, სადაც სულ რამდენიმე წლის წინათ იდგა კატაპულტები, ურნალები და სხვა ძველი საომარი იარაღი, რომელსაც თოფის წაშლის გამოგონებამდე იყენებდნენ. აქვე ინახებოდა რკინის უზარმაზარი მუზარადები. ამ ეკლესიას ეთაყვანებიან მეგრელები და აფხაზები, რომლებსაც გაუთავებლად შეუძლით ლაპარაკი აქ მომხდარ სისწაულების შესახებ.<sup>31</sup>

თავიანთი ძველი სარწმუნოებიდან აფხაზებმა მრავალი ზნე-ჩვეულება შემოინახეს. მაგალითად, ისინი სამ დღეს უქმობენ აღდგომას და ამ დროს წიბოელი კვერცხის ჭამის ტრადიციას იცავენ. ზემოაღნიშნულ აგრეთვე სამებისა და შობის დღესასწაულებს; ეს უკანასკნელი ისევე როგორც ჩვენში, 25 დეკემბერს უწევს: ორი დანარჩენი დღესასწაულისათვის კი დროს თავად აწესებენ, რადგანაც ეპაქტას გამოანგარიშება არ შეუძლიათ. უნდა დავძინო, რომ ბევრმა აფხაზურმა ოჯახმა შემოინახა ქრისტიანობა. მათ წინაპრებად მეგრელები ითვლებიან.

აფხაზებს... წარმოდგენაც კი არა აქვთ ოქროსა და ვერცხლის მონეტების ღირსებებზე, რომელთაც ისინი მრავლად პოულობენ თავიანთ მხარეში და ჩვეულებრივ გადაადნობენ ხოლმე.

სოხუმ-კალეში ყოფნის დროს ჩვენ მოწმენი ვავხდით იმისა, რომ ამ ბაზარზე ვაჭრობა საკმაოდ შეზღუდულია. შლამში არეული ფუთი

მარილი 3 აბაზად<sup>32</sup>(4) ფასობდა (ცენტნერი 6-7 ფრანკი). საქონელს ცელიდნენ აგრეთვე კვერნის ტყავზეც, რომლის ხარისხი ჩრდილო რუსეთის კვერნის ხარისხზე დაბალია და თითო ცალის ფასი 2—3 მანეთი იყო ასიგნაციით; დათვის ტყავი 4—5 მან. ღირდა; მგლისა — 2, მან., ტურისა — 60 კაპიკი (ანუ სანტიმი); დაბოლოს, გარეული კატის ტყავის ფასი 29-დან 40 კაპიკამდე იყო(5).

ერთი ოყა<sup>34</sup> ცელი 5—6 აბაზად (4 ფრანკი — 4 ფრანკი და 80 სანტიმი) იყიდებოდა; ოყა უდრის სამ ლივრს, ზარსელის ან რუსეთის წონით.

ბეწვეული ერთადერთი და მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საქონელია, რომლითაც შეიძლება იარსებოს კომერციამ ამ მხარეში. ეკვი არ არის, რომ თუ სოხუმ-კალეში ამენდება გემსაშენი და საქონლის საწყობები, მთიელებთან სავაჭრო ურთიერთობა თანდათანობით გაფართოვდება.

მაუდი, აბრეშუმის ქსოვილები, თეთრი და შელებილი ბამბის ტილოები, ტარსიკონი, კვეყული და ორლულიანი თოფები ძირითადად ის საქონელი იქნება, რომელიც აქ ყველაზე იოლად გაიყიდება

ძროხისა და კამეჩის რძისაგან აფხაზები ამზადებენ დამარილებულ თეთრ ყველს. მათ, ისევე როგორც მთელს კოლხეთში, არ იციან კარაჩის დამზადების წესი.

გემთმშენებლობის ხელოვნებას ჩერქეზეთისა და აფხაზეთის სანაპიროზე გაცილებით უკეთ ფლობენ, ვიდრე ხობისა და ფანისის მიდამოებში. სოხუმ-კალეში ყოფნის დროს ნაპირზე სამი ნავი შეეამჩნით, რომელთაც სტრაბონის დროიდან მოყოლებული „კამერებს“<sup>35</sup> (cameroe) უწოდებენ; უწინ ასეთი ნავის ეკიპაჟს, ისევე როგორც ახლა, მეკობრეები შეადგენდნენ. ამ ნავზე ოცდაოთხი მენიჩგე მოხერხებულადაა განლაგებული; ამჟამად ისინი ნაპირთან ახლოს დატურავენ და ზღვაში, ჩვეულებრივ, მხოლოდ კარგ ამინდში გადიან, ამიტომ დახრილ ჩარდასს, რომელსაც ქარის დროს თავს აფარებდნენ ხოლმე, აღარ ადგამენ ნავს. დაახლოებით ასეთი ნავეშით გადმოსხდნენ აზიაში გუთები, რომლებიც მესამე საუკუნეში ყირიმში რასახლდნენ.

ის რომ სამეგრელოსათვის სრულიად უცხოა ასეთი ნავები, ხოლო

(4) აბაზი სპარსული ვერცხლის მონეტაა, რომელიც მოქცევაშია ანტიკვების ყველა პროვინციაში და უდრის 80 კაპიკს, ანუ სანტიმს.

(5) სოხუმ-კალეში, ისევე როგორც სამეგრელოში ზმარებაშია ფარას (paras) ან სხვა თურქული მონეტა; მათი ანგარიში მე გადავიყვანე მანეთებში ასიგნაციით.

აფხაზეთისა და ჩერქეზეთისათვის ისინი ტრადიციულ სამიმოსკოლო საშუალებას წარმოადგენდნენ, ხომ არ არის ახალი საბუთი იმის რა-სამტკიცებლად, რომ ანაპიდან ილორამდე შავი ზღვის ნაპირზე მო-სახლე ხალხები ბერძნული წარმოშობისანი არიან?

აფხაზები, რომლებიც სოხუმ-კალეში საკმაოდ ბევრნი ვნახეთ, ჩეტწილად სუსტი აღნაგობისა და დაბალი ტანისანი იყვნენ, ფეხები და ბარძაყები წვრილი და მოხრილი ჰქონდათ. თითქმის ყველა ცის-ფერთვალეა იყო; მათს მზერაში უფრო შიში ჩანდა, ვიდრე ვერაგო-ბა; ეცვათ ძალიან ღარიბულად. საკმაოდ შეგვეგრემანებს წაწვეტებუ-ლი და არწივისებრი ცხვირი გრძელი არ ჰქონდათ: ძონძებიდან უბან-ლო სხეული უჩანდათ, წვერი მოკლე და თხელი ჰქონდათ; ტერფები კი მეტისმეტად განიერი, უღავოდ იმის გამო, რომ ჩვეულებად აქეთ უფესსაცემლოდ და უსანდლოდ სიარული; მხოლოდ ზოგიერთ მათ-განს თუ ჰქონდა ფეხებზე შემოხვეული და ტირიფის წკნელით რა-მაგრებული ტურის ან მგლის ტყავის ნაჭერი, რაც ფესსაცმლის მაგივრობას უწყევდათ.

უმრავლესობა მარცხენა ფეხზე დეზს ატარებდა, მიუხედავად იმისა, ფეხშიშველა იყო თუ მაულის ან ტილოს ნაჭერი ჰქონდა ფეხზე შემოხვეული. მართალია, იენისის თვე იყო და მეტისმეტად ცხელო-და, მაგრამ ყველანი თხის ბეწვით დაფარულ ქეჩის მოსასხამს ატა-რებდნენ. სწორედ ეს არის ქართველების ნაბადი (baurca), ნამდვილი, ჭლამიდი.<sup>36</sup> ფოკიონის<sup>37</sup> ქანდაკების მოსასხამი, რომელიც პარიზის მუზეუმშია გამოფენილი<sup>38</sup>. თავზე კაპიუშონი ეხურათ, რომელსაც გეტაფს (ghetaph) ქართულად ბაშლიკს<sup>39</sup> (bachelick) უწოდებენ. ასეთ კაპიუშონს ხმარობენ ხმელთაშუა ზღვის მეზღვაურები და გან-საკუთრებით არქიპელაგის ბერძნები<sup>40</sup>.

აფხაზი ქალები ღამაზებად ითვლებიან და თურქი ქალების მსგავ-სად კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწყვიან.

თავადები ჩერქეზულ ტანსაცმელს ატარებენ. ჩვენ ბევრი დიდე-ბული ვნახეთ სოხუმში და რედუტ-კალეში ყოფნის დროს. ისინი საშუალოზე მაღალი ტანისანი, ღონიერები იყვნენ და კარგი გარეგ-ნობა ჰქონდათ, გეგონებოდათ, სხვა წარმოშობისანი არიანო, ვიდრე ის აფხაზები, რომელთა პორტრეტიც მე ეს-ეს არის აღწერიე.

მიუხედავად უმეცრებისა, ...ამ ხალხს არ აკლია საზრიანობა და შესწევს იმის უნარი, რომ ცივილიზაციისაკენ მიმავალ გზაზე სწრაფ წარმატებას მიაღწიოს. გულჯაფურიანობა, შურისძიება და სიძუნწე მათი მანკიერი თვისებებია, რაც ძნელბედობისა და იმ გაჭირებული



მდგომარეობის ბრალი უნდა იყოს, რომელშიაც ისინი იმყოფებიან. ვაჭრობასა და მრეწველობას მოკლებულ ხალხს ხშირად თავისი არსებობისათვის ყველაზე აუცილებელი რამ არ გააჩნია. ამ უკიდურესმა სიღუბსჯირემ ისინი გააბოროტა და მათ ზნე-ჩვეულებებზეც დიდი გავლენა იქონია.

თუ მოწესრიგებული მმართველობა აღკვეთს აფხაზეთში დღეისათვის გამეფებულ ანარქიასა და არსებულ სიბეჩავეს, თუ უმოკმედობა საქმიანი ცხოვრებით შეიცვლება, თუკი ისინი თავიანთი შრომისათვის ისეთ გასამრჯელოს მიიღებენ, რაც მათ დააკმაყოფილებს, სულ მცირე დროში შეიძლება ამ ხალხის ზნეობამ სასიკეთოდ იცვალოს სახე.

ამ თვალსაზრისის განსამტკიცებლად ერთ მაგალითს მოვიყვან: როდესაც ბ-ნი პოლ გიბალი სოხუმ-კალეში გამოაგზავნეს ხის მასალის მოპოვება-დამუშავებაზე ზედამხედველობის გასაწევად (პროექტი, რომელსაც განხორციელება არ ეწერა), მას მრავალმა აფხაზმა მიაკითხა, რომლებმაც მასთან მუშაობა მოინდომეს და ამისათვის ძალზე მცირე გასამრჯელო მოითხოვეს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ხალხის სალაპარაკო დიალექტს, როგორც ბ-ნი კლაპროთი შენიშნავდა თავის საინტერესო „მოგზაურობაში“, არავითარი კავშირი არა აქვს მეზობელი ჩერქეზების დიალექტთან. ამის შესახებ მსჯელობა შეიძლება იმ ცხრილის მიხედვით, რომელიც წინამდებარე ტომს ბოლოში დაუერთე: ცხრილში სხვადასხვა ენებში დამკვიდრებული და ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვები პარალელურად მოვათავსე. აფხაზური სიტყვები ისეა ჩაწერილი, როგორც კომენდანტის თარჯიმანმა და ადგილობრივმა ერთმა დიდებულმა წარმოთქვეს.

ვიდრე დავასრულებდე სოხუმ-კალეზე ჩემი დაკვირვების გადმოცემას, ვიტყვი, რომ ამ ციხის მომსახურება ისე წარმოებდა, როგორც ეს ალყაშემორტყმულ ქალაქში შეიძლება ყოფილიყო. ილორის გზაზე, ციხესიმაგრეიდან ას ნაბიჯზე მდებარე ფორპოსტს დაბინდებამდე კეტავდნენ და კარებს საგულდაგულოდ ამაგრებდნენ. გარეთ გაუშვებდნენ ტანდაბალი ჭიშის ძაღლებს, რომლებიც ჯოგსაც დარაჯობდნენ და ციხესაც. ტყის მოსაჭრელად და ალაფის მოსაგროვებლად მიმავალ რაზმებს ეს ძაღლები წინ უსწრებდნენ და ყუფით აფრთხილებდნენ მოსალოდნელი საშიშროების შესახებ.

სოხუმ-კალეში რვა დღე დაერჩით და დიდად კმაყოფილი ვიყავი ამ ციხესიმაგრის კომენდანტის თევდორე ალექსის ძე მიხინის (Fo-

edor-Alexievitch Melchin)(6) მიღებითა და ყურადღებით. იგი უკვე ორი წლის განმავლობაში მსახურობდა ამ პოსტზე, სოლო ამიერკავკასიის რუსეთის პროვინციებში თორმეტი წელი გაეტარებინა. 1820 წელს მთავარმართებლის ბრძანებით მან ფაზისის შესართავსა და ბათუმს შორის, გურიაში (Gouriel) წმინდა ნიკოლოზის (Saint-Nicolas) ციხესიმაგრე დატოვა; ამის მიზეზი აქ განლაგებული გარნიზონის ღიდი სიკვდილიანობა გახლდათ. ამასთანავე, ამ ციხეს არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა რუსეთისათვის.<sup>42</sup> აღნიშნული მხარის შესახებ ჩემი ცნობების ერთი ნაწილი სწორედ ამ ოფიცერმა და მისმა თარჯიმანმა მომაწოდეს. დიდად ვარ დავალებული აგრეთვე ბ-ნ პოლ გიბალისაგან, რომელიც თითქმის ერთი წელი ცხოვრობდა სოხუმ-კალეში და კიდევ მაიორ რაკოტსკისაგან (Rakotse), რედუტ-კალეს ახლანდელი კომენდანტისაგან.

#### თ ა ვ ი V

ფრეგატის გემბანზე ერთი მეგრელის მოსვლა. -- სოხუმ-კალედან რედუტ-კალეში განგზავრება. -- ელასურის ზედი. -- ილოტი. -- ანაკლია. -- რედუტ-კალეს რედზე მოსვლა. -- დამბროლება მდინარის შეხარბეთან. -- ღობის უსაფრთხოება და მისი სიღრმე. -- აუცილებელი სამუშაოები, რომელთა ჩატარებაც საჭიროა რედუტ-კალეს პერის გასაქანსაღებლად. -- საყარანტინო შენობები -- ეპრობა და ნოსნობა 1823 წელს. -- წონისა და ზომის ერთეულები. -- ძველად არსებული ტყვეებით ეპრობა შეწყვეტილია. -- ფაზისთან, ანუ რიონთან, დაკავშირებული ნოვონებები. -- ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაც შეუძლებელია ამ მდინარეზე ნოსნობის გასაუქმობესებლად. -- ამ სანაპიროს მთავარი ნავსადგურების, ყურეებისა და უბეების თანამედროვე მდგომარეობა. -- რამდენიმე სიტყვა გურიის შესახებ. -- ბატას (Bali) ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული შეცდომები. -- ძველი კოლონიები. -- სამეგრელოს აღწერა. -- ცნობები სამეგრელოს მთავრისა და დედოფლის შესახებ.

სოხუმიდან ჩვენი გამოგზავრების წინა დღეს, შეღამებისას, გემბანზე ერთი საწყალი მეგრელი ამოვიდა. იგი თხუთმეტი წლის წინათ აფხაზებს მოეტაკათ და მთელი ამ ხნის განმავლობაში თურმე

(6) ეს ოფიცერი მოკლული იქნა აფხაზებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს 1824 წელს.<sup>41</sup>

მათან უცხოვრია. მოტაცებისას მისთვის ქუსლი გაუხვეტიათ, წყლული რომ გასჩენოდა და გაქცევის საშუალება არ ჰქონოდა, შემდეგ კი ლორების მწყემსად გაუმწესებიათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხი მაჰმადიანური რჯულისაა; ლორი მათთვის ძირითად საკვებს წარმოადგენს. მეგრულს თანდათან თავისი ბატონის ისეთი ნდობა დაუქსახურებია, რომ ზოგჯერ მას სოხუმშიც დაჰყვებოდა ხოლმე, სიდაც მისი პატრონი ცვილის, თაფლისა და ზოგიერთი ბუნვეულის მარილზე და შეღებილ ხამ ტილოზე გადასაცვლელად ჩადიოდა.

ერთ დღეს, ამ მეგრულს მასთან ერთად მოსული აფხაზების მეთვალყურეობისათვის თავი დაუღწევია და ციხესიმაგრეში მიმალულა. მაგრამ იგი თავშესაფარში აღმოუჩენიათ და რომ არ დაერღვიათ აფხაზებთან დამყარებული მშვიდობიანი ურთიერთობა, იგი აიძულეს თავის ბატონს დაბრუნებოდა. ამ უბედურს მოუხერხებია თავის გამართლება მისი ხანმოკლე გაქრობის გამო და შეუწარჩუნებია მოპოვებული ნდობა, მაგრამ სამეგრელოში დაბრუნების სურვილს თურმე მანც ინახავდა გულში. როდესაც აქ რუსული ფრეგატი ჩამოდგა, ამ კაცს თავის დახსნის საშუალება მიეცა და მანაც წელიდან არ გაუშვა ეს შერბილული. მისმა ბედუკუღმართმა ცხოვრებამ გული აუჩუყა თარჯიმანსა და კომენდანტს.

მან კვლავ დააღწია თავი ბატონის მეთვალყურეობას და ოცდაოთხი საათის განმავლობაში სოხუმში იმალებოდა, ღამით კი ჭარისკაცის ფარაჯაში გადაცმული გემზე ამოვიდა. როდესაც იგი გემბანზე აღმოჩნდა, ეს გამოქცეული ტყვე აღტაცებას ვერ ფარავდა. თუმცა სახეზე ჭერაც ეტყობოდა ის შიში, რომელიც მისი ცხოვრების თანამგზავრი გამსდარიყო; იგი ძალზე გამხდარი იყო და თიოქმის არაფერი ეცვა. დიდ გაჭირვებით შევძელით მისგან ორიოდე ცნობა მიგველო შიდა აფხაზეთის შესახებ. მან მხოლოდ ის გვითხრა, რომ ეს ქვეყანა მეტისმეტად ნაყოფიერია, დაფარულია ტყეებით, რომელთაც მინდვრები და მთები ენაცვლებათ. იგი გვარწმუნებდა, რომ აქ ხალხი ვაჭრობის, საკუთარ მიწებზე მოწეული პროდუქციისა და ნანადირევის გასაღების ბაზრის უქონლობის გამო მეტისმეტად ღარიბად ცხოვრობს: რომ მიწას აქ არ ამუშავებენ და მე და ჩემს ბატონს ხშირად არსებობისათვის აუცილებელი სურსათიც კი გვაკლდაო. ამ საცოდავისათვის გემბანზე შემოწირულება შეაგროვეს: რუსები ჩვეულებრივ ქველმოქმედნი არიან და შემონაწირიც უხვი იყო. საცოდავს ძველმანებიც მისცეს სხეულის შესამოსად, რომ თავის სოფელში ჩასულიყო, სადაც, შესაძლოა, მთელი ოჯახი ისევ, როგორც ბევ-

რი სხვა ოჯახი, ამოწყვეტილი დახვედროდა 1812 წლის ეპიდემიის გამო.

სოხუმ-კალედან სამშაბათს, 6(18) ივნისს, დილის ოთხ საათზე გამოვემგზავრეთ და მაშინვე დავინახეთ კელასურის ნანგრევები. მალე კოდორის (Cador) კონცხზე<sup>1</sup> აღმოვჩნდით, რომელიც სოხუმიდან თერთმეტი ვერსის დაშორებით მდებარეობს. მის შემოვლას მთელი დღე და ღამის ნაწილი მოვანდომეთ.

აქ კაპიტანმა ყურადღება მიმაქცევინა იმაზე, რომ პეტერბურგში შედგენილი ამიერკავკასიის რუსული პროვინციების რუკა შიდა სამეგრელოსათვის ზუსტია, ხოლო სოხუმსა და ტრაპიზონს შორის მოქცეული ნაპირისათვის კი ნახევარი გრადუსით მცდარია.

შემდეგ ჩავუარეთ ილორს. ეს ქალაქი, ისევე როგორც კელასური, ღამაში ფერდობის ძირში მდებარეობს. უკან მოჩანს მთებზე ორი ქედი, რომელთაგანაც მეორე ნაწილობრივ თოვლითაა დაფარული, ზემოდან მათ იაღბუზის მაღალი მწვერვალი გადმოჰყურებს.

მეორე დღეს, დილაადრიანად უკვე ანაკლიაში აღმოვჩნდი. იგი პონტოს სამეფოს, ძველი ჰერაკლეს<sup>2</sup> ერთ-ერთი კოლონია გასდგათ. ეს ნავსადგური გაშენებულია აგისა<sup>3</sup> (Agis) და ენგურის შესართავთან; ძველად იგი ტრაპიზონსა და კონსტანტინოპოლთან ძალზე მნიშვნელოვან ვაჭრობას აწარმოებდა, რაც ძირითადად ტყვეთა სყიდვას ემყარებოდა.

თევზით მდიდარ ენგურზე მეთევზეობა უწინ თურქი ვაჭრების ხელში იყო და სამეგრელოს მთავრების ერთ-ერთ ძირითად შემოსავალს წარმოადგენდა. ამ მდინარეში იჭერდნენ უამრავ თაროს, ორაგულს, ფარგას და პატარა, მაგრამ ძალიან გემრიელ ქაშაყს. აქვე, ისევე როგორც მთელს სანაპიროზე სოხუმიდან ფაზისის შესართავამდე, იჭერდნენ ხმელთაშუა ზღვაში ძალზე იშვიათ და კარჩხალის სახელწოდებით ცნობილ თევზს. მისი ქვირითიდან ამზადებენ ხიზილალას ერთ სახეობას, რომელსაც პუტარგს (poutargue) უწოდებენ. ხიზილალას გარედან ცვილს შემოავლებენ ხოლმე. ასე შენახული ხიზილალა ინდოეთშიც შეიძლება გაიგზავნოს.

მას შემდეგ, რაც ბერძნებს შეიარაღებულმა აჯანყებამ და კონსტანტინოპოლიდან ბარონ დე სტროგანოვის<sup>4</sup> (Stroganoff) გამგზავრებამ დივანი რუსეთის წინააღმდეგ ომის საშიშროების წინაშე დააყენა, თურქმა ვაჭრებმა და მეთევზეებმა მაშინვე აიღეს ხელი ანაკლიასა და რედუტ-კალეში ჩამოსვლაზე. ამასთანავე, აქ მათ ორი თუ სამი წლის განმავლობაში თავი ჰქონდათ მობეზრებული საკარანტინო

ლონისძიებებით, რასაც ისინი შეუჩვეველნი იყვნენ და თავიანთი უმეცრებისა და ფატალიზმის გამო ვერ ეგუებოდნენ(1).

საკმაოდ ვინანე, რომ ანაკლიაში შესვლა ვერ შეეძელი. ირწმუნებიან, რომ აქ ორი მდინარის შესართავი თავშესაფრად მოხერხებულ ნავსადგურს ქმნის ხუთი ან ექვსი მცირე წყალწყისის სავაჭრო გემებისათვის. ანაკლია ამ ორი წლის წინათ მიატოვეს რუსებმა<sup>2</sup>, რადგანაც იგი უსარგებლო პოსტად მიიჩნიეს, თუმცა ამ ადგილას განლაგებულ ჭარებს სარგებლობა მოჰქონდა იმით, რომ სავსებით უშიშარყოფდა ვაჭრობას ხობის მარჯვენა მხრიდან აფხაზთა თავდასხმებისაგან.

ანაკლიასთან ერთი საათით შეეჩერდით; შემდეგ ფრეგატმა ლუზა ჩაუშვა რედუტ-კალედან სამ ვერსზე. ამ რეიდის ფსკერი ლუზის დასამაგრებლად ვარგისია და წყალიც ღრმია, მაგრამ რადგანაც იგი ღრია და დამცველი კონცხები მისგან საკმაოდ დაშორებულია, ზამთარში მოთარეშე ქარიშხლები ამ ადგილს მაინც უქმნის გარკვეულ საფრთხეს.

კაპიტანმა ციხესიმაგრეს ქვემეხების ბათქით ნიშანი მისცა, შემდეგ კი ზღვაში ჩაუშვა თავისი დიდი კარკაპი, რომელშიაც მასთან ერთად მეც ჩაეჭექი. წინა ღამით ძლიერი ქარი ქროდა და ზღვა ჭერაც ძალზე ღელავდა. რამდენიმე დღის განმავლობაში ქარიშხლის მძვინვარების შედეგად მთებიდან მოზღვაებულმა წყალმა გააძლიერა იმ დინების სისწრაფე, რომელიც ფაზისიდან და ხობიდან ყოველთვის ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული. ამ დინებამ ხობის შესართავში წყალქვეშა მეჩჩეები შექმნა, რის გამოც აქ შესვლა გაძნელდა. ეკიპაჟის თორმეტი ახოვანი და რჩეული მეზღვაურის ერთსულოვანმა ძალისხმევამ ძლიერ გაარღვია ტალღა, თორემ შესასვლელს ავცდებოდით და უბედურებას დავიწვედით. კაპიტნის მღელვარებას მისთვის უჩვეულო სიფიცხე ამჟღავნებდა; იგი გამოწვეული იყო იმ საშიშროებით, რაც ჩვენ გვემუქრებოდა. ბოლოს, მაშველმა ძალებმა შეტევა წარმატებით დააგვირგვინა და მალე ციხესიმაგრის შესასვლელის პირდაპირ, ხობში შეეცურეთ კარკაპი.

რედუტ-კალეში გენერალ-მაიორ თავად პეტრე გორჩაკოვს<sup>3</sup> (Pierre Gorstchakoff) შევხვდი. იგი საქართველოში ჩემი პირველი მოგზაურობის დროს გავიცანი და ახლა ჩემი ნახვა მას ძალზე გაუხარდა. იგი იყო იმერეთის მმართველი, კეთილი, მაგრამ მტკიცე ხა-

(1) 1823 წლის დასასრულიდან ისინი კვლავ გამოჩნდნენ სოხუმ-კალეში.

სიათის გამო აქ მან თავის ქვეშევრდომთა პატივისცემა და ერთგულება დაიმსახურა. რადგან მას სამეგრელოსა და აფხაზეთის ზედამხედველობაც ევალებოდა, იგი რედუტ-კალეში ჩამოსული იყო, რათა აფხაზეთის მთავრის დასახმარებლად ორასკაციანი რაზმით გამგზავრებულიყო იმ ფრეგატით, რომელმაც ჩვენ სოხუმ-კალეში ჩამოგვიყვანა.

მე ახლახანს ვილაპარაკე იმ სიძნელეებზე, ხობის შესართავთან რომ იქმნება. მაგრამ თუ აქ თვით ადგილმდებარეობით ნაკარნახევი ჰიდრავლიკური სამუშაოები წესიერად და თანმიმდევრობით განხორციელდება, შესართავი უთუოდ გათავისუფლდება წყალქვეშა მტეჩებისაგან და ამ მხარეში ხშირი ჭარიშხლების შედეგად მდინარის მიერ ჩამოტანილი ქვიშა სხვაგან დაილექება.

მაშინ ხობი მთელს შავ ზღვაზე სავაჭრო ხომალდებისათვის ყველაზე უფრო სანდო და მოხერხებულ ნავსადგურად იქცევა, ვინაიდან მისი სივრძე ოთხ ვერსზე (ერთი ლიე) მეტია, ხოლო სიგანე თხუთმეტრიდან თუთამეტ ფუტამდე აღწევს; ამასთანავე მდინარეს შვეული ნაპირები აქვს, ისე რომ ხომალდების დატვირთვა-გადმოტვირთვა აქ მეტისმეტად იოლი იქნება.

ხობი, ისევე როგორც ფაზისი, სამეგრელოს დაბლობზე მიედინება. მაგრამ მას გაცილებით ნაკლები სისწრაფე აქვს, რადგანაც მისი მასაზრდოებელი წყაროები ოდნავ შემალლებული მთებიდან მოედინებიან და არა კავკასიონის მაღალი ქედებიდან, რომლებიც ფაზისს ამარაგებენ ძირითადი შენაკადებით.

მანძილი ხობიდან ზღვამდე პირდაპირი ხაზით სამოცდაათი ვერსი ძლივს იქნება. მაგრამ მდინარე ისეა დაკლაკნილი, რომ მისი ნაპირის გაყოლებაზე გაყვანილი გზა ას ვერსზე მეტი მაინც იქნება. ჩვენ ამ მდინარეს ნავით აღმა ავყევით მეგრელი თავადის, გვარად ჭაიანის (Djayan) მამულამდე. რომელიც რედუტიდან მხოლოდ ორი ვერსითაა დაშორებული. ამ მოკლე მანძილზე ორმოცდათვრამეტი, ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებული, წყალსატევი დაეთვალეთ, რომლებიც განუწყვეტლივ აფერხებენ წყლის დინებას და ამასთანავე მეტისმეტ გამჭვირვალებას ანიჭებენ მას. ხობი, შესართავთან ახლოს, განსაკუთრებით დიდი წვიმების დროს, ოთხიდან ხუთ ფუტამდე აღწევს ხოლმე, წალეკავს სოფლების ერთ ნაწილს და თან უამრავი ხე და მიწა მიაქვს, ქვები კი ნაკლებად, ვინაიდან მდიდარი დაბლობის

ნიდაგი მეტწილად შედგება თიხისა და ქვიშისაგან და დაფარულია საუკეთესო მცენარეული საფარით.

ხობის შესართავიდან დაახლოებით ერთ ვერსზე ვხვდებით ერთ ეიწრო, მაგრამ ძალიან ღრმა მდინარეს, რომელიც ერთვის მას და მის აუზად შეიძლება იქნეს გამოყენებული. ამ მდინარეს ცივი (Syba) ეწოდება. ბაზარში მისასვლელად მას ბორნით გადალახავენ ხოლმე.

რედუტ-კალეში ჰავა მავნეა, განსაკუთრებით შემოდგომით; მაგრამ აქაური კლიმატი უთუოდ გამოკეთდება, თუ ბაზრის ირგვლივ მდებარე ჭაობს ამოაშრობენ: თუ აღიდებული მდინარის შესაკავებლად მის ნაპირებს აამაღლებენ. ხოლო ყაშირების მოხვნით აიციდნენ წვიმებს. რომელიც აქ უხვად მოდის, რადგანაც ზღვის ქარებისაგან გამოდენილ ღრუბლებს სამეგრელოს ხშირი ტყეები აკავებს ხოლმე.

გვევარაუდებოდა, რომ აქაური ხელისუფალნი სათანადოდ არ ზრუნავენ ბაზრის სურსათ-სანოვაგით მომარაგებაზე, ამიტომ აქ ხშირად ჩნდება ციებ-ცხელება, რომლის სამკურნალოდაც ქინაქინა არ გამოდგება, კვების სწორი რეჟიმის დაცვა კი ამ სენის გავრცელებას ხელს შეუშლიდა(2).

თითქმის მთელი ივნისი და ივლისის ნაწილი გავატარეთ აქ, რადგან თავად გორჩაკოვის აფხაზეთიდან დაბრუნებას ველოდით და მთელი ამ ხნის განმავლობაში თხის, ვაცის, ზოგჯერ კი კამეჩის უგემური ხორცის გარდა არა გვინახავს რა. ორასი დღის განმავლობაში, რომლის მანძილზეც რუსები მარხულობენ, ამ ხორცის შოვნაც კირს ხოლმე. აქაური ღვინო მყავია. პური თითქმის ყოველთვის დაობებული ფქვილისაგანაა გამოქმნილი და განა შეიძლება ამგვარი საკვებით ციების საშიშროების თავიდან აცილება? თუქცა, სამართლიანობა მოითხოვს და უნდა ვაღიარო, რომ რუსეთი ეს-ეს არის დაეუფლა ამ მხარეს და იგი განუწყვეტლივ ზრუნავს ქვეყანაში უკეთესი პირობების შესაქმნელად. ამგვარად, ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ სულ მოკლე ხანში აქ აღმოიფხვრება ჩემ მიერ აღნიშნული არახელსაყრელი პირობები. რაც ადამიანთა ყოფაზე უფრო მეტ გავლენას ახდენს. ვიდრე ეს მიაჩნიათ.

ჩასატარებელ სამუშაოთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო იქნება გზატკეცილის გაყვანა ბაზრიდან ციხესიმაგრემდე, სადაც მო-

---

(2) ორი წლის წინათ რედუტ-კალეს გარეუბნებში ტყეთა ერთი ნაწილი გაჩენეს და ციება უკვე საგრძნობლად შემცირდა.

ნახსენებელია აქაური ადმინისტრაცია. ბაზარი ერთი ვერსითაა მიხგან დაშორებული და თუ მათ შორის გზა გაიჭრება, ვაჭრები ციხესიმაგრეში მისვლას ხმელეთითაც ყოველთვის შესძლებენ.

სამი წლის წინათ რედუტ-კალეს მოსახლეობა შედგებოდა ას ორმოცდაათი ვაჭრისაგან, რომელთაც სულ ოცდაათიოდე სახლი ჰქონდათ. დღეს აქ ასზე მეტი სახლია. მოსახლეობის რიცხვი კი ოთხასს ჰპარბობს. უმრავლესობას ოჯახები სამეგრელოში და იმერეთის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში ჰყავთ დაბინავებული.

ბაზარი მდინარის მარცხენა მხარეს ორ პარალელურ ხაზზეა განლაგებული. ხობის გასწვრივ გაშენებულ სახლებს ღობეებით შემოზღუდული დიდი ეზოები აკრავს. რომლებიც მდინარის ნაპირამდეა გადაჭიმული. რაც ბარგის გადმოტვიროვის საშუალებას აძლევს გემებს. როცა რედუტ-კალეს ვაჭრობა უფრო ფართო მასშტაბს მიიღწევს, მაშინ შესასრულებელი გახდება მდინარის მარჯვენა მხარეს მეორე ბაზრის აშენებაც.

ხობის მარცხენა მხარეზეა აგრეთვე განლაგებული საავადმყოფოები. ფქველის მაღაზიები, ყაზარმები და ოფიცერთა საცხოვრებლები.

გარნიზონი შედგება ექვსასი თუ შვიდასი კაცისაგან. ესენი არიან ქვეითი ჯარისკაცები, არტილერიისტები და კაზაკები. ხობის მარჯვენა მხარეს მოთავსებულია კარანტინი: იგი წარმოადგენს ხის სამ შენობას და საკმაოდ ვრცელი და მოხერხებულია. კარანტინი აგებულია 1823 წლის დასაწყისში. მანამდე კი ამ ნავსადგურს, სადაც 1823 წლის 8(20) ოქტომბრის უკანით გაიშალა ვაჭრობა, არც ერთი შენობა არ გააჩნდა უამინდობის დროს საქონლისა და აქ გადმომსხდარი მოგზაურების მისაღებად.

თოფისწამლის, მარილისა და სახელმწიფო მომსახურების სხვა საწყობებიც მდინარის მარჯვენა მხარეზეა განლაგებული.

1823 წლიდან რედუტ-კალეს ვაჭრობა ძალზე გამოცოცხლდა და დუქნები ქვეყნისათვის საჭირო და საყოველღეო მოხმარების ნაირ ნაირი საქონლით გაივსო. ხშირად ეს საქონელი აქ გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე თბილისში.

კონსტანტინოპოლიდან აქ იგზავნება რომი, თავი შაქარი, ყავა და ზოგიერთი სხვა საქონელი, რომლებიც ინგლისიდან და ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებიდან მოდის.

ტრაპიზონი აგზავნის საკმაოდ მდარე ხარისხის ღვინოს, ფორთოხალს, ლიმონს, ზეთს და ზოგჯერ ძალზე უხეშ, თვითრ და მოჩითულ ტილოს.



ტავანროგიდან შემოდის რკინა, უხეში შალი, ტაკელაჟი, კილოფი, დამარილებული და შებოლილი თევზი და არქიპელაგის ღვინო.

ქერჩის ნავსადგურიდან შემოსული ტვირთი შედგება ამ ქალაქის მიდამოებში არსებული მარილის საბადოებიდან ამოღებული მარილსაგან, ტარსაკონისა და ასტრახანული ბატენის ტყავის სახელწოდებით ცნობილი კრავისა თუ ცხვრის რუხი და შავი, ხვეული ბეწვის შქონე ტყავისაგან.

ცხვრის ეს ჯიში იმდენად კარგია, რომ ურთავო არ იქნება თუ მას საფრანგეთშიც შემოიტანენ. მთელს ყირიმში იგი ძალზე დიდი როლდენობით გვხვდება. ქერჩიდან ფლოტილიის ხომალდებს შემოაქვთ აგრეთვე ჭვავის ფქვილი, ძველ კოლხეთში განლაგებული ჭარბის მოსპარაგებლად(3).

დაბოლოს კონსტანტინოპოლთან კონკურენციის მიზნით, ოდესა აქ გზაუნის თავ შაქარს, რომს, შიტკალს, შეღებილ ტილოს, მაუდს, აბრეშუმის ქსოვილებს, კაცეულობას, შუშხუნა შამპანურ ღვინოებს, ლიქორისებურ სასმელს და ბევრ სხვა საქონელს. ინგლისელი ბ-ნი მარო (Marr) ოდესაში ეტკუდის<sup>10</sup> (Atwood) საეპკრო ფირმის ნოქარი. პირველ ევროპელი გახლდათ, რომელიც რედუტში 1822 წლის იანვარში ჩამოვიდა და ინგლისური საქონლით მოვაჭრე დუქანნი ვახსნა. ეს ფაქტი მომყავს, როგორც ახალი საბუთი იმისა, თუ როგორ ესწრაფვის ეს მრეწველი ერი ვაჭრობისათვის გამოსადეგი გასაღების ყველა ბაზრის გამოყენებას. 1822 წლის ბოლოს კი აქ ერთი ფრანგი ვაჭარიც დამკვიდრდა.

კიდევ ექვსი თვის შემდეგ აქ ბ-ნი დე ლ'ეკლუზი ჩამოვიდა გემით, რომელზედაც ბელგიური დროშა იყო აღმართული. ბ-ნი დე ლ'ეკლუზის შესახებ მე უკვე მოგახსენეთ ანაპისადმი მიძღვნილ პარაგრაფში. მისდა სამწუხაროდ, ამ ნავსადგურში მან ჩამოიტანა რამდენიმე კასრი რომი და შაქრის ფხენილი, რომელსაც არც რუსეთში და არც საქართველოში არავითარი გასაყალი არა აქვს, თანაც ეს საქონელი მაშინ ძალზე ბევრი იყო თბილისის ბაზარზე.

1823 წელს რედუტ-კალემ ტრაპიზონიდან, კონსტანტინოპოლიდან, ოდესიდან და შავი ზღვის სხვა ნავსადგურებიდან მოსული ოთხმოც

(3) საქართველოში მიმდინარე იმის აღნიშვნაც, რომ რუსეთის მთავრობა იოლად აძლევს მოგზაურებსა თუ რუს და უცხოელ ვაჭრებს უფასოდ მგზავრობის უფლებას საომარ ხომალდებზე, რომლებიც ყირიმსა და სამეგრელოს ნაპირს შორის დაეურავენ. ამისათვის საქმარისია თხოვნით მიმართონ ბ-ნი აღმხრალ გრევის ნაყოლავეში. ან მთავარპარტებელ ერმოლოვს თბილისში.

დაექვსი ხომალდი მიიღო, რომელთაგანაც უმრავლესობა მეტად მცირე წყალწყვისა იყო.

1824 წელს აქ ჩამოსული ხომალდების რიცხვმა ას ორმოცდაათს მიაღწია, ერთი მათგანი აქ პირდაპირ მარსელიდან წამოსულა.

რედუტ-კალეს ვაჭრები ძირითადად სომხები ან ბერძენები არიან. ისინი მეტწილად ხელმოკლედ ცხოვრობენ და მათი ვაჭრობა იმით შემოიფარგლება რომ მარისს, რინას და მათთვის გამოგზავნილ ევროპულ საქონელს ცელიან ცვილზე, თაფლზე, თუთუნზე, ტყავზე, კაკლისა და ბზის ხეების მასალაზე, ირმის რქებზე, ბეწვეულზე, სიმინდსა და კაკალზე. ეს საქონელი მეგრელებს მცირე რაოდენობით შემოაქვს ბაზარზე.

რედუტ-კალეში თურქული ზომა-წონისა და ფულის ერთეულებია ხმარებაში, ვინაიდან სამეგრელო დიდი ხნის განმავლობაში ემორჩილებოდა და ხარკს უხდიდა ოტომანთა იმპერიას. იშვანად ძირითადი საქონელი, გადასახადის სახით რომ უხდიდნენ მაჰმადიანებს და რაც დიდად სამარცხვინო იყო ამ მხარის სუვერენისათვის, სილამაზით გამორჩეული ვოგონებისა და ყმაწვილების გარკვეული რაოდენობა გახლდათ. მოგზაური შარდენი ამტკიცებს, რომ სამეგრელო წელიწადში ორი ათას ტყვეს იძლეოდა, მაგრამ ეს რიცხვი იმდენად დიდია კოლხეთის ამ ძველი ნაწილის მოსახლეობისათვის, რომ ეს ავტორი. ესოდენ მართალი სხვა შემთხვევაში, ამჟერად უდავოდ ცდება.

ზობი, ძველი კიანეი<sup>1</sup> (Cyannus), რომლის ნაპირებზეც რედუტ-კალე მდებარეობს, ისტორიული თვალსაზრისით არაფრით არ არის ცნობილი და მასთან არავითარი სამახსოვრო ფაქტი არ არის დაკავშირებული: მაგრამ არ შეიძლება იგივე ითქვას ფაზისის, ანუ რიონის, შესახებ, რომელიც რედუტ-კალედან მხოლოდ თორმეტი ვერსის (იაში ლიეს) მანძილზეა დაშორებული.

სწორედ ამიტომ სასწრაფოდ დავეთანხმე რედუტის ციხეზე გაპიროვნებული ინჟინრის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას, გვეყოლოდი მას პატარა ციხესიმაგრე რიონსკაიაში<sup>2</sup> (Rionskaia), რომელიც მან ააგო ფაზისის შესართავიდან ცამეტი ვერსის სავალზე. ჩვენ იქ ორ საათში მივედით, მას შემდეგ, რაც ფონით გადავლახეთ პატარა მდინარე (ნაბადა<sup>3</sup>) (Nabada), რომელიც ზღვას ერთვის ფაზისიდან ოთხი ვერსის დაშორებით.

უნდა ვაღიარო, რომ თავი ვერ შევიკავე ემოციისაგან, როცა ეს

მდინარე ვიხილე. იგი ხომ ბერძნების პირველი და ყველაზე ცნობილი ექსპედიციების ამბებთან არის დაკავშირებული.

არტუ იხე შორსაა ის დროს, როცა ზოგნი სკვატიციზმით იწონებდნენ თავს და უძველესი მწერლების, კერძოდ, ისტორიის მამამთავრის პეროდოტეს<sup>14</sup> ცნობებს ეჭვის თვალით უყურებდნენ. მაგრამ ორმოცი წლის განმავლობაში მოგზაურთა მთელი არმიის მიერ ჩატარებულმა ძველი მსოფლიოს გამოკვლევებმა დაადასტურეს ჰემმარიტება იმ მრავალრიცხოვანი ფაქტებისა, დიდხანს რომ საეჭვოდ ითვლებოდა.

იმ სადავო ფაქტებს შორის, რომელთაც საფრანგეთის, ვერმანიისა და ინგლისის ყველაზე გულმოდგინე სწავლულნი მეცნიერულად ასაბუთებდნენ ან აკრიტიკებდნენ, უმნიშვნელოვანესი — იაზონისა<sup>15</sup> და მასზე უფრო აღრე განხორციელებული ფრიქსესა და ჰელეს ექსპედიციები<sup>16</sup> გახლდათ.

ბ-ნმა რაულ-როშეტმა თავის ნაშრომში „ბერძნული ასალშენების დაარსების ისტორია“<sup>17</sup> ამ ორი მოვლენის რეალობის დამადასტურებელი დიდძალი დოკუმენტები შეკრიბა და ამით უმკაცრეს სკეპტიკურ-სენსაც კი მოუსპო ეჭვის საბაბი.

„დღეს უკვე ეჭვის ჭეშმარიტად აღარ დგას იაზონის ექსპედიციის რეალობისა და მნიშვნელობის საკითხი — ამბობს რაულ-როშეტი, — და თვით ის არაკებიც, რომლებიც ამას ეჭვობენ ამ გადმოცემას, მხოლოდ და მხოლოდ საწინდარია იმისა, რომ მათ მიერ აღწერილი მოვლენები ჰემმარიტებად მივიჩნიოთ“.

ეს ელინისტი მეცნიერი ამ ექსპედიციას მიიჩნევს სავაჭრო და პოლიტიკური მიზნით მოწყობილ ექსპედიციად, რომელსაც მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები იცავდა. მისი სიტყვებით, ბერძნებს ამ ექსპედიციამდეც უცდიათ ვაჭრობა ეწარმოებინათ პონტოსა და ფაზისზე. ხოლო ფრიქსესა და ჰელეს მოგზაურობის ამბავი მხოლოდ და მხოლოდ მათი პირველი ცდების დამახინჯებული გადმოცემაა.

სტრაბონის დროს ამ ექსპედიციის აღწერაში მოხსენიებული ყველა ძველი ჯერ კიდევ უვნებლად იდგა კოლხეთში, სადაც ერთ რომელიღაც დაბლობსაც კი ფრიქსეს ერთ-ერთი ძის არგოსის სახელს მიწვდით არგო ეწოდებოდა<sup>18</sup>. სწორედ ფრიქსეს მიაწერდნენ მოსხების<sup>19</sup> (Mosches) ქვეყანაში, სადაც კოლხები, იბერიელები და სომხები ცხოვრობდნენ, ლევკოთეას<sup>20</sup> ტაძრის მშენებლობას და საქართველოში ერთი ქალაქის დაარსებას, რომელსაც სახელად იდეესა<sup>21</sup> (Idessa) ერქვა.

მანამდე კი პონტ-ევქსინის დაბლობზე პელაგებ<sup>22</sup> ახალშენები ჰქონდათ დაარსებული.

ბ-ნი რაულ-რომეტი იმასაც ამბობს, რომ არგონავტების ექსპედიცია უფრო იმიტომ მოაწყვეს, რომ ზღვა გაეწმინდათ მეკობრეთაგან, რომლებიც ვაჭრობას დიდად უშლიდნენ ხელს ამ ზღვაზე. სწორედ ეს გახდა ბერძნებისათვის წმინდა, ნამდვილი ჭვაროსნული ომის მიზეზი. სწორედ ამან გადაწყვეტინა მათ გამოეცათ კანონი, რომელიც უფლებას იძლეოდა აეგოთ მანამდე ნებადართული ზომის ჩვეულებრივ ხომალდებზე გაცილებით დიდი ხომალდები. საბერძნეთის ყველა კუთხის ხალხმა მოისურვა ამ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება. ორმოცი წლის შემდეგ მათი ეს პირველი კავშირი მაგალითი გახდა იმ ცნობილი კოალიციისა, რამაც ტროა<sup>23</sup> განადგურებამდე მიიყვანა.

ექსპედიცია მიზნად ისახავდა კოლხეთის განძის ხელში ჩაგდებასაც. სტრაბონი, პლინიუსი<sup>24</sup>, არიანე<sup>25</sup> ახსენებენ კოლხეთის ოქროსა და ვერცხლის მდიდარ საბადოებს. ხოლო რაინექსისა<sup>26</sup> და გრაფ პუშკინის<sup>27</sup> გამოკვლევები, ადგილობრივი გადმოცემები, დაბოლოს, 1737 წელს სოლომონ მეფის მიერ რუსეთის დედოფლის სახელზე გაგზავნილი ხელნაწერი რუკა<sup>28</sup> თითქოსდა კიდევ ერთხელ ადასტურებდა ამ მალაქობის არსებობას; მაგრამ ეს საკითხი დღეს მაინც სადავოდ რჩება და ამ საბადოების ადგილმდებარეობა ჯერაც გაურკვეველია.

სინოპის<sup>29</sup> გარეუბნებში, პროპონტიდასა<sup>30</sup> და ჰელესპონტის<sup>31</sup> ნაპირზე, ლემნოსში<sup>32</sup>, იბერიაში, სომხეთსა და მიდიელთა ქვეყანაში<sup>33</sup> ქალაქები, ტაძრები და მრავალი სხვა ძეგლი იაზონის სახელზე იყო აგებული და თუკი დღემდე მათი კვალიც აღარ არის, ეს იმიტომ, რომ პარმენიონმა<sup>34</sup> ალექსანდრეს საამებლად, რომელსაც ეშინოდა არგონავტების ბელადის დიდებას მისი დიდებისათვის ჩრდილი არ მიეყენებინა, მათი განადგურება ბრძანა: ალექსანდრემ ასევე მოსპო იაზონის კულტიც, დიდი ხნის განმავლობაში რომ არსებობდა ბარბაროსებში<sup>35</sup> (4). ტაციტუსი<sup>36</sup> და ტროვ პომპეუსი<sup>37</sup> ირწმუნებიან: იაზონმა მეორეჯერ იმოგზაურა კოლხეთში და ამ დროს დაპყრობილი მიწები თავის თანხლებით დაუბრუნა; ამტკიცებენ იმასაც, რომ მას ფაზისსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალშენები დაუარსებია,

(4) იხილეთ ბ-ნ რაულ რომეტის „ბერძენთა ახალშენების კრიტიკული ისტორია“.

რათა ამ ბარბაროსულ ქვეყანაში აზიის ხალხებთან ბერძნების სავაჭრო ურთიერთობისათვის მფარველობა გაეწია.

სინოპი არგონავტების მიერ დაარსებულად ითვლება. დიოსკურია თავისი წარმოშობით უკავშირდება დიოსკურების სახელწოდებით ცნობილ კასტორისა და პოლუქსის მეეტლეებს<sup>38</sup>: ანატოლიის ნაპირზე ბ-ნ დე ბოშამპის (Beauchamp) მიერ მითითებული ერთი კონცხი ჩვენს დროშიც კი ატარებს იაზონის სახელს<sup>35</sup>. დაბოლოს, კასპიის ზღვის სანაპიროზე დასახლებული ალბანელები, იბერიელები და სომხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი იმ ბერძენთა შთამომავლებად თვლან თავს, რომლებიც ამ გმირს ახლდნენ თან. ამ ხალხთა პირისახის სწორი ნაკვთები შესაძლოა ცოცხალი საბუთი იყოს მათი კეთილშობილური წარმოშობისა და გაცილებით სარწმუნო დასტური, ვიდრე აწ არასებულები წარწერები და ძეგლები (5). მიუხედავად იმისა, სარწმუნოდ მიიჩნევენ თუ არა ბ-ნ რაულ-როშეტის მიერ შეგროვებულ საბუთებს და აქ ეგვიპტელთა კოლონიის არსებობის ფაქტს, რომელიც სეზოტრისის ხანაში სელის მოყვანისა და მისგან ტილოს ქსოვის ხელოვნების გავრცელებას მოწმობს ფაზისის მიდამოებში<sup>46</sup>, მაინც დიდად საოცარია, რომ ასეთი დიდებით მოსილი ქვეყანა, სადაც ოქროს საბადოების არსებობას ვარაუდობდნენ, ქვეყანა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ემორჩილებოდა მითრიდატეს, მრავალი საუკუნის განმავლობაში შედიოდა რომის იმპერიის შემადგენლობაში. იყო ხშირი მიმოსვლის ადგილი და უმოკლესი გზა სპარსეთისაკენ, ჩემი აზრით, ეს ქვეყანა მაინც მუდამ ნაკლებად იყო ცნობილი და ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანად ითვლებოდა აზიაში.

მისი ნაყოფიერი მიწები, რომლებიც ევროპასა და აზიაში გავრცელებული ყველა კულტურისათვის გამოდგება, ამჟამად ტყეებითაა დაფარული, ისევე როგორც ტაციტუსის დროინდელი გერმანია. სა-

---

პოლინიუს როდოსელის<sup>40</sup> „პოემში არგონავტების შესახებ“ (თარგმნილ ბ-ნ კოზნისსი (Caussin) მიერ), იქ, სადაც ლაპარაკია ფაზისში იაზონის ჩამოსვლაზე, ნათქვამია: „ამ მდინარეში შესვლისას შვერზილისაგან აქადებული წყალი ნიჩბის მოქნევას ემორჩილება; ხელმარცხნივ მდებარეობს აკკასია და ქალაქი ეა“ (Aea), ხელმარცხნე მარსისადმი შეწირული ტყე“; ხომალდი მიემართება ლერწმით დაფარულ კაობში“. ბოლოს, იგი ლაპარაკობს კადრების შესახებ, რომლებიც იქ უნახავს და ა. შ.

დღეს რომ ამ ქვეყნის აღწერა მოინდოზონ, უფრო მეტი სიზუსტით ამის გაკეთებას ვერაინ შეძლებს. თუმცა, ახლა აღარავითარი კვალი აღარ ჩანს არც ქალაქ ეასი და აღარც ქალაქ ფაზისისა“ (Phasis). რომელიც მის მახლობლად მდებარეობდა.

მეგრელოს სერავს ფაზისი, ხობი და ენგური, რომლებიც ისე ერთ-  
ვიან ზღვას, რომ აქაური მაცხოვრებლები ვერაფრით ვერ ახერხე-  
ბენ ამ მდინარეების სანაოსნოდ გამოყენებას. დაბოლოს, განგებას  
უსურვებია, რომ ძველი კოლხეთი, სამშობლო ყოფილიყო სახელ-  
განთქმული უტურფესი ქალებისა, რომლებიც ამ ქვეყნის ხალხები-  
სათვის მუდამ წარმოადგენდნენ მხოლოდ ვაჭრობისა და ხარკის გა-  
დასახდელ საგანს.

ბრავალი საუკუნის განმავლობაში ვაჭრობამ ფეხი ვერ მოიკიდა  
იმ მიწაზე, რომელსაც თავისი უმდიდრესი და მრავალფეროვანი პრო-  
დუქციის წყალობით შეეძლო დიდად შეეწყო ხელი მისი განვითარ-  
ებისათვის.

როდესაც ძველი კოლხეთის რესურსებსა და ხანგრძლივი პერიო-  
დის მანძილზე აქ დამკვიდრებულ სიღარიბეს აღვწერ. მე არ მაგიწყ-  
დება, რომ მისი ბედი ისეთივეა. როგორც ბედი ყველა იმ ქვეყნისა,  
სადაც მაჰმადიანურ სარწმუნოებას აღიარებენ, მსგავსია ყველა იმ  
ქრისტიანულ ქვეყნის ბედისა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში  
მაჰმადიანებს მორჩილებენ. მისი მთავრები თუ მეფეები, მუდამ თურ-  
ქების მოხარკენი, სიღარიბის გამო სულ იმის ცდაში იყვნენ. როგორ-  
მე შეეზღუდათ მათგან მოთხოვნილი გადასახადები, ხოლო ძალმომ-  
რობის წინააღმდეგ თავშესაფარს მათთვის ტყე წარმოადგენდა.

რიონსკიას ციხესიმაგრესთან ფაზისის სიგანე მეოთხედ ღივს  
უდრის. ოდნავ მოშორებით იგი ორად იტოტება, რომელთაც ერთმა-  
ნეთისაგან ტყით დაფარული პატარა კუნძული ჰყოფს; დღეს ეს კუნ-  
ძული დაუსახლებელია. რამდენიმე წლის წინათ კი აქ კობელეს სა-  
ხელზე ნაკურთხი ტაძრის ნაშთი მოჩანდა<sup>46</sup>. ფაზისის მარცხნივ ფო-  
თის ციხესიმაგრეა. მას თურქები ფლობენ და ამის გამო რუსეთი მოკ-  
ლებულია ამ მდინარეზე ნაოსნობის შესაძლებლობას.

თავადმა გორჩაოვმა მთავარმართებელს შესთავაზა ფაზისზე  
ახალი შემოსასვლელი გზის გაყვანა და არსის გაჭრა, რომელიც რი-  
ონსკიას ციხესიმაგრიდან პირდაპირ ზღვაზე უნდა გასულიყო. ამ  
გეგმის განხორციელება ადვილად შეიძლებოდა, იმიტომ რომ მაშინ  
ციხესიმაგრიდან ზღვამდე მხოლოდ ოთხი ვერსი იყო. ახლა კი ამ  
ადგილიდან შესართავამდე დაახლოებით თორმეტი ვერსია<sup>47</sup>.

გეგმა მოწონებულ იქნა, გაიცა კიდევ საჭირო ბრძანებები ადგი-  
ლის ნიველირებისა და ამ პროექტის რეალიზაციის უზრუნველსაყოფ-  
ად, მაგრამ შალე ჩათვალეს, რომ ჩასატარებელი სამუშაოები დიდ  
სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული; თანაც შეეშინდათ, რომ

მისი აშენებით მდინარეები აღიდგებოდა, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ქვეყანას და როგორც ჩანს, ამის გამო პროექტი უარყვეს.

ფაზისთან შემოსავლელი გზის გაყვანაზე უფრო უპრიანი და რეალური გეგმა იქნებოდა ამ მდინარის სანაოსნოდ გამოყენება ზღვაში, რაც შესაძლებელი გახდება მისი წყალმარჩხი შესართავის მეჩხისაგან გაწმენდის შედეგად: მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ თურქეთი ოდესმე დათანხმდება დათმოს ფოთი, მანამდე კი ამ მდინარის შესართავი დახურული იქნება საქრისტიანოს ზომალდებისათვის.

თურქები ფლობენ აქედან ოღნავ მოსორებით მდებარე ბათუმსაც; იგი მოხერხებული ნაქსადგურია. სადაც სამასი ტონა წყალწყვის ხომალდები დაცულია ყოველგვარი ქარებისაგან. სამწუხაროდ, ამ ნავსადგურს სრულიად ვერ იყენებენ ვერც ევროპელები და ვერც თვით თურქები. რადგანაც ფაშა, რომელიც მას განაგებს, დამოუკიდებლად თვლით თავს და თავის ტერიტორიაზე თავშესაფარს აძლევს საქართველოდან და კავკასიის მეზობლად მდებარე პროვინციებიდან გამოქვეყნულ ლტოლვილთ.

ანაბლად ფაზისამდე შავი ზღვის სანაპიროს ჩემ მიერ მოტანილ დეტალური აღწერის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ როცა რუსეთის მთავრობა მიიღებს ზომებს მთიელთა შორის მშვიდობიანობის დასამყარებლად. მაშინ ხელსაყრელი გახდება ევროპასა და აზიას შორის ნაოსნობა, ეს კი განხორციელდება ბიჭვინთისა და სოხუმკალეს ორი ვრცელი, მოხერხებული და საიმედო ყურთა და ორი მდინარით — ენგურითა და ხობით.

არამართო ხომალდების უსაფრთხოებისათვის, არამედ მათი მშენებლობისა და შეკეთებისათვის ასერიგად მოხერხებულ ამ ორ პუნქტთან და ამავე დროს სამხრეთ რუსეთსა და ანატოლიას შორის უწყვეტ ნაოსნობა დაყარდება: ეს ერთნაირად შეუწყობს ხელს ორი სხვადასხვა ქვეყნის კეთილდღეობას.

ორი წელია, რაც იმერეთის მმართველმა ბრძანება გასცა საქაპანო გისის გაყვანის თაობაზე, რომელიც ფაზისის ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ნაპირს უნდა გაჰყოლოდა. საქმეს სულ მალე მოუბათივით. როცა ამ ქვეყნებში ვაჭრობა საკმაოდ გაფართოვდება, აუცილებელი გახდება ფაზისის ერთ-ერთ ნაპირზე კაშხლის აგება. რათა ხაქაპანო გზა მთელს ამ გაყოლებზე მოქმედებდეს. ამასთანავე, იგი დაიკავს ქვეყანას ქარიშხლის შემდეგ მოულოდნელად მოვარდნილი წყლიდობისაგან. მდინარე სწორედ ასეთ დროს მოანგრევს ხოლმე კლდეებს, აიტაცებს რიყის ქვებს, ამოძირკვავს ხეებს, რომლებსაც

დინება ზღვასთან მიახლოებისას ჩრდილოეთისაკენ მიაქანებს. შემდეგ ეს ყველაფერი ქვიშიან ნაპირზე ილექება და მინერალოგებს მიუთითებს იმაზე, თუ რა სიმღიღრეს შეიცავს მთები, საიდანაც ფაზისი იღებს სათავეს.

სოხუმ-კალეს რეიდზე ქარიშხლის დროს აღმოვჩნდით. ფრეგატის კაპიტანმა სიცილით გვითხრა, რომ მეორე დღეს იგი აუცილებლად შეაგროვებდა ხე-ტყეს. მართლაც, ხობისა და ფაზისის მხრიდან ჩვენამდე ისეთი დიდი რაოდენობით მოაღწია მუხის, წიფლის, კაკლისა და წაბლის ხეებმა, რომ მან ბევრად უფრო მეტის შეგროვება შეძლო, ვიდრე ესაჭიროებოდა

აქ სანაპირო საკმაოდ დიდ სიღრმეზე ნაირ-ნაირი ქვებოთა და კენჭებითაა დაფარული. რედუტ-კალეს ციხესიმაგრის ახლოს ამგვარი ქვები და კენჭები ძირითადად ფაზისის ჩამოტანილია.

შევამჩნიეთ რამდენიმე საუცხოო ხარისხის პორფირი, რომელთა შორისაც ზოგი ბრჭყვილა წითელი ფერისა იყო, ზოგი ყვითელგარსიანი, ცხფრად მოციალე და ზოგიც თეთრად დაწინწკლული წითელი ფერისა. გვხვდებოდა მუქი და ვარდისფერი, ნაცრისფერი, შავი და ცისფერი გრანიტები, რომლებშიც მცირე რაოდენობით იყო შერეული ქარსის კრისტალები. ვნახეთ ულამაზესი მოშავო ბაზალტი. ვიპოვეთ თეთრი და ყვითელი ალებასტრები. მეტ-ნაკლებად მუქი ელფირასა. აქ შევაგროვე ქანდაკებებისათვის გამოსადეგი მარმარილოს ნატეხები, ზოგი ისეთივე თეთრი, როგორც კარარის მარმარილო<sup>48</sup>, ზოგიც თეთრად მოელვარე. შევაგროვე მუქი წითელი, ღია წითელი და მწვანე წინწკლებით დაფარული წითელი მარმარილოც. მივაგენით აგრეთვე სპილენძის, რკინის, ტყვიის, მცენარეული ნახშირისა და საუცხოო იასპის ნატეხებს.

1824 წლის მაისის თვეში რედუტ-კალეში ყოფნის დროს, ხობის მარცხენა მხარეს, ნაპირიდან ერთი ლიეზე მეტი მანძილით დაშორებულ ადგილას, შევამჩნიეთ საკმაოდ სქელი შავი ნავთობის კვალი, რომელიც ზღვას ნაპირზე გამოეტანა. მეორე დღეს ასეთივე რამ შევინაწინეთ ხობის მარჯვენა მხარესაც, რედუტიდან ნახევარ ლიეზე. ეს ნივთიერება აქ ვერ შემოაღწევდა ნავთობით მდიდარი იმ კაბუტრდილებიდან, რომლებიც ბაქოსთან ახლოს, კასპიის ზღვასთანაა დატყეპული და რომელთა შესახებაც მე სხვაგან ვილაპარაკებ; ასე რომ იყოს, მაშინ უნდა გვევარაუდა, რომ არსებობს მიწისქვეშა კომუნიკაცია ორასი ლიეს მანძილზე. იგი ზღვაში გაშოტანილი უნდა იყოს



ტამანისა და ენიკალეს ახლო ადგილებიდან, ე. ი. მდინარის შესართავის ორსვე მხარეს მდებარე საბადოებიდან<sup>(7)</sup>.

ფაზისის ხელმარცხნივ, დაახლოებით ერთ ვერსზე, განლაგებულია გურია; მას განაგებს რუსეთის ქვეშევრდომი, ან უფრო ზუსტად მისი მოხარკე მთავარი<sup>49</sup>. ქვეყანა გამოირჩევა ნაყოფიერი მიწებითა და მდიდარი მცენარეულობით; მაგრამ ეს მხარე, ისევე როგორც სამეგრელო და იმერეთი, მთლიანად ტყითაა დაფარული; მხოლოდ ალაგ-ალაგ თუ ვნახავთ საუცხოო სამოვრებს და დამუშავებული მიწების პატარ-პატარა ნაკვეთებს. თითქმის ყველა საცხოვრებელი სახლი დგას შემალეხულ ადგილზე, საიდანაც შემოგარენი ხელისგულივით მოჩანს. ჰევა აქ უფრო ჭანსალია, ვიდრე დაბლობში.

მე უკვე ვთქვი, რომ გურიის სანაპიროზე მდებარე წმინდა ხიკოლოზის ციხესიმაგრე რუსებმა 1820 წლიდან მიატოვეს. ახალციხელი (Akhaltziche) თურქების თავდასხმებისაგან თავის დასაცავად მათ ამ სამთავროში ორი სხვა გამაგრებული ადგილი უჭირავთ.

გურიის სუვერენი<sup>50</sup> ძალიან ცდილობს ევროპული ზნე-ჩვეულებების შეთვისებას. მას მოსწონს და სურვილიც აქვს შეიძინოს ევროპის მანუფაქტურული პროდუქცია. ეჭვგარეშეა, რომ იგი ერთ-ერთი იმათთაგანი იქნება, ვინც განსაკუთრებით შეუწყობს ხელს ევროპელებთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. მან მიწები და ყმა-გლეხთა ოჯახები უბოძა ერთ ინგლისელს — ბ-ნ მარს, რომელიც თავის მეუღლესთან ერთად (წარმოშობით ეს ქალი ესპანელია) აქ დასახლდა და ინდიგოს მოშენება განიზარახა.<sup>51</sup>

თქვენის ნებართვით ამ ჩემს ერთფეროვან აღწერებში ჩაერთავ ამ მთავართან დაკავშირებულ და ახლახანს მომხდარ ამბებს. იგი შარდენის მიერ მოთხრობილ ფაქტს მოგვაგონებს. შარდენის აქ ყოფნის დროს სამეგრელოს ერთ-ერთი ელჩი კონსტანტინოპოლში ჩასულა ორასი ყმის თანხლებით. დასჭირდებოდა თუ არა, ამ ყმებს ეზოთიმეორის მიწოლებით ყიდდა ხოლმე. ასე რომ, უკან დაბრუნების ხანს მას სამი თუ ოთხი მოსამსახურელა შემოარჩენია. ამ დარბაისლური გარყვანის მქონე კაცს ველური ხალხებისა და ბავშვებისათვის დამახასიათებელი მიდრეკილებანი და ქცევები ჰქონდა შენარჩუნებული: ერთ დღეს, ბაზარში საყვირი უყიდია და სახლში მისვლამდე მთელი გზა თურმე ამ საყვირს აყვიყვინებდა<sup>52</sup>.

(7) რედუტ-კალეში ჩვენი პირველი მოგზაურობის დროს, 1822 წლის ივნისში, ამ ციხესიმაგრეში თითქმის ერთ თვეს დავყავით, მაგრამ ნავთობის კვლასაც ვერ მივაგენით.

გურიის მთავარი, რომელიც თავისი ქცევათ, ეტყობა, საკმაოდ წააგავს მეგრულ ელჩს, იმდენად იყო ალტაცებული გასულ ზაფხულს გერმანელი მუშაითების მიერ აქ გამართული წარმოდგენით, რომ მათ რამდენიმე არხანი მიწა და ყმა-გლეხთა ხუთი ოჯახი უბოძა იმ პირობით, რომ კვირაში სამჯერ მის კარზეც გაემართათ წარმოდგენები და რამდენიმე ყმისათვის მუშაითობა ესწავლებინათ<sup>53</sup>.

გურიის ხალხი იმავე ენაზე ლაპარაკობს და აქვს იგივე ადამიან-წესები, რაც სამეგრელოში მცხოვრებ ხალხს. აქაური ადამიან-წესები არ არის მეტისმეტად მკაცრი და არც ხალხია ისეთი ზნედაცემული, როგორც ეს შარდენის დროს იყო. გურიის ხალხი ამ ხნის მანძილზე ძალზე ვაკეთილმობილებულა.

გურიაში მისდევენ მევენახეობას, მოჰყავთ სიმინდი, ფეტვი. თამბაქო, ალაგ-ალაგ ბამბა, აწარმოებენ მცირეოდენ აბრეშუმსაც. ბამბა და აბრეშუმი აქ ისეთი რაოდენობითაა, რომ მხოლოდ ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და საექსპორტო საქონელთა შორის მათი ჩართვა შეუძლებელია.

გურიაში საკმაოდ დიდი რაოდენობით აწარმოებენ ცილსა და თაფლს. ეს უკანაქნელი ორი სახისაა: ერთი წააგავს იტალიის საუკეთესო თაფლს. მეორე კი მათრობელაა და ამ თვისებას იგი იელის ყვავილისაგან იძენს, რომლითაც ფუტკრები იკვებებიან და რომლის ბუჩქებიც უხვადაა ზეგან ადგილებში<sup>54</sup>.

ქსენოფონტეს სწორედ ეს მათრობელა თაფლი აქვს მოხსენიებული, როცა მან ბერძენთა ათიათასიანი დაჭირავებული ჯარით უკან დახვეისას კოლხეთის მოსაზღვრე ქვეყანაზე გამოიარა.

ვიდრე ამ თავს დავამთავრებდე, მინდა ჩემ მიერ ზემოთ მოტანილი ეს გრძელი აღწერა შევადარო იმ აღწერას, რომელიც ამ ქვეყნის შესახებ სტრაბონმა დავიტოვა.

ეს ცნობილი გეოგრაფოსი ამბობს, რომ კოროკონდამენ<sup>55</sup> (Corcondama), ანუ ახლანდელი ტამანიდან გამოსვლისას სანაოსნო გზა აღმოსავლეთისაკენ მიემართება და რომ აქედან ას ოთხმოცი სტადიონის<sup>56</sup> დაშორებით მდებარეობს ნავსადგური-ქალაქი სინდიკე<sup>57</sup> (Sindique). რომელიც დანვილს<sup>58</sup> (Danville) სუჭუკ-კალედ მიაჩნია.

აქამდე სტრაბონისეული აღწერა ეთანხმება ნაპირის მიმართულებას და აქ არავითარი შეცდომა არ არის დაშვებული.

შემდეგ იგი დასძენს, რომ ოთხასი სტადიონის დაშორებით არისო ნავსადგური ბატა<sup>59</sup>. მოგზაურმა შარდენმა და, შესაძლოა, მისი გავლენით სტრაბონის მთარგმნელმა, იგი მიიჩნევს ნავსადგურ ბა-

თუმად, რომელიც ახალციხიდან ას თხუთმეტ ვერსზე მდებარეობს. სანაპიროს უბრალო დათვალიერებაც კი საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ორ ასეთ განსწავლულ ადამიანს აშკარად შეეცდომა არ დაეშვა.

მართლაც, სტრაბონი აგრძელებს რა თავის აღწერას ბატადან, მიუთითებს ჭერ დიდ პიტიუნტს ((Grand-Pylus) (ბიკვინთას), შემდეგ დიოსკურიას, დაბოლოს ფაზისის შესართავს. მაგრამ რადგანაც ნავსადგური ბათუმი ზღვის სანაპიროზე მხოლოდ ამ მდინარის გაღალატვის შემდეგ ვგვხვდება და მდინარისაგან ხელმარცხნივ მდებარეობს, არაფრით არ შეიძლება მისი არევა სტრაბონისეულ ბატასთან. ბატა მითითებულია სუჯუკსა და დიდ პიტიუნტს შორის, რომლისგანაც ბათუმი პირდაპირი ხაზით ორ გრადუსზე მეტადაა დაკლებული. ეს შეცდომა უმალ თვალში ეცემა ადამიანს, მით უმეტეს, რომ სტრაბონი ამბობს, ბატა სინოპის მოპირდაპირე მხარეს არისო, ისევე როგორც კრიუმეტოპი (Crimotopon), (ანუ ვერძის შუბლი<sup>60</sup>) (lête de bélier). კარამპისის (Carampis) კონცხის<sup>61</sup> პირდაპირ, ანატოლიის ნაპირზე რომ მდებარეობს. ბატას მდებარეობა მაჰისა და გაგრის ხეობას შორის ერთ-ერთ პატარა ნავსადგურს შეესაბამება.

თემიდან ასეთი გადახვევა იმიტომ მომხდდა, რომ ამ ადგილების ასეთმა არევ-დარევემ გაუგებრობა შეიტანა სტრაბონისეულ აღწერაში.

რაც შეეხება იმ ხალხებს, რომლებიც ჩემ მიერ აქლახანს აღწერილ სანაპიროზე ცხოვრობენ, ეს გეოგრაფოსი თავდაპირველად ასახელებს აქელებს (Achai); იგი თვლის, რომ ეს ხალხი იაზონის ჩამოყვანილია ალბათ მისი მეორედ მოგზაურობის დროს და რომ მათ აქ კოლონია დაუარსებიათ<sup>62</sup>. შემდეგ იგი ლაპარაკობს ზიგების (Zigi), ანუ ზიხების (Zichi), შესახებ<sup>63</sup>, რომლებიც პელაგების ქვეყნის მკვიდრნი ჰგონია და ვარაუდობს, რომ აქ ისინი არგონავტების ექსპედიციას ჩამოჰყვნენ, ან მათზე ადრე იყვნენ მოსულნი. მათ ჩერქეზეთის ნაპირი ეკავათ. აქაური მცხოვრებლები დღეს ადიღეელთა (Adighi) სახელწოდებით არიან ცნობილი<sup>64</sup>. უფრო მოშორებით მიუთითებს ტინდარიტებსა<sup>65</sup> და ჰენიოხებს<sup>66</sup>. ამ მხარეს იგი დიოსკურიების მეეტლეების ამფისტრატესა და რეკასის მიერ დაარსებულ ლაქედონურ<sup>67</sup> კოლონიად ივლის. ერთი სიტყვით, სტრაბონს მიაჩნია, რომ შავი ზღვის მთელი სანაპირო ბერძენთა ახალშენებით იყო მოფენილი.

მანუფაქტურულ მრეწველობას მოკლებული ბერძნები, რომელ-

თა ისედაც შეზღუდული ტერიტორიის დიდი ნაწილი მწირი იყო, იძულებული იყვნენ ყოველწლიურად თავიდან მოეშორებინათ საარსებო საჭსრებს მოკლებული, დაუდგრომელო, მოუსვენარი. დაღუბასა და სიპდარდეს მოწყურებული ახალგაზრდობა, რომელთაც სხვა გზა არ ჰქონდათ. გარდა იმისა, რომ მიწები ეძებნათ დაუსახლებელ, ან საბერძნეთთან შედარებით მცირედ დასახლებული აზიის რომელიმე ნაწილში.

ერთ-ერთი ასეთი ემიგრაცია, რომელსაც *ver sacrum* (წმინდა გაზაფხული) შეარქვეს, ვინმეს მიმართ უსამართლო უზურპაციის საბაბით არ ყოფილა გამოწვეული. ხალხმა იმხანადაც იცოდა, რომ ზელისუფლთა ძირითადი მოვალეობა ხალხის არსებობისათვის ზრუნვა უნდა ყოფილიყო და ყოველგვარი მიგრაცია, თუნდაც ძალის გამოყენებით, სამართლიანად მიაჩნდათ.

ამიტომაც მთელს საბერძნეთში ყველაზე მეტად დაფასებულნი აღმიაჩნებნ. რჩეულნი თავიანთი მამაკობით, ნიჭითა და სათნოებით, ცდილობდნენ სათავეში ჩადგომოდნენ მშფოთვარე ახალგაზრდობას, წინ გაძლიოდნენ და ეხელმძღვანელათ მათთვის. იტალიაში ბერძნული ქალაქების დამაარსებლებს შორის იყვნენ ჰომეროსის<sup>18</sup> მიერ ხობტანესსმული გმირები.

ხოლო თუ კოლონისტები ადგილობრივ მცხოვრებლებზე უფრო სუსტნი აღმოჩნდებოდნენ, ეს უკანასკნელნი ზოგჯერ გაყრიდნენ ხოლმე მათ. უფრო ხშირად კი შეიერთებდნენ, მისცემდნენ დაუმუშავებელ მიწებს და მალე ერთ ერად იქცეოდნენ; თუ კოლონისტები უფრო ძლიერნი, მეომარნი და მრავალრიცხოვანნი იყვნენ, ვიდრე დაშლდურნი, ისინი ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებდნენ მიეღოთ მათი კანონები, მმართველობის ფორმა და ზოგჯერ ადამ-წესებაც. სწორედ ამით აიხსნება, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ენაში შესულია უცხოური სიტყვები და ხშირად მათი საშუალებით შეიძლება დადგინდეს კოლონიის წარმოშობის სადაურობა და აგრეთვე ისიც, დედამიწის ამა თუ იმ წერტილზე რომელი ხალხი იყო ცივილიზებული ან ცივილიზაციას მოკლებული(8)...

მე მოვიტან ერთ საოცარ და უახლოეს მაგალითს, რომლისთვისაც რუსული ენის შემსწავლელთ ჯეროვანი ყურადღება, ალბათ,

(8) მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში ევროპელთა მიერ ინდოეთში დაარსებული ყველა კოლონია თითქმის ამავე წესითაა შექმნილი, რა წესითაც ბერძნული კოლონიები იქმნებოდა ძველ დროში.

არც კი მიუტყევიათ. რუსული ენა, ისევე როგორც ინგლისური, ხშირად იღებს უცხოური ენიდან ახალი ცნებების აღმნიშვნელ სიტყვებს რომლებიც ამ ენას არ გააჩნია. საზღვაოსნო და სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სიტყვა რუსულში შემოვიდა პოლანდიური ენიდან, რადგანაც პეტრე დიდმა სწორედ პოლანდიაში შეისწავლა სააღმშენებლო და სახაოსნო ხელოვნება და თავისი პირველი სავაჭრო ურთიერთობანი სწორედ ამ მრეწველ ქვეყანასთან დაამყარა. შინაურ ფრინველთა და სამიწათმოქმედო იარაღების სახელები შემოსულა გერმანულიდან. სოფლის მეურნეობის ტერმინები — კურლანდიდან<sup>69</sup>, ლივონიიდან<sup>70</sup> და შიდა გერმანიიდან, რადგანაც მათ პირველებმა მისცეს სოფლის მეურნეობის გაკეთებლები ამ ხალხს. რომლებიც დიდი ხნის განმელობაში მომთაბარეობდნენ. მათ რუსეთში შემოიყვანეს ცხოველები, რომლებიც მათი სოფლას მეურნეობის სიმდიდრის გარკვეულ ნაწილს შეადგენდა. მოდისა და სამკეთულის აღმნიშვნელი სიტყვები ან ნატიფ ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინები ფრანგული ან იტალიური წარმოშობისაა, რადგანაც ეს ორი ერი რუსეთს ამარაგებდა თავისი მხატვრებით, მოქანდაკეებით, არქიტექტორებით, აღმზრდელებით, ცეკვის, მუსიკის, ფარეკაობის მასწავლებლებითა და ყოველგვარი დარგის უამრავი ხელოსნით. დაბოლოს, საარწმუნოების, კულტის, სამღვდელო სამოსლის, აკლესიის მორთულობის აღმნიშვნელი სიტყვები და თვით ანბანიც კი აშკარა დამადასტურებელია იმისა, რომ თავიანთი რელიგია და დაწყებითი განათლება რუსებმა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ბერძნებისაგან გადმოიღეს.

აქ მთავრდება ანაბიდან ბათუმამდე სანაპიროს ჩემუელი აღწერა. ვიდრე აქვე კოლხეთში ჩემი მოგზაურობის დღიურს გაგაცნობდეთ, რაიღერიმე სიტყვას მოგახსენებთ სამეგრელოს თანამედროვე დაყოფის შესახებ.

სამეგრელო დაყოფილია სამ პროვინციად.

პირველია საკუთრივ სამეგრელო, რომელსაც აგრეთვე, ოღიში (Odeschi) ეწოდება. დასავლეთით მას შავი ზღვა ესაზღვრება, სამხრეთით — გურიის სამთავრო, აღმოსავლეთით — იმერეთი, დაბოლოს ჩრდილოეთით — ენგური. ერთმანეთისაგან შორიშორს მდებარე რამდენიმე პლატოსა და ხობის მონასტერთან არცთუ ისე მაღალი ქედის გამოკლებით, მთელი ეს ქვეყანა ეკვს წარმოადგენს, სადაც მცენარეთა ნარჩენებით განოყიერებული ნიადაგი ისეთი ნაყოფიერია, რომ ბევრი ქვეყანა ვერც კი შეედრება. სამეგრელოს ამ ნაწილში საკმაო

რაოდენობითაა რუსების საგუშაგოები: ამასთანავე, მეზობელი ხალხების თავდასხმებისაგან მას ღრმა მდინარეები იცავს. ასე რომ, აქაურ მოსახლეობას ამ მხრივ საფრთხე არ ემუქრება.

მეორე პროვინციაა ლეჩხუმი (Lesgune). იგი განლაგებულია ცხენისწყლის (Tskenisikal) მარცხენა მხარეს და იწყება ხონის (Kituni) ოდნავ ზემოთ, გადაჭიმულია კავკასიის მწვერვალამდე და იმ მთებამდე, სადაც სვანები ცხოვრობენ. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება იმერეთის ოთხი მაზრიდან ერთ-ერთი — რაქის (Radscha) ოლქი. ლეჩხუმის მხარე მთლიანად მთაგორიანია და მისი ჰავა შეტად ჩანსაღია.

სამეგრელოს მესამე პროვინცია გადაჭიმულია ჩრდილოეთით კოდორის კონცხამდე და საზღვრად უდევს ამავე სახელწოდების მდინარე, ძველი ავტორების კორაქსი<sup>71</sup>, აღმოსავლეთით კი წიბელი<sup>72</sup> (Tchibelli), — საკმაოდ მაღალი მთები. ეს პროვინცია ატარებს აგრეთვე სამურზაყანოსა<sup>73</sup> (Tmourakane) და აფხაზეთის (Abkazie) სახელს. იგი დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს; მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი არცერთ ხელისუფლებას არ ემორჩილება. აქ იშვიათად თუ ვნახავთ დამუშავებულ მიწებს და სრულიად არ არის მოსახლეობა. ეს ადგილი ნამდვილი უდაბნოა, რომელიც თავდაცვის ადგარს წარმოადგენს და ბარიერად გამოიყენება აფხაზებსა და მეგრელებს შორის.

ასეთივე უზარმაზარი დაუმუშავებელი ტრამალი ძველად ჰყოფდა რუსეთსა და პოლონეთის საზღვრებს იმ ქვეყნებისაგან, რომლებიც თათრებს ეკავათ. დღესაც კი დაუსახლებელი, ვრცელი პროვინციები ძირითად თავდაცვის ადგილად გამოიყენება ავსტრიასა და ოტომანთა სახელმწიფოებს შორის. ერთი სიტყვით, ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებში თურქების, სპარსალების, ლეკებისა (Lesghis) და აფხაზების სახელმწიფოთა საზღვრებზე უდაბნოებია გადაჭიმული.

ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ენგურსა და კოდორის კონცხს შორის მოქცეული ქვეყანა სრულიად დაუსახლებელია და ევროპისა თუ ტროპიკების ყოველგვარი მცენარეულობისათვის გამოსადეგი მისი მიწები გამოიყენებელია. სოხუმ-კალესა და თბილისში შევხვდები ერთ აფხაზ თავადს, რომელიც დღეს ანაკლიის (Anagris) კომენდანტია. ერთხელ ვკითხე, რა საფასურს მოითხოვდით-მეთქი მდინარის გასწვრივ, ოთხ ვერსზე გადაჭიმული მიწის ნაკვეთისათვის. მან სიცილით მიპასუხა: თუ აქ დამკვიდრება გსურთ, თავად შეგიძლიათ მო-

საზღვროთ მამული და ამისათვის არც მოსდის ღირებულებას მოგახოვთ, არც სხვა რამ საზღაურსო.

თუ სამურზაყანოს პროვინციის დაბლობი ნაწილი დაუსაზღვრებელია, სამაგიეროდ მთიან კანტონში საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა და როგორც ვარაუდობენ, იგი დაახლოებით რეას ოჯახს შეადგენს.

მთიელები სიმამაცითა და შურისმაძიებლობით გამოირჩევიან, დაახლოებით ხუთი წლის წინათ, ერთ-ერთი მთიელი თავადი თურქეთში წასულა სამოგზაუროდ. დაბრუნებისას გაუგია, რომ მისი დანიშნული თავადის ასული სხვას გაპყლოდა ცოლად. გამძვინვარებული თავადი ჯერ ამ მოღალატე ქალის მამას მიეპარდნია და ხანჯლით განუგმირავეს იგი. შემდეგ თვით ეს თავადის ასულიც დაუსახიჩრებია; ჯერ ცხვირი და ყურები დაუჭრია მისთვის, მაგრამ ანითაც არ დაკმაყოფილებულა და მოუკლავს მღვდელი, რომელმაც ჯვარი დასწერა ამ ქალს, მერე კი ჯვრისწერის დამსწრე ერთ-ერთი მოწმეც მიუყოლებია. შემდეგ იგი მთებში გახიზნულა და უშფოთველად, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე გაუგრძელებია ცხოვრება.

პატრი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც 1672 წელს<sup>74</sup> ანაკლიის ახლოს სიპიასის<sup>75</sup> (Sipias) მონასტერში ცხოვრობდა, გვამცნობს, რომ დადიანი, რომელიც მაშინ მთავრობდა, ამ გვარის მეხუთე მთავარი იყო<sup>76</sup>. უწინ ამ ქვეყანას ერისთავი (éristave), ანუ მმართველი განაგებდა. რომელიც საქართველოს მეფეების ქვეშევრდომად ითვლებოდა, მაგრამ დადიანი აუჯანყდა თავის სუვერენს და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. იმხანად იგი ხელმწიფის (chesilpe), ანუ მმართველის, ტიტულს ატარებდა, დადიანი კი მისი გვარი იყო. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მთავარი, რომელიც ახლა რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება და რომლის სახელია ლევან-გიორგი<sup>77</sup> (Levan-George), მეთორმეტე სუვერენი მაინც უნდა იყოს ამ საგვარეულოდან, თუ ოც წელს ვიანგარიშებით ერთის ზეობის ხანგრძლივობას ქვეყანაში, სადაც ასე ხშირია ხოლმე გადატრიალებები.

ეს მთავარი საშუალო ტანისა და მოხდენილი აღნაგობისაა; სახის გამომეტყველება კეთილი და სასიამოვნო აქვს. მისი მეუღლე, — დედოფალი, იმერეთის ერთ-ერთი უმდიდრესი დიდებულთაგანის; თავად წერეთლის (Saratelle) დაა<sup>78</sup>. თავისი ტანადობითა და გულღიაობით იგი ძველ ამორძალებს<sup>79</sup> მოგვაგონებს. მას არ აკლია გრაციულობა და სახითაც მშვენიერია.

ქუთაისში (Kotais) ყოფნის დროს გაცივანი მთავარი დადიანი, რომელიც რამდენიმე დღით იყო ჩამოსული თავად გორჩაკოვთან. იგი თავაზიანი ჩანდა და მეტად დახვეწილი მანერები ჰქონდა.

რამდენიმე თვის შემდეგ აქ ჩამოვიდა სამეგრელოს დედოფალიც. მისი ამაღლა შედგებოდა ათი-თორმეტი ქალისაგან, რომელთაც მისი მომსახურება ევალებოდათ. თავიანთი დედოფლის მსგავსად ისინიც ცხენებზე ისხდნენ. მათ თან ახლდათ ოცდაათი თუ ორმოცი, ასევე ცხენებზე ამხედრებული თავადი თუ წარჩინებული. უკან კი, მოჰყვებოდათ ამდენივე მოსამსახურე მეგრელი მამაკაცი. ჩვეულების თანახმად, მგზავრობის დროს ისინი თავიანთ ბატონებს ფეხით მისდევდნენ, დამოუცილებლად იმისა, თუ რა სისწრაფით მიდიან მხედრები. მდინარეებსაც კი ფეხით გადიან ფონზე, თუმცა ხშირად წყალი წელამდე სწვდებათ ხოლმე<sup>50</sup>.

თითქმის ყველა ქალი ალისფერი მაუდის მოსასხამში იყო გამოწყობილი; თავზე ასეთივე ფერის მრგვალი ფეტრის ქუდები ეხურათ, რომელთაც გარდიგარდმო ღილაკილოები ჰქონდათ, ისინი, ნაქარგი სირშითა და ორნამენტებით, ოქროსა და ვერცხლის მონეტებით იყო მორთული. ასეთ მოსასხამებსა და ქუდებს მხოლოდ მოგზაურობის დროს ხმარობენ და ეს ნივთები თაობიდან თაობაზე გადადის. ასალი, რომელიც დედოფალ დადიანის ცხენს ჰქონდა გადაფარებული, ოქროშექსოვილი ფარჩისა იყო და მიწას სწვდებოდა. მსვლელობის დროს დედოფლის ცხენის სადავე ეკირა ერთ მეგრულ დიდებულს, რომელიც ფეხით მიჰყვებოდა დედოფალს.

ამ აღმოსავლურ ფუფუნებას აღარ შეესაბამებოდა ის ამბავი, რომ დედოფლის წინ მიმავალ წარჩინებულთა ქუთაისში საგზლად ნაყიდი დამარილებული თართის შეკვრები ცხენზე გარდიგარდმო ჰქონდათ გადაკიდებული, ხოლო მთლად ჩამოფლეთილი ყმები კი ფხშიშველნი მიაბოტებდნენ. დედოფლის ამაღაში შედიოდა ცხენზე ამხედრებული პოპი (pope), ანუ მღვდელი, რომელსაც დედოფლის ორი ვაჟი<sup>51</sup> და მათი გუვერნიორი ახლდა თან.

ქვეითად მოსიარულეთა შორის იყო ორი მდივანი, რომელთაც ქამარში ისეთივე გრძელი სპილენძის სამელნე გაერჭოთ, როგორსაც ბერძნები ატარებდნენ, როდესაც ძველმა რომაელებმა კონსტანტინოპოლი აიღეს. ასეთ სამელნეს კალამარა (calamara) ეწოდება.

მთავარი დადიანი ზუგდიდში იმ სასახლეში ცხოვრობს, სადაც შარდენია ნამყოფი. აქ მას მრავალრიცხოვანი ამაღა ჰყავს. ზაფ-



ბულობით იგი ხშირად იცვლის საცხოვრებელს, ხან ნადირობის ტრფიალი მიატოვებინებს სასახლეს, ხანაც — დიდი სიციხეები.

არა მგონია, რომ დადიანის შემოსავალი 12.500 მანეთს აღემატებოდეს ვერცხლით (დაახლოებით 50.000 ფრ.), თუ არ ჩავთვლით იმ ნატურალური პროდუქტების ღირებულებას, მის ოჯახს რომ ესაქიროება. მაგრამ განა მის მამულებს გაცილებით მეტი შემოსავლის მოცემა არ შეუძლია?

## თ ა ვ ი

რედუტ-კალედან გამგზავრება. — დადიანისა და თავად ჭაიანის მამულები. — ხორგა (Khorga). — შეხვედრა ახალგაზრდა მეგრელთან. — ხობის მონასტერი. — ცუდი გზები. — სოფელ ხობის შოურავი (maire). — მისი სტუმართმოყვარეობა. — სახარბელიო (Sacharbel). — ცივი (Siva). — ამ მდინარის გადალახვასთან დაკავშირებული სიმძნელები. — ტეხურა (Techour). — ძველი ციხე. — აბაშა (Abacha).

რედუტ-კალეში ერძის თვეს დავრჩით, 7(19) ივნისს, კვირას დატოვებთ იგი და გავემართეთ ხორგის საგუშაგოსაკენ<sup>1</sup>.

ციხესიმაგრედან გამოსვლისთანავე გადავლახეთ ცივი (Syba) და გზას ხობის გასწვრივ ვაუყუევით. ხელმარცხნივ ჩამოვიტოვეთ ლაზარეთი და სხვა სახანინო შენობები, შემდეგ გადავქვირით ბაზარი შთელს სიგრძეზე და შევედით ტყეში, რომლის ფართი თანდათანობით შემცირებულა ყამირების ათვისების შედეგად, რაც რედუტ-კალეს გაზრდისათვის გამხდარა საჭირო და რამაც ამავე დროს კლიმატის გაუმჯობესებასაც შეუწყო ხელი.

რედუტ-კალეს გარშემო არსებული და ხობის ხელმარცხნივ მდებარე ტყე სამეგრელოს სუვერენული მთავრის, დადიანის საკუთრებაა. ხელმარცხნივ გაშლილი ტყე კი მის ნათესავს, თავად ჭაიანს ეკუთვნის. დადიანს მისთვის სესხად მიუცია ფული და ამით მოუპოვებია ამ ქონებაზე იპოთეკის მსგავსი უფლება. ამასთანავე ამ უზარმაზარ ტყეებს ქერჯერობით ისინი არ ანიჭებენ მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას და არც თავიანთი ზიარი მამულების ერთმანეთისაგან გამიჯვნა უფიქრიათ.

ეს ტყეები რედუტ-კალედან ოთხმოცი ვერსით დაშორებულ აბაშის საგუშაგომდეა გადაჭიმული. ადგილ-ადგილ ტყეს ენაცვლება

სამოვრები და სავარგულები, სადაც მოჰყავთ ფეტვი, სიმინდი და თამბაქო.

ითვლება, რომ რედუტ-კალედან ხორგამდე მხოლოდ ოცდასამი ვერსია, მაგრამ ეს მანძილი ოცდარვა ვერსზე ნაკლები არ უნდა იყოს. გზა მთელ გაყოლებაზე ხობს მიუყვება და მხოლოდ ზოგჯერ თუ დასცილდება მას. რედუტ-კალედან დაახლოებით თხუთმეტობდე ვერსის დაშორებით უკვე შევამჩნიეთ სოფელ ხორგის განაპირას მღუპარე სახლები, რომლებიც ერთმანეთისაგან პატარა ტყეებითა და დამუშავებული მიწებით არის გამოიჯნული. სახლები განლაგებულია საგუშაგომდე, დაახლოებით შვიდი ვერსის სიგრძეზე.

ყველა სახლი ხისაა და გადახურულია ჩალითა და ლერწმით; ყოველ სახლს ერთმანეთის საპირისპიროდ გაჭრილი ორი კარი აქვს, მაგრამ ფანჯარა და საცვამური ბინებს არ გააჩნია. კერა მოწყობილია ოთახის შუაგულში: კვამლი გადის ან სახურავიდან, რომელიც ყოველთვის ცუდად არის შეკრული, ან კარებიდან.

ამ გამჟვარტლულ საცხოვრებლებში საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა თათრული და სპარსული ხალიჩები. ფუფუნების ეს საგანი კონტრასტს ქმნის ყოველგვარ ავეჯს მოკლებულ ბინებში, სადაც სხვა არაფერია, გარდა ვიწრო მერხებისა, რომელთაც სასადილო მაგიდის მაგივრად იყენებენ.

ამ სახლების დიდი ნაწილი განლაგებულია შემადლებულ პლატოებზე, სადაც ჰავა უკეთესია, ვიდრე დაბლობ ადგილებში; ზოგი სახლი კი უღრან ტყეშია ჩამალული.

სამეგრელოს ამ ნაწილის ტყეებში თხმელა გაბატონებული ჯიშია და იგი მეტად მალალი იზრდება, ისევე როგორც ყველა ხე, რომლებიც ამ უხემოსავლიან, ტენიან და ნოყიერ მიწაზე ხარობს. აქ ვნახეთ თუთისა და წაბლის ხეები, შემოგვხვდა წიფელიც, რცხილა და მუხა; ზოგი ლელვის ხე ოთხ ფუტზე უფრო მსხვილია. აქ ხარობს აგრეთვე ქლიავის, სხვადასხვა ჯიშის მსხლის, გარგარის, ატმის, კოშმის, ზღმარტლის, კაკლის ხეები და დიდრონი კოპიტები. მაგრამ ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ოცი-ოცდახუთი ფუტის სიმსხო ცაცხებმა, რომლებმაც საფრანგეთის სოფლის ეკლესიების წინ ჭერ კიდევ შემორჩენილი ცაცხეები მოგვაგონა; ისინი ჩვენი სოფლის მელურნობის მოამაგისა და მფარველის — სულის<sup>3</sup> (Sully) დროს არის დარგული.

არ შეიძლება არ მოვიხსენიო საუცხოო ალუბლის ხე, რომელიც ძალზე ნელა იზრდება. ამ ხის გარშემოწერილობა თხუთმეტი ფუტია

მისი ფესვები ხუთ ფუტზეა ჩასული მიწაში და თუ იგი მაინც არ არის ტოლი იმ ალუბლის ხეებისა, რომლებითაც პონტოს სამეფოში ექსპედიციიდან დაბრუნებულმა ლუკულუსმა გაამდიდრა იტალიის ხეხილის ბაღები, ყოველ შემთხვევაში, თავისი ველური და ძირძველი იერით იმას მაინც მოწმობს, რომ ეს ჯიში ამ მხარეში ადგილობრივია.

მდინარე ხობი ძლიერ დაკლავნილია და ყოველ მოსახვევში, საიდანაც წარმტაც ხედები იშლება, უამრავი მორევია. იგი შესართავიდან ოც ვერსზე მეტ მანძილზე ჯერ კიდევ საკმაოდ ღრმა და გამოსადეგია მოზრდილი ხომალდებისათვის სანაოსნოდ. მაგრამ აქ მხოლოდ რამდენიმე კაიუკს თუ შეამჩნევს კაცი, დატვირთულს აგურითა და კრამიტით, რომლებსაც ხობის მონასტრის მახლობლად ამზადებენ სახელმწიფოსათვის. აქვე ნახავთ აგრეთვე მდინარეზე დატყრებულ სამშენებლო ხე-ტყესა და შეშას. თიხა, რომლისგანაც აგურია გაკეთებული. კარგი ხარისხისაა, მაგრამ ცუდად არის შემზადებული და მოზელილი. აგურის სიგრძე რვა გოჯია, სიგანე შვიდი გოჯი და ათი წირი, ხოლო სისქე მხოლოდ ერთი გოჯი და ოთხი წირი. ასეთია, საზოგადოდ, აზიური აგურის ფორმა. ამგვარი აგურითაა ნაგები უძველესი ძეგლები, რომლებიც ნანგრევების სახით არის შემორჩენილი.

ხორგისაყენ მიმავალ გზაზე, ტყეში ვნახეთ უზარმაზარი ვაზი, რომელიც ტანმალალ ხეებს შემოხვეოდა და მათ კენწერომდე ასულიყო. ლიანებს შორის მოჩანდა სვია და მეტისმეტად ფართოფოთლებიანი ჯიშის სურო; ისინი ხეებს შემოკვროდნენ და ისე იყვნენ ერთმანეთში გადახლართულნი, რომ ტყეში გავლა თითქმის შეუძლებელი იყო.

რედუტ-კალედან რამდენიმე ვერსის სავალზე ათი-თორმეტი წლის მეგრელი ბიჭი შემოგვხვდა. იგი ჩვენს ეტლს არ ჩამოშორებია ხორგაში შესვლამდე, სადაც ნაშუადღევს ჩავედით. აქ ორი საათით შეეჩერდით, რათა ცხენები დაგვესვენებინა. მეგრელ ბიჭს ცოტაოდენი ფარა ვარუქე და ვასაუზმე.

როცა გზა განვაგრძეთ, იგი კვლავ გამოგვეყვა. ჩემმა თარჯიმანმა ჰკითხა, სად მიდიხარო; ბიჭმა უპასუხა, ხობის მონასტერშიო, სადაც თურმე შვიდი-რვა ბერი ცხოვრობდა უზრუნველად. ეს ბიჭი იყო ამ მონასტერში დაბინავებული ერთ-ერთი პოპის (popé), (მღვდლის) ძმა. მას მამა არ ჰყავდა და რაკი ამქვეყნად უპატრონოდ დაეხეტებოდა, მთხოვა, თან წამიყვანეთო. სამაგიეროდ ერთგულ სამსახურს შემიპირდა და დაუმატა, ქართული წერა ვიცო. თავის ქვეყანაში იგი თავს ვერ დააღწევდა უმეტრებას, არადა ბიჭს განათლების მასალებად მოგზაუ-

რობა სურდა. ძნელად თუ ნახავდით ისეთ სწორნაკეთებთან და გონიერ სახეს, როგორც ამ ბავშვს ჰქონდა. ყველაზე მეტად განგვაკვიფრა მისმა სითამამემ, რასაც იგი სრულ მორჩილებაზე მეტყველი, ექსპრესიულ ექსტრემთან ერთად ამჟღავნებდა.

თარჯიმნის მეშვეობით ვუპასუხე, რომ მას საკუთარი ძმის მიტოვების უფლება არა აქვს და რომ მის წაყვანას ძმასთან შეთანხმების გარეშე ვერ შევძლებდი. ამასთანავე შევპირდი, თუ მასზე სათანადო ცნობების შეკრებას მოვახერხებდი, მისი ოჯახის თანხმობასაც მაშინ ვითხოვდი. იგი დაგვმორდა, თან მაგრძნობინა, რომ ჩემმა უარმა ძალიან დასწყვიტა გული.

ეს ფაქტი მოვიტანე მხოლოდ იმის დასადასტურებლად, თუ რაოდენ ადვილად შორდებიან აქაური ბავშვები თავიანთ ოჯახებსა და სამშობლოს, სადაც ტყვეთა სყიდვა უხსოვარი დროიდანაა გავრცელებული. ბიჭუნები პატარაობიდანვე გაბრუებულნი იყვნენ დიდებასა და სიმდიდრეზე ლაპარაკით, კონსტანტინოპოლსა და ეგვიპტეში რომ ელოდათ, სადაც ჩერქეზებთან და ქართველებთან ერთად ისინიც ქმნიდნენ, როგორც უკვე აღვნიშნე, მამლუქთა ლაშქარს. გოგონებსაც ასევე განუწყვეტლივ ესმოდათ, რომ ისინი პარამხანებში სამოცხოვრებასა და ბედნიერებას ეწევიან<sup>5</sup>

ორ საათზე გავემართეთ ხორგის საგუშაგოდან სახარბედიოს საგუშაგოსაკენ, რომლებიც ოცი ვერსითაა (ხუთი ლიეთი) ერთმანეთისაგან დაშორებული. საფოსტო სადგური კი ჩვიდმეტ ვერსზეა, და რადგანაც წლის ყველაზე ხანგრძლივი დღეები იღვა, იქ დაღამებამდე ბევრად ადრე ჩავედით.

პირველი შეიდი ვერსის მანძილზე და ხობის მონასტრის მალლობამდე გზა რივიანი იყო. ხობის მონასტრთან კი გზა ორად გაიყო: ძველი ხელმარჯვნივ მიდიოდა, ხოლო ახალი — ხელმარცხნივ. აქ ჩვენი თანმხლები კაზაკები შეჩერდნენ და დიდხანს ბჭობდნენ ჩვენს შეეტლებთან. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ორთავე გზა ეტლისათვის უვარგისი იყო, მით უმეტეს, რომ ექვსი საათის განმავლობაში კოკისპირულად წვიმდა და გზებიც სულ უფრო დაზიანდებოდა. ძველი გზა მთავორიან ადგილებში გადისო, ამბობდნენ ისინი, ახალი კი უფრო მოკლეა, მაგრამ ცუდად არის გაწმენდილი და ვშიშობთ. გაუვალი იქნებაო. ჩვენდა საუბედუროდ, მათ მაინც იმ გზას მიანიჭეს უპირატესობა, სახელდახელოდ და ნაკლები გულმოდგინებით რომ იყო გაყვანილი.

ღაბლობ ადგილებში, სადაც ტალახი ჩვეულებრივ უფრო სქელია,

გზაზე სხვადასხვა ზომის მორები იყო დაწყობილი; მაგრამ რადგანაც ისინი ერთმანეთზე არ იყო მიკრული, ჩვენს ღონემიხდილ ცხენებს წარამარა ძნელად გადასალახავ დაბრკოლებებს უქმნიდნენ. ამ საშინელი გზიდან რომ გამოვეყვანეთ, კახაკებმა ჩვენს დასახმარებლად ძალად მორეკეს გზაზე მიმავალი მეგრელები, მაგრამ ოცდაათი მეგრელის, ცხენებისა და თვით კახაკების შეერთებულმა ძალებმა ვერაერთარი შედეგი ვერ გამოიღო. ბოლოს, ორი საათის ამო გარჯის შემდეგ გადაწყვიტეს გაეწმინდათ გზა მორებისაგან, გადაეყარათ ისინი და ეტლი პირდაპირ ტალახში გაეტარებინათ. მაგრამ აქ სხვა სახის სიძნელე წარმოიშვა. ასეთ ვითარებაში მეგრელებს შეეძლოთ კახაკების მეთვალყურეობისაგან თავის დაღწევა და ტყეში გაქცევა; ვშიშობდი, რომ მალე მათი დახმარების გარეშე აღმოჩნდებოდით. საბედნიეროდ, რამდენიმე ვერცხლის მანეთიანმა, რომელიც იმ სამ მეგრელს დაუვრიგეთ, კახაკები რომ უხეშად მოეპყრნენ და დაპირებამ, რომ თითო აბაზს(1) მიიღებდა თითოეული იმითთაგანი, ვინც ეტლს პირველივე სოფლამდე მიგვაყვანიებდა, სასურველი შედეგი გამოიღო და საღამოს ცხრა საათზე უკვე ხომის მოურავთან ვიყავით, რომელმაც სახელდახელო მასპინძლობა გავგიწია.

ეს წარჩინებული მეგრელი, რომელიც სოფლის თავკაცის ფუნქციებს ასრულებდა, ტანადობითა და ვაჟკაცობით გამოირჩეოდა. მას სწორნაკვთიან სახეზე წვერი და მოკლე ულვაში ჰქონდა მოშვებული. მაგრამ ჩვენდამი მის კეთილგანწყობილ გამომეტყველებაში უფრო საკუთარ მეზობლებთან განუწყვეტლივ მებრძოლი ფეოდალის იერი გამოსჭვივოდა, ვიდრე მშვიდობიანი მიწა-მოქმედისა.

ხისაგან ნაგები მისი სახლი ფაქიზად იყო მოვლილი და საყოველთაოდ მიღებული ადგილობრივი ჩვეულების თანახმად მხოლოდ ერთი ოთახისაგან შედგებოდა. ოთახი საკმაოდ დიდი იყო და იქ მოთავსებული ფიცრის ორი საწოლი ნოხებითა და ბალიშებით იყო გაწყობილი. შუაგულ ოთახში განლაგებულ კერძასთან მუხის უზარმაზარი კუნძები იდო. კეცხლი დიდი ხნის დანთებული ჩანდა. კერძამ მოგვაგონა ჩვენი წინაპრების დროინდელი ფართო ბუხრები, სადაც უზარმაზარი ჯირკვები გიზგიზებდა და გათბობის ძველთაძველი წესი. ყველას დიდად ესაჭიროებოდა ტანსაცმლის გაშრობა, რადგანაც ექვსი საათი განუწყვეტლივ გვაწვიმდა და გათბობის ეს წესი განსაკუთრებით მოხერხებული გვეჩვენა.

(1) 80 კაპი, ანუ სანტიმი.

ჩვენი მასპინძლის გვარი იყო ჯორჯიკია (Georgighia). მან თავისი მეუღლე წარმოგვიდგინა — მალალი, ტანწერწეტა და მეტად მშვენიერი ქალი. თუმცა მას უკვე თორმეტი წლის გოგონა ჰყავდა. მაგრამ თვითონ ოცდაექვსი წლისა ძლივს იქნებოდა; მთელს საქეგრელოში ჩვეულებრივ გოგონებს თორმეტი წლიდან ათხოვებენ, სქესობრივადც ისინი ხშირად ამ ასაკამდე მწიფდებიან. იგი ძალზე თავაზიანად მოგვესალმა და მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მათთან დავრჩით, თამამად ეჭირა თავი, რამაც მეტისმეტად გაგვაოცა.

მასპინძლებს ჩაი მივართვით საჩუქრად და შემდეგ ვანივზრახეთ ჩვენი სურსათით გვევახშმა: მაგრამ თარჯიმანმა გვითხოა, რომ ვახშაში ჩვენთვის უკვე გაემზადებინათ. მართლაც, ლოდინი არ დაგვიკრეფებია, წინ დაგვიდგეს გრძელი მერხი, რომელზედაც საკმაოდ მრავალრიცხოვანმა მოსამსახურეებმა რიგრიგობით დააწყვეს ჩვენთვის განკუთვნილი კერძები. საკმელი შედგებოდა ფეტვის ცხელი ფაფის სამი უზარმაზარი ფენისაგან, რომელსაც ღომს (gomi) უწოდებენ და რომელსაც ხის ნიჩბით იღებდნენ რკინის ქვაბიდან. რაშიაც ღომი მზადდება. შემდეგ მერხებზე დააწყვეს ორი შემწვარი წიწილა და ერთი ძალზე უხეშად დამუშავებული ხის დიდი გობი, რომელშიაც მამალი თხის ხორცის ნაჭრები ეწყო და წვენის ნაცვლად ცივი წყალი ესხა. დაბოლოს, თხის რძისაგან დამზადებული თეთრი ყველი მოგვართვეს. სიმინდის ფქვილის დიდი კვერები<sup>8</sup> თეფშებისა და პურის მაგივრობას გვიწევდა.

ერთი შინაყმა მერიქიფეობას გვიწევდა და როცა ჩვენი ჭიკები იტლებოდა, გვივსებდა ხოლმე. რაც შეეხება ჩვენს მასპინძელსა და მის თანამესუფრეებს, ერთნი ჭიხვის რქით სვამდნენ ღვინოს. ხოლო მეორენი ხისაგან გამოთლილი და მოვერცხლილი ქურკლით, რომელსაც კულას<sup>7</sup> (coula) უწოდებენ.

ოჯახის სხვა წევრები და მათი მეგობრები ჩვენთან ერთად იყვნენ, ოღონდ განცალკევებულ მერხებთან ისხდნენ. მთელი ოთახი ხალხით იყო სავსე, ხოლო კარებიდან ცნობისმოყვარე ბრბო იმზირებოდა.

წითელ ღვინოს, რომელიც მასპინძელმა დაგვალეგინა, სიმავრე არ აკლდა; იგი კარგი ხარისხის იყო და სრულებით არ ჰგავდა იმ ღვინოებს, რომლებიც რედუტ-კალეს ბაზარზე იყიდება.

ნავახშმევს, რაკილა არ დავთანხმდით, რომ ერთადერთ ოთახში მხოლოდ ჩვენ დავბინავებულიყავით, სახლის პატრონი და მისი მეუღ-

ლე ფიცრის ერთ-ერთ საწოლზე დაწვნენ, ჩვენ კი ჩვენი ლეიბები მეორეზე გაეშალეთ.

ჩვენი მასპინძლის სახლი ხეებით დამშვენებულ პატარა ფერდობზე იდგა. ფერდობის ზემოთ კი ლამაზად ნაგები, ჭერ კიდევ დაუმთავრებული ეკლესია მოჩანდა. ეკლესიის კედლები, კარგად გათლილი და ჩარჩოთი შეკრული, დაახლოებით ორი გოჯის სისქის მუხის ფიცრებისა იყო. ეკლესიის ირგვლივ დატოვებული იყო რამდენიმე დიდი ზომის კოპიტა, ცაცხვი და თელა.

ხობის მოურავი სამასი დესეტინა (შვიდას ორმოცდაათი არანნი) ტყის მფლობელია. აქ ჩვენ შევამჩნიეთ ხის ჩიში, რომელსაც რუსები კრასნოე დერევის (crasnaya-dereva) (წითელ ხეს), მეგრელები კი ურთხელას (outchelia) უწოდებენ. ეს არის ხის ერთგვარი ჩიში, რომელიც ამ მხარეში უჩვეულო სიდიდისა და სიმაღლისა იზრდება. იგი ლარიეთ სწორია და ქერქი ისევე ეცლება, როგორც ქადარს. თავისი ფერითა და კოერებით იგი ძალზე წააგავს წითელ ხეს: მასაც ის ნაკლი აქვს, რომ შედარებით მყიფეა. მისი გამოყენება შეუძლია წითელ ხეზე მომუშავე ოსტატს, რადგანაც მას სწორი პირი აქვს და ძალზე კარგად პრიალდება. არა ვარ დარწმუნებული, რომ სამეგრელოს ტყეებში ხის ეს ჩიში ისევე იყოს გავრცელებული, როგორც ინდოეთის წყალგამძლე ტეკი<sup>8</sup>, მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ, ჩემი ფიქრით, შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება გემთმშენებლობაში; ხოლო თუ იგი ექსპორტის საგანი გახდება, საშუალება მოგვეცემა ავაგოთ ბევრად უფრო გამძლე ხომალდები, ვიდრე ჩვენს ტყეებში უმთავრესად გავრცელებული მუხისაგან აგებული ხომალდებია.

სოფლის თავს კეთილი სამსახურისათვის მადლობის ნიშნად მივართვით ორი სამართებული და ვაზის სასხლავი პატარა დანა. ამ მცირეოდენი საჩუქრით შეგულიანებულმა მისმა მეუღლემ გეთხოვა მაკრატელი, სათითო, ნემსები, და გვაგარძნობინა, რომ თუკი ჩვენს საგზაო მოწყობილობაში შემაველ ლითონის ორ პატარა კოვხსაც ვაჩუქებდით, ამას დიდ პატივად ჩათვლიდა. შევეცადე მისი ახირება დამეკმაყოფილებინა, რამაც დამარწმუნა, რომ თუ ეს ხალხი ჭერ კიდევ ხელით ჭამს, თუ მათ არ იციან ცხვირსახოცის ხმარება, თუ მათთვის უცხოა ყველაფერი ის, რაც პირველი საჭიროების საგნად იქცა ცივილიზებულ ქვეყნებში, მომავალში ძალზე იოლი იქნება ჩვენი მანუფაქტურის პროდუქციით მათი დაინტერესება და ამ პროდუქციაზე მოთხოვნილების დანერგვა. ისინი თანდათანობით შეეჩვევიან შრომას და ზნეც გამოეცვლება.

როდესაც ჩემს მასპინძელთან გავეირვება გამოვხატე იმის გამო, თუ რატომ არ იღებს იგი არავითარ სარგებელს კოპიტის, თელის, წითელი ხისა და კაკლის ხეებისაგან, რითაც სავსეა მისი ტყეები, მან დიდი სინანულით მიპასუხა: მშენიერად ვიცი, რომ სხვაგან ამ ხეებს უსათუოდ გამოიყენებდნენ, მაგრამ ჩემი თანამემამულენი უნიათონი არიან და არ იციან, სად ეძებონ საკუთარი ქვეყნის პროდუქციისათვის გასაღების ბაზრები.

ვიდრე გავემგზავრებოდით, მან თავისი ქალიშვილი წარმოგვიდგინა: იგი მეტისმეტად ლამაზი იყო. ტანზე, ისევე როგორც დედამისს, ჩითის წითელყეითელი ზოლებიანი კაბა ეცვა, რომელზედაც ზემოდან სხვა ცისფერი მიტკლის გახსნილი კაბა ჰქონდა მოცმული. ქალიშვილის კაბა ღილილოებითა და ვერცხლის პატარა ღილებით იყო გაწყობილი. თავი თავსახვევითა და პირბადით ჰქონდა დაფარული.

ამ მაღლობ ადგილზე მდებარე პროვინციის ჰავა მეტად ჭანსალია. ციებ-ცხელების შემთხვევები აქ ძალზე იშვიათია და თუ ჩვენს მასპინძელს დაეჩერება, ამ მხარეში მრავლად მოიძებნება ას წელს გადაცილებული მოხუცი. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მე პირადად ნაკლებად ვენდობი ასეთ მტკიცებებს, როცა საქმე მოხუცთა წლოვანების შეეხება, რადგანაც აქ არ არსებობს არავითარი სამოქალაქო აქტი, რომელიც ადამიანის დაბადებასა და გარდაცვალების თარიღს დაადასტურებდა.

ჩვენი მასპინძელი იმდენად შეპყრობილი აღმოჩნდა ცნობისმოყვარეობით, რომ სამხრეთის ზღვის კუნძულების მცხოვრებთა მსგავსად ვერაფრით ვერ შეიკავა თავი და იმ დროს, როცა გასამგზავრებლად მზად ვიყავით. იგი ჩვენს ბრიჩკაში (britchka) აღმოვაჩინეთ; მას ბრიჩკის ჯიბეები დაეჩხრიკა, დაეთვალიერებინა ყველაფერი, რაც იქ იყო, და ჩვენი სულგრძელობით წაქეზებულმა წერილმანი ნივთებიდან ზოგიერთი რამ გვთხოვა. გამგზავრებისას იგი ცხენზე შექდა, რომდენიმე ფეხით მოსიარულე მეგრელი იახლა და გამოგვიცხადა, რომ ვიდრე ორ უვარგის ხილზე არ გადახვალთ. ვერ მივატოვებთო; ამ ხილებსაც მალე მივაღებეთ. ჩვენმა მასპინძელმა დაგვარწმუნა, რომ სიძნელეები უკან გვქონდა ჩამოტოვებული, მაგრამ მთავარი სიძნელები, თურმე, ახლა იწყებოდა.

ხოზიდან სახარბედიოს საგუშაგომდე მხოლოდ რვა ვერსს ანგარიშობენ, ჩვენ კი ამ მანძილის გავლას დაახლოებით რვა საათი მოვამდომეთ, ალბათ, არა იმდენად უვარგისი გზების, რამდენადაც საშინელი ამინდის გამო, რომელიც ამ მოგზაურობის დროს დაგვესწრა.



ამ მხარეში ზღვიდან მორეკილ ღრუბლებს ტყეები აკავებს და აქ დროთა განმავლობაში ტყეებში ჩაბუდებული ნისლი ქარაშხალს იწვევს, რომელიც ევროპისაგან განსხვავებით რამდენიმე საათს კი არ გრძელდება, არამედ ზოგჯერ ორი დღის მანძილზეც მძვინვარებს ხოლმე.

ოცდათექვსმეტი საათის განმავლობაში კოკისპირულად წვიმდა. და რადგან მთებიდან გამშავებით წამოსულმა წყალმა ამ გზაზე გადებული მრავალი პატარ-პატარა ხიდი წალეკა, იძულებული გაეხდით დაგვეყადა მანამდე, ვიდრე ხიდებს შეაკეთებდნენ. ამ სამუშაოზე ოცდახუთი მეგრელი იყო გამოყოფილი, რომლებსაც მიუხედავად თავსება წვიმისა, კრინტიც არ დაუძრავთ. ამან დაგვანახა. რომ ამ ხალხს მორჩილებისა და სიბეჯითის უნარი შესწევს, და რომ ისინი ადვილად დააღწევენ თავს გაჭირვებასა და სიზარმაცეს, თუკი წაახალისებენ და შრომის საფასურს ფულით აუნახლაურებენ. ის ამბავი, რომ წინა დღით გასამრჩელო მივეცი იმათ, ვინც სოფელ ხობამდე გამოგვეყა, ცნობილი გამხდარიყო ამ მხარის მთელი მოსახლეობისათვის, რაც გაცილებით უფრო ქმედითი საშუალება გამოდგა ახალი დამხმარე ძალის საშოვნელად, ვიდრე ყოველგვარი შესაძლებელი რეკვიზიცია. გზად გავიარეთ ტყეებზე, რომელთა შორისაც ალაგ-ალაგ გამოყოფილი იყო საუცხოო საძოვრები, ვენახები, სიმინდის, ფეტვისა და თუთუნის ყანები.

ეს უკანასკნელი მცენარე მშვენივრად ეგუება სამეგრელოს ქავას და თავისი თვისებით ვირჯინიის პირველხარისხოვან თუთუნს გაუტოლდებოდა, ადგილობრივი მოსახლეობა რომ მის მოშენებასა და დამზადებას ისევე კარგად დაეუფლებოდეს, როგორც ამერიკელები.

ველური ჭიშის ზეთისხილი, რომელსაც სამეგრელოს ტყეებში ვხვდებით<sup>10</sup>, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ამ ძვირფასი ხის აქ მოშენება დიდად მომგებიანი იქნება, მით უმეტეს რომ მისი ნერგების შემოტანა ტრაპიზონიდან შეიძლება. ეს კულტურა უთუოდ გაამდიდრებს მოიჭარეებს თუნდაც იმიტომ, რომ დიდმარხვის დროს რუსეთში ძალზე ბევრი ზეთი იხარჩება. ტყეებში საკმაოდ ბევრი ვნახეთ კაკლისა და წაბლის ხეებიც. ისინი რომ უფრო მეტად მომრავლდეს, მათი პროდუქტი, რომელზეც მთელს რუსეთში დიდი მოთხოვნაა, გაზრდის რელუტ-კალედან გასატანი საქონლის რაოდენობას და შავი ზღვის ნავსადგურებში ამ პროდუქტს ანატოლიიდან აღარ შემოიტანენ.

სახარბედიო, სადაც ჩვენ შევჩვრდით, წარმოადგენს დაახლოებით ორასი გაფანტული სახლისაგან შემდგარ სოფელს. თითქმის ყველა სახლი საკმაოდ ამაღლებულ პლატოებზეა აშენებული.

კახაკთა საგუშაგო დგას ცივის ხეობაში და ზემოდან დაჰყურებს მდინარეს. ცივის გაღმა ნაპირზე მოჩანს საუცხოო საძოვრები, რომლებიც ხეებითაა გარშემორტყმული. მათ სოფელ სახარბედიოს გლეხები პირუტყვისა და მრავარიცხოვანი ღორების საბალახოდ იყენებენ. საძოვრებზე მისასვლელად კი ეს ცხოველები, მწყემსების შეძახილებით წაქეზებულნი, ცურვით გადალახავენ ხოლმე ცივს, მიუხედავად მდინარის სწრაფი დინებისა.

მთელს ამ მხარეში ცხენები. ძროხები თუ ღორები ტანდაბალი ჯიშისაა. მეგრულ ღორს გრძელი, ტახივით შავი და უხეში ჯაგარი აქვს. მისი ხორცი სასიამოვნო საკმელია, თან ყუათიანია, ისე რომ, ამის თაობაზე შარდენის მიერ გამოთქმული აზრი კვლავ ძალაში რჩება!.

ამ დროისათვის მდინარის გადალახვა შეუძლებელი იყო და იძულებული ვიყავით ორი დღე დავლოდებოდით წყლის დაკლებას. საბედნიეროდ, კახაკთა ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც განაგებდა ამ საგუშაგოს, ყურადღებას არ გვაკლებდა. მან სურსათით მოგვამარაგა და მგზავრობის გაგრძელების ნება მხოლოდ მაშინ დაგვართო, როცა დარწმუნდა, რომ მდინარეზე ფონით გასვლა შესაძლებელი იყო; ამავე დროს ოფიცერმა მოისურვა ჩვენი გაცილება შემდეგ საგუშაგომდე — აბაშის პოსტამდე.

სახარბედიოს პლატოს ჰავა სავსებით ჭანსალია და სიამოვნებით შევნიშნეთ, რომ აქ არცერთი ავადმყოფი ჭარისკაცი არ იყო. ჩვეულებრივად, კახაკთა საგუშაგოებისათვის ადგილს ასე კარგად ვერ არჩევენ ხოლმე.

ოთხშაბათს, 22 ივნისს, ნაშუადღევს ორ საათზე სახარბედიოდან გავემგზავრეთ. ოფიცერმა თავი მოუყარა ოც მეგრელს, რომლებიც მგზავრობის დროს უნდა მოგვეველებოდნენ და ჩვენც მალე ვიგრძენით ასეთი დახმარების საჭიროება.

მას შემდეგ, რაც ცივის მარჯვენა მხარეს უამრავი ხეებით გამშვენიებული საუცხოო საძოვარი გავიარეთ, კვლავ ტყეში შევედით; აქ ორ საათზე მეტი ხნის განმავლობაში ვიარეთ. ტყეში მხოლოდ ალაგ-ალაგ გვხვდებოდა დამუშავებული მიწები. შემდეგ გადავიარეთ მთიანი და უსწორმასწორო მიდამოები და მივადწიეთ ადგილს, რომელსაც ცივის ფონი ეწოდება.

მიწა აქ ოცდაათ ფუტზე მეტი სიმაღლიდან დაჰყურებდა წყლის

ზედაპირს, ხოლო მდინარისაკენ ჩამავალი გზა რვა ფუტის სიგანისა ძლიერს თუ იქნებოდა. გზა თითქმის ციკაბოდ იყო ჩაკიდებული და ამასთანავე წვიმებისაგანაც დაზიანებული გახლდათ. ჩვენგან ხელმარცხნივ მთა იყო აღმართული, ხოლო ხელმარჯვნივ — ხრამი, ორმიც ფუტზე მეტი სიღრმისა. საპირო გახდა ცხენების გამოხსნა და ეტლის ნელ-ნელა ჩაყვანა, რომელსაც გვერდებიდან და ზურგიდან ჩვენი მეგრელები და ესკორტის კაზაკები შემოუდგნენ. ამ სიფრთხილის წყალობით უხიფათოდ ჩავალწიეთ ცივის ნაპირამდე; მდინარე გრგვინვა-გრიალით ეშუება ხრამში. აქ მდინარეს პატარა კუნძული ორ ტოტად ყოფს. კუნძულზე მოჩანს ნანგრევები ძველი კვადრატული შენობისა, რომლის თითოეული მხარე თორმეტ ფუტს უდრის და რომელსაც გარშემო ბუჩქები შემოუყვება. შენობის შუაგულში ამოზრდილია კოპიტი, რომლის სიდიდეს ამ ნანგრევების სიძველეს ადასტურებს. ჩვენი ვარაუდით ეს ნანგრევები წისქვილის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად დინების სისწრაფისა და წყლის სიღრმისა, მდინარე მაინც გადავლახეთ.

ცივსა და ტეხურს შორის, დაახლოებით ექვსი ვერსის მანძილზე, შესანიშნავი ტყე შემოგვხვდა, სადაც საკმაოდ მრავლად იყო თელა, კაკალი და მუხა; მაგრამ თხმელა მაინც ყველგან ქარბობს და მას ხშირი ნაყარი აქვს. ეს ხე თითქოს მთლიანად დაუფლებია სამეგრელოს.

ტეხური, რომელიც ფაზისს ერთვის, არ არის ისეთი სწრაფი, როგორც ცივი<sup>12</sup>, მაგრამ მასზე გადასვლა საფრთხეს გვიქადდა, რადგან ამ დროს მდინარე აღიდებული იყო და ნაპირებიდან გადმოდიოდა.

ვიდრე ჩემი მარშრუტის აღწერას გავაგრძელებდე, აღვნიშნავ, რომ ჩემ მიერ ახლახანს ნახსენები სიძნელეები შედეგი იყო ხანგრძლივი ქარიშხლებისა, რომლის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკე. ამ სიძნელეების დაძლევა იოლად შეიძლება მცირეოდენი ხარჯის გაღებით, რადგან ცივსა და ტეხურზე შესაძლებელია ხის ხიდების გადება და მათი ვიწრო კალაპოტის გაფართოება, თუკი მოხნული ყანების გაყოფებაზე მიწების დაუმუშავებელ ზოლს ჩამოჭრიან, დაბოლოს, უფრო მტკიცედ უნდა შეიკრას ის მრავალრიცხოვანი ხიდები, რომლებიც

ძელებისა და ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ფიცებისაგან შედგება(2).

ტეხურის გადალახვის შემდეგ გზა განავარძეთ ტყეში, სადაც ჩვენი ყურადღება მიიქცია საკმაოდ დიდ ფართობზე გადახსულმა მიწამ, რომლის ერთი ნაწილი პირუტყვის საბალახოდ იყო განკუთვნილი. მეორეზე კი სიმინდი, ფეტვი, ქერი და თამბაქო დაეთესათ.

ჩვენგან ხელმარცხნივ საუცხოო მცენარეულობით დაფარული ქედი მოჩანდა, უფრო შორს კი კავკასიის თოვლიანი მწვერვალები დაეკანდეთ.

ჩვენი გზიდან დაახლოებით ოთხი ვერსის დაშორებით ვნახეთ ერთ-ერთ ამ განცალკევებულ მთაზე აღმართული ძველი ციხე თუ მონასტერი. ამ მხარეებში ბარბაროსების შემოსევების გამო მონასტრებსა და ციხესიმაგრეებს ერთნაირად აგებდნენ. ეს ნაგებობა კარგად არის შემონახული, აქვს კვადრატული ფორმა და ოთხი კოშკი, რომელთაგანაც ერთ-ერთი საკმაოდ მაღალია. შენობა აგებულია ერთმანეთზე ღალაგებული, დიდი ზომის თლილი ქვებით, რომლებიც თითქოსდა მხოლოდ თიხით უნდა ყოფილყო ერთმანეთთან შემტყიკებული. ნაგებობა ძალზე მყარ ნიადაგზე იდგა. იგი აშკარად გენუელების ნახელავი უნდა იყოს და უდავოდ აგებულია ამ მეომარი და კომერციულ საქმიანობაში გაწაფული ხალხის ქარავნების დასაცავად, იმ დროს, როცა ფეოდალის მფლობელებს სამეცარელოსა და საქართველოს მეშვეობით ფართო ურთიერთობანი ჰქონდათ დამყარებული შიდა აზიასთან.

საზარბედიოს საგუშაგოდან გვიან საღამოს გამოვედით და მხოლოდ ნაშუალამევს მივალწიეთ აბაშის პოსტს<sup>3</sup>. გადაეწყვიტეთ მასპინძლობა გვეთხოვა ერთი მეგრელი დიდებულისათვის, რომლის საცხოვრებელიც მეზობლად მდებარეობდა.

ამ მხარეში, სადაც სტუმრები ძალზე იშვიათად ჩამოდიან ხოლ-

---

(2) სამი წელია, რაც ეს გზა საკმაოდ გაუმჯობესდა. მე ისიც ვიცი, რომ 1823 წელს, თბილისში დამკვიდრებული ინგლისური სავაჭრო ფირმისათვის ოდესიდან ვაგზავნილი რომის კასრები რედუტ-კალეში დაიტვირთა იმ თათრების ურმებზე, რომლებიც ბაქოში ბრუნდებოდნენ. ბაქოდან ისინი კასპიის ზღვის თევზსაჭერად წამოდებული ხიზილალთ დატვირთულნი ჩამოსულან. ეს ხიზილალა სომეხმა ვაჭრებმა გაზიდეს საბერძნეთის კუნძულებზე და იტალიაში, სადაც მასზე მოთხოვნილება დიდია.

ამ ფაქტს მით უფრო სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ იგი, თანამედროვე პერიოდში, პირველი მაგალითია შავ და კასპიის ზღვებს შორის დამყარებული ბარდ-პირი სავაჭრო ურთიერთობისა.

მე. ეტლისა და რვა-ათი ცხენოსნის მოსვლა თავდაპირველად ყოველთვის შიშის გრძობას იწვევს; და მართლაც, სამართლიანობა მოითხოვს გამოგიტყდეთ, რომ ის, თუ როგორ დაეეპატრონეთ ამ დიდებულის კარ-მიდამოს, კაცს უდავოდ შეაშინებდა. ეზოში შესასვლელი ხის ჭიშკარი მეტად ვიწრო და დაბალი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ბრიჩკა გატეულიყო. ჩვენმა კაზაკებმა უყოყმანოდ მოანგრიეს ღობე. საიდანაც თავისუფლად შევედით ეზოში. მასპინძელთა მოსაძებნად საჭირო გახდა, რომ ჩვენი თარჯიმანი კაზაკის თანხლებით თვით ბატონის სახლში შესულიყო, რადგან მსახურებმა შეგვაძინიეს, თუ არა, სახლში დაიმაღნენ. შიშისაგან სული რომ მოითქვეს, მასპინძლებმა თავაზიანად გადაწყვიტეს მოეცათ ჩვენთვის ღამის გასათევად უცხოელი სტუმრებისათვის განკუთვნილი ხის სახლი, რომელსაც ოხოს (occhos) უწოდებენ. სახლი იდგა იქვე შესასვლელთან უზარმაზარ შემოღობილ ადგილას, რომელსაც ეზო-ც იყენებდნენ და პირუტყვის საძოვრადაც. ბატონი შინ არ ბრძანდებოდა, იგი თავის სუვერენთან, დადიანთან წასულიყო, რომლის საცხოვრებელიც ამ დიდებულის სახლიდან მხოლოდ ოცი ვერსითაა მოშორებული.

მეგრელი დიდებულის მთავარი სახლი და ყველა დამხმარე შენობა უზარმაზარი ხეებით დამშვენებულ საუცხოო მოღზე იდგა, რომელსაც პატარა მოჩუხჩუხე და კამკამა რუ კეთდა.

ის იყო, ეტლიდან გადმოვედით, რომ დიდებულის ვაჟი გვეახლა თავისი გუვერნიორით. თორმეტიოდე წლისა და მეტად სასიამოვნო გარეგნობის ამ ყმაწვილმა, რომელსაც მშვიდი და თავაზიანი მანერები ჰქონდა, დაბეჭითებით გვთხოვა თავისუფლად გვეგრძნო თავისი მამის სახლში. ბერძნული საეკლესიო წესით რომელიღაც მარხვა იდგა და ამ ერთადერთმა მიზეზმა მას ხელი შეუშალა დაგვესწრებოდა ვახშამზე, რომელიც ჩვენთვის გააწყობინა.

მეორე დღეს, დილის ხუთ საათზე კვლავ გავუღვიძეთ გზას იმ მთების გასწვრივ, რომლებიც ჩვენგან ხელმარცხნივ აღმართულიყო და გვლავ გადაეკერით ღამაზი ტყე. ორმოცდაათი კვადრატული ბიჩის<sup>14</sup> მანძილზე ას ორმოცდაათზე მეტი უზარმაზარი ხე დავთვაღეთ. ცხრა საათისათვის მას შემდეგ, რაც ფონით გადავლახეთ ამავე სახელწოდების მდინარე,<sup>15</sup> ჩავალწიეთ აბაშის კაზაკთა პოსტს.

აბაშიდან გამგზავრება. — ქვეყნის ხელი ამ პოსტიდან ცბინისწყალამდე. — ამ მდინარეზე გადასასვლელი. — მარანი (Marane). — ამ ადგილს მაყენ კლიმატის მიზეზები. — გუბისწყალი (Goubitskale), მდინაოე და კახაკოა პოსტი. — ქუთაისში ჩასვლა. — ამ ქალაქის აღწერა

აბაშის პოსტის უფროსი ვიცანი, იგი კახაკოა ის ოფიცერი გახლდათ, წინა კვირას რომ შეგვხვდა, როცა ხობის მონასტერთან, საშინელ ელქექსა და წვიმაში ვიდექით და გზის ყველა სიძნელე ჭერ კიდევ წინ გველო. მაშინ იგი შეზარხოშებული ბრძანდებოდა, რის გამოც განსაკუთრებული მზრუნველობით მოგვეყიდა, მაგრამ სიმთვრალემ საშუალება არ მისცა მიმხვდარიყო, თუ რა ზომები უნდა მიეღო შიშე მდგომარეობიდან ჩვენს გამოსაყვანად. აბაშის პოსტში იგი ფხიზელი დაგვიხვდა, მაგრამ ისეთივე თავაზიანი იყო, როგორც უწინ. მან ისურვა აბაშიდან მარანამდე გვარიან მანძილზე გამოგვეყოლოდა და მხოლოდ მაშინ დაგვეშორდა, როცა ძნელი გზა უკან ჩამოვდით.

აბაშის პოსტიდან მოყოლებული, მთელი ეს მხარე კვლავ ტყით იყო დაფარული; მაგრამ აქ უფრო ხშირად გვხვდებოდა საძოვრები და დამუშავებული მიწები. ამასთანავე, სიამოვნებით შეგნიშნეთ, რომ ტყისთვის სახნავად მიწის საკმაოდ ვრცელი ფართობი გამოეწირათ, რაც მოსახლეობის, მისი კულტურის ზრდისა და ამ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესების უდავო მაჩვენებელია.

ხეხილს შორის, რომლის უმრავლესობას, ისევე როგორც ყველგან, აქაც ვაზი ჰქონდა მირგული, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი იყო ატმისა და ლელვის ხეები. ბროწეული გამოირჩეოდა შვენიერი აღისფერი ყვავილებით, რომლებიც ამ დროს გადაფურჩქნული იყო. მურტიც ძალზე ხშირად გვხვდებოდა.

აბაშიდან რამდენიმე ვერსზე ზედიზედ დავინახეთ ხისაგან ნაშენი ორი მონასტერი. მათ გალავნებს შიგნით უამრავი ძალზე ლაჩაზი შავი თუთის ხე იდგა. ამ მხარეში, სადაც კარგი მოსავლის მისაღებად საკმარისია მიწა ოდნავ მოჩიჩქნო, მას უღელი ხარით ხნავენ. გუთანი მოლუნული ხისაგან არის გაკეთებული და არც სახნისი აქვს რკინისა.

აბაშასა და მარანს შორის ძალზე ბევრია თუთის ხეები; მაგრამ აბრეშუმის პარკის გამოყვანა, განსაკუთრებით კი აბრეშუმის რთვის ხელოვნება, აქ ჭერ კიდევ სრულიად ახალი საქმეა.

ამ მხარის მემამულეებს მრავლად ჰყავთ ნახირი, ოხის ჯოგები და ლორის დიდი კოლტები. ნოტიო ჰავა ხელს უშლის ცხვრის მოშენებას.

აბაშასა და მარანს შორის ოცდაშვიდი ვერსის გავლას ექვსი საათი მოჰყავდა. ვიდრე სოფელ მარანში<sup>1</sup> ჩავიღოდი, შვიდ-რვა ვერსზე ცხენისწყალი შევნიშნეთ: ეს არის ბერძნების ჰიპუსი (Hippus), ანუ ცხენის წყალი<sup>2</sup> (fleuve Cheval): ეს სახელი მას სწრაფი დინების გამო უწოდეს. იგი თითქმის ისეთივე სიგანისაა, როგორც ფაზისი. მდინარე მარანს ზემოთ სანაოსნოდ გამოუსადეგარია, რადგანაც მის ოინებას აფერხებს წვიმის შემდეგ კავკასიის მთებიდან მრავლად ჩამოტანილი უზარმაზარი ქვები, კენჭები და ხეები, რომლებიც ალაგ-ალაგ იყრიან თავს და პატარ-პატარა კუნძულებსა და რიფებს ქმნიან.

როგორც ამბობენ, ცხენისწყალს ფაზისამდე ჩააქვს ოქროს ქვიშის მარცვლები, ზოგჯერ თვით ოქროს ნატეხებიც კი. ეს ფაქტი დღეს ნაკლებად სარწმუნოა, მაგრამ თუ აქაურებს დაეჭვრებათ, სულ რაღაც ორმოციოდე წლის წინათ აქ ოქროს ქვიშის მარცვლების მოგროვება ჯერ კიდევ შეიძლებოდა. იგი ბაზარზე გაჰქონდათ და ცხენისწყლის ნაპირის მაცხოვრებელთა და სამეგრელოს მთავართა შემოსავლის გარკვეულ ნაწილს შეადგენდა.

მას შემდეგ, რაც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვიარეთ ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირის გაყოლებაზე, მივადექით მარანს. რადგანაც აქ არც ბორანი იყო და არც პონტონის ხიდი, ჩვენებმა ორ კაიუკზე ექვსი მორი გადეს; მორები ერთმანეთთან განივი ძელითაც კი არ იყო შეკრული. ასეთ სუსტ საყრდენზე შედგეს ჩვენი ბრიკა (briska) და სამმა ჭარისკაცმა იგი მდინარის მარცხენა მხარეს გადაიყვანა, თუმცა არაერთხელ განიცადეს მისი გადაბრუნების საშიშროება. ჩვენ კი ცხენისწყალი კაიუკით გადავლახეთ და 10(22) ივნისს მშვიდობით ჩავიდით მარანში, სადაც მასპინძლად მისი კომენდანტი დაგვხვდა.

ეს ოფიცერი პოლონელი გახლდათ. მას ცოლად ჰყავდა ტანმორჩილი, ჭკვიანური იერიითა და სიმკვირცხლით გამორჩეული ფრანგი ქალი. ორთავენი ჩემი პირველი მოგზაურობის დროს, 1820 წლის აგვისტოში გავიცანი ქუთაისში.

მაშინ მე მარანში მხოლოდ ოცდაოთხ საათს დავყავი და ქართველთაგანთან, ეგერთა პოლკის პოლკოვნიკ აფხაზთან<sup>3</sup> (Abkazoff) გაუტარე ეს დრო. მისი ფერმკრთალი სახე, ისევე როგორც ოფიცერთა და ჭარისკაცთა სახეები, აშკარა მანიშნებელი იყო იმისა, რომ იმე-

9. ევ. ფრანსუა გამბა.

რეთის ეს სოფელი ჭანმრთელობისათვის ერთ-ერთი ყველაზე მავნე ადგილია. საღამო ხანს თავადმა კომენდანტის სახლიდან ცხენისწყალმდე გადაქიმულ საუცხოო მინდორზე გასეირნება შემომთავაზა. სეირნობის დროს გამაოცა ყვავილების მძაფრმა სურნელებამ, რომელსაც საქოვრად გამოყენებული ეს მინდორი აფრქვევდა. ეს სუნი მაცოცხლებელ პაერს აფუქებდა და შეუძლებელი იყო, რომ ამას მნიშვნელოვნად არ შეეწყო ხელი ისეთი ფესვგადგმული და მავნე სენით დაავადებისათვის, როგორც ციებ-ცხელებათ: ეს სენი ძალზე მოდებული იყო იმ დროს და ყოველწლიურად გარდაზონის ერთ მესამედს მაინც ავლებდა მუსრს. სწორედ მაშინ მომავონდა ის ამბავი, რასაც აფრიკაში ნამყოფი ხალხი ყვება სენეგალის<sup>1</sup> გავლით სენ-ლუიზიდან გალამისაკენ მიმავალი გზის შესახებ. სადაც მდინარის ნაპირზე ჩარიგებული გიგანტური ხეები ყვავილობის დროს ადამიანებს დიდ საშიშროებას უქმნიან.

ამიტომ, როცა თბილისში დავბრუნდი და მთავარმართებელ ერმოლოვს მისივე დავალებით მოვახსენე ჩემი პირველი მოგზაურობის შთაბეჭდილებები, არ დავაყოვნე და ყურადღება გავამახვილე მარანის მავნე კლიმატურ პირობებზე და ამის მიზეზიც მივუთითე. მთავარმართებელმა შეამოწმებინა ჩემი დაკვირვებები და დღეს ეგერთა პოლკი განლაგებულია აბაშის ახლოს მდებარე მალლობზე, რის გამოც მას აღარ ეშუქრება ავადმყოფობა, რომლისგანაც უწინ ეს პოლკი თავს ვერასგზით ვერ იცავდა.

მარანში ორ დღეს დავყავით და დავისვენეთ. ჩვენი ბარგი, რომელიც ფაზისით მოდიოდა, წინაღობით ჩამოსულიყო.

მარანიდან ქუთაისამდე ორმოცდაორ ვერსს ითვლიან. პირველი ოცი ვერსის მანძილზე ჩვენ მიერ განვლილი მხარე გუბისწყლის პოსტამდე აღარ იყო მხოლოდ ტყით დაფარული. ერთმანეთს ენაცვლებოდა საქოვრები, ბამბისა და სიმინდის ყანები და ვენახები, რომელთა შორისაც უამრავი მშვენიერი ხეები მოჩანდა და ეს მრავალფეროვნება ამ ადგილებს ინგლისური ბალის იერს ანიჭებდა.

ბამბა აქ იმდენი არ მოჰყავთ, რომ იგი ექსპორტის საგნად იქცეს. მისგან აქვე ამზადებენ ნართს და ქსოვენ უხეშ ტილოს, რომლის მეტ ნაწილს აქაურ ველურ ენდროში წითლად ლებავენ. ბამბა ძალზე თეთრია, მკვრივია და მოკლებოქყოფანი: იგი ერთწლიანი ბალახმცენარეა.



გუბისწყლის პოსტი<sup>6</sup>, სადაც კაზაკები დგანან(1), განლაგებულია დაბლობ, ხესტიან და მანე ადგილზე ორ მდინარეს შორის: ერთი მათგანი პატარა ნაკადულს წარმოადგენს, მეორე — გუბისწყალია<sup>7</sup>. ზოგჯერ ამ მდინარეზე ძალიან ადვილად შეიძლება ფონით გასვლა, ხანდახან კი იგი განიერ, ღრმა და სწრაფ ნაკადად მოედინება ხოლმე; სწორედ ამის გამო იყო, რომ ამ მდინარეზე ჩვენი გადასვლის შემდეგ სამ დღეს ველოდით ბარგის გადმოტანას. მებარგულები იძულებული გამხდარან ოცდაოქტომეტი საათის განმავლობაში თავიანთი ურმებთან ღია ცის ქვეშ წყლის დაკლებას დალოდებოდნენ.

გუბისწყლის გადალახვის შემდეგ ხელმარჯვნივ ჩამოვიტოვეთ მამათა მონასტერი და შევედით ტყეში, რომლის ნიადაგი ქვიანი და ძალზე მწირია: ამიტომაც ნორჩი ნაყარი მეჩხერი და წვრილია. ხოლო საშენი ხე-ტყე — მორჩილი და ულახათო.

ქუთაისამდე, გზიდან ხელმარცხნივ, ქალაქიდან დაახლოებით ექვს ვერსზე, დედათა მონასტერია. აქაური მონაზვნები ეტლებს რომ დაინახავენ, რაც ასე იშვიათია ამ მხარეში, მოგზაურებს მოწყალებას საზოგადოებრივ ხოლმე: ეს უდავო ნიშანია იმისა, რომ მონასტრის გამგებელი მათ ცუდად ამარაგებენ.

ქუთაისამდე ოთხიოდე ვერსის მანძილზე ტყიდან გამოვედით თუ არა. ქალაქი მთლიანად გამოჩნდა. იმისათვის, რომ მივსულიყავით ქალაქის ქვემო ნაწილში, სადაც გუბერნატორი, თავადი გორჩაკოვი ჭხოვრობს, რომელმაც მასპინძლობა შემოგვთავაზა, დაახლოებით ნახევარი ვერსი ძალზე დამრეცი გზატკეცილით უნდა გვეკლო. ეს გზა საკმაოდ მაღალ მთას ეკვრის და ფაზისს გადმოჰყურებს სამოც ფუტზე მეტი სიმაღლიდან. ამ გზაზე ორი ეტლი ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლის; იგი ისეთი დაზიანებული იყო, რომ ყოველ წუთს მდინარეში გადავარდნის საშიშროება გვემუქრებოდა(2).

ვიდრე ხიდს მივალწევდით, რომელიც ძველ ქალაქს ახლისაგან გამოჰყოფს, გზა ისე დაფერდდა, რომ იძულებული გავხდით განსაკუთრებული სიფრთხილით გვეკლო, რათა არ დავგორებულიყავით. არც ხიდზე გავლა იყო უხიფათო. ხიდს ქვის ბურჯები ჰქონდა და ამის გამო იგი ძველთაძველ ნაგებობად მივიჩნიე. მისი შუა თალი წყალს წაეღო და კოჭებზე შეყენებული ფიცარნაგი, რომლითაც იგი

(1) ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებში ყველა პოსტი დონის კაზაკებს უჭირავთ; ისინი აქ სამ წელს რჩებიან და ეს დრო ჭარში სამსახურად ეთვლებათ.

(2) 1323 წელს ეს გზა მთლიანად შეკრულა და ამჟამად ეტლებს აღარავითარი დაბრკოლება აღარ ელით.

შეეცვალათ, ისეთი სუსტი ჩანდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე ეტლის სიმძიმე მას უსათუოდ ჩაანგრევდა<sup>8</sup>.

თავად გორჩაიკოვს განზრახული ჰქონდა ამ ხიდის შეცვლა სხვა ხიდით, რომელიც ქალაქის ქვედა ნაწილში უნდა აეგოთ. ასე და ამრგად შესაძლებელი გახდებოდა მგზავრმა თავიდან აიცილოს იმ სახიფათო გზის მონაკვეთი, რომლის შესახებაც ახლახანს ვისაუბრე.

საავადი წინადლით ჩამოსულიყო და თავის ადიუტანტთან ერთად დაგვხვდა. მას აბაშიდან მარანში ჩასვლის ნაცვლად. ქალაქ ხონის მახლობლად გადაულახავს ცხენისწყალი და გზა ოცი ვერსით შეუმოკლებია. რედუტ-კალედან ამ გზით მომავალ მოგზაურებს შეუქლიათ გვერდი აუარონ მარანს, რომლის პავაც მავნეა და სწრაფად ჩავიდნენ თბილისში.

ქუთაისი, ანუ კოტატისი (Cotatis), იმერეთის. ძველად კი მთელი კოლხეთის დედაქალაქი, უძველესი ქალაქია. თავისი მეცნიერული ძიებებისა და სიზუსტის გამო ასე სამართლიანად დაფასებული გეოგრაფოსი დ'ანვილი (d'Anville) მას მედეას (Medée) ქვეყნის ნაწილად მიიჩნევს. ამ აზრს თუ დავეთანხმებით, ქუთაისი პელაზგების ხანაში, იესო ქრისტეს დაბადებამდე ათას ორასი წლით. ხოლო რომის დაარსებამდე ხუთასი წლით ადრე უნდა იყოს დაარსებული<sup>9</sup>.

ამ ძველი ქალაქის პირველ ნაგებობათა არავითარი კვალი დღეს აღარ არის შემორჩენილი. შესაძლოა, იგი შემდგომმა მშენებლობამ წაშალა, ასე მოხდა მურეიედროში — ცნობილ საგუნტში<sup>10</sup>, სადაც დიანას ტაძრის ნანგრევების ახლოს საგუნტელთა, რომაელთა, დაბოლოს, მავრთა ნაგებობანი ცხადად შეიმჩნევა.

ძველი ქალაქი ქუთაისი განლაგებული იყო ფაზისის ხელმარჯვნივ, საკმაოდ მაღალ, თითქმის შვეული მთის თავზე. თანამედროვე ქალაქი კი მდინარის მარცხენა მხარეს, დაბლობზეა გაშლილი და ვაჭრობისათვის უკეთესი მდებარეობა აქვს, ვიდრე ძველს. სამაგიეროდ ქალაქის ძველი მდებარეობა უფრო მოხერხებული იყო ომის დროს და პაერის სიჭანსალის თვალსაზრისით. აქ არის ქვით ნაგები ძალზე ლამაზი ეკლესიის ნანგრევები. მისი ხუროთმოძღვრული სტილი და გარე კედლების მორთულობა, რომელიც შედგება გულდასმით შესრულებული ჩუქურთმებისა, ცხოველთა გამოსახულებებისა, სასანთლებების მაგვარი თუ სხვა უცხო ორნამენტებისაგან, მიუთითებს იმ ეპოქაზე, როცა ხელოვნებამ კონსტანტინოპოლში დაკარგა სინატიფე, რითაც დიდი ხნის განმავლობაში გამოირჩეოდა ბერძნული ძეგლები. მეზობლად მცხოვრები იმერლები მას სისტემატურად აცლიან სვე-

ტებსა და კედლის ნაწილებს, რითაც თავიანთ ღობეებს ავებენ და ალბათ რამდენიმე წელიწადში სრულიად წარიხოცება კვალი ნაგებობისა, რომელიც ერთის მხრივ ამ ქვეყნის პირველ ქრისტიან მეფეთა ღეთისმოსაობისა, ხოლო მეორეს მხრივ იუსტინიანეს დროინდელი ნელოვნების მაღალი დონის აშკარა მაჩვენებელია<sup>11</sup>.

ამ ნანგრევების ირგვლივ განლაგებულია საარქიეპისკოპოსოს კუთვნილი ხის შენობები; ზოგიერთი სახლი ბინადა აქვს ამ ეკლესიის მღვდლებს, ზოგიერთი კი — გლეხებს. აქვე მოთავსებულია თოფის-წამლის საწყობი. აბლომახლო საუცხოო წყაროებია.

ამ ადგილიდან იშლება მშვენიერი ხედი რომელიც აღმოსავლეთით გელათის (Gaelati) მონასტრის იქით გრძელდება, სამხრეთით ახალციხის მთებამდე აღწევს. ძველი ქალაქის გალავანი ჯერ კიდევ საკმარისად კარგ მდგომარეობაშია და თავისი სისიქითა და სამტკიცით გამოირჩევა. თანამედროვე ქალაქში, თავად გორჩაკოვის ჩამოსვლამდე ქუჩები ამ ჩვეულებრივ მიხვეულ-მოხვეული და სახლები ყოველგვარი წესრიგის გარეშე, ასე ვთქვათ, ალთა-ბალთად იყო განლაგებული. მათი უმრავლესობა ნაგებია თიხით შეღესილი წნულებით და გარედან კირითაა შეთეთრებული. ზოგიერთი თავადისა და მდიდარ ეპქართა საცხოვრებელი ხისაა. ქუჩები და მოედნები ხეებით არის დაშვენიებული, რომელთა შორისაც კომშის, ლელვისა და კაკლის ხეები ქარბობს. სრულიად უსისტემოდ განაშენიანებულ ქუთაისს აქვს რაღაც სოფლური და მომხიბვლელი იერი, მაგრამ ამასთანავე, გარშემო მდებარე სოფელზე ბევრად უფრო ლამაზია; იგი სამი მხრიდან მაღალი მთებით. ხეობებითა და შერეული ტყით არის გარშემორტყმული: მთის მწვერვალი წლის უმეტესი დროის განმავლობაში თოვლითაა დაფარული.

ქუთაისის ბაზარი საკმაოდ დიდია. ამ ყველა დუქანი ხისაა და წყვილ პარალელურ ხაზზეა განლაგებული. საქონელი, რომელსაც აქ ვხვდებით, კონსტანტინოპოლიდან, თბილისიდან და ახალციხიდან შემოდის: ამ საქონლით მარაგდება გარნიზონიცა და მოსახლეობაც. მოსახლეობა საქირო საქონელს იძენს მხოლოდ გაცვლის საშუალებით: გასაცვლელ საქონლად იყენებენ ბეწვეულს, აბრეშუმს, ბამბას, ცვლს, თაფლსა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს. რომლებიც რეგულარულად შემოაქვთ ბაზარზე ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ქუთაისს ამიერკავკასიის რუსული პროვინციების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქად შეუძლია იქცეს. მისი ზრდა რამდენიმე

წლის განმავლობაში აშკარად შესამჩნევია, რაც უპირველესად თავად გორჩაკოვის გულმოდგინებისა და განსაკუთრებული ზრუნვის შედეგს წარმოადგენს. სწორედ მან ააგებინა აქ ყაზარმის კორპუსები, ჰოსპიტლები და გარნიზონისათვის საჭირო სხვა შენობები. ბევრმა იფიცერმა აქ ხის სახლები აიშენა, უმთავრესად იმ მშვენიერ მინდორზე, რომელსაც რიონი ჩამოუდის და რომელიც პლაცდარმად გამოიყენება. ბაღებში, რომლებიც თითქმის ყველა სახლს აკრავს, უამრავი ძეწნა და იტალიური ალვის ხე დგას. ქალაქში თავადმა გორჩაკოვმა საუცხოო ბაღი გააშენა, რომლითაც ხალხი სარგებლობს. კვირაობით და სადღესასწაულო დღეებში გარნიზონის მუსიკოსები აქ ხალხურ და ლეკურის (Lesghis) საცეკვაო მუსიკას უკრავენ.

ქუთაისში მოსახლეობა ჯერ კიდევ ცოტაა. დაახლოებით რვაასი ებრაელი აქაური მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს. ისინი განკერძოებულ უბანში ცხოვრობენ. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი იმერლებისა და სომხებისაგან შედგება. ებრაელები ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობენ. სომხები და იმერლები თითქმის ყველანი ვაჭრები არიან და თავად ან ნოქრების საშუალებით ვაჭრობენ ბაზრის დუქნეებში.

ქუთაისის გარნიზონი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. აქ თავმოყრილია იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის ყველა სამხედრო თუ აღმინისტრაციული დაწესებულება. ცოტაა ისეთი ქალაქი, სადაც ცხოვრება ასე იაფად შეიძლებოდეს, როგორც ქუთაისში. ჩეტვერტი (chei-vert) — სამას ოცდაცამეტი ლივრი და ერთი მესამედი, ძვ. წონის ერთეულით, ხორბალი, ჩეულებრივ, 12—15 ფრანკი ლირს; სიმინდი — 7—8 ფრ.; გირვანქა<sup>12</sup> ხორცი რამდენიმე კაპიკი, ანუ სანტიში. ჯვრამეტ ბოთლ ღვინოს ბაზარზე 80 კაპიკად იყიდით: სხვა სურსათიც იგივე თანაფარდობით იყიდება. მხოლოდ ბინებია აქ იშვიათი და ძვირი, რადგანაც ახალი სახლების მშენებლობის ტემპები არ შეესაბამება მაცხოვრებელთა რიცხვის ზრდას.

ქუთაისი ისეთი აღწერე, როგორც ვნახე. აქ ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ რამდენიმე წელიწადში ამ ქალაქში, რომელსაც ევროპასა და აზიას შორის საქონლის ტრანზიტისათვის ესოდენ კარგი გზებარეობა აქვს, მოსახლეობა ორჯერ მეტად გაიზრდება და ცხოვრების პირობებიც სათანადოდ გაუმჯობესდება.

ფაზისზე სანაოსნოდ გემები რიონსკაიდან გადიან. — ცნობები ზობსა და ფაზისს შორის საქონლის გადაზიდვის ორგანიზაციის შესახებ. — ხოლადების ფორმა. — პატარა ფოთი (Petit Poty). — ქალადი (Tchelandi), ამ ადგილის მნიშვნელობა. — ტერნა (Terna). — კალიცა (Calitza). — მეთევზეობა ფაზისზე. — წალიკარი (Salikari). — კოდორი (Codaru). — კეტილა (Calila) — გუბანი (Goubhani). — ეკალი (Iekali). — ტენ-სწყალში შესასვლელი. — ზოგადი დაკვირვებანი.

ფაზისის დიდებამ, განსაკუთრებით კი რედუტ-კალესა და თბილისს შორის მიმოსვლისათვის ამ მდინარის მნიშვნელობამ გადაქაჩევეტინა აქ მომეტანა დღიური ორი ფრანგისა, რომლებიც ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ რედუტ-კალეში და ამ მდინარეს მარანამდე აუყენენ ჩემს ბარგთან ერთად.

რიონსკაიას ციხესიმაგრეს, საიდანაც გემები ფაზისზე აღმა სვლას იწყებენ, დაახლოებით ორასკაციანი გარნიზონი ჰყავს. ამ ადგილას მდინარე მშვენიერ აუზს ქმნის, რომლის ნაპირებიც საუცხოო საშენი ხე-ტყითაა დაფარული.

ზემოთ მე ვისაუბრე რიონსკაიას ირგვლივ გაშენებული ტყის გაჩეხვის შესახებ, რაც თავადმა გორჩაკოვმა განახორციელა. ამ ღონისძიებამ ეს ადგილი უკვე გამოაჩანსაღა. ელაპარაკე აგრეთვე იმის შესახებაც, თუ ფაზისზე ნაოსნობას როგორ უშლის ხელს ეს გარემოება, რომ ფოთს თურქები ფლობენ. ფაშა, რომელიც ფოთს განაგებს, გემებს მდინარეში შესვლის ნებას არ აძლევს, მაშინ როცა, თავის მხრივ, თავადმა გორჩაკოვმა ქვეყნისათვის ინფექციის საშიშროების აცილების მიზნით, მეგრელებსა და ფოთის გარნიზონს შორის ყოველგვარი ურთიერთობა აკრძალა. ყოველივე ამის შედეგად ფაზისით წამოსული სამეგრელოსა და იმერეთის პროდუქციის გადმოტვირთვა დღეს რიონსკაიაში ხდება, საიდანაც იგი რედუტ-კალეში ხმელეთით გადააქვთ და შემდეგ შავი ზღვის სხვადასხვა ნავსადგურებში იგზავნება. საბედნიეროდ, ეს მანძილი მხოლოდ თორმეტ ვერსს უდრის და გზაც სწორი და მოხერხებულია.

თუ ამჟამად ფაზისს შავ ზღვასთან არავითარი პირდაპირი სანაოსნო კავშირი არა აქვს, ეს როდი ამცირებს ამ მდინარის მნიშვნელობას ქვეყნის შიდა ტრანსპორტისათვის

ფაზისზე ნაოსნობას სახელმწიფო იყენებს მარანში მისასვლელად, საიდანაც მთელს იმერეთში ნაწილდება ჭვავის ფქვილი, რომელიც

გურიასა და სამეგრელოში დაბანაკებული ჯარების მოსამარაგებლად ფლოტილიის ხომალდებს ქერჩიდან მოაქვთ.

ამ ფქვილს, როსელიც ძალზე ნოტივდება ცუდად აგებულ და საშრობ მოწყობილობებს მოკლებულ რედუტ-კალეს საწყობებში, როსსკაიაში სახელმწიფო ურმებით ეზიდებიან.

ფქვილის გადასაზიდად რედუტ-კალეს კომენდანტს ურმების გარკვეული რაოდენობა და ოთხმოცი უღელი ხარი გამოუყვეს. პირუტყვის მერვედ ნაწილს ყოველწლიურად ანახლებენ, ხოლო მათ გამოსაკვებად ციხესიმაგრის ირგვლივ და აგრეთვე რედუტ-კალესა და რიონსკაიას შორის მდებარე მიწები დაიტოვეს; აქ ურმების გამყოლებად და პირუტყვის მცველებად ჯარისკაცებიც გამოჰყვეს. ამ ღონისძიების საშუალებით კომენდანტი მთელი სეზონის მანძილზე შეუფერხებელივ ახორციელებს ამ ორ მდინარეს შორის პროდუქტის გადაზიდვას მთავრობის სახელით.

ხარების სადგომი, ძირითადი სასოფლო ფერმა. გონიერულად არის მოთავსებული ნაბადას ახლოს ტყისპირა მდელობზე. ეს პატარა მდინარე სათავეს იღებს ცივის მახლობლად მდებარე ჭაობიდან. მისი სიგრძე სულ რამდენიმე ვერსაა და შავ ზღვას იგი ფაზისის შესართავიდან დაახლოებით ერთ ლივზე დაშორებულ ადგილას ერთვის.

რიონსკაიადან მარანამდე მდინარეზე ტვირთის გადატანისათვის სახელმწიფო იხდის 1 მანეთსა და 60 კაპიკს ასიგნაციით (1 ფრანკი და 60 სანტიმი) ჩეტვერტ ფქვილში, რომელიც წარმოადგენს წონის ერთეულს და სამას ოცდაცამეტ ლივრსა და ერთ მესამედს უდრის. ეს ფასი როგორც ჩანს ხელსაყრელია მეგრელებისათვის. რომლებიც ხალისით ეკიდებიან ტვირთის გადაზიდვის საქმეს და წინადადებაც კი აქვთ შემოტანილი, რომ იგივე ტაქსა კომერციაზეც გავრცელდეს.

მეგრელების ხომალდები, ანუ კაიუკები, ორგვარია. ერთი გრძელი, ვიწრო და ერთნაწილიანია, ისეთივე, როგორც ველურების პიროგები. მეორე გაცილებით დიდია და ათ ტონამდე საქონელს იტევს. ისინი სამი-ოთხი, მეტ-ნაკლებად სქელი ფიცრისაა და ძალზე ცუდად არის შეკრული; ფიცრები არც არაფრით არის გაელვნილი და არც გულრონით შემოგლესილი. უბრალოდ ღრიჭობია მოგმანული, თანაც ისე ზერელედ და ზედაპირულად. რომ ფქვილს ყოველთვის გაფუჭების ან დანოტივების საშიშროება ელის, ამასთანავე ტომრებს ძლავს ფარავს საძაგელი ტილო, რომელიც მათ მხოლოდ მცირე ხნით იცავს ჰაერიშხლისა და წვიმისაგან.

ფლანდრიის არხებზე გამოყენებული ბილანდრები ძალზე მო-

ხერხებული იქნებოდა ფაზისა და ხობზე სანაოსნოდ და თვით შავი ზღვის კაპოტაჟური ნაოსნობისათვისაც კი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მეტად სასარგებლო ღონისძიებათა გატარება საუკუნეების განმავლობაში ევროპისაგან მოწყვეტილ ამ ახალ ქვეყნებს ყოველივე ახლის დანერგვის საშუალებას მისცემს. ამასთანავე სრული უფლება გვაქვს ვეფიქროთ, რომ საქართველოში 1821 წლის 8(20) ოქტომბრის უკანით მოზიდული უცხოელი მეწარმენი კვლავაც ისარგებლებენ ავტორიტეტულ და კეთილშობილურ პირთა მფარველობით.

ორ ფრანგს, რომელთა მოგზაურობაც აქ უნდა აღვწერო, რიონს-კაიაში ცხენისმავრის გამგებელმა ოფიცერმა უმასპინძლა.

გამგზავრების დღეს (1822 წლის 4(16) ივნისს), დილის ოთხი საათისათვის დაიწყეს მათი ბარგის ჩატვირთვა მათთვის ჩამოყვანილ ხუთ გემზე. შედარებით დიდი ზომის ორი გემიდან თითოეულს შეედლო თორმეტაოთხიანი ტვირთის წაღება და ჰყავდა ნუთყაცანი ეკიპაჟი; დანარჩენ გემებს ორ-ორი კაცი უნდა გაჰყოლოდა. მე მოვახერხე და მოგზაურებს ერთი ექიმიც გავაყოლე თან. რომელიც კუნძულ კორსიკაზე იყო დაბადებული და იტალიურისა და რამდენიმე თურქული სიტყვის გარდა სხვა ენა არ იცოდა. ეს კაცი ჯერ იტალიის სხვადასხვა ადგილებში, შემდეგ კი მცირე აზიაში მოღვაწეობდა. თურქებმა ეჭვი აიღეს, ბერძენიყო, და ექიმმა დიდის ვაივაგლახით შეძლო მათი დევნისაგან თავის დაღწევა. რელუტ-კალეში იგი ჩვენზე ცოტა ხნით ადრე ჩამოვიდა იმ განზრახვით, რომ კირუსის ნაპირებზე ეცადა ბედი. მას თან ახლდა მეუღლე და ორი ბავშვი, ხოლო მომსახურებასა და ოარჯიმნობას უწევდა დიდი ხნის განმავლობაში ინგლისელთა სამსახურში მყოფი ერთი მეზღვაური. გვარად რაგუზე (Ragusais). კორსიკელი ექიმის თავდაპირილობა და მეზღვაურის განუწყვეტელი ღოთობა არაფრით არ ეხამებოდა ერთმანეთს. იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი აღვირახსნილად იქცეოდა, მეორე ვულმოდგინე ღვთისმოსაობით შეპყრობილი. კვირაში სამჯერ მარტულობდა: პარასკეობით და შაბათობით საერთო საეკლესიო წესით, ხოლო ოთხშაბათობით — თავისი პატრონის წმინდა ანტუან-პადუელის (Antoine-de-Padoue) პატივსაცემად. გემზე, სადაც ექიმი მოთავსდა, იყო ერთი საწყალი ქართველიც, რომელსაც თვალთ სინათლე აკლდა და ერთი ავადმყოფი ბერძენი. ექიმმა რიგრიგობით დაიწყო მათი მკურნალობა.

გამგზავრების თადარიგმა რვა საათამდე გასტანა. შემდეგ მოგზაურები რიონსკაიადან გაემგზავრნენ, აუყვნენ მდინარეს და ცოტა

ხნით შეჩერდნენ ციხესიმაგრეიდან ექვსი ვერსით მოშორებულ პატარა ფოთში. ეს სოფელი, რომელიც ოცი თუ ოცდაათი სახლისაგან შედგება, გემების დასატვირთი ნავმისადგომის გასაშენებლად ძალზე მოხერხებულ ადგილს წარმოადგენს. მდინარის ნაპირები აქ საკმაოდ მაღალია და ამდენად, წყალდიდობისაგან დაცულია. პაერი ჯანსაღია.

ეს სოფელი ბევრად უფრო მოსახერხებელი იქნება ვაჭრობისათვის, ვიდრე რიონსკაია. აქ ადვილად გაკეთდება კარგი გზა რედუტკალესთან საკომუნიკაციოდ: საჭირო იქნება მხოლოდ ამ ორ სოფელს შორის ჩაგუბებული ერთი მცირე ზომის ქაობის ამოშრობა, რისთვისაც რამდენიმე თხრილი უნდა გაკეთდეს. მათი საშუალებით დამდგარი წყლები ფაზისსა და ციეში ჩავა.

სანაპიროს ამ დაუსახლებელი ნაწილის მთელ სიგრძეზე ხეებით დაფარული უამრავი ნალექი კუნძულებია, რომლებიც წყლის დონის დაკლების შედეგად წარმოიქმნა. გზის ამ ნაწილის გავლისას მოგზაურებმა სტრაბონის მიერ ჩამოთვლილი ანტიკური ქალაქების ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინეს; მაგრამ ეს ქალაქები რომ აგუჩითაც ყოფილიყო ნაშენი, ამ ნოტიო კლიმატურ პირობებში, თანაც ორი ათასი წლის შემდეგ, მათგან მანც არაფერი დარჩებოდა: სხვა არის სპარსეთი, სადაც ძეგლებს მშრალი პაერი იცავს.

პირველ დღეს შეზღუდვები, რამდენადაც ამის საშუალებან გზა აძლევდათ, მდინარის გასწვრივ გემს ჰქაპანით ეწეოდნენ: მაგრამ მდინარეზე აღმა სელა ისე ძნელი იყო, რომ საათში ერთ ვერსს ძლივს ფარავდნენ. ქარიშხალმა, რომელიც რამდენიმე დღეს მძვინვარებდა, ფაზისს ისეთი სისწრაფე მისცა, როგორიც მას ჩვეულებრივ არა აქვს ხოლმე.

ქალადიდში<sup>2</sup> ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე ერთ-ერთი გემი უეცრად წყლით აივსო და მას უდიდესი საფრთხე შეექმნებოდა. იგი რომ სასწრაფოდ არ ამოეყვანათ ნაპირზე. მალე მიხედნენ, რომ ეს ყოველივე კორსიკელი ექიმის პატარა ძაღლის ბრალი იყო, რომელსაც ზერვლედ დაგოზილი კაიუკის ღრიკოებიდან ბალახი და ბამბა გამოეცალა.

ქალადიდი (1) რიონსკაიიდან თვრამეტ ვერსზე ძევს და წარმოადგენს სოფელს, სადაც ორასზე მეტი სახლია. ას ოთხმოცი სახლი ფაზი-

---

(1) ამ სოფლის ახლოს გაყვანილია არხი რომელიც ციეამდე აღწევს და რომელმაც სამდინარო კომუნიკაცია დაამყარა ფაზისსა და ხობს შორის. ამ საშუალოს გამო, რომლის შედეგებიც ასე რიგად სასარგებლო იქნება კომერციისა და ძველ კოლხეთის პროდუქციის გასაღებისათვის, თავადი გორჩაკოვი უდიდეს პატივისცემას იმსახურებს, რამეთუ ეს იდეა მას მოუვიდა.



სის მარცხენა ნაპირზე დგას, ხოლო ოციოდე — მარჯვენაზე. მცხოვრებლებს მუყაითი და მარჯვე ხალხის სახელი აქვთ დამკვიდრებულ.

სწორედ ქალადიდელები აწარმოებენ სახელმწიფოსათვის ტვირთის გადაზიდვას. მათ ეკუთვნით უდიდესი რაოდენობა იმ გეშებისა, რომლებიც ფაზისზე დატურავენ. ისინი ეწევიან აგრეთვე მეთევზეობას, რომლის უფლებაც, როგორც ამ ადგილას, ისევე სხვაგან, ფაზისის მთელს სიგრძეზე, ჩვეულებრივ იჯარით გაიცემა დადიანისაგან: ქალადიდელებს მოჰყავთ სიმინდი, ფეტვი, თამბაქო, აშენებენ ვაზს; ემორჩილებიან თავად დადიანს — ახლანდელი მთავრის ახლო ნათესავს. რუსეთის მთავრობამ იგი სამეგრელოს მთელი ამ ნაწილის ზედამხედველად დანიშნა და იგი დაფასებულ და დიდად პატიოსან კაცად ითვლება.

ევროპელებმა რომ სამეგრელოში სასოფლო-სამეურნეო საწარმოები დააარსონ, ან ფაზისზე ბანიანი გემებით მოისურვონ ნაოსნობის ორგანიზება, ამ სოფელში მუშებს ადვილად იშოვიან. ასევე იქნება, თუ ოდესმე ისინი ხელს მოჰკიდებენ მეთევზეობას ვრცელ და მშვენიერ პალასტომის (Bailestone) ტბაზე, რომელიც მდებარეობს გურიას, სამეგრელოსა და იმ ტერიტორიას შორის, ფოთის ციხესიმაგრეს რომ ემიჯნება. ამ ტბაში უამრავი თევზია.

ქალადიდის მაცხოვრებლები ზამთრობით ნადირობას ეწევიან და საქართველოში დასახლებულ სომხებთან საკმაოდ მნიშვნელოვან ვაჭრობას აწარმოებენ ბეწვეულით. კვერნა იყიდება 5—6 აბაზად (3—4 ფრანკი); დათვის ტყავს იგივე ფასი აქვს; ყვითელი მელია — 2—3 აბაზი ღირს; ტურის ტყავი — 1 აბაზი. კურდღლის ტყავს არაფრად არ აგდებენ. აქ მისი დიდი ოდენობით და იაფად შონა ადვილად შეიძლება. ყველა ეს ბეწვეული არ არის ისეთი ფასეული, როგორიც ჩრდილოეთის ბეწვეულია.

სოფელ ქალადიდში განლაგებულია სამასორმოცდაათკაციანი პოსტი. მას ერთი პოლონელი ოფიცერი განაგებს. ეს პოსტი ქვეყანას ახალციხის საფაშოსა და ფოთის ციხესიმაგრეში მყოფი თურქების შემოსევებისაგან იცავს. ჯერ კიდევ სამიოდე წლის წინათ ისინი ღამობით ხშირად თარეშობდნენ ამ მხარეში და აქაურ მცხოვრებლებს იტაცებდნენ ხოლმე.

ღიღის შვიდის ნახევარზე ქალადიდიდან გამოსული კაიუკები განაგრძობდნენ ფაზისზე აღმა სვლას, მიუყვებოდნენ მდინარის ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ნაპირს. მეზღვაურები იშველიებდნენ მდინა-

რის ორსავე ნაპირზე ჩამწკრივებული ხეების ტოტებს, ხოლო რაცა ეს შესაძლებელი იყო, კაპანიო ეწეოდნენ გემებს.

თერთმეტი საათისათვის მოგზაურები რამდენიმე წუთით შეჩერდნენ მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ერთ მეგრულ სოფელში, რომელსაც ტერნას<sup>6</sup> უწოდებენ: მისი მცხოვრებლები კათოლიკები არიან. ამ მხარეში, სადაც ჩვეულებრივ ბერძნულ სარწმუნოებას ძისდევნენ, ასეთ თავისებურებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ხალხების წარმოშობის დასადასტურებლად და მათი სახის ნაკეთების, ხასიათისა და ზნე-ჩვეულებათა გასარკვევად.

ტერნადან ისევ განაგრძეს გზა. დაახლოებით ცხრა ვერსი რომ გაეკლოთ, შვიდი საათი დასჭირდათ და გადმოსხდნენ კალიცაში<sup>7</sup>, რომელიც ფაზისის, ანუ რაონის, მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ვიდრე ამ ადგილს მიადწევდნენ, მათ ორი საკმაოდ დიდი სოფელი დაინახეს, ერთი მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მეორე კი მარცხენა ნაპირზე.

წინაღოდან მოყოლებული წყლის დონემ თანდათან სამ ფუტამდე დაიწია და დინებაც უფრო დამდოვრდა. მიუხედავად იმისა, რომ წყლის დინებამ იკლო, მდინარე მაინც საკმაოდ ღრმა იყო. მხოლოდ ალაგ-ალაგ შემოხვდათ რიფები.

მნიშვნელოვანი ნაწილი უზარმაზარი ტყეებისა, რომლებიც ამშვენებდა ფაზისის ნაპირებს მისი სათავეიდან შესართავამდე, ამ ადგილას ვაეკაფათ. მათ ადგილზე გაშენებული იყო მრავალრიცხოვანი თუთის პლანტაციები. აქ დამზადებული აბრეშუმში ადგილობრივად მოიხმარება.

კალიცაში საკმაოდ ბევრ თევზს იჭერენ: საუცხოო თაროს, ორაგულსა და ცქერინას. ნადავლის ერთ ნაწილს გაახმობენ და შებოლავენ, დანარჩენებს კი ნედლად მიჰყიდიან ხოლმე სამეგრელოსა და გურიის დიდებულებს.

მეორე დღეს მოგზაურები კალიციდან დილის რვა საათზე ვაემგზავრნენ. ერთი ვერსის მოშორებით, მდინარის მარცხენა მხარეს მათ მამათა მონასტერი შეამჩნიეს. იგი შედგებოდა რამდენიმე ხის საცხოვრებლისაგან. შენობები საკმაოდ ცუდად გამოიყურებოდა. მონასტრის პირდაპირ სილიანი მეჩეჩი დახვდათ, რომელიც ფაზისს თითქმის მთელ სივანეზე კვეთდა. იგი აქ წყლის ნელი დინების შედეგად წარმოქმნილიყო. რადგანაც მდინარე ამ ადგილას ძლიერ დატოტვილია. ამ მხარის ნიადაგი რამდენიმე ვერსის სიგრძეზე ქვიშნარია.

შვიდი ვერსის გავლის შემდეგ მოგზაურები ერთი საათით შეჩერდნენ მდინარის მარცხენა ნაპირზე სოფელ ტერასონში<sup>8</sup> (Terasson),

აქედან კი გზა განაგრძეს სამეგრელოს მხარეს არსებულ სოფელ წალიკარამდე. მისი მოსახლენი უფრო შრომისმოყვარენი ჩანდნენ და უფრო შეიძლებულადაც ცხოვრობდნენ, ვიდრე სხვა სოფლების ბინადარნი, რომლებიც მოგზაურებმა გაიცნეს. სიმინდისა და ფეტვის კულტურებთან ერთად მათ მოჰყავთ სელი და კანაფი. ძალზე უცნაური იქნებოდა გვეფიქრა, რომ სამეგრელოს ამ ადგილას სელის კულტურა ტრადიციულად არის შემორჩენილი იმ დროიდან, როცა ეგვიპტელებმა აქ კოლონია დააარსეს და ამ ხალხებისათვის უცნობ ამ მცენარესთან ერთად შემოიტანეს მისგან ტილოს დართვისა და ქსოვის ხელოვნება. სოფლის სახლები დიდი გულმოდგინებით ჩანდა ავებული. მათი სამეურნეო შენობები თავმოყრილი იყო ერთმანეთისაგან ღობეებით გამოყოფილ ადგილებში ისე. თითქოს ირგვლივ მდებარე მამულები სხვადასხვა მებატონის კუთვნილება ყოფილიყო. შემოღობილ ადგილებში უამრავი აყვავებული ბროწეულის ხე იდგა.

სოფლებში ჩვენი მოგზაურები დაბალ ფასებში ადვილად შოულობდნენ ქათამს, კვერცხს, ბრინჯსა და სიმინდის ფქვილს. სოფლელები ჩვეულებრივ თავაზიანები იყვნენ, ქალები არ იმალებოდნენ მოგზაურების დანახვისას, როგორც ეს სამეგრელოს ზოგიერთ ადგილებში ხდება. დროდადრო ისინი მალულად სთავაზობდნენ მოგზაურებს ზომიერ ფასებში, 100-დან 120 მანეთამდე ვერცხლით (420-დან 480 ფრ.). უყიდათ ახალგაზრდა გოგონები, რომლებსაც ხშირად მშვენიერი გარეგნობა ჰქონდათ.

სოფელ წალიკართან ფაზისის მარჯვნივ მდებარე მხარე ძალზე დაბალია, მაშინ როდესაც გურიის მომიჯნავე მხარე მაღალია.

7(19)-ში, კვირას, მათ დატოვეს წალიკარი დილის ოთხ საათზე და თერთმეტ საათზე ჩავიდნენ კოდორში, რომელიც მისგან ათი ვერსითაა დაშორებული<sup>9</sup>. ფაზისი აქ საკმაოდ სწრაფია.

კოდორში მდინარის მარჯვენა მხარეს განლაგებული დაახლოებით სამოცი სახლი დაითვლება. ეს ადგილი საკმაოდ მაღალია და ჰაერაც ჭანსალია. ამ ორი სიკეთის გამო კოდორს დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ვაჭრობისათვის. მის მიდამოებში ფაზისის დაახლოებით სამვერსიანი გარშემოწერილობის მქონე დაღეჭილი კუნძული ორ ტოტად ჰყოფს. იქმნება საკმაოდ მოხერხებული უბე, სადაც ამ მდინარეზე მცურავი გემები წყლის დინებისაგან დაცულია. თავადმა გორჩაკომა 1821 წელს ამ კუნძულზე დაახლოებით ორმოცტონიანი გემბანიანი ხომალდი ააგო, რომლის მშენებლობა უფრო საზღვაო

ოფიცრის გულმოდგინებას მოწმობს, ვიდრე მის ნიქს. ამავე პერიოდში იქვე ყაზარმაც აშენდა.

კუნძულზე ადვილად შეიძლება აიგოს მშვენიერი გემსაშენი ფაზისზე სანაოსნოდ. ნიადაგი ამ ადგილას ზედაპირიდან ხუთი ფუტის სიღრმეზე შედგება ქვიშასთან შერეული მკვრივი მიწის ფენისაგან, რომლის ქვეშაც მშვენიერი ნაცრისფერი და მარცვლოვანი თიხნარი მიწაა.

კოდორის ზოგიერთი ვაჭარი თურქებთან ვაჭრობს. აქ ვხვდებით აგრეთვე მღებავებსაც, რომლებიც ფართოდ იყენებენ განჯის (Guedje), დღევანდელი ელიზაბეტპოლის (Elisabeth-Pol) ენდროს<sup>19</sup>; ხმარობენ აგრეთვე ინდიგოს. მათ ფაბრიკებში შეღებილი მიტკალი ფერთა სიხასხასითა და სიმტკიცით გამოირჩევა.

მოგზაურები კოდორიდან შუადღეს გავიდნენ და ღამის გასათევად გაემართნენ კვეტილაში, რომელიც მისგან რვა ვერსითაა დაშორებული; აქ ექვს საათზე ჩავიდნენ და ღამეც აქვე გაათიეს.

მდინარის მარცხენა მხარეს მღებარე სოფლის მცხოვრებლებმა მოგზაურებს სასწრაფოდ შესთავაზეს საკუთარი სახლები; საჭირო პროდუქტებიც რამდენიმე ფარად(1) მიყიდეს. ცხვარი იშვიათად იყო, თხასა თუ ახალგაზრდა ვაცს კი 3 თუ 4 აბაზად (2 ფრანკისა და 80 სანტიმიდან 3 ფრანკსა და 60 სანტიმამდე) ადვილად შოულობდნენ.

გარეული ღორები, ირმები და შვლები მთელს ამ მხარეში საკმაოდ მრავლადაა. მოგზაურთა მიერ შემჩნეული ხოხობთა სიმრავლე კი თითქოს ადასტურებდა იმ მოსაზრებას, რომელსაც არგონავტებს უკავშირებენ და რომლის მიხედვითაც, კოლხეთიდან დაბრუნებისას მათ ეს ფრინველი ევროპაში ჩამოიყვანეს.

მეგრულ თავადებს ხოხობზე შევარდენით ნადირობის ჩვეულება ჭერ კიდევ აქეთ შემორჩენილი. ამისათვის ბატონებს ორი თუ სამი ყმა პყავთ, რომელთა ერთადერთ მოვალეობას შეადგენს ამ ფრინველის გაწვრთნა.

წვიმამ, რომელმაც რედუტ-კალედან მარანში ჩვენი ხმელეთით მოგზაურობის დროს ესოდენ შეგვაწუხა, არც ჩვენს მოგზაურებს ასცდათ; ორშაბათს მთელი დღის განმავლობაში აქაც ისევე უწვიმია, როგორც ჩვენს გზაზე; ეს გარემოება თვალნათლივ ადასტურებდა, რომ სამეგრელოში წვიმები იშვიათად არის ლოკალური; იგი საკმა-

---

(1) თურქული პიასტრი უდრის 40 ფრანკს; მას პერე, რაც მისი ღირებულება სულ უფრო და უფრო ეცემოდა 2 ფრანკსა და 50 სანტიმიდან 9 სუმდე, დღეს იგი სანტიმის ეკვივალენტურია.

ოდ ხშირია ტყეებით დაფარულსა და მაღალი მთებით გარშემორტყმულ მოელ ამ დაბლობ მხარეში.

ჩვენი მოგზაურები კვეტილადან დილის ექვსის ნახევარზე გავიდნენ და ცხრა საათისათვის საკმაოდ დიდ სოფელს ჩაუარეს. მისი სახლები ვაბნეული იყო მდინარის ორსავე ნაპირზე. ცოტა ხნის შემდეგ მოგზაურები ხელმარცხნივ მდებარე სხვა სოფელს გაუსწორდნენ. რომელსაც სახელად დიდია (Didia) ერქვა.

სამეგრელოს მხარეს ფაზისის ნაპირები აქაც ნაყლებ ამალღებულნი იყო. ვიდრე გურიის მხარის სანაპირო.

მდინარის მარცხენა ნაპირზე გაშლილ მაღალ ტყეებში ნაძვი საკმაოდ ხშირად ხვდებოდათ. შავმიწა ნიადაგი, თითქმის ყველგან ორისამი ფუტის სიღრმისაა და მეტწილად საკმაოდ სქელი ქვიშის ფენის ქვეშაა განლაგებული.

შუადღე იყო, როცა მოგზაურები ფაზისის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელ გუბანში შეჩერდნენ და ამ სოფლიდან პირველ საათზე გავიდნენ.

ოდნავ მოშორებით. მოგზაურებს ორ ვერსზე მეტი სიგრძის კუნძული შემოხვდათ. ტყეები აქ მეჩხერი იყო. ნაყოფიერი მიწების ერთი ნაწილი დამუშავებული იყო მეგრელების მიერ; მათ აქ თავიანთი საცხოვრებლებიც კქონდათ.

მდინარის ეს ნაპირი თანდათანობით მალღდება ქედაძდე. რომელიც იპერთსა და სამეგრელოს ახალციხის საფაშოსაგან გამოჰყოფს

და რომელიც სომხეთსა და ანატოლიაში, ტრაპიზონსა და არზრუმს შორის მდებარე ტერიტორიებზე გრძელდება. გურიის მომიჯნავე სამეგრელოს ეს ნაწილი ბევრად უფრო ჯანსაღია, ვიდრე ის ნაწილი, რომელიც მდინარის ხელმარცხნივ მდებარეობს. ამ ქედის ბოლოს ფაზისი ჩრდილოეთისაკენ უხვევს

მას შემდეგ, რაც მოგზაურები ფაზისზე გადავიდნენ, ისინი ეკალში შეჩერდნენ. ამ სოფლის მიწები, რომლის მოსახლეობაც ორასამდე მცხოვრებს ითვლიდა, გამოირჩეოდა მოვლილი ნათესებით. მიწის ნაკვეთები შემოღობილი იყო სხლტეებით. რიონსკაიადან გამგზავრების შემდეგ ჩვენმა მოგზაურებმა აქ პირველად დაინახეს ცხვრები. ამ პირუტყვის არსებობა ადასტურებს, რომ სამეგრელოს ეს ადგილი უფრო მშრალია და მაღალი. ფაზისის მოსაზღვრე ყველა ამ სოფელში პირუტყვი ჩვეულებრივ დაბალი ტანისაა. აქ ხარებს არ კლავენ, რადგან ფიქრობენ, რომ მათი მოკვლით თავად დაებღებათ სიკვდილი.

სოფელ ეკალიდან ცხენისწყლის შესართავამდე, თუ ფაზისის მისახვევ-მოსახვევებს გავყვებით, ათი ვერსი დაითვლება, ხმელეთით კი სწორ ხაზზე ექვსი ვერსი ძლივს იქნება.

დილის ოთხ საათზე ჩვენი მოგზაურები კვლავ გაუდგნენ გზას. ისინი გურიის მთებს მიუყვებოდნენ. შემდეგ ვიწრო სილიან თავთხელს მიაღწიეს და სულ მალე ცხენისწყლის შესართავს მიაღწინ.

ამ მდინარეს ერთმანეთისაგან ხეებით დაფარული, დაღეჭილი კუნძულით გაყოფილი ორი შესართავი აქვს: მდინარის ნაპირებზე უამრავი სახლი დგას.

ჩვენი მოგზაურები ცხენისწყალში შუაღლიათვის შევიდნენ. დილა გაჭირვებით აუყვნენ მას, რადგან შესართავიდან ორი ვერსის მანძილზე იგი მაღალი მთებითაა კალაპოტშევიწროებული და ძალზე სწრაფია. ორი საათის შემდეგ მათ ხეებით დაფარული პატარა დაღეჭილი კუნძული შეამჩნიეს; ექვს საათზე კი ისინი მარანში გადმოსხდნენ. აქ მთავრდება ჩვენი ორი მოგზაურის დღიური და მეც საჭიროდ მივიჩნიე ზოგიერთი ჩემი დაკვირვების დამატება.

ფაზისს, მთელს სივრცეზე რიონსკაიადან მარანამდე, სხვადასხვა სიღრმე აქვს, მაგრამ თვით წყლის კლების დროსაც კი იგი ოთახეთ ფუტზე ნაკლები სიღრმის არასოდეს არაა ხოლმე. ეს შენიშვნა არ ეხება მხოლოდ წყალქვეშა მეჩეჩს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიე და რომელიც რედუტ-კალედან მარანამდე გზის დაახლოებით შუა წელზე მდინარის მთელ სიგანეზეა გადაჭიმული.

ვფიქრობ, ამ წყალქვეშა მეჩეჩის მოსპობა ადვილი იქნება, ხოლო იაფად ღირებული რიგი ჰიდრაულიკური სამუშაოების ჩატარება ხელს შეუშლის მათს ხელახლა წარმოქმნას.

ცხენისწყალს შესართავთან მხოლოდ სამი ფუტი სიღრმე აქვს, ხოლო მისი კალაპოტი მთელს გაყოლებაზე პატარა ნალექი კუნძულებითა და რიფებითაა გაქედილი. საბედნიეროდ, ამ მდინარეზე ნაოსნობას არ შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს სამეგრელოს კომერციისათვის.

გურიის მხარეს ფაზისის ნაპირები ქვიშიანია, დაბლობ და ტუხიან სამეგრელოში კი — შლამიანი.

ვემები, რომლებიც ჩვეულებრივ რიონსკაიადან მარანამდე სუოექვს დღეში აღიან, უკან დაბრუნებას მხოლოდ ორ დღეს ანდომებენ.

ჩემ მიერ მოტანილი ორი ფრანგის დღიურის სიზუსტის დასტურად ვიტყვოდი, რომ როდესაც 1824 წლის აპრილში ცხენისწყლის შე-

სართავიდან რიონსკაიამდე ფაზისით ჩამოვედი, ამ გზის გავლას მხოლოდ ოცდამათხი საათი მოვანდომე.

სწორედ ამ დროისათვის ნავსადგური, რომელიც უწინ მარანთაჲ, ცხენისწყლისა და ფაზისის შესართავში მდებარეობდა, ამასობაში მდინარის მარცხენა ნაპირზე გადაეტანათ. ეს ნავსადგური იმერეთში განლაგებული რუსეთის არმიისათვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც კომერციული მიზნების განსახორციელებლად.

მისი ახალი მდებარეობა ძალზე მოხერხებულია, ადგილი მშვენიერია და პატრიც გაცილებით უფრო ჭანსალია, ვიდრე მარანში და რაც ნთავარია. ცხენისწყალზე შეტად რთული ნაოსნობის საჭიროება აღარაა აუცილებელი; ამასთანავე, ამ პოსტიდან ქუთაისამდე სახმელეთო გზა ძალზე კარგია და მხოლოდ ხუთი-ექვსი ვერსით თუ აღემატება მარანის გზას. ამგვარად, ამ მხარეში პროგრესი ნელ-ნელა იკიდებს ფეხს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ მდინარეთა შესართავის შორიანხლო ერთმა იმერელმა თავადმა ინგლისური ტიპის ბალი გააშენა. ბალი კარგი გემოვნებით არის დაგეგმარებული და გვევლინება იმის ახალ საბუთად, თუ რა იოლად შეითვისებს ეს ხალხი ევროპელებთან სულ მცირე კონტაქტითაც კი მათ ხელოვნებასა და ზნე-ჩვეულებებს.

### თ ა ვ ი VIII

ქუთაისიდან გამგზავრება. — ხონში ჩასვლა. — მისი მიდამოების აღწერა. — ჩიხაში (Tchichachi). — სამი იმერელი თავადი კარგი მსპირნილობა. — ფაზისზე გადასვლა. — ბჟუანი (Psuani). — მსწრაფლი მარტლმსაჭელები. — სოფელი ტოაშნეზი (Toachiesy). — სულორი (Souhori). — სალომინაო (Saposniavo). — სალომინაოს ტყე. — ისრითი (Herity). — თავად ჩიჩაევის (Chitchevasy) საცხოვრებელი. — გოვარდოვანი წყლების აბანოები. — დუალიშვილები (Duabieby) ახალციხის საზღვართან. — სეზუანი (Souani) — მისი მშვენიერი ადგილმდებარეობა. — ფაზისზე გადასასვლელი. — ქუთაისში დაბრუნება.

ქუთაისში ყოფნისას, თავადმა გორჩაკოვმა შემომთავაზა ვაკის (Vacca) მანრისი დათვალიერება, სადაც იმპერია ვრცელ მამულებს ფლობდა. შემოთავაზებულ წინადადებას დაუყოვნებლივ დავეთანხმე და პარასკევს, 1822 წლის 28 ივნისს (10 ივლისს), დილის თერთმეტი საათისათვის ქუთაისიდან ცხენით გავემგზავრე. მოგზაურობის 16. თავი ფრანსუა გამბა.

დროს მახლდა ჩემი ძმა — ჩემი მოგზაურობების ერთგული თანამგზავრი, საკონსულოსთან მომაგრებული ვინმე ფრანგი, ერთი თარჯიმანი და ბ-ნი სონინი (Sonin), მესანგრეთა კაპიტანი. წამოყვანილი გვყავდა აგრეთვე სამი ცხენოსანი კაზაკი და ორი ცხენი, რომელთაც ჩვენი ბარგი მოჰქონდათ.

პირველი ღამის გასათევად გადავწყვიტეთ ვაკის მაზრის მთავარ ქალაქში, ხონში? შევჩერებულიყავით: აქ უნდა გვენახა აბაშის გარნიზონის ეგერთა პოლკის კაპიტანი, რომელსაც მაზრის უფროსის პოსტი ეჭირა და რომელსაც ამ მოგზაურობის დროს ჩვენთვის მეგზურობა უნდა გაეწია. ხონში ჩასვლამდე თავდაპირველად გავიარეთ გუბისწყლის პოსტი, რომლის შესახებაც უკვე ვისაუბრე, როცა მარანიდან ქუთაისში ჩემი მოგზაურობა აღვწერე. კახაკთა მიერ დაკეებული ეს პოსტი გუბისწყლის მარცხენა მხარესაა განლაგებული. ეს მდინარე სათავეს იღებს რაჭის მთებში და ფაზის მარანსა და ვარციხეს<sup>3</sup> (Vartsike) შორის ერთვის. მდინარის გადალახვის შემდეგ მარანისაკენ მიმავალი გზა უკან ჩამოვიტოვეთ და გზას მარჯვნივ, ჩრდილოეთისაკენ გავუყევით.

ტყეებში გვხვდებოდა უამრავი მუხა, კოპიტი და წიფელი. ამ ხეების ტოტებში მეტწილად საუცხოო ვაზი ჩაბლართულიყო, რომელიც ისევე როგორც სამეგრელოში, კენწერომდე მიჰყვებოდა ხეებს და ისე იყო განტოტილი, რომ ვარჯები ერთმანეთთან დაკვანძული ვეგონებოდა. ტყეების მოზრდილი ნაწილი რამდენიმე წლის წინათ გაეკაფათ და აქ სიმინდის, ფეტვის, თამბაქოსა და მოკლებოქკოვანი ბამბის მდიდარი ყანები დაეთესათ.

ტყისაგან მიწების გასათავისუფლებლად ხეებს ცეცხლს უკიდებდნენ ხოლმე. ტყის საბოლოოდ მოსპობას კი დროს მიანდობდნენ, რაც ტყეთა გაკათვის ბარბაროსული ხერხია. ამ ხერხს მიმართავენ ჩრდილო ამერიკის იმ ადგილებში, რომლებიც ზღვაში ჩამავალი მდინარეებისაგან ისეა დაშორებული, რომ შეუძლებელია ამ მდინარეების გამოყენება საზღვაო ან სამშენებლო ხე-ტყის გადასახიდად; ან კიდევ იმ ადგილებში, სადაც კალაქვის წარმოების მოსაწყობად მუშახელი ძალზე იშვიათი და ძვირია.

ივლისის დასაწყისი იდგა, მაგრამ გუბისწყლის პოსტსა და ხონს შორის მდებარე მხარეში მცენარეულობა გაზაფხულის ბალახივით ქორფა და ხასხასა იყო. ეს გახლდათ შემდეგი ექვსი კვირის განმავლობაში გადაუღებელი თავსხმა წვიმისა, რომლის დროსაც მოგზაურობა მოგვიხდა.



პარასკევი დღე, ისევე როგორც ქუთაისში, მთელს იმერეთსა თუ სამეგრელოში, ხონშიც ბაზრობის დღეა. ეს დღე შაბათის<sup>4</sup> წინა დღე გახლავთ ებრაელებისათვის, რომელთა ადათ-წესი მთელს აზიასა ფეხმოკიდებულა. ეს ჩემზე ადრე შარდენმა შენიშნა, და ამის დასტურად მრავალრიცხოვანი მაგალითი შეკრიბა ნაშრომში, რომელიც დაქარგულად მიაჩნდათ<sup>5</sup>. ბ-ნი პოლკოვნიკი მორიერი სპარსეთში თავისი მეორე მოგზაურობისას შეეცადა შეეცსო ეს ხარვეზი.

ხონს მიახლოებულებს უამრავი გლეხი შემოგვხვდა. ზოგს საქონელი მოქონდა, ზოგი პირუტყვს მოერეკებოდა, რომელიც ამ დღეს ბაზარზე გატანილი თაფლის, ბამბისა და სიმინდის პროდუქტებზე გადაეცეალათ. ბევრი რამ შეცვლილი მეჩვენა იმასთან შედარებით, რაც სამი წლის წინათ ვნახე აქ, როცა ქვეყნის ერთ ნაწილში ამბოხებები მძვინვარებდა. ამჯერად გლეხების თავდაბალ სალამს აშშვენებდა გულღია მზერა და ის კეთილმოსურნე გამომეტყველება, რაც ამ მხარის მცხოვრებთა ხასიათში სასიხარულო ცვლილებებს გვიდასტურებდა. გლეხები მიხვდნენ, რომ სიმშვიდე და უზრუნველი ცხოვრება მათთვის იმ დღიდან დაიწყო. როცა ისინი იმპერატორ ალექსანდრეს საბელმწიფოს შემადგენლობაში შევიდნენ(1)

გუბისწყალსა და ხონს შორის შუა გზაზე, მამათა მონასტერთან, დაახლოებით ოცდახუთი ფუტის გარშემოწერილობის უზარმაზარი ცაქვის ჩრდილქვეშ შევისვენეთ. ძველი კოლხეთის მოსახლეობის საცხოვრებელი ხშირად არის ხოლმე გარშემორტყმული ასეთი ცაქვებით.

ხონი, რომელიც გუბისწყლის პოსტიდან ოცი ვერსითაა დაშორებული და სადაც სამი საათის შემდეგ ჩავედით, დაახლოებით ორას ორმოცდაათ, ერთმანეთისაგან შორიშორს ჩადგმულ სახლს ითვლის. აქვეა პატარა ბაზარი, რომელიც საკმაოდ ცუდად მარაგდება და სადაც გლეხებს ჩამოაქვთ სოფლის მეურნეობის ის პროდუქტები, რის გაყიდვასაც ბაზრობის დღეებში ვერ ახერხებენ. ბაზარი მდებარეობს უზარმაზარი მიწღვრის თავში და დიდტანიანი მსხლის, კომშის, ქაღალისა და კაკლის ხეებითაა შემორაგული.

ბაზრის უფროსი მინდვრის ბოლოში ცხოვრობს. მისი სახლის წინ გაშენებულია საუცხოო პატარა კორომი, სადაც ჩვენი ჩასვლის დროს იგი სამართალს განაწესებდა. ასეთი ჩვეულება საფრანგეთში შუა საუკუნეებში იყო გავრცელებული; როდესაც ბატონები თავიანთი მა-

(1) ვიდრე რუსები კოლხეთს დაუფლებოდნენ, ეს მხარე პორტას მხრივ განუწყვეტელ შევიწროებას განიცდიდა. მას ხშირად არბევდნენ აფხაზებიც.

მუღების დასათვალისწინებლად მიდიოდნენ, მათ თან ახლდათ ხოლმე მდივნები, რომლებიც ამგვარ ვითარებაში სასწრაფოდ და საბოლოოდ გამოტანილ განაჩენს ხელს ხმლის ვადის წვერით აწერდნენ. დანაშაულში ექვმიტანილებს გახურებული რკინითა და მდულარე წყლით სციდინენ, რაც უდავოდ მნიშვნელოვნად ამცირებდა სასამართლო პროცესების რიცხვს. როგორც ჩანს, იმერეთში არც მოდავეები იყვნენ მომრავლებულნი, რადგანაც მეფეები დამნაშავეს და ხშირად უდანაშაულო კაცსაც ხელფების მოკვეთას ან თვალების დათხრას მიუსჯიდნენ.

როცა მაზრის უფროსმა აუდენცია დაამთავრა, გოთიკურ სტილში აგებულ ეკლესიაში გამოგვეყვან. ეკლესია ბაზრის პირდაპირ, მინდვრის ბოლოში დგას. იგი ძველად მონასტრის ნაწილს წარმოადგენდა. ჩემი აზრით, ეკლესია აგებული უნდა იყოს მეთორმეტე ან მეცამეტე საუკუნეში. სკულპტურულ ორნამენტებს შორის შეინიშნება როზეტები და ფიგურები იგივე ცხოველებისა, რომლებიც ქუთაისის ძველი კათედრალის პორტალზე ვნახეთ. ეს ტაძარი ნაგებია მოზრდილი რიყის ქვებით, რომლებიც ერთმანეთზე დაწყობილი და შედუღებულია ცემენტითა და თიხით; ქვებს შორის ამოზრდილა რამდენიმე ასწლოვანი ლედვის ხე — ცოცხალი სახეთი ძველის სიძველისა. ეკლესიას გარს არტყია ქონგურებითა და საოოდურებთ დამშვენებული სქელი და მაღალი გალავანი, რომელიც საკმაოდ მტკიცეა იმოსათვის, რომ აქ ბერებსა და მაცხოვრებლებს თავი შეეფარებინათ განსაცდელის ეამს, რაიც თავს ატყუებოდათ ხოლმე მეგრელებისა და აფხაზების ხშირი შემოსევების შედეგად.

რადგანაც ხონი ქუთაისიდან ანაკლიასა და დიოსკურიაში პირდაპირ მიმავალ გზაზეა. შესაძლოა, ეს მონასტერი ქარავენებისა და ვაქრების დასაცავად აშენებულ ციხესიმაგრეთა სისტემის ნაწილს წარმოადგენდეს.

ამ ნანგრევების დათვალისწინების შემდეგ ვეწვიეთ რამდენიმე იმერელი გლეხის ოჯახს. ყველა მათგანის სახლი ისევე იყო ნაგები, როგორც რედუტ-კალედან ქუთაისში მოგზაურობის დროს ჩემ მიერ აღწერილი სახლები. სახლი აქაც წარმოადგენდა მხოლოდ ერთ დიდ ოთახს, ზოგჯერ წინ მდებელი ტალანით, ან წინა ოთახით, რომლებსაც ერთმანეთის საპირისპიროდ გაჭრილი წყვილი კარი, ხოლო ფანჯრის ნაცვლად ოთხი-ხუთი გოჯის ზომის ოთხკუთხა ფარლიატები ჰქონდა დატანებული.

ყვრიაზე ადგა უზარმაზარი რკინის ქვაბები; ზოგში სიმინდის

(Koukourous) ფქვილი ეყარა, ზოგში კი ფეტვისა, რომელსაც აქ ღომს უწოდებენ.

ჩვენს დანახვაზე ყველა ქალი გარბოდა; მაგრამ ცნობისმოყვარეობითა და სიკეკლუცის ბუნებრივი თვისებებით შემკულნი, არაფერს ზოგავდნენ, რათა დავენახეთ და ჩვენც დაგვენახა ისინი.

ერთი ორმოცდაათ წელს გადაცილებული ქალი, რომელიც თავის თანამემამულეთა მსგავსად დავაქრობის განსაკუთრებული უნარით იყო დაჯილდოებული, დაახლოებით ერთი ვერსის მანძილზე სდევდა საცოდავ მაზრის უფროსს და ხან მუდარით, ხან ცრემლით, ბოლოს კი თავშეუკავებელი წყევლა-კრულვით სამართალს ითხოვდა, რადგანაც მისივე თქმით, ვერსად ეპოვა იგი.

ნიადაგის სიმდიდრითა და ქვეყნის სიმშვენიერით მოხიბლულები დაებრუნდით მაზრის უფროსთან, რომელმაც შემოგეთავაზა დაჰე მასთან გაგეთია. ამ რუს ოფიცერს ცოლად ჰყავდა იმერელი ქალი, რომელიც მას თარჯიმნობას უწევდა.

მეორე დღეს დილის ექვს საათზე კვლავ დავადექით გზას. ფაზისისაკენ მიმავალ ჩვენს ქარავანს აემგზავრა ორი იმერელი თავადი, რომელთაგანაც ერთ-ერთი, თავადი ჩიჭავაძე, ხონის მაზრის ზედამხედველის მოვალეობას ასრულებდა, ორი სასამართლო მდივანი, მაზრის უფროსი, მის სამსახურში მყოფი სამი კაზაკი და პროდუქტებით დატვირთული ოთხი სასაპალნე ცხენი. მდინარე ფაზისის გუბისწყლისა და ცხენისწყლის შესართავებთან უნდა გადაგველახა.

ტერიტორია, რომელიც თავდაპირველად გავიარეთ, უმეტესად ვაკეს წარმოადგენდა და ალაგ-ალაგ მშვენიერი ტყეებით იყო დაფარული, რომლებსაც მინდვრები და დამუშავებული მიწები ენაცვლებოდა.

ჩვენი ტანმორჩილი ცხენებით საათში ექვს ვერსს ანუ ერთნახევარ ლიეს გავდიოდით. ორი საათის სიარულის შემდეგ ჩიხაიშში შეეჩერდით: ეს არის საუცხოო ადგილას მდებარე საკმაოდ დიდი სოფელი, რომელიც რუსეთის ერთგული სამი იმერელი თავადის ვრცელი მამულების ნაწილს წარმოადგენს. ქარში ნამსახურევე ამ თავადებს სამხედრო წოდებები აქვთ. ერთი მათგანი მაიორია და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისაგან ჯილდოდ მიღებული აქვს ოქროს ვადიანი ხმალი 1820 წლის აჯანყების დროს გამოჩენილი მამაცობისა და ერთგულებისათვის.

მაიორის წოდების მქონე თავადმა დიდი პატივით მიგვიღო თავის საკარმიდამოში. მან ბრძანა ხალიჩები და ბალიშები გამოეტანათ მშვე-

ნიერ მინდორზე, სადაც განლაგებული იყო მისი საცხოვრებელი სახლი და ნაგებობები, რომლებშიაც მისი ყმები ცხოვრობდნენ. ჩვენ ვისაუბრეთ უზარმაზარი კაკლის ხეების ქვეშ, რომელთა ხშირ ფოთლებშიც მზის სხივი სრულიად არ ატანდა.

რუსებმა ამ მხარეში ჩაის სმის ჩვეულება შემოიტანეს. დღეს ეს სასმელი იმერელი ბატონების ფუფუნების საგანია; აქას შედეგად მოჰყვა დიდი მოთხოვნილება მშვენიერ ფაიფურზე, ვერცხლის საჩაიეებსა და მოოქრულ ვერცხლის კოვზებზე.

სუფრას შემოვეუსხედით თუ არა, თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, რომ მაიორის ერთ-ერთი ძმა, რამდენიმე მეზობელი თავადი, მრავალი წარჩინებული და ოჯახების სხვა სტუმრები შემოგვიერთდნენ. მაგიდასთან სადილობის ჩვევა ჯერ კიდევ არ იყო იმერეთში დამკვიდრებული და სტუმრებისათვის განკუთვნილ კერძებს ვიწრო მერხზე აწყობდნენ. ჩვეულებრივ, თეფშებად იყენებდნენ სიმინდის ფქვილის გალეტებს; რამდენიმე წლის წინათ კი ადგილობრივი წარმოების უბრალო თიხის ქურქელიც შემოედო.

სუფრას უამრავი ყმა ემსახურებოდა, რომლებიც ცერემონიული მოძრაობით ფეხდაფეხ მისდევდნენ ერთმანეთს. ერთს მოჰქონდა ხოციოთა და კვერცხებით შემზადებული წვნიანი; მეორეს — ცხვრის რაგუ; შემდეგ შემოიტანეს შემწვარი წიწილები, მოხარშული კვერცხები, კიბოები, თევზი, შემწვარი შინაური ფრინველი, გალეტები, ღომით სავსე დიდი ქვაბი; ბოლოს ოთხმა ყმამ ღვინიო სავსე ოთხი უზარმაზარი სპილენძის თუნგი შემოიტანა.

თითოეულ მსახურს თავისი მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული. ერთ-ერთი მსახური ვერცხლის ნიჩბით იღებდა ღომის, ანუ ფეტვის ფაფის უზარმაზარ ფენებს და სტუმარს წინ უღებდა: ორი სხვა მსახური ხორცს ჰკრიდა; მერიქიფეები, რომელთაც ხელთ ეპყრათ ერთი ამ უზარმაზარ თუნგთაგანი, განუწყვეტლივ ავსებდნენ სასმისებს — სხვადასხვა ზომის კიჩებსა და ფიალებს; მსახურთა ერთი წყება კი მხოლოდ თვალყურს ადევნებდა მომსახურებას.

ჩვენ ერთ მერხზე მოგვათავსეს; მარჯოს უფროსი და ინჟინერი კი მეორეზე; თავადებმა და წარჩინებულებმა სხვა მერხებზე დაიკავეს ადგილები; თანამესუფრეები, ოჯახის წევრები და შინაყმები ფეხზე იდგნენ.

სადილის დროს სტუმრები მერხების ირგვლივ მყოფთ განუწყვეტლივ სთავაზობდნენ ხორცის ნაჭრებს, ღომის ფაფასა და გალეტებს: ასეთი ქცევა განსაკუთრებული ყურადღების გამოხატველ ნიშნად

იავლებოდა. ვინც მოშორებით იდგა, მათ ხორცის ნაჭრებს გადაუგდებდნენ ხოლმე და ისინიც დიდი სიძარჯვით, იჭერდნენ ნაბოძვარს.

სადილის ბოლოს შამტუკად (chamtouck) წოდებული ცხვრის ჭიშის' დიდი ღუმეები მოგვართვეს; ისინი პატარა ნაჭრებად დაექრათ, მარილი და წიწყა მოეყარათ, შამფუზე წამოეცვათ და ნაკვერჩხალზე შეეწვათ: ამ კერძს თათრული მწვადი (tcheslik) ჰქვია.

ცხვრის ეს ჭიში იმერეთში ჩვეულებრივ დაბალი ტანისაა; აქ იგი მხოლოდ მშრალ და მაღალ ადგილებში გვხვდება. ყოველწლიურად თერგის ნაპირებით დიდი რაოდენობით ცხვარს მიერეკებიან თბილისში, სადაც ეს ცხვარი ღირს ერთი მანეთი ვერცხლით (4 ფრანკი). თბილისიდან მას რუსეთის ამიერკავკასიის ყველა პროვინციაში გზავნიან.

ვოლგის დაყოლებით მოგზაურობის დროს მე ვნახე უზარმაზარი ტანის შამტუკის ცხვრები, რომელთაც გრძელი და უხეში მატყლის ქვეშ ზამთრობით მოკლე და აბრეშუმის მსგავსი მატყლი აქვთ. მისი გამოყენება ჩვენი მაუდის მანუფაქტურებს თავისუფლად შეუძლიათ. სასურველია, რომ ამ ჭიშის ცხვარი საფრანგეთშიც დამკვიდრდეს არა მარტო მატყლის გამო, არამედ ჩვენი საყვასბო ღუქების მოსამარაგებლადაც. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ რაკი იგი რუსეთის მკაცრ კლიმატს შეჩვეულია, ადვილად დამკვირდება ნაფრანგეთის ყველა პროვინციაში.

როცა სუფრიდან წამოვდექით, იმ ხეების შორიახლო, ჩვენ სადაც ვისხედით, ასეთივე ვიწრო მერხები დადგეს, ზედ ნადიმიდან აკრფილი ნარჩენები დააწყვეს და სუფრას ის ხალხი შემოუხსეს, ვინც ჩვენი სადილობის დროს მაყურებელი იყო მხოლოდ, ხოლო სოფლები, ჩამოძონძილნი და თითქმის შიშველნი, რაც მათს უკიდურეს დაკნინებასა და სილატაკეზე მტყუველებდა, კვლავ ფეხზე იდგნენ და ამ შეორე სუფრის წევრების სულგრძელობას ელოდნენ, რომ რამდენიმე ნაჭერი ხორცი და ღომის გუნდა მიეღოთ.

დიდ წვეულებებში მთელი სოფლის მონაწილეობა საერთო წესია მთელს ძველ კოლხეთში; ეს ჩვეულება უხსოვარი დროიდან მოდის.

სადილის შემდეგ გვინდოდა ცხენზე ამხედრება, მაგრამ რუსებს განსაკუთრებით ცხელ ქვეყნებში ყოფნის დროს, ჩვეულებად აწვთნასადილევს ორი-სამი საათით დაისვენონ. ამის გამო დავვიანებით, ხუთი საათისათვის მიეუახლოვდით ფაზისს. იგი თორმეტი ვერსისაა დაშორებული იმ სოფლიდან, სადაც ჩვენ შევჩერდით.

ადგილი, სადაც ფაზისი უნდა გადაგველახა, დაახლოებით ერთნაირი მანძილით არის დაშორებული გუბისწყლისა და ცტენისწყლის

შესართავებიდან. აქ, ისევე როგორც რიონსკაიაში, ფაზისის ნაპირები საუცხოო ტყეებითაა დაფარული. ვიდრე ამ ადგილს მივალწევდით, დაახლოებით ერთი ვერსის მანძილზე ქვიშნარი ვაკე და დაჭოპებული ადგილები გავიარეთ. აქ ყველაზე მეტად გავრცელებულია თხმელა, ალვისა და ტირიფის ხეები. გვხვდებოდა რიყის ქვები, მარმარილოს ნატეხები, ქვიშაში ჩაფლული გრანიტი და პორფირი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ წყალდიდობის დროს ფაზისი ხშირად ერთი ვერსითაც შორდება თავის კალაპოტს.

მდინარის გადასალახავად, რომელიც ამ ადგილას დაახლოებით ას ორმოცდაათი ნაბიჯის სიგანისაა, უნდა გამოგვეყენებინა დანჯღრეული კაიუკები. რომლებიც რიონსკაიასთან დაკავშირებით უკვე მოვიხსენიე. კაიუკი, რომელშიაც ჩვენ ჩავსხედით, სამ კაცს მიჰყავდა ბარის ფორმის ნიჩბებით; ისინი ძალზე მარჯვედ მიატურებდნენ ნაქს, ხან კრადნენ დინებას, ხან გვერდს უქცევდნენ მას; მოსახვევად ნიჩბსვე იყენებდნენ და რამდენიმე წუთში ახერხებდნენ დინების აპირისპირო მხარეზე გადასვლას. შუა ადგილზე ფაზისი ექვსი ფუტი სიღრმისა ძლივს იქნებოდა. ჩვენი ცხენების უმრავლესობა შერჩეული იყო ამ ქვეყნის მდინარეების გადატურვას; ისინი უყოყმანოდ გადაემყვნენ მდინარეში, თავი მისცეს დინებას და მალე გაღმა ნაპირზე აღმოჩნდნენ, მაგრამ დინების გაყოლებაზე საკმაოდ მოშორებულ ადგილას. ასეთ ვითარებას მიუჩვეველი, ან ცუდად მოცურავე დანარჩენი ცხენები კი ორ კაიუკზე მსხდომ კაზაკებს სადავით ექირათ. გადასასვლელი რომ უფრო განიერი ყოფილიყო, რომელიმე მათგანი აუცილებლად დაიხრჩობოდა.

წყალი ნაპირთან შეთხელდა და ნავებიც აქედან თნუთმეტი ფუტის დაშორებით გაჩერდნენ; ჩვენმა იმერლებმა ზურგზე შეგვისვეს და ეს გზა ასე გამოგვატარეს. მზრუნველობისათვის მიცემული ვერცხლის ერთი მანეთიანი (4 ფრანკი) მათ დიდ ქონებად ჩათვალეს და დიდი მადლობა გადაგვიხადეს.

როცა მთელი ჩვენი ქარავანი მდინარეზე გადავიდა, რამდენიმე წუთით შევისვენეთ საუცხოო მინდორზე, რომლის მულობელშიაც ცოვი წყალი შემოგვთავაზა. შემდეგ ცხენებზე შევსხედით. გავიარეთ ულრანი ტყე და ღამის ვასათევად შევჩერდით საუცხოო სამოვარზე, სადაც იყო კაკლის, ზოფიულის, ლელვის ხეები და რამდენიმე მუხა, რომელთაც ვაზი შემოხვეოდათ. ეს მამული შეადგენს სოფელ ბზვანის ნაწილს და სახლებიც აქ ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულია. სამოვრის შუაში იდგა ეკლესია და ხის ღამაზი სახლი, სადაც მღვდელ-

ლი ცხოვრობდა. მან უყოყმანოდ შემოგვთავაზა თავისი საცხოვრებელი.

ჩვენი ჩამოსვლისთანავე თავად ჩიჯავაძეს მოურავისათვის ებრძინებინა, რომ ჩვენთვის ვახშამი მოეზადებინა. ძველი კოლხეთის ყველა სოფლის მცხოვრებლების ვალდებულებას წარმოადგენს მათთან მოსული დიდებულებისა და ბატონების გამასპინძლება, ხოლო ამ თავსმოხვეულ ნადიმთან დაკავშირებულ ხარჯს რამდენიმე გლეხი ინაწილებს, რომელთაც თავის მხრივ უფლება ეძლევათ ისარგებლონ ნადიმის ნარჩენებით. საკმელები ხშირად ერთმანეთთან შეუთანხმებლად მზადდება და სუფრაზე თითქმის ყოველთვის უხვად არის ხოლმე ერთი და იგივე კერძი. ჩვენთვის გაწყობილ ვახშამზე შემწვარი და მოხაოშული წიწილების რიცხვი ოცს აღემატებოდა.

მორე დღეს, კვირას, 30 ივნისს (12 ივლისს), დილის ხუთ საათზე კვლავ დავადექით გზას. მრავალჯერ გადავლახეთ სულორი. ეს მდინარე სათავეს იღებს მთებში, რომლებიც ახალციხის საფაშოს ესაზღვრება და ფაზისს იმ ადგილთან ოდნავ მოშორებით უერთდება, სადაც ჩვენ გადავლახეთ იგი.

მიუუყვებოდით ვიწრო და ხშირი ხეებით დაჩრდილულ ბილიკებს: სიარული გვიჭირდა და იძულებული გავხდით ცხენებზე გავწოლილიყავით, რათა სახე არ დაგვკაწროდა ხეების ჩამოგრძელებული ტოტებისაგან, რომელთაც ცული არასოდეს არ შეხებია. უეცრად შემოგვესმა ორი კაცის ხმა, რომლებიც ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. თავადი ჩიჯავაძე იმ ადგილისაკენ გაემართა, საიდანაც ხმაური ისმოდა და დაინახა ორი მოჩხუბარი იმერელი.

ვიდრე მათი ჩხუბის მიზეზს გაარკვევდა, მან თითოეულ მათგანს რამდენჯერმე მათრახი (plate)(2) გადაუჭირა, შემდეგ კი განაცხადა, რომ მზად იყო მათი საჩივარი მოესმინა. ჩხუბი სულ უმინიმეს კო ამბავზე მოსვლოდათ: ერთის ძროხა მეორე გლეხის სიმინდის ყანაში შესულიყო და ოდნავ დაეზიანებინა იგი; ყანის პატრონი ზარალის ანაზღაურებას მოითხოვდა, ურომლისოდაც მოქაშქეს ძროხას არ უბრუნებდა.

თავადმა ჯარიმის ოდენობა მაშინვე დაადგინა და ბრძანა, წართმეული ძროხა პატრონს დაუბრუნეო. მოჩხუბარნი შერიგდნენ და კმაყოფილნი წავიდნენ შინისკენ. ჩვენ კი გზა განვაგრძეთ.

ორი საათი და თხუთმეტი წუთი მოვანდომეთ ცამეტი ვერსის გავლას, რომელიც სოფელ ბზვანსა და ტოაშნეზს<sup>3</sup> ერთმანეთისაგან აშო-

(2) ასეთი მათრახი თხელი და მრგვალი ტყავის ნაკრით ბოლოვდება.

რებდა; ვისადილეთ საკმაოდ ამაღლებულ ადვილას მდებარე მშენიერ მდებარე, ერთი წარჩინებული იმერლის მამულში (3).

მისი სახლი დიდი გულმოდგინებით იყო აგებული და მეტისმეტი სისუფთავით გამოირჩეოდა. დიდი ოთახის წინ, რომელიც საცხოვრებელს წარმოადგენდა, შესასვლელი ოთახი იყო განლაგებული. სახლს გარშემო ღია ვალერეა გასდევდა. იმავე ნივთს წნული ღობით შემოკავებულ ნაკვეთზე მისი ყმების საცხოვრებელი და მისი მამულის ქირანაულის შესანახი შენობები იდგა. იქვე გაშენებულ მშენიერ ხეივანს კარგ ამინდში დასასვენებლად და ამავე დროს სასადილო ადვილად იყენებდნენ.

წარჩინებულს, რომელთანაც ჩვენ ვაგვირდით და რომელიც თავისი წოდებით ვაცილებით დაბლა იდგა თავად ჩიქავაძესთან შეჯარებით, არაფერი დაუშურებია იმისთვის, რომ ჩვენთვის კარგი მასპინძლობა გაეწია. ჩვენ კი ვერ შეეძლოთ სათანადო მადლობა გვეთქვა მისი წინდახედული ყურადღებისათვის. აქაური ჩვეულებრივი სადილის ვარდა მოგვართვის საუცხოო კალმახები და კიბოები, რითაც სავსეა იმერეთის ამ ნაწილის სწრაფი საკადულები. გამგზავრებისას იგი ჩვენს ქარავანს შემოუერთდა თავის ძმასთან. ერთ-ერთ სასამართლო მდივანთან და ორ, ბადეებით აღჭურვილ ყმასთან ერთად და მხოლოდ მაშინ ჩამოგვშორდა როცა უკან დაბრუნებისას კვლავ გადავლახეთ თაზისი.

სულ თორმეტი ვერსი გვრჩებოდა გასავლელი სოფელ სალომინომდე, რომელიც მცირე მანძილითაა დაშორებული ამავე სახელწოდების ტყეს და რომლის ნახვაც განზრახული გვქონდა. ამიტომ გადავწყვიტეთ დაელოდებოდით, ვიდრე აგრილდებოდა და მხოლოდ საღამოს ხუთი საათისათვის გავუდგეთ გზას. წარჩინებული იმერლისა და მისი ამაღლის შემოერთებით ვაზრდილი ჩვენი ქარავანი მეტისმეტად მრავალრიცხოვანი გახდა.

მრავალჯერ გადავლახეთ ფონით სულორი და მისი შენაკადი, პატარა მდინარე, რომლის სახელწოდებაც ვერ მითხრეს. დინების სისწრაფის და ჩანჩქერების სიმრავლის გამო ერთი-ცა და მეორეც დიდად გამოსადეგი იქნება, თუკი ამ მთავარიან მხარეში ქარხნები აშენდება.

მივდიოდით მეტისმეტად ვიწრო, კირქვის ლოდებით მოფენილ ბილიკებზე, რომლებიც ხშირად უფსკრულის პირს მიუყვებოდა. შალე

---

(3) იმერელი წარჩინებულები, რომლებმაც თავი დააღწიეს მთავრების მორჩილებას და დესპოტიზმს, შეინარჩუნეს ყოველგვარი ძალაუფლება თავიანთ ყმებზე, ვარდა მათი ცემის უფლებისა, ყველაზე მეტად არიან მოსურნენი იმისა, რომ თავიანთი ქვეყანა მისი საიმპერატორო უდიდებულესობის სახელმწიფოს შეუერთდეს.



გზა უფრო ძნელადსაველი გახდა: გზის გასაადვილებლად კლდეებში ადგილ-ადგილ საფეხურები გამოეკვეთათ, მაგრამ ზოგი საფეხური ათ გოჯზე მაღალი იყო და ჩვენს ცხენებს ყოველ წუთს ხრამში გადავარდნის საშიშროება ემუქრებოდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ვმოგზაურობდით ჩვენი მომავალი მასპინძლის, მაზრის მფლობელი თავადისა და სხვა შემამულე თავადების თანხლებით, რომელთაც შეეძლოთ უნდობლობით მოპიდებოდნენ ჩვენი მოგზაურობის მიზანს, სულაც არ არის გასაკვირი, რომ უნებლიეთ პატრი ლამბერტის მიერ მოთხოვილი ამბავი მომავონდა, რომელიც მას სამეგრელოს აღწერაში აქვს მოტახილი.

ეს კეთილი თეათინელი მოგვითხრობს, რომ როცა დიდი სენიორის წარმომადგენლები ფაზისის შესართავთან მოდიოდნენ სარკის ასაკრებად, რასაც შეადგენდა ფულადი გადასახადი, სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ახალგაზრდა ტყუევები, რითაც დაბეგრილნი იყვნენ სამეგრელოს მეფეები, — ხანგრძლივი დროის განმავლობაში თურქეთის, სპარსეთის მეფეებისა და კონსტანტინეს მეშვეიძრეების მოხარკენი, — ჩამოსვლისთანავე მათ ეგებებოდნენ მეგრელი წარჩინებულები. პატივისცემის გამოსახატავად და ესკორტისა და მეგზურობის გასაწევად ეს მეგრელი ბატონები ყველაზე საშინელი გზებით ატარებდნენ მათ. აჩვენებდნენ უღარიბეს ქოხებს და ჩამოკონკილ ადამიანებს; გულს მოუღობდნენ ქვეყნისა და ხალხის უკიდურესი გაჭირვებით და შედარებით მცირე გადასახადზე დაიყოლიებდნენ.

უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ექვები საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა და შემდგომში მომეცა მათი შემოწმების საშუალება. მაგრამ მაშინ არ შემეძლო დამეჭვებინა, რომ ექვსი ათას ფრანგულ არპანზე მეტი ფართობის ტყეს, რომელსაც უზარმაზარი დაბლობი ეჭირა, მისასვლელად ჰქონდა მხოლოდ ვიწრო ბილიკები, რომელთა უმრავლესობაც კლდეში იყო გამოკვეთილი.

რაც უფრო წინ მივიწვედით ამ გზაზე, მით უფრო გვიჭირდა და მალე იძულებული გავხდით ჩამოვკვეითებულყავით, ოთხ ვერსზე მეტი ფეხით გავიარეთ. ცხენები სადავით ვატარეთ საკმაოდ მაღალ პლატომდე, სადაც სალომინაო მდებარეობდა.

ეს სოფელი იაულის ოცდაათიოდე აქა-იქ მიმობნეულ სახლს, სადაც ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობს. ჩვენი მრავალრიცხოვანი ქარავნის ხილვამ დამხედურნი თავდაპირველად დააფრთხო და მათი დიდი ნაწილი ტყეს შეეხიზნა. მაგრამ რაკილა ჩვენს შორის თავადი ჩიჩავაძე და მრავალი მათი ნაცნობი იმერელი ბატონი შენიშნეს, მოსახლეობა

ნელ-ნელა დაშვიდდა. მალე დიდად დაუშვებობრდით მათ, განსაკუთრებით ბერის (bere), ანუ მღვდლის (pope), ჩარევის წყალობით, რომელიც მაშინვე შემოგვეგება.

საქართველოს, იმერეთისა და სამეგრელოს ძველ მეფეებს ყოველთვის ჰქონდათ ჩვეულებად საკუთარ ქვეშევრდომებთან გაეტარებინათ თავიანთი მოცალოება. ისინი შინ ჩაუდგებოდნენ ხოლმე მათ თავიანთი ცხენებითა და მრავალრიცხოვანი ამალით; ჰამდნენ და სემდნენ მასპინძლების ხარჯზე და როცა ქვეყრებში ღვინო გამოიღოდა, ბელლები დაიცილებოდა და ქათმები და თხები შეიკმებოდა, მხოლოდ მაშინ გაეცლებოდნენ იქაურობას.

მას შემდეგ, რაც რუსები იმერეთს დაეუფლნენ, ეს ჩვეულება როგორც უკვე აღვნიშნე, თითქმის მთლიანად გადაეარდა, მაგრამ ბევრს ჯერაც კარგად ახსოვდათ ასეთი სტუმრობის სიმწარე და ჩვენი მრავალრიცხოვანი ამალის დანახვაზე სალომინაოს მოსახლეობა, რალა თქმა უნდა, დაფრთხებოდა. ბოლოს, როცა შეიტყვეს, მასპინძლობას მხოლოდ ერთი დღით ითხოვენო, დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს.

ამდენი ხალხისათვის საჭირო სურსათის მოტანა მღვდელმა წუთში დაავალა იქაურებს და ერთი საათიც არ იყო გასული, რომ მათ დიდძალი ხორაგი მოზიდეს. საქმელი გემრიელი იქნებოდა, რომ იმერლები, ჩვეულებისამებრ, ყველა კერძში არ ურევდნენ ეელური ბარამბოს ერთ-ერთ სახეობას, რომელიც საქმელს გემოს უფუქებს.

დესერტად თავლის ფიქა მოგვართვეს, ასე უწოდებენ კლდის ოფლს, რადგანაც ფუტკრები კლდეებში არიან თავშეფარებულნი. უკეთესი ღარისხის თავლი ქვეყნიერებაზე არ არსებობს. მეფუტკრეობა ამ სოფლის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. მარტო ერთ ბაღში დაეთვალეთ სამოცი ღორი, რომლებიც სკებად იყო გამოყენებული. ტყით დაფარული ძველი კოლხეთი ერთ-ერთი იმ მხარეთაგანია, სადაც ძალზე მოპრავლებულია ფუტკარი. ვარაუდობენ, რომ ცვილის მოსავალი და მისი ნაეაქრი იმერეთში ორას ათას ოყას (ockes) ანუ დაახლოებით ექვსას ათას გირვანქას აქარბებსო. იგი მცირე რაოდენობით იყიდება ქუთაისის, ხონისა და ზოგიერთი სხვა სოფლის ბაზრებზე. სომეხი ვაქრები აგროვებენ ცვილს, დიდ ნატეხებად აქცევენ და ასე გააქვთ კონსტანტინოპოლში რედუტ-კალეს გზით, ან არადა, მას ახალციხის ვაქრებს მიჰყიდნიან ხოლმე. ოყა ცვილის ფასი ამ ქვეყანაში შეიძლება განისაზღვროს 5-იდან 6 აბახამდე (4 ფრანკიდან 4 ფრ. და 80 სანტიმადე), რაც რუსულ სამ გირვანქას და ორ უნკიას<sup>10</sup> შეადგენს. ეს ფასი ძალზე მაღალია, მაგრამ სომეხი ვაქრები

აქაც ნახულობენ მოგებას, რადგან, ნაცვლად იმისა, რომ ცვილში ფული გადაიხადონ, ისინი მას სხვა საქონელზე ცვლიან და დიდი მოგებაც იმთავითვე გარანტირებული აქვთ.

სალომინაოს მოსახლეობა სამეურნეოდ იყენებს თავიანთ უზარმაზარ ტყის პატარა ნაკვეთებს, სადაც ვაზი აქვთ გაშენებული. ვაზი აქ ფერდობებზე და ცარცოვან ნიადაგზე იზრდება. ამიტომაც აქაური ლეინო ჩვეულებრივ კარგი ხარისხისაა. მაგრამ აქაურებმა რომ ლეინის უკეთ დამზადება იცოდნენ, წესად ჰქონდეთ მისი გადაწურვა ან ისეთნაირად დამუშავება, რაც ფრანგულ ლეინოებს სრულყოფილებას ანიჭებს და განსაკუთრებით მისი სათანადოდ გადაღლება იცოდნენ, ეს ლეინოები ზღვით ტრანსპორტირებას ადვილად აიტანდა და შავ ზღვაზე რუსეთის ნავსადგურების მნიშვნელოვან საქსპორტო საქონლად იქცეოდა.

1820 წლის შეიარაღებული აჯანყების დროს თურქეთთან ამ სასაზღვრო მხარის მოსახლეობამ ამბოხებაში ალბათ თურქების წაქეზებით მიიღო მონაწილეობა და პირველ შეიარაღებულ გამოსვლებსაც სწორედ ამ შემოგარენში ჰქონდა ადგილი. აქაური და მეზობლად მდებარე ზოგიერთი სოფლის მაცხოვრებელთაგან არის შედგენილი საზღვრის სამეთვალყურეო შეიარაღებული ჯარი.

სალომინაოს ტყეში მისასვლელ გზას მომდევნო დღის ოთხ საათზე უნდა გავდგომოდით. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ძალზე მაღალ პლატოზე ვიმყოფებოდით, ტყემდე თითქმის პირდაპირი ხაზით ჭერ კიდევ ოთხი ვერსი გვრჩებოდა გასავლელი.

გზა იმდენად იწეღად სავალი იყო, რომ ტყემდე ფეხით მისასვლელად ორ საათზე მეტი დაგვიჭირდა. ამ ადგილას მთა კვარცხა და ძალზე გამჟვირვალე თეთრ მარმარილოს შეიცავდა. ტყის პირას ერთი ხის სახლი დავინახეთ, რომელიც სადარაჯოს წარმოადგენდა. აქ ორმოცი იმერლისაგან შემდგარი პოსტი იყო განლაგებული.

ამ მაღლობზე მდებარე და ჩანსალი კლიმატით გამორჩეულ მაზრაში მუხა ძალზე იშვიათია. ყველაზე გავრცელებული ჩიშებია: წიფელი, წაბლის ხე, ცაცხვი, თელა და კოპიტო. ჩვეულებრივი დაფნის ხე იმერეთის ყველა მაღალ მთაზე ხარობს, ნაკადულების გასწვრივ კი ოლეანდრიც არანაკლებ მრავლად არის.

ტყეში შეიმჩნევა აგრეთვე მრავალი ველური ხეხილი და ხის ერთი ჩიში, რომელსაც ქართულად თელა (tella) ჰქვია და რომლის ფოთლებიც ძალზე ფართოა. ამ ოლქში არასოდეს არავინ ყოფილა და სასურველი იქნება, რომ მას ბოტანიკოსები ეწვიონ; დღეს ეს ადვი-

ლად, ყოველგვარი დაბრკოლებისა თუ ხიფათის გარეშე მოხერხდება.

სოფელში დაბრუნებისას მოგვართვეს ისეთივე ბარაქიანი სადილი, როგორიც წინა დღის ვახშამი იყო. ნასადილევს რუსმა სამოქალაქო და სამხედრო ოფიცრებმა დასვენება მოისურვეს, მე და ჩემმა ძმამ კი გადაწყვეტიტთ ფეხით გავვევლო თორმეტი ვერსი, სოფელ სევალე-პიმდე (Sevalepy)<sup>11</sup>, სადაც ჩვენი ქარავანი ღამის გასათევად უნდა გაჩერებულყო. ეს გახლდათ ნამდვილი გასეირნება, მით უფრო, რომ სულ თავქვე ვეშვებოდით და სანახებიც მართლაც რომ ულამაზესი იყო. ჩვენი მეგზურობა სოფელ ბზუნის მებატონის ძმამ იტვირთა. ჩვენთან ერთად იყო აგრეთვე სოფლის გზირი, რომელსაც ერთი კაზაკიც ახლდა. ამჯერად ბილიკი ოდნავ უფრო ფართო და შედარებით უკეთესი იყო, ვიდრე ის ბილიკი, რომელზეც წინა დღით ვიარეთ.

გაძელი და ვიწრო ფიცარნაგებით სამჯერ გადავლახეთ ის სწრაფი პატარა მდინარე, რომელიც მე უკვე ვახსენე და ოთხი საათის სიარულის შემდეგ დანიშნულების ადგილს მივალწიეთ. სოფლიდან ორ ვერსზე, ხელმარცხნივ მოჩანდა თითქმის მიუვალ მწვერვალზე აღმართული თეთრი ქვით ნაგები ძველი კოშკი. იგი იმ სოფლის სიმაღლეზეა. სადაც ღამე გაეთიეთ და, მამასადამე, მაღალი ქედი, რომელზედაც გაშლილია სალომინაოს ტყე, მას თავზე დაჰყურებს. უკანასკნელი შეიარაღებული აჯანყების დროს ეს კოშკი მუამბოხეთათვის თავშესაფარს წარმოადგენდა.

სევალეპში ჩვენი ჩასვლის მცირე ხნის შემდეგ ჩვენი თანამგზავრებიც შემოგვიერთდნენ. გავვიმასპინძლდა სოფლის ბატონი.

მეორე დღეს დილის შვიდ საათზე გავემგზავრეთ იმ ვანზრახვიო, რომ დაახლოებით თორმეტ ვერსზე მდებარე სოფელ ისრითში გვესადილა. ეს არის თავად ჩიჯავაძის ერთ-ერთი მამული და ძირითადი საცხოვრებელი ადგილი. აქამდე ჩვენ მიერ გავლილი მხარე მართლაც რომ მშვენიერი იყო. მეჩხერ ტყეს ადგილ-ადგილ საცხოვრები და დამუშავებული ზვრები ენაცვლებოდა. აქაურ მოსახლეობას ჩვევად აქვს ამ ადგილების შემოღობვა და მათ ბალებს უწოდებენ. მთელს ძველ კოლხეთში და საქართველოში ამგვარი მამულები ძალიან ძვირად ფასობს, და საოცარია, რომ აქაური ხალხი უფრო მეტ ფართობს არ იყენებს მამულების გასაშენებლად. შუა გზაზე შევჩერდით ძალზე მდიდარ სოფელში, რომელმაც თავისი იერით ბრიუსელსა და გენტს შორის მდებარე ულამაზესი ფლანდრიული დაბები მომაგონა.

აქ ცხოვრობდა ერთ-ერთი ძმა თავადისა, რომელიც მაზრას განაგებდა. იგი ერთ თავის მეგობარ თავადთან, საკმაოდ მრავალრიცხოვან

წარჩინებულებთან და ყქებთან ერთად დაუყოვნებლივ შემოუერთდა ჩვენს ქარავანს. მის მხლებლებთან ზოგი თუხით მოგვეყვებოდა, სხვები — ცხენებით.

წუთით სოფლის მოელანხე შევიჩერდით. მოგვართვეს საუცხოო ღვინო, რომელიც ცხენებიდან ჩამოუქვეითებლად დავლიეთ. ერთ სომეხს, როგორც ხასინის მოიჭარადრეს, აქ დუქანი ჰქონდა, სადაც ყიღდა არაყს, რუსეთის ზოგიერთ მანუფაქტურულ ნაწარმს და კონსტანტინოპოლიდან შემოსულ საქონელს, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის იყო განუყოფელი.

ათი საათისათვის თავად ჩიჭავაძის კარმიდამოში შევედით. იგი მალელობზე მღვებარეობს და უზარმაზარი კაკლის ხეებითაა შემორგული. ჩვენი მოსვლის თაობაზე აქაურები ვაფრთხილებულები იყვნენ და ჩინებული სადილიც დაგვასწავდრეს. სუფრასთან ოთხმოცი სტუმარი მაინც იქნებოდა.

თავადის საცხოვრებელი სახლი ფართო და მოხერხებული ჩანდა. იგი შიადრის ბოლოში იღვა. მის ირგვლივ უამრავი შენობა იყო განლაგებული, საოლო ფცხოელი სტუმრებისათვის განუყოფნილი სახლის შორიასლო, მშვენიერ ხეებქვეშ, ძალონზე ხალიჩები და მერხები გამოეტანათ, რომლებსქვედაც ბალიშები ელაგა.

ის-ის იყო სუფრას შემოვუსხედლო, რომ შობრძანდა თავადის მამა, დარბაისელი მოხუცო, რომელსაც წინაპართა და მის თანამემამულეთა ჩვეულების თანახმად, თმა, წვერი და უღვამი თითქმის სულ წითლად ჰქონდა შეღებულა(4). ეს ფერი აქ იმდგად მოდამია, რომ ბაეშევს, რომლებიც ესოდენ ლამაზები არიან და წაბლისფერი ან შავი თმა აქვთ, მეტისმეტად დაეღაფა წითელი ფერით ამხინებენ. ბაზრებზე იყიდება ინას (henna) სახელწოდებოთ ცნობილო მცენარეული ფხვნილი, რომელიც თმასა და ფრჩხილების შესაღებად გამოიყენება. ხშირად ინას ფეხისგულებს შესაღებადაც კი ხმარობენ. შესაძლოა ეს ჩვეულება მათ ვადმოიღეს სპარსელებრსაგან, ვისოვისაც ასეთი წესი საყოველთაოდ მიღებულია. მოწითალო ფერით ამ გატაცების გამო ხშირად შეხედებით რუს ან თეთრ ცხენებს, რომელთა ფაფარი ან ძუა ამ ფერადაა შეღებული.

სუფრასთან რომ დავსხედით, ცოტა ხნის შემდეგ თავადის შორიასლო ფეხზე მდგომქა ორმა შინაყვამ მეტისმეტად შესაბრალოსი ხმით წამოიწყო იმპროვიზებული სიმღერა, რომლის შინაარსიც ძალზე მარ-

(4) ომრს წოლად შეღებოა ჩვეულებრივ მხოლოდ ბაეშევს და ხნდაზულ მამაკაცებს სქეეათ.

ტივი იყო და რომელშიაც შიგადაშიგ ჩვენი მისამართით გამოთქმული ქათინაურები იყო ჩართული.

სტუმრებს უამრავი კერძით ვაგვიმასპინძლდნენ და სადილიც საკმაოდ ღირხანს ვაგვრძელდა. ჩვენი მასპინძლების გამუდმებული და დაბეჭითებითი თხოვნით იძულებული ვიყავით ჩვეულებრივზე მეტი კვესკა მაგარი და მათრობელა ლეინო. დესერტის დროს კეთილმა მოხუცმა ულვაშზე ხელი გადაისვა, მადლეგრძელა, ჭიქა დასცალა და გადაეხვიო. შემდეგ ჭიქა კვლავ შეავსო და მე ვადმომცა. მერე მე გადავხვიე თავადის ვაჟს და შევთავაზე ჩემი ჭიქა, რომელიც წაწვევ შეივსო და დაიცალა. და ასე, ყველა სტუმრის, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ასაკის გათვალისწინებით, სასმისი ხელიდან ხელში გადადიოდა. მის ამ წესს მიმართავენ მხოლოდ მაშინ, როცა სტუმარს პატივი უნდათ სცენ. მის მიმართ განსაკუთრებული კეთილგანწყობის დასტურად მასვე სთავაზობენ საწებელში ამოვლებულ ცხვრის ღუმას.

სადილმა დიდხანს გასტანა. ნასადილევს ჩვეულებისამებრ მოგვასვენებს, რაც ოთხ საათამდე ვაგვრძელდა და ცხენებზე რომ ავმხედოდით, უკვე ხუთი საათი იყო.

ასეთმა დაყოვნებამ გული დამწყვიტა. მით უმეტეს, რომ გადაწყვეტილი გვქონდა ვოგერდოვანი აბანოს სანახავად წასვლა. იგი ძღებარეობს მთებში. თავადის კარ-მიდამოდან თორმეტი ვერსის დაშორებით.

თავადისა და მასწრის უფროსის განკარგულებით იქ ჩვენთვის უკვე მომზადებული იყო ბალაგანები (balagans), ანუ ფოთლებით დაფარული კარავები, სადაც რაზდენიმე საათით უნდა დავგვესვენა. ღამის გასათევად კი თავადთან დაბრუნება გვქონდა განზრახული.

აბანოსკენ მიმავალი ვზა თითქმის ისეთივე ძნელადსავალი და სახიფათო იყო, როგორც ის ვზა, რომელიც წინა დღით გავიარეთ სოფელ სალომინაოში მისასვლელად. აქაც დაგვიხვდა კლდეები, დაღმართები, ბობოქარი მთის მდინარეები, რომელთა მიკლაკნილ-მოკლაკნილ კალაპოტებზეც განუწყვეტლივ გვიხდებოდა გადასვლა-გადმოსვლა. ამიტომაც იძულებული ვხდებოდით ხშირად ჩამოვსულიყავით ცხენებიდან და გზის საკმაოდ დიდი მონაკვეთი ფეხით გამოვიარეთ. მიუხედავად ამ სიძნელებისა, ორი საათიც კი არ დაგვიკირებია აბანომდე მისასვლელად; მას ანტიკური და დიდებული იერი ჰქონდა, ვარეგნული ფორმით იგი დიდად წააგავდა ვერგილიუსის საფლავს მონპოზილიში<sup>12</sup>. აბანოს ძველი შესასვლელი დღეს დაკეტილია და შიგ გამოვგრეული ადგილიდან შედიან. იგი აშენებულია ერთმანეთზე დაწყობილი რიყის დიდი ქვებით, რომლებიც ძალზე მტკიცე ხსნარით არის

შედულებებული. რიყის ქეებს გასდევს რამდენიმე წყება აგური, ან უფრო სწორად, ერთი გოჯი სიქის კრამიტის წყება ოც კვადრატულ გოჯზე.

ნანგრევებში ამოსული ლეღვისა და დაფნის დიდრონი ხეები მოწმობს ამ ნაგებობის სიძველეს. არ ვიცი, ამ აბანოს მშენებლობა შეიძლება თუ არა მიეწეროს ბერძნებს, რომაელებს, გენუელებს, მაგრამ ცხადია, რომ იგი სრულებით განსხვავებულია იმისაგან, რაც დღევანდელი კოლხეთის მშენებლობისათვის არის დამახასიათებელი, რადგანაც აქ თითქმის ყველა თანამედროვე ნაგებობა ხისაა.

ძირითად გოგირდოვან წყაროში წყლის ტემპერატურა დაახლოებით 20 გრადუსს უდრის. წყარო ამოჩქედს ერთი პატარა მდინარის ზემოთ, ათ-თორმეტ ფუტზე. თითქმის ამ მდინარის დონეზე არის მეორე წყარო, რომლის წყალიც იგივე ტემპერატურისა მეჩვენა.

მოსახლეობა ამ გოგირდოვან წყლებს არ იყენებს, მაგრამ ისინი მაინც სასარგებლოდ მიაჩნიათ. სასურველია, რომ რუსეთის მთავრობამ აქ საზოგადოებრივი აბანოები მოაწყოს, სადაც შესაძლებელი იქნება ისეთი ავადმყოფების გამოგზავნა, რომელთაც გოგირდოვან წყლები ესაჭიროებათ. აქ სამკურნალოდ ჩამოსულებს აღარ მოუწევთ კავკასიონის ძნელად გადასასვლელი უღელტეხილის გადალახვა და კავკასიონის გუბერნიის დედაქალაქის — გეორგიევსკის მიდამოებში არსებულ წყლებზე წასვლა. ამასთანავე, იმერეთის ამ მაღალადგილას პაერი ძალზე სუფთაა და ციებისაგან მოკეთებული ჭარისკაცები აქ სწრაფად შესძლებენ გამოჯანმრთელებას.

აბანოს სანახავად ორმოცდაათ კაცზე მეტი მიევიდით. ჩვენთვის საკმაო რაოდენობით დაედგათ ლამაზ-ლამაზი ბალაგანები, მაგრამ ეს კარები მთლად რიგანად ვერ გაემართათ, განსაკუთრებით კი ფოთლებისაგან შეკოწიწებული სახურავი გამოსვლოდათ უხეირო. ასე რომ, ძნელი იქნებოდა მოსალოდნელი ქარიშხლისაგან თავის დაცვა. მასპინძლებს ბევრგან დიდი კოცონები დაენტოთ, რათა ვახშობისას სინათლე გვეკონოდა და არც სინესტეს შევეწუხებინეთ. ცეცხლს უნდა დაეფრთხო მგლები, განსაკუთრებით კი ტურები, რომლებიც ასე მრავლად იყვნენ ჩვენ გარშემო მდებარე ტყეებში და რომელთა საზარელი ყმულილი წამდაუწუმ გაისმოდა.

ჩვენ არც კი ვიცოდით, რომ მაზრის უფროსი თურმე გოგირდოვანი წყლებით ეპირებოდა ჰრილობის განკურნებას, რომელიც ბარე ათი წელია არ უშუშდებოდა. იგი სამ საათს იწვა აბაზანაში, კერატრით ვერ შეევაგონეთ ამოსულიყო. ბოლოს, რადგანაც ირგვლივ გამეფებული

წყვიდიადის გამო უკვე აღარ შეგვეძლო ისრითში დაბრუნება, გადავწყვიტეთ ღამე ჩვირთვის მომზადებულ ბალაგანებში გაგვეტარებინა გვეგონა, გადავურჩიბოდით წვიმას, რომელიც წუთი წუთზე უნდა წამოსულიყო.

ბალაგანებს ზემოდან კიდევ რამდენიმე ფენა ფოთოლი დავაყარეთ, ასე რომ ორი საათის განმავლობაში გადაღებულმა წვიმამ საფარი მხოლოდ გაჭირკველა, მაგრამ მალე წყალი ღვარად წამოვიდა და ყველანი ერთიანად დაგვასველა. უკუნეთ ღამეში ისეთი ელვა და ჰექაქუხილი ატყდა. რომ ნამდვილი წარღვნა უარესს ვერაფერს გვიზამდა. საჭირო იყო რაღაც გადაწყვეტილების მიღება: — უთუოდ გზას უნდა დავდგომოდით და ფეხით მიგვეღწია მთის მწვერვალამდე, რომელიც, როგორც გვითხრეს, მხოლოდ ორი ვერსით იყო აბანოდან დაშორებული და სადაც სოფელი უნდა შეგვხვედროდა.

ნაშუალამეცს დავადექით გზას. ხეობაში, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით და რომელიც მთელს სიგრძეზე უნდა გაგვევლო, წყლის გუბებში იდგა. ხეობა მოფენილი იყო წაქცეული ხეებით, ბუჩქნარითა და მიწის ზედაპირიდან თვრამეტ გოჯზე გადაჭრილი ხის კუნძებით. სწორედ ამ უვალში უნდა გაგვეკვალა გზა, შემდეგ კი წინ მალალი მთა გვედო, რომლის მწვერვალზე ასვლა მხოლოდ ვიწრო და მოლიბული ბილიკით შეიძლებოდა. ამიტომ იყო, რომ წინა დღის მგზავრობით დაქანცულს, რაკი თვალწინაც წარმომიდგა დარჩენილი გზის გადასალახავი ყველა სიძნელე, ცოტა არ იყოს შემეშინდა კიდევ.

წვიმა მჭიდვარებდა და ზედიზედ აქრობდა აქა-იქ მბეუტავ ფარნებს: საბედნიეროდ, ათასობით ციციანათელა და ხშირი ელვა დროდადრო არღვევდა ირგვლივ გამეფებულ წყვიდიადს. ორი იმერელი, რომელთაც ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ჩირაღები ეჭირათ, ამბოდ ცდილობდნენ ოდნავ მაინც გაენათებინათ სავალი გზა. ჩირაღების ცივლიგა შუქი ყოველ წუთს შეიძლებოდა მიმჭრალიყო და წამდაუწყუმ უნდა შეეჩერებულიყოავით, რათა ცეცხლი კვლავ გაელვებინათ და გზა გაგვეგნო ვიწრო ბილიკზე. რომელსაც ერთი ნაბიჯითაც რომ ავცდენოდით, უთუოდ უფსკრულში გადაიხვება გვეწერა.

უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც თავს უქეიფოდ ვგრძნობდი და დასუსტებულმა უყოყმანოდ ვისარგებლე ერთი იმერელი ბატონის თავაზიანობით, რომელმაც დახმარება შემომთავაზა. არასოდეს მინახავს ასეთი საოცარი მსგავსება ფრანსუა I-ის<sup>13</sup> პორტრეტთან: თავადი პირწავარდნილი ხელმწიფე იყო. ამკვარ სახეს ძალზე ხშირად შეხვდებით იმერელ წარჩინებულთა შორის. მისი ფართო მხრები თითქოს ჰერ-



კულებს კომოდის მხრების მიხედვით იყო ნაძერწი<sup>14</sup>. ერთიანად მივენდე მის ნაბადს (hourka) და მან ასე მატარა ორი საათის განმავლობაში ძნელად სავალ გზაზე. ბოლოს მივაღწიეთ მთის თხემს, სადაც თავშესაფარი უნდა გვემოვა.

შევედიო რომელიღაც საძაგელ ქოხში, სადაც უზარმაზარი ხის მორები ზრჩოლავდა. აქ დაველოდეთ გათენებასა და წვიმის გადაღებას, თან ეშრებოდით. შვიდი საათისათვის წვიმა შეწყდა და მაშინვე გავუდექით გზას, რათა უფრო მოხერხებულ, დასახლებულ ადგილამდე მიგვეღწია. რომელიც ექვს კერსზე მდებარეობდა იმ პლატოდან, სადაც ამჟამად ვიმყოფებოდით, დანიშნულების ადგილზე მისასვლელად თავდაპირველად იმ ბილიკით დავეშვიო, რომლითაც წინა დღით ძლივს ამოვედიო. დიდი გაჭირვებით გადავლახეთ წვიმებისაგან მეტინმეტად აღიდებული მთის ნაკადული. ხიდის ნაცვლად აქ ძალზე ვიწრო და მოლიპული ფიცრები იყო გადებულიო.

სახლი, სადაც ჩვენ მივედიო, ის ქოხი, რომელიც დავტოვეთ და გოგირდოვანი წყლის აბანოც ახალციხის საფაშოს საზღვართან მდებარე სოფელ დვალისშვილების ტერიტორიაზეა. აბანოებს, ალბათ, ასეთი მეზობლობის გამო არიდებენ თავს ავადმყოფები, რომლებიც დიდი ესკორტის გარეშე აქ უშიშრად ვერ იქნებიან.

ამ სოფლის თითქმის ყველა სახლი ფერდობზეა შეფენილი. იმერეთის მთელი ეს ნაწილი მეტისმეტად მთაგორიანია. სახლში, სადაც უნდა გვესადილა, ადიოდნენ კიბით, რომელსაც საღამოობით იღებდნენ ხოლმე. სახლს გარშემო სათოფურები ჰქონდა დატანებული, რომლებიც სინათლის ერთადერთ წყაროსაც წარმოადგენდა. ინტერიერი მორთული იყო თოფებით, ხმლებით, დამბაჩებითა და ხანჯლებით (quindjals); ეს ყოველივე ჩამოკიდებული იყო ირმის რქებზე, — ეს ცხოველი ძალზე მომრავლებულია აქაურ ტყეებში. სახლების კონსტრუქცია და მათ მოსართავად გამოყენებული იარაღი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ სოფლის მოსახლეობა შეჩვეულია თურქი ავაზაკების თავდასხმებს, რომლებიც დროდადრო თარეშობდნენ ამ სოფლებში და გლეხების ცოლ-შვილსა და პირუტყვს იტაცებდნენ. შესაძლოა, ზოგჯერ აქაურებიც იგივეს სჩადიოდნენ თურქების მიმართ და რაკი ისინი თითქმის ყოველთვის მზად იყვნენ საბრძოლველად, მათ ისეთი კეთილი და მორჩილი იერი როდი აქვთ, როგორც ჩვენ მიერ ნანახ სხვა სოფლების მაცხოვრებელთ. მას შემდეგ, რაც იმერეთი იმპერატორ ალექსანდრეს დამორჩილდა, ახალციხის საფაშოს საზღვარზე მოსახლეობის რბევა თითქმის მთლიანად აღიკვეთა. სოლომონ მეფის დროს

თურქთა მოზრდილი რაზმები ხშირად იჭრებოდა იმერეთის მიწა-წყალზე და ტყვედ მიჰყავდათ მეფის ქვეშევრდომები, ხოლო შემდეგ უარს აცხადებდნენ მათს გათავისუფლებაზე იმ უაზრო საბაბით, თითქოს არ შეეძლოთ დამნაშავეთა მიკვლევა.

იმერეთის მთელს ამ ნაწილში ძალზე გავრცელებულია ალვის ხე და ცაცხვი. აქ მრავლად ეხვდებით აგრეთვე ლელვისა და დაფნის ხეებს.

დელიშვილებიდან ორი საათისათვის გამოეშვავრეთ და მალე კვლავ მოვინახულეთ აბანო, რომლის დატოვებაც წინა დღით საჩქაროდ მოგვიხდა. ქარიშხალს ჩვენთვის აგებული ფარღალა კარვების კვალიც კი არ დაეტოვებინა.

ორ საათს მოეუნდით თორმეტი ვერსის გავლას სოფელ სეზვანამდე, სადაც გადაწყვეტილი გვქონდა ღამის გათევა. გზა თითქმის ერთთავად თავქვე ეშვებოდა: ხშირად გვიხდებოდა დაკლაკნილ მდინარეზე გადასვლა. მთები, ჩვეულებრივ, კვარცისა და თეთრი მარმარილოს უზარმაზარი შრეებისაგან შედგებოდა, იმერეთის ძველ ხელნაწერ რუკაზე, რომელიც ჩემი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ერთვის, ამ მთებში ვერცხლის საზადოებია მითითებული, მაგრამ მე ვერ შევძელი რაიმე ცნობის მოპოვება ვერც იმის თაობაზე, თუ როგორ ამუშავებდნენ მას ძველად, და ვერც თვით საზადოების შესახებ. სოფელ სეზვანის პატრონის, წარჩინებული იმერლის სახლი დგას ერთ-ერთ პლატოზე, რომელიც უმშვენეირესია იმათ შორის, რაც ამ პირველი მოგზაურობის დროს ვნახეთ. აქედან დასავლეთით მოჩანს ტყეებით დაფარული და ჩინებული ხეობებით დასერილი მთელი გურია, უფრო შორს — შავი ზღვა, მოჩანს ტრაპიზონისა და არზრუმის გამყოფი მაღალი ქედი, ფაზისი და მისი დაკლაკნილი კალაპოტი შავ ზღვაში შესართავამდე; ჩრდილოეთით დავლანდეთ მთელი საშეგრელო და აფხაზეთის მთები, მოშორებით — კავკასიონის ვეება ქედი და თოვლით დაფარული მისი მაღალი მწვერვალები: ბოლოს, იმავე მიმართულებით, მხოლოდ უფრო აღმოსავლეთით, მოჩანს ქუთაისი, გელათის მშვენეირი მონასტერი და სამეგრელოს პოლკის ადგილსამყოფელი. რომელიც ძველი შორაპნის (Schorapana) ნანგრევების მახლობლადაა განლაგებული.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის შეუძლებელია უფრო მშვენეირი და ჭანმრთელი ადგილის შერჩევა. სახლს, სადაც ჩვენ დამე გავათიეთ, ჩვეულებრივი საცხოვრებლის იერი არა ჰქონდა. მემამულე შინ არ იყო, მაგრამ სოფელ სეზვანის მოსახლეობამ ძალზე კარ-

ვად მიგვიღო. მეორე დღეს, ხუთშაბათს, 16 ივლისს, დილაადრიან გაყემგზავრეთ იმ მიზნით, რომ იმავე დღეს, ღამის ვასათევად ქუთაისში ჩავსულიყავით.

ზემოთ ნახსენები სახლიდან მოყოლებული, ფაზისის ნაპირებამდე, რვა ვერსის მანძილზე თითქმის სულ თავდაღმა ვეშვებოდით. ამგვარად, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რაოდენ მაღლაა ზღვის დონიდან განლაგებული ის მახრა, სადაც ჩემ მიერ აღწერილი გოგირდოვანი წყლების აბანო მდებარეობს. მთელი ეს მხარე დაფარულია ტყით და ხშირად ვამჩნევდით ტყის მოსპობის მიზნით გადამწვარ კარგა მოზრდილ ტრიალ მინდვრებს.

ჩვენი ქარავანი გზადაგზა იზრდებოდა და იმერელი თავადების, წარჩინებულებისა და მათი ყმებისაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი კორტეჟით მივალწიეთ ფაზისის სანაპიროს. აქ გამოსამშვიდობებელი საუბრეზე გავმართეთ და გულწრფელი მადლიერება გამოვხატეთ ჩვენი მხლებლებისადმი, რადგანაც მთელი ამ მოგზაურობის განმავლობაში მათი თავაზიანი ზრუნვა და ყურადღება არცერთ წუთს არ მოგვკლებია.

ჩვენ მიერ მოვლილ ქვეყანაში მშვიდობიანობა და უდრტვიწველობა სუფევდა. მცხოვრებლები თავაზიანნი იყვნენ, ვგრძნობდით რა ყოველივე ამას, გაგვიჭირდა კოლხეთი ისეთნაირად წარმოგვედგინა, როგორც იგი 1672 წელს შარდენმა აღწერა.

ამ ცნობილ მოგზაურს სამეგრელოში ძვირფასი საქონლის ერთი ნაწილი წაართვეს, ხოლო თბილისისა და გორის კაპუჩინების მამაცური დახმარებით მან დიდი გაჭირვებით მოახერხა თავისი სიმდიდრის გადაარჩენა, როდესაც სამეგრელოს, იმერეთისა და საქართველოს მეფეებმა და ახალციხელმა თურქებმა მისი წართმევა დააპირეს. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელნი ძველი კოლხეთის ორ სუვერენს დიდი ხნის განმავლობაში ოსტატურად ახვედნენ თავს საკუთარ სურვილებს.

მას შემდეგ, რაც ჩვენს მეგზურებს დავშორდით, გუბისწყლის ზემოთ, დაახლოებით ექვს ვერსზე, ფაზისი გადავლახეთ. კაიუჯებში, რომლებშიაც ჩავსხედით, წყალი ყოველი მხრიდან უონავდა, მაგრამ იგი სწრაფად ამოხაპეს და ნაჩვრეტებში ბალახი ჩაჩურთეს. რამდენიმე წუთში ორმა მენავემ მდინარის მარჯვენა ნაპირზე გადაგვიყვანა, ჩვენმა თანმხლებმა კახაკებმა და ცხენებმა კი მდინარე ფონით გადმოლახეს.

რვა ვერსის მანძილზე ცხენებით ვიარეთ უღრან ტყეში; შემდეგ არც თუ ისე ფართო, მაგრამ საკმაოდ ღრმა მდინარეზე გავედით და

ჩავედით სოფელ სპოჩუნტში (Spotchunty)<sup>15</sup>, სადაც გადაწყვეტილი გვექონდა გვესადილა.

ჩვენ მიერ გავლილი ეაკის მაზრა, ხონიდან მოყოლებული ფაზი-სამდე, საკმაოდ ნაყოფიერ დაბლობს და მთაგორიან ადგილებს შოი-ცავს. ეს ტერიტორია, რომელიც მოგზაურობის ბოლოს განვლეთ, სრულიად ჭანსალია, დაბლობ ადგილებში კი ხშირია ციებ-ცხელებით დაავადების შემთხვევები.

სპოჩუნტის მეზატონე სხვაგან იყო წასული, მაგრამ მისა ძამ და-უყოვნებლივ აღასრულა ის, რასაც სტუმართმოყვარეობა ავალდებუ-ლებდა. სუფრაზე სიამოვნებით შეენიშნეთ დანა-ჩანგალი და ვერცხლის ფიალები, — დასტური იმისა, რომ ეს ახალი და საჭირო ჩვევა აქაც იკიდებს ფეხს. დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე თავადის მაგა-ლითს სხვებიც მიბაძევენ და ეს ახალი ჩვევა მცირე ხანში მთელს მხარეში გავრცელდება.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ გამოვემშვიდობეთ ეაკის მაზრის უფ-როსს და იწეინერ სონინთან და ჩვენს კაზაკებთან ერთად გავემგზა-ვრეთ ქუთაისში, რომელიც სოფელ სპოჩუნტიდან თვრამეტი ვერსითაა დაშორებული.

ჩვენ მიერ მოხილული მხარე ფაზისის მარჯვენა და გუბისწყლის მარცხენა ნაპირებს შორის მდებარეობს; ხეები აქ კორომებად კი არ ხარობს, არამედ ერთმანეთისაგან შორიშორს დგას. მინდვრებში უამ-რავი პირუტყვია; სიმინდისა და თამბაქოს ყანები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მოსახლეობა აქ საკმაოდ მრავალრიცხოვანია და სო-ფლის მეურნეობაც უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე ჩვენს მიერ შემო-ვლილ სხვა მაზრებში.

## თ ა ვ ი IX

ქუთაისიდან გამგზავრება — ე.პიჩიო (Kwaktchezivi). — ყვირილაზე გადახლა. — ვარციხე. — ხანისწყალი (Gheniskal) — ბაღდადი (Bagdad) — სოფელი დიმი (Dimi). — ოპჩა (Opitcha). — ყვარლაზე დაბრუნება. — სიმონეთი (Simonetti). — გადასახლელი ჭოლაბურსა (Thelabory) და ყვირილაზე. — შორაპანი: — ჭვეენის აღწერა, — სოფელი გოგნი (Cogni). — რკინის მალაროები. — საწიჩე (Sadzivi). — გელათის მონასტრის აღწერა. — ქუთაისში გაბრუნება.

რამდენიმე დღის შესვენების შემდეგ, ორშაბათს, 10 (22) ივლისს, ქუთაისისა და შორაპნის მაზრების დასათვალიერებლად გავემგზა-  
166

რეთ. თან გვახლდა მაიორი მარტინ ვასილიჩი (Martin Vasiliitch), რომელიც თერამეტი წლის განმავლობაში ქალაქ ქუთაისსა და ქუთაისის მახრას განაგებდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ოფიცერი აზნაური იყო, თავისი სამხედრო კარიერა მას რიგით ჯარისკაცად დაუწყია ეკატერინე დედოფლის მეფობის ხანაში. იგი გზაში ხშირად გვართობდა ლაშქრობების დროს საკუთარ თავგადასავალთა თხრობით, თან გაუთავებლად წუწუნებდა უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე რუსების ფიზიკურ და მორალურ ყოფაში მომხდარი ცვლილებების გამო. „ჩემს ახალგაზრდობაში, — გვიჯერა მან — ბევრჯერ ვყოფილვარ ორასიოდე როზგით დაბუზნილი, მაგრამ კონტრაც არ დამიძრავს, თუმცა, შემეძლო მეტქვა, წარჩინებული ვარ-მეთქი და გაროზგვაც თავიდან ავიცილებოდა. მაგრამ არაფერი მოთქვამს, იმიტომ რომ ციხეში ვამეფებელი მოწყენილობისაგან მინდოდა თავის დაღწევა. დღეს კი, ჯარისკაცს რომ ორმოცდაათ როზგს მიუხაჯი, ისე ყვირის, თითქოს სულს აფრთხობინებდე“. აღვილი გასაგებია, რომ მაიორი, რომელიც არაფრად ავლებდა ტკეველს და მთელი ჩვენი მგზავრობის განმავლობაში მიწის გარდა სხვა საწოლზე მხარი არ დაუდია, ერთობ შორს დგას იმისაგან, რომ გულისხმიერად მოეკიდოს ცივილიზებული ევროპის ფუფუნებას (1).

ინჟინერ ბენ სონინის ნაცვლად ამჯერად გვახლდა გზის მშენებლობის კაპიტანი, ლივონელი ბარონი ფრიცი (Fritz, Livonien) იგი დაუღალავი, სიცოცხლით სავსე, გულდინჯი კაცი აღმოჩნდა. მას უნდა უმადლოდნენ ქუთაისსა და სურამს (Surham) შორის დღეს არსებული მშენიერი გზისა და მისი თავდასავლელის გაყვანას. ჩვენს ახალ ქარავანს ავსებდნენ მაიორის თანმხლებნი — იმერელი თარჯიმანი, ორი წარჩინებული და ოთხი კაზაკი.

ფაზისის მარცხენა ნაპირის გასწვრივ, დაბლობზე მდგარი კომენდანტის სახლიდან გაშოსვლის შემდეგ ყვირილისაყენ სამხრეთით დავადექით გზას; ეს მდინარე ვარციხეში მისვლაძე უნდა გადაგველაზხა. რომელიც ქუთაისიდან თოთხმეტი ვერსითაა დაშორებული.

თავდაპირველად ავედით ქვან ბორცვზე, სადაც მეტისმეტად ტანდაბალი ზეები ხარობდა. ორი საათის სიარულის შემდეგ კარგა მოზ-

---

(1) რუსეთის მთავრობამ სწორედ მაიორ ვასილიჩს მინდო სამეგრელოს იმ უფლისწულის აღზრდა, რომელიც ამჟამად მთავრობს; ამ დროიდან მოკიდებული აღმზრდელსა და მოწაფეს სიყვარული აკავშირებთ, რის გამოც ორთავე პატივისცემას იმსახურებს. მოხუცი მაიორი დღესდღეობით სპაჰურადან გადამდგარია და სარგებლობს მთავარ დადიანის შიერ შეთავაზებული მასპინძლობით.

რდილ ზეგანს მივალწიეთ. აქედან მოჩანს მშვენიერი ხეობა. რომელიც ფაზისს ყვირილას შესართავამდე გასდევს. ამ ადგილიდან სოფელ კვახჭირამდე<sup>1</sup>. ქუთაისიდან შვიდ ვერსზე ორი გზით შეიძლება მისვლა. ერთი გზა მდინარის ნაპირს მიუყვება, მეორე კი მისგან დაშორებულია და მრავალჯერ კვეთს კრასნაია-რეკას (Crasnoya—Recha) ანუ წყალწითელას<sup>2</sup> (rivière rouge). ეს მდინარე, რომლის სიღრმე კალაპოტის შუა ნაწილში ხშირად თერამეტი გოჯი ძლივს იქნება, ხანდახან ღელედ იქცევა ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ ისე აღიღდება, რომ ნაპირებიდან გადმოდის და დიდ მანძილზე ტბორავს შემოგარენს.

კვახჭირში ჩასასვლელი გზა ამ ტერიტორიას შუაზე კვეთს. გავიარეთ ვრცელი ტყე, სადაც მუხა და წიფელია ბატონობს. წყალწითელას მარცხნივ, ტყისაგან გამოთავისუფლებული რამდენიმე მიწის ნაკვეთი შეგვხვდა: ზოგი საძოვრად იყო დატოვებული, ზოგი სიმინდის ყანად. მოშორებით, მდინარის მარცხნივ მოჩანდა ძალზე ვრცელი ტყე, რომლის დასაუფლებლად ერთმანეთს ედავებოდნენ იმპერია და გელათის მონასტერი. რაც უფრო ეშორდებოდით ქალაქს, უფრო ღიდრონი და უფრო მაღალი მუხისა და წიფლის ხეები გვხვდებოდა.

სოფელი კვახჭირი ქუთაისიდან ექვს ვერსზე მდებარეობს. აქ დავტოვეთ ჩვენი ცხენები და ქვეითად შევევით შემოღობილ ტერიტორიაზე, რომელიც იმპერიის საკუთრებაა. იგი მოიცავს დაახლოებით ოც დესეტინა (ორმოცდაათი არპანი) მიწას; ორმოცდაათი დესეტინა საძოვარს წარმოადგენს, დანარჩენზე კი ველური ვაზია გაშლილი. ვაზი ოცდაათი ფუტის სიმაღლის ტოტემშემოქარცულ თხმელებზეა შემოხვეული და კენწეროებს სწვდება.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული რთველი ასეთ ვენახში. ამავე დროს, ის მიწის ნაკვეთები, სადაც ვაზი ხარობს. უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ტყიანი ადგილი, რადგან მრეწველობას მოკლებულ ამ მხარეში მიწა ღირებულებას იძენს მხოლოდ მაშინ, როცა იგი სახნავად ვარგისია.

სოფელ კვახჭირში ოცდაათიოდე აქა-იქ გაბნეული სახლი დგას. მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონ აქაურ მოურავს ჩვენთვის ბინის შემოთავაზება არ შეეძლო და ეკლესიის კარიბჭე დაგვითმო. ხისაგან ნაგები ეს შენობა საუცხოო მღვლოს შუაგულში იდგა. მორწმუნეებს აქ ეკლესიის კართან ხეზე ჩამოკიდებულ ფიცარზე ხის ჩაქუჩის დარტყმით უხმობენ.

კვახჭირში ვისადილე. მოგვიტანეს წყალწითელაში (Crasnoya) და-

ქერილი თევზი, რომელიც ჩვენთვის უცნობი ჯიშისა იყო, მაგრამ ძალზე მსუქანი და გემრიელი გახლდათ.

ამ სოფლიდან გამოსვლის შემდეგ წყალწითელას, ყვირილასა და ფაზისს შორის მდებარე მშვენიერი ტყე გადავქვრით. გვხვდებოდა საუცხოო მუხა და წიფელი, უფრო იშვიათად კი თელა და კოპიტი; საკმაოდ ხშირი იყო ბზაც. აქაური ნიადაგი ჩვეულებრივ თიხნარია, მაგრამ კარგი ხარისხისა. იგი ქვიშიანი ხდება მდინარეებთან ახლოს, რომლებიც მაზრას ირგვლივ შემოუყვება. ტყეებში, განსაკუთრებით კი აჯამეთის (Adjamet) ტყეში, რომლის შესახებაც ქვემოთ შექნება საუბარი, მრავლად არის გარეული ღორი, გარეული თხა, განსაკუთრებით კი ირემი, რომელთა რქებს სომეხი ვაჭრები აგროვებენ. ორი წლის წინათ საქართველოში დამკვიდრებულ ორ ინგლისელს სამი ათასზე მეტი ოყა (დაახლოებით ცხრა ათასი ლიერი) ირმის რქა გაუგზავნიათ რედუტ-კალედან ინგლისში, სადაც ეს საქონელი დიდი წარმატებით გამოუყენებიათ დანების სახელოსნოში.

კვახჭირის ტყიდან გამოსულნი ყვირილას ნაპირზე იმ ადგილას მივედით. სადაც მდინარე უნდა გადაგველახა. ჩვენგან ხელმარცხნივ წყალწითელას შესართავი იყო; ხელმარცხნივ, სამას ნაბიჯზე — ფაზისისა და ყვირილას შესართავი, პირდაპირ კი — ხანისწყლის შესართავი; ეს მდინარე სათავეს იღებს ახალციხის სადამოს მალაქ მთებში, გარს უვლის ბაღდადის ციხესიმაგრის და ჩადის ყვირილაში. ხანისწყლის მოლურჯო, გამკვირვალე და ძალზე წმინდა წყალი კარგა ხანს მიედინება ცალკე ნაკადად და მას ძნელად შეერევა ხოლმე კირითა და ლითონის წადით გაბინძურებული ყვირილას წყალი. რომლის მდარე ხარისხიც კარგად არის ცნობილი.

მიღზედავად იმისა, რომ მდინარე ყვირილა ძალიან სწრაფია. იგი ადვილად გადავლახეთ და ვარციხიდან ოდნავ მოშორებულ ადგილას გავედით. ცხენები მდინარეზე ორ კაიუქს შორის გადებული ფიცრებით გადაიყვანეს.

ვარციხეში, რომელიც დღეს მხოლოდღა სოფელს წარმოადგენს, თხუთმეტი წლის წინათ ციხე-კოშკი იდგა, სადაც ზაფხულობით იმერეთის მეფეები ცხოვრობდნენ. ისინი აქვე მდებარე აჯამეთის ვრცელ ტყეში ნადირობით ერთობოდნენ. ციხესიმაგრეები, კოშკი და მრავალრიცხოვანი მინაშენი რუსებს დაუნგრევიათ. შემორჩენილია მხოლოდ ერთი ქვისაგან ნაგები ეკლესია. აქაური ბაღებდან გადაორჩენილია რამდენიმე ლეღვისა და კოშმის ხე და სხვადასხვა ჯიშის ფიჭვი.

ვარციხის შემოგარენი მართლაც რომ ლამაზია. ხეობა, რომელიც

სამ ვერსზე მეტი სიგანისაა, იწყება საკმაოდ ამაღლებული პლატოს ძირში, იქ, სადაც უწინ ციხე იდგა. იგი გადაჭიმულია ყვირილას, ხანისწყალსა და ერთ პატარა მდინარეს შორის, ფაზისს რომ დასავლეთიდან უერთდება. კაკალი, თუთა და უამრავი ფოთლოვანი ხე, რომლებზედაც ვაზია გასული, ცალ-ცალკე ან ჯგუფ-ჯგუფადაა შემორჩენილი იმ დროიდან, როცა ტყის ეს ნაწილი სავარგულებად უქცევიათ. ეს კორომები ქმნიან მშვენიერ ანსამბლს, რომელიც ყველაზე საუცხოო, სახელგანთქმულ პარკებს შეიძლება შევადაროთ.

სოფლის სახლების უმეტესი ნაწილი ყვირილიდან ორ ვერსზე ან ხანისწყლის ნაპირებზეა განლაგებული. სახლების ახლოს მდებარე დამუშავებულ მიწებზე სიმინდის, თამბაქოსა და ბამბის უხვი მოსავალი მოჰყავთ. აჭაური ველური ვაზის ყურძნისაგან დაყენებული ღვინო კარგი ხარისხისაა. ხეობაში თითქმის ყველა ვაზი ხეებზეა შემოხვეული.

იმერეთის ეს ნაწილი ზღვიდან მონაბერი ქარებისაგან უღრანი ტყეებით, ხოლო სამხრეთიდან ახალციხის მთებით არის დაცული. შექმნილია აუზის მაგვარი ლანდშაფტი, სადაც ზამთრის სუსხი იშვიათად იგრძნობა. ამდენად, ეს ადგილი ზეთისხილის გასაშენებლად უდავოდ გამოსადეგი იქნება. როგორც ჩანს, აჭაური შვეშიწა ნოყიერი ნიადაგის სიღრმე ინდიგოს პლანტაციებისათვისაც ივარგებს.

ხანისწყლიდან გაღმოგდებულ დელეს ყვირილისაკენ უქნეს პირი და იგი მარცვლეულის საფქვავე წისქვილის ასაშუშავებლად გამოყენებული.

ვარციხიდან ოდნავ მოშორებით, ძველი პლატოს ძირში, რომელზედაც უკვე ვისაუბრე, განლაგებულია საკმაოდ მოზრდილი კაზაკთა პოსტი, სადაც ღამე გავათიეთ.

ხანისწყლის მარჯვნივ, დაახლოებით ოცდაოთხ ათას ფრანგულ არბანზე აჭაეთის ტყე გადაჭიმულა. იგი მთლიანად დაფარულია მუხით, წითლით, თელით, კოპიტთა და სამშენებლოდ გამოსადეგი სხვა ჯიშის ხეებით. ნიადაგი აქ ნოყიერი და ღრმაა. ტყის ნაპირები, რომლებიც ხანისწყალსა და ყვირილას გასდევს, საკმაოდ მაღალია და ამდენად ტყეს წყალი ვერ დაზიანებს. ზამთრობით ტყეს რაჭისა და შორაპნის მხრიდან წამოსული სხვადასხვა ჯიშის ხობობი და კაკაბი აფარებს თავს, სადაც ჰავა გაცილებით მკაცრია.

ხანისწყლის მოსაზღვრე ამ ტყის ადგილზე ძველად სახლები მდგარა და მიწა უხვ მოსავალს იძლეოდა, მაგრამ თურქების განუწყვეტელი შემოსევების გამო მოსახლეობა იძულებული გამხდარა ყვირილას



მარცხენა მხარეს გადასახლებულყო. ამ მონახრების დასაბამებულად აღენიშნავ. რომ აქამეთის ტყის დათვლიერებისას ხშირად მხედებოდა არა მარტო დამყნობილი ასწლოვანი ხეხილი. არამედ კომისის გრძელი ხეივნებიც, რომლებიც ისეთის წესრგოთაა დარგული, რომ შეუძლებელია ადამიანის ხელის ნამოქმედარი არ იყოს.

კახეთა პოსტი მეორე დღეს დილაადრიან დატოვებთ და გავემგზავრებთ ბაღდადში, რომელიც აქედან თხუთმეტი ვერსოთაა დაშორებული. გავარებთ ჩემ მიერ უკვე აღწერილი მწვენიერი სეობა, შეეცდით ტყეში, რომელიც ციხემდე გრძელდება და ჩაუდით ბაღდადში.

ბაღდადი, უწინ თურქების გამგებლობაში მყოფი პატარა ქალაქი იყო. მის ციხესიმაგრეში ასი იანიჩარისაგან შემდგარი გარნიზონი იდგა. მაშინ აქ საკმაოდ ფართო ვაჭრობა იყო გაჩაღებული და იგი ახალციხის საფაშოს თურქებისა და იმერეთის მოსახლეობის ბაზარსა და საწყობს წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც მას რუსეთი დაეპატრონა, აქ აღარც ბაზარია და აღარც ვაჭრები. საკმარისი აღმოჩნდა ხანისწყლის ვაღა, ციხის მოპირდაპირე მხარეს საკარანტინო პუნქტის დაარსება, რომ აქაურებს მაკმადიანები თავიდან მოეშორებინათ და მათთან ურთიერთობა შეეწყვიტათ.

დღეს სოფელში ოცდაათობდე სახლი დგას, რომლებშიც გლეხები ცხოვრობენ. ერთ-ერთ ამ სახლთაგანი უჭირავს ვინმე ბერძენს, რომელიც იმ არყის სახდელი მეურნეობის კომპანიონია, იმერეთში განლაგებულ ქარებს რომ ამარაგებს არყით. ბერძენს აქ არყის სახდელი ორი მოწყობილობით აღჭურვილი ქარხანა აქვს და მასალად ადგილობრივ ღვინოებს იყენებს. ადგილობრივი ღვინო ძალზე მაგარია, ბევრია და იაფად იშოვება. ბაღდადის გარნიზონი ასობდე კაცისაგან შედგება. მისმა გამგებელმა ოფიცრებმა კარგად მიგვიღეს. საუბრე გავგიმართეს, შემდეგ კი ციხესიმაგრემდე გამოგვყვინენ, რომელიც წარმოადგენს მიწაყრილითა და ქვის ყორით გარშემოვლებულ ადგილს: ყორე მხოლოდ თიხითაა შელესილი და ზედ მოთავსებულია ორი ზამბულაქი. ციხესიმაგრე აგებულია ხანისწყლის ნაპირებზე, იმ მთების ძირში, რომლებიც იმერეთს ახალციხის საფაშოსაგან გამოჰყოფს.

ამ ციხისა თუ თურქეთისა და სპარსეთის საზღვრებზე განლაგებული თითქმის ყველა ციხე მოუწყობელია და ეს ამბავი ადასტურებს, რომ რუსეთის მთავრობას კარგად აქვს შეგნებული საკუთარი ძალის უპირატესობა ამ ორ ქვეყანასთან, რომლებიც, უნდა გამოვტყდეთ, იმპერიის შიშარტ ისევე არიან განწყობილნი, როგორც ინდოეთის ხალხები ინგლისისადმი.

ბაღდადიდან ათი საათისათვის გავედით იმ განზრახვით, რომ სადილად რუსეთის სამსახურში მყოფ მაიორთან, თავად როსტომ ჩხეიძესთან (Rostan Schwestze) მივსულიყავით. იგი არის იმ ჩხეიძეების ძმა, რომლებთანაც ჩვენი პირველი მოგზაურობის დროს შევჩერდით ხონიდან გამომგზავრების შემდეგ, ბაღდადიდან ჭერ დიმნი, ანუ დიმნი (Dimni), უნდა ჩავსულიყავით და ციხესიმაგრიდან დაახლოებით ორ ვერსზე ხანისწყალი გადავლახეთ. შემდეგ ნახევარი საათის განმავლობაში ავდიოდით საკმაოდ ციკაბო, კაკლ-სა და ლელვის ხეებით დაფარულ მთებზე. აღნიშნული ხის ჭიშებიდან პირველი მთელს ძველ კოლხეთში საკმაოდ გავრცელებულია და ამასთან ძალიან მაღალია. კაკლის ხე თავისი მშვენიერი ფერითა და სილამაზით საუცხოო მასალაა. იგი საკმაოდ დიდი რაოდენობით იგზავნება ტაგანროგში, ოდესსაში და თვით კონსტანტინოპოლშიც კი, სადაც მას სამეგრელოს კაკლის ხის სახელწოდებით იცნობენ. ამ მხარეში რომ ჭერჭერობით აქაურებისათვის უცნობ წნეხვის წესს შემოიღებენ, კაკლისაგან შესაძლებელი იქნება დიდი რაოდენობით ზეთის დამზადება და მისი მნიშვნელოვან საქსპორტო საქონლად გადაქცევა. რაც შეეხება ლელვის ხეებს, მას აქ ნაკლებად აშენებენ და მის ნაყოფს იშვიათად კრეფენ.

მივალწიეთ თუ არა შემადლებულ მთას, სულ მალე თავად როსტომ ჩხეიძის საუცხოო კარმიდამოში აღმოვჩნდით. იგი გაფრთხილებული იყო ჩვენი მოსვლის თაობაზე. თავადმა მშვენიერი სადილი დაგვახვედრა და უდიდესი თავაზიანობით მიგვიღო. მან ჩვენს მიმართ განსაკუთრებული გულსახმიერების დასტურად ძველი ღვინის ორი ქვევრი გაგვიხსნა. ღვინო ძალზე მოგვეწონა; მას შამპანის წითელ ღვინოებთან ბევრი რამ ჰქონდა საერთო.

თავადი როსტომი აჯამეთის მოსახლვრე სოფელ დიმის ბატონია. აქ დაახლოებით ორმოცი სახლია და ორასი მაცხოვრებელი; ყველაფერი ეს თავადს ეკუთვნის. აღნიშნული მამულები და ხონის მიდამოებში მდებარე მიწებიც თავადისა და მისი ორი ძმის ჭერ კიდევ საერთო, გაუყოფელ საკუთრებას წარმოადგენს.

სახელი დიმნი მოგვაგონებს ციხის სახელწოდებას, რომელიც იესო ქრისტეს დაბადებამდე სამი საუკუნით ადრე ააგო ფარნაოზმა (P'harnavaz), საქართველოს პირველმა მეფემ, შიდა ქართლის

(Schinak'harthli) ტომდან. მაგრამ აქ ძველი ნაგებობის აღარავითარი კვალი აღარ არსებობს (2).

დღიდან გამოსვლისას, დაახლოებით ექვსი ვერსის მანძილზე აჯა-პეთის ტყის გასწვრივ ვიარეთ, რათა მივსულიყავით სოფელ ობჩაში, სადაც გადაწყვეტილი გვქონდა ღამის გათევა. ობჩაში ერთ საათში ჩავედით. სოფლისაკენ მიმავალი გზა გადის საკმაოდ ძნელადსავალ და ციცაბო მთებში.

ობჩა ერთი იმერელი თავადის მამულს წარმოადგენს. თავადის სახლი დგას მაღლობზე, საიდანაც საუცხოო ხედი იწლება. შენობები, სადაც მეურნეობაში დასაქმებული ყმები ცხოვრობენ, გულშოდგინებითაა ნაგები. თითოეულ სახლს, ისევე როგორც მთელს იმერეთში, ვარშემო ბაღები ეყვრის. ბოსტნეულიდან მოჰყავთ მხოლოდ კომბოსტო, ხახვი, კიტრი და ოხრახუში, რომლებიც დიდი მარხვის დროს ხალხის ძირითად საკვებს წარმოადგენს. კოლხეთის მემამულეებს სიამოვნებით დაეურაგე ყოველგვარი სახის ბოსტნეულის თესლი, რომლებიც თან ჰქონდა. მათი მოშენება აქაურობისათვის უდავოდ სასარგებლო იქნება და ხანდახან ალბათ ჩემს თავსაც გაახსენებს ხოლმე მათ.

ობჩას მემამულეს თავისი ელურა ვაზი, რომელიც ესოდენ გავრცელებულია მთელს ძველ კოლხეთში, კულტურული ვაზის ჯიშით შეუცვლია. ეს ვაზი ოთხი ფუტის სიმაღლეზე ისხვლება. ვაზი სარს ეყრდნობოდა, ხოლო ვენახს ირგვლივ სხლტე ჰქონდა შემოკლებული. ვენახი ნაყოფით იყო დახუნძული; მაგრამ იმ წელს ხშირა წვიმების გამო შუა ივლისში ყურძენი გაცილებით მკვახე იყო, ვიდრე წლის ამ დროს საფრანგეთში და თვით მის ჩრდილო პროვინციებშია ხოლმე.

ობჩაში განსაკუთრებით გვენიშნა ის ამბავი, რომ თურქებისათვის ტყვეთა მიყიდვის აკრძალვის შემდეგ ბატონყმური ურთიერთობა აღარ იყო ისეთი საშინელი, როგორც იგი ამ სასურველი კანონის შემოღებამდე უნდა ყოფილიყო. ამჟამად ბატონის უფლება ყმების მიმართ ისეთივეა, როგორც ოჯახის უფროსის უფლებანი საკუთარ შეილებზე ან სხვა ახლობლებზე. თავადებს, წარჩინებულებასა და ყმებს შორის თითქმის არავითარი სხვაობა აღარ იგრძნობოდა: ერთმანეთსაგან მათ ტანსაცმელი თუ განასხვავებდა, რომელზედაც ბატონებს სანადირო იარაღი ჰქონდათ ასხმული და აგრეთვე გარკვეული წესრიგი მოგზაურობისა და პურის ჰამის დროს; ისინი ცხოვრობდნენ ერთად

(2) იხილეთ ბ-ტ დე სენ-მარტენის „მემუარები სომხეთის შესახებ“, ტომი 2, გვერდი 198.

და ჰქონდათ ახლო ურთიერთობა; ყმები თავიანთ ბატონებს სრულის გულმოდგინებით, თავდადებით და ერთგულებით ემსახურებოდნენ, ამიტომაც მათ შორის ძალზე გულითადი დამოკიდებულება სუფევდა.

ლაშე გავატარეთ ობჩაში, რომლის მოსახლეობამაც ძალზე კარგად მიგვიღო. შემდეგ გზას გავუღვიეთ ყვირილასაკენ. რომელიც ობჩადან დაახლოებით ათი ვერსითაა დაშორებული. გავიარეთ აჯაშეთის ტყის ნაწილი, დავეშვით დამრეც ფერდობზე და დანიშნულ ადგილზე საათნახევარში ჩავედით.

ყვირილა გადავლახეთ სოფელ ნუზულასთან (Nausoula), სადაც სადოლაზე და სალესი ქეები ვნახეთ. ყვირილას მარჯვენა ნაპირიდან სიმინეთამდე თხუთმეტი ვერსი ორსაათნახევარში დავფარეთ. ჩვენ მიერ გამოვლილი მიდამო მეტ-ნაკლებად აშირი ტყით იყო დაფარული. გზა ჯერ ვაკეზე გადიოდა, შემდეგ კი მთას აუყვია. ასე ვიარეთ მანამდე, ვიდრე არ მივალწიეთ წარჩინებული კლდიაშვილის (Kildia) კარ-მიდამოს. რუსეთის სამსახურში მყოფი ეს ლეიტენანტი ამჟამად სოფლის ერთ-ერთი პირველი მემამულეთაგანი და მისი მოურავი გახლავთ. ამ ცოტა ხნის წინათ მას აუშენებია საცხოვრებელი სახლი, რომელიც თავისი ფორმითა და ოთახების განლაგებით ჩვენ მიერ ნახი ყველა სახლისაგან ძლიერ განსხვავდებოდა. მთავარი ოთახის წინ დატოვებული იყო ვიწრო შემოსასვლელი, რომელიც სახლის გარდი-გარდშო განლაგებულ ორ საძინებელ ოთახსაც უკავშირდებოდა. ნენობას ირგვლივ რვა ფუტის სისქის ბოძებზე დაყრდნობილი გადახურული აივანი ერტყა, ჰქონდა შემინული ფანჯრები და აგურის ბუხრები, მაგრამ ეს სახლიც მთლიანად ხისა იყო.

იპერეთში, სადაც ხე-ტყე თითქმის უფასოდ იშოვება, ძირითადად ხის მასალით ნაგები სახლები შემოგხვდებათ. ასეთი მშენებლობა გაცილებით ნაკლებ ცოდნას, გონსა და გარჯას მოითხოვს, ვიდრე ეს აგურით ან ქვით მშენებლობისათვის არის საჭირო. კოლხეთის ყველა მემამულეს ჰყავს ყმები, რომლებმაც იციან ასეთი სახლებს მშენებლობა და ზოგიერთებისათვის იგი შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენს. კედლის ფიცრები ერთმანეთთან მხოლოდ ხის სამსკვალელებით არის შეერთებული, ამიტომ, მათ ადვილად შლიან და ხშირად დიდ მანძილზე გადააქვთ ხოლმე. სოფელ ვარციხეში შემოგვთავაზეს ახალი სახლი, მართალია, მხოლოდ ერთთვალიანი — ოცდაათი ფუტი სიგრძისა და ოცი ფუტი სიგანისა, მაგრამ მაინც შედარებით ზომიერ ფასში — 100 მანეთად ვერცხლით (400 ფრ.).

სიმონეთის მოურავის სახლის ავეჯი შედგებოდა თათრული ნივთებითა და ბალიშებით გაწყობილი ტახტებისა და რამდენიმე გრძელი სკამისაგან. სადილი, რომელიც მან გაგვიპართა, დიდებულ სადილად ითვლება ამ ქვეყანაში და კერძების სიმრავლით გამოირჩეოდა. ღვინო საუცხოო გახლდათ და ბლომდაც მოგვართვეს. იმერლების სადილი კარგა ხანს გრძელდება რუსების სადილობისაგან განსხვავებით. რუსების კერძები იმდენად უბრალოა და საწოლი მოწყობილობაც ისეთი მარტივი აქვთ, რომ ამ ხალხს, მე პირადად ევროპაში ყველაზე უპრეტენზიო ხალხად ვთვლი.

ორივე სქესის ყმათა რიცხვი, რომლებიც მოურავს შინამოსამსახურეობას უწევდნენ, ან მისი კარმიდამოს ირგვლივ მიმოფანტულ შენობებში ცხოვრობდნენ, ძალზე დიდი იყო. ქალები აბრეშუმს რთავდნენ და მისგან ქსოვილებს ქსოვდნენ. ზოგიერთი მათგანბამბას გრებდა; ზოგი კი გარეული ჯიშის მსხალსა და ქლიავს ქყლტდა და მათი მურაბისმავარი ფაფისაგან მკავე მასას ამზადებენ. მას მზეზე ახმობენ და ზამთრისათვის ინახვენ. ამ მასას ხმარობენ რაგუში, რაშეთუ იმერლებს ყველაფერი მკავე უყვართ.

სიმონეთიდან სამი საათისათვის წამოვედით. ჩვენს ქარავანს მოურავი, თარჯიმანი და სამი წარჩინებული მეზობელი შემოუერთდა. ყველანი ცხენებზე იყვნენ ამხედრებულნი; რამდენიმე ყმა კი ქარავანს ფეხით მოსდევდა. ჩვენ კვლავ დავადექით იმ გზას, რომელიც დილით ქუთაისიდან თბილისში მიმავალ დიდ გზამდე გავიარეთ, შემდეგ მარცხნივ შევუხვიეთ და შორაპნისაკენ წავედით.

ჩემ მიერ პირველი და ახლანდელი მოგზაურობის დროს აღწერილი მთელი მხარე ყვირილის გადასასვლელამდე, როგორც ვნახეთ, თითქმის მთლიანად ტყეებით იყო დაფარული, სადაც ადგილ-ადგილ შემოგვხვდა მინდვრები, სიმინდისა თუ ფეტვის ყანები და ბამბის მცირე პლანტაციები.

ამ მხარეში ბუნება სულ სხვაგვარი იყო. ხეები აქ უკვე პეიზაჟის მხოლოდ და მხოლოდ მეორეხარისხოვანი ნაწილი გახდა და ჩვენ მიერ მარცხნივ ჩამოტოვებული სიმონეთის მადამოებში, მაღლობზე განლაგებული ტყის პატარა მონაკვეთების გარდა მთელი ეს ოლქი, ყვირილას ნაპირზე განლაგებულ კაზაკთა პოსტამდე ყანებით ან არადა საუცხოო საძოვრებით იყო მოფენილი.

სიმონეთიდან ცხრა ვერსზე მოედინება ჩოლაბური, ჩვეულებრივ არცთუ ფართო და ღრმა მდინარე, რომელიც ზოგჯერ დიდი წვიმების

შემდეგ მოგზაურთათვის რამდენიმე დღის განმავლობაში გადაულახავი ხდება ხოლმე.

ქუთაისსა და თბილისს შორის საკმაოდ ბევრი მდინარეა, მაგრამ რუსეთის მთავრობას ჯერ არცერთი ხიდი არ აუგია და ამ მდინარეზე ფონით გადადიან; თუმცა რაკი ხიდების აგება იოლად და მცირე ხარჯების გაღებით შეიძლება, უნდა ვიფიქროთ, რომ მთავრობა, რომელიც ქვეყნის სასიკეთოდ მიმართულ ყველა ღონისძიებას უღელ ყურადღებას აქცევს, მეტად აღარ დააყოვნებს და ამ საქმეს თავს შობაპას.

სიმონეთიდან ჩოლბურის საგუშაგოსაკენ ექვსი ვერსის დაშორებით მივაღიქით საოცრად მშვენიერ მთის ფერდობს. იგი ყვირილას დაჰყურებს და ძალზე შესაფერისი იქნება უბრალო სასტუმროს ან ქარვასლის ასაშენებლად იმ დროისათვის, როცა ვაჭრობა ამ მხარეში სათანადოდ მოიცილებს ფეხს. ამასთანავე, რაკი ეს ადგილი ამაღლებულზეა, აქაური კლიმატი ჯანსაღი უნდა იყოს და უპირველესად ამას უნდა გაეწიოს ანგარიში, თუ ევროპელები ამ მხარეში საწარმოების დაარსებას მოსურვებენ. იშერლებს... შეუძლიათ ცივილიზებულ ხალხებს კარგი რჩევა მისცენ სამოსახლოდ შესაფერისი ადგილის შესარჩევად. როგორც ჩანს, თავიანთი საზრიანობა მათ ბერძენი კოლონისტებისაგან მოსდგამთ; ბერძენები თავიანთი ქალაქებისათვის საგულდაგულოდ არჩევდნენ ხოლმე ადგილებს; ასე დააარსეს მათ შავი ზღვის ნაპირებზე უამრავი ქალაქი.

იმერლები სამეურნეოდ დაბლობს იყენებენ, მაგრამ სახლ-კარად მაღლობ პლატოებს ირჩევენ წყაროებთან ახლოს. ციებისაგან თავის დასაცავად ამ წინდახედულების გარდა ისინი კიდევ ბევრ სხვა ზომას მიმართავენ: სახლებში ცეცხლი დღეღამე უნთიათ. ეს ჰაერის გაწმენდის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა და ამასთანავე, მიწის სინესტესაც შთანთქავს. იმერლების საკვებია ღომის ან ფეტვის ფაფა და სიმინდის გაღებები. ხორცს მაინცდამაინც არ ეტანებიან; ძალიან უყვართ მყავე. ღვინოს ბევრს სეავენ. მათი ტანსაცმელი, განსაკუთრებით კი თხის ბეწვისაგან დამზადებული ქერის მოსასხამები, მათ ტემპერატურის მკვეთრ დაცემას იოლად გადაატანინებს ხოლმე. ამის გამო მათ ციება არ ეპართებათ. სწორედ აქან შეუწარჩუნა ამ ხალხს სილაჰზე და სილაღე, რის გამოც მათ ადამიანთა მოდგმის ნიმუშად თვლიან.

ჩოლბურის კახაკთა პოსტი, ნაცულად იმისა, რომ ჯანმრთელობისთვის მიზანშეწონილ რომელიმე ზეგანზე მდებარეობდეს, დაბლობის ყველაზე ჩაუარდნილ ნაწილშია განლაგებული. ამიტომაც, რომ ყოველ ზაფხულსა და შემოდგომაზე თითქმის ყველა ჯარისკაცი ც-

ებით ავადდება; ხოლო რადგან გამოჩანმრთელების პერიოდში ისინი ვერ უფროსილდებიან თავს და მათი კვების რეჟიმზე ნაკლებად შეესაბამება იმას, რაც მათი განკურნებისათვის არის საჭირო, აღრიცხულია, რომ ამ პოსტისა და ასეთივე ცუდ ადგილას მდებარე ბევრი სხვა პოსტის კაზაკთა დაახლოებით მეხუთედი იხოცება იმ სამი წლის განმავლობაში, როცა ისინი აქ სავალდებულო სამსახურს გადიან.

ჩოლაბურის ნაპირები, იმ ადგილას, სადაც მისი ფონია, დიდი რაოდენობით შეიცავს რკინისა და სპილენძის პირიტებს; შესაძლებელია, რომ ეს მადანი აქუჭყიანებდეს ამ მდინარის წყალს და ეს გარემოება აწვევდეს ამ პოსტის ჯარისკაცთა დაავადებას.

მას შემდეგ, რაც ჩოლაბური გადაელახეთ, გავიარეთ თხუთმეტკერსიანი დაბლობი, რომელიც ამ პოსტს ყვირილას ნაპირზე განლაგებული პოსტისაგან გამოჰყოფს.

მთელს ამ მხარეში უამრავი ხეა, მაგრამ მიწის დიდ ნაწილზე სინდრი და ფეტვია დათესილი. გუბისწყლიდან ყვირილას კაზაკთა პოსტამდე გადაკიშული იმერეთის ამ მშვენიერი დაბლობის მდიდარ კირნახულს ის დიდი უპირატესობა აქვს, რომ მას არასოდეს არ ემუქრება კალიებისაგან განადგურება — უბედურება, რომელიც საქართველოსა და ყირიმის გლეხებს თითქმის ყოველწლიურად ხელიდან აცლის სარჩოს.

შორაპანში ჩასასვლელად, სადაც ლამის გათევას ვაპირებდით, ყვირილა უნდა გადაგველახა; როცა წყალი ღრძაა, მდინარეზე ბორნით გადადიან, ხოლო როცა თაეთხელია — ფონით; თუმცა დანება ყოველთვის იმდენად სწრაფია, რომ მდინარის გადალახვა მუდამ სახიფათოა. როგორც აჯაქეთის აღწერის დროს აღვნიშნეთ, ამ მდინარის მარცხენა მხარეს, პოსტის საპირისპიროდ, ნაპირი მეტისმეტად ციცაბოა, ხოლო მარჯვენა ნაპირი ერთიანად დაბლობს წარმოადგენს.

მას შემდეგ, რაც წერილიანი გავიარეთ. მალე ამალღებული პლატოს ძირში აღმოვჩნდით, სადაც შორაპნის ყაზარმებია განლაგებული. აქ სამეგრელოს პოლკის დაახლოებით ორასი კაცია დაბანაკებული. რაზმის უფროსმა კაპიტანმა შესანიშნავად მიგვიღო: საცხოვრებლად მას ძალზე დიდი და მოხერხებული ხის სახლი აქვს.

ეს ადგილი ყვირილას მშვენიერ დაბლობს გადასცქერის. აქედან ორას ნაბიჯზეა სტრაბონის მიერ მოხსენიებული ძველი შორაპნის ნანგრევები. ქალაქის ირგვლივ შემოვლებული თხრილი ისეთი სიზუსტითაა მოხაზული სწორად დაკუთხული, თითქმის კვადრატული ქვითა და აგურით ნაგები კედლის ნანგრევებით, რომ მისი გეგმის აღება

ძალზე ადვილი იქნება. იგი ძირულასა<sup>9</sup> (Dziroula) და ყვირილას შესართავთან პარალელოგრამს ქჷნის.

ბ-ნ დე სენ-მარტენის ნაშრომში „ისტორიული მეჭუარები სომხეთზე“ შორაპნის მშენებლობა მიეწერება ფარნაოზს, საქართველოს პირველ მეფეს შიდა ქართლის ტომიდან, რომლის შესახებაც დიშთან დაკავშირებით ვისაუბრე. ქალაქის დაარსება აზიასი ალექსანდრეს შემოსევის პერიოდს განეკუთვნება.<sup>10</sup> ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ქალაქი, ჩემი აზრით, დიდი ხნის წინათ, გარდასულ ეპოქაში დაინგრა, თუმცა კი ამის თაობაზე არავითარი გადმოცემა ან ისტორიული ცნობა არაა შემონახული. იგი დაქცეული უნდა იყოს სპარსეთის იმ მეფეთა ჭარბისათვის ჩვეული ხერხებით, რომლებიც ამ ქვეყანას, მის ქვეშევრდომებსა და მეზობლებს რისხვად მოევილინენ და რომელთაც ადამიანთა მდაბალმა პირფერობამ დიდი მეფეების ტიტული მიანიჭა. ამგვარად. შესაძლოა, ამ ძველი ქალაქის ბედკრული მოსახლეობის ერთი ნაწილი მტრის მახვილმა განგმირა, ხოლო სხვები ტყვეებად წაასხეს სპარსეთის შორეულ ოლქებში, სადაც დაკვირვებულ ადამიანს ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება თვალში ეცეს ამ ხალხის შთამომავალთა მშვენიერი გარეგნობა, რაც მათი წარმოშობის ნიშანკვალად ჩაითვლება.

დღეისათვის ერთობ მიყრუებული შორაპანი ძველად აღებ-მიცემობის ერთ-ერთი ძირითადი ბაზარი იყო აზიასი. ევროპის საქონელი აქ გემებით ჩამოჰქონდათ, აზიასა კი — ურმებითა და ცხენებით. იმ ხანად ქალაქი ალბათ სადღეისოდ შემორჩენილი გალავნის ნანგრევთა გადაღმაც ვრძელდებოდა. ამ საკითხზე აზრის გამოთქმის უფლება რომ მქონდეს, ვაგებუადი და ვრტყოდი, რომ ეს ნანგრევები ციხისაა, ხოლო სავაჭრო ქალაქი, სადაც ქარავნები ჩერდებოდნენ. ხისაგან იყო აგებული. დღეს ამ ნაგებობათა არავითარი კვალი აღარ შემორჩა.

სოლომონ მეფის ხელნაწერი რუკის მიხედვით, თურქული ხომალდები ჭერ კიდევ 1737 წელს აუყვებოდნენ ხოლმე ყვირილას და შორაპანამდე აღიოდნენ. ჩვენს დროში კი ნაოსნობა ცხენისწყლის შესართავს იქით აღარ წარმოებს.

შორაპანში ვერ ვნახეთ მესანგრეთა ოფიცირი, რომელთანაც ერთად ამ მაზრის მთავარიანი ადგილები უნდა დაგვეთვალიერებინა ამიტომ ხუთშაბათს, 13(25)-ს, აქედან დავიძარით და ქუთაისის მაზრაში დავბრუნდით.

კვლავ გადავლაზეთ ყვირილა და დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ქუთაისის გზას მიეყვებოდით, შემდეგ კი მაჩვენებ მთ-



ბისაყენ გადაეუხვიეთ, მაგრამ რაკი მეტისმეტად ვიმრუდებდით გზას იმ სოფელში მისასვლელად, სადაც ღამის გათევა გვექონდა გადაწყვეტილი, ჩვენმა თანმხლებმა ერთ-ერთმა იმერელმა წარჩინებულმა უყოყმანოდ გაანგრაი სიმიწლის ყანის ირგვლივ შემოვლებული ტყრუმული ღობე და თორმეტობდე ცხენოსანმა გზა ასე შევიმოკლეთ. ყანის ბოლოში კვლავ ვაჩნდა საჭირო ღობის გარღვევა. შემდეგ სამი მეოთხედი საათის განსაჯლობაში ძალზე მაღალ მთებზე მივფოფხავდით და მივედიო მდიდარ მქვამულესთან, რომლის კარმიდამოშიც მისი მამულის მოსავლელად საჭირო მრავალი ნაგებობა იდგა.

ჩვენი იმერელი მასპინძელი საოცრად მსუქანი, პირმოქცინარი კაცი იყო: ჭამის მადა მოჭარბებული ჰქონდა. სასმისი, რომელსაც ივი ხმარობდა, ბზისა იყო და ფორმით უზარმაზარ ჭამსა ჰგავდა. შიგ ალბათ, ერთნახევარი პინტა ღვინო მაინც ჩადიოდა და მას ყოველთვის სულმოუთქმელად სცლიდა ხოლმე. ისევე როგორც ევროპაში, მდიდრებს იმერეთშიც მლიქვნელი ლაქიები ჰყავთ. ჩვენს მასპინძელს თავისთვის ამოერჩია ერთი ნაკლებად შეძლებული წარჩინებული, რომელიც უდიდესი ტაქტით ახერხებდა საკუთარი თავის გამახსარავებას. როცა მისმა მეგობარმა მას პირამდე სავსე სასმისის დაცლა უბრძანა, მან რა არ იღონა, რომ საკუთარი გაძალიანება გამოეხატა: სასაცილოდ იტყლარჯებოდა და ისე მანკავდა სახეს, რომ საუკეთესო იტალიელ მიმჯიკოსებსაც კი შეშურდებოდათ.

ამ ორი იმერლის საამურ ცხოვრებას, რომელთაც თავიანთი მომლხენი ხასიათის გამო ყოველ სადღესასწაულო ნადიმზე იწვევდნენ ხოლმე, მათში გმირული სულისკვეთება არ ჩაუკლავს: როცა 1821 წელს იმერეთში ამბოხებამ იფეთქა, მათ თავი გამოუჩინიათ თავიანთი სიამაყითა და იმპერატორ ალექსანდრესადმი ერთგულებით, რითაც რუსეთის სამხედრო წოდებები და სხვა ჭილდოები მოუპოვებიათ.

ჩვენი მასპინძლის დაბეჭიბებული თხოვნისათვის რომ ანგარიში ვაგვეწია, ვახშამი მთელ ღამეს გასტანდა; მაგრამ ჩვენ მოსვენება გვესაჭიროებოდა და რადგანაც განზრახული გვექონდა მეორე დღეს დილის ოთხ საათზე გამგზავრება, სუფრიდან ადრე ავდექით.

ამაღლებული ადგილიდან, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, მთლიანად მოჩანს დაბლობი. რომელიც ჩოლაბურიდან იმერეთსა და ქართლს (Kartalinie) შორის აღმართულ მაღალ მთებამდეა გადაჭიმული. ექვსი-შვიდი ვერსის მოშორებიათ დაგვანახეს ორი გორაკი, თითქმის იმავე სიმაღლისა, რა სიმაღლეზეც ჩვენ ვიმყოფებოდით. მეფე (czar) სოლომონის ვაჟს აქ უწინ სახლი და იჯარით სანახევროდ გაცემული

მამული ჰქონდა. ჩვენმა მასპინძლებმა შემოგვთავაზეს ამ ადგილის სანახავად წასვლა და მეც უფრო იმიტომ დავთანხმდი, რომ რაიმე საყურადღებო ნანგრევთა პოვნის იმედი მქონდა. გადავიარეთ მინდრეზი, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდა დამუშავებული და უხვემოსავლონი მიწის ნაკვეთები. რამდენიმე წლის განმავლობაში ამ მხარეში სახანავი სავარგულები ძალზე გაზრდილა, რაც მოსახლეობის მატებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მაუწყებელია.

როცა ერთ-ერთ გორაკზე ავედით, გამოგიტყდებით, მძიმე გრძნობა დაძეუფლა: განადგურებული დაგვხვდა მეფის (czar) სასახლე, მიმდებარე მიწების მოსაელელად საჭირო ყველა დამხმარე ნაგებობა და მათთან ერთად საუცხოო ცაცხვისა და კაკლის ხეებიც, რომლებიც სამეფო საძოვრებს ამშვენებდნენ. არაფერი შეუწყნარებია იმ მკაცრ განაჩენს, რომლის საფუძველზეც ერთ-ერთ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის მეფის მემკვიდრეობითი უფლებები გაუქმდა. მხოლოდ ქვის ეკვდერი იდგა ერთადერთ დამამტკიცებელ საბუთად იმისა, რომ თორმეტი-თხუთმეტი წლის წინათ ეს ადგილი სამოსახლოს წარმოადგენდა.

ამ გაპარტახებული ნანგრევების მხილველს უკვე აღარ შემეძლო ძეორე გორაკის სანახავად წასვლა, და გადავწყვიტეთ ავსულიყავით მთებში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით რკინის მდიდარი, უხემადნიანი მალაროები არსებობდა.

ორი საათის განმავლობაში ვიარეთ ვიწრო, დამრეცი ბილიკებით და მივადექით ორ იმერელ მემამულეს, რომლებიც წინა დღით სიმონეთსა და ჩოლაბურის პოსტს შორის შემოგვხვდნენ და გვთხოვეს, გზად ჩვენთან შემოიარეთო.

ორთავე მასპინძელმა საუცხოოდ მიგვილო. როცა სუფრაზე ესხდებოდით, მოხუცი თავადი აბაშიძე (Abacheff) გვეწვია. მისი გვარი იმერეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გვართაგანია და უკავშირდება ამ მხარის უწინდელ მეფეთა გვარს<sup>11</sup>. თავადს წვერი და ქალარა თმა მთლად წითლად ჰქონდა შეღებილი. იგი მეტად კმაყოფილი ჩანდა იმით, რომ ფრანგებს გაეცნო. ჩვენს ჩამოსვლამდე კოლხეთში მას არასოდეს ენახა ფრანგები. მიუხედავად იმისა, რომ იგი მალალი წარმოშობისაა და მდიდარია, მისი თვრამეტი წლის ვაჟიშვილი ოთხი წელია, რაც უბრალო უნტერ-ოფიცრად მსახურობს სამეგრელოს ქვეითი ჯარის პოლკში, რომელსაც პოლკოვნიკი თავადი ბებუთოვი<sup>12</sup> (Beboutof) მეთაურობს. ამ ყმაწვილკაცმა აფხაზების წინააღმდეგ

უკანასკნელ ლაშქრობაში თავი ისახელა და მამაცობისა და სიქველისათვის იგი დიდად დაფასებულა.

ოთხი თუ ხუთი წელია, რაც მებრძოლმა სულმა და დიდებისადმი მისწრაფებამ გაიღვიძა ქართველებში და როგორც ჩანს, თვით იმერლებსაც გადაეცათ ეს იმპულსი. დღეს თითქმის ყველა აქაური თავადი და წარჩინებული ცდილობს თავისი ვაჟიშვილები პეტერბურგის კადეტთა სასწავლებელში<sup>13</sup> ან პაეტა კორპუსში<sup>14</sup> მიაღებინოს, რათა მოგვიანებით მათ რუსეთის პოლკებში ოფიცრებად იმსახურონ.

ორი საათისათვის გამოვეთხოვეთ მოხუც თავადსა და ჩვენს მასპინძლებს, ხოლო შემდეგ ერთ-ერთ მემამულესთან წავედით. მისი საცხოვრებელი მდებარეობს იმ შალალ მთებში, შორაპნის ოლქს რომ რაჭის ოლქისაგან გამოპყოფს.

ორ იმერელ თავადს დავმორდით და დიდრონი მუხებითა და წიფლებით მოფენილ საუცხოო ხეობაში ოთხი ვერსი გავიარეთ. უცებ ჩვენკენ დიდი სისწრაფით მომავალი ამ ადგილების მფლობელი ბატონი შემოგვხვდა. მან არ დაგვანება გზის გაგრძელება და დაგვითანხმა ჩამოვქვეითებულიყავით, რათა მისი ღვინო გავვესიჩქა და ცოტაოდენი ხილი გვეგემა. ხილი ძალზე მეავე გემოსი იყო: ამ მშვენიერი ქვეყნისათვის ბუნებას მიმადლებული აქვს ყველაფერი, ადამიანებს კი ჭერაც არაფერი გაუკეთებიათ. იმერეთისა და სამეგრელოს ტყეებში დღეს ევროპაში ცნობილ ყველა ხეხილს თავიანთ პირველქმნილ მდგომარეობაში ვხვდებით. ბევრია სხვა ჭიშის ხეხილიც, რომელთა მოშენებასა და გაუმჯობესებას აქაურები რომ შესძლებდნენ, მათგან უამრავ ნაირსახეობასა თუ ახალ ჭიშებს მიიღებდნენ.

როცა წასასვლელად გავემზადეთ, ბატონი და რამდენიმე წარჩინებული ცხენებზე შესხდნენ. შემოუერთდნენ ჩვენს ქარავანს და თან გამოგყვენენ დაახლოებით ხუთ ვერსზე იმ მთების ძირამდე, სადაც სასწრაფოდ მოგვიხდა საცხოვრებლისა და ღამის გასათევის ძებნა. განვებამ ინება, რომ ჩვენს მეგზურს გზა აბნეოდა უამრავ ვერსო და ციკაბო ბილიყებზე. მიუხედავად იმისა, რომ მან მალე შეაჩინა თავისი შეცდომა, უკან დაბრუნება არათუ ძნელი, არამედ თითქმის შეუძლებელიც შეიქმნა. ამდენად, რაკი ჩვენ მიერ ამორჩეული ბილიკი უკვე გაციალული ჩანდა, გადავწყვიტეთ მას გავყოლოდით მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რასაც იგი გვიქმნიდა. ამას ემატებოდა ღვართქაფად წამოსული ჩანჩქერი. რომელიც დროდადრო უნდა გადაგველახა. გზაში იძულებული ვხდებოდით ჩამოვქვეითებულიყავით და სადავით გვეტარებინა ცხენები, რათა მათ კლდეში და უფსკრულის პი-

რას გამოკვეთილი ათიდან თორმეტი გოჯის სიმაღლის საფეხურები გადაელახათ. ბოლოს, ორი საათის სიარულის შემდეგ, ხიფათის განცდითა და დაძაბულობით დაქანცულებმა მივალწიეთ ძალზე უბრალო საცხოვრებელს, რომელიც სოფელ გოგნის ერთ ღარიბ მკვამულეს ეკუთვნოდა.

ძნელია იმ გაკვირვებისა და შიშის აღწერა, რაც გამოიწვია ამ ოჯახში ოცი კაცის მოულოდნელმა სტუმრობამ, რომელიც თითქმის ყველა ცხენზე იყო ამხედრებული. მაგრამ ჩვენს კეთილსა და მოხუც მასპინძელს შიშმა მალე გაუარა. იგი სასწრაფოდ შეუდგა სოფლის მკვიდრთა შორის ჩვენი სავაზმოდ ხორაგის შეგროვების თაღარიგს. მისი ოცდაორი კაცისაგან შემდგარ ოჯახს, რომელთაგანაც თითქმის ყველა ბავშვი ან მთლად შიშველი იყო, ან ძონძებში გამოხვეყლა, ნახევარი საათიც არ დასკირვებია, რომ ჩვენთვის განკუთვნილი სახლი დაეცალათ. ავეჯი დიდი ვნაასით გადაიტანეს იქვე ახლოს მდგარ უფრო პატარა ხის სახლში. მათი საცხოვრებელი, ავეჯი და ტანსაცმელი ფაქტიურად ამ ადამიანთა უკიდურესი გაკირვების მაუწყებელი იყო და მაინც, ამ მამულსაც რამდენიმე ყმა ემსახურებოდა.

გადაბარგებას შორჩნენ თუ არა, სახლი სწრაფად მოასუფთავეს და ოთახის ცენტრში დანთებულმა ცეცხლმა მალე გაფანტა ცუდი ჰაერი, რაც ასეთ პატარა სივრცეში ხალხმრავლობის შედეგი გახლდათ.

როცა ფაზისის მოსახლდრე საქეგრელოსა და ამერეთის ნაყოფიერი მიწების უმეტესობა ჯერ კიდევ თითქმის დაუმუშავებელია, როცა ქუთაისის მიდამოებში სავენახედ გამოსაყენებელი ფერდობები ასე ახლოსაა იმ ადგილთან, სადაც ეს მდინარე სანაოსნოა, დაბოლოს, როცა აქაური საქონელი რედუტ-კალეს ნავსადგურში ექსპორტის მხოლოდ მკირეოდენ ნაწილს შეადგენს, რაღა გასაკვირია, რომ სადაც მთებში, სადაც ევროპელს ფეხი არასოდეს დაუდგამს და სადაც წესიერად გაკვალული გზაც კი არ არსებობს. მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან მხოლოდ იმას იწევს, რაც მას ესაჭიროება. არც ისაა გასაკვირი, რომ ადამიანები აქ უკიდურეს სიღუბნეში ცხოვრობენ და ალბათ კიდევ დიდხანს იცხოვრებენ. ამიტომ იყო, რომ აქ პირველად გავბედე რამდენიმე ვერცხლის მანეთიანი შემეთავაზებინა ჩვენი მასპინძელი იმერელი აზნაურისათვის; მანაც არ იუარა და მის მამულში ჩვენი ყოფნის სამახსოვროდ ეს მცირე საჩუქარი მიიღო.

დაწოლის ხანს ვიგრძენით, რომ დიდი წვიმა იყო მოსალოდნელი. ამ მთებში რომ მართლაც ქარიშხალი ამოვარდნილიყო, წყალი ყოფილი მხრიდან ღვარად წამოვიდოდა და ოთხი-ხუთი დღის განმავლობა-

წი ქუთაისში ვეღარ დაებრუნდებოდით. საბედნიეროდ, მეორე დილას ცა მოიწმინდა და 15(27) ივლისს რკინის მაღაროების სანახავად წავედით, რომლის შესახებაც აღრე მიაგმეს.

მაღაროების ნახვა იპიტომაც მინდოდა, რომ თუცა ისტორიკოსები და მოგზაურები აღნიშნავენ ძველ კოლხეთში მდიდარი მაღაროების არსებობას, თანამედროვე ხანაში, როგორც უკვე ვთქვეი, არათუ რაიმე მოქმედი მაღარო, არამედ მისი კვალიც კი არსად ჩანს და არც თვით საბადოების არსებობის შესახებ იციან რაიმე.

საბადოების აღმოსაჩენად წარმოებულ ძიებებს მულამ უიღბლო დამთხვევათა წყება ახლდა ხოლმე თან. რაინქსმა, მაგალითად, ვერ მოასწრო თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები გამოექვეყნებინა<sup>15</sup>. მისი სიკვდილის შემდეგ დარჩენილ დაუმუშავებელ მასალებს რედაქცია გაუკეთა გამომცემელმა, რომელიც ამ ქვეყანას სრულებით არ იცნობდა: ამიტომაც ნაშრომი იმდენად ბუნდოვანი გამოდგა, რომ ავტორის მიერ მითითებულ ადგილთა უმეტესობის ამოცნობაც კი შეუძლებელია. გრაფ პუშკინს (Poutzkin), განათლებულ და გულმოდგინე ადამიანს, სიკვდილმა ძიებების პერიოდში მოუსწრა. მის მიერ შეკრებილი ძვირფასი კოლექცია და მასთან ერთად უამრავი შენიშვნებისა და მეცნიერული ნარკვევების უდიდესი ნაწილი გაბნეულია. ბოლოს, 1821 წელს საგანგებო მისიით გამოგზავნილ ერთ ინჟინერს მგზავრობის დროს შორაპნის ნაზრავში ციება შეეყარა და ვერც რაიმე მნიშვნელოვანს აღმოაჩენდა, ივი იძულებული გახდა თბილისში დაბრუნებულიყო. ინჟინერი იმით დაკმაყოფილდა, რომ გელათის მონასტერთან დიდი ხნის წინათ ცნობილი მცენარეული ნახშირას მაღარო და ათვალიერა და გამოიკვლია სპილენძის პირიტი, რომელიც ასე სშირად გვხვდება ამ ოლქში.

საში საათის განმავლობაში ხან ტყეში, ხანაც საუცხოო მინდვრებზე ვიარეთ ისე, რომ გამუდმებით ზევით-ზევით, მთებისაკენ მივიწვედით. ბოლოს, ტრიალ და ქვიშიან ვრცელ ვაკეზე აღმოვიჩნდით. აქ დაეინახეთ წყლით ამოვსებული უამრავი ორმო, საიდანაც რკინის მადანს იღებდნენ; სწორედ ამ მადნის შესახებ გვეონდა საუბარი სოფლებთან.

საბადოს არც მთის ქანის სახე აქვს და არც ნამტკრევებითა და ცნებებით მოფენილი კარიერისა; ეს უბრალოდ ყვითელი ქანგმიწაა, შედგენილი რკინის ნეკველი ქვიშისა და მასში შერეული წებოს მსგავსი ნივთიერებისაგან, რომელსაც რვი მყოფე გაუხვია. შესაძლოა, რომ ეს ნივთიერება უფრო მდიდარ საბადოს ფარავს. გავემართო

სოფლისაყენ, რომლის მაცხოვრებლებიც აქ იღებენ, აღნობენ და ასუფთავენ მადანს, რათა შემდეგ მისგან გამოქედონ სასოფლო-სამეურნეო იარაღები და დანები, რომელთაც ძალზე კარგი წრობა აქვთ.

სოფელში ჩასვლისთანავე მივედით ერთ მკედელთან, რათა მისი მუშაობა გვენახა. სამკედლო ხელოსნობა აქ უძღაძლეს საფეხურზე დგას: მკედელი ერთი ცენტნერი ქვიშისაგან იღებდა დაახლოებით თორმეტ გირვანქა სუფთა რკინას. მაგრამ აქაურებს რომ საბადოს დამუშავების მეტი პრაქტიკული ცოდნა ჰქონდეთ, უხეში პროცესების შედეგად აუცილებელი დანაკარგის მიახლოებით გამოთვლითაც კი, ვფიქრობ, ერთი ცენტნერი ქვიშისაგან სულ ცოტა ოცი გირვანქა რკინის მიღებაც შესაძლებელია. ვიყიდეთ რამდენიმე დანა, რომლებიც ჩვენ თვალწინ დაამზადეს. თითოში ერთი აბაზი (80 სანტ.) გადაგვახდევინეს. რამდენიმე საათს შევინსვენეთ მკედლის ეზოში, საუცხოო ცაცხვის ჩრდილქვეშ. შემდეგ კი კვლავ გაუუღდექით გზას იმ განზრახვით. რომ ღამე სოფელ საწირეში გაგვეთენებინა. საწირე გელათის ძველი მონასტრიდან ექვსი ვერსით, ხოლო ქუთაისიდან თხუთმეტი ვერსითაა დაშორებული.

მკედლების სოფელამდე რამდენიმე საათს სულ აღმართ-აღმართ ვიარეთ; მარტო ტყეში გავლას ერთი საათი მოვუნდით. გადავლახეთ ძალზე მაღალი მთა და ქედის გადაღმა მხარეს აღმოვიჩნდით. ჩვენ თვალწინ გადაიშალა უზარმაზარი სივრცე, რომლის პორიზონტი გურჯისტანის ახალციხის საფაშოსაგან გამყოფ ქედამდე გრძელდებოდა. აქედან ჩამოსვლას ორი საათი მოვანდომეთ: საათში ექვს ვერსს გავდიოდით. შემდეგ გადავიარეთ მშვენიერი, კარგად დამუშავებული ადგილი და მივადექით სამი თავადის — აგიაშვილების (Achichat-chvili) მამულებს. მათი საგვარეულო იმერეთის ერთი უძველესი საგვარეულოთაგანია.

აქ მეორედ ვნახეთ მთელი რიგი ნივთებისა. რასაც ევროპაში ყოველდღიურად ხმარობენ და მათ შორის ფუფუნების ზოგიერთი საგანიც. ამ თავადთაგან უფროსი ძმა ერთი წლის განმავლობაში მძევლად ჰყოლიათ სან-პეტერბურგში. მის სუფრაგადაფარებულ მაგიდას ამშვენებდა უსკურები, ვერცხლის სინები, მოოქრული ვერცხლის ფიალები, ფაიფური და ბროლი, თავადს რომ მოგზაურობიდან თან ჩამოუტანია. სან-პეტერბურგიდან დაბრუნებულს მას სურვილი გაღვიძებია თავის სახლში ცივილიზებული ხალხების ჩვეულებანი შემოიღონ და თავისი ოჯახის წევრებაც იქაურ ყაიდაზე ჰყოლოდა ჩაც-

მული. მაგრამ ასეთი სიახლისათვის მოუზნადებელ ოქახში, რომელსაც სამი დაცოლშვილებული ძმა ერთად მართავდა, მარტოოდენ სურვილი ბეერს ვერაფერს შესცვლიდა და თავადიც იძულებული გამხდარა ხელი აეღო საკუთარ განზრახვაზე.

თავადი აგიაშვილები ენათესავეებიან ერთ იმერელ თავადს, რომელსაც ძლიერ მოსწონებია ეს უცხო ფუფუნება და უბრძანებია მისთვის საფრანგეთში შეეძინათ მოოქრული ბრინჯაოს საკანდლები, ხონჩები, ვერცხლის ჭურჭლეულობა, მოოქრული ვერცხლის თასება და ძვირად ღირებული ფაიფური.

მას შემდეგ, რაც ჩაი დავლიეთ და დავისევენეთ, ერთ-ერთი თავადის ვაჟმა, რომელსაც ცოლად ჰყავდა დადიანის და, შემოგვთავაზა გაგვესეირნა მათი სახლიდან ას ნაბიჯზე ჩამოდინარე სწრაფი ლელის ნაპირზე, რათა ჩვენთვის, როგორც ეს თავად გეითბრა, სპილენძის მალარო ეჩვენებინა, მაგრამ იმ ადგილას მხოლოდ მეტისმეტად მწირი სპილენძნარევი პირიტის საბადო აღმოჩნდა. მისი ნაშალი წყალს სპილენძის გემოს აძლევს და მაენებელ სასმელად აქცევს მას. თავადის ვაჟმა ერთი-ორ ადგილას ჩვენ ოვალწინ ამოათხრეინა მიწა, რომელიც პირიტის მასებისაგან შედგებოდა. ლელედან ოთხ ნაბიჯზე საუცხოო წყაროა; იგი საკმაოდ წყალუხვია და მთლიანად აქმაყოფილებს ამ ოქახის მოთხოვნილებას.

შვიდი საათისათვის გაგვიძარტეს მდიდრული ვახშაში, რომელსაც ვეროპული იერი დაჰკრავდა. სტუმრები მრავლად იყვნენ, საჭირო იყო უამრავი სადღეგრძელოსათვის, კერძების რჩეული ნაჭრების პირთმევის ცერემონილისა და იმერელ თავადთა შორის მიღებული სხვა წესებისათვის თავაზიანად აგვება მხარი. ყოველივე ამაზე მე უკვე საკმარისად ვისაუბრე. ვახშაში ცხრა საათისათვის დასრულდა. დასაძინებლად მოგვათავსეს ფართო და მოხერხებულ ოთახში.

ღილით, ჩვენს მასპინძელთაგან უფროსს ვთხოვეთ ქალბატონებთან წარვედგინეთ: ერთი მათგანი იყო ამ თავადების დედა, ხოლო მეორე იმ ახალგაზრდა თავადის მეუღლე, რომელმაც წინაღობით გაგვასეირნა. ორთავეს ლამაზი გარეგნობა ჰქონდა, ორთავენი მდიდრულად იყვნენ გამოწყობილნი ატლასსა და ოქრო-ვერცხლით ნაქარგ ფარჩებში; თავყელსა და მკლავებს მათ ბრილიანტისა და ლალის სამკაულები უმშვენიებდა. სამკაულთა შორის თვალში გეცემოდათ მსხვილ-მსხვილი მარგალიტები, უმეტესად დაუმუშავებელი და ჩაყვითლებული, ეს იმიტომ, რომ აზიის ხალხები უფრო მეტად მარგალიტისა თუ სხვა ძვირფასი ქვების თავისთავადობას აფასებენ, ვიდრე მათს საბოლოო პეწს.

ქალბატონები ნატიფი მისრა-მოხრით შემოგვეგებენ. ჩვენ ხელზე ვე-  
ამბორეთ, მათ კი რუსეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ქრისტიან  
ქალთა წესისამებრ გადაგვკოცნეს. ცნობისმოყვარეობამ ამ ოჯახის  
უამრავი მოხალე ქალი აიძულა ფანჯრებსა და კასრებზე მომდგარი-  
ყო; თითქმის ყველანი ლამაზები იყვნენ.

კედელზე ჩამოკიდებული იყო ალისფერი მაუღის ქუდები, რომ-  
ლებსაც მხოლოდ მოგზაურობის დროს ჰმარობენ ზოლმე და რომლე-  
ბიც, ჩემი აზრით, გენუაში უნდა ყოფილიყო დამზადებული.

ჩვენი თარჯიმნის დახმარებით ქალბატონებთან საუბარი წარიმარ-  
თა ისეთ საგნებზე, რაც მათ უფრო მეტად დაინტერესებდათ, კერ-  
ძოდ, ვისაუბრეთ საფრანგეთის ძვირფას ქსოვილებზე, სამკაულებზე,  
ფაიფურისა და ვერცხლის ჭურჭელზე, რომლებიც ახალი სავაჭრო  
ურთიერთობების დამყარებისთანავე შემოვიდოდა მათ ქვეყანაში. მათ  
ძალიან გვთხოვეს კოლხეთში ახალშენი დაგვეარსებინა, ამასთანავე  
სურვილი გამოთქვეს, რომ ფრანგები მათს ქვეყანაში დაქორწინებუ-  
ლიყვნენ და დამკვიდრებულიყვნენ.

ჩვენი მასპინძელი თავადების მამული დიდად ნაყოფიერია: მამუ-  
ლის ერთი ნაწილი გამოიყენება საქონლის საძოვრად, მეორე კი საკ-  
მაოდ დიდ რემას ეთმობა.

გამოვემშვიდობეთ ქალბატონებს და 16(28) ივლისს ქუთაისში გა-  
ეშვებავრეთ. თავად აგიაშვილების საცხოვრებლადან ამ ქალაქამდე  
პირდაპირი გზით თხუთმეტი ვერსია. ქუთაის-თბილისის გზამდე ჩვენ  
მეორე გამოვლილ შიდადობებში ზვრები, მინდვრები, სიმინდის ყანები და  
საუცხოო ზეები შემოგვხვდა.

წყალწითელას გადასასვლელთან დავეშორდით სიმონიძის მოუ-  
რავსა და სხვა იმერელ აზნაურ-მემამულეებს, რომლებიც თან ვეახლ-  
უნენ.

ქუთაისიდან ორ ლიეზე აგებულა გელათის მონასტერი. იქ მისას-  
ვლელად გადავიარეთ ტყით დაფარული მთები, სადაც მხოლოდ ადა-  
მიანებსა და ცხენებს შეეძლოთ ვავლა. მონასტერი გაშენებულია ხე-  
ებით შეფენილ მთის ფერდობზე. მის ძირში უამრავი სახლი დგას  
და ბალებია გაშენებული. მონასტრისაკენ მიემართება ციცაბო გზა,  
რომელსაც გვერდით საუცხოო წყალი ჩამოჰყვება.

მონასტრის ტერიტორიაზე აგებულია წმინდა გრიგოლის (Grégoire)  
სახელზე ნაეურთხი პატარა ეკლესია, რომელიც რეაასი წლისაა. მისი  
ინტერიერი კარგადაა მორთული, თუმცა კი ეკლესიაში საკმაოდ ბნე-  
ლა. არქიტექტურა სადაა, მაგრამ სილამაზესა და დახვეწილობას მაინც



არაა მოკლებული. ამ ეკლესიის გვერდით არაა სეროე, შედარებით ახალი და გაცილებით დიდი ეკლესია, რომელიც გრანიტის ქვით მტკიცედაა ნაგები. იგი ძალიან მაღალია და მთავარი შესასვლელს გარდა ორი გვერდითი კარიც აქვს. კონქში ჩანს სამა მოზაიკური ფიგურა. ცენტრალური ფიგურა განასახიერებს წმინდა ლეთისმშობელს ყრმა იესოთი, რომლის ორსაც მხარეს გამოსახულია ორი ანგელოზი. მოზაიკას, სადაც კარბობს წითელი და ლურჯი ფერი, აქვს შიოქრული ფონი. თავისი წარმომავლობით იგი უდავოდ დაკავშირებული უნდა იყოს ბიზანტიის იმპერატორს უკანასკნელ პერიოდის კონსტანტინოპოლთან, რადგან ნამუშევარი, გარდა იმისა რომ მშვენიერი ნახელავია, მასშტაბურობითა და ფიგურების წარმოსადგობითაც გამოირჩევა.

ორთავე ეკლესია უზარმაზარი ეხოს შუაგულში დგას. მათ ირგვლივ დღეს საყმოდ მოყანყალეებული პატარ-პატარა სახლებია განლაგებული. ამ ცხოვრობენ ბერძნული წესის მიმდევარი იმერელი ბერები. სახლები მიდგმულია ქონგურებიან და საოფურებიან საყმოდ სქელ გალავანზე.

ეკლესიისაგან ხელმარჯვნივ ქვის შენობაა წამოკიპული. ამ ცხოვრობს არქიეპისკოპოსი, რომელიც ამავე დროს მონასტრის წინამძღვარია. მონასტერში შედიან კარიბჭით, რომლის გვერდითი სათავსოები წინათ ეკედერებად გამოიყენებოდა. კარიბჭის კედელში ჩანს მულია შვიდი ფუტი სიგანისა და თოთხმეტი ფუტი სიმაღლის რკინის კარის ცალი ფრთა: იგი შედგება ოცი ვერტიკალური და შვიდი პორიზონტალური, ერთმანეთის გადაკვეთი რკინის ძელებისაგან, რომლებზედაც საყმოდ თხელი რკინის ფურცლებია აკრული. ამ კარს სიძველის ყველა ნიშანი აქვს. ძველად თურმე მეორე ფრთაც არსებულა და ისინი წყვილად თოთხმეტი ფუტი სიგანის კარიბჭეს ქმნიდნენ. ის დაკარგული ცალი ფრთა თურქებს გაუტაცნიათ იმერეთში ერთ-ერთი შემოსევის დროს. კარზე აკრულ რკინის ფურცლებზე წარწერის რამდენიმე ფრაგმენტი შეინიშნება. ადგილობრივ გადმოცემას თუ ვერაწმუნებით, ეს ორი ფრთა ძველად კასპიის კარს, ანუ კარიბჭეს (pyles) წარმოადგენდა. იგი ნადავლად წამოუღია დავითს, იმერეთის ერთ-ერთ მეფეს, რომელიც დაღესტანს შესევია და იერიშით აუღია ქალაქი დერბენდი. ამ მეფის ფრესკული პორტრეტი ეკლესიის კედელზეა დახატული, ხოლო მისი საფლავი კარიბჭეშია<sup>16</sup>.

გელათის მონასტრის წინამძღვარი იყო არქიეპისკოპოსი გენათელი (Ghinateli), რომელიც დღეს რუსეთში იმყოფება<sup>17</sup>. ირწმუნებიან.

რომ ბერებმა ქართულ და სომხურ ხელნაწერთა კოლექციას ინახავენო. საქაროა მათი შესწავლა, თუ სარწმუნოა ცნობა იმის შესახებ, რომ თამარის წინამორბედ საქართველოს მეფეს ცნობილი თხზულებების შესაგროვებლად ოცდაათი ახალგაზრდა კაცი გაუგზავნია საბერძნეთში. ამ ხელნაწერებში შესაძლოა დაიძებნოს ძველ ისტორიკოსთა ზოგი ნაწარმოები, რომლებიც დღეს დაკარგულად ითვლება.

გელათის მონასტერი დიდძალი ქონებისა და უამრავ ყმების ანუ მონების მფლობელია.

### თ ა ვ ი ა

ქუთაისიდან რაჭაში გამგზავრება. ქალაქი ჩხარი (Tchari) — სომხურ წარმოშობის მოსახლეობა. — ხრეთი (Ghretie). — ნაძვების მშვენიერი ტყე. — ურთიერთდაბმარება. — ხოტევი (Kotevi). — ამ ოქის მკვიდროა სიმამაცე. — თავად გორჩაკოვის ამბავი. — კრიხულა (Krekoula). — ფაზისზე ჩასვლა. — ბარაგონი (Baragone). — რაქის ოქის მცხოვრებთა ხასიათი. — მკირეოდენი ცნობები კავკასიის ჭიხვზე (Iouri), ანუ ღურაღზე. — ბეწვეულით ვაქრობა. — სვანები. — სოფელი სადმელი (Sadmetri). — რაქის ტყე. — რიკეულა (Redzoula). — ფაზისზე ფონით გადასვლა. — ქუთაისში დაბრუნება.

რაქის მაზრა პირადად მინდოდა მომეველო, მარგამ რადგან 1823 წელს ვეღარ მოვიცალე და თბილისიდან გასვლის საშუალება არ მომეცა. იძულებული ვავხდი ჩემი ძმა გამეგზავნა რაჭაში სამოგზაუროდ. ეს რელაცია სწორედ მისი ანგარიშგების საფუძველზე შევადგინე.

ჩემი ძმა ქუთაისში ჩამოვიდა 1823 წლის ოქტომბრის დაბლევს და 3 (15) ნოემბერს რაქის მაზრაში გაემგზავრა.

წლის ამ დროს ტყეებში ხეები ჯერ კიდევ მწვანე ფოთლებით იყო შემოსილი. ზოგი ხეხილი ჰყვავდა, ზოგი კი ხილით იყო დახუნძლული. ჩემს ძმას თან ახლდა თარჯიმანი და ქუთაისისა და რაქის მაზრებზე მიმავრებელი ორი იმერელი დიდებული. ესკორტად მათ ორი კახაჯი მიჰყვებოდა. ქუთაისიდან სამ ვერსზე წყალწითელა გადალახეს და დაახლოებით ათი ვერსის მანძილზე კვლავ თბილისის გზას მიუყვებოდნენ. შემდეგ ხელმარცხნივ გაუხვიეს და სამ საათზე მეტი იარეს ისეთ მხარეში, რომელიც კვარციით გაჭერებული ნიადაგის სიმწირის გამო წვრილიანითა და ტანდაბალი მუხებით იყო დაფარული.

ტყიდან გამოსული ერთ ხანს პატარა მდინარე ძვერულას (Sverouli) ნაპირს მიუყვებოდნენ; შემდეგ გადალახეს იგი და მცირე ხანით შეისვენეს სიმონეთის მოურავის კუთვნილ ველზე და ჩავიდნენ ჩხარში, რომელიც ძველ ქალაქს წარმოადგენს. დღეს იგი სოფელია და ხოლოდ და საკმაოდ მაღალ პლატოზე მდებარეობს!

სიმონეთსა და ჩხარს შორის მდებარე მხარე ძალზე მთავორიანია, მაგრამ გზა აქ კარგია. ეტლით სავალი. თუკი იმ დროის მიხედვით ეიმსჯელებთ, რომელიც ჩვენს მოგზაურებს ამ გზის გასასვლელად დასჭირდათ, ქუთაისსა და ჩხარს შორის მანძილი ოცდაათორმეტ ვერსზე (რვა ლიე) მეტი არ უნდა იყოს.

ქალაქის გარშემო გაშლილი სოფელი სილამაზით გამოირჩევა. იგი ჩაფლულია მშვენიერი ხეების ტევრში, რომელიც ნაშთია იმ ძველი ტყისა, უწინ მთელს კოლხეთს რომ ფარავდა. აქ ძირითადად სიძინდსა და ფეტვს სთესენ. ზოგან გაშენებულია ვენახი. დანარჩენი მიწები საუცხოო საძოვრებს წარმოადგენს.

სოფლის მცხოვრებნი წარმოშობით სომხები არიან. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მათ თავიანთი სამშობლოს ან იმ დროს დატოვეს, როცა იგი სპარსელებისა და რომაელების განუწყვეტელი ბრძოლების ასპარეზს წარმოადგენდა, ანდა მაშინ, როცა იგი თურქებმა დაიპყრეს. ამ შორეულ თუ შედარებით ახლო დროიდან მოყოლებული ისინი იმდენად აითქვიფნენ იმერლებში, რომ არც ენიო, არც ჩაცმულობით და არც ზნე-ჩვეულებებით მათგან აღარ განსხვავდებიან. მათ სომხური ღვთისმსახურების წესიც კი დაგმეს და ბერძნული აღიარეს. ხოლო ახალი ზნე-წესი ალბათ იმიტომ გაითავისეს ასე მორჩილად, რაკი თავიანთი ერთგულების დადასტურება სურდათ იმ ქვეყნის სუვერენისათვის, რომელსაც თავი შეათარეს.

იმერეთის სამეფოს ხანაში ჩხარი ბევრჯერ იქნა აოხრებული მეგრელებისა და ქართველების მიერ. 1820 წელს იგი შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთ კერას წარმოადგენდა. ჩხარის ეპისკოპოსი, რომელიც ამ მაზრაში სამოქალაქო და სასულიერო ხელისუფლებას ითავსებდა, ამ აჯანყების ერთ-ერთ მთავარ მეთაურად ითვლებოდა. ამიტომაც რუსმა ჯარისკაცებმა შური იძიეს ქალაქზე და გადაწვეს იგი. აქ ახლა მხოლოდ ასიოდე ხისაგან ნაგები სახლია და ოცი-ოცდაათი დუქნისაგან შემდგარი ბაზარი, სადაც ცოტაოდენი ცვილი, თაფლი, ტყავი, შარბილი, ბეწვი და ჩვეულებრივი ტილო იყიდება.

მცირე ხნით იმაზე აღრე, ვიდრე 1820 წლის ამბები დატრიალდებოდა, ეპისკოპოსმა ეკლესია აღადგინა. აქ გამოყენებული სამშენებლო

ქვა კარგი ხარისხისა ჩანს, მაგრამ ეკლესია ისე ცუდადაა აშენებული, რომ მას უკვე დანგრევის საშიშროება ელის.

ეკლესიის ინტერაიერი მცირედ არია შორთული ხატებით და ყველახე ღირსშესანიშნავი ფასეულობა აქ რვა ფუტი სიმაღლის მუხის ჭვარია. იგი ძალზე ძველი ჩანს: შთლიანად დაფარულია მოოქრული ვერცხლის ქედური ფრფიტებით და დაყოფილია რეგისტრებად, რომლებიც საღვთო წერილის რამდენიმე სიუჟეტს ასახავს. მოქვედილობაში ჩასმულია უამრავი ბრილიანტი, ზურმუხტი, ფირუზი, ტოპაზი, ამეთვისტო, მარგალიტი და სხვა პატიოსანი თვალი, რომელთა უმრავლესობა მოზრდილი ზომისაა.

იქვე ჭვართან დევს დაახლოებით ორი ფუტი სიმაღლის კონუსისებური ფორმის მიტრების მსგავსი ხის წყვილი ნაკეთობა, რომელსაც ძვირფასი თვლებით მოოჭვილი პატარა, მოოქრული ვერცხლის ჭვარი ადგას თავს. ეს ნაკეთობები აქ იმ დროს ჩამოუტანიათ, როცა იმერეთის მეფეებმა აბალციხის მახრა — იმ დროს საქართველოს სამეფოს ნაწილი — დალაშქრეს, მერე კი ისინი ჩხარის ეკლესიისათვის შეუწირავთ<sup>2</sup>. ამ სამი რელიქვიის წინ ჩამოკიდებულ ფარდას დიდის მოწიწებით გადახსნიან ხოლმე; მათ სასწაულმოქმედ ძალად თვლიან, განსაკუთრებით მოურჩენელ დაავადებათა განკურნებისა და დემონურ ცდუნებათა აცილების უნარს მიაწერენ.

იმ დროს, როცა ჩემი ძმა ეკლესიაში იმყოფებოდა, მას ორი გახელებული, ჭაჭვებით შებორკილი, ჩამოკონილი და გულსაკლავად დამახინჯებული საბრალო ადამიანი დაუნახავს. ეკლესიაში შესვლისთანავე ისინი პირქვე დაემხნენ, რამდენჯერმე აკოცეს მიწას და თან გამალეებული პირჯვარს იწერდნენ. შემდეგ იწყეს მკერდზე ხელის ბრავუნი და თავიანთი მწუხარების შემსუბუქებას ძველ რელიქვიებს შესთხოვდნენ. კოლხეთში ნამყოფი უცხო კაცი ადვილად ვერ შეიტანს ექვს აქაურების ღვთისმოსაობაში, მაგრამ ასეთი საქციელი უფლის კეშმარტი თაყვანისცემაა თუ თვალთმაქცობა, ძნელი გასაგებია. ამ რელიქვიებისადმი რწმენა შესაძლებელია მართლაც ამშვიდებს ავადმყოფთა გონებას და იქნებ განკურნავს კიდევ მათ.

მოგზაურებს გაუმასპინძლდა მოურავი — სოფლის ერთ-ერთი შეძლებული მემამულე. მათ ღამე მასთან გაატარეს და მეორე დღეს, 4 (16) ნოემბერს, დილის შვიდ საათზე ისინი გზას გაუდგნენ.

ჩხარიდან წამოსულნი თითქმის სულ აღმა-აღმა მიდიოდნენ. გამოვიდნენ თუ არა ამ ძველი ქალაქიდან, მათ მშვენიერი საძოვრები, მეჩხერი ტყე და დამუშავებული მიწები შემოხვდათ. ცხრა საათზე,

დაახლოებით თორმეტი ვერსის გავლის შემდეგ ერთ ლამაზ მინდორს მიაღწენ. აქედან სოფელ ბრეითაშდე, სადაც ისინი ოთხ საათზე ჩავიდნენ, ოც ვერსს ანჯარიშობენ. გზა პეტწილად ტყეზე, მთებსა და ხეობებზე ვადიოდა.

ბრეითი ასი-ასოცი სახლისაგან შემდგარი სოფელია, რომლის მცხოვრებლებიც სიმინდს, ფეტქსა და ქერს თესენ. ბრეითელებს ვენახებიც ბევრი აქეთ. აქაური ღვინო კარგი ხარისხისაა.

მეორე დღეს, რვა საათისათვის, ჩემი ძმა ბრეითიდან ხოტევეში გაემგზავრა. ბრეითიდან მოყოლებული სულ უფრო მაღალი მთები იწყება, გზებიც ფრიალოა და ციკაბო კლდეებზე ისეა შეკედული, რომ ზოგ ადგილას თითქმის გაუვალია. ბრეითიდან მთის ქედზე ასვლას სამსაათნახევარი მოაწოდოქს, ხოლო ამ ადგილიდან ხოტევეამდე ოთხსაათნახევარი იარეს.

ბრეითიდან ორი ვერსის მოშორებით წარმტაცი და უზარმაზარი ნაძენარი იწყება: იგი ხოტევს იქით სამ ვერსზეა გადაკეცილი. ტყეში ხეების დიდი ნაწილი წაქცეულია: ზოგი ქარმა წააქცია, ზოგიც მრავალწლოვანებამ. მოგზაურებმა რამდენიმე ხე გაზომეს და აღმოჩნდა, რომ ზოგის სიმაღლე ოთხმოც ფუტამდე, ხოლო გარშემოწერილობა თხუთმეტიდან თერამეტ ფუტამდე ყოფილა. ტყის ნახევარი ამ ორი სოფლის საკუთრებაა, ხოლო მეორე ნახევარი სახელმწიფოს ეკუთვნის. მაზრის მიდამოებისა და თვით საცაოლ მოშორებული ადგილების მოსახლეობა ამ ტყით უფასოდ სარგებლობს.

ესოდენ მაღალი მთებიდან ამ უზარმაზარი ხეების გატანა ძალიან ძნელია. ამიტომ ხალხი მათ ადგილზევე ხერხავს და ფიცრებისა თუ გათლილი მორების სახით ეზიდება ტყიდან.

ამ მაზრაში დიდად მოსაწონი ჩვეულება არსებობს: როდესაც აქაური კაცი დაქორწინდება ან უბედური შემთხვევის შედეგად მავანსა და მავანს სახლი დაეწვება, ამ კაცს მთელი სოფელი ეხმარება ხეების მოჭრაში, მორების გათლასა და ახალი სახლის აგებაში.

ამგვარად, იმაზე ბევრად ადრე, ვიდრე ცივილიზებული ევროპა სეტყვისა და ხანძრის საწინააღმდეგო ურთიერთდამხმარე სადაზღვევო კომპანიის პროექტის შედგენას განიზრახავდა, კოლხეთის ამ მაზრის მოსახლეობამ ერთმანეთისადმი კეთილი დამოკიდებულება, მოულოდნელი უბედურების ეამს ურთიერთშემწეობის სრულ გარანტიად აქცია.

სოფლის მაცხოვრებლები აწენებენ ისეთ სახლებსაც, რომლებიც შემდეგ მეზობელ მაზრებში გადააქეთ. იმერული ხის სახლი, მისი

მეტ-ნაკლები სიდიდისა და შიდა სამუშაოების სირთულის მიხედვით შეიძლება შეფასდეს 300-დან 1000 მანეთამდე (300 ფრ.-იდან 1000 ფრ.-მდე).

ქალაქ ხოტევაშდე პატარა მდინარეა გადასალახავი, რომელსაც ხოტეურას (Koteoury) უწოდებენ და რომელიც ხოტევის ოღნავ ქვემოთ ფაზისს ერთვის<sup>3</sup>.

ქალაქი გაშენებულია მთებს შორის მოქცეულ ხეობაში. იგი ძალზე ძველი უნდა იყოს. რაქის მახრის უფროსი, რომელიც აქ ცხოვრობს, პოდპოლკოვნიკია და წარმოშობით შვირე რუსეთიდან (petite Russie), ხერსონის გარეუბნიდანაა. მან ჩვენი მოგზაურები გულითადად მიიღო.

ხოტევი დაახლოებით ორასკაციანი გარნიზონი ღვას. აქვეა მეტად ღირსშესანიშნავი და ქვით ნაგები ციხის ნანგრევები; ეს ციხე ძეფე სოლომონის ერთ-ერთი ძირითადი საცხოვრებელი ყოფილა. მისი სანახების ნიადაგი ცარცოვანია და ვენახის გასაშენებლად საუკეთესო ადგილად ითვლება. აქაური ღვინო მაგარია და ჩვენს სამხრეთულ ღვინოებსა ჰგავს. მეტწილად იგი მუქი შეფერილობისაა, მაგრამ ორი-სამი წლის შემდეგ ბაცდება და მოვარდისფრო ფერს იღებს. მახრის უფროსი მოგზაურებს საუკეთესო ღვინით გაუმასპინძლდა და იმხელა პატრე დასდო, რომ ეს ღვინო საგზლადაც გაატანა.

ხორბალი და ქერი ერთადერთი მარცვლეული კულტურაა, რომელსაც ამ ქალაქის სანახებში იწევენ; სიმინდისა და ფეტვისათვის ჰავა აქ ძალზე ცივია.

მაზრაში მეტწილად მამაცი ხალხი ცხოვრობს; მათ ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიუღიათ 1820 წლის შეიარაღებული აჯანყების დროს და თავადმა გორჩაკოვმაც იმერელთაგან პირველ რიგში სწორედ აქაურებს დააყრევინა იარაღი. მათი დამარცხების შემდეგ ჩამორთმეული ხმლები და ხანჯლები (quindjals) ლურსმნებად და საკეტებად გადაუღნიათ და ხოტევი ახლახანს აგებული ყაზარმებისათვის გამოუყენებიათ.<sup>4</sup> აქაურებისათვის საყვირის, ანუ რუპორის, მსგავსი ჩასაბერი ინსტრუმენტიც ჩამოურთმევიათ, რასაც ბუკს (boucki) უწოდებენ. მისი გაფართოებული ბოლო დაფარულია სპილენძის დაჩერებული ფირფიტით და ძალზე ძლიერ ხმას გამოსცემს. ძველად ეს ინსტრუმენტი მაღალ მთებსა და უღრან ტყეებში მცხოვრებთა შესაკრებად და მათთვის მტრის შემოსევის შესატყობინებლად გამოიყენებოდა. უცნაურია, რომ ამ ინსტრუმენტს ვნახავთ შოტლანდიის<sup>5</sup> მთებ-

შიც, სადაც მას სულ რაღაც ერთი საუკუნის წინათ ასეთივე დანიშნულებისათვის იყენებდნენ. ერთ-ერთი ასეთი ბუკი მე სამეფო ბიბლიოთეკას ჩავაბარე.

1820 წლის შეიარაღებული აჯანყების დროს თავადი გორჩაკოვი სწორედ ხოტევის მახლობლად იმყოფებოდა, როცა იგი მის გვერდით მდგარმა ვინმე იმერელმა აზნაურმა კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა. თავადი ერთმა კათოლიკე სომეხმა გადაარჩინა, რომელმაც სწორედ იქამს, როცა იმერელს მისთვის ლახვარი უნდა ჩაეცა, ამ უკანასკნელს ისე მძლავრად დაჰკრა თავში ხმალი, რომ იგი წაიქცა და სამი საათის განმავლობაში უგონოდ ეგდო. თავადმა იმერელი აზნაური თავისთან გადაიყვანა, არ დააკლო დახმარება და მზრუნველობა, რისი წყალობითაც იგი მალე გამოჯანსაღდა. თავადის საქციულით მოხიბლულმა იმერელმა წარჩინებულმა მას ერთგულება შეჰფიცა და რუსეთის სამსახურში ჩადგა. მოგვიანებით მან თვითონ აღმოაჩინა შეთქმულების მონაწილენი, რითაც იმპერიას ისეთი მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია, რომ მას სახელმწიფო პენსია დაუნიშნეს<sup>6</sup>.

რაც შეეხება სომეხს, ვისგანაც დიდად დავალებული დარჩა თავადი, იგი საპატიო ხმლით დააჯილდოვეს, დაუნიშნეს პენსია და სახელმწიფო კანცელარიაში ადგილი მისცეს.

ხოტეურა, რომელიც ხოტევის გალავანს უვლის გარს, სათავეს ამ ქალაქიდან ათ-თორმეტ ვერსზე მდებარე კლდეში იღებს, შემდეგ იგი რამდენიმე ვერსის დაშორებით უფსკრულში უჩინარდება და ცოტა მოშორებით, ვიდრე ფაზისს შეუერთდებოდეს, ხელახლა ამოდის მიწის ზედაპირზე.

ხოტეეში დაბანაკებული რუსები ამ პატარა ქალაქში სახლებს დგამენ და ამით თანდათან ამშვენიერებენ მას. რუსებმა აქ საუცხოო ორთქლის აბანო ააშენეს. ჰაერი ამ ადგილას სრულიად ჯანსაღია და ამიტომაც, რომ ყველა ახალწვეული, ვინაც იმერეთისა და სამეგრელოს გარნიზონის პოლკები უნდა შეაესოს, სწორედ აქ იგზავნება. ხოტევიდან იალბუჯი და კავკასიის ყველაზე მაღალი მწვერვალები მოჩანს.

მეორე დღეს, 5(17)-ში ჩვენი მოგზაურები აქედან თოთხმეტი ვერსით მოშორებულ სოფელ ბარაკონში გაემგზავრნენ. მათ აქ ერთ იმერელ თავადთან უნდა გაეთიათ ღამე. ხოტევიდან ერთ ვერსზე მათ კრიხულა? გადალახეს, რომელიც მოშორებით ფაზისს ერთვის და მალე მიაღწიეს კიდევაც მას. მთელი ეს მხარე მთაგორიანი და კლდოვანია.

ამ ადგილას ფაზისი კლდეებს შორისაა მომწყვდეული და მისი სი-  
განე ოცდაათი ან ორმოცი ნაბიჯი თუ იქნება. მდინარის ნაპირები აქ  
იმდენად მაღალია, რომ მასზე გადებული ხის ხიდი შვეიცარიაში  
ცნობილ ეშმაკის ხიდს (Pont du Diable) წააგავს. ოდნავ ქვემოთ ჩან-  
ჩქერია, რომელიც მდინარეში ვარდნილი გრანიტის ნამსხვრევების და-  
გროვების შედეგად არის წარმოშობილი. მსგავსი ჩანჩქერები ხშირად  
გვხვდება მდინარის სათავესთან და ქვემოთაც, ქუთაისის მხარეს. თუ  
რაჰის მაზრის ნაძვანარის ექსპლოატაცია გადაწყდება, ეს ჩანჩქერები  
ბე-ტყის დაცურებისას უთუოდ დიდ სიძნელეებს შექმნიან.

ფაზისის გადალახვის შემდეგ მოგზაურები სამ მეოთხედ საათზე  
მეტ ხანს მდინარის ნაპირს ალმა მიუყვებოდნენ, კლდეში გამოკვეთი-  
ლი ვიწრო და ციცაბო ბილიკით. კლდის ძირში ფაზისი საშინელი ხმა-  
ურით ეხეთქება ფიქალისა და გრანიტის უზარმაზარ ლოდებს, რის  
გამოც ბილიკზე სიარული ძალზე სახიფათოა.

ჩაათავეს თუ არა ეს საშინელი გზა, მოგზაურებმა დაახლოებით  
ერთი საათის განმავლობაში ხშირი ბუჩქნარით დაფარულ საძოვარზე  
იარეს და ბარაკონში ჩავიდნენ. ეს სოფელი სამოციოდე საჯლს ითვ-  
ლის.

სოფლის მეპატრონე თავადი ადგილზე არ დახვდათ და მოგზაუ-  
რებს მღვდელი (pope) შეეგებათ. ციხის მიდამოებში გასეირნების  
დროს მან ჩემი ძმის მეგზურობა იტვირთა და შეეცადა მისთვის ცნო-  
ბები მიეწოდებინა ამ მხარის შესახებ.

ბარაკონი რაჰის მაზრაში შედის, რომლის მცხოვრებნი იმერლებს  
შორის ყველაზე შრომისმოყვარენი და გამჭრიახნი არიან. მკისა და  
რთველის დროს ქალიშვილები და ცოლები მამაკაცებს ეჭიბრებიან  
თავგამოდებულ შრომაში, რომელსაც მუდამ გამამხნევებელი სიმღე-  
რა და შეძახილები ახალისებს. მე მოწმე ვახლდით მათი შრომანი გა-  
ჭიბრებისა და ვერ გამოვიცა, მათ ორგანიზმზე, განსაკუთრებით გულზე,  
როგორ არ ახდენს გავლენას ესოდენ ხანგრძლივი, ორმაგი ჭათა.

გლეხკაცთა უმრავლესობა დაუფლებულია ამა თუ იმ ხელობას.  
ზოგი მათგანი ვაკის მაზრაში ნაყიდი ბამბისაგან ქაოვს ტილოს. საფუ-  
ხორდ ღებავს მას ველურ ენდროში, რომელიც ბუნებრივად ხარობს  
მთელს იმერეთში. ზოგი უხეშ მაუდს ამზადებს, ხოლო მატყლს შოუ-  
ლობენ ქართლში, გორის მაზრაში, სადაც თავიანთი პროდუქცია ჩა-  
აქვთ და ცვლიან მატყლში. ეს მაუდი კავკასიის მთიანეთში და თვით  
თბილისშიც კი იყიდება. ზამთრობით აქაურები ტახზე, დათვზე,



ირებზე, კვერნაზე, მელიაზე და ჯიხვზე, ანუ კავკასიის ღურაღზე, ნადირობენ.

ჯიხვი ხშირად გვხვდება მაღალ მთებში, რომელიც რაქის მახრას გარს აარტყია და მას სევანთა ქვეყნისაგან გამოჰყოფს. ეს ცხოველი ირებზე ოდნავ მომცროა; მისი კისრის სისქე და რქების სიდიდე ამ ცხოველის არაჩვეულებრივ ძალას მოწმობს. მონადირისაგან დევნილი ჯიხვი კლდიდან კლდეზე ხტება და ზოგჯერ ათი-ოცი ფუტის სიმაღლიდან ეცემა რქებზე, ისე რომ არაფერი მოსდის. ერთი რუსი ოფიცერი, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ყუბანის ნაპირზე განლაგებულ ციხესიმაგრეში ცხოვრობდა, მარწმუნებდა, რომ კავკასიური სეავი არასოდეს კარგავს ჯიხვს თვალთახედვიდან, რადგან საკვებს მის ნებზეში პოულობსო. მას ისიც გაუგონია, რომ ეს ფრინველი მუდამ თავს დასტრიალებს ჯიხვს, ჩხაველით ამცნობს მონადირეთა მიახლოებას და არ ტოვებს მას, ვიდრე სამშვიდობოს არ დაიგულებსო. ჩემი რწმენით, ეს ამბავი შაინცდამაინც დასაჯერებელი არ უნდა იყოს.

მოვინდომე, სამეფო ბალისათვის მეშოვნა ერთი ასეთი უცნობი ჯიშის ცხოველი. გამოვიყენე ჩემდამი მეგობრული განწყობილება გენერალ-მაიორ ველიამინოვისა<sup>8</sup>, რომელიც ცნობილია როგორც კარგო ხასიათით, ასევე თავისი ნიჭიერებით და ვიშოვე კიდევაც, მაგრამ იმ დროს, როცა ცხოველი უნდა გამეგზავნა, იგი დაიღუპა თბილისის კაზაკთა თავლებში გაჩენილი ხანძრისაგან, სადაც იგი ცხენებთან ერთად იყო. რაკილა ცოცხალი ცხოველი აღარ შემრჩა, ის მაინც შევძელი, რომ სამეფო ბალის მუზეუმისათვის ხარჯიხვის თითქმის გიგანტური რქები გადამეცა.

ჯიხვის გაპრიალებულ და მოვერცხლილ რქებს კოლხეთის მოსახლეობა სასმისებად იყენებს. ისინი, ჩვეულებრივ, ღვინის დიდი მსმელები არიან.

რაქის მახრაში შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა მოიპოვოს ბეწვეულით ვაჭრობამ. ასეთი ვაჭრობის სტიმულირებისათვის საკმარისია აქ გასაცვლელი საქონლის ჩამოტანა. ეს ხალხი უსათუოდ შეიძენს მაუდს, აბრეშუმის ქსოვილს, შეღებილ მიტკალს, ფაიფურის ჭურჭელსა და ბევრ სხვა ფრანგულ საქონელს. აქაური ბეწვეული მეტწილად საუცხოო ხარისხისაა და ციმბირის ბეწვეულსაც გაუწვევს მეტოქეობას. ასე მაგალითად, ამ მხარეში გვხვდება უმშვენიერესი ცისფერი მელია, სიასამური, წაუი და ბევრი სხვა ძვირფასი ბეწვის მქონე ცხოველი. მთაში ბევრია დათვი, რომელიც ჩვეულებრივ,

ღაბალი ტანისაა. აქ ძალზე მოწარველებულია გარეული კატებიც და მათი ტყავი მხოლოდ 10-12 ფარა (დაახლოებით 20 სანტიმი) ღირს. ვეჩქრობ. ამ ცხოველების ბეწვი ქულების წარმოებაში გამოდგება.

ჩიქი შედარებით იშვიათად შეგხვდებათ იმერეთსა და სამეგრელოში; იგი უფრო საქართველოს მთიან ადგილებშია გავრცელებული. ზოგჯერ აქ ვეფხვიც გამოჩნდება ხოლმე, როცა სპარსეთის შაჰის ეაჟიშვილები ნადირობენ; დამფრთხალი სამეფო ვეფხვი არაქსს გადასცურავს და კავკასიონის იმდებარე იმერეთისა და საქართველოს ტყეებში გადმოიჭრება.

1820 წელს მაისის თვეში თბილისიდან ოცდაათ ვერსზე, ლიორას (Liora), ანუ იორის (Jori), ძველი ავტორების კამბისუსის<sup>9</sup> (Cambisus) ნაპირებზე, მუხროვანში (Maucravane) დაბანაკებული საქართველოს გრენადერთა პოლკის ერთ-ერთი ჯარისკაცი ჯეირნებზე (gerames) სანადიროდ წასულა. მესერს იქით მას რაღაც ცხოველი შეუნიშნავს, დაუმიზნებია და ბედად შუბლიც გაუხერტია მისთვის. შემდეგ მიახლოებია ცხოველს და როცა მის მიერ მოკლული უზარმაზარი ვეფხვი უხილავს, ძლიერ შეშინებია. ამ ცხოველის ფიტული გენერალ-მაიორ ველიაშინოვთან ენახე.

რაქის მაზრაში ვხვდებით ძველ შენობათა უამრავ ნანგრევებს, ციხეებსა და კოშკებს. აქ ხშირად პოულობენ ხოლმე ბერძნულ და სასანურ მონეტებს, რომელთაგანაც ზოგიერთზე წარწერებია უცნობი ასოებით. რუსებს ბევრი ასეთი მონეტა აქვთ შეგროვებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს განძი მეცნიერთათვის ხელმიუწვდომელია, უფრო ხშირად კი დაკარგულია.

რაქის ოლქის მთებში ვხვდებით სხვადასხვა სახის მინერალურ წყლებს. როცა ჩემი ძმა მღვდელთან (pope) ერთად სეირნობდა, ისინი ერთ მთაზე ასულან, რომელიც მთლიანად კვარცშერეული მწვანე მთის ქანებისაგან (1) შედგებოდა.

ადგილობრივი მცხოვრებლები ირწმუნებიან, რომ ბარაკონიდან თხუთმეტი ვერსით დაშორებულ სოფელ ურავეთან (Ourava) არსებობს ძალზე მდიდარი ვერცხლის საბადო. ირწმუნებიან, თითქოს მას ბერძნები სოლომონ მეფისათვის ამუშავებდნენ, მაგრამ რადგან მუშებს გაწეული შრომისათვის შეპირებული გასამრჯელო არ მიუღიათ,

(1) პარიზში დაბრუნებისას მინერალოგიის პროფესორს ბ-ნ ბედანს<sup>10</sup> (Beudant) ვაჩვენე ამ მთის ქანის ნიმუში და მან იგი ფირუზის აშკარა ანალოგიად ჩათვალა.

მათ ეს საბადო მიუტოვებიათო. იმასაც ამბობენ, რომ სოფელ წეს-ს (Tsui)<sup>11</sup> მიდამოებში ვერცხლის მეორე საბადო, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ამუშავებდნენ, მაგრამ მისი ძარღვი დაუქარავათ. თუ აქაურებს დაეჭვრებათ, სვანეთში (Svanety), სვანთაქვეყნის საზღვარზე კიდევ ერთი ვერცხლის საბადო ყოფილა, რომელსაც დღესაც ამუშავებენ.

როცა ამ ოლქის მკვიდრთა ნათქვამს ვიმოწმებ. იმასაც ვიტყვი, რომ უტოდინარობის გამო ამ ხალხს ხშირად ძვირფას ლითონებად მზაინია პირიტი, ტალკი, ქარსი და სხვა მზზინავი მინერალები. სათანადო ცოდნის უქონლობა განაპირობებს იმასაც, რომ მათ დღემდე ვერ მიუყვლევიათ ძვირფასი ლითონებისათვის, რომელთა საბადოებიც შესაძლოა არსებობდეს კიდევ ამ მთებში.

რაჭის ოლქს იმერეთში ყველაზე კარგი ადგილმდებარეობა აქვს. პაერი აქ სუფთაა და კლიმატური პირობებიც სიჯანსაღის საწინდარია. სწორედ ამიტომაც, რომ ავადმყოფები აქ ცოტაა. ხოლო დღეგრძელი ადამიანები მრავლად არიან.

რუსეთის მთავრობა რომ რაჭის ოლქში ლაზარეთებს ააშენებდეს, ჭარისკაცები ციებ-ცხელებისაგან აქ სულ მოკლე დროში შეძლებენ გამოჯანსაღებას; აკი ქუთაისისა და ვაქის მაზრების დაბლობებში ამ სენით დაავადებულნი ავადმყოფობას ვერ უმკლავდებიან და ეს სენი ხშირ სიკვდილიანობას იწვევს (2).

ბარაკონში ყოფნის დროს ჩემმა ძმამ სულ მცირედი ცნობების შეგროვება შეძლო სვანებზე, რომლებიც რაჭის ოლქის ყველაზე მაღალი ნაწილის მოსახლდრენი არიან.

სვანები თავიანთ მეზობლებთან ყოველგვარ კავშირს გაურბიან. მათ ურჩევნიათ უარი თქვან შესაძლებელ საეპრო ურთიერთობებზე, განსაკუთრებით ბეწვეულითა და მათს მთებში მოპოვებული ტყვიითა და გოგირდით ვაჭრობაზე, ვიდრე ვისიმე ყურადღება მიიპყრონ და ამით საფრთხე შეუქმნან თავიანთ დამოუკიდებლობას. დღეს ისინი ძალზე გაკვირებულად ცხოვრობენ; სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. რადგან ისინი კავკასიის ყველაზე მაღალ მთებს არიან შეხიზნულნი და მათს ხეობებში ძნელად თუ მოიძებნება სახნავი მიწები, რომლებ-

(2) მთავარმართებელმა ერმოლოვმა დაიყოლია რუსეთის მთავრობა და ამიერკავკასიის პროვინციებში განლაგებულ ჭარში ახლახანს გაიგზავნა კიდევ დამოკლებულ ჭარისკაცთა ცოლები. ამ გზით რუსეთის მთავრობამ აქ, ასე ვთქვათ, მუდმივი კოლონიები შექმნა, რომელთა მკვიდრნი ადვილად ეგუებიან სამსახურის ადგილებს, რაჟი იზოლირებულნი იღარ არიან და ერთგული მზრუნველებიც ჰყავთ.

ბიკ საარსებოდ საჭირო მარცვლეულის მოსაყვანად და პირუტყვის საძოვრად გამოდგება.

ამ ... ხალხში, რომელიც უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს და შვილების გადასარჩენად ხშირად იძულებულია ისინი ყაბარდოელებს მიჰყიდოს, თითქოს მოსალოდნელი არ უნდა იყოს ძალაუფლების სიყვარულით გამოწვეული საშინაო არეულობანი. მაგრამ რაკორც ამბობენ, ამ ბოლო დროს სვანთა დედოფალი, საკუთარ სიძეს გადაუყენებია. დედოფალს რუსეთის მთავრობისათვის უთხოვია დახმარება და უზურპატორის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელშეწყობა, ხოლო მხარდაჭერის საფასურად თავისი სამფლობელოს სუბერენობა შეუთავაზებია. მაგრამ რუსეთს სრულებით არ აინტერესებს დაეუფლოს ამ ბარბაროსულ ქვეყანას და გულგრილი რჩება სვანთა ქვეყნის საშინაო დავისა და მისი ხალხის ბედის მიმართ.

სოფელ ბარაკონის ბოლოში კლდეზე ციხე დგას; იგი ფაზისს, გადაწყურებს, რომელიც გარს უვლის ამ კლდეს. ციხეს ჰქვია მინდას ციხე<sup>12</sup> (Mindas-Tziké) და აღმართულია ლუხუნისა<sup>13</sup> (Longonne) და ფაზისის შესართავთან. ამ მდინარეთაგან პირველი ძალზე სწრაფია და ორ მთას შორის ჩახორხლილ ლოდებზე ჩამორბის.

ამ სოფლიდან ჩემი ძმა უკან დაბრუნდა. მას თან ახლდა მანრის ქუფროსი. ამჯერად ფაზისი და მასზე გადებული ხიდი, რომელზეც გადააარეს, ხელშარცხნივ ჩამოიტოვეს. ერთი ვერსის მოშორებით ისინი ლამაზ და გრძელ ხეობაში შევიდნენ, სადაც ფაზისი მიიკლავება. რაჟი აქ ძალზე მერხერია, ხეები აქა-იქ თუ ხარობს. მთელს ამ ხეობაში დათესილია ხორბალი და ქერი. ეს ოლქი იმერეთში თითქმის ერთადერთია, სადაც კარგი ხარისხის ფქვილი იშოვება. დანარჩენ სამ მანრა-ში უპირატესად სიმინდსა და ფეტვს იწევენ.

რაკველებს მიაჩნიათ, რომ ისინი გონებრივი განვითარებითა და თავიანთი საქმიანობით მალლა დგანან სხვა დანარჩენი სამი ოლქის მოსახლეობაზე, რომელთაც ზიზლით „ლომისმჟამელებს“ (Comiphages) უწოდებენ და კაცხავენ კიდევაც მათ იმის გამო, რომ ისინი იძულებული არიან ამ ღარიბულ საკვებს დასჯერდნენ, მით უმეტეს, რომ მათ მდიდარი და ნაყოფიერი მიწები აქვთ. მარცვლეულის ყანებს შორის შეიმჩნევა ტყრუშულა ლობით შემოკავებული ბალები, სადაც ვენახებია გაშენებული.

რაკონს მარაში გავრცელებული საქონელი ქუთაისისა და ვაკის სოფლებს საქონელთან შედარებით გამძლეობით გამოირჩევა. აქაურა ლაბალტანიანი ცხენები იმერეთში ყველაზე კარგ ცხენებად ითვლება: მხოლოდ ამ ცხენებით შეიძლება ციცაბო და ვიწრო ბილიკებზე ვაქლა, სადაც ერთი მცდარი ნაბიჯი კი სიცოცხლის ფასად დაუჯდება მხედარსაც და ცხენსაც. ამ ძნელ გზებზე სიარულს შეჩვეული ეს ცხოველები ფერდობებზე ჩამოსვლისას ზოგჯერ თხუთმეტი-ოცი ფუტის სიმალიდან ისეთი სიმაჩვეთ ჩამოცურდებიან ხოლმე უკანა ნაწილით, რომ წონანწრობას არც კი კარგავენ. მთელი იმერეთის საუცხოო საძოვრები ძალზე ხელსაყრელ პირობებს ქმნის ამ მხარეში პირუტყვის გამოსაყვებად და ცხენების მოსაშენებლად.

სოფელი სადმელი. სადაც მოგზაურები 6(18) ნომბერს ღამის გასათევად შეჩერდნენ, ისევე როგორც ამ მხარის ყველა სოფელი, ერთმანეთისაგან შორიშორს მდგარი რამდენიმე სახლისაგან შედგება. მოურავის საცხოვრებელი ისეთ ადგილას იდგა, რომ იგი მოგზაურებს მიერ გავლილ მწვენიერ ხეობას გადაჰყურებდა.

ქეორე დღეს გადაწყვეტილი ჰქონდათ დაეთვალიერებინათ რაკონს ტყე, სადაც, აქაურების თქმით, უამრავია მშვენიერი ნაძვი; მაგრამ მთელი ღამის განმავლობაში გადაუღებელმა წვიმამ და ელქექმა გზები უფრო დააზიანა და მგზაურებს ეჭვი შეეპარათ, რომ შესძლებდნენ ამ ტყის სიღრმეში შესვლას, რომლის ერთი ნაწილი მარადიული თოვლით დაფარულ მთის ფერდობზეა შეფენილი.

მიუხედავად ამისა. შვიდი საათისათვის მოგზაურები მაინც გაუდგნენ გზას, ხელმარცხნივ ჩამოიტოვეს უკანასკნელი შეიარაღებული აჯანყების დროს დაქცეული ძველი ციხის ნანგრევები. ეს ციხე კლდეზე იდგას, რიცეულას ნაპირზე. ხოლო პლატოს უამრავი სხვადასხვა ფორმის შეეული კლდე დაჰყურებს, რომლის მწვერვალებიც ღრუბლებში უჩინარდება.

რიცეულას ნაპირები მეტისმეტად ციცაბოა და იგი ორ მთას შორის მოედინება; ვიდრე ფაზისს შეუერთდებოდეს, მდინარე ძალზე სწრაფია. თან დიდი რაოდენობით მოაგორებს რიყის ქვასა თუ მარმარილოს, გრანიტისა თუ პორფირის ნატეხებს.

ჩვენი მოგზაურები მდინარეს ერთი საათის განმავლობაში მიჰყე-

ზოდნენ დინების მიმართულებით. იგი რაჭის ტყეს ორ თითქმის თანაბარ ნაწილად ჰყოფს. მოგზაურებმა რამდენიმე წუთს იარეს ვიწრო, კლდეებით შემოზღუდულ ხეობაში, საიდანაც გამოსასვლელი ვერ იპოვეს და კვლავ უკან დაბრუნდნენ. ცუდმა ამინდმა მათ ხელი შეუშალა შეედწიათ უზარმაზარ ნაძვებში, რომლებიც ისე ახლო-ახლო იდგნენ ერთმანეთთან, რომ ზოგან უსიერი ტყის შთაბეჭდილებასაც კი ქმნიდნენ. ამ ტყის დათვალეირება, ისევე როგორც ახალი სამყაროს პირველყოფილი ტყეების დათვალეირება გეოლოგებსა და ბუნებისმეტყველთ უსათუოდ დააინტერესებს.

როდესაც ჩვენი მოგზაურები ფაზისთან მივიდნენ, ნაცულად იმბო-სა, რომ ხიდი მოეძებნათ, რომელზეც წინა დღით გადაიარეს, მათ ფონით გადალახეს მდინარე და თავიკ დიდ საფრთხეში ჩაიგდეს, რადგან მდინარე აღიდებული და დინებაც ძალიან სწრაფი იყო. აქედან ხოტევაძე დაახლოებით ექვსი ვერსის გავლა მოუხდათ. დამე პოდპოლკოვნიკთან გაათიეს, ვისთანაც ისინი უკვე იყვნენ, როცა ამ მიდამოებში პირველად გამოიარეს.

მეორე დღეს, 8(20) ნოემბერს, მოგზაურები ხოტევიდან გამოემგზავრნენ და ზრეითის მოურავთან გაჩერდნენ დამის გასათევად. მერეელმა აზნაურმა, რომელსაც ეს თანამდებობა ეკავა, ვახშაშზე თავი გამოიღო, აი, რამდენის დაღეგა შემოძლიაო და ზედიზედ ოცდაშვიდჯერ დაცალა უამრავი სტუმრის სადღეგრძელო დიდი კათხით, რითაც იგი ჩვეულებრივ სვამდა ხოლმე ღვინოს. ყოველ დაცლილ კათხას იგი პურის პატარა ნაჭერს აყოლებდა. მერე ვითომ ჭამას დააპირებდა, მაგრამ კვლავ სმას აგრძელებდა და მიუხედავად ამისა, სრულიადაც არ დამჩნევია ასეთი მოჭარბებული სმა.

მეორე დღეს, 9(21) ნოემბერს, ჩემმა ძმამ დატოვა მოურავის სახლი და ქუთაისისაკენ გაემართა იმავე გზით, რომლითაც რაჭაში იმოგზაურა (3).

---

(3) რაჭის ტყის შუაგულში ორის ქვით ნაგები და ძალზე ძველი პატარა სასლოც-ველო. იგი ნაყურთხია წმინდა გრიგოლის (Grégoire) სახელზე და კოლხეთის ხალხები მას თავიანთსკემით ეკიდებან.<sup>16</sup> აქ დიდძალი ხალხი მოდის სალოცეად, ხშირად მერეთისა და ხაშვერლოს ყველაზე შორეული ადგილებიდანაც კი. მათ წესად აქვთ სასლოცელობთან ამ პროდუქტების დატოვება, რომლის შეჭმასაც ვერ ახერხებენ. ლოცვების შემდეგ აქ ყოველთვის პურის ჭამა იმართება ხოლმე.

კოლხეთის საზღვრები. — ბერძენთა ექსპედიციები ამ მხარეში. — კოლხეთი ემორჩილება კიროსსა და ქსერქსესს — აღექსანდრეს შემკედრებას. — მითრიდატე ევატორს. — რომაელებს. — პოლემონი, კოლხეთის მეფე. — წათე (Zalus) ინათლება კონსტანტინოპოლში. — მისი ძე გუბაზი (Gubaze). — მისი მეფობის დროს მომხდარი ამბები. — მისი სიკვდილი. — კოლხეთი შედის ტრამბონის მეფეების, კომნენოზების სახელმწიფოს შემადგენლობაში. — კოლხეთი შამადაიანთა მოხარკე ხდება. — ისტორიკოსები დუმილით უვლიან ამას გვერდს. — ამ ქვეყნის მდგომარეობა მეჩვიდმეტე საუკუნეში. — იმერეთს იმორჩილებენ რუსები. — სამეგრელო და გურია რუსეთის იმპერატორს ცნობს სუზერენად. — დაკვირვებანი ამ მხარეში რუსეთის მმართველობის პრინციპებზე.

სამეგრელოსა და იმერეთში ჩემი მოგზაურობის დღიურის გამოქვეყნებით მკითხველს წარმოდგენა შეეუქმენი ჩემ მიერ მოკლილ ქვეყნებზე; მაგრამ ეს დაფანტული და ლოკალური ცნობები მკითხველს მაინცდამაინც კარგად ვერ გააცნობს ამ სახელგანთქმულ მხარეს, რომელიც ევროპასა და აზიას შორის ერთ-ერთ ძირითად სავაჭრო გზად შეიძლება გადაიქცეს. ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალე ჩემი მოგზაურობის შთაბეჭდილებებისათვის დაპერტო კოლხეთის ისტორიული და სტატისტიკური მიმოხილვა.

ჩემი ვარაუდით, კოლხეთი მოიცავს მშვენიერ დაბლობს, რომელშიც შედის აფხაზეთის ერთი ნაწილი გავრის ზეობიდან მდინარე კოდორამდე, იმერეთი, სამეგრელო და გურია. ეს მხარე შავი ზღვიდან მოყოლებული და ქართლისაგან მისი გამომყოფი მთების მწვერვალებამდე დაახლოებით ორმოცდახუთი ლიეს სიგრძისაა, ხოლო მისი სიგანე, აფხაზებისა და სვანების ქვეყნებიდან ახალციხის საფაშომდე ოცდახუთმეტ-ორმოც ლიეს უდრის. ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით მას მაღალი მთები, დასავლეთით კი ზღვა ესაზღვრება. იგი ისე კარგადაა დაცული ბუნებრივი საზღვრებით, რომ იმპერიის ჭარბი იძულებული ხდებოდნენ ყოველთვის შეჩერებულიყვნენ ძველ კოლხეთთან, როცა ამ მხარის მამაცი, პატივმოყვარე ან სხვა რაიმე უჩვეულო ნიჭით დაჭილდოებული ბელადი მათ წინ გადაეღობებოდათ.

მთელი დაბლობი აიეტის<sup>1</sup> (Aeetes) სამეფოს, მოვეიანებით მითრიდატეს, შემდეგ რომაელებისა და ბოლოს, მკირე ხნით, ხოსროს (Chosroës) მიერ დაპყრობილი კოლხეთის შემადგენლობაში შედიოდა. ამის შემდეგ კოლხეთში გაბატონებულა მრავალი, ისტორიისათ-

ვის უცნობი ხელისუფალი, რომელნიც აფხაზეთში, გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში ერთდროულად მეფობდნენ ან მთავრობდნენ. ამ მხარის ასეთი დაყოფა ჩვენს დრომდე შემორჩა.

ვფიქრობ, საჭიროა მოვიგონო აზიაში სეზოსტრისის შემოსევისა და ფაზისის ნაპირებზე ეგვიპტური კოლონიების დაარსების აშკარად, რადგანაც იგი კოლხეთის ისტორიას უკავშირდება. ეს ფაქტი დადასტურებულია პეროდოტესა და ზოგიერთი შემდგომდროინდელი ავტორის მიერ. რაც შეეხება ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერ რომბერსტონის ექვებს, მე მათ აქ აღარ მოვიხსენიებ.

ზემოთ უკვე ვისაუბრე ფრაქსესა და ჰელეს, აგრეთვე იაზონის ექსპედიციებზე. იმ დროიდან მოცილებული, ვიდრე კიროსი ამ მხარეს დაიპყრობდა, აქაური ხალხების მეფეებისა თუ მთავრების სახელები სრულიად უცნობი გახლავთ. ისტორიკოსები სდუჰან ბერძენთა ახალშენების შესახებაც, მაგრამ მათი კვალი მაინც მოიძებნება. ამ ახალშენების მოსახლეობა თანდათანობით ადგილობრივ მოსახლეობასთან აითქეფა და მოგვიანებით ეს უკანასკნელი კიროსის ჯარების შემადგენლობაშიც შესულან. ამასთანავე, ყოველწლიურად ისინი ას ახალგაზრდა ყრმასა და ამდენივე მშვენიერ გოგონას აძლევდნენ კიროსს, როგორც მათი ქვეყნის მიერ გაღებულ უძვირფასეს ხარკს<sup>2</sup>.

მოგვიანებით კოლხეთის ადგილობრივი მოსახლეობა ქსერქსეს არმიაში დამხმარე რაზმს ქმნის. ეს ხალხი მაშინაც ხანჯლებით ყოფილა შეიარაღებული<sup>3</sup>. ხანჯლების გარდა მათი საჭურველი შედგებოდა ზის ჩანჩანისა და სპილენძის ფარისაგან, რაც ღლესაც გვხვდება კავკასიის ზოგიერთ ხალხებში; ხოლო არახინი, რომელიც იმერეთსა და სამეგრელოშია გავრცელებული და ჩვეულებისამებრ ნიკაპქევშ იკვრება, სკეითების<sup>4</sup> შურდულს მოგვაგონებს; ძველ ისტორიკოსთა მტკიცებით მას ერთდროულად იყენებდნენ იარაღადაც და თავსამკაულადაც.

როდესაც ალექსანდრემ სპარსეთი დაიპყრო და დამპყრობლის ვრცელი სახელმწიფოც მის სარდლებს შორის განაწილდა, კოლხეთი სირიის მეფეებს ერგოთ წილად. შემდეგ იგი მითრიდატე ეკატორმა თავის პონტოს სამეფოს შეუერთა. შესაძლოა ოქროსა და ვერცხლის საბადოები, რომელთა არსებობასაც კოლხეთში ვარაუდობენ, ამ დიდმა მეფემ მრავალრიცხოვანი ქანდაკების, სამეფო ტახტების, მასიური ოქროს საწოლებისა და სავარძლებისათვის გამოიყენა. ეს ძვირფასეულობა პომპეუსის სარდლებს იმ ბრძოლის შემდეგ აღუნუსხავთ, რომელმაც დამარცხებული პონტოს მეფე აიძულა აზია დაეტოვებინა და ბოსფორის სამეფოში გადახვეწილიყო.



მათრადატეს სიკვდილის შემდეგ შავი ზღვის სანაპირო, დაბლობზე ქდგბარე და ტყეებით დაფარული, ნახევრად ბარბაროსი ხალხით დასახლებული კოლხეთი რომაელებისათვის აგდებული დამოკიდებულებისა და ზიზღის ობიექტად გადაიქცა; ნაცვლად იმისა, რომ იგი პროვინციად გაეხადათ, მისი სამეფოდ გადაქცევა აპრობინეს და უბრალო რიტორს შუბლზე დიადემა დაადგეს.

პოლემონთა დინასტიის პირველმა წარმომადგენელმა მარკუს-ანტონინუსმა წყალობით დიდ წარმატებას მიაღწია. აქედან მოყოლებული და ნერონის აღზევებამდე ამ დინასტიის წარმომადგენლები კოლხეთს მონარქე მეფეების უფლებით მართავდნენ (1).

შემდგომში რომის კოლონიად ქცეული კოლხეთი მალე ლაზებმა ჩაიგდეს ხელში და მთელმა ქვეყანამ სინოპიდან ჩერქეზეთის საზღვრამდე ლაზიკის სახელწოდება მიიღო. ლაზების მიერ ამ მხარის დამორჩილებას დროს მათ სპარსეთის მეფეები უჭერდნენ მხარს. სამეფო კვართხს ისინი უშუალოდ მათგან იღებდნენ; კონსტანტინეს შემკვიდრებმა კი ასეთი შეურაცხყოფა მეექვსე საუკუნის დასაწყისამდე ითმინეს.

ლაზებმა დაგმეს გრძნეულთა კულტი, აღიარეს ქრისტიანული სარწმუნოება და კვლავ რომაელებს მიაპყრეს თვალი. წაიქ, კოლხეთის მეფე იუსტინიანეს მეფობის დროს კონსტანტინოპოლში მოინათლა და ცნობილი პატრიკიოსის სახლის ქრისტიანი ასული შეიერთო ცოლად.

კოლხეთის, სპარსეთისა და რომაელთა მეფეების ინტერესებიდან გამომდინარე, სწორედ მაშინ ააგეს სამოცი მალის სიგრძის ის კედელი, რომლის კვალი ჯერ კიდევ ჩანს სოხუმ-კალეს მიდამოებში. ამ კედელს კოლხეთის მოსახლეობა იცავდა, ხოლო ჰუნებმა მეფეებს წლიურ ხარკად დარიალის გასასვლელის (ყავკასიის კარს, ანუ კარბუქს) დარაჯობა ეთვლებოდათ. ასე და ამგვარად, აზია დაცული იყო სკვითებისა და სხვა მომთაბარე ტომების შემოსევებისაგან. რომლებაც დონსა და ჩინეთის საზღვრებს შორის გადაჭიმულ უზარმაზარ ტრამალეებზე დათარეშობდნენ.

უქველია, რომ სწორედ აზიის უშიშროებისათვის მიღებულმა ამ ზომებმა, რომლის მნიშვნელობა მეისტორიემ ვერც კი აღიქვა, მოთარეშე ბარბაროსებს გეზი ევროპისაკენ აადებინა. ჯებირი მდინარის კალაპოტს მიმართულებას უცვლის, მაგრამ მისი დანებება შეჩერება როდი ძალუძს. შესაძლოა ამ დაკვირვებამ, თუკი მას ახლანდელ

(1) იხილეთ ვიბონი, რომის იმპერიის დაშლისა და დაკვირვების ისტორია.

დროს მიუხედავებთ, გვაფიქრებინოს, რომ ევროპის კონტინენტისათვის უმჯობესი იქნება ხელი შეუწყოს დიდი სახელმწიფოს სამხრეთისაკენ სწრაფვას.

რომაელებმა თანდათან დაივიწყეს თავიანთი ვალდებულებები ერაგული მოკავშირის მიმართ და ლაზებმაც სრულად იწვინეს ქვეშევრდომობის სიმძიმე. უკეთ რომ ებატონათ ამ დაპყრობილ ხალხზე, რომაელებმა ზღვის ნაპირებზე პეტრას ციხე ააგეს, რომლის ზუსტი ადგილმდებარეობა არ არის ცნობილი, მაგრამ ვარაუდობენ, რომ იგი ფაზისსა და ბათუმის ნავსადგურს შორის იდგა<sup>9</sup>.

ამავე დროს კოლხეთი ძლიერ შეაწუხა რომაელ ჯარისკაცთა თავგასულობამ და მათი სარდლების გაუმძაღრობამ. რომაელებმა ვაჭრობაში უმკაცრესი მონოპოლია დაამყარეს. ისინი არსებობისათვის აუცილებელი მარცვლეულის მინიმუმსაც კი აღარ უტოვებდნენ ხალხს. ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ კოლხეთი კონსტანტინოპოლის იმპერატორებს ვეღარ ჩათვლიდა თავის მფარველებად.

კოლხეთის მეფემ გუბაზმა<sup>10</sup> მოინდომა ბოლო მოეღო აშდენი ბორტებისათვის და სპარსეთის ხელმწიფეს დახმარება და მეგობრობა შეჰვედრა. ამ დროს სპარსეთში ხოსრო<sup>11</sup> მეფობდა. მონარქმა, ამბობს გიბონი, მყისვე განჰქვრივა, რა სარგებლის მიღებაც შეეძლო კოლხეთისაგან და ნაცვლად იმისა, რომ კოლხეთის მოსახლეობას კეთილშობილ მფარველად მოვლინებოდა, მათი დაპყრობა გინიზარაბა. ეს გეგმა ათასი წლის შემდეგ განაახლა შაჰ-აბასმა, ყველაზე მოხერხებულმა და ძლიერმა ხელმწიფემ ხოსროს შემკვიდრეთა შორის. გეგმა მიზნად ისახავდა ამ მზარის სპარსეთთან შეერთებას, ფაზისზე ძლიერი საზღვაო ფლოტის შექმნას და ევროპასა და შიდა აზიას შორის ვაჭრობის ძირითადი გზის ხელში ჩაგდებას.

ახლახანს, 1821 წლის 8 (20) ოქტომბრის უკანით იმპერატორმა ალექსანდრემ სწორედ ეს ხოსროსეული ვრცელი სავაჭრო გეგმა განახორციელა, რომელსაც ჰუეტი<sup>12</sup> (Huelt), რობერტსონი, პეისონელი, ოლივიე და ბ-ნი ანტუანი (Antoine) იხსენიებენ.

კოლხეთისაკენ დაძრულ სპარსელებს გუბაზის წარგზავნილები უწყევდნენ მეგზურობას, როცა ისინი საქართველოსა და იმერეთის ერთმანეთისაგან გამმიჯნავ ტყეებზე, მაღალ მთებსა და ხეებზე გადმოდიოდნენ. სპარსელები იმერეთში შეიჭრნენ. გუბაზმა და მისმა ქვეშევრდომებმა ხოსროს მორჩილება აღუთქვეს. რომაელებმა კი, რომლებიც იძულებულნი გახდნენ პეტრა მიეტოვებინათ, მალე უარს

თქვეს კოლხეთზე. მაგრამ სპარსელთა სიმკაცრე და მათი მოგვების ფანატოზმა, რომელსაც ამ ქრისტიანი ხალხის ცეცხლთაყვანისმცემლად მოქცევა სურდა, სულ მალე რომაელთა დესპოტიზმზე უფრო ძნელსატანი გახდა და კოლხეთშიაც საერთო აღშფოთებამ იფეთქა.

მაშინ ხოსრომ, რომელსაც სპარსელები ანუშირვანს (Nuclivan), ანუ სამარალიანს, უწოდებდნენ, ვერაგობა განიზრახა — გადაწყვიტა მოეკლა ლაზების მეფე, მისი ქვეშევრდომები შორეულ ადგილებში გაესახლებინა და ფაზისის ნაპირებზე ერთგულ მეომართა კოლონია შეექმნა. გუბაზმა დროზე შეიტყო ეს ამბავი და თავისი ხალხი დალუქვისაგან რომ ეხსნა, დახმარებისათვის კვლავ რომაელებს მიმართა. მათ იერიში მიიტანეს პეტრაზე და მიუხედავად მეციხოვნეთა თავგანწირული წინააღმდეგობისა, ხელთ იგდეს ციხესიმაკრე. სპარსელებმა მაშინ კვლავ გაიმეორეს საგუნტის მოსახლეობის მაგალითი<sup>12</sup> — ამკობიანეს ცეცხლში დახოცილიყვნენ, ვიდრე ხელი მოეწერათ სპატიო კაპიტულაციისათვის, რომელიც მათ შესთავაზეს.

შემდეგ კოლხეთი სპარსელებსა და რომაელებს შორის სისხლისმღვრელი ომების ასპარეზად იქცა. ხოსროს წინაშე რომ ქედი აღარ მოეხარა, გუბაზი ბედს დამორჩილდა, კავკასიის მთებში გადაიხვეწა და დიდი ხნის განმავლობაში ითმენდა განდევნილი ადამიანის ქირსა და ვარამს. თავის ხალხში იგი მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდა, როცა დიდმა მეფემ ხელი აიღო შორეული ქვეყნის დაპყრობის განზრახვაზე, რამეთუ მამაცი კოლხების სურვილისა და ძალის წინააღმდეგ ახედრებულს მათზე გამარჯვების იმედი გადაეწურა.

გუბაზი ერთხანს თავს მშვიდად გრძნობდა აღმოსავლეთის იმპერატორთა მფარველობის ქვეშ, მაგრამ მათს სარდლებს ეშინოდათ, რომ გუბაზს არ დაებეზლებინა ისინი მათ მიერ ჩადენილ უსამართლობათა გამო და ერთ-ერთი თათბირის დროს იგი ხანჭლით განგვირეს.

რაკი საქმე ეხება მხარეს, რომლის მოსახლეობაც დამპყრობელთაგან დიდი ხნის განმავლობაში განიცდიდა საშინელ ჩაგვრას, საჭიროდ მივიჩნევ მცირე ხნით შევჩერებულვიყავი ამ კეთილი მეფის ცხოვრებაზე.

ბოლოს, როცა იმპერატორმა იუსტინიანემ და ხოსრომ ღრმა მოხუცებულობას მიაღწიეს, ორთავემ მოსვენებული ცხოვრება განიზრახა. კოლხეთი აღმოსავლეთის იმპერატორთა მფარველობის ქვეშ დარჩა, მაგრამ ხელშეკრულებით დათქმული იყო, რომ ორივე ქვეყანა აქ ვაჭრობის თანაბარი პირობებით და ერთნაირი თავისუფლებით

ისარგებლებდა. შემდეგშიც კოლხეთი კვლავ აღმოსავლეთის იმპერატორებს დამორჩილდა და მას იმპერატორთა მოხარკე მეფეები მართავდნენ.

ლათინების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ლასკარის-მა<sup>14</sup>, რომელიც ტრაპიზონში გაიქცა და იქ სამეფო შექმნა, კოლხეთი თავის სახელმწიფოს შეუერთა. მისი მემკვიდრე კომნენოსები<sup>15</sup> თავიანთ ტიტულატურას სიამაყით მიაწერდნენ ფაზისის მეფის ტიტულსაც. ეს მხარე კომნენოსებს ექვემდებარებოდა მაშინაც, როცა ლათინები კონსტანტინოპოლიდან განდევნეს და აღმოსავლეთში ბერძნული იმპერია აღადგინეს.

დაახლოებით 1460 წელს, მას შემდეგ, რაც მუჰამედ II-მ გაანადგურა აღმოსავლეთის იმპერია<sup>16</sup>, მან კოლხეთის დაპყრობაც არ დააყოვნა და მისი მეფეები მოხარკეებად გაიხადა.

ამ დროიდან მოყოლებული კოლხეთის ისტორია სრული იდუმალეობითაა მოცული. ამიერიდან უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდებით. აზიის ისტორიის ანალოგიური ფაქტები და სომეხ და სპარსელ მემკვიდრეთა ნაშრომებში აქა-იქ გაბნეული ციტატები, რომლებიც გვაწვდიან ცნობებს არა ამ მხარის ხელისუფალთა შესახებ, არამედ გამოხატავენ აქ დაკვიდრებული მმართველობის სისტემის არსს. ამ ცნობების საფუძველზე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთი დესპოტიზმის მორჩილი დარჩა.

ამ დიდი პერიოდის განმავლობაში იმერეთის მბრძანებლებად გვევლინებიან საქართველოს მეფეები ბაგრატონთა უკარდან. ნიჭითა და მამაცობით დაჯილდოებული ამ საგვარეულოს მეფეები ერთხანს თვით ზღვამდე ბატონობდნენ, მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნის შუა ხანებში მათს უნიათო წარმომადგენლებს საქვეგრელო და გურია ხელიდან გამოსტაცეს მთავრებმა, რომელთაც ამ მეფეთაგან აღნიშნული მხარეების მართვა ჰქონდათ მინდობილი.

მოგზაურმა შარდენმა დეტალურად აღწერა შინაური ომები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში აჩანაგებდა ამ ბედკრულ ქვეყანას. იმხანად გამარჯვებულნი და დამარცხებულნი ისეთი სისასტიკით უსწორდებოდნენ ერთმანეთს, რომ მსგავს მაგალითებს მხოლოდ სპარსეთის ისტორიაში თუ შევხვდებით. მათი სისასტიკე არ

ზოგადაა არც ბევრებს, არც მოხუცებს, არც სქესსა და არც სილამაზეს.

სამეგრელოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ხელისუფალთაგან ლევან დადიანი მოიხსენიება, რომელიც 1650-იან წლებში მეფობდა<sup>17</sup>. იგი გაეყარა აფხაზთა მთავრის ახალგაზრდა, ტურფა და კკვიან ასულს და ვიდრე მამამისს უკან მიჰკვრიდა, დადიანმა ქალს ცხვირი, ყურები და ხელები დააქრა. შემდეგ მან ცოლი წაართვა საკუთარ ბიძას, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მისი მეურვე იყო და ვისი წყალობითაც საკუთარი გვირგვინი ჰქონდა შენარჩუნებული.

რაც შეეხება იმერეთს, სულ მცირე დროის განმავლობაში აქ ერთმანეთის მონაცვლეობით მეფობდნენ ბაგრატი (Bacrat), ვახტანგი (Vactangle), ვამეყი (Vomyke) და არჩილი (Archyle), რომელთაც რიგრიგობით დასთხარეს თვალები ან მოკლეს. ერთ-ერთმა მათგანმა, კერძოდ, ბაგრატმა, კვლავ დაიბრუნა ტახტი, საკუთარი ხელით განგშირა ტახტიდან გადაყენებული წინამორბედი, ამოკვეთა მას გული, ხელებით დასრისა და გაუგონარი სიფიცხით შეპყრობილმა იგი ნაკუწ-ნაკუწად დაგლიჯა<sup>18</sup>. ასეთ საშინელებებს რომ გაიგებ, ადამიანს სურვილი გებადება ეს უზურპატორები არა მეფეთა, არამედ დიდ ბოროტმოქმედთა შორის მოიხსენიო.

ამ დროიდან მოკიდებული, ვიდრე ამ ქვეყანას რუსები დაეპატრონებოდნენ, არც კია დიდად დასანანი, რომ ისტორიამ არ შემოგვინახა ამ ბედკრული ქვეყნის არც ავკაცთა სახელები და არც ის საშინელი ამბები, რასაც აქ უნდა ჰქონოდა ადგილი.

რაკი მეფეები თავს ასეთი ბარბაროსობის ნებას აძლევდნენ, სავსებით ცხადია, რომ ისინი ქვეშევრდომებს ისე ექცეოდნენ, როგორც საძაველ ნახირს. აქ ხშირი ყოფილა სხეულის დასახიჩრების შემთხვევები. ზოგჯერ ამ ზომას იმიტომ მიმართავდნენ, რათა ყმების გაქცევები აღეკვეთათ, მაგრამ ზოგჯერ ასევე სჭიდნენ სულ უმნიშვნელო დანაშაულისთვისაც.

ამ საშინელი სიმკაცრის ფაქტები ქუთაისში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი: ამ ქალაქში ხიდის ერთ თავში ფეხმოჭრილი კაცი ზის ხოლმე, რომელიც მოწყალეობას ითხოვს. ეს მაგალითი წარმოდგენას გვიქმნის კოლხეთში გამოყენებული სისხლის სამართლის კოდექსზე და მისი უწინდელი მეფეების მართლმსაჯულებაზე.

იმერეთის უკანასკნელ მეფეს სოლომონი ერქვა. რუსებმა მასზე ეჭვი მიიტანეს და მეფე თბილისში ჩაიყვანეს. აქ იგი სატუსალოში ჩაამწყვდიეს, მაგრამ ერთგული კაცის თაედადების წყალობით მას გაქცევის საშუალება მიეცა. სოლომონ მეფე ტრაპიზონში გარდაიცვალა, სადაც მას თურქეთის ფაშამ თავშესაფარი მისცა<sup>19</sup>.

როდესაც იმპერატორმა ალექსანდრემ, როგორც მონარქმა იმერეთი დაიკავა, ხოლო სამეგრელოსა და გურიაზე სიუზერენის უფლება განახორციელა, მისი ხელისუფლების პირველი ქმედება იმაში გამოიხატა, რომ მან აკრძალა თურქებისათვის ტყვეთა მიყიდვა, ლაგამი ამოსდო მთავრებისა და ბატონების სისასტიკეს და აუკრძალა მათ სხეულის დამახინჯებისა და სიკვდილით დასჯის კანონის გამოყენება. ამგვარად, ამ მხარისათვის ისეთი სიმშვიდისა და შვების აისი ამობრწყინდა, როგორსაც იგი არასოდეს არ ყოფილა ჩვეული.

სწორი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ აზიაში რუსეთისა და ინგლისის მფლობელობის შეფარდებით სიმტკიცეზე, საკმარისია შედარებულ იქნას ამ ორი სახელმწიფოს მმართველობის სისტემა მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში.

რუსები ძირითადად ძალაში ტოვებენ იმპერიასთან შემოერთებულ ხალხების კანონებსა და ჩვეულებებს, მაგრამ საკუთარ სიძლიერეში დარწმუნებულნი უყოყმანოდ აუქმებენ ბარბაროსობის ყოველ ნიშან-წყესს.

რაც შეეხება ინგლისელებს, ინდოეთში, მაგალითად, ისინი არ კრძალავენ იქაური ხალხების კანონებსა და ჩვეულებებს. განათლებული ერის წარმომადგენლები, ერისა, რომელსაც თავი მოაქვს ამდენის ქველმოქმედებით, იძულებულნი არიან ყოველ წელს მოითმინონ რელიგიური თანატიზმის საფუძველზე სიკვდილმისჯილი უამრავი ქვრივი ქალის კოცონზე დაწვის საშინელი სპექტაკლები. თუნდაც ეს ფაქტი ნათლად ადასტურებს, რომ ინგლისის ხელისუფლება ინდოეთში არამყარია, ადასტურებს ალბათ იმასაც, თუ რაოდენ ადვილია ქვეყნის დაპყრობა.

აქ წყდება იმ მოვლენათა თხრობა, რომელთა ასპარეზიც კოლხეთი იყო. ამიერიდან რუსეთის უზარმაზარი იმპერიის შემადგენლობაში შესული ეს ქვეყანა, ამჟამად მისი ერთ-ერთი პროვინციათაგანი, ისტორიის კუთვნილებას აღარ წარმოადგენს.

მმართველობა. — ვახტანგის (Vagtanq) სამართლის წიგნთა კრებუ-  
ლი. — სასამართლო. — პოლიცია. — საბაჟო. — იმერეთის მეფეთა აღრი-  
ნდელი შემოსავალი. — ამ მხარის დაყოფა მაზრებად. — მოსახლეობა. —  
მცხოვრებთა ხასიათი და ზნე-ჩვეულებანი. — შესაძრწვევი გაუქმობესება-  
ნი. — სარწმუნოება. — სხვადასხვა კულტი.

იმერეთის აღრინდელი მმართველობა თითქმის აბსოლუტური იყო; ქვეყანაში მეტ-ნაკლები ადმინისტრაციული სიმკაცრე ღამოკლებული იყო სუვერენის ხასიათზე.

მას შემდეგ, რაც იმპერატორმა ალექსანდრემ იმერეთი თავის სახელმწიფოს შეუერთა, ამ ქვეყნის გამგებლობა გუბერნატორს მიანდო, რომელიც სამხედრო ხელისუფლებასა და სამოქალაქო ხელისუფლების ნაწილს ითავსებდა. ის, რაც თავად გორჩაკოვის შესახებ მოგახსენეთ, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ეგზომ მნიშვნელოვანი ფუნქციები გამორჩეულ პიროვნებას ჰქონდა დაკისრებული.

მთელს ძველ კოლხეთში, ისევე როგორც საქართველოში, ადრე არავითარი წერილობითი კანონები არ არსებობდა<sup>1</sup>. ასეთ კანონებს ადათ-ჩვეულება<sup>2</sup> ცვლიდა. უკანასკნელი საუკუნის დასაწყისში სამეგრელოსა და იმერეთის მეფეებმა მიიღეს ვახტანგ მეფის მიერ საქართველოსათვის შედგენილი სამართლის წიგნთა კრებული; მაგრამ კრებულის კანონებს მეფეები ხშირად სურვილისამებრ ცვლიდნენ, ან გვერდს უვლიდნენ მათ.

ზოგიერთი მუხლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძნელი დასაჯერებელია, რომ სამართლის წიგნთა კრებული სულ რაღაც ერთი საუკუნის წინათ იყო შედგენილი.

როდესაც დანაშაულში უნდა ენხილებინათ ვინმე, ვისაც ბრალად ედებოდა მეფის ღალატი, ხატის ქურდობა ან რაიმე სხვა ბოროტმოქმედება, მას სცდიდნენ ისეთი ხერხით, რომელიც ყველაზე ბარბაროსული დროისათვის იყო დამახასიათებელი.

ზოგჯერ ბრალმდებლისა და ბრალდებულის გამსახებელი ხმალი იყო; ორთაბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ვინ იყო მტყუანი და ვინ მართალი. დამარცხებულის იარაღი გამარჯვებულს რჩებოდა. მოქიშკეებს თითო-თითო მოწმე ჰყავდათ, რომელთაც გარდა მათრახისა (plet), სხვა იარაღი არ უნდა ჰქონოდათ. მოწმეებს ევალებოდათ თვალყური ედევნებინათ მებრძოლთათვის და არ დაეშვათ, რომ გამარჯვებულს

მიწაზე დანარცხებული თავისი მოწინააღმდეგე მოეკლა. დამარცხებული მეტოქის ცხენი გამარჯვებულის მოწმეს რჩებოდა.

ზოგჯერ ბრალდებულს მდულარე წყლით სციდინენ. ასეთ დროს მას ხელი უნდა ჩაეყო აღულებული წყლით სავესე ქვაბში და იქიდან სპილენძის ან ვერცხლის ჭვარი ამოეღო. მკლავზე მას ნაკერი ქქონდა შემოკრული, რომელსაც ლუქი ქქონდა დადებული. თუ სამი დღის შემდეგ ხელს სიღამწერის არავითარი ნიშან-კვალი არ დაეტყობოდა, სამართალში მიცემულს უდანაშაულოდ გამოაცხადებდნენ, ხოლო თუ ნაიარევი აღმოაჩნდებოდა, მას დამნაშავედ შერაცხავდნენ.

ზოგჯერ სამართალში მიცემულს ხელზე გავარვარებული რკინის დადებით სციდინენ. მაგრამ რაკი ნებადართული იყო ხელის დაფარვა მეტ-ნაკლები სისქის ქალაღლის საფენით, მსაჯულებს სურვილისამებრ შეეძლოთ კაცი დაესაჯათ, ან უდანაშაულოდ გამოეცხადებინათ იგი.

უდანაშაულობის დასამტკიცებლად ხშირად საკმარისი იყო უბრალო დაფიცება რომელიმე წმინდანის ხატზე, ხოლო როცა ბრალდებულის გადარჩენას მოისურვებდნენ, მისი საქმის წარმოებისას მხოლოდ მოწმეების მიერ მის სასარგებლოდ მიცემულ ჩვენებებს სჯერდებოდნენ; ასეთ მოწმეებად კი კეთილსინდისიერებით ცნობილ ორ-სამ კაცს ირჩევდნენ ხოლმე.

სომხების სისხლის სამართლის კოდექსი შეადგენდა ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის ნაწილს<sup>1</sup> (1). აი ზოგიერთი მუხლი ამ წიგნიდან:

თუ ურწმუნო წინასწარი განზრახვით მოკლავდა ქრისტიანს, მას სიკვდილით სჯიდნენ; თუ შემთხვევით მოკლავდა, მარჯვენა მკლავის მოკვეთას მიუსჯიდნენ; ამასთანავე მოკლულის ოჯახისათვის ზარალის ასანაზღაურებლად მას მნიშვნელოვანი თანხა უნდა გადაეხადა.

თუ ერთი ქრისტიანი წინასწარი განზრახვით მოკლავდა მეორეს, მასაც სიკვდილით სჯიდნენ; მაგრამ მას შეეძლო თავისი სიცოცხლე

(1) ჩრწმუნებთან, რომ ვახტანგისეული სამართლის წიგნთა კრებულის ორიგინალზე საქართველოს მეფეს საკუთარი ხელით წაუწერია ასეთი მნიშვნელოვანი ფრაზა: „ბოლოს და ბოლოს ჩემს ხალხს მე მივეცი დაწერილ კანონთა წიგნი; მაგრამ ამ კანონებს ძვირითად დაიკავენ საქართველოში, სადაც არასოდეს ცნობდნენ სამართალს“. სამართლის ეს წიგნი გამოიცა 1723 წლის 15 თებერვალს. მოკლიანობით იმისათვის, რომ თავი აერიდებინა ქვეშევრდომთა ბუნებისათვის, ვახტანგ მეფე იძულებული გახდა რუსეთში გახიზნულიყო, სადაც იგი რამდენიმე წლას შემდეგ გარდაიცვალა.



მარჯვენა ხელის დაკარგვით და სისხლის საზღაურის გადახდით გამოეყიდა.

ქურდობისათვის, სარწმუნოებისდა მიხედვით, სხვადასხვა სასჯელი იყო განკუთვნილი. თუ დამნაშავე მაკმადიანი იყო, მას თვალებს დასთხრიდნენ, მოაჭრიდნენ ხელს, ან მეფის სასარგებლოდ ქონების კონფისკაციას მიუსჯიდნენ და ბოლოს, ცოლ-შვილიანად იგი მეფის ყმა უნდა გამხდარიყო.

მეფე თავის თავზე იღებდა ნაქურდალის ანაზღაურებას.

ქრისტიან ქურდს ქონებას ჩამოართმევდნენ ხოლმე, თავად კი იგი ყმა გახდებოდა, მაგრამ მისი ცოლ-შვილი თავისუფლებას ინარჩუნებდა.

ლალატისა და ჯაშუშობისათვის კანონი სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. ზოგჯერ ასეთ დამნაშავეს სასჯელს უცვლიდნენ თვალების დათხრით, მას ქონებას ჩამოართმევდნენ და მის ცოლ-შვილს ყმებად აქცევდნენ.

თუ ვაჟი მამას ან დედას ეურჩებოდა, არ იჩენდა მათ მიმართ სათნადო ყურადღებასა და პატივისცემას, მას ადგილობრივ მღვდელს მიჰკვრიდნენ, რომელიც ყმაწვილს ასეთი საქციელის გამო გაეციტებოდა, შთააგონებდა თავის ვალდებულებებს და მოუწოდებდა ამირიდან მეტი პატივისცემით მოპყრობოდა საკუთარ მშობლებს. თუ ამ დარჩევების მიუხედავად იგი ზნეს მაინც არ შეიცვლიდა, მაშინ საკმარისი იყო მამის ახალი ჩივილი, რომ მოსახლეობა შეიკრიბებოდა და ურჩ ვაჟს ქეებით ჩაქოლავდა. ამ მკაცრ სასჯელს ვახტანგი ასე განმარტავს: დამნაშავეს მოკვდინება მაგალითია სხვა შვილებისათვის, რომლებიც თავიანთი დედ-მამის მიმართ ურჩობით იმსახურებენ სიკვდილს აშქვეყნად და მძიმე მსჯავრს იმქვეყნად. განკითხვის უამს.

მრუშობა ორივე დამნაშავეს სიკვდილით განისჯებოდა. ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის გამოსყიდვა დიდი ჯარიმის გადახდით შეიძლებოდა. მაგრამ მამაკაცს მაინც მოჰკვეთდნენ მკლავს და მოუსპობდნენ ყოველგვარ საშუალებას რომ კვლავ გაემეორებინა თავისი დანაშაული (2).

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის სამოქალაქო კოდექსს საჭარბველოსა და ძველ კოლხეთში ამაჟამადაც იყენებენ. მაგრამ ახ-

---

(2) შარდენი ამბობს, რომ მის დროს სამეგრელოში მრუშობისათვის სამართალში მიცემულ მამაკაცს ვადასახადის სახით მოაყვანიებდნენ ღირს, რომელსაც მეუღლე და ორთავე დამნაშავე ერთად შეეჭყოდა ხოლმე.

ლა მოსამართლეებს საქმის განხილვისას შეუძლიათ რუსული კანონები აირჩიონ, თუკი ამ კანონებს უპირატესობას მიანიჭებენ და საქმისათვის უფრო გამოსადეგად მიიჩნევენ.

ქუთაისში ერთდროულად არსებობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის უმაღლესი სასამართლო. იგი შედგება ერთი თავმჯდომარისაგან, ოთხი მოსამართლისა და ერთი სასამართლო მდივნისაგან. თავმჯდომარე და მოსამართლეთაგან ორნი, რუსები არიან; ორი დანარჩენი მოსამართლე კი არჩეულია იმერელ თავად-აზნაურთაგან. რუს მოსამართლეებს ევალებათ კარგად იცოდნენ ქართული ენა, რომელზედაც ლაპარაკობენ იმერეთში, ხოლო იმერლებს — რუსული.

ახლანდელი თავმჯდომარე ღირსეული კაცია. იგი ამავე დროს საბაჟოს უფროსიცაა და ამ ორივე თანამდებობაზე თავისი სამართლიანობით გამოირჩევა.

თუ საქმე მძიმე დანაშაულს ითვალისწინებს, განაჩენის აღსრულებაზე მას ჯერ იმერეთის გუბერნატორს წარუდგენენ, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას მთავარმართებლის აპრობაციის შემდეგ გამოიტანენ ხოლმე; მთავარმართებელს აქვს განაჩენის დამტკიცების, სასჯელის შემსუბუქებისა და პატიების უფლება.

როცა საქმე პოლიტიკურ ან ისეთ დანაშაულს ითვალისწინებს, რომელიც რუსეთის ქარის ინტერესებს შეეხება, იგი უკვე სამხედრო სასამართლოს ექვემდებარება. დამნაშავეებად აღიარებულ რუსებს წყაპლით ანუ შოლტით (knout) სჯიან, ხოლო ადგილობრივ დამნაშავეებს ზოგჯერ სახრჩობელასაც უსჯიან (3). 1823 წელს ასე დაუსჯიათ აფხაზეთში დასახლებული ერთი თურქი, რომელსაც რამდენიმე რუსი ჯარისკაცი გაუტაცია საზღვარზე და კონსტანტინოპოლში გაუყვდია. მაგრამ შემდეგ წინდაუხედაობა გამოუჩენია და რედუტ-კალეში ჩასულა. აქ იგი გარნიზონის ერთ ჯარისკაცს უცვნია, რომელიც თურქს სხეებთან ერთად დაუტყვევებია და რომელსაც გაქცევა მოუხერხებია.

პოლიცია ქუთაისის კომენდანტს ემორჩილება. მისი ზედამხედველობა ვრცელდება ადგილობრივ მოსახლეობაზე და იმ პირებზე, ვინც აქ რედუტ-კალედან, საქართველოდან, კავკასიის მთებიდან ან ახალციხის მახრიდან ჩამოდის. კარანტინებზე ზედამხედველობაც კომენდანტის ფუნქციებში შედის.

საბაჟოს მთელი ადმინისტრაცია ქუთაისშია დამკვიდრებული, რათა

(3) იმპერატორმა ალექსანდრემ გააუქმა თავის სახელმწიფოში სიკვდილით დასაბრუნება და დაშინთვა.

კანტორებისა და მოხელეების რიცხვი ტყუილუბრალოდ არ გაიზარდოს. იმერეთში სახმელეთო საზღვრებიდან შემოტანილ საქონელზე შემოზიდვის საბაჟო საფასურს ქუთაისში იხდიან. რედუტ-კალედან შემოსულ საქონელს, ვიდრე იგი იმერეთის დედაქალაქში არ გაიგზავნება, ადგილზე მეთვალყურეობას უამრავი მოხელე უწევს. ამ საქონლის მფლობელს 1821 წლის 8(20) ოქტომბრის უკაზის თანახმად შეუძლია საბაჟო საფასური ხუთი პროცენტის ოდენობით გადაიხადოს, ან კიდევ ხელწერილით გადაგზავნოს იგი თბილისის საბაჟოში, სადაც ანგარიშსწორება მოხდება.

შველად სამეგრელოს მთავარი მის ქვეყანაში შემოსულ საქონელზე ბაჟს ერთი პროცენტის ოდენობით ახდევინებდა. ეს ძალზე უმნიშვნელო შემოსავალი იყო. 1823 წელს მთავართან დაიღო შეთანხმება, რომლის მიხედვით უცხოურ საქონელზე დაწესდა საბაჟო გადასახადი ხუთი პროცენტის ოდენობით.

საბაჟო საფასურს იღებდნენ აგრეთვე იმერეთის მეფეებიც. ამ მიზნით მათ ქუთაისის შესასვლელში კანტორა ჰქონდათ გახსნილი. გადასახადს მათი იჯარადარი კრეფდა. რუსეთის მთავრობა კანტორას იმ დრომდე იყენებდა, ვიდრე მთელს ამ პროვინციაში საჭაროდ გამოცხადდებოდა შეღავათიანი ეპქრობა.

იმერეთის მეფეების შემოსავალს წარმოადგენდა ბაჟი და საღებავსა და მოხმარების სხვა საგნებზე დაწესებული გადასახადები. იგი ვერცხლით 20.000 მანეთს (80.000 ფრ.) არ აღემატებოდა. რუსებმა, მას შემდეგ რაც ამ ქვეყანას დაეუფლნენ, მას მიუმატეს არყის საოჯარო ჭირაც. ეს უკანასკნელი იჯარა აღის 7.200 მანეთამდე ვერცხლით (28.200 ფრ.). მწარმოებელი ჯარისკაცებსა და სამიკიტნოებს ამარაგებს არყით და ერთი მათგან მანერკე არაყში, რომელიც შეიცავს სამ ბოთლსა და ერთ მესამედს ვერცხლით 36 კაპიჭზე ნაკლებს (I ფრ. 44 ს.) ახდევინებს. სამაგიეროდ იგი ინარჩუნებს არყის გამოხდის განსაკუთრებულ პრივილეგიას.

ფულად შემოსავალს ყოველთვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხარეში, სადაც თითქმის ყოველგვარი სახის გადასახადისა და სასურსათო ბეგარის გადახდა ნატურით სწარმოებდა. სოფლის მეურნეობის უხვი პროდუქცია იმერეთისა და სამეგრელოს მეფეებს საშუალებას აძლევდა თავიანთ სასახლეებში ჰყოლოდათ ორასი-სამასი თავადი, აზნაური და ყმა, თან წაეყვანათ ეს ამაღა მოგზაურობაში და უზრუნველად ეცხოვრათ თავიანთ სასახლეებში თუ საკუთარ ვასალებთან.

იმერეთი დაყოფილია ოთხ ოლქად ანუ მახრად: ქუთაისის, ვაკის, შორაპნისა და რაჭის მახრებად. ამ მხარის სიგრძე ცხენისწყლიდან მოყოლებული და ქართლთან მომიჯნავე მთებამდე დაახლოებით ას ოცდარვა ვერსია (ოცდათორმეტი ლიე), ხოლო საშუალო სიგანე, კავკასიის ფერდობებიდან ახალციხის საზღვრებამდე — დაახლოებით ასი ვერსი, ანუ ოცდახუთი ლიე მაშასადამე, იმერეთი მოიცავს დაახლოებით რვაას კვადრატულ ლიეს. მისი მოსახლეობა შეადგენს ოთხმოცი ათას შეიდას ოთხმოცდაცამეტ კაცს, როგორც ამაში აქ დართული ნუსხით შეიძლება დაერწმუნდეთ. ამგვარად, იმერეთის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე დაახლოებით ათი კაცი იქნება ერთ კვადრატულ ლიეზე.

იმერეთის ოთხი მახრის მოსახლეობა 1831 წლისათვის

მახრები	ქალაქებისა და სოფლების რაოდენობა	სახლების რაოდენობა	მამაკაცთა რაოდენობა	ქალების რაოდენობა	ჯამი
კვე	55	3,743	13,100	10,219	23,319
ქუთაისი	109	2,965	9,853	8,173	18,026
შორაპანი	128	3,124	9,897	7,692	17,589
რაჭა	114	2,967	11,307	9,467	20,774
თვით ქალაქი ქუთაისი	—	195	581	504	1,085
ჯამი...	406	12,994	44,738	36,055	80,793

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ამბავს, რომ უკანასკნელ ხანს მთელს მახრაში ათთვისეს ვრცელი ყამირები, საფუძველი გვექნება ვიფიქროთ, რომ მოსახლეობის წლიური ნამატი საკმაოდ დიდია. მოსახლეობის ზრდას განაპირობებს აგრეთვე აზიაში ოტომანთა იმპერიის თანამედროვე მდგომარეობაც, რაც უამრავი ქრისტიანის გადმოსახლებას იწვევს.

იმერეთში, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, ცხოვრობს საკმაოდ ბევრი სომეხი და ამ მხარეში გაფანტული რამდენიმე ასეული ებრაული ოჯახი. ცალკე უნდა ვიანგარიშოთ ოთხი-ხუთი ათასი სამხედრო პირი და მოხელე, რომლებიც რუსეთის ადმინისტრაციასთან არიან დაკავშირებულნი.

იმერლები მეტწილად მალლები და ღონიერები არიან; მათ სახის სწორი ნაკეთები აქვთ და, ცხადია, იმავე რასას განეკუთვნებიან, რომელსაც ქართველები და მეგრელები, მაგრამ რადგან იმერლებს მეტნაკლებად შერეული აქვთ ბერძნული, სომხური და ებრაული სისხლიც კი, მათი სახის ნაკეთები მაინც საკმაოდ განსხვავებულია. რაკი იმერები უფრო მთაგორიანი ქვეყანაა, ვიდრე სამეგრელო და ამდენად ქავაც, აქ შედარებით ჭანსალია, აქაური მოსახლეობა ჩვეულებრივ უფრო ღონიერია და პირისახის ფერიც მათ უკეთესი აქვთ.

იმერლები განთქმული მონადირენი და ღვინის მსმელნი არიან. ჩემი მოგზაურობების დროს არაერთხელ მომეცა ამის აღნიშვნის საშუალება, მაგრამ, სამწუხაროდ, იმის აღნიშვნაც მიხდება, რომ ხანგაძლივი დროის მანძილზე არამართო მეცნიერებისა და ხელოვნების, არამედ მორალური ნორმების უგულვებელყოფამაც ეს ხალხი იმდენად წაახდინა, რომ ისინი აღარავითარ სისამაგლესა და უზნეობას აღარ ერიდებიან, თუკი რუს ოფიცრებს დაეჭვრებათ, პირობისა და ფიცის გატება იმერლებისათვის უწინ ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა.

ყალბი აქტების შედგენას, ყალბ ხელმოწერებს, სიტყვების ამოშლასა თუ შეცვლას იმერლები იმდენად იყენებდნენ დაჩვეულნი, რომ ცალკეულ პიროვნებათა საკუთრებაზე მათი უფლება ბევრჯერ საეჭვო და დავის საგანიც გამხდარა. ამბობენ, რომ ასეთი ვითარების თავიდან ასაცილებლად რუსეთის მთავრობას ბრძანება გაუცია, სასამართლო კანცელარიაში რეგისტრაციაში გაეტარებინათ საკუთრების ყველა აქტი. ხოლო მოგვიანებით, ახალი სიყალბის თავიდან ასაცილებლად, მოუთხოვია მათი ხელახლა შედგენა. ამ გზით უბრალოდ და მარტოვად მოინპობოდა ფალსიფიკაციის ყოველგვარი შედეგები და აღარავის ეჭნებოდა იმის საბაბი, რომ წარამარა სასამართლო პროცესები მოეწყო ან არაკეთილსინდისიერი რამ ჩაედინა.

ძველი კოლხეთის თავადთა უღირსი საქციელის უამრავი მაგალითებიდან, მკითხველის ნებართვით, მოვიყვან ერთს. სოლომონს, იმერეთის უკანასკნელ მეფეს, კარგა მოზრდილი მამულები და ყმები უბოძებია ერთი მისგან დიდად დაფასებული დიდებულის სამი ვაჟიშვილისათვის. ორ უფროს ძმას მოუნდომებია ხელში ჩაეგდო მათი უმცროსი, ნაკლებად ჰკვიანი ძმის კუთვნილი წილიც. მათ ნაჩუქრობის აქტში მისი სახელი წაუშლიათ და რაღაც სხვა სიტყვები ჩაუწერიათ. ცოტა ხნის შემდეგ, როცა უმცროს ძმას თავისი მესამედი ნაწილის მიღება მოუნდომებია, მისთვის წინ დაუდვიათ ნაჩუქრობის აქტი.

რომელშიც მისი სახელი არ იყო ჩაწერილი. ამ უკანასკნელს აუღელ-  
ვებლად შეუთვალეობია დოკუმენტი, დაუბრუნებია უკან და განუ-  
ცხადებია, რომ არ ეთანხმება დოკუმენტის შემოწმებულ ასლს. ეს  
გარემოება ძმებს არაფრად ჩაუგდიათ. უმცროს ძმას ისიც განუცხა-  
დებია, რომ რამდენიმე დღის შემდეგ დოკუმენტის შემოწმებულ ასლს  
თვითონ წარუდგენდა სასამართლოს. მას მუხანათობისთვის მუხანათო-  
ბითვე უპასუხნია — აქტივი ორთავე ძმის სახელი წაუშლია, შეუესია  
სიციარიელე და საკუთარი თავი მაჰულების ერთადერთ მემკვიდრედ  
გამოუცხადებია.

ქუთაისის სასამართლოს, რომელსაც ამ უკადრის საქმეზე გადა-  
წყვეტილების გამოტანა ევალებოდა, უბრალოდ დაუდგენია, რომ მა-  
ჰული და ყმები სამ ნაწილად უნდა გაეყოთ. ასეთი ფაქტები სრულ  
წარმოდგენას გვიქმნის კოლხეთის მკვიდრთა ძველ ზნე-ჩვეულებასა  
და ხასიათზე.

სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ამჟამად, მას შემდეგ,  
რაც რუსეთის მმართველობამ აქ არსებული ბარბაროსული რეჟიმი  
შეცვალა, ამ ხალხის ყოფაში მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები შე-  
იმჩნევა. ამ აზრის ფაქტებით განსამტკიცებლად შეიძლება ითქვას, რომ  
ოცი წლის განმავლობაში, რაც ამ მხარეს რუსეთის მთავრობა მარ-  
თავს, მკვლევლობის მხოლოდ ორი თუ სამი შემთხვევა აღნუსხულა.

თვით ხალხმაც კიდევ უფრო სასიკეთოდ იცვალა ზნე. დღეს, რო-  
ცა ბატონები გაცილებით ნაკლებს სჯერდებიან და ხალხიც ხედავს თა-  
ვისი შრომის ნაყოფს, როცა ისინი აღარ ემორჩილებიან მეფის რეკვი-  
ზიციას, უმრავლესობა შრომისმოყვარე გახდა და აღარ იმსახურებს იმ  
საყვედურთა უდიდეს ნაწილს, რაც მათ მიმართ მოგზაურმა შარდენ-  
მა გამოთქვა. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ როცა ამ მხარეში  
ვაჭრობა სათანადოდ მოიკიდებს ფეხს, როცა სოფლის მეურნეობა  
გამდიდრებს მემამულეებსა და გლეხებს, როცა აქ განათლება გა-  
იდგამს ფესვს, როცა ისინი ევროპის ხელოვნებასა და მრეწველობას  
ეზიარებიან, ეს ხალხი პატივისცემას დაიმსახურებს, ნაცვლად იმ გა-  
კიცხვისა, რისი ღირსი იგი დადი ხნის განმავლობაში იყო.

იმერლები ბერძნული წესის ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარე-  
ბენ. იმ დრომდე, ვიდრე მათ რუსები დაიპყრობდნენ, ისინი ემორჩი-

ლებოდნენ კათალიკოსად წოდებულ საკუთარ პატრიარქს და არა კონსტანტინოპოლის პატრიარქს. დღეს აქ სამღვდლო იერარქიას პეტერბურგის სინოდი განაგებს და მათი ეპისკოპოსები თბილისში იღებენ ინსტრუქციებს რუსი არქიეპისკოპოსისაგან.

სომხებს, შორის ზოგიერთნი მისდევენ სომხური ეკლესიის წესს და თავიანთ პატრიარქს ემორჩილებიან; სხვები — ქუთაისის კაპუჩინთა ხელმძღვანელობით კათოლიკურ სარწმუნოებას იზიარებენ.

ამ ორდენის პეტრე იმერეთში 1625 წელს დაშველდნენ. ისინი აქ მეფისა და თავადების ექიმები და დასტაქრები იყვნენ და თან უფასოდ მკურნალობდნენ ხელმოკლე ავადმყოფებს<sup>7</sup>. დაბოლოს, ებრაელებს ქუთაისში აქვთ სინაგოგა და აქ თავისუფლად ასრულებენ ღვთისმსახურებას. რუსებს ჰყავთ თავიანთი მღვდლები (popes) და აქვთ ეკლესიები.

სასულიერო პირებს მთელს აზიაში, გარდა სასულიერო ხელისუფლებისა, გარკვეული საერო ხელისუფლებაც უპყრიათ. მღვდლები, რაბინები, მოღობი მსაჯულნი ან მომრიგებელი მოსამართლენი არიან და მათ გადაწყვეტილებებს ჩვეულებრივ პატივისცემით ეკიდებიან. ასეთი რამ ერთდროულად წარმოადგენს სარწმუნოებრივ, პოლიტიკურ და საქველმოქმედო ინსტიტუტს. ამგვარი მსაჯულების არჩევა ნებაყოფლობითია და ერთმორწმუნეთა ზიზღი და სიძულვილი მიეგება იმათ, ვინც მათს გადაწყვეტილებებს პატივით არ მოეპყრობა.

აქ მოქმედ სხვადასხვა სალოცავს თვითონ მრეელი ინახავს, რომელიც იმაზე მეტ სახსრებს აგროვებს, ვიდრე ამას სახელმწიფო ხაზინა გაიღებდა, ასეთი ხარჯები რომ მისთვის დაეკისრებინათ.

გარდა შემთხვევითი შემოსავლისა და ნებაყოფლობითი საჩუქრებისა, კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნის იმერეთის მეფეებისაგან ნაბობები მამულებიც. სადაც ყმათა შვიდი თუ რვა ოჯახია მიმაგრებული.

ოთხი წელია, რაც ქუთაისის მონასტერს წინამძღვრად ჰყავს წარმოშობით მანტუელი მამა კაპუჩინი, ანუ, როგორც მას ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს — პადრა (padre). იგი სათნო, კეთილმოსურნე ადამიანი, თან კარგი ექიმიცა. ამ თვისებების გამო იგი ბევრ სასიკეთო საქმეს ეწევა და ნამდვილად ღირსია იმ ადგილისა, რომელიც მას უპირავს.

პავა. — ტემპერატურა. — დაავადებები. — იმერეთის მდინარეები. — სოფლის მეურნეობა. — მრეწველობა. — ეპირობა.

პავა. — ტემპერატურა. — დაავადებები.

იმერეთი, რომელიც განედის 42 გრადუსზე მდებარეობს, ჩრდილოეთის ქარებისაგან კავკასიის მაღალი მთებითაა დაცული და წელიწადში რვა თვის განმავლობაში აქ საშინელი სიციხეები ჩამოწვებოდა, პაერს რომ ხშირი წვიმები არ აგრილებდეს. მე უკვე აღვნიშნე, რომ როცა ქარი ზღვის მხრიდან ღრუბლებს მორეკავს, რომელიც იმერეთის გარშემო განლაგებულ ვრცელ ტყეებსა და მთებში ჩამოწვება, აქ კოკისპირულად და ზოგჯერ რამდენიმე დღე გადაბმულად წვიმს ხოლმე.

მაგრამ ასეთი რამ ყოველწლიურად როდი მეორდება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ როცა ევროპიდან მომავალ ხომალდებს პარმარილოს ზღვაში შემოსვლისას აღმოსავლეთის ქარები უშლიან ხელს, იმერეთში ამ დროს შეიძლება არც წვიმდეს. მეტწილად მთელი წლის განმავლობაში ძველ კოლხეთში ას ოცი — ას ორმოცდაათი წვიმიანი დღე თუ დაითვლება, ხოლო მის მეზობლად მდებარე საქართველოში — მხოლოდ ოცდაათი-ორმოცი დღეა წვიმიანი. ამგვარად, ზოგიერთ შემთხვევაში იმერეთსა და საქართველოს შორის იგივე სხვაობაა, რაც მალაბარისა<sup>1</sup> და კორომანდელის<sup>2</sup> სანაპიროებს შორის.

მიწის ნოყიერება, რაც იმერეთში ხშირი წვიმებითა და წყალუბვი მდინარეებითაა განპირობებული, მცენარეულობას ისეთ გამძლეობას ანიჭებს, რის მავალთემსაც იშვიათად თუ შეხვდებით თვით საუკეთესო ნიადაგით ცნობილ ქვეყნებშიც კი. სამწუხაროდ, ეს ნოყიერება, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ამ მხარის მცირერიცხოვანი მოსახლეობისათვის, იმერეთში მავნე კლიმატის მიზეზადაც კი იქცა. მართლაც, იმის გამო, რომ აქ არაფერ კრის ტყის მცენარეებს, რომლითაც დაფარულია ქუთაისის ბარი, ისინი ნელ-ნელა ღვება, რაც ხშირ დაავადებებს იწვევს და რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია ციებ-ცხელება. აქ ზოგჯერ შეტევითი და ლბობადი ციების ან კანის სნეულებით დაავადების საშიშროებაც კი იქმნება. ისინი მეტწილად ემართება ზაფხულის პაანაქება სიციხეში ბარში მომუშავეებსა და უცხოელებს. ამ უკანასკნელთ ავიწყდებათ, რომ აქ საჭიროა



კვების რეჟიმის დაცვა და აგრეთვე ცხოვრების წესისა თუ საბინაო პირობების ადგილობრივ ჩვეულებებთან შეფარდება.

იმერეთში რუსი ჯარისკაცები უფრო ხშირად ავადდებიან, ვიდრე აქ ჩამოსული სხვა ევროპელები. სიკვდილიანობა ზოგჯერ გარნიზონის შეეჭვსედს, ან სულაც მეხუთედს დაჩვეს ხოლმე ხელს. ამის მიზეზი ტილოს ტანსაცმელი უნდა იყოს, რომელიც არ გამოდგება ისეთ ქვეყანაში, სადაც კლიმატი უსასრულოდ ცვალებადია, ავადმყოფობის ვაერტელებას ხელს უწყობს დაუდევრად შერჩეული საცხოვრებელი ადგილი და არასწორი კვების რეჟიმი, ხანგრძლივი მარხვები, დაბოლოს, მათი ჰოსპიტლების განაწესი. ეს განაწესი შეიძლება ვარგისა იყოს შიდა რუსეთისათვის, რადგან აქაური კლიმატი ავადმყოფს ძალის მოკრებაში ეხმარება, მაგრამ ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებში, ჯერ კიდევ სიცხით დასუსტებულ ჯარისკაცს ვერ გამოაჯანმრთელებს ის ერთი ბოთლი ღვინო, რაც, როგორც მარწმუნებდნენ, კვირული რაციონის მაქსიმუმს წარმოადგენს და რისი გამოწერის უფლებაც ექიმსა აქვს.

ჰოსპიტლების რეჟიმის ეს ნაკლი ალბათ დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ჯერ კიდევ არავის უფიქრია საქართველოში აშენებული ლაზარეთებისათვის განსაკუთრებული განაწესის შედგენა, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯარისკაცებს აქ მეტწილად კარგად ექუევიან.

ნება მომეციოთ, ყველა სახელმწიფოსათვის მისაბამ, ღირსეულ მაგალითად მოვიყვანო ინგლისის მთავრობის ბრძნული წინდახედულება და ის ამაღლელებელი, სულგრძელი მზრუნველობა, რასაც იგი ყოველთვის ამელავნებს კოლონიებში მყოფი თავისი ჯარისკაცების მიმართ. გოლბერის<sup>3</sup> (Golberry) სიტყვით, როცა სენეგალში ყოფნისას მას სან-ლუიზის ინგლისური ჰოსპიტლების განაწესი უნახავს, იგი ძალზე გაუხარებია იმ ამბავს, რომ ექიმებს ნება ეძლეოდათ უკვე გამოჯანმრთელებული ჯარისკაცებისათვის ეყიდათ ბორდოს ღვინო, მიუხედავად იმისა, რომ ერთი ბოთლი ღვინის ფასი 6 ფრანკს აღელატებოდა. როდესაც 1822 წელს cholera-morbus ბენგალის ანადგურებდა, ჰოსპიტალში, სადაც ორასი ავადმყოფი ჯარისკაცი იწვა, ყოველ ჯარისკაცს მოჰვლელად თითო-თითო ინდუსი ჰყავდა მიჩენილი.

იმერეთის კლიმატის მანენებლობა არაა განპირობებული ქაობების, ტბორების, ან სხვა რაიჟე ძნელად აღმოსაფხვრელი მიზეზების არსებობით, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ კლიმატური პირობები

მომავალში აუცილებლად გაუმჯობესდება, თუკი ამ მხარეში მოსახლეობა გაიზარდება და ამის შედეგად შეძლებისდაგვარად ამაღლდება მათი კულტურა. ამასთანავე, უნდა აღანიშნოს, რომ ქუთაისის ადგილობრივ მოსახლეობას შორის სიკვდილიანობის პროცენტი არ აღემატება ევროპის ყველაზე ჯანსაღ ქვეყნებში აღნუსხულ პროცენტს. ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ კათოლიკეთა სამოქალაქო მდგომარეობის სარეგისტრაციო წიგნიდან ამონაწერი ცხრილით, რომელიც შედგენილია სამრევლო მღვდლის, მამა სელესტინის<sup>1</sup> (Célestin) მიერ. 1823 წელს აქ ცხოვრობდა კათოლიკეთა ორმოცდაოთხი ოჯახი, ანუ დაახლოებით სამასი კაცი, გარდა ახალციხელი ასი სომეხი კათოლიკე ვაჭრისა, რომელთაც დუქნები ჰქონდათ ბაზარში. ამ ცხრილის მონაცემები ასეთია:

	ჭორწინება	ღაბადება	სიკვდილიანობა
1820 წელს _____	3	16	7
1821 "-----	"	9	12
1822 "-----	22	9	6
1823 "-----	44	18	4

### მდინარეები

იმერეთის ძირითადი მდინარეებია ფაზისი და ყვირილა. ძველი მწერლები ყვირილასაც ფაზისად მიიჩნევდნენ. იგი ძველ შორაპანს ჩაუდის და ამ ქალაქამდე სანაოსნოდ გამოიყენებოდა არა მარტო სტრაბონის დროს, არამედ 1737 წელსაც, რასაც ის ხელნაწერი რუკა მოწმობს, რომლის შესახებ მე უკვე ვილაპარაკე. ეს რუკა პარიზში, საზღვაო რუკების საცავშია დაცული (1).

ყვირილასა და ფაზისის დინების მთელს სიგრძეზე მრავალი მდინარე უერთდება, სახელდობრ: ჩოლაბური, წყალწითელა, გუბისწყალი, ცხენისწყალი და სხვა, მაგრამ არც ერთი ამ მდინარეთაგანი სანაოსნოდ არ გამოდგება.

(1) ამ რუკაზე წარწერები შესრულებულია რუსულად და ქართულად. რუკის შესახებ ცნობები მომაწოდა ჩემმა მეგობარმა, ბ.პ. პოლკოვნიკმა სტემფოსკიმ (Stempfowsky), აწ განსვენებულ ბანკერსა და რიშელიეს აღიუდანტმა, ხელნაწერთა და მხატვრული ლიტერატურის აკადემიის კორესპონდენტმა, და მანვე მითარგმნა წარწერები. ამ მხატვარმა კაცმა დაწერა რამდენიმე მცირე ზომის სამეცნიერო შრომა ბოსფორის სიძველეთა შესახებ და საინტერესო სტატია უძღვნა ბანკერსა და რიშელიეს, რომელსაც ეს კაცი განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა; უნდა აღნიშნოს ისიც, რომ ამ სიყვარულს იგი სიყვებით მისახებრებდა.

ჟუეტი, რობერტსონი და თითქმის ყველა, ვინც წინაპართა ვაჭრობაზე საუბრისას ცდილობდა ზუსტად მიეთითებინა ძველი სავაჭრო გზები, ფიქრობდა, რომ საქონლის გადატანა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და პირიქით, ფაზისითა და კირუსით წარმოებდა და სწორედ იოლი სამდინარო მიმოსვლა განაპირობებდა იმ ამბავს, რომ აღნიშნულ მიმართულებას პრიორიტეტი ეძლეოდა. თავიანთი კვლევადიებებით ცნობილი და გამოჩენილი ეს მეცნიერები არ დაუშვებდნენ ამ შეცდომას, მათ რომ სცოდნოდათ, თუ რაოდენ მცირე მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ მხარეში სამდინარო ნაოსნობას და არც ამ ორი მდინარის ადგილმდებარეობა შეეშლებოდათ. აშ-ს თაობაზე მე შემიძლია რამდენიმე განმარტების მოცემა. რაც ამ ადგილების ზედმიწევნით დათვალიერების შედეგს წარმოადგენს.

უპირველეს ყოვლისა, მე პირადად ვიზიარებ იმ აზრს, რომ ფაზისზე ყოველთვის იყო ნაოსნობა ზღვიდან ცხენისწყლის შესართავამდე, შესაძლოა შორაპნამდეც, თუმცა მდინარის აღმა ასე შორს ხომალდები უკვე ვეღარ მიდიან. შართლაც, მთელს ამ გაყოლებაზე მდინარის დინება მდორეა. აქ არავითარი ჩანჩქერი და არც ერთი სახეფათო რიფი არ არის. რაკილა მდინარე ზღვაში ზუსტად იმ ადგილას ჩაედინება, სადაც უძველეს დროსა და შუა საუკუნეებში ხომალდები ნაპირს მოადგებოდნენ ხოლმე. ეს სამდინარო კომუნიკაცია ვაჭრობისათვის ხელსაყრელი და ბევრად უფრო უხიფათო იყო, ვიდრე სამეგრელოს უღრან ტყეებზე გამავალი სახმელეთო გზა, სადაც მაშინ აფხაზების თავდასხმების საშიშროება არსებობდა.

შორაპნიდან მცხეთაში (Mtskheta) (2) და კირუსის ნაპირებამდე საქონლის ჩასატანად საჭირო იყო ციცაბო მთა-ვორების გადალახვა. ტვირთს ამ გზაზე მხოლოდ ცხენებით ან ხარებით ეზიდებოდნენ. მიდიოდნენ ქარავენად, რათა თავი დაეცვათ მოსალოდნელი შეტაკებებისაგან. ქარავენი იმიტაც იყო ხელსაყრელი, რომ ძნელ გზებზე სიარულისა და მდინარეზე ფონით გადასვლის დროს ერთმანეთს უფრო ეხმარებოდნენ ხოლმე. მე სრულებითაც არ მჭერა არსებობა იმ ასოციაციისა, რომელთა შესახებ სტრაბონი ლაპარაკობს. იმასაც ვერ მიმხვდარვარ, ამდენი ხიდი სად უნდა ყოფილიყო გადებული. რო-

---

(2) ძველ დროში სწორედ მცხეთა, კირუსისა და არაგვის შესართავთან მდებარე იბერიის ძველ დედაქალაქი, უნდა ყოფილიყო ევროპასა და აზიაში საქონლის გასანაწილებელი ადგილი. ეს ქალაქი, საქართველოს ახლანდელი დედაქალაქიდან, თბილისიდან ექვსი ლეითა დაშორებული.

დესაც საქონელი მცხეთაში ჩააღწევდა, აქ მას კვლავ ცხენებსა და ხარებს აპკიდებდნენ, თუ იგი სპარსეთსა და ბაქოში იყო გასაგზავნი. ბაქოს ნავსადგურიდან საქონელი გადაიღვლიდა კასპიის ზღვას, გადმოიტვირთებოდა თურქმანთა (Turcomans) ქვეყანაში და ბუხარის გზით ჩინეთში ჩადიოდა. ასეთი ორმაგი კომუნიკაციისათვის კირუსის სანაოსნოდ გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა.

ეს მდინარე თავისი სწრაფი დინებისა და მცირე სიღრმის გამო თბილისში მართლაც არ გამოდგება სანაოსნოდ. იგი არც მინგეჩაურშია<sup>5</sup> (Mingetchaur) სანაოსნო. სწორედ აქ, თბილისიდან სამასზე მეტი ვერსით დაშორებულ ადგილას, გადავლახე ეს მდინარე. აქ იგი სანაოსნოდ კიდევ უფრო გამოუსადეგარი უნდა იყოს, რადგან მას არაქსი უერთდება და მისი სისწრაფე ბევრად მატულობს.

არაერთი მწერლის მიერ ერთმანეთის წაბაძვით მრავალგზის გამოვრებული ამ შეცდომის აღმოსაფხვრელად სხვა საბუთსაც მოვიშველიებ: თბილისიდან კასპიის ზღვამდე კირუსი ისე მიეძინება, რომ მის ნაპირებზე არცერთი მნიშვნელოვანი ქალაქი არ ძევს და თუ ოდესღაც ამ მდინარეზე მართლაც სწარმოებდა სავაჭრო საქონლის გადაზიდვა, აქ ქალაქების რაიმე ნიშან-კვალი მაინც უნდა ჩანდეს.

თბილისიდან ექვსი ლიეს დაშორებით ხრამის (Crome)<sup>6</sup> ნაპირებზე და არა მტკვარზე (ანუ კირუსზე), ვხვდებით ძველი ქალაქის ნანგრევებს. რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მოშორებით. შამქორში<sup>7</sup> (Chamkor), რომლის ხიდის სვეტი და თაღები მის ძველს დიდებას ადასტურებენ, ძვეს განჯა და ორთავე შემახა<sup>8</sup> (Chamakhie). ყველა მათგანი კირუსის ნაპირებიდან მოშორებით არის განლაგებული. ამავე დროს ამ ქალაქებსა და ბაქოს შორის ყველგან შეხვდებით ძალზე ძველ ქარვასლებს — უცილობელ საბუთს იმისას, რომ ტვირთი აქ ურმებით (arabats) (თათრული ურემი) ან ცხენებით ჩამოჰქონდათ.

ბაქოს აქვს დაცული ყურე და მისი ნავსადგური ყველაზე უფრო ახლოს მდებარეობს თურქმენეთის სანაპიროზე მდებარე ბალხანი<sup>9</sup> (Balkan) ყურესთან, სადაც ოქსუსის<sup>10</sup> (Oxus) შესართავი იყო. ბაქო ყოველთვის მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქს წარმოადგენდა, მაშინ როდესაც არაქსისა და კირუსის შესართავთან. მულანის<sup>11</sup> (Mougan) მწირი დაბლობის ბოლოში მდებარე სალიანს<sup>12</sup> (Salian) არასოდეს ჰქონია რაიმე მნიშვნელობა.

ქვეყანაში. სადაც სასაპალნე საქონელი თითქმის ყველგან თავისუფლად პოულობს საძოვარს და სადაც არსად არ არის საჭირო

სასტუმრო-ბაყების ასაგებად ხარჯების გაღება, ტვირთის ხმელეთით გადაზიდვა უფრო იაფი, მოსერხებული და უხიფათოა, ვიდრე მისი სამდინარო გზით გადაზიდვა, რომლის დროსაც ხშირია დაგვიანება და ფათერაკები.

ამის უგულვებლყოფა ძნელი იქნება, თუ გაითვალისწინებთ, რომ ძველად აზიაში მხოლოდ ისეთი ძვირფასი საქონლით ვაჭრობდნენ, როგორცაა ხაში აბრეშუმში, სანელებლები, სუნამოები, ბრილიანტები და მარგალიტები. ჩვენს დროშიც კი, თვით საფრანგეთის შიდა ტერიტორიებზე, ძვირფასი საქონელი არასოდეს არ გადააქვთ სამდინარო გზით.

იმის დასასაბუთებლად, რომ სულ რაღაც ორმოცი წლის წინათ თითქმის არაფერი იცოდნენ კოლხეთისა და საქართველოს გადამკვეთი ორი ცნობილი მდინარის შესახებ, სიტყვასიტყვით დავიმოწმებ გიბონის ერთ-ერთ ადგილს (3).

„ფაზისი სათავეს იღებს კავკასიონიდან. რომელიც აზიაში ყველაზე მაღალ და ციკაბო მთაგრეხილს წარმოადგენს. სათავეში ფაზისი ისეთი სწრაფია, რომ მასზე ას ოცზე მეტი ხიდი იქნა აგებული, მისი ბიზოქარი დინების რამდენადმე დასაოკებლად. იგი წყნარი და სანაოსნო ხდება მხოლოდ შორაპანში, ხუთი დღის საეალზე კირუსიდან, რომელიც გამომდინარეობს იმავე მთებიდან, მაგრამ მიედინება საწინააღმდეგო მიმართულებით და ჩადის კასპიის ზღვაში. ამ ორა მდინარის სიახლოვის შედეგად ინდოეთის ძვირფასი საქონლისათვის უზრუნველყოფილია გზა, რომლითაც წინათ დადიოდნენ ან, ყოველ შემთხვევაში, რომლის გეგმაც ძველმა ავტორებმა დაგვიტოვეს. დატვირთული ვეძი ჩამოუყვებოდა ოქსუს, გადალახავდა კასპიის ზღვას, აღიოდა კირუსზე და ფაზისის დინებას დაჰყვებოდა ექსინში (Euxin). ხმელთაშუა ზღვაში და სხვ.“

ვწუხვარ, რომ როცა საქმე ეხება ასე სამართლიანად დაფასებულ მწერალს, როგორცაა ისტორიკოსი გიბონი, იძულებული ვარ ვაღიარო, რომ მისი ნაშრომის ეს პარაგრაფი მრავალ შეცდომას შეიცავს.

ფაზისი სათავეს იღებს კავკასიონის მაღალ მთებში, ჩაუდის ქუთაისის და მთელს ამ მანძილზე, ვიდრე იგი შეიერთებს ყვრილას და მიალწევს კოლხეთის დაბლობს, მისი დინების ჩამხერგავი კლდეებისა თუ ჩანჩქერების წყალობით, აგრეთვე მეტისმეტი სისწრაფის გამო, ვა მდინარე ვერასოდეს ვერ იქნებოდა სანაოსნოდ გამოსადეგი. ყვირილა.

(3) „რომის იმპერიის დაცემისა და დამხლის ისტორია“, ტ. 10, გვ. 286.

რომელსაც ძველი აღმწერლები, როგორც ჩანს, ფაზისს უწოდებდნენ, შორაპნამდე ნამდვილად იყო სანაოსნო; მაგრამ შორაპნიდან იგი ჩრდილოეთისაკენ უხევებს და საქართველოში აღარ მიედინება. მდინარე, რომელზეც სტრაბონის ვარაუდით. ას ოცი ხილი იყო აგებული,<sup>12</sup> შეიძლება მხოლოდ ძირულა ყოფილიყო; იგი სათავეს იღებს იმ მთებში, რომლებიც იმერეთს ქართლისაგან გამოჰყოფს; ამ მდინარის მეტისმეტი სისწრაფე მოწმობს, რომ მასზე არაერთი ნაოსნობა არ მოხერხდებოდა.

მას შემდეგ, რაც ეს ფაქტები მოვიყვანე, აღვნიშნავ მეცნიერ-ისტორიკოსის მიერ დაშვებულ უფრო მნიშვნელოვან შეცდომასაც. იგი ვარაუდობს, რომ ფაზისი და კირუსი ერთი და იმავე მთებიდან გამოდინან; დღეს კი საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფაზისი, ანუ რიონი. სათავეს იღებს იალბუჯის მახლობლად, ხოლო მტკვარი, ანუ კირუსი — ახალციხის მთებში, მაშასადამე, მათი სათავეები ერთმანეთისაგან დაახლოებით სამოცი ლიეთია დაშორებული.

ყოტა არ იყოს, გამიგრძელდა სიტყვა ამ ორი სანაოსნო მდინარის შესახებ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს საკითხი გეოგრაფიით, ისტორიითა და ვაჭრობით დაინტერესებულ პირთათვის ერთნაირად საგულისხმოა.

### სოფლის მშრომლობა

იმერეთის გუბერნიაში შემავალ ოთხ მაზრაში განსხვავებულ სოფლის მეურნეობას მისდევენ.

ვაკის მაზრაში, რომლის ნახევარზე მეტი დაბლობს წარმოადგენს და ნიადაგიც ძალზე ნაყოფიერია, ხარობს ბამბა, თამბაქო და თუთის ხე. მოკლებოქკოვანი ბალახმცენარე ბამბა აქ ბამბის ერთადერთი სახეობაა და საკმაოდ მაღალი ხარისხისაა. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ აქ ალბათ მხოლოდ გრძელბოქკოვანი ბამბას დათესავენ, იმიტომ, რომ ევროპის ბაზრებზე მისი ფასი გაცილებით მაღალია. გრძელბოქკოვანი ბამბის გაშენება აქ უკვე სცადეს კიდევ. მაზრაში დათესილია ბენგალიდან ბენდერ-ბუშეს გავლით ჩამოტანილი ამ მეცნიარის თესლი. აღნიშნულმა სიძაღემ ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა მთელს ამ მხარეში, საქართველოსა და სომხეთის არაქსის მომიჯნავე ნაწილში ხელი შეუწყოს ორმაგი ბამბას გავრცელებას, რაც ეკვიპტისათვის სიმდიდრის წყაროს წარმოადგენს.

ვაკის მაზრისა და სამეგრელოს თუთუნს, დამუშავებულსა და უფ-

რო მეტის მზრუნველობით შეფუთულს, შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს ამერიკის საუკეთესო თამბაქოს. ამ მზრის ბევრ ადგილას იზრდება თუთის ხეები, მაგრამ სასურველია, რომ ეს ხე აქ კიდევ უფრო მეტად მოშენდეს. ამ მზრასში გვხვდება ველური ზეთისხილის ხეები. ამ ხის მოშენება ქვეყნისათვის იმიტომაც იქნება დიდად ხელსაყრელი, რომ ზეთს გასაღების ბაზარი მაუღლს სამხრეთ რუსეთში ექნება.

არ შეიძლება აქ არ ჩხაროს მელნის გუნდის მომცემმა მუხის ჩიშმა, საკორპე მუხამ და ფისტის ხემ; თუკი დაეჭვრებათ ინგლისელებს, რომლებმაც ინდოეთიდან გზად ძველი კოლხეთი გამოიარეს, ვაკის მზრის ნაყოფიერი და მოსაელლანი მიწები ზედგამოჭრილი იქნება ინდიგოს მოსაშენებლად. ამ ოლქის მოსახლეობას მოჰყავს მხოლოდ ყურძენი, სიმინდი, ფეტვი. ქერი, ჭვავი და ცოტაოდენი ხორბალი.

ქუთაისის მზრასა და შორაპნის მზრის ერთ ნაწილში ძალზე ბევრია ვენახი. ტყეებში ყველგან იზრდება ველური ვაზი. რომელიც ნაყოფს დიდი რაოდენობით იძლევა. მზრასში მოჰყავთ ავრეთვე სიმინდი, ფეტვი და ქერი. აქ ზოგან გვხვდება ცხენის რემებიც, მაგრამ ძროხა და ცხვარი შედარებით ცოტაა.

რაქის მზრასში უპირატესად თესავენ ხორბალს, ჭვავსა და ქერს; აქ არ მოჰყავთ არც სიმინდი და არც ფეტვი. რადგან ამ მხარეში მარცელეულის დასამწიფებლად საჭირო ტემპერატურა სათანადოდ მაღალი არ არის. მთელს ძველ კოლხეთში არ გვხვდება შერია; უმეტესად გავრცელებულია ქერი.

### ხელონობა და მკაწველობა

ადვილი მისახვედრია, რომ საუკუნეების მანძილზე ევროპისაგან მოწყვეტულ კოლხეთში მრეწველობა ძალზე შეზღუდული უნდა ყოფილიყო და რომ აქ ოჯახებში კონცენტრირებული მრეწველობა ვერაზოდეს გახდებოდა ფაბრიკებისა და მანუფაქტურების შექმნის საფუძველი. მაგრამ საოცარია, რომ აქ, სადაც ძალზე ჩვეულებრივი ხელსაწყოებიც კი ცნობილი არ არის, შეხვდებით ხელონობის ისეთ სახეობასაც, რომელსაც ერთობ განვითარებულ ცივილიზებულ ქვეყნებში მისდევენ. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ აქაურებს ხელონობის დიდი ტრადიცია აქვთ. ასე მაგალითად, სამეგრელოსა და იმერეთის ზოგიერთ ოლქში ქხოვენ სელის ტილოებს; ხოლო ვაკის მოსახლეობა

მსეთსავე საუცხოო და ბრწყინვალე აბრეშუმის ქსოვილებს აწარმოებს, როგორც მრეწველობის ამ დარგით ცნობილი სპარსული ქალაქებიდან — იეზლიდან<sup>14</sup> და ქაშანიდან<sup>15</sup> შემოდის. ბოლოს, აქ ძალზე განვითარებულია ლებვის ხელოვნება. შეღებილი ნაწარმი ყურადღებას იქცევს არა იმდენად ფერთა სხვადასხვაობით, რამდენადაც მათი სიხასხასითა და სიმსუყით. განსაკუთრებით მშვენიერი ნიუანსების მიღება შეუძლიათ ველური ენდროსაგან.

ასეთი პროდუქციის გვერდით ვხვდებით მეტად პრიმიტიულად გამოთლილ ბორბალს, რომელსაც არც მანა აქვს და არც ფერსო. ხერხის ხმარება კი იმერეთის მხოლოდ იმ ადგილებში იცაან, რომელთა მახლობლადაც რუსთა ჯარია დაბანაკებული.

ხუთი წელია, რაც იმერეთისა და სამეგრელოს საზღვარზე არსებობს ცვილის გაშათობის და სანთლების დამამზადებელი ფაბრიკა. იგი ტაგანროგიდან მოსული ბერძნების მიერ არის დაარსებული.

სხვადასხვა გარემოებათა ერთობლიობა ხელს შეუწყობს ამ მხარეში ქარხნებისა და სოფლის მეურნეობის მოზრდილ საწარმოთა დაარსებას. აქ დიდი ზომისა და საუცხოო ხარისხის ხის მასალა ძალზე იაფია. ასევე იაფად შეიძლება ტაგანროგიდან შემოსული რკინის შოვნაც. აქაურ სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და სამრეწველო საქონელს გასაღების ბაზარი ექნება შიდა აზიასა და მთელს რუსეთში, ასე რომ, საზღვაო ომის შემთხვევაში მას არაერთგვაროვანი დაბრკოლება არ დაემუქრება. სულ მცირე გასამრჯელოთი შეიძლება ადგილობრივ მკვიდრთა დაქირავება, რომელთაც მშვიდი ხასიათი აქვთ და საქმეში ერთგულებასა და სიბეჯითეს ამელავენებენ. ჩეტვერტი სიმინდი, რომელიც სამას ოცდაცამეტ ლივრს იწონის ძვ. წონის ერთეულით, მხოლოდ 7-9 ფრანკი ღირს, ხოლო ჩეტვერტი ხორბლის ფასი 12 — 15 ფრანკია. გირვანქა ხორცი ღირს 8-10 კაპიკი, ანუ სანტიმი. ასი-ასოც გირვანქიანი ღორის ყიდვა შეიძლება 10-12 ფრანკად. დაბოლოს, ერთი ბოთლი ჩვეულებრივი ღვინო ერთი სუც კი არ ღირს.

აქაური სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სურათის სისრულისათვის ვიტყვით, რომ გაზაფხულზე და შემოდგომით თბილისის ბაზარზე ოთხიდან შვიდ წლამდე ასაკის ჩერქეზული ცხენის ჰოვნა 40-დან 300 ფრანკად შეიძლება. ერთი უღელი უჯიშო ხარი 80-დან 90 ფრანკამდე ღირს, ერთი უღელი კამეჩი კი — 120-დან 150 ფრანკამდე.

თუკი ამ ცნობებს იმასაც დავუმატებთ, რომ ქვეყანა დასერილია



მდინარეებით, რომ ფაზისი და ხობი უკავშირდება ზღვას და ამით დიდად გაადვილებულია პროდუქციის გაზიდვა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ძველი კოლხეთის აუზი ერთი იმათათაგანია, სადაც შეიძლება მრეწველი კაცის მეცადინეობამ ძალზე იოლად პოვოს სათანადო საზღაური. ასეთი მეცადინეობა მხოლოდ ორ რასმეს მოითხოვს — უსაფრთხოებას და მხარდაჭერას. ყველაფერი იმაზე მიგვითითებს, რომ ერთიც და მეორეც კვლავაც მტკიცედ იქნება მისთვის გარანტირებული.

იმერეთის ნიადაგის სიმდიდრის შესახებ ჩემ მიერ აღნიშნულ ცნობების დასტურად, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება მოვიტანო ამ მხარის დოქტორ ტუკისეული<sup>6</sup> (Tooke) აღწერა: იხ. მისი „რუსეთის იმპერიის ისტორია“, ტ. VI, გვერდი 231.

„მთელს ამ ქვეყანას ისე კარგად უწყობს ხელს ბუნება. რომ აქაურ მოსახლეობას სანატრელი აღარაფერი დარჩენია; კლიმატი, ნიადაგი, საწინდარია აქაური დოვლათიანობისა, სარგებლიანობისა, რომელსაც ადამიანი ესწრაფვის. მთის კალთებზე შეფენილია მუხის. კოპიტის, წიფლის, თელის, წაბლისა და კაკლის ხეები; მათ გარს შემოხვევია ვაზი, რომელიც დიდი რაოდენობით იძლევა ყურძენს. ბაჰა აქ დაუმუშავებლად მოდის. ვხვდებით ევროპის ყველაზე საუცხოო ხეხილს. დაბლობები საესეა ბრინჯის, ხორბლის, ფეტვის, კანაფის, სელის ნათესებით; მათი დაკუთვება დიდ შრომას არ მოითხოვს. აქაურ მეურნეს არც სეზონის კაპრიზებისა ეშინია. ველებზე ვრცელა საქოვრებია, მდინარეებში კი — უამრავი თევზი. ბუნებას ამ მხარის მკვიდრთათვის თოქოს ყველაფერი მიუძღვება, რაც მათი კეთილდღეობისათვის არის საჭირო“.

### პაროზა

მარადიული ნიშანი სიძველისა, კოლხეთის თითქმის ყველა ტყეს რომ ემჩნევა, საკმარისი საბუთია იმისა, რომ სოფლის მეურნეობა აქ მუდამ შეზღუდული იყო და რომ მისი პროდუქტები ვაჭრობისათვის ყოველთვის მხოლოდ მეორეხარისხოვნად ითვლებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი და სარფიანი საქმე აქ მუდამ მონათვაქრობა იყო: ამას ხელს უწყობდა აქაურ მკვიდრთა სახის ნაკვთებისა და აღნაგობის სრულყოფილება. გაცულა-გამოცვლის დროს ეს მონები საქონელს წარმოადგენდნენ; ხარკის გადახდისას კი — ფულის მაგივრობას სწევ-

დნენ. ამ ამბობზენი ვაჭრობის დახასიათებისას ისტორიკოსი გიბონი ამბობს: „როდესაც კაცობრიობა აღშფოთებული იყო ასეთი სამარცხენო ვაჭრობის გამო, რომლის საცნადაც ამ მხარის მცხოვრებლებმა თავიანთი ცოლები, ქალაშვილები და დები აქცეეს, ფილოსოფოსი, თითქოს ერთგვარი ნუგეშით შენიშნა, რომ აზიის ხალხები, კანსაკუთრებით კი ევროპის თურქეთის ხალხები ამ მონებთან აღრევას უნდა უშაღლოდნენ თავიანთი გარეგნობის სრულყოფილებას. სტამბოლის მკვიდრთა შორის დღეს ძნელი ვამოსარჩევია იმ ჰუნების შთამომავალნი, რომლებმაც ატილას მეთაურობით ევროპა ააოხრეს; იმდროინდელი ისტორიკოსები კი მათ ადგილობრივი მოსახლეობის დამახინჯებლებად თვლიდნენ“.

რუსეთის მიერ კოლხეთის დაკავებამ ბოლო მოუღო ტყვეთა სყიდვას და კაცთმოყვარეობით ნაკარნახევმა ამ ღონისძიებამ რაღაც გველენა მაინც იქონია ოტომანთა იმპერიაზე, რომელიც თავის საუკეთესო ჯარს კოლხეთისა და საქართველოს ქრისტიანთა შვილებით აკომპლექტებდა.

დღეს ამ მხარეში ვაჭრობის ძირითად საქონელს წარმოადგენს მცირე ღირებულების მქონე ზოგიერთი პროდუქცია: ორასი ათას ოყა (დაახლოებით ექვსასი ათასი გირვანქა) ცვილი, საკმაოდ დიდი რაოდენობით თაფლი, ხარკამეჩის ტყავი, ბეწვეული, თუთუნი, კაკლის ხე და ორი თუ სამი საპალნე სიმინდი, რაც ტრაპიზონსა და კონსტანტინოპოლში იგზავნება.

მას შემდეგ, რაც 1821 წლის 8 (20) ოქტომბრის უკანით აპიერკავკასიის რუსეთის პროვინციებისათვის ვაჭრობაში შეღავათები იქნა დაშვებული, ეს მხარე სატრანზიტო ვაჭრობითა და საკმაოდ მნიშვნელოვანი საკომისიო პრივილეგიებით სარგებლობს. პირველი ექსპედიცია ოდესიდან რედუტკალეს ნავსაღგურამდე 1822 წლის იანვარში განზორციელდა. შემოტანილი საქონლის ფასმა 1824 წლის 1 ივლისიდან 1825 წლის 1 ივლისამდე დაახლოებით 3 მილიონამდე აიწია. ქუთაისის, სურამის (Suriamet) და აგრეთვე სამეგრელოს ზოგიერთი სოფლის მცხოვრებლები მონაწილეობას იღებენ ტვირთის ცხენებით გადაზიდვაში. თავდაპირველად, რედუტკალედან თბილისამდე ტვირთის გადაზიდვაში მათ 4-5 მანეთს უხდიდნენ ფუთში (12-15 ფრანკს ცენტნერში); მაგრამ მოგვიანებით, ეს ფასიც განახევრდა. ტვირთის გადაზიდვისათვის ნაღდ ფულს იხდიდნენ და ქვეყანაშიც ფული დაგროვდა, რამაც ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებას.

სამეგრელოსა და გურიაში, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე იყვნენ თურქეთის მოხარკენი და თვით იმერეთშიც, სადაც ეს ხანელმწიფო ბატონობდა, ხმარებაშია თურქული ზომა-წონისა და ფულის ერთეულები; მაგრამ რადგან ფულს კურსი აქ სანქციით არ არის დადგენილი, როგორც ეს კონსტანტინოპოლსა და სმირნაშია, პიასტრის მანანდის თანმიმდევრული დაცემა სრულიადაც არ უშლის ხელს საქონლის გასაღებას.

სამეგრელოში შემოტანილი საქონელი უპირატესად სატრანზიტო ვაჭრობიანათვის არის გამიზნული და იგი ვერ აქმაყოფრლებს ამ საქონელზე ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებებს. ოქრო და ვერცხლშექაოვილი ფარჩის ორი-სამი თოფი, აბრეშუმის ქსოვილებს ზოგიერთი სახეობა, მუდო, თეთრი და შეღებილი მიტკალი, თავი შექარი, ზეთი, შამპანური ღვინო, კავეული, ფაიფურა, ბროლი და ზოგიერთი სხვა საქონელი ამ მხარეში შეზღუდულად, მაგრამ საკმაოდ წარფინანდ საღდება. აქ შემოტანილ საქონელს უნდა დავუმატოთ აგრეთვე, რამდენიმე საპალნე შარლი და რკინა.

მაგრამ ვაჭრობა კოლხეთში, რომელსაც სუსტი ურთიერთკავშირი აქვს ევროპასთან და სადაც ცუდადაა განვითარებული სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, მაინც ვერ მიაღწევს სათანადო დონეს, ვიდრე ევროპა აქ თავის ხელოვნებას, სოფლის მეურნეობის დარგში თავის ცოდნასა და კაპიტალს არ შემოიტანს. მაშინ კიდევაც რომ უგულვებელყოთ ის გასაქანი, რაც შედეგად მოჰყვება უზარმაზარ სატრანზიტო ვაჭრობას და შეუფერხებელ ურთიერთობას ევროპისა და აზიის უშორესი კუთხეებიდან მოსულ ვაჭრებთან და ადგილობრივი მოხმარების შედეგებით შემოვიფარგლოთ, შეუძლებელი იქნება, რომ აქ უკვე დიდი ვაჭრობის ელემენტები არ დაეინახოთ. იმერეთის თანამედროვე მოსახლეობა,

რუსი ჭარ-სკაცების ჩათვლით შეადგენს	90,000	მეტოვრებს.
სამეგრელოს მოსახლეობა	40,00	
გურიის სამთავროს მოსახლეობა	30,00	

---

სულ 160,000 „

აქედრ მოსახლეთა საერთო სულადობის გარდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქუთაისსა და რედუტ-კალეს ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ ახალციხესთან, სადაც ასი ათასი კაცი ცხოვრობს; უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე თურქეთის სომხეთისა და ანატოლიის

მოსახლეობაც, რომელსაც ისინი იოლად დაუკავშირდებიან. მათ მჭიდრო კავშირი აქვთ აფხაზებთან და ასეთი კავშირი შეიძლება დამყარდეს ჩერქეზეთის სანაპიროზეც და კავკასიაში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ზოგიერთ ხალხებთანაც. არ შეეცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ ქუთაისში დამკვიდრებულ სოფდაგრებს სულ ცოტა ექვსასი ათასი მაცხოვრებლის მომარაგება მოუხდებათ; სოფლის მეურნეობითა და ვაჭრობით გამდიდრებული აქაური მოსახლეობა მიეტანება ყველაფერს, რაც კი აუცილებელი იქნება მათი ჩაცმა-დახურვისა და ავეჯით სახლების გაწყობისათვის: მოსახლეობა შეიძენს სხვა სახის საქონელსაც, რასაც მათ კულტურისადმი ღტოლვა უკარნახებს.

სან-დომინგოში გასული საუუუნის დასაწყისში ცხოვრობდა თორ-თუს<sup>17</sup> (Tortue) კუნძულიდან მოსული რამდენიმე მეკობრე. 1788 წელს იქ ცხოვრობდა:

27.000 თეთრკანიანი,  
21.000 მულატი და თავისუფალი ზანგი,  
და 405.000 მონა.

სულ 453.000 მცხოვრები. იქაური მოსახლეობისათვის ყოველწლიურად 54 მილიონ ფრანკად ღირებული სოფლის მეურნეობის პროდუქტია შექმნდათ და გაქმნდათ 175 მილიონ ფრანკად ღირებული ფრანგული მანუფაქტურა; ამისათვის საჭირო იყო დაახლოებით სამასტონიანი წყალწყვის შეიდასი ხომალდი და ათი ათასი მეზღვაური (4).

ამ უახლოესი დროის მაგალითის საფუძველზე შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ისეთ მხარეში, სადაც შესაძლებელია ძვირფასი კულტურების მოშენება და სადაც ჩვეულებრივი მოხმარებისა და აღმოსავლური ფუფუნების ყოველგვარი საქონლის საწყობებში შენახვა სრულიად უზრუნველად მოხერხდება, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ფართო კომერცი გაჩაღდეს.

ძველ კოლხეთში, როგორც უკვე ვთქვა, ფეხშიშველი ქალებიც კი ოქრო და ვერცხლშექსოვილი ფარჩებით არიან შემოსილნი. სამეკარელოს ქონებში მესხელებით ძვირფას ხალიჩებსა და ხავერდის ბაღაშებს. ასე ჩანს, თუ ოქროს ფუფუნებისადმი მადრეკლება ახიელებისათვის თანდაყოლილი თვისებაა, ისევე როგორც ტყვეებსა და შაობაშში მცხოვრები გერმანელებისათვის თავისუფლებისადმი სიყვარული.

(4) იხილეთ პეის (Page) შრომა „თანამედროვე კოლონია“.

მას შემდეგ, რაც ვილაპარაკე ვაქრობაზე, რამდენიმე სიტყვას ვიტყვი იმის შესახებაც, თუ რა სასარგებლო შედეგები შეიძლება მოჰყვეს მეცნიერების დარგში ამ ახალი ურთიერთობის დამყარებას.

მე უკვე აღვნიშნე, თუ რა ადვილად შეიძლება მოიარო კავკასია და გაღალახო მთები, რომლებიც იმერეთს გარს არტყია\*. ექვგარეშეა, რომ გეოლოგი, ბოტანიკოსი თუ ბუნებისმეტყველი ადვილად მიაკვლევს მისთვის ძვირფას მასალას; მაგრამ ავით როდი შემოიფარგლება ის ინტერესი, რაც მეცნიერულმა სამყარომ ამ ურთიერთობებს უნდა დაუქავეშიროს.

ისეთ ქვეყანაში, სადაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ზედიზედ ბერძენთა უამრავი ახალშენი აღმოცენდა, ქვეყანას, რომელსაც ურიტები დამპყრობელი ეტანებოდა, მარტოოდენ ტყეების გაკაფვითაც კი (ტყე ხომ ხშირად აღამიანთა თავშესაფარსა და მათი დოვლათის სპაღეტს წარმოადგენდა) უნდა აღმოჩნდეს დიდი რაოდენობით კურკული, უნატიფესად შესრულებული კამეები, იშვიათი და უცნობი მონეტები. ბოსფორის აღმოჩენები დაადგენს აქაურ მეფეთა ზუსტ თანმიმდევრობას, ბაქტრიისაში<sup>18</sup> კი შეიძლება მოგვეცეს იმის გარკვევის საშუალება, თუ როდის წაართვეს ბერძნებს ბრწყინვალე გამარჯვებით მოპოვებული ეს მხარე და აიძულეს ისინი აზიის ბარბაროს ხელისუფალთა დამორჩილებოდნენ; ეს ამბავი ხომ გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე ამ სახელოვან ერს იგივე ბედი ეწეოდა ევროპაში.

მას შემდეგ, რაც ეს ახალი ურთიერთობანი ვაქრობასა და მრეწველობასთან კავშირში განვიხილეთ, თუკ ვესურს, რომ იგი უფრო ამბავებული თვალსაზრისით გავიზიაროთ, და მხედველობაში მივიღოთ ის გავლენა, რასაც ფართო ვაქრობა უსათუოდ იჭონიებს ხანგრძლივი დროის მანძილზე მაჰმადიანთა დესპოტიზმს დამორჩილებული და შავს უპეცრობას ნაზიარებ აზიის ხალხთა ზნე-ჩვეულებებზე, ხასიათსა და თვით არსებობაზეც, მაშინ იწევი უნდა ვიჭონიოთ, რომ ერთ ბედს იღეს განგების ნებითა და ევროპელების მეოხებით ცივილი-

\* აღუქა Jmmirelle-ის ორთოგრაფიაში მე გავითვალისწინე, თუ როგორ წარმოიქმნა ამ პროვინციის სახელწოდებას აღმოჩენილი ხალხები; მაგრამ მიმახსია, რომ უფრო სწორი იქნებოდა დამეწირა *Isarithie*.

ზაცია და ხელოვნება კვლავ დაუბრუნდება ქვეყანას, რომელიც თავად იყო ამ ცივილიზაციის აკვანი, დაუბრუნდება ქვეყანას, სადაც ექვსასი თუ შვიდასი წლის წინათ ჯვაროსნები ეზიარნენ მას და იმ დროისათვის ბარბაროსული ჩვენი ქვეყნებიც აზიარეს.

**პირველი ტომის დასასრული**

უაზი საკართველოს მთავარმართებელ გენერალ ერმოლოვისადმი,  
დათარიღებული 1621 წლის 8(20) თებერვარით!

**ბატონ გენერალ ერმოლოვს, საქართველოს მთავარმართებელს**

განვიხილე რა თქვენგან წარმოდგენილი ცნობებო, რომ საქართველოში მრეწველობა და ვაჭრობა კაპიტალისა და სავაჭრო დაწესებულებათა სიმცირის გამო ჯერ კიდევ ვერ განვითარდა სათანადოდ და ვხედავ რა, რომ ეს დარგები, ესოდენ საჭირონი მხარის კეთილდღეობისათვის, შეუძლებელია წარმატებით განვითარდეს ზოგადი წესების საფუძვლებზე და რომ ეს დარგები მოითხოვს განსაკუთრებულ წაქეზებას ამ მხარეში არსებული მდგომარეობის შესაბამისად, ჩვენ საჭიროდ ვცანით ვაგვეცა მათ სასარგებლოდ შემდგომი განკარგულებანი:

### 1. გილდიური უფლებები

რუსეთის ქვეშევრდომებსა და უცხოელ ვაჭრებს, რომლებიც 10 წლის განმავლობაში, თაჩყებულნი 1822 წლის 1 ივლისიდან, დააარსებენ ამ მხარეში სავაჭრო სახლებს და აწარმოებენ ბითუმად ვაჭრობას, ენიჭებათ პირველი გილდიის უფლებები, აღნიშნული დროის განმავლობაში ამ გილდიაზე დაწესებულ ყოველგვარ გამოსაღებო გადახდის გარეშე; მაგრამ ამ დროის გასვლიდან, ისინი, რომლებიც მოიხურებენ ვაჭრობის გაგრძელებას, ასევე ისინიც, რომლებიც ახლად შევლენ მასში (გილდიაში), ვალდებული იქნებიან აწარმოონ ვაჭრობა საერთო წესისამებრ და გადაიხდიან ყოველგვარ ბეგარას, რაიც დაკავშირებულია გილდიურ უფლებებთან.

თავისთავად იგულისხმება, რომ ყველა ის პირი, ვინც აღნიშნული

გაღის გასულამდე შეწყვეტს თავის საეკრო საქმეებს, დაკარგავს გილდიურ უფლებებსაც, რაიც მას ამ ვაჭრობის მეოხებით ეკუთვნოდა.

## 2. შეღავათები პირად ბეგარებსა და სამსახურთან დაკავშირებით

იმავე ხნის განმავლობაში, როგორც რუსი, ისე უცხოელი ვაჭარი თავისუფლდება ამ ადგილებში პირადი სამსახურისა და პირადი ბეგარისაგან, ხოლო მათი სახლები და მალაზიები საქმედრო პირთა ჩასახლებისა და ამ სახლებზე დაწესებული ბეგარისაგან; გამონაკლის წარმოადგენს ადგილობრივი საქალაქო ხარჯები, რაიც მათ, როგორც სახლების მფლობელები, მოვალენი არიან გაიღონ.

## 3. უძრავი საკუთრების შექმნა

როგორც რუსი, ისე უცხოელ მოვაჭრეს ნება ეძლევა ამ მხარეში შეიძინოს უძრავი საკუთრება და გაყიდოს ის დაკანონებულ საფასურის გადახდით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოვაჭრე უცხოელი არ ითვლება ქვეშევრდომად (რუსეთისა). მაგრამ ვაჭრობის შეწყვეტისა და ამ მხარის მიტოვების შემდეგ, იგი ვალდებულია შეიტანოს საქალაქო ადგილებში ასეთი შემთხვევისათვის განსაზღვრული ბეგარება.

## 4. მიწის (ადგილ-მამულის) შექმნა

რუსეთის ქვეშევრდომებსა და უცხოელ მოვაჭრეებს პთაერობი მიერ დათმობათ მიწის ნაკვეთები ამ მხარეში მათთვის საჭირო დაწესებულებათა დასაარსებლად იმ ფასებში, რა ფასებშიც აქ მიწებია იყიდება.

ასევე შექმნა-გაყიდვის პირობებში ზუსტად უნდა იყოს გარკვეული ამ ცნობების საფუძველზე, რომელიც თქვენ პირ იქმნება წარმოდგენილი.



## 5. შეღავათები საბაჟო საფასურთან დაკავშირებით

უცხოეთიდან საქართველოში შემოსული ყოველგვარი საქონელს დაიბეგრება ამ საქონელზე გამოცხადებული ფასის მხოლოდ 5%-ით, შესაგვსავლ გულისტანის ხელშეკრულების საფუძველზე ირანიდან შემოტანილ საქონელზე დაწესებული ბაჟისა. მაგრამ ამ საქონლის საქართველოდან რუსეთში შეტანისას, ისინი (ვაჭრები) გადაიხდიან აზიური და ევროპული ტარიფებით დადგენილ საბაჟო გადასახადს საქონლის სადაურობის მიხედვით. ამისათვის ფინანსთა მინისტრთან თქვენი შეთანხმების საფუძველზე, სათანადო ადგილებზე დაარსებული იქნება საყარაულოები და საბაჟოები, ერთი მხრივ, უცხოეთიდან საქართველოსაკენ მომავალ გზებზე, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოდან რუსეთისაკენ მიმავალ გზებზე.

## 6. ხაკარანტინო წესები

1819 წლის უკანში აღნიშნული განკარგულებები, რომელთა თანახმად ხაკლთაშუა ზღვის ნავსადგურებიდან შემოსულ ფუთებსა და ყუთებში ჩაწყობილი, ორმაგი გარესხვევით უზრუნველყოფილი და რუსეთის კონსულთა მიერ ბეჭედდასმული საქონელი ოდესასა და შავი ზღვის რუსეთის სხვა ნავსადგურებში კარანტინული დაწმენდის გარეშე დაიშვება; ეს წესი სამეგრელოს ნავსადგურებზედაც ვრცელდება. თუ ხსენებულ უკანში აღნიშნული ყველა პირობა ზუსტად იქნება შეკრულებული.

## 7. საქონლის ტრანსპორტირების დაცვის ღონისძიებები ხავაქრო გზებზე

საქონლის ტრანსპორტირების უშიშროების უზრუნველსაყოფად, როგორც მდინარე ფაზისზე, ასევე მთელ სახმელეთო გზაზე, ერთი მხრივ ბაქოდან, ხოლო მეორე მხრივ, რედუტ-კალედან და მარანიდან თბილისამდე და პარაქაო, სატრანსპორტო კოლონებს ეყოლებათ სამხელარი: ესკორტი.

## 8. ქარვასლების მოწყობა

ბაქონსა და შავ ზღვას შორის მთელს გაყოლებზე, აზიური ჩვეევის თანახმად და საკუთარი სარგებლობის მიზნით. ყოველ მოვაჭრეთაგანს შეუძლია მოაწყოს ქარვასლა. ადგილობრივი ხელისუფლება ხელს შეუწყობს ამ წამოწყებას, გამოუყოფს მას ადგილებს, სადაც იგი ხის მასალას მოჭრის ან სხვა საჭირო მასალას იშვოს.

## 9. შავი ზღვის სანაპიროებზე ნავსადგურების მოწყობა

ამჟამად ასეთ ნავსადგურად გამოცხადებულია შავი ზღვის სანაპიროზე გაშენებული ნავსაყუდელი რედუტ-კალე. შემდგენსათვის ადგილობრივი ხელისუფლება არ დააყოვნებს და ყველა ღონეს იხმარს, რათა აღმოაჩინოს და მოაწყოს სხვა ადგილები, სადაც ხომალდებისთვის უშიშარი და მოხერხებული ნავსადგურები აშენდება.

## 10. ამ წესების სივრცე და საზღვრები

ზემოხსენებული წესები ვრცელდება როგორც რუსეთის ქვეშევრდომ, ისე უცხოელ მოვაჭრეებზე, რომლებიც მოისურვებენ ამ მხარეში დააარსონ სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებები: მაგრამ ეს წესები მოქმედებს. პირველ რიგში საქართველოს, იმერეთისა და მათთვის მიკუთვნებული პროვინციების ტერიტორიებზე და არასგზით არ ეხება ამიერკავკასიის რუსეთის სხვა გუბერნიებს.

11. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უცხოელთა აქ დამკვიდრებას თქვენი განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუწესდეს, რათა ვაჭრობის საბაზოთ ამ მხარეში არ შემოიპაროს სავაჭრო წესებისა და ცუდი ყოფაქცევის ხალხი. ამისათვის საქართველოში ჩამოსულმა ყველა უცხოელმა უნდა იქონიოს პასპორტი რუსეთის მისიებისაგან. რომლებიც ამ მიზნით სავარეო საქმეთა სამინისტროდან მიიღებენ განსაკუთრებულ ინსტრუქციებს (1).

(1) ვაჭრობის ინტერესისათვის საჭიროდ ჩავთვალე 1821 წლის 8(20) ოქტომბრის უკანასკნელის დამართო ნაწყვეტები რუსეთის საკარანტინო წესებიდან, პრუღისა და ავსტრიის საზღვრებიდან ოდესის გავლით რუსეთის სატრანზიტო საქონლისათვის მოქმედი უკანადან და აფხაზეთის სანაპიროს ვაჭრობის წესებიდან.

ყველა სახის საქონელს, რომელსაც ადვილად აპყვება შავი ჭირი და რომელიც შემოდის იმ ქვეყნებიდან ან გაივლის იქ, სადაც მძვინვარებს ეს სენი ან სადაც შესაძლებელია მისი არსებობა, დაუწესდება ორმოცდარდლიანი კარანტინი იმ შემთხვევაში, თუკი მფლობელი არ არის თანახმა, რომ საქონელი მარილმყავათი გაიწმინდოს ან წყალში ამოივლოს და შემდეგ რვა დღის განმავლობაში ჰაერზე განიავდეს.

ზემოხსენებულ წესებს ემორჩილება შავი ჭირის ადვილად ამთვისებელი ყველა საქონელი, რომელიც შემოაქვთ დასნეულებული ან საეჭვო ადგილებიდან. ეს წესი ვრცელდება ისეთი ქვეყნიდან შემოსულ საქონელზეც. სადაც არავითარი სენი არ მძვინვარებს, მაგრამ თუკი ეს საქონელი გზად იმ ქვეყანაში ჩამოატარეს, სადაც ჭანმრთელობის დაცვის მდგომარეობა არადაამკაცყოფილებელია.

ასეთ და შავი ჭირით მოდებული ან საეჭვო ქვეყნებიდან შემოსულმა საქონელმა შესაძლოა არ გაიაროს არც საკარანტინო ვადა და არც საკარანტინო წესით დაწმენდა, თუ ყუთები. რომლებშიაც საქონელია ჩაწყობილი, დამზადებული და შეფუთულია ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინებით:

1. თუ ეს საქონელი მოთავსებულია გაფისულ კასრებში, ყუთებში ან სკივრებში და დაგმანული ან დახუფულია იაე მტკიცედ, რომ მასში ჰაერი არ შედის, ან თუ კასრები, ყუთები და სკივრები კარგადაა გახეული გასანთლულ ან გაფისულ ტილოში, ბეწვგაცლილ ტყავსა თუ სხვა რაიმე მსგავს მასალაში.

2. თუ ამ გარესახვევის შემოწმებისას აღმოჩნდება, რომ იგი არაა და არ არის დაზიანებული და გახეული.

3. თუ კასრები, ყუთები და სკივრები კარგად არის თოკით შეკრული და ბეჭდით დალუქული იმ ნავსადგურის რუსეთის კონსულის მიერ, საიდანაც ეს საქონელი გამოიგზავნა.

4. თუ კაპიტანი, რომელსაც მოაქვს საქონელი, წარადგენს დალუქულ პაკეტს იგივე ბეჭდით, რითაც საქონელია დაბეჭდილი, გარდა ამისა, თუ ეს პაკეტი შეიცავს რუსეთის კონსულის ცნობას, სადაც ზუსტად იქნება აღნიშნული ფუთებში, კასრებში ან თუ ყუთებში მოთავსებული საქონლის სახეობა და რაოდენობა და თუ ეს საქონელი დაიტვირთა იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ჭანმრთელობა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

5. თუ ყუთების გახსნისას საქონლის რაოდენობა და სახეობა ზუსტად შეესაბამება რუსეთის მეფის კონსულის ცნობას, მაშინ ეს საქონელი თავისუფლდება ყოველგვარი კარანტინისაგან.

თუ აღმოჩნდება, რომ საქონლის რაოდენობა და სახეობა ზუსტად არ შეესაბამება კონსულის ცნობას, თუ ლუქი დაზიანებულია, ან თუ აღიძრა ეჭვი იმის თაობაზე, რომ გზაში ყუთები გახსნეს, ამოიღეს ან ჩაამატეს რაიმე საგანი, ასეთ შემთხვევაში ყუთები და მათში შოთაფსებული საქონელი გაივლის სრულ კარანტინს, ისევე როგორც ჭირით დასნეულებული ქვეყნიდან შემოტანილი საქონელი (1).

### **დადგინდება რუსეთში შემოტანილი სატრანზიტო საქონლის შესახებ, რომლის ეპროვის ქვაყნაიდან ოდესაში შემოდის**

1. ყველა რუს ნეგოციანტს, რომელსაც უფლება აქვს აწარმოოს საგარეო ვაჭრობა, და ყველა უცხოელს, იმასაც კი, ვინც არ არის რუსეთში დამკვიდრებული და არც გლდიებში (2) ირიცხება, აქვს უფლება საკუთარი სახელით, უცხო პირის ჩარევის გარეშე, ჩატანოს სატრანზიტო საქონელი მოლდავეთის, ავსტრიის, პრუსიის საზღვრებიდან ოდესაში, ხოლო ამ ქალაქიდან — ხსენებული ქვეყნების საზღვრებზე; წარადგინოს დეკლარაცია რუსეთის შეზიდვის საბაჟოში, გააგზავნოს ან დანიშნულების ადგილამდე თან გაჰყვეს ამ საქონელს, იქვე შეინახოს ან სხვა ადგილებში გადააგზავნოს, ხოლო თვითონ ზირგით ან უბარგოდ უკან დაბრუნდეს იმავე საზღვრებზე გამოვლით.

ყოველგვარი სახის სურსათი და საქონელი, გარდა საქვემეზო დენოისა, ისეთიც კი, რომლის იმპორტი ადგილზე სარეალიზაციოდ აკრძალულია, შეიძლება იყოს სატრანზიტო ვაჭრობის საგანი და ემორჩილება შემდეგ განკარგულებებს:

2. სატრანზიტო საქონელი დაიშვება რეძვილოვის, უსტილონგის,

---

(1) ეს დადგინდება. რომლის თანახმად საფრანგეთის ძვირფას ქსოვილებს ოდესაში კარანტინს არ უწესებენ, მიღებულ იქნა ბ-ნ ჰერცოგ დე რიშელიეს მეუქეობით. მისი ახენში მოგზაურობის დროს.

(2) გილდიები, ანუ კლასები. ვაჭრები იყოფიან რამდენიმე გილდიად. ერთმანეთისაგან მერტნაკლებად განსხვავებული ნიხრის მხედვით ამ გილდიაში გაერთიანებულიათვის გარკვეული უფლებები და პრივილეგიები დაწესებული.



ბრესტ-ლიტოვსკის, გროდნოს, ღუბოსარის, მოვილევისა და ოდესის საბაჟოებში.

3. სატრანზიტო საქონელი გაივლის გზებს, ხსენებული დადგენილების შესაბამისად.

4. ზემოთ დასახელებულ ერთ-ერთ საბაჟოში შემოტანილი ჯა სატრანზიტო ვაჭრობისათვის განცხადებული საქონლისათვის, თუ იგი აუშედის ხსენებული დადგენილების თანდართულ სიაში, იხდინან სატრანზიტო გადასახადს ბრუტო ფუთში 30 კაპიკს სუფთა ეკრცხლით, განურჩევლად საქონლის სახეობისა. ამ გადასახადს მთელს სატრანზიტო სავაჭრო გზაზე მხოლოდ ერთხელ იხდინან. ამას გარდა, ვაჭრებ-საგან საქონლის გადაგზავნასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის საბაჟოებში იღებენ მხოლოდ და მხოლოდ სერთო დადგენილებით დაწესებულ საფასურს, განურჩევლად იმისა, ქვეყნის მკვიდრია ვაჭარი თუ უცხოელი.

5. ყველა სატრანზიტო საქონელს, რომელიც გასაგზავნად შემოვა ერთ-ერთ ზემოთ დასახელებულ საბაჟოში, თან უნდა ახლდეს დეტალური დეკლარაცია სამ პირად, იმის აღნიშვნით, თუ რა საქონელს შეიცავს თანდართული ფუთა, კასრი თუ ყუთი. ამ დეკლარაციას საქონელთან ერთად წარადგენენ საბაჟოში. სამივე პირი საქონლის პატრონს ან კომისიონერის მიერ უნდა იყოს ხელმოწერილი, რომელთაც აღნიშნულის სისწორისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ. დეკლარაციის ერთი პირი რჩება შემოზიდვის საბაჟოში, მეორე პირი გადაგზავნება გაზიდვის საბაჟოს, ხოლო მესამე პირს შემოზიდვის საბაჟო მამინე უგზავნის საგარეო ვაჭრობის უწყებას.

6. ყველა საქონელი, რომელიც სატრანზიტო გადასახადისაგან თავისუფალია იმის გამო, რომ შედის მეოთხე პარაგრაფში აღნიშნულ თანდართულ სიაში, გაგზავნამდე გაისინჯება ოდესაში. ის საქონელი კ, რომელიც პირიქით, იმავე პარაგრაფში აღნიშნული დაწესებული გადასახადისაგან არ თავისუფლდება, არ გაისინჯება, გარდა:

1) იმ შემთხვევისა, თუ გაზიდვის საბაჟოში არ დაექვედებიან, რომ ფუთები, ყუთები ან კასრები გზაში არ გახსნილა.

2) თუ საქონლის მფლობელი არ მოისურვებს წარადგინოს ანაბარი ან მინდობილობა, რომლის შესახებაც ლაპარაკი იქნება მე-10 პარაგრაფში, და მოითხოვს საქონლის გასინჯვას, რათა უარი თქვას ამ პარაგრაფში აღნიშნულ გადასახადზე.

7. სატრანზიტო გადასახადისაგან თავისუფალი ყველა სახის საქო-

ხელი, საბაჟოში გაჰინჯვისა და დეკლარაციაში აღნიშნულ დასახელებებთან შედარების შემდეგ, მფლობელის მიერ ისეთნაირად შეიკვრება თოკით, რომ გზაში მისი გახსნა და ფუთიდან რაიმე საქონლის ამოღება შეუძლებელი არ ღარჩეს; საბაჟო იმდენ ბეჭდიან ლუქს დაადებს ფუთებს, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევს; ყოველ ფუთას, კასრსა თუ ყუთს საბაჟო სათანადო ნიშნებსა და ნომრებს დაუსვამს; შემდეგ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე აწონის და შეადგენს საქონლის გადატანის საბუთს, სადაც აღნიშნული იქნება ყოველი ფუთის, კასრისა და ყუთის ნომერი და ნიშანი, საქონლის სახეობა. წონა, დასმულ ბეჭედთა რაოდენობა და გადასახდელი ბაჟის ოდენობა. საქონლის გადატანის საბუთი გადაეცემა იმ პირს, რომელიც საქონელს მიჰყვება; ეს საბუთი სამ ასლად მზადდება: პირველი ვაჭრის ერთ-ერთ დეკლარაციასთან ერთად გადაეგზავნება საბაჟოს, საიდანაც გამოდის საქონელი, მეორე — საგარეო ვაჭრობის უწყებას, ხოლო მესამე საბუთი აქტებში რჩება.

8. რაც შეეხება იმ საქონელს, რომელიც ექვემდებარება ბაჟის გადახდას, საბაჟო ენდობა საქონლის მფლობელის ან მისი კომისიონერის მიერ შედგენილ დეკლარაციას ფუთებში, კასრებსა თუ ყუთებში მოთავსებული საქონლის რაობაზე. ამ დეკლარაციის საფუძველზე საბაჟოს მიერ შედგენილ საქონლის გადაზიდვის საბუთზე იწერება წინა პარაგრაფში ჩამოთვლილი აღნიშვნები. ამავე დროს საბაჟოში განსაკუთრებული ყურადღებით ისინჯება, თუ როგორაა საქონელი შეფუთულ-შეკრული, რათა გზაში ბეჭდის დაზიანების გარეშე შეუძლებელი იყოს ამ საქონლის გახსნა; ბეჭედთა რაოდენობას ამ შემთხვევაშიც საბაჟო განსაზღვრავს. ფუთებისა და ყუთების აწონისა და დეკლარაციაში განცხადებული წონის მიხედვით სატრანზიტო საფასურის გადახდის შემდეგ საბაჟო აძლევს ვაჭარს საქონლის გადაზიდვის საბუთს, რომლის ერთი ასლიც გადაეგზავნება ოდესის საბაჟოს, ხოლო მეორე ასლი აქტებში რჩება.

9. საქონლის გადაზიდვის საბუთზე აღნიშნება საქონლის დანიშნულების ადგილზე გაგზავნის თარიღი და საქონლის გამყოლის სახელი. რეჰვილოვიდან, მოგილევიდან და დებოსარიდან ოდესაში და პირიქით, საქონლის ტრანსპორტირებისათვის საჭირო ეს საბუთები ძალაშია მხოლოდ ორი თვის განმავლობაში. პრუსიის საზღვრებიდან ოდესაში ან ამ ქალაქიდან პრუსიის საზღვრებზე საქონლის გადაზიდვის საბუთებს ასევე ორი თვის განმავლობაში აქვთ ძალა.

იმ შემთხვევაში, როცა საქონელი დანიშნულების ადგილზე დრო-

ულად ვერ ჩააღწევს და ვერც დაგვიანების საპატიო მიზეზი დადგინდება, საქონლის პატრონი გადაიხდის ჭარიმას ბრუტო ფუთში ორ მანეთს ვერცხლით, თუ ზარალს საქონელის დაგვიანებული ჩამოზიდვისათვის დამნაშავე პირები არ აანაზღაურებენ.

10. მე-4 პარაგრაფში ფიქსირებული სატრანზიტო გადასახადის ვარდა, სატრანზიტო საქონლის გაგზავნის მსურველებმა უნდა წარადგინონ მინდობილობა, რომლის საფასურაც შემდეგნაირად განისაზღვრება:

საქონელი, რომელიც არაა დაბეგრილი სატრანზიტო ბაჟით, ისინჯება მეზაჟის მიერ, ამასთანავე საჭიროა ხელწერილის შედგენა იმ გადასახად თანხაზე, რომელიც დაწესებული იყო იმპერიაში სარეალიზაციოდ შემოტანილი საქონლისათვის, ე. ი. ახალი ტარიფის გამოქვეყნებამდე მოქმედი ტარიფის შესაბამისად და დანამატით; ასეთივე წესი ვრცელდება იმ საქონელზე, რომელზედაც საერთო ტარიფით არ იხდიან არავითარ შემოზიდვის ბაჟს, გარდა სატრანზიტო გადასახადისა — ბრუტო წონის ფუთში 4 მანეთს ვერცხლით.

რაც შეეხება იმ საქონელს, რომელზეც ზოგადად დაწესებულია სატრანზიტო გადასახადი — ფუთზე: 30 კაპიკი, იგი არ გაისინჯება, სამაგიეროდ მოწმდება, არის თუ არა ნებადართული ამ საქონლის შემოტანა საიმპორტო ტარიფით: პირველ შემთხვევაში გამყოლებმა უნდა წარადგინონ გარანტია, ანუ მინდობილობა:

1) გადასახდელ თანხაზე, რომელიც იანგარიშება საქონლის საიმპორტო და მოხმარების გადასახადით; ეს თანხა შეეფარდება მოქმედ სატარიფო გადასახადს და განისაზღვრება გამყოლის დეკლარაციის მიხედვით.

2) თანხაზე, რომელიც უდრის ბრუტო ფუთ საქონელზე 50 მანეთს ვერცხლით.

თუ სატრანზიტო საქონლის შემოტანა აკრძალულია, მინდობილობა უნდა იქნეს წარმოდგენილი თანხაზე — ბრუტო ფუთში 100 მანეთის ოდენობით.

საქონლის პატრონი, რომელიც არ წარადგენს ზემოხსენებულ მინდობილობას, შემოზიდვის საბაჟოში მას საქონლის დათვალეირებას მოსთხოვენ. იგი ვალდებულია წარადგინოს მინდობილობა მხოლოდ იმ გადასახდელ თანხაზე, რომელიც დაწესებულია იმპერიაში სარეალიზაციოდ შემოტანილ, ან დამატებულ საქონელზე, ისევე როგორც იმ საქონელზე, რომელზეც ჩვეულებრივი ტარიფით შემოზიდვის არავითარ ბაჟს არ მოითხოვენ. ეს თანხა უდრის ბრუტო ფუთში 4 მა-



ნეთს ვერცხლით. ხოლო თუ საქონელი საიმპორტოდ აკრძალულ სიაში შედის, მისი მინდობილობა ტოლფასი უნდა იყოს 100 მანეთისა ვერცხლით.

იმ შემთხვევაში, თუ სატრანზიტო საქონლის მეპატრონე ვერ იშოვის ასეთ მინდობილობას, მან საბაჟოს ნაღდი ფულით უნდა გადაუხადოს დაწესებულის ეკვივალენტური თანხა და საბაჟოსაგან სათანადო ქვითარს მიიღებს. მინდობილობა ან ანაბარი საბაჟოში რჩება მანამდე, სანამ საქონელი სრულ წესრიგში არ ჩავა დანიშნულების ადგილზე და სანამ ამ თამასუქს არ წარმოადგენენ.

11. მინდობილობად საბაჟო მიიღებს დაგირავეების აქტს რუსეთში არსებულ უძრავ ქონებაზე, რომელიც ეკუთვნის რუსეთის ქვეშევრდომებს ან რუსეთში დამკვიდრებულ უცხოელებს: მინდობილობად ითვლება აგრეთვე კანონიერი საგარანტიო აქტი წარმოდგენილი რუსეთის ქვეშევრდომისაგან ან აქ დამკვიდრებული და პირველ გოლდიაში ჩარიცხული უცხოელი ვაჭრისაგან.

დემონიტის გადახდა წარმოებს მხოლოდ და მხოლოდ რუსული ან უცხოური ფულით მას შემდეგ, რაც მის მიღებასა და გადახდას დადასტურებს საბაჟო, რომელიც საქონლის მეპატრონესთან ერთად საქონელს თავის ბეჭედს დაადებს.

12. ის საბაჟოები, სადაც საქონელი შემოდის, ანაბარებსა და მინდობილობებს მაშინვე აბრუნებს, როგორც კი საქონლის მეპატრონე ან მისი კომისიონერი წარადგენს საქონლის გადაზიდვის საბუთს. როგორც თან ახლავს ტრანსპორტს და გადახდილია იმ საბაჟოში, სადაჩავე საქონელი იმპერიიდან გადის. მაგრამ ეს განაღდებული საბუთო წარმოდგენილი უნდა იყოს დღიდან გაცემისა ექვსი თვის განმავლობაში და მოითვლიდეს ყველა იმ საქონელს, რომელიც გადის პრუსიას საზღვრებიდან ოდესაში ან პირუტყუ, ოდესიდან პრუსიის საზღვრებამდე; სხვა მიმართულებით გასაგზავნი საქონლისათვის ეს ვადა ოთხი თვე განისაზღვრება.

13. თუ სატრანზიტო საქონლის გამყოლი მოითხოვს საქონლის გადაზიდვის რამდენიმე საბუთს, რათა საქონელი სხვადასხვა ტრანსპორტით გაგზავნოს, საბაჟო იმდენ საბუთს გასცემს, რამდენ დეკლარაციასაც გამყოლი წარადგენს.

14. სატრანზიტო საქონელი მოწმდება იმ ქალაქებში, სადაც ეს საქმე ევალებათ: ეს ქალაქები აღნიშნულია სიაში, რომელიც ამ დადგენილებას ერთვის თან, ხოლო საქონლის გადაზიდვის საბუთები საკონტროლო უწყებათა მიერ ისინჯება.

15. საქონლის შემოწმებისას ზუსტად და სწრაფად მოწმდება ყუთებიც და მათზე დასმული ბეჭდებიც. თუ ეს ყველაფერი შეესაბამება საქონლის გადაზიდვის საბუთში ჩაწერილ აღნიშვნებს, საბუთი სასწრაფოდ დამოწმდება და ტრანსპორტიც გზას გააგრძელებს.

16. სათანადო უწყების მიერ შემოწმების პროცესის ყოველგვარი დაყოვნება (მით უმეტეს, თუ ტრანსპორტი შესაფერის მდგომარეობაშია) მკაცრად ისჯება.

17. თუ ტრანსპორტის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ყუთის შეფუთულობა ან მათზე დასმული ბეჭდები დაზიანებულია და მასასადამე, ყუთებიდან შესაძლებელი იყო საქონლის ამოღება, შედგება ოქმი. სადაც აღინიშნება გამყოლთა ახსნა-განმარტებები ამის თაობაზე. ზემოხსენებული ოქმი დაერთვის საქონლის გადაზიდვის საბუთს, ადგილობრივი უწყება დაზიანებულ ფუთებს ახალ ლუქებსა და ბეჭდებს დაადებს და ტრანსპორტი გზას გააგრძელებს. უწყება ფოსტის საშუალებით შემოსაზიდ და გასაზიდ საბაჟოებს დაუყოვნებლივ გადაუგზავნის სამგზავრო საბუთთან ერთად ამ ოქმის ერთ ასლს.

18. თუ საქონლის შემოწმებისას მეურმეები განაცხადებენ, რომ გზაში გარკვეული შემთხვევის გამო დაკარგეს სატრანსპორტო საბუთი და თუ ტრანზიტის ლუქებიც დაზიანებულია, ადგილობრივ ხელისუფლებას ევალება აღწეროს ყველა ფუთა და ეს უწყისი მეურმეს გადასცეს. ამავე დროს, იგი ამ უწყისის ერთ ასლს გადაუგზავნის საბაჟოს, საიდანაც მოდის საქონელი, ხოლო მეორეს — იმ საბაჟოს, სადაც იგი რგზავნება; თუ ეს უკანასკნელი ჩათვლის, რომ ყველაფერი შეესაბამება დეკლარაციასა და საქონლის გადაზიდვის საბუთის ასლს, რომელიც მას დაგაეგზავნა, მაშინ საბუთის დაკარგვა შემთხვევითობას მიეწერება და მეურმეებიც გათავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან; მაგრამ თუ დადასტურდა, რომ საქონელი გზაში შეცვალეს, ან ამოიღეს, ამ შემთხვევაში ისინი ისჯებიან 22-ე პარაგრაფში აღნიშნული ზომების შესაბამისად.

19. თუ მეურმეები ჩათვლიან, რომ მთავრობის მიერ დადგენილ სატრანზიტო გზაზე შეუძლებელია გავლა ან რაიმე წინააღმდეგობა მოსალოდნელი, იმის შესახებ მათ უნდა აცნობონ უახლოესი ქალაქის უწყებას, რომელიც თავის მხრივ საქონლის გადაზიდვის საბუთზე აღნიშნავს მეურმეთა გამოცხადების თარიღს და გზის შეცვლის მიზეზს. იგივე უწყების მოხელეები შეამოწმებენ ბეჭედდასმული ლუქების მდგომარეობას, ყუთების რეალური და საქონლის გადაზიდვის საბუთზე აღნიშნული რაოდენობის შესაბამისობას. თუ მეურმეები მითითებულ

გზის ნაცვლად სხვა გზით ივლიან და ამის შესახებ არ აცნობებენ უახლოესი ქალაქის უწყებებს, ან კიდევ აღნიშნულ ქალაქს გვერდს აუვლიან, ისინი მხილებისთანავე დაჯარიმდებიან, გზიდან ყოველი ოცდახუთი ვერსით გადახვევისათვის 25 ვერცხლის მანეთის ოდენობით, ხოლო თუ საქონლის გადაზიდვის საბუთს ამ დანიშნულების მქონე რომელიმე ქალაქში არ დაამოწმებენ, დაჯარიმდებიან 50 ვერცხლის მანეთით, მიუხედავად იმისა, ფუტები წესრიგში იქნება თუ არა.

20. რადგან მისმა უდიდებულესობა იმპერატორმა ინება ოდესისათვის პორტო-ფრანკოს პრივილეგიების მინიჭება იმ საქონელზე, რომელიც გაივლის რუსეთს და ოდესაში ჩავა, რათა აქედან ზღვით სხვაგან გაიგზავნოს, იგი იმპერიიდან გაზიდულ საქონლად (2) ჩაითვლება და როგორც კი გამოსცდება პორტო-ფრანკოს ვალავანს, იგი ამ ქალაქის საბაჟოს მიერ გაისინჯება და საგულდაგულოდ შემოწმდება.

21. განკარგულებების მე-6 პარაგრაფის მიხედვით, როცა სატრანზიტო საქონელი გაზიდვის საბაჟოში ჩავა, ეს უქანასენელი, უპირველეს ყოვლისა, ამოწმებს ფუტების, კასრებისა და ყუთების რაოდენობას, ნიშნების ნომრებისა და წონის სიზუსტეს და ბეჭდების დაუზიანებლობას. თუ ყველაფერი წესრიგშია, საბაჟო ამის შესახებ აღნიშნავს საქონლის ვადაზიდვის საბუთზე, რომელიც საქონელს თან ახლავს და მას საქონლის მეპატრონეს ან კომისიონერს გადაცემს; ეს უქანასენელი საბუთს შემოზიდვის საბაჟოში წარადგენენ და დაიბრუნებენ ანაზარს ან მინდობილობას.

22. თუ შემოწმების დროს საბაჟო შეამჩნევს, რომ ბეჭდები დაზიანებულია, იგი გახსნის ყველა ფუტას, კასრსა თუ ყუთს, ბეჭედდაუზიანებელსაც კი. თუ საბაჟო დარწმუნდება, რომ მათი შემადგენლობა მთლიანად შეესაბამება დეკლარაციაში აღნიშნულს, საქონლის მეპატრონეს ახდევინებს ყოველ ბეჭედდაზიანებულ ფუტაზე, კასრსა თუ ყუთზე ბრუტო წონაში მხოლოდ თითო-თითო მანეთს ვერცხლით. შემდეგ მთელს საქონელს უბრუნებს პატრონს და მისი გაგზავნის ნებას აძლევს.

თუ საქონლის დათვალიერებისას საბაჟო დაადანტურებს, რომ საქონელი არ შეესაბამება დეკლარაციაში აღნიშნულს, იგი არა მარტო ჩამოართმევს მეპატრონეს ყველა ფუტას, კასრსა თუ ყუთს, არამედ

---

(2) რადგანაც პორტო ფრანკო ჯერ კიდევ არ არის გახსნილი, ყუთები მცირე ხნით შეიძლება საბაჟოს საწყობებში, სადაც მათ მოგვიანებით გახსნიან; საბაჟოდან საქონელს მხოლოდ მას შემდეგ გამოიტანენ, როცა მისი ზღვით გაზიდვის საკითხი სპეციალურად გადაწყდება.

თითოეულ ფუთ ბრუტო წონაში ახდევინებს ჯარიმას — 4 მანეთს სუფთა ვერცხლით, გარდა ამისა, ახდევინებს მთლიან თანხას საქონლის შესანახად, რომლის გარანტიაც მე-10 პარაგრაფის შესაბამისად გაფორმდება. ამასთანავე საბაჟო სინჯავს ბეჭედდაუზიანებელ ფუთებს, კასრებსა თუ ყუთებს და მხოლოდ იმ საქონლის გადაგზავნის ნებართვას იძლევა, რომელთა შიგთავსის რაობა დეკლარაციაში აღნიშნულს შეესაბამება; საბაჟოს მიერ ასევე ისინჯება ყველა ის ტვირთი, რომელიც დეკლარაციაში აღნიშნულს არ შეესაბამება.

23. თუ სატრანზიტო საქონლის მეპატრონე გარკვეული მიზეზის გამო მოისურვებს დანიშნულების ადგილის შეცვლას და საქონლის გაყიდვას იმპერიის შიდა მოხმარებისათვის, გზაში მას ამის უფლება არა აქვს; იგი ვალდებულია მივიდეს სატრანზიტო გზის უახლოეს ქალაქამდე და ადგილობრივი კომპეტენტური ხელისუფლების წინაშე განაცხადოს თავისი განზრახვა, მოითხოვოს პასპორტი სანაპეტრობურგთან, ოდესასთან თუ რეძვილოვთან მდებარე უახლოეს მთავარ საბაჟოში მისასვლელად. რაც შეეხება იმ საქონელს, რომლის შემოტანაც 1816 წლის ტარიფით აკრძალულია, ასეთ საქონელზე ეს შეღავათი არ ვრცელდება და იგი უქვეყლად უნდა ჩავიდეს პირველადი დანიშნულების ადგილზე. ეს შეღავათი არ ვრცელდება არც იმ ტრანსპორტზე, რომელიც გზაში დაზიანდა; ისიც პირველადი დანიშნულების ადგილზე უნდა ჩავიდეს.

პასპორტი გაიცემა მეპატრონეზე, მაგრამ ხელისუფლება, რომელსაც იგი დეკლარაციას წარუდგენს, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ იმ ძირითად საბაჟოს, სადაც საქონელი უნდა ჩავიდეს; გარდა ამისა, იგივე ცნობა ეგზავნება შემოზიდვისა და გაზიდვის საბაჟოსებსაც.

მთავარ საბაჟოში ჩასვლისთანავე საქონელი მოწმდება; თუ საქონლის ჩამორთმევა ან ჯარიმის გადახდა საჭირო არ არის, საქონლის მეპატრონე მხოლოდ შემოზიდვის ბაჟს იხდის. რომელსაც გამოაკლდება უკვე გადახდილი ტრანსპორტირების ხარჯები და მეპატრონესაც დაუბრუნდება მინდობილობები და ანაბრები.

24. ცხადია, იმპერიაში შემოტანილ და ადგილობრივი მოხმარებისათვის გამიზნულ უცხოურ საქონელს, რომელზეც შემოზიდვის საფასურს იხდიან დაწყებული იმ დღიდან, როცა ბაჟის გადახდა წესისამებრ გაფორმდა, საბაჟოები ამ საქონელს ტრანსპორტირებისათვის საჭირო ფორმალური მხარეების გარეშე გადააგზავნიან, დაუსვამენ ნომერ 2-ს და არ დაადებენ გაზიდვის საფასურს, მაგრამ ამავე დროს

ამ საქონელზე დაწესებული სხვა გადასახდებიდან არაფერს აბრუნებენ.

25. ყველა სახის უცხოური ნივთი, რომელიც თან ახლავს სატრანზიტო საქონელს, მიიღება იმ ქვეყნის სამოქალაქო ხელისუფლების მიერ გაცემულ პასპორტებთან ერთად, საიდანაც გამოიგზავნა ეს საქონელი და მეპატრონეებიც საერთო კანონის შესაბამისად თავიანთ ფულად მოგზაურობენ და იმყოფებიან იმპერიისში.

26. თუ საქონლის მეპატრონე ან გამყოლი მოულოდნელად გარდაიცვლება, ისე რომ თავისი ტვირთის ან ურმების შესახებ არ დატოვებს სათანადო ანდერჰს, ან კიდევ ამ ორიდან რომელიმეს ადგილობრივ ხელისუფლებას მიანდობს შესანახად, მაშინ ის საქონელი, რომლის შენახვა არ შეიძლება ან მისი შენახვა დიდ ხარჯებს მოითხოვს, საჯარო აუქციონით გაიყიდება.

გაყიდვის შედეგად აღებული თანხა, შესანახად ვარგის საქონელთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცემა მემკვიდრეებს ან ნდობით აღჭურვილ პირებს, რომლებიც წარადგენენ განსვენებულის მშობლიური ადგილიდან ცნობას. მემკვიდრეებს დაექვეთვებით საქონლის გაყიდვისათვის და ამ ნივთების შენახვისათვის გაღებული თანხები.

შენიშვნა: ეს უკაზი წინ უსწრებდა ოდესის პორტო ფრანკოდ გამოცხადებას.

**ნა, ანუ რეგისტრირი, იმ საქონლისა, რომელსაც გადაზიდვისას სატრანზიტო ხაზი არ დაეფება, სხვა დანარჩენ საქონელზე დაწესებული უკონტროლო გადასახადი მისი ბაზილიისა და უამოზილიის დროს ერთნაირია.**

#### ბამბაკსოვილი

**ბურმეტი (Bourmettes)**

ინდური ბასმა

სუფრა

ბუხარული შეღებილი შიტკალი

ფარდა

კამარი

სპარსული მესლინი ან აქაური სხვა

სახის ბამბის ქსოვილი

ყველა სახის ხატაური

ბოჭკოვანი ბამბის ნართი, თეთრი ან

ფერადი

#### აბრეშუმის ქსოვილები

თურქული, ჩინური, სპარსული ხამი და

ნართი ფერადი აბრეშუმი

თავსაფარი

თურქული და სპარსული ოქროქარგული მუდი

სხვადასხვა სახის აბრეშუმნარევი ქსოვილი

## მატელის საქონელი

სომხური კამლოტი	თბის სუფთა ბეწვი
უცხოური აქლემის ყველა სახის მატყლი	შალი (Schals)
	ხალიჩები

## სხვადასხვა საქონელი

ჩინური მარჯანი	შაქარი, ყავა
ჩაი	საერთო ტარიფში საბაყლო საქონლის
რევანდი	სახელწოდებით აღნიშნული სპეციალური
ზეთი	რა საქონელი
ყველანაირი ღვინო	

## ხმელი ხილი

ყურძნის	ნუშის
ლელვის	და სხვა მსგავსი ხილის ჩირი

## ხაღებავები

ქიფური	სანდლის ხის ფესვები და კლურტები
ინდიგო	სხვადასხვა სახის საღებავი ხე
ენდრო	სპარსული და არაბული გუმფისი

ნაწაჰები დაღვანილავიდან ჩარაქეთისა და აფხაზეთის შაჰროვის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა მისი იმპერატორობითი უფალწესობის უკანის საფუძველზე, 1821 წლის 10 თებერვარს.

## პარაგრაფი 4

ტარიფში გათვალისწინებული ყველა სახის საქონელი თავისუფლად შემოიზიდება და გაიზიდება ამ მხარეებიდან, გარდა ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ფულებისა, ბანკის ასიგნაციებისა, ცეცხლმსროლელი და ცივი იარაღისა, აგრეთვე ამ იარაღების დანამზადებლად საჭირო სპილენძის, რკინისა და სხვა რომელიმე მეტალის ნაწილებისა.

## პარაგრაფი 5

სავარაუდოა, რომ ვაჭრობა ხელს შეუწყობს ამ მხარის ხალხებში ცივილიზაციის დანერგვას, რაც მათ ყაჩაღობას გადააჩევს. ამიტომ ტარიფით გათვალისწინებული აღნიშნული მხარეების ყოველგვარი პროდუქცია, გარდა წინა პარაგრაფში ხსენებული საქონლისა, თა-

ვისუფლდება ბუგასის, ანუ ყუბანის, შესართავთან მდებარე საბაჟოს, აგრეთვე ქერჩის ნავსადგურის ყოველგვარი გადასახადისაგან. ეს შელავათი დაწესებულია ქერჩის ნავსადგურის გახსნის მომენტიდან ათი წლის ვადით.

გარდა ამ შელავათისა, ჩერქეზეთისა და აფხაზეთის ხალხები სხვა პრივილეგიებითაც სარგებლობენ: ქერჩის გარეუბნების მარილსახდლები ფუთ მარილში მათ 18-20 კაპიკს ახდევინებს, მაშინ როდესაც ყველა სხვა მომხმარებელი, იქნება ეს რუსი თუ უცხოელი, საერთო ფასს — 70-დან 80 კაპიკამდე იხდის (1).

## ნაწილი პირენეის ტაჰაჰაიდან შავი ზღვის პარაგონის შესახებ

### ჩერქეზეთის ხაიმპორტო ვაქრობა

ოთხი ბარდნა მაუდი L. S. და Nisms,<sup>1</sup> ერთი პიკის<sup>2</sup> ფასია  $2\frac{3}{4}$  დან 3 პიასტრამდე<sup>3</sup>.

ოცდახუთი-ოცდაათი ათასი პიკი სანდალი<sup>4</sup> ან ხიოსური<sup>5</sup> (Scio) მსუბუქი თავთა<sup>6</sup>: ერთი პიკი — 30-35 ფარა.

ორასი ცალი ბრუსის<sup>7</sup> (brousse) ყუთნი<sup>8</sup>; თითო ცალი — 17-18 პიასტრი.

შვილი-რვა ათასი ნაჭერი მაგნეზიური<sup>9</sup> (Magnésie) დაბალი ხარისხის აბრეშუმი; თითო ნაჭერი —  $2\frac{1}{4}$ - $2\frac{1}{2}$  პიასტრი.

ორმოცდაათი ათასი ნაჭერი სხვადასხვა ხარისხის დაჩითული უხეში ჩითი, თითო ნაჭერი —  $1\frac{1}{2}$ -3 პიასტრი.

ორმოცდაათი ათასი სხვადასხვა ფერის სპარსული ჩითი (bocassins)<sup>10</sup>, გარდა შავი ფერისა, რომელიც ძნელად იყიდება; თითო ცალი, ხარისხის მიხედვით —  $2\frac{1}{2}$ -6 პიასტრი.

ას ორმოცდაათი ათასი ნაჭერი სხვადასხვა ხარისხის ასტარული<sup>11</sup> (Astar) ტილო; თითო ნაჭერი —  $1\frac{1}{2}$ - $2\frac{1}{4}$  პიასტრი.

ათასი ცალი სხვადასხვა ხარისხის დოლბანდი (dulbent), ანუ მუს-

(1) ეს ნაწილები ამცნობს ვაჭრებს იმ შელავათებს, რაც სტიმულს იძლევა ჩერქეზეთისა და აფხაზეთის სანაპიროსთან კომერციული ურთიერთობის დასამყარებლად. ამავე დროს ეს ფაქტი იმის საბუთად გამოდგება, რომ იმპერატორი ილექსანდრე ყოველნაირად ცდილობს შვიდობიანი ურთიერთობა დაამყაროს კავკასიის ხალხის შორის.

ლონი, ქალების პირბადეებისათვის; თითო კარე<sup>12</sup> — 20 ფარადან 2 პიასტრამდე.

შეილი-ჩვა ათასი ჩემბერტს-კაიმ-ხანეს (tchembertskaim-hanć) ნაქერი; თითო კარე — 18-20 ფარა.

საში-ოთხი ათასი ფრანგული ან ტუნისური ფესი, ანუ ჩაჩი; ფრანგული იყიდება 50—60 ფარად, ტუნისური —  $1\frac{3}{4}$ -2 პიასტრად.

ოთხასი-ხუთასი ოყა შეღებილი აბრეშუმში; ერთი დრაჰმა<sup>13</sup>—3 ფარად; აბრეშუმის ამდენივე ნართი — 4 ფარად. პირველი გამოიყენება შარკლის ქაშრების მოსაქარგავად, რომელთაც დიდი რაოდენობით ამზადებენ, ძეორე კი—საკერავად. აქ აგრეთვე იყიდება დაახლოებით ასი ოყა აბრეშუმის ზონარი.

სამასი-ოთხასი ბარდანა ხამი ბოჭკოვანი ბამბა; ოყა — ერთ პიასტრამდე.

ოთხას-ხუთას ოყამდე თეთრი, წითელი ლურჯი და იისფერი ბამბის ნართი, რომელთა ხარისხიც მათი ფასის განმსაზღვრელია; ერთი ოყა წითელი და ლურჯი ნართი ჩვეულებრივ 2 პიასტრად იყიდება.

ოთხასი-ხუთასი იამბოლის<sup>14</sup> ქერბასი<sup>15</sup> (kebės), ანუ გადასაფარებელი; უპლუმო იყიდება 2-7 პიასტრად, პლუმინი — 3-9 პიასტრად.

ორასი-სამასი სალონიკის<sup>16</sup> ფეშთმალ-კირკალები (pechtmals-kirkalem), პიკი —  $2\frac{3}{4}$ -3 პიასტრად.

ათასი — ათას ხუთასი კაიროს<sup>17</sup> ფეშთმალ<sup>18</sup> (pechtmals); ცალი — 20-25 ფარად.

ხუთასი-ექვსასი ხაელისი (hawlis), ანუ საბანაო პირსახოცი; თითო ცალი — 50-60 ფარად.

სამასი-ოთხასი გერბული (gerbé) თეთრი დაწითელი ქაშარი; თითო ცალი — 60-70<sup>19</sup> ფარად.

ორასი-სამასი ათასი შეკვრა სხვადასხვა ფერის საკერავი ძაფი; ოყა — 50-60 ფარად.

თხუთმეტო-ოცი ბარდანა კაიროს რუხი სელი; ოყა — 20-25 ფარად.

ტამანში თორმეტი სამღებროა, სადაც ყოველწლიურად იხარჯება დაახლოებით ხუთასი ოყა ინდიგო და ცოტაოდენი სხვადასხვა ჭიშის საღებავი ხე; როგორც ერთი, ისე მეორე აქ დიდი მოგებით იყიდება. ომის შედეგად ფასები გაიზარდა და მე აღარ ვიცი მათი ღირებულება.

ოცდაათი-ორმოცი ფარდ<sup>19</sup> მოკას (Moka) ყავა<sup>20</sup>, რომლის ჩვე-



ულებრივი ფასია — ოყა 3 პიასტრი, თუმცა შოუსავლანობის დროს მისი ფასი 4 პიასტრამდეც აღის. ფრანგულ ყავაზე აქ დიდი მოთხოვნილებაა და ამიტომ იგი ძვირად ფასობს.

ოთხასი-ხუთასი ოყა პილილი; ოყა —  $2\frac{1}{4}$ - $2\frac{1}{2}$  პიასტრად.

ორასი-სამასი ოყა ჩანჯაფილი<sup>21</sup>, რომლისგანაც ადგილობრივი მოსახლეობა ძისი თაფლთან შერეული ძალზე მაგარ სასმელს აყენებს; ოყა იყიდება 25-30 ფარად.

ცოტაოდენი სურნელოვანი საბაყლო საქონელი, განსაკუთრებით ჭაუჭი;<sup>22</sup> თითო ცალი აქ 3 ფარად იყიდება.

ხუთასი-ექვსასი ოყა კალა ნიშადურის სპირტთან ერთად, ოყა —  $2\frac{1}{2}$  პიასტრად.

ასი ოყა ვერცხლისწყალი; დრაჰმა — 1 ფარად, რაც შეადგენს 10 პიასტრს ოყაში.

სამასი ათასი ცენტნერი თოფის წამალი ტყვიებისა და ზადეებისათვის; ოყა — 14-15 ფარად.

ორასი ათასი ოყა ფოლადი, ოყა — 26-28 ფარად.

ორი-სამი ათასი ცენტნერი რკინის ზოდები; ოყა — 8-10 ფარად.

ორმოცდაათი-სამოცი ბარდანა საკმეველი; ოყა — 70 ფარად.

ოთხასი-ხუთასი ცენტნერი სპირტის საპონი; ოყა იყიდება 20—25 ფარად; იგი მთლიანად მოიხმარება ტამანში. ჩერქეზები ხმარობენ საპონს, რომელსაც თვითონვე ამზადებენ ცხვრის ქონისაგან.

ხუთასი-ექვსასი კუფი<sup>23</sup> (couffe) კაიროსა და ფილიპოპოლის<sup>24</sup> ბრინჯი, კილო (quilot) — 2 პიასტრად.

ორასი-სამასი ცენტნერი. სხვადასხვა ხარისხის ლელვის ჩირი, ორასი-სამასი ცენტნერი შავი ყურძენი.

დიდი რაოდენობით კაკალი და თხილი.

სამი-ოთხი ათასი ოყა შავი ზეთისხილი; ოყა — 7-8 ფარად; ზეთი ამ ქვეყანაში სრულებით არ შეამოაქვთ, რადგანაც აქ ხმარობენ კარაქს და მანტეგს (mantègue), საწვავად კი თევზის ქონს იყენებენ.

ხუთასი-ექვსასი ცენტნერი ნარდენკა.

ხუთასი ცენტნერი ბექმეზი<sup>26</sup> (pestmès).

ხუთასი ცენტნერი ფასთილა<sup>27</sup> (pestil).

ოთხასი-ხუთასი ათასი ოყა ქირჯალის<sup>28</sup> (Kirdjali) თუთუნი; ოყა — 25-30 ფარად.

ათი ათასი ოყა რუსული თამბაქო უზუმ-სობა (ouzoum-soba) და მარია-ბაშე (maria-bache); ოყა — 12-15 ფარად.

ასი შეკვრა ქენაზი (Kénas); ოყა — 15-16 ფარად.

ორასი-სამასი ოცა თეთრი და წითელი ფერუმარილი, რომელსაც ჭირშენს (Kirchen) უწოდებენ; ყველა ადგილობრივი ქალი — ჩერქეზი, აფხაზი თუ ყუბანის ნოღაელი ქალი მას დიდი რაოდენობით ხმარობს; ერთი დრაჰმა ფერუმარილი, როგორც თეთრი, ისე წითელი, იყიდება 2 ფარად.

ათასი ტურა<sup>29</sup> (louras) ყირიმელი წითელი და ყვითელი ფერის ტარსიკონი: პირველი 60 ფარად იყიდება თითო ცალი, მეორე — 50 ფარად.

სამი ათასი ტურა მეშინი<sup>30</sup> (méchins), ანუ ტყავი, წითელი, ყვითელი და შავი ფერი: წითელი იყიდება 25 ფარად, დანარჩენები — ცალი 20 ფარად.

ოთხი-ხუთი ათასი წყვილი ყირიმული ჩექმა: წითელი ფერისა — 2 პიასტრად, ყვითელი — 40-50 ფარად, შავი — 60 ფარად.

ხუთი ათასი წყვილი წითელი და შავი კატირი<sup>31</sup> (katirs): წითელი — 25 ფარად, სხვები — 30 ფარად.

ათასი გამომშრალი ტყავი, 3-4 პიასტრად თითო ცალი.

ორი-სამი ათასი ცხენის უნაგირის კეხი ბახჩისარაიდან<sup>32</sup> და კაფადანა; თითო ცალი — 30-40 ფარად.

ორი-სამი ათასი წყვილი ყარასუს (Carasou) საფთური; თითო წყვილი — 30-40 ფარად. ეს გახლავთ ცხენის კაზმულობის ნაწილი, რომელიც ცხენს გვერდებს უფარავს.

სამი ათასი წყვილი ბახჩისარაისა და აკმეჩეთის<sup>33</sup> (Ahmeschid) უზანგი: წყვილი — 20-30 ფარად.

სამასი-ოთხასი ათასი ცხენის ლაგამი; თითო ცალი — 6-10 ფარად.

ათასი ბახჩისარაის თოფის ლულა; ფასი მისსავე ხარისხზეა დამოკიდებული.

ორი ათასი სხვადასხვა ღირებულების მშვილდი; ცალი — 10 პიასტრიდან 200 ბეშლიკამდე.

ოთხი ათასი ნალის კომპლექტი, ლურსპნებთან ერთად, — 20 ფარად.

ხუთი-ექვსი ათასი ყირიმული დანა, თითო ცალი — 15-16 ფარად.

ნემსის ორი ათასი დასტა; თითო დასტა — 30-60 ფარად, ბაიისის მიხედვით.

ათასი ცალი ბატენის ტყავის ყირიმული ქურჭი; ცალი — 8-9 პი-ასტრად.

ათასი-ათას ხუთასი ჩამონაჭერი ტყავი თოფის ბუდეებისათვის; თითო ცალი — 40 ფარად.

ორი-სამი უუთი სხვადასხვა სახის კავეულობა.

ათასი კუფი კაკლის ხის საყალიონე კონსტანტინოპოლიდან, თითო კუფში ხუთასი-ექვსასი კაკლის ხის ნაჭერია.

ათასი-ათას ხუთასი სავარცხელი ბზისა და რქისა: ეს უკანასკნე-ლი თითო ცალი იყიდება 4 ფარად, სხვები — 2 ფარად.

დიდი რაოდენობით თოფის წამალი კაფადან და კონსტანტინოპო-ლიდან: ყველაზე მდარე ხარისხისა — ერთი ოყა იყიდება 20 ფარად; საფრანგეთისა, როცა მისი შემოტანა ხერხდება, — ლირს 60 ფარამდე, ხოლო ინგლისისა — ძალზე იაფად ფასობს.

ოცი დასტა ქალაღი, დასტაში ოცდართი ფურცელია და იყი-დება ცალობით; თითო ფურცელი 1 ასპრამდე.

ოცდაათი-ოცდათხუთმეტი ათასი გერმანული ცელი, თითო ცალი — 20-25 ფარად.

ორასი-სამასი ყირიმული ცხენი.

სამშენებლო ხე-ტყე და შეშა ტამანში შემოაქვთ სუჯუკიდან (So-oudjouk), სადაც იგი ძალზე იაფია.

### ჩერქეზეთის ხაეჩხორტო ვაჭრობა

ოთხმოცი-ასი ათასი ცენტნერი მატყლი; ნახევარი გადის ჩერქეზე-თიდან, ნახევარიც — ყუბანის ნოღაეთიდან. იგი ურშებით გადააქვთ ტამანში; აქედან იგი იგზავნება კაფასა და კონსტანტინოპოლში; მატყ-ლი გარეცხილია; ცხვრებს გაკრეჭამდე ბანენ, რისთვისაც იყენებენ მდინარე ყუბანს, რომელიც ჩერქეზეთს კვეთს; მატყლი საუცხოო ხა-რისხისაა, მაგრამ მატყლის მხოლოდ ერთი მეოთხედი თეთრი ფერის, დანარჩენი სამი მეოთხედი — შავია. აქაურ ცხვრებს ბეწვი სრულე-ბით არ სცივიათ; მათ წელიწადში ორჯერ კრეჭენ, მაისისა და სექტემ-ბრის თვეებში; პირველი კრეჭიდან მიღებული მატყლი გრძელია და უფრო მაღალხარისხოვანი. მატყლი საზღვარგარეთ იგზავნება, მაგრამ მას ხიფთანის (Tchekmen) ადგილობრივ წარმოებაშიც დიდი გამოყე-ნება აქვს, რის შესახებაც ქვემოთ ვილაპარაკებ. ერთი ოყა მატყლი ტამანში დაახლოებით 3 ფარა ღირს.

ასი ათასი ხიფთანი; ხიფთანი გახლავთ ძალზე უხეში შალის ქსოვილი, ფლანელის ან მილთონის<sup>34</sup> (molléton) მსგავსი რომელსაც მთელს სათათრეთში და თვით თურქეთშიც დიდი გამოყენება აქვს, დაკვეთით კი ამ უხეში ქსოვილისაგან უნაზეს ქსოვილს ამზადებენ. ყირიმის მთავარი ხაზინადრის აბდუველი-აღას (Abduveli-Aga) ვაჟიშვილს ამ ქსოვილისაგან შეეკერილი თეთრი სამოსელი ეცვა, რომელიც ისეთი მშვენიერი იყო, რომ ფრანგული მაუდი მეგონა და ვერ დავიჭერე, რომ ასეთი მაღალი ხარისხის ქსოვილი ჩერქეზეთში იყო დამზადებული: ვიფიქრე, იქნებ შესაძლებელია ამ მხარეში ისეთი ხარისხის მატყლის შოვნა, რომელიც მაუდის საწარმოებში გამოდგეს-ვეთქი. ეს საკითხი დაფიქრებას მოითხოვს.

ხუთი-ექვსი ათასი ხიფთანი — სამოსელის ერთგვარი სახეობაა, შეკერილი იმ ქსოვილისაგან, რომლის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკე და რომელიც ამავე სახელწოდებას ატარებს: პირველი ხარისხისა იყიდება 10-11 პიასტრად თითო ცალი. მეორე — 4-5 პიასტრად, მესამე კი — 60 ფარადან 2 პიასტრამდე. ხიფთანი თეთრი, რუხისფერი ან შავი ფერისაა. იყიდება შეკერილი; იგი გააქვთ ყირიმში, მოლდავეთში, პოლონეთსა და თურქეთის ზოგიერთ პროვინციაში.

ორმოცდაათი-სამოცი ათასი ხიფთანის შაროვარი (chalwars) ახე შარვლები, სამი სხვადასხვა ხარისხისა; მათი ფასია 20 ფარადან 3 პიასტრამდე.

ორასი ათასი ხაოიანი გრძელი ქერის მოსასხამი, რომელსაც იაპაქსა<sup>35</sup> (yapendjis) უწოდებენ; იგი სამი ხარისხისაა, ღირს 1-იდან 3 პიასტრამდე: არის მეოთხე სახის, ძალიან კარგი ხარისხის მოსასხამიც. მაგრამ იგი, როგორც წესი, არ იყიდება. ასეთი მაღალი ხარისხის მოსასხამებს წარჩინებული პირები უკეთებენ პირადი მოხმარებისათვის ან საჩუქრად. ამ უკანასკნელი სახის მოსასხამს უწოდებენ ანდი-იაპაქიზს (andi-yapendjisi). მასზე დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ ჩერქეზეთიდან იგი ძალზე მცირე რაოდენობით გააქვთ. დანარჩენი სახის იაპენჯიზები იყიდება ყირიმში, მოლდავეთში, ვლახეთში, პოლონეთში, რუსეთის სახელმწიფოში (Moscovie) და მცირე რაოდენობით თურქეთშიც.

ხუთი-ექვსი ათასი კარგი ხარისხის გამოქნილი ტყავი, რომელიც იწონის 25-30 ოყას, ადგილობრივად ბევრად მეტი იწარმოება; მაგრამ ჩერქეზები და ყუბანელი ნოღაელები მას დიდი რაოდენობით იყენებენ იმ ფეხსაცმლის დასამზადებლად, რომელსაც ჩაიკსა<sup>36</sup> (tch-

rik) უწოდებენ; ამ ტიპის ფეხსაცმელს ყოდიან ტამანში და მისი ფასი 3 პიასტრამდეა.

ხუთი-ექვსი ათასი ცენტნერი საუცხოო თაფლი, რომელიც ტამანში ურმებით შემოაქვთ, აჩუში (Atchou) კი — გემებით, ყუბანის გზით, მისი ფასის დადგენა შეუძლებელია, რადგანაც ადგილზე თაფლის მხოლოდ გაცვლით იძენენ და მის ფასსაც სწორედ გაცვლა-გამოცვლის სარგებლიანობა განსაზღვრავს; თაფლის ყიდვა შეიძლება წმინდა სახით ან ფიჭასთან ერთად; ერთი ოყა დაწმენდილი თაფლი აჩუსა და ტამანში 7 ფარად იყიდება. ვაჭრები, რომლებიც ადგილზე, პირველი ხელიდან იძენს მას, ზოგჯერ დიდ მოგებას ნახულობენ; ერთ-ერთი ვაჭარი მარწმუნებდა: გაცვლა-გამოცვლით ერთი ოყა ცვილი 5 ფარადამიჯდა და თაფლიც ასევეო.

ტამანში იყიდება აგრეთვე დაახლოებით ხუთასი ცენტნერი აფხაზური (Abaza) თაფლი, რომელიც ძალზე იაფია; ერთი ოყა — 4 ფარად ღირს; იგი საკმაოდ ძვირე ხარისხისა და საშინლად მაორბელოა, რის გამოც მას დელი-ბალს (Deli-bal), ანუ „ვიე თაფლს“ უწოდებენ. ამ თაფლს ნარდენკს შეუჯრევენ ხოლმე და სასმელს ამზადებენ, მეტი სიმაგრის მისაცემად მას აფუებული ფეტვისაგან მიღებულ სასმელს უმატებენ ხოლმე, რომელსაც ბუზა<sup>17</sup> (Baza) უწოდებენ.

შვილი-რვა ათასი ოყა ცვილი, რომლის უდიდესი ნაწილი ტამანში მიიქვთ, შემდეგ იგზავნება კაფასა და კონსტანტინოპოლში; ხოლო მცირე ნაწილი აჩუში გააქვთ; ზოგიერთი ვაჭარი სწორედ აჩუში ჩამოდის ცვილის საყიდლად, რადგანაც აქ იგი იაფი ჯდება; ეს იმით აიხსნება, რომ აჩუში ცვილი მდინარით შემოაქვთ და ამდენად გადაზიდვის ხარჯი უფრო ნაკლებია. ვიდრე ტამანში, სადაც მას ურმებით ეზიდებიან; ტამანში ერთი ოყა ბრუტო ცვალი იყიდება 20 ფარად, ხოლო ნეტო წონა, თან კარგად გასუფთავებული, — 30 ფარად.

ორმოცდაათი ათასი კვერნის ტყავი, რომელსაც უწოდებენ ზერდავას (Zerdava); თითო ცალი 40-50 ფარად იყიდება; იგი ტამანიდან კაფაში მიიქვთ, სადაც მას კონსტანტინოპოლში გასაგზავნად ამზადებენ.

ხუთი ათასი სანგსარას (Sangsar), ანუ კვერნის, ტყავი; თითო ცალი 25-30 ფარად.

ასი ათასი თილკის (Tilki), ანუ მელიის ტყავი—25-30 ფარად.

ასი ათასი კურთის (Kourd), ანუ მგლის, ტყავი — 50-დან 60 ფარამდე.

სამი ათასი აიუს (Aiu), ანუ დათვის, ტყავი, რომელიც იგზავნება

ბურგასში (Bourgaz), აქედან კი იგი გერმანიასა და პოლონეთში გააქვთ; მასზე დიდი მოთხოვნილებაა ტამანში, სადაც იგი 45-50 ფარად იყიდება.

ხუთასი ათასი ცხვრის ტყავი, რომლის თითო ცალის ფასია 1 ფარა და მეტი

ზემოაღნიშნული ყველა ბეწვეული ტამანში დაუმუშავებელი სახით შემოაქვთ; ვაჭარი, რომელიც შეიძინს ამ საქონელს, მას გადაამუშავებინებს ხოლმე.

ორასი ათასი წყვილი გარეული ცხვრის რქა, რისგანაც სათათოეთში დანის ტარებსა და ქარქაშებს ამზადებენ. ტამანში იგი ტანაისით, ანუ დონით, შემოაქვთ ჩერქეზ-კირმანიდან (Tcherkhez-Kirman); იგი უფრო დაბალი ხარისხისაა, ვიდრე ოჩაკოვის<sup>39</sup> დაბლობიდან შემოტანილი რქები; თითო ცალი რქა ტამანში 2 ფარად იყიდება.

ორასი ათასი წყვილი ხარის რქა იგივე ფასად.

ასი ათასი გროსი<sup>39</sup> ისარი, თითოეულში ოცდაათი ისარია. ჩერქეზეთი ამ ისრებით ამარაგებს თათრებსა და ნოღაელებს. ისრები ორნაირია: ერთი მათგანი, რომლის დასამზადებლად გუდჯუგენად (Gudjuguen) წოდებული ჩიტის ბუმბული გამოიყენება, 3-4 პიასტრად იყიდება, მირზებისა და წარჩინებული პირების გარდა ამ ისრებს არაეინ ხმარობს. მეორე სახის ისრისათვის გამოიყენება ყვავისა და სხვა მტაცებელი ფრინველის ბუმბული და თითო გროსი მხოლოდ 60 ფარა ღირს.

ჩერქეზეთის ვაჭრობის ძირითად საქონელს მონები წარმოადგენენ; ამის შესახებ უკვე მოგახსენეთ ყირიმისადმი მიძღვნილ პარაგრაფში და აქ აღარ ვილაპარაკებ.

ჩერქეზულ ცხენებზე დიდი მოთხოვნილებაა: ისინი წვივმაღალი, მოხდენილი, ძლიერი აღნაგობისა არიან და სირბილსა თუ დაღლას იოლად იტანენ. ამ ჯიშის ცხენის თავი ოდნავ წააგავს ყვავის მოკაუჭებულ ნისკარტს, აღნაგობით კი ინგლისურ ცხენს მოგვაგონებს; ჩერქეზები დიდად ზრუნავენ იმაზე, რომ ცხენების გარკვეული ჯიშები არ გადაშენდეს; ყველაზე კარგ ჯიშის ცხენებად ითვლება სულუქის (Solouk) და ბაქანის (Békkan) ცხენები. ჩერქეზეთიდან მხოლოდ ლაფშა ცხენები გააყავთ; ამ მხარეში სხვა ჯიშის ცხენებს საჭდომად არც კი იყენებენ, ხოლო მათ მოსამრავლებლად მხოლოდ ულაყებს იტოვებენ. ცხენები დიდი რაოდენობით ჩამოჰყავთ ყირიმში, სადაც მათ კარგ ფასად ყიდიან; ახლაც კი, თითო ცხენში დაახლოებით 200 პი-

ასტრს იძლევიან. ხოლო ამ ქვეყნის ზოგიერთი საუკეთესო ჩიშის ცხენი დაახლოებით რვა მონა ღირს.

დაბა აჩუდან გააქვთ დიდი რაოდენობით ხიზილალა და გამხმარი თევზი; ხიზილალას ამზადებენ თართის და სურუკის (suruk) ქვირითისაგან; მორონი (morone) აქ სრულებით არ არის და ეს ჩიში ქერიდან შემოდის; ყოველწლიურად აჩუდან დაახლოებით სამი ათასი ცენტნერი ხიზილალა გადის, რომელიც დიდი კასრებით იგზავნება კაფსა და კონსტანტინოპოლში; ადგილზე ერთი ოყა 7 ფარად იყიდება. გამხმარი თევზი ოთხი სახისაა: თართი, რომელსაც ჩილიმს (chilim) ეძახიან; მას დაახლოებით ერთი პიკის სიგრძის ნაჭრებად ჭრიან, ამარილებენ, ახმობენ და ადგილზე თითო ცალს 5 ფარად ყიდიან. თევზის ეს ჩიში კაფაში, ტრაპიზონსა და კონსტანტინოპოლში წლიურად დაახლოებით ორი ათასი ცენტნერის ოდენობით იგზავნება. მეორე სახის თევზია სურუკი (suruck); მას უფრო მომცრო ნაჭრებად ჭრიან და იმავე ფასში ყიდიან; იგი უფრო დიდი რაოდენობით გააქვთ, ვიდრე თართი. მესამე სახეობაა საზანი (sazan), ანუ კობრი; მას შუაზე ჭრიან, დაუმარილებლად ახმობენ და ნაჭრებად ყიდიან 10-12 ფარად; იგი მიაქვთ ბათუმში, ხოლო აქედან თურქეთის საქართველოში; თითო ცალი აქ 2-3 ფარად იყიდება. მეოთხე სახეობაა სილა (sila); ეს თევზიც იგივე წესით მზადდება და იმავე ფასად იყიდება; იგი დიდი რაოდენობით გააქვთ საქართველოში. ხოლო კონსტანტინოპოლში — შედარებით მცირე რაოდენობით. ზოგჯერ ამ ორი უკანასკნელი დასახელების თევზს ისე უხვად იჭერენ, რომ მის დაქუშავენას ველარ ახერხებენ და ისიც ნაპირზე დაყრილი ლეება. აჩუში თევზჭერას მისდევენ ზანის ქვეშევრდომი კაზაკები. რომელიც სარი-ინადს (Sari-Inad) უწოდებენ; თევზს აქ მაისის თვიდან ოქტომბრის ბოლომდე იჭერენ, ხოლო წლის სხვა თვეებში თევზჭერა შეუძლებელია, რადგან მდინარე ყუბანი ამ ხნის განმავლობაში ყინულითაა დაფარული. თევზჭერის დაწყების დღეს ბეი დიდ ზეიმს მართავს. თართს იჭერენ საშრობი ბადეებით, ზოგჯერ საკმაოდ უცნაური ხერხითაც: ტირიფის ტოტებისაგან დამზადებულ ლასტებს ჩადგამენ მდინარეში, უტოვებენ შესასვლელს ისეთნაირად, რომ იქ მოხვედრილი თევზი თავს ველარ ითავისუფლებს. კობრებსა და სილას (sila) ბადეებით იჭერენ.

აჩუდან ყოველწლიურად გააქვთ აგრეთვე ორი-სამი ათასი ცენტნერი თევზის ქონი; ერთი ოყა ღირს 5-5 ფარა; ნოღაელები მას საქმელად იყენებენ, თათრები კი — განათებისათვის; ყოველივე ამის

გარდა აქედან ვადის ასი ცენტნერი თევზის წებო; ერთი ოყა 10-12 ფარად იყიდება.

ტამანში და კაპლუში (Kaplou) მიმოქცევაშია მხოლოდ და მხოლოდ დიდი სენიორისა და ხანის მონეტები. თვით ჩერქეზეთში ფული იშვიათად იხმარება და ვაჭრობა მხოლოდ გაცვლა-გამოცვლის სახით წარმოებს.

ზოგიერთი ვაჭარი საქონელს მხოლოდ ტამანში ყიდის და იქვე სამაგიერო საქონელს იძენს; ზოგიც კაპლუში მიდის სავაჭროდ; ზოგიერთი კი შუაგულ ქვეყანაში მიდის, აიყვანს თარჯიმანს, რომელმაც კარგად იცის ენა და უშუალოდ ჩერქეზებს მოურიგდება ხოლმე; ამ ვაჭრებს თავიანთი საქონელი სოფლიდან სოფელში სხვადასხვა ტომებთან ჩააქვთ. ისინი ზოგჯერ უფრო შორს მიდიან, გადააკეთენ მთელს ჩერქეზეთს და ასტრახანამდე ან ყალმუხებამდე<sup>40</sup> (Kalmouks) ჩააღწევენ; ისინი სარგებლობენ ვაჭრობის ხელშესაწყობად შექმნილი ყველა პირობით და უზარმაზარ მოგებას ნახულობენ.

ყუბანის ნოღაელები საქირო საქონლის შესაძენად და თავიანთი ადგილობრივი საქონლის გასაყიდად აჩუში ჩამოდიან ხოლმე. ამავე მიზნით აჩუში ზოგიერთი ჩერქეზული ტომიც ჩამოდის. ნოღაელთა ურდოს იმპორტული და ექსპორტული ვაჭრობა შეადგენს ჩერქეზეთის ვაჭრობის ნაწილს, რომლის შესახებაც უკვე ვილაპარაკე.

რაგორც ვაზიდული, ისე შემოზიდული საქონელი ტამანიდან ურმებით გადააქვთ კაპლუში. ამ ურმებში აქლემები, ცხენები ან ხარებიც ხოლმე შებმული. აქლემშებმული ურემი მხოლოდ ზამთრობით გამოიყენება; მას ექვსასი-შვიდასი ოყა ტვირთი მიაქვს ხოლმე და მისი დაქირავება ღირს 20 პიასტრი ბეშლიკით; ცხენშებმულ ურემს გადააქვს ხუთასი-ექვსასი ოყა ტვირთი და მისი დაქირავება 18 პიასტრი ღირს; ხარშებმულ ურემს იგივე რაოდენობის ტვირთი იმავე ფასად გადააქვს. კაპლუდან შიდა ჩერქეზეთში საქონლის გადასაზიდად იყენებენ ხარებშებმულ ან ცხენშებმულ ურემებს; აქლემები აქ არ ჰყავთ; გადასაზიდი ფასი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მანძილზე ცხოვრობს ის ტომი, სადაც ტვირთი უნდა მიიტანონ.

ყუბანის სერასკირის<sup>41</sup> მხარდაჭერით, რომელიც ადვილად იღებს ხანისაგან მნიშვნელოვან სარეკომენდაციო წერილებსა და ბრძანებებს, კაფაში დაფუძნებულ ფრანგულ სავაჭრო ფირმას შეუძლია ნოქარი იყოლიოს ტამანში. ნოქარი გარანტირებულია აწარმოოს გაცვლა-გამოცვლა და ისარგებლოს, როგორც ზემოთ დავინახეთ, ჩერქეზეთის ძალზე მნიშვნელოვანი საექსპორტო ვაჭრობით.



## აფხაზეთის იმპორტული ვაჭრობა

აფხაზეთისაკენ მომავალი გემები, ჩვეულებრივ, დატვირთულია ძარილით, რომელიც ამ ქვეყანაში ყველაზე დიდი მოთხოვნილების საჭიროებს წარმოადგენს; მას ძირითადად ყიდულობენ ყირიმში, გეზლევსა (Gheuslevè) და ქერჩის მარილის საბადოებში; მარილით გემების დატვირთვა აქ მხოლოდ ხანის ფირმანით შეიძლება.

აფხაზეთისაკენ მომავალ ზოგიერთ ხომალდს მოაქვს ლეინოც, რომელსაც ყიდულობენ სინოპში (Sinople), ტრიპოლსა<sup>42</sup> (Tiboli) და ანატოლიის სხვა ადგილებში.

გარდა ზემოხსენებული საქონლისა, აფხაზეთში დიდი რაოდენობით შემოდის:

ტარსიკონი და ბაზანი, რომელიც წითლად, ყვითლად ან შავად არის შეღებილი; ეს საქონელი შემოაქვთ კონსტანტინოპოლიდან და ყირიმიდან;

სხვადასხვა სახის კავეულობა;

თოფები და დამბაჩები;

ხანჯლები, რომელთაც უწოდებენ კინჯალს (kindjals) და სხვა სახის იარაღი, რომელსაც ყამა (kamas) ჰქვია;

სპარსული ჩითი (becassins);

ასტარის (Astar) ტილო;

სახიანი ჩითი, ანუ შეღებილი ტილო;

იაშბოლის (yamboli) გადასათარებლები.

სოხუმი (Sohoum) ერთადერთი ადგილია, სადაც მოიხმარება მცირეოდენი მაუდი, ხიოსის ქსოვილები, საპონი და ზოგი სხვა საქონელი, რომელიც აქ ძლიერ მცირე რაოდენობით იყიდება.

## აფხაზეთის ხაეჭხაორტო ვაჭრობა

აფხაზეთის საექსპორტო სავაჭრო საქონელს შორის ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ბზის ხეს, რომელსაც ყოველთვის მარილზე ცვლიან, წონაზე-წონას, ასე რომ ერთ ერთეულ მარილში, დღეისათვის, ერთ ერთეულ ბზის ხეს იძლევიან. ამიტომაც აქ დიდი ხომალდებით მოდიან, რათა რაც შეიძლება მეტი ბზის ხის წამოიღება მოხერხდეს. როცა ბზას ლეინოზე ცვლიან, მაშინ გაცვლა წონით კი აღარ ხდება, არამედ შეეპყრების გზით. ასეთ დროს ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მოგება ნახონ.

აფხაზეთიდან დიდი რაოდენობით გააქვთ ცვილი, რასაც აქ ძალზე იაფად იძენენ. ვაჭრები, რომლებიც ამ საქონლით ვაჭრობენ და ამით

გამდიდრდნენ, მარწმუნებდნენ, რომ ერთი ოყა ცვილი აფხაზეთში სმარად უყლიათ გაცვლის გზით 20 ფარაზე ნაკლებად; ცვილი ნელ-ლი სახით იყიდება და გაწმენდის შემდეგ დანაქარგი დაახლოებით 20%-ს შეადგენს.

აფხაზეთში შეიძლება სხვადასხვა სახის ბეწვეულის შოვნა. სახელ-დობრ: ფოტხეერის, რომელსაც ეწოდება ვაშაკი (vachak); ზერდავას (zerdava), ანუ კეერნის; სანგსარის (sangsar), ანუ ქერის კეერნისა და გენჯენის (guendjens), ანუ ციყვის.

ამ ჩვეყანაში დიდი მოგება მოაქვს ღორის ქონითა და შაშხით ვაქ-რობასაც. ღორი აქ ძალზე იაფია, მაგრამ მისი ყიდვის დროს საჭიროა ისეთი ადამიანის ჩამოყვანა, რომელმაც იცის ღორის ხორცის დამა-რილება და ისეთი წესით დამზადება, რომ საქრისტიანოში მისი ჩამო-ტანა შესაძლებელი იყოს.

დიდად მომგებიანია მონებით ვაქრობაც; მონის ფასი აქ ძალზე დაბალია; მონები ბეგების ქვეშევრდომნი არიან და ერთიმეორეზე თავდასხმის დროს ბეგები ერთმანეთის მონებს იტაცებენ ხოლმე. აფ-ხაზები თავიანთი წარმოშობითა და ჩამომავლობით ვერ შეედრებიან ზერქეზებს, ამიტომაც აფხაზი მონის ფასი, ზერქეზი მონის ფასის ნა-ხევარს შეადგენს.

ქართული, ჩრქვეული და აფხაზური დიალექტის უზვიანო სიტყვათა  
ლექსიკონი

ფრანგული სიტყვები	აფხაზური სიტყვები ასე წარმოთქმად მათ სოხუმ-ქ. ლეში	ჩრქვეული (ნატუხა- ელის) სიტყვები ბ-ნ ტეზე დე შარინის მახეჯუთ	ქართული სიტყვები
Amitié. Arbre. Argent. Assassinat. Bocuf.	Gawlnach. Rzla. Rizna. Depuzzi. Bouzah.		Megobroba. Khé. Vertskhli. Mohkla. Khari

\* ჩრქვეული სიტყვების გამოთქმის ზუსტად გადმოცემისათვის მე გამოვი-ყენე ზოგიერთი ნიშანი, რომელიც განმარტებას საჭიროებს. ხაზგასმული kh გა-მოიყენება როგორც ბერძნული ან რუსული X. ხაზგასმული gh — როგორც ბერძ-ნული γ, ან რუსული ghlagol. ბოლო i წარმოითქმის სუსტად და არააღად ან როგორც რუსული iéri.

ფრანგული სიტყვები	ფიზიკური სიტყვები ანე წარმოთქვამენ მათ სობუმ-კალემ-	ჩერქეზული (ნაბუ- ხაელები) სიტყვებ ბ-ნ ტებუ ლე მარინის მახედეთ	ქართული სიტყვები
Bois.	Hamitcheh.		Checha.
Barque.	Maltwreh.		Navi.
Capuchon de laine.	Ghetapah.		Bachloughi.
Colère.	Guyanaghi.		Djavri.
Cuivre.	Nabeuh.		Spilendzi.
Chèvre.	Tainina.		Tkha.
Cire.	Hadwa.	Chefu.	Tzminda santeli.
Ciel.	Ajouan.	Chi.	Tsa.
Cheval.			Tskheni.
Enfant.	Hadchuwe.		Kmartsvili.
Eau.	Ardch.	Psi.	Tskali.
Fusil.	Squch.		Topi.
Fer.	Hatcha.		Rkina.
Frère.			Dzma.
Fils.	Pah.	Saou.	Chvili.
Fille.	Sulpa.	Psassi.	Cali.
Figure.	Mdgir.		Ghveli.
Femme.	Prareur.	Chasse.	Dedakatsi.
Fromage.	Hatch.	Khaie.	Kveli.
Homme.	Hucuen.	Tü.	Katsi.
Jument.	Tchann.		Tchaki.
Lait.	Hacheh.	Sezeno.	Rdzé.
Mère.	Hajn.	Yani.	Deda.
Mari.	Catiah.		Cmari.
Maïs.	Ducreul.		Simindiri.
Millet.	Abertah.		Ghoml.
Miel.	Allella.	Soou.	Tapli.
Maison.	Achneuh.	Ouna.	Sakhli.
Mort.	Depzit.		Sikvdjil.
Mouton.	Avaza.		Tskhouari.
Manteau de feutre.	Oppali.		Nahadi.
Noix.	Kakan.	Déche-Kho.	Nigozi
Non.	Map.	Iahaou.	Ara.
Oui.	Ave.		Diakh.
Poudre à tirs.	Checheuh.		Topisamali.
Plomd.	Abetza.		Tkhovia.
Poignard.	Chahsna.	Kameau.	Khandjali.
Poisson.	Spetzitz.		Tevzi.
Pipe.	Tinetzgah.		Loula.
Pain.	Hadcha.	Iäti.	Pouri.
Père.	Sabba.	Tchauhke.	Mama.
Poulain.	Atchissis.		Kokitsi.
Raisin.	Agh.		Kourdzeni.
Sel.	Djika.	choghou.	Marili.
Socur.	Yabcha.		Da.

ფრანგული სიტყვები	აფხაზური სიტყვები ასე წარმოთქვამენ მათ სობუმ-კალეში	ჩერქეზულ (ნატუხაელების) სიტყვები ბ-ნ ტებუ დე მარინის მიხედვით	ქართული სიტყვები
Sabre.	Achau.	Kéateu.	Khмали
Terre.	Auhus.	Tchi.	Mitsa.
Tabac.	Teteuh.		Toutouni.
Taureau.	Atzvu.		Bougha.
Viande.	Quutz.		Khortsi.
Vache.	Adhuh.		Dzrokha.
Vigne.	Agadzelah.	Sauat.	Jenakhi.
Vin	Aheuhcn.		Ghvino.

### შავი ზღვის ზოგიერთი ქალაქისა და ნავსადგურის აღწერა

შავი ზღვის ნავსადგურების ვაჭრობის შესახებ ცნობების შესავსებად, ჩემი კოლეგის, სალონიკში საფრანგეთის კონსულის, ბ-ნ ადრიან დიუპრეს (Adrien Duprè) თავაზიანობით ვისარგებლე. მან ნება დამართო მისი გამოუქვეყნებელი, მეცნიერული მასალებით მდიდარი „მოგზაურობიდან“ ამომეღო რამდენიმე ქალაქის აღწერა, რომელთა ნახვაც პირადად ვერ შევძელი.<sup>1</sup>

ბ-ნმა დიუპრემ სახელი გაითქვა სპარსეთში მოგზაურობით. იგი გახლავთ ვაეიშვილი ყოფილი კონსულისა, რომელმაც ტრაპიზონში თავისი ხანგრძლივი რეზიდენტობის განმავლობაში შეძლო აქ სიყვარულისა და პატივისცემის დამსახურება. ბ-ნმა დიუპრემ რამდენიმე წელი დააყო მამასთან და კარგად გაეცნო მის მიერ აღწერილ ქვეყნებს.

### ბათუმი

ბათუმის მოსახლეობა სომხების ჩათვლით დაახლოებით ორი ათას კაცს ითვლის; აქა-იქ მიმოფანტული სახლებით იგი უფრო ვრცელ სოფელს წააგავს, ვიდრე პატარა ქალაქს. ბათუმი გაშენებულია ზღვის სანაპიროზე, აქვს ერთადერთი ღია რეიდი აღმოსავლეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან, დასავლეთით კი იგი და-

ცულია ქვიშიანი ისარათი, რომელიც ჩრდილოეთით დაახლოებით ერთი ლიეს მანძილზეა გადაჭიმული. რეიდი ღრმა და ხომალდებისათვის ისევე უსაფრთხოა, როგორც საუკეთესო ნავსადგურები. ისინი თავისუფლად ჩერდებიან ხმელეთიდან ათი ტუაზის მანძილზე. თეიდი დატული არ არის სიმაგრეებით; ბაზრის შესასყლეულთან მხოლოდ ერთი, თხრილით გარშემოვლებული, უქვემეხო, ქვის საძირკველიანი და ხით ნაშენი კოშკი დგას. ბაზარში ორმოცდაათიოდე უხეირო დუქანია, სადაც მხოლოდ იაფფაიანი საქონლით ვაჭრობენ. ამ მიდამოებში მოდის ხილის, მარცვლეულისა და განსაკუთრებით, ბრინჯის უხვი შოსავალი, მაგრამ ამ ქალაქში ვაჭრობა მაინც მცირე მასშტაბისაა. აქ შემოსულ პატარა და დიდი ზომის ხომალდებს, ჩვეულებრივ, მხოლოდ რკინა, მარილი, საპონი და მოსახლეობისათვის მცირეოდენი ქსოვილი შემოაქვთ. აჯარის (Adjéré) ხეობაში ძნელადსავალი გზების გამო ახისხას<sup>2</sup> (Akiska) ვაჭრებს თავიანთი საქონლის გატახა არზრუმის ბაზრებიდან ურჩევენიათ.

და მართლაც, ამ ხეობაში ჩვენი ხუთდღიანი მოგზაურობის გახმაველობაში პატარა ქარავანიც კი არ შეგვხვედრია. მომდევნო თავში შე კვლავ დაუვებრუნდები ამ საკითხს და გაჩვენებთ, რამდენად ცლებოდა ბ-ნი პეისონელი, როცა ბათუმიდან სავაჭრო გზად ახისხაზე გაშავალ გზას მიიჩნევდა.

ბათუმის კომენდანტი ახისხას ფაშას ემორჩილება. მისი სახლი, რომელიც ქვის კოშკითაა დატული, გაშენებულია მაღლობზე, ქალაქიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, ერთი მეოთხედი ლიეს დაშორებით; აქედან გამოედინება მდინარე ბათუმი, — ძველი ბათისი<sup>3</sup> (Bathys), რომელსაც ვხვდებით არიანეს „პერიპლუსში“.

### ახისხა

ახისხას პროვინცია, რომელიც ძველად ზემო ქართლის<sup>4</sup> (le Haut-Kharcl) უნდა ყოფილიყო, შეადგენს ზემო საქართველოს (la Géorgie supérieure) ნაწილს; ასე უწოდებდნენ მას სომხები მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. იგი მოიცავს ოცდაოთხ მაზრას თავისი დაბებითა და სოფლებით და გადაჭიმულია დასავლეთით, ერთის მხრივ, არზრუმიდან ოდნავ მოშორებით, ხოლო შუორეს მხრივ, აღმოსავლეთით შავ ზღვამდე, თბილისის მიმართულებით ერთნახევაროდლის სავალ მანძილზე; სამხრეთით, ყარისის<sup>5</sup> მხრიდან იგი ორი დღის

სავალზეა გადაქიმული, ხოლო იმერეთისაკენ — სამი დღის სავალზე. ეს პროვინცია ხშირად იწოდებოდა ტაიქის<sup>6</sup> (Daïkh) პროვინციად, რომელიც მდებარეობდა ზემო სომხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, არარატის პროვინციის ჩრდილოეთით, გუგარქის<sup>7</sup> (Koukarkh) პროვინციის დასავლეთით, კადგირისა<sup>8</sup> (Khadghdigh) (გერქნების (Keldir) და ლაზების ქვეყნების აღმოსავლეთით, დაბოლოს, კოლხეთისა და იბერიის ნაწილის სამხრეთით. რომელიც შეადგენდა გურიის (Gouriel) სამეფოს. ვიდრე ამ მხარეს რუსები დაიპყრობდნენ. სომხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ ტაიქის ქვეყანა გადავიდა კონსტანტინოპოლის იმპერატორების მფლობელობაში; მაგრამ მთავრებს მამიკონიანთა (Mami-goniens) საგვარეულოდან. რომლებიც მემკვიდრეობით განაგებდნენ ამ ქვეყნის ერთ ნაწილს, ხოლო შემდეგ მას ქართველები დაეპატრონენ<sup>10</sup>, არასოდეს არ მიუციათ კონსტანტინოპოლის იმპერატორებისათვის იმის საშუალება, რომ მათ მშვიდობიანად ემართათ ეს მხარე (1)<sup>11</sup>. ბოლოს ქართველები გახდნენ მისი ბატონ-პატრონები 1580 წლამდე, ვიდრე მანუჩარი (Menoudjchar), ძე ქაიხოსროსი (Gazeh)<sup>12</sup>, ამ დროისათვის მისი სუვერენი, თურქებთან დამარცხდებოდა და მათ დაემორჩილებოდა. მანუჩარმა მიიღო მაჰმადიანობა, იწოდა ათაბაგად (Atta-Bey) და დაინიშნა ახალციხის ფაშად<sup>14</sup>.

შემდეგ ამ მხარეს სპარსელები დაეპატრონენ. სულთანმა მურად IV-ემ ჰასან-ფაშა ახალციხის დასაპყრობად გაგზავნა და ოცდასამდღიანი ალყის შემდეგ თურქებმა კვლავ დაიბრუნეს იგი, რის შემდეგაც მას მურად IV-ის მემკვიდრეები განაგებდნენ<sup>15</sup>

ტაიქის ქვეყანამ თავისი სახელწოდება, როგორც ჩანს, ძლიერი მომთაბარე ხალხების — დაქების<sup>16</sup> (Dalii) სახელწოდებიდან მიიღო, რომლებიც ალექსანდრეს დროიდან მოყოლებული მოედვნენ ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებს, აღმოსავლეთით — კასპიის ზღვის ქვეყნებს და თვით შიდა სპარსეთსაც (2). ამიანე მარცელინეს<sup>19</sup> (3) მიხედვით, ისინი დამკვიდრდნენ აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროებზე და ტრაპიზონის მიდამოებში. დაქები ძველი ბერძენი მწერლების მიერ მოხსენიებული ტაოხები (Taocēii) უნდა იყვნენ<sup>20</sup>.

ქალაქი ახისხა, როგორც მას თურქები უწოდებენ, ქართულად

(1) ფაუსტოს ბუზანდი<sup>12</sup> (Faust. Byzant), წიგნ. 3, თავი 18, გვ. 71,

(2) სტრაბონი, წიგნ. 11, გვერდები 508, 511, 515 და შემდგ. კვინტ კურციუსი;<sup>17</sup> წიგნ. 4, თავი 12, წიგნ. 5, თავი 3; არიანე, ალექსანდრეს ექსპ.<sup>18</sup> წიგნი: 3, თავი 28 და 30.

(3) წიგნ. 22, თავი 8.

ახალციხე (Alkhalzikifé), ე.ი. ახალი ციხე, წარმოადგენს თურქეთის საქართველოს დედაქალაქს. იგი ხეობაში, მთის ფერდობზეა გაშენებული. ქალაქს ჰყვას ამავე სახელწოდების მდინარე<sup>21</sup>, რომელიც სათავეს იღებს აჩიკბაშის (Achik-Bach) მთებში<sup>22</sup> და როგორც უკვე აღვნიშნე, კირუსს უერთდება. მისი მარჯვენა ნაპირი ბალეებითაა გამშვენებული. აქ ჯერ კიდევ შემორჩენილია სულეიმან ფაშას სასახლის ნანგრევები. ეს ფაშა თავის სუვერენს აუჯანყდა, დიდხანს იცავდა აქ თავს, მაგრამ ბოლოს დაუძლურდა და დაიღუპა<sup>23</sup>. თვით ქალაქი გარშემოვლებულია თხრილებითა და ქონგურებიანი ორმაგი გალავნით, გარე-გარე ამოყვანილი კვადრატული და მრგვალი კოშკებით; ერთ-ერთი ციხესიმაგრე ზემოდან დაჰყურებს ქალაქს, სადაც გამგებლის სასახლის შორიანლო საუცხოო მეჩეთი დგას.

ამ ქალაქის მოსახლეობა ორმოც ათას კაცს შეადგენს; უმრავლესობა თურქია, ხოლო სომხების, ქართველებისა და ებრაელების რიცხვი მცირეა. ისინი შიგ ქალაქში ან ქალაქის მიმდებარე სოფლებში ცხოვრობენ. ყველა ეროვნებას თავთავისი ეკლესია და სინაგოგა აქვს, ჰყავთ თავიანთი მღვდლები და რაბინები. ახალციხეში ხუთასი კათოლიკური ოჯახია და კიდევ ერთი ამდენი სხვადასხვა სოფელშია გაბნეული. კერძოდ: იულიტაში<sup>24</sup> (Jolita), წყრუთში<sup>25</sup> (Zghrati), ვალეში<sup>26</sup> (Valch), არალში<sup>27</sup> (Aral), უდეში<sup>28</sup> (Udeh), აბასთუმანში<sup>29</sup> (Abastaman), არტანში<sup>30</sup> (Ardahan), ველში<sup>31</sup> (Veli), არტანუჯში<sup>32</sup> (Ardanudji), ბარში (Bara), ართვინში<sup>33</sup> (Artwin), ხერთვისში<sup>34</sup> (Chertois), ახალქალაქში<sup>35</sup> (Akhor-kelek), და ხიზაბავრაში<sup>36</sup> (Chisabavra). კათოლიკებს ახალციხეში ორი ეკლესია აქვთ, რომელთაც ემსახურება ექვსი მღვდელი; ლეთისმსახურება სომხურ ენაზე წარმოებს. ერთ-ერთ მღვდელს ისეთი ლამაზი გრძელი წვერი აქვს, რომლის მსგავსი არასოდეს მინახავს. მღვდელს წვერი დაგორგალებული აქვს. რათა იგი მიწაზე არ ათრიოს. რაკი თურქები თვლიან, რომ ასეთი წვერის ტარება მხოლოდ და მხოლოდ წინასწარმეტყველის მოწაფენ შეუძლია და ურჯულოსათვის ასეთი პატივი მიუღებელია, აღშფოთებულებმა მღვდელს წვერის გაკრეპა მოსთხოვეს, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, ფაშა წინ აღუდგა თურქების მოთხოვნას. ეს მაგალითი გვიდასტურებს, თუ რა მძიმე ჩაგვრას განიცდიან თურქეთში მცხოვრები რაიები<sup>37</sup> (raïs); მათ არ შეუძლიათ თვით ბუნების მიერ მონიჭებული მადლით დატკბენ, ხოლო დესპოტიზმით აღვსილ თურქებს მიაჩნიათ, რომ უფლება აქვთ ფეხქვეშ გათელონ მათი ღირსება.

ამ პროვინციაში თურქული ენა ბატონობს, მაგრამ ქართულადაც ბევრი ლაპარაკობს.

ახისხაში ვაჭრობა არაა დიდად გაშლილი და ბაზარიც პატარაა. კოტაოდენი საქონელი აქ სპარსეთიდან შემოაქვთ და სავაჭრო ურთიერთობა მხოლოდ ერევანთან (Irewân), არზრუმთან და თბილისთან აქვთ დამყარებული.

## რიზე

რიზე<sup>38</sup> ტრაპიზონიდან სამოცდაოთხი თურქული მილით, ანუ თერთმეტი ლიეთია, დაშორებული. იგი ხმელეთის სიღრმეშია გაშენებული და ზღვის მხრიდან მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა ერთ-ერთ პატარა კონცხს შემოუვლით, რომელსაც წყალქვეშა კლდეებისაგან წარმოშობილი აქაფებული ტალღები ეხეთქება. ქალაქში ორი-სამი ათასი მცხოვრებია, მათ შორის ოცდაათიოდე ბერძნული და ათი ნომხური აჯახია. ქალაქის ტერიტორია საკმაოდ ვრცელია, ხოლო თვითონ ქალაქს საკმაოდ ბევრისოფელი ექვემდებარება. თუში-ოღლის (Tutchi-Oglou), ჰაჯი-მემიშ-ალას (Hadjî-memich-aga) და მის ძმას ოსმანს (Osman) პატარა გორაკზე გაშენებული თითო-თითო სასახლე აქვთ. კომენდანტის სასახლეს ძველი ციხე გადმოჰყურებს, რომელსაც გარე მხრიდან ოთხი მრგვალი კოშკი აქვს ჩაშენებული. აქვეა ერთმანეთისგან მცირე მანძილით დაშორებული ხუთი კვადრატული კოშკი. სამი მათგანი ძველი აგებული უნდა იყოს, მაგრამ ვერც ციხეზე და ვერც კოშკებზე ვერაუთარი წარწერა ვერ აღმოვაჩინე, რომელიც შათი შშენებლობის თარიღს მიმანიშნებდა. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კოშკები იუსტინიანეს დროს იყო აგებული. არიანე თავის „შავი ზღვის პერიპლუსში“ იხსენიებს მხოლოდ და მხოლოდ მდინარე რიძიოს<sup>39</sup> (Rhizius), რომელიც რიზეს ახლოს მიედინება, მაგრამ არ ლაპარაკობს არც ქალაქისა და არც ნავსადგურის შესახებ, რადგანაც ამ ნაპირთან იგი ქარიშხლის დროს აღმოჩნდა და თავის შესაფარებლად იძულებული გახდა ფლოტიურთ ათენსაკენ<sup>40</sup> (Athènes) წასულიყო.

როცა ვკითხულობთ განსვენებული ბ-ნ პეისონელის ნაშრომს შავი ზღვის ვაჭრობის შესახებ (4), სევდა გვეუფლება, რადგან ეს

(4) იხილეთ პარაგრაფი „რიზე“, ტომი 2. გვ. 53 და შემდგ.



პატივცემული რწმუნებული შეცდომებს უშვებს სხვის მიერ მიწოდებული ინფორმაციების გადმოცემისას; შეცდომაა დაშვებული თვით რიზეს ადგილმდებარეობის განსაზღვრისას: ბ-ნ პეისონელს მიაჩნია, რომ ეს ქალაქი გაშენებულია ზღვიდან სამი მილის დაშორებით. იგი წარმოგვიდგენს რიზეს, როგორც საზღვაო ვაჭრობისა და ჩვენი სამრეწველო საქონლის ფართო გასაღების ბაზარს. გახა რა რესურსები უნდა შემოგვეთავაზოს ორი-სამი ათასიანი ქალაქის თურქმა მოსახლეობამ, რომელსაც ურთიერთობა მხოლოდ მასზე დამოკიდებულ სოფლებთან აქვს? ადგილობრივი მცხოვრებლები პირადი მოხმარებისათვის საჭირო საქონლის შესაძენად უმთავრესად ტრაპიზონში მიდიან, ხოლო ამ ქვეყნის მმართველის გამგებლობაში არსებული გემები ყირიმიდან მხოლოდ და მხოლოდ რკინით, მარცვლეულითა და მარლით დატვირთულნი ბრუნდებიან. რიზეს ტერიტორიაზე ძირითადად მოდის კანაფი, სელი და საუცხოო გემოს ფორთოხალი, რომლითაც ქალაქს შეუძლია აწარმოოს გაცვლა.

### არზრუმი<sup>41</sup>

მისი მოსახლეობა დაახლოებით ასი ათასს შეადგენს; აქედან ორი ათას ხუთასი სქიზმატიკოსი<sup>42</sup> სომეხია, ათას ექვსასი კათოლიკე სომეხი, ოთხასი ბერძენი, ხოლო დანარჩენი — თურქი.

ქალაქი განლაგებულია ჩრდილოეთის განედის  $39^{\circ}56'36''$ -ზე და გრძედის  $46^{\circ}15'45''$ -ზე.

არზრუმი ერთ-ერთი უმდიდრესი სავაჭრო ქალაქია აზიაში და წარმოადგენს საწყობს ინდოეთსა და სპარსეთიდან შემოსული ყოველნაირი საქონლისათვის. თუმცა ქალაქზე მმართველთა მხრიდან დაწესებულია სხვადასხვა სახის გადასახადი, იგი მაინც დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს ვაჭრებს, რადგანაც იგი სპარსეთიდან, ბალდადიდან<sup>43</sup>, მოსულიდან<sup>44</sup>, დიარბექირიდან<sup>45</sup>, თბილისიდან, სმირნიდან, ალეპოდან, კონსტანტინოპოლიდან და სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი ახლომდებარე ქალაქებიდან მოსული ქარავნებისათვის ადვილად მისადგომია.

სპარსეთიდან ქარავნებს შემოაქვთ ქირმანული<sup>46</sup> ქაშმირის შალი (shalls) და სხვა ჩვეულებრივი ხარისხის შალეული; მოჩითული ტილო, ნივნიად წოდებული მატყლი, თახვი, რევანდი და სხვა ინგრედიენტი, რაც მედიცინისა და სამღებრო საქმისათვის არის საჭირო;

ტილოს საქონელი, აბრეშუმის დაჩითული თავსაფრები, საქუდე ტყავი — ბერძნებისა და სომხებისათვის. მარგალიტები, ხამი აბრეშუმში, ენდრო, ბამბა და წითელი ბამბეულის ნართი.

ბაღდადიდან ქარავენებს შემოაქვთ წიწკა, ყავა, სხვადასხვა საბაყლო საქონელი, კალა, დაბალი ხარისხის სიმინდი, ნიშადური, საღებარი ხეები, ჩვეულებრივი სიმინდი და ქურთისტანული მელნის გუნდა.

ღიაბეჭირიდან ქარავენებს მოაქვთ სხვადასხვა ფერის ტარსიკონი, მიუხედავად იმისა, რომ მას არზრუმშიც აწარმოებენ, შემოაქვთ მიტკალი, მოჩითული ტილო, წითელი ბამბეულის ნართი, მელნის გუნდა.

თბილისიდან ქარავენები არზრუმში ორ კვირაში ჩადიან და მოაქვთ ცვილი, ხარ-კამეჩის ტყავი, აღრაგანტი, ნივნივის მატყლი.

ალეპოდან ქარავენებს შემოაქვთ მიტკალი, აბრეშუმის ტილოები ოქროქარგული ყვავილებით და ადგილობრივი მზა საპონი.

სმირნიდან და კონსტანტინოპოლიდან ქარავენები ჩვენი ევროპული საქონლით დატვირთულნი მოდიან; ხოლო ტრაპიზონიდან წამოსულ ქარავენებს მოაქვთ დედაქალაქიდან ან ყირიმიდან ზღვით შემოსული საქონელი. შავი ზღვის კომერციისადმი მიძღვნილ თავებში შესაძლებლობა მექნება კიდევ უფრო ვრცლად ვილაპარაკო არზრუმის ვაჭრობაზე და იმ მრავალფეროვან პროდუქტიაზე, რომლის საწყობსაც ეს ქალაქი წარმოადგენს.

ბაზრებს აქ ვრცელი ტერიტორიები უჭირავთ, კარგი ჰომარაგებ აქვთ და აქ ყოველთვის დიდი ფუსფუსია. ბაზრის მცირე ნაწილი გადახურულია, დანარჩენი ნაწილი კი ღია ტერასებადაა განლაგებული, რაც ფეხით მოსიარულეთათვის ძალზე მოსახერხებელია. ქარავენებით შერწყმულ საქონელი ინახება ქვით ნაგებ უზარმაზარ ხანებში, ანუ ქარავასლებში. აქ აშენებულია ოცი დიდი და მრავალი შედარებით მომცრო ზომის ქარავასლა. საქონლის შენახვა აქ სავსებით საიმედოა და მისი გატანისას ხანებს პატრონს გადასახადს უხდინან. ქარავასლას ბეკრი ოთახი აქვს, რომლებსაც უცხოელები ან ქალაქის ვაჭრები ქი-ოაობენ.

უმთავრესად გამოიყენება წონის ორი ერთეული. საქონელი იყიდება ბათმანობით<sup>47</sup> რაც ექვს ოყას შეადგენს, და აენტნერობით,

რაც ას ოთხმოცი ოყის (5) ტოლია. ოყით იზომება მხოლოდ უმნიშვნელო საქონელი. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა. რომ ამ ქალაქში ხმარებული წონის ერთეული სამი მეგრედი უფრო დიდია, ვიდრე კონსტანტინოპოლსა და ტრაპიზონში გამოყენებული წონის ერთეული, საზომად იყენებენ იგივე საწყაოს, რასაც იმპერიის დედაქალაქში.

### ტრაპიზონი

იგი დაარსებულია მეგრე ოლიმპიადის მეორე წელს, იესო ქრისტეს დაბადებამდე შვიდას ორმოცდამეხუთე წლით ადრე. ქალაქი წარმოდგენდა სინოპის კოლონიას, რომელიც თავის მხარე მილეტის კოლონია იყო.

თავდაპირველად ტრაპიზონი დამოუკიდებელი ქალაქი იყო: მოგვიანებით იგი ეპორჩილებოდა პონტოს მეფეებს, მითრიდატეს. პოლემონს და ბოლოს კონსტანტინოპოლია სუვერენებს; მეცამეტე საუკუნეში ტრაპიზონი ალექსი კომნენოსის მიერ შექმნილ იმპერიაში შედიოდა. დღეს იგი მაკმადიანებს ეპორჩილება და მისი დიდებული წარსულის კვალიც აღარსადაა შემორჩენილი. ქალაქის მოსახლეობა ითვის ორას ორმოცდაათ ათას კაცს, რომელთა შორისაც სამი ათასი ბერძენია, ორი ათასი — სომეხი, ხოლო დანარჩენი — თურქი თუ ლაზი. ტრაპიზონის საფაშოში შედის ჯანიკის<sup>18</sup> (Djenick) პროვინცია და რიზეს გადაღმა მხარეს მდებარე მთელი სანაპირო სინოპიდან მოყოლებული კემერამდე. მე ოტომანთა იმპერიის მრავალი ქვეყანა მოვიარე, მაგრამ ტრაპიზონელი თურქების მსგავსი ჩამორჩენილი ხალხი არსად მინახავს.

თურქებს შორის იყენენ ძალზე მდიდრებიც, მაგრამ ქრისტიანთა შორის მდიდრებს ნაკლებად შეეხვედრივარ; ამასთანავე ქრისტიანები ცდილობენ თავიანთი შეძლება და სიმდიდრე არ გამოაჩინონ, ხოლო თავიანთ ოქროს ისინი მიწაში ჩაპარხავენ ან სადმე გადამალავენ ხოლმე, როგორც ეს გამქრალი იმპერიის უბადრუკ ქვეშევრდომთ დაუბეღება.

ტრაპიზონი მდებარეობს განედის 41°1'00''-ზე. პარიზის აღმოსავლეთის გრძედის 37°24'37''ზე(6). მისი ნიადაგი ნაყოფიერი

(5) ოყა წარმოადგენს ზომა-წონის ერთეულს და შეადგენს ოთხას დრაქმას; ას ორმოცდაცამეტი დრაქმა უდრის ერთ ლევს, ძე. წონის ერთეულს.

(6) კაპიტან გოჭიუს დაკვირება.

და საუცხოო თვისებების მქონეა; აქ დიდი რაოდენობით მოყავთ სელი და სხვადასხვა სახის მარცვლეული. თეთრი ლობიო, კაკალი თუ თხილი აქ უხვად მოდის, რაც ყირიმთან და კონსტანტინოპოლთან ტრაპიზონის ალებმიცემობის ერთ-ერთ საგანს წარმოადგენს; მაგრამ აღნიშნულ ქალაქებში იგი ისეთი მცირე რაოდენობით გააქვთ, რომ ეს პროდუქტები ძლივს აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. ზეთისხილი, ვენახი იგი სხვა ხეხილი აქ კარგად ხარობს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოვლა-პატრონობა ბუნებასაა აქვს მინდობილი. აქაური ყურძენი ჩვენებურ ყურძენთან შედარებით ნაკლებშაქრიანია, მით უმეტეს იმ ყურძენთან შედარებით, რომელსაც სპარსეთის კლიმატურ პირობებში იწვევენ. ღვინოს, ჩვეულებრივ, ნაკლებად სასიამოვნო გემო აქვს, ამის მიზეზია მისი დამზადების წესი და ის ინგრედიენტი, რომელსაც ღვინოს ურევვენ. სოფლელები ნარდენკს (nardenk) ცუდი ხარისხის ყურძნისაგან ამზადებენ. მისი დამზადების პროცესი ასეთია: ყურძნის დაწურვის შედეგად მიღებულ წვენს განსაზღვრულ ტემპერატურაზე ადუღებენ და აზავებენ გარკვეული რაოდენობის ნაცართან. ეს სასმელი დიდი რაოდენობით გააქვთ ყირიმში, განსაკუთრებით კი ტავანროგში, სადაც მისგან არაყს ამზადებენ. რაკი ეს სასმელი არ არის ფერმენტირებული, მას თურქებიც სვამენ.

ჭვეყანა მდიდარია გარეული ფრინველითა და ნადირით, აქ გვხვდება უამრავი ფრანკოლინი, კაკაბი, ბეკასი, კურდღელი, გარეული ლორი; ეს უკანასკნელი ბერძნებს ქალაქში მალულად, ტოპარაში გახვეული ჩამოაქვთ, რათა თურქებმა ამის გამო არ დასაჯონ ისინი. ამ მხარეში თოფითა და შეეარდენით ნადირობენ. შემოდგომაზე აქ მწყერიც ბევრია, მაგრამ იგი ამ მხარეს მხოლოდ გადაუფრენს ხოლმე. სექტემბრის დასაწყისში მწყერი ამ სანაპიროზე გუნდებად მოდის ყირიმიდან და შემდეგ ცხელი ჭვეყნებისაკენ მიეშურება. ამ მხარეში ფრინველი ჩრდილოეთის ქარს დაელოდება და გადასაფრენ გზას ერთ ღამეში დაფარავს. ღონემიხილი მწყერი ადვილად გაებმენა ხოლმე მონადირეთა მიერ მინდვრად დაგებულ ბადეებში; მე პირადად მწყერი ხელითაც ბევრჯერ დამიჭერია.

ტრაპიზონს მცირე ზომის ნავებისთვისაც კი არ აქვს ნავსადგური; ნაპირზე მიდგომისთანავე მათ ხმელეთზე ამოათრევენ ხოლმე. ღამობით აქ დიდი ხმაური იცის: განუწყვეტლივ გაისმის ტალღების დგაფუნის, რომლებიც კლდოვან ნაპირებსა და სახიფათო მეჩეჩებს ეხეთქებიან. ტრაპიზონში მხოლოდ ორი რეიდია: შედარებით დიდი

რეიდი განლაგებულია დასავლეთით, ქალაქის ბოლო ისარას სამხრეთ მხარეს 5°-ზე, ხოლო აღმოსავლეთით — იოროსის<sup>45</sup> (Joros) კონცხის სამხრეთ მხარეს. რეიდს ზემოდან დასცქერის სოფელი, რომელსაც ეწოდებენ ფოლად-ხანეს, (Poulat-Khiané), ანუ ფოლადის ბანაკს, მდამიურად კი — პლატანას (Platana), რადგანაც აქ ლურსმნებს ამზადებენ; რეიდსაც ამ სოფლის სახელი ეწოდება. ხომალდები შლამიან და ბალახიან ფსკერზე ლუზას სანაოსნოს ეზონის ბოლოს ან ზამთრობით ჩაუშვებენ, სოფლიდან ჩრდილოეთის მიმართულებით თხუთმეტი, თორმეტი ან ათი საზღვაო საენის, ხოლო სანაპიროდან ორი კაბელტოვის<sup>46</sup> დაშორებით. თუმცა ეს რეიდი ღიაა ჩრდილო-დასავლეთის, აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთისა და აღმოსავლეთის შუალედური ქარებისათვის, ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით აქ არასოდეს დაღუპულა გემი. პლატანასა და ტრაპიზონს შორის მანძილი დაახლოებით ორი საზღვაო ლიეა. ეს სოფელი და ტრაპიზონი თითქმის ერთსა და იმავე განედზე მდებარეობს; აქ ექვსასი სახლია, რომელთა შესამედი სანაპიროს გასწვრივაა აშენებული, დანარჩენი ორი შესამედი მოშორებით, მთის ფერდობზეა გაბნეული.

მეორე რეიდი ქალაქის ბოლოს, აღმოსავლეთ მხარესაა და იწოდება ჩუმლუქჩად (Tchumlekchi)(7), რადგანაც ამ უბანში თიხის ქურჭელი მზადდება; ეს რეიდი პატარაა და ხომალდები ზაფხულობით თუ ჩააგდებენ ლუზას. რეიდი ღიაა როგორც ჩრდილო-დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარებისათვის, ხოლო ბორცვი, რომელზეც ნანგრევებად ქცეული დიდი სასახლე დგას, მხოლოდ ოდნავ იცავს რეიდს დასავლეთის ქარებისაგან. ეს პატარა ნახევარკუნძული, სადაც ესქისარაის (Esky-Seraï) სახელწოდებით ცნობილი ნანგრევები გვხვდება, საკმაოდ შორს მდებარეობს; ამის გამოა, რომ დღემდე შემორჩენილი იმ მიწაყრილით, რომელიც იმპერატორ ადრიანეს ბრძანებითაა გაჭრილი<sup>47</sup> და ამ ნანგრევების დასავლეთით მდებარეობს, შეუძლებელია აქ მეორე ყურის შექმნა; ამ პატარა ნახევარკუნძულის ნაპირზე მხოლოდ ნაევი შემოდიან.

ტრაპიზონის აღმოსავლეთით, დაახლოებით ორნახევარ ლიეზე, არის შესამე რეიდიც, რომელსაც კოვათა (Kovata) ეწოდება; იგი ზემოთ ნახსენებ რეიდთან შედარებით ღიაა დასავლეთის და შედარებით ჩაკეტილია აღმოსავლეთის მხრიდან. ხომალდები აქ მხოლოდ

(7) ეს სიტყვა მომდინარეობს tchumiek-დან, რაც ნიშნავს თიხის ქოთანს.

სექტემბრის თვეში უშვებენ ლუზას და თხილით იტვირთებიან, რომლის უხვი მოსავალი სწორედ ამ რეიდის ირგვლივ მდებარე სოფლებში მოდის. ისევე როგორც ჩუმლუქჩთან, აქაც ბევრია მენიჩი და ამის გამო ხომალდებს სანაპიროდან ოცდაათი ტუზით, ანუ ექვსი-რვა საზღვაო საყენით დაშორებულ ადგილს უხდებან ლუზის ჩაშვება. ტრაპიზონის ვაქრობაც კი ნაკლებ განვითარებული იქნებოდა, ადგილმდებარეობა და არზრუმთან სიახლოვე რომ არ უწყობდეს ხელს ამ პორტის კაბოტაჟურ ნაოსნობას კონსტანტინოპოლთან და ყირიმთან. ადგილობრივი დამზადების სელის ტილო, შეღებილი ტილო და დიარბექირის შებლებავი ტილი, ბამბანარევი ქაოვილები, დამუშავებული და დაუმუშავებელი სპილენძი, ნარდენკი, თხილი და განსაკუთრებით კი თამბაქო — ესაა ის საქონელი, რომელიც არცთუ დიდი რაოდენობით იგზავნება ყირიმში. ამ ნახევარკუნძულზე სავაჭრო საქონელი განუწყვეტლივ შემოაქვთ, რასაც განსაკუთრებული სარგებლობა მოაქვს რუსებისათვის. აქ ვაჭრობენ მარცვლეულით, მარლით, კარაქით, საქონლის ქონით, მატყლით, ხარის ტყავითა და რკინით; ამ საქონელზე დიდი მოთხოვნა ანატოლიასა და სომხეთში.

ტრაპიზონიდან კონსტანტინოპოლში იგივე საქონელი გააქვთ, რაც ყირიმში. გარდა ამისა, კონსტანტინოპოლშივე გააქვთ ადგილობრივი ტილო, ბზა და იამაიკური დაფნა, რომელიც ყარა-ყაბანის (Karakaban) მთებში იზრდება. ვერცხლის, ტყვიისა და ზირნიხის საბადოების ნაწარმი, ყავა და დედაქალაქისათვის საჭირო სხვა სავაჭრო საქონელი ბაღდადიდან, სპარსეთიდან და საქართველოდან მოსულ ქარავნებს შემოაქვთ არზრუმში, საიდანაც ისინი ტრაპიზონში ჩადიან და იტვირთებიან ახალი საქონლით. კონსტანტინოპოლიდან ხომალდები ადგილობრივი მოსახლეობისათვის საჭირო სამრეწველო საქონლითა და სხვადასხვაგვარი ევროპული ნაწარმით დატვირთული ბრუნდებიან. მათ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შემოაქვთ ფოლადი, კალა და საპონი.

ტრაპიზონიდან ყოველწლიურად ორი გემი მიემართება ბურგასში, ქალაქ სელიმიეს (Selimia) სავაჭრო პორტში, სადაც ზაფხულობით ბაზრობა იმართება. აქ შემოაქვთ დიარბექირის შეღებილი ტილო, მიტკალი, სპილენძი და კურდღლის ტყავი; სამაგიეროდ, აქედან გააქვთ გრძელბეწვიანი ქეჩა, რომლისგანაც მოსახლეობა აბან<sup>52</sup> (aba) სახელწოდებით ცნობილ მოსახლემებს ამზადებს.

ტრაპიზონში საქონელს ინახავენ ქვით ნაგებ თერთმეტ ქარვას-  
ლაში; ყოველ მათგანს საგანგებოდ უცხოელი სოვდაგრებისათვის  
განკუთვნილი ოთახები აქვს. ბაზისთან (besestein) მოთავსებულია  
ქალაქის შუაგულში; ამ საქმაოდ დიდ და კვადრატული ფორმის: მენ-  
ნობას ორი სხეადასხვა მხარეს დატანილი ფანჯარა აქვს. ეს შენობა,  
აღბათ, გენუელების მიერაა აგებული და მას თოფისწამლის შესანაზი  
სარდაფის დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

ტრაპიზონის თითქმის ყველა სოვდაგარს არზრუმსა და კონსტანტი-  
ნოპოლში კომპანიონები ჰყავს, რომლებიც შუამავლის როლს ასრუ-  
ლებენ და თანაბარი რაოდენობით აგზავნიან მიღებულ საქონელს ამ  
ორ უკანასკნელ ქალაქში. მართალია, საქონლის გაცვლა-გამოცვლა  
ძირითადად არზრუმში წარმოებს, მაგრამ საქონლით ტრაპიზონშიც  
ვაჭრობენ. ამ გზით თავიდან იცილებენ საქონლის არზრუმში ტრანს-  
პორტირებისათვის საჭირო ხარჯებს, რაც ოცდაათ ბათმანზე(8) 40-  
45 პიასტრს შეადგენს. თურქი სოვდაგრები, ჩვეულებრივ, მცირეო-  
დენი მოგებით კმაყოფილდებიან და როცა საქონელს სამი-ოთხი  
თვის ვადით ყიდულობენ, ზუსტად იცავენ თავიანთ ვალდებულე-  
ბებს. ტრაპიზონის ვაჭრობის ძირითადი და ყველაზე სარფიანი საგა-  
ნი, უდავოდ, არგანამადენის<sup>53</sup> (Argana-Maden) (9) სპილენძია. იგი  
ტრაპიზონში დაუმუშავებელი სახით შემოაქვთ, მისი დამუშავების  
ოპერაციას კი შვიდი დღეელი ასრულებს. სოვდაგარი, რომელსაც  
შესაძლებლობა აქვს ადგილზე მივიდეს და მეთვალყურეობა გაუწიოს  
აღნიშნულ ოპერაციას, მოგების მხოლოდ თხუთმეტ პროცენტს კარ-  
გავს. ზუსტი გამოანგარიშების შედეგად, რომლის ცხრილიც მე შე-  
ვადგინე (10), ადგილზე შესყიდული ექვსასი ათასი ბათმანი ამ ლი-  
ფონისა, შესყიდვის ფასის, ტრაპიზონში მისი ტრანსპორტირებისა და

(8) ზემოთ აღენიშნე, რომ ბათმანი შეადგენს ექვს ოყას, ოყა — ოთხას დრაჰმას;  
ეს ორმოცდაცანეტი დრაჰმა — ერთ ლივრს, ძვ. წონის ერთეულს.

(9) ამ მდნეულის შესახებ მე ვრცლად ვიკაუბრე ჩემს ნაშრომში „სპარსეთში  
მოგზაურობა“, ტომი I, გვერდი 60.

(10) აი, გამოანგარიშების ცხრილი:

ექვსი ათასი ბათმანი არგანას (Argana) სპილენძი,	
თითო ბათმანი ლირს 7 1/2 პიასტრი . . .	45,000 პიასტრი
ერთი ბათმანის ტრანსპორტირება ტრაპიზონამდე	
ჯდება 47 პიასტრი	7,050
ოცი ბათმანის გამოდნობის ხარჯი 10 პიასტრი .	3,000
	55,050

გამოდნობის ხარჯების გამოკლებით, იძლევა დაახლოებით ოც პროცენტ მოგებას. ეს მოგება გაცილებით დიდი იქნებოდა, მყიდველებს რომ საკუთარი ლუმელი ჰქონდეთ, რადგანაც ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ლუმელებში დაღეპილი ნარჩენების ხელახლა გადამუშავება და ამ გზით ამოკებული თანხით მუშების გასტუმრება. ამასთანავე, იმ სოფელში, სადაც ისინი ამ ოპერაციას ჩაატარებენ, სოფდაგრები სოფლის შეპატრონე თურქი სენიორებისაგან იათად შეიძენდნენ ნახშირს, რომელიც მათ დიდი რაოდენობით ესაჭიროებათ. ტრაპიზონში სპილენძს დიდი გასავალი აქვს და ისიც სწრაფად საღებება ნაღდ ანგარიშზე. მარტო ამ საქონლით მოვაჭრე წლის ბოლოს უდიდესი მოგება დარჩება. სოფდაგარი ერთ ნაწილს იქვე, ქალაქში გაყიდის, ხოლო დანარჩენს ევროპაში გაიტანს, სადაც ამ სპილენძს მეტი ფასი აქვს, ვიდრე იგივე ხარისხი თოკათის სპილენძს, რადგანაც იგი უკეთ არის დამუშავებული.

როცა ექვსი ათასი ბათმანი სპილენძი იწმინდება, ყოველი ოცი ბათმანიდან მიიღება ჩვიდმეტი ბათმანი, ე. ი. ხუთი ათას ასი ბათმანი: ტრაპიზონში ერთი ბათმანი იყიდება 13 პიასტრად, რაც იძლევა	66,300
გამოვაკლოთ ნედლეულის ღირებულება და დანახარჯი . . . . .	55,050
<u>სუფთა მოგება 11,250 პიასტრი</u>	

მას შემდეგ, რაც ეს ცხრილი შევადგინე, შესაძლოა სპილენძის შიდა ნაყიდვის ფასი და სხვა ხარჯები გაიზარდა, მაგრამ პარალელურად მისი პროდუქციის გაყიდვის ფასიც აუცილებლად იგივე პროცენტით გაიზარდებოდა.

**არზრუმიდან გამგზავრება.** — გზა ბაიბურთამდე<sup>54</sup> და გუმუშხანემდე.<sup>55</sup> — ამ ორი ქალაქის აღწერა. — ტრაპიზონში ჩასვლა.

27 თებერვალს გამოვემშვიდობე იუზუფ-ფაშას, რომელმაც ჩამაბარა ტრაპიზონში საფრანგეთის კონსულისათვის გადასაცემი წერილი და საჩუქრად მომართვა საუცხოო ქაშმირის შალი, თან დიდი თავზიანობით მითხრა: „ეს მოსასხამი სიცივისაგან დაგიცავთ“. მაშალობა მოვახსენე ვეზირს მის რეზიდენციაში ყოფნის დროს ჩემს მიმართ გამოკლენილი ყურადღებისათვის და მისი თავზიანობით აღფრთოვანებული გზას გავუღეჭი. მოგზაურები ხშირად უკმაყოფილონი არიან ხოლმე, როცა დაბალი რანგის თურქი მმართველები მათ თავხედურად მოექცევიან. ან აბუჩად აიგდებენ. ეს ნაკლებად ითქმის მაღალი რანგის, განსაკუთრებით კი დედაქალაქში მცხოვრები თურქე-



ბის მიმართ, რომლებიც მერტწილად თავიანთი კეთილგანწყობილებით გამოირჩევიან.

ამჟე დღეს ტრაპიზონის ფაშას სამსახურში მყოფი ერთ-ერთი თათარი თავის ბატონთან ბრუნდებოდა. მას დაევალა ჩემი პეგზურო. ბა და 23-ში, დილის თერთმეტ საათზე ქალაქი არზრუმი დავტოვეთ. მინდერები ჯერ კიდევ თოვლით იყო დაფარული, მივიდიოდით ოღრო-ჩოღრო და ძნელად სავალი გზებით; ყველა სიკეთესთან ერთად არც სამგზავრო ცხენები გამოგვადგა. მზის ჩასვლისას რის ვაი-ვაგლახით ჩავაღწიეთ სოფელ ალაჯამს (Aladjam), რომელიც არზრუმიდან სულ რაღაც ექვსიოდე ლიეთია დაშორებული.

ეს სოფელი 1 მარტს დავტოვეთ, დილის რვა საათზე. თავდაპირველად ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებით ავიღეთ გეზი და ორსაათნახევრის შემდეგ მივაღწიეთ სოფელ ჰერმანუ-ქაისს<sup>56</sup> (Hermanu-Kei), სადაც თურქები და სომხები ცხოვრობენ. ამ სოფელში წავიხეძმეთ, თანაც ჩვენი ორი ცხენი სხვა ცხენებით შეეცვალეთ, მაგრამ მაინცდამაინც არც ისინი გამოგვდგომია.

ნაშუადღევს აღმოსავლეთ — სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ავეგზავნებოდით. ავედიოთ საკმაოდ მაღალ, თოვლით დაფარულ მთაზე, შემდეგ დავეშვიოთ ხეობაში, სადაც სოფელი დავგზავნა. ამ სოფელში დიდხანს არ გაეჩერებულვართ და ისევ აუუყევით მაღალ მთას, რომელსაც ქიოშაფუნ-დალი (Kinchapoun-Dagh) ეწოდება: ეს გახლავთ ძველი სკიდისი<sup>57</sup>. (Scydissis), რომელიც სომხეთის ოთხ უმთავრეს მთათაგან ერთ-ერთია. იგი ერთმანეთისაგან ჰყოფს მდინარეებს, რომლებიც ამ მხარეში მოედინება. ამასობაში გამოვცდიოთ სპარსეთის ყურის ფერდობებს და შავი ზღვის შორიანლო ვანლაგებულ ფერდობებზე გამოვედიოთ. ქიოშაფუნ-დალის თავზე დავგზავნა სოფელი ქინშაფუნ-გარი (Kinchapoun-Gar). მართალია, მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ შვიდი ლიე გამოვიარეთ, მაგრამ ცხენები მაინც ძალზე კანც-გაწყვეტილები იყვნენ და ჩვენც იძულებული გავხდითოთ დამე ამ სოფელში გაგვეთია.

მეორე დღეს, 4 მარტს, სოფელი დავტოვეთ: ძლიერი ქარი ქროდა, თან საშინლად ციოდა; თოვლით დაფარულ მიწას გზის კვალიც არ აჩნდა. მთიდან ჩრდილოეთ — ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით დავეშვიოთ და იმ ხეობაში ჩავედიოთ, რომელსაც ქოროხი (Djorokh) ევით. ეს მდინარე, ძველი ავტორების მიხედვით, აკამფსისი (Acampsis), სომხეთის ერთ-ერთი მთავარი მდინარეა<sup>58</sup>, ამ მოგზაურობის დროს ჩვენ ხშირად გვიხდებოდა მასთან მისვლა. იგი სათავეს იღებს

ქიოშაფუნ-დაღში, ქმნის მრავალ წყაროსა და პატარა ნაკადულს; მდინარე სათავეში დიდი არ არის; იგი ღართის (Kart)<sup>59</sup> დაბლობზე მდინარე ორგანს (Organ) უერთდება, გაივლის ბაიბურთიდან ჩრდილოეთით თორმეტ ლიეზე მდებარე სპერს<sup>60</sup> (Spir) (11), შემდეგ მიედინება ჩრდილო-დასავლეთისაკენ და ვიღრე შავ ზღვაში ჩაედინება გონიოსა (Guniöh)<sup>66</sup> და ბათუმს შორის, მრავალ პატარა შენაკადსა და ლეღეს შემოიერთებს. კოროხი სწრაფად მიედინება, წალეკავს ხოლმე მიმდებარე ტერიტორიებს და ამ სისწრაფის გამო მას მეტსახელად დელი (Deli) (გიეი) უწოდეს<sup>67</sup>.

მთის ძირში ცივ წყაროს მივაღექით, რომელსაც აზოტის, გოგირდისა და ბიტუმის გემო ჰქონდა. ეს ღლეც დიდად მომქანცველი აღმოჩნდა ჩვენი ცხენებისათვის; მათ მეორე ღლეცაც უნდა გაეწიათ ჩვენთვის სამსახური. ჩემმა მეგზურმა თათარმა არ მატარა ჩვეულებრივი, შიკრიკების სავალი გზით, რადგანაც იცოდა, რომ აშკალას (Achkalai) პოსტი მოშლილი იყო იმ მიზეზების გამო, რომლის შესახებ ზემოთ მოვახსენეთ. მას იმედი ჰქონდა, რომ სოფელ-სოფელ სიარული უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გავციმართლდა, ცხენები რომ დაგვეზოგა, გადავჭერიით ტყიანი, კოროხით გადაკვეთილი ხეობა და თავი შევაფარეთ ერთ პატარა, ულაზათო და მალლობზე გაშენებულ სოფელს, რომელსაც მასათა (Massata) ერქვა. ექვსი საათის შემდეგ ბაიბურთს ჩავედით.

(11) სპერი ამავე სახელწოდების ოქჯის მთავარი ქალაქია; მას ექვემდებარება ის ორმოცდაათი სოფელი, დასახლებულია თურქებით<sup>61</sup>, უფრო მეტად კი სომხებით, თვით სპერი წარმოადგენს დაბას, სადაც ასიოდე სახლი დგას. სპერს ზემოდან დაკუთრებს საკმაოდ კარგად შემონახული ციხე, სადაც ოცდაათიოდე კაცო ცხოვრობს და რამდენიმე საწყობაა. დაბაში მიედინება კოროხი და გამოკყოფს სპერის ოქჯს ოფის<sup>62</sup> (Ofi) ოქჯისაგან, რომლის მთებიც ერთი მილითაა დაშორებული ამ მდინარისაგან; კოროხი ამ ადგილას ფართოა და ღრმა. სპერის სამხრეთით, დაბიდან სამი საათის სავალზე დგას წმინდა იოანეს (Saint-Jean) მონასტერი, სადაც სამი ბერი ცხოვრობს; ამ მონასტერში სომხები დადიან სალოცავად. სპერის ოქჯში შემავალ სოფლებს განაკებენ ალები<sup>63</sup>, რომლებიც ეპორხიზიან ვინმე მემო-ოღლუს (Memo-Oglu). რომლის რეზიდენცია სპერის ციხეშია. სწორედ ეს დაბა უნდა ეოფილიყო მთავარი ქალაქი სტრაბონთან (წიგნი II, გვ. 629), ისპირატისის (Hyspiralis) სახელწოდებით მოხსენიებული პროკინციისა, სადაც ალექსანდრემ ერთ-ერთი თავისი სარდალი, სახელად მემნონი (Memnon), გამბალას (Cambala) საბადოების ხელში ჩასაგდებად გაგზავნა<sup>64</sup>. კონსტანტინე ბორფიროგენეტი (de Themal, წიგნი I, თავი 8, გვ. 31)<sup>65</sup> ამ პროკინციას უწოდებს სისპირიტისს (Syspiritis). შორეულ წარსულში იგი ბაგრატიდების (Bagratides) მფლობელობაში იყო, ღლეც კი არზრუმის საფაშოს ნაწილს შეადგენს.

ეს ქალაქი, რომელსაც სომხები პაიპერტს (Paipert), ხოლო თურქები ბაიბურტოს (Baibour) უწოდებენ, გაშლილია მდინარე კოროზის ნაპირებზე: ქალაქის ერთი ნაწილი განლაგებულია ალვის ხეებით გაშენებულ ხევში, ხოლო მეორე ნაწილი მალლობზეა შეფენილი. პროკოპი<sup>68</sup> ამ ქალაქს ბაიბერდონს (Baiberdon), ხოლო კედრენე<sup>69</sup> პაიპერტს (Paiperte) (12) უწოდებს. ბაგრატიდები სწორედ აქ აწარმოებდნენ ბრძოლებს ქრისტიანული წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან მოყოლებული. დროთა განმავლობაში იგი რომაელებმა დაიპყრეს და იმპერატორმა იუსტინიანემ აქ უამრავი ციხესიმაგრე ააგო.

წინათ, თვით თურქების ბატონობის დროსაც, ეს ქალაქი, ეტყობა, ძალზე მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ დღეს იგი მიტოვებულია და აქ მხოლოდ ნანგრევებად ქცეული სახლებიღაა შემორჩენილი, ხოლო ის, რაც ჩერაც არ დანგრეულა, მედიის სიროებს წააგაჟს. ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ქვებით ნაგებ და მცირეოდენი კირხსნარით გამაგრებულ სახლებში სინათლე ქერწი გაქრილი დიდი ხვრელიდან შემოდის. სახლები გადახურულია მიწით და სახურავზე ბანია მოწყობილი. ზოგი სახლი ერთსართულიანია და კირითაა ნაგები. ქალაქში დაახლოებით სამი ათასი ორასი თურქი ცხოვრობს, რომელთა პირქუში და მკაცრი გამომეტყველება მათ უღმობელ სასიათზე მეტყველებს. წინათ აქ სომხებიც მრავლად ცხოვრობდნენ, მაგრამ ახლა მათი რიცხვი ორას კაცს არ აღემატება. სომხებმა ეს მხარე მაშინ მიატოვეს, როცა ისინი თურქებმა შეაიწროვეს. ბევრი მათგანი კონსტანტინოპოლში გადასახლდა, სხვები — არზრუმსა და ტრაპიზონში. სამართლიანად არის ნათქვამი, რომ ემიგრაცია ყველაზე უტყუარი საბუთი სახელმწიფოს სიდუხჭირისა და მისი ცუდი მმართველობისა. ბევრული გლეხი თითქმის ყოველთვის გულდაძლიებული ტოვებს იმ მიწას, სადაც მან დღის სინათლე იხილა. ადამიანი, ბუნებრივია, მიჩაქვეულია თავის მშობელ მიწას. სამშობლოსადმი ეს სიყვარული უფრო სულისმიერი ღრმობაა, ვიდრე ფიზიკური. როდესაც ადამიანი დროებით ტოვებს სამშობლოს, იგი აუცილებლად უბრუნდება მას, მაგრამ როცა თურქეთის ქვეშევრდომი დატოვებს მშობლიურ ადგილს და მეზობელ სოფელში ან დედაქალაქში გადასახლდება, ეს სულაც

(12) პროკოპი, de AEdif. Justin., წიგნი 5, თავი 4, გვ. 571; კედრენე, ტ. 2, გვ. 620.

სახელწოდება Paipert წარმოადგენს ორი სომხურ სიტყვის კომპოზიტს: pert ნიშნავს „ციხეს“ და pai — „მთავარს“, საიდანაც თურქებმა დამახინჯებით აწარმოეს bey.

არ ნიშნავს იმას, რომ იგი ცნობისმოყვარეა, დაუდგარი, ან რომ მას რაიმე ასეთი სენი დაეუფლა, როგორც ეს ჩვენში ხშირად ხდება ხოლმე; ამ ქვეყანას გლეხი იმიტომ ტოვებს, რათა გათავისუფლდეს ჩაგვრისაგან, მოიპოვოს სიმშვიდე და იცხოვროს უზრუნველად, რასაც საკუთარ მიწაზე ვერ ახერხებს; სწორედ ასეთი გადასახლება გახლავთ ყველაზე სარწმუნო და უცილობელი ნიშანი ცუდი მმართველობისა.

სომხებს ბაიბურთში ოთხი ეკლესია აქვთ, რომელთაც მრავალ მღვდელი უწევს მომსახურებას. მეჩეთი კი აქ სამია.

მრეწველობა აქ სრულიად განუვითარებელია. ზოგიერთმა მოგზაურმა ბაიბურთის შემოგარენში სპილენძისა და თვით ვერცხლის საბადოსაც კი მიაკვლია. ირგვლივ მდებარე მთებში ნამდვილად უნდა იყოს ლითონები, მაგრამ მათი დამუშავება აქ სრულებით არ წარმოებს. საქონლის გადაზიდვისთვის იხდიან მცირე გადასახადს — თითო ცხენის საპალნეზე 47 ფარას; ეს ეხება როგორც ტრაპიზონიდან არზრუმში მიმავალ, ასევე არზრუმიდან ტრაპიზონში მიმავალ ტრანსპორტს.

ვიდრე ქალაქიდან გავემგზავრებოდი, მინდოდა შენახა ციხესიმაგრე ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც განმარტოებით აღმართულ მაღალ ბორცვზე დგას<sup>70</sup>. ციხეში დასავლეთის კარიდან შევედი: ერთ-ერთი კარი სქელი ხისა იყო, ხოლო მეორე — რკინისა; ამ რკინის კარის ორსავე მხარეს, ციხის კედელზე, ლომი და ვეფხვი იყო გამოსახული. ზემოთ თურქული წარწერა იკითხებოდა, რომელიც ალბათ უფრო ძველ სხვა წარწერას ფარავდა. როგორც ჩანს, ეს ორივე კარი ციხის აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებულ გარე ნაგებობებში გადიოდა. მესამე კარი კოშკს უკავშირდებოდა. რაიმე წარწერის პოვნის იმედს არ ვკარგავდი; მინდოდა ამ ქალაქის დამაარსებლის ვინაობა დამედგინა და გამეჩვენა, ხომ არ ცდებიან გეოგრაფოსები, როცა ამ ქალაქს ლეონტიპოლისს (Leontopolis) და იუსტინიამპოლისს (Justinianopolis) უწოდებენ-მეთქი. სამწუხაროდ, აქ მხოლოდ თურქული წარწერები ვიპოვე. ალბათ, მეცნიერებისა და ხელოვნების მიმართ მტრულად განწყობილმა ქედმაღალმა ოტომანებმა ხელყვეს ამის თაობაზე უთუოდ არსებული წარწერა და ამით მოსპეს წარსულის მოგონების ნაშთიც. როგორც ჩემმა მეგზურმა თათარმა მაცნობა ერთ-ერთი ასეთი წარწერა იუწყებოდა, რომ სულთანი ალი ბაიბურთს დაუფლებია 70 წელს ჰიჯრით<sup>71</sup>.

ციხე, როგორც აღვნიშნე, აღმოსავლეთით, ციცაბო ბორცვზე

დგას, რომელიც მთელს ქალაქს ზემოდან დასცქერის. იგი მოგრძო ფორმისაა და ალბათ მყარადაც იყო ნაგები. ამჟამად იგი ნანგრევებადაა ქცეული. ციხის მხოლოდ დასავლეთი ნაწილია შედარებით კარგად შემონახული: აქ ჯერაც შემორჩენილია რამდენიმე ბასტიონი და კვადრატული ფორმის კოშკები. ციხის აღმოსავლეთი ნაწილი ასე ლიერ გამაგრებული არ უნდა ყოფილიყო. აქვე შევნიშნე მიწისქვეშა გასასვლელი: იგი მდინარისაკენ მიემართება და თავის დროზე ციხესიმაკრისათვის წყლის მისაწოდებლად გამოიყენებოდა. ციხე აღჭურვილია ქვებებით, რომლებიც მწყობრიდან გამოსული ექვსი კულევრინისაგან<sup>72</sup> შედგება. ზოგი მათგანი შუაზეა გახლეჩილი, სხვები დამოქლონვილია. ძველი ეკლესია დღეს თოფისწამლის საწყობადაა ქცეული. ციხეზე, რომელსაც ზემოდან სამი ბორცვი დაჰყურებს, იერიშის მიტანა შესაძლებელია სამხრეთის, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან. ჩრდილოეთით, მალლობზე დგას მონასტერი, რომელშიაც ორი დერვიში ცხოვრობს; მის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ბორცვზე კი თურქული სოფელია გაშენებული. კარგ ამინდში ციხიდან ულამაზესი და უმშვენიერესი ხედი იშლება. აღმოსავლეთითა და დასავლეთით მოჩანს მთელი ქალაქი და ნატიფი გემოვნებით, სიმეტრიულად გაშენებული ბაღები, რომლებიც ჭოროხით ირწყევა. დასავლეთით სამი კოშკის ნანგრევებია; ისინი არზრუმის გზას გადმოჰყურებენ; ორი მათგანი შემალლებულზე დგას, ხოლო მესამე კიდევ უფრო მაღალ ბორცვზეა აშენებული.

შინ როცა დავბრუნდით, ჩვენი ბარგი შეკრული დაგვხვდა, და საღამოს ოთხ საათზე ბაიბურთი დაეტოვეთ. თოვლი ბარდნიდა და საშინლად ციოდა. ამ მხარეში ისეთი მკაცრი ზამთარი იცის, რომ სოფლებს შორის მიმოსვლა ხშირად დიდი ხნით წყდება. ორნახევარი ლიე რომ გავიარეთ, თავზე დაგვადამდა და იქულებული ვავხლით გზიდან ოდნავ გადაგვეხვია. თავი პატარა სოფელ ერკუის (Ergui) შევაფარეთ, სადაც მხოლოდ თხუთმეტი კომლი ცხოვრობს. აქ გავათიეთ ლამე და 4 მარტს, გამთენიისას გვემგზავრეთ. გზა, რომელიც ქალაქ გუძუშანემდე უნდა გაგველო, ძნელად საეალი აღმოჩნდა. მთელი გზა დასავლეთ — ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მივდიოდით, გადავიარეთ რამდენიმე გორაკი და ხევი; ბოლოს შივალწიეთ ოციოდე კომლით დასახლებულ პატარა სოფელს, რომელსაც კიზ-კალესს (Keuz-Kalessi) ეძახიან. სოფელს პატარა მდინარე ჩამოედის, ხოლო ზემოდან მას დანგრეული ციხე გადჰოჰყურებს, რომელიც შეეუღლად აღმართულ ფრიალო კლდის თხემზე დგას. ამ

ციხეში ახლაც ცხოვრობს ხალხი. არაფერს ვიტყვი ციხის შესახებ არსებული და ქეშმარიტებას მოკლებული ლეგენდების შესახებ; აღნიშნავ მხოლოდ იმას, რომ გადმოცემის თანახმად აქ ახალგაზრდა მეფის ასული ყოფილა გამოკეტილი, რის გამოც ციხისათვის კიზ-კალესი (ქალიშვილის ციხე) უწოდებიათ. სოფელს გამოეცდით თუ არა, მაღალი მთა გადავიარეთ და ჩავედით ერთ ადგილას, რომელსაც თექე<sup>73</sup> (Tekhe) ჰქვია. აქ არის მონასტერი, რომლის მკვიდრნი მუქთახორები არიან, მაგრამ თავს ღვთისმოსავეებად ასაღებენ; ამ მხარეში ასეთ ხალხს ღერვიშებს<sup>74</sup> უწოდებენ, ხოლო ჩვენში — განდევნილებს. მონასტრის შორიანლო აგებულია ორი-სამი საწყობი და ერთი ქარვასლა. ცნობილი გეოგრაფოსი დანვილი ფიქრობს, რომ თექე იგივე თემეს-მთაა (Mont-Techés), საიდანაც ათიათასიანმა არმიამ უკან დახევისას პირველად ზღვა დაინახა (13). ეს ყველაფერი მართლაც სარწმუნო უნდა იყოს, რადგანაც თექედან გასვლის ხანს ათიათასიანი არმია პირველივე დღეს მიადგებოდა იმ მდინარის ნაპირს, რომელიც მაკრონებს<sup>75</sup> სკვითებისაგან გამოჰყოფდა. შემდეგ სავალი გზიდან ხელმარჯვნივ არმიას იწელად მისადგომი მთა დაუხვდებოდა, ხელმარცხნივ — კიდევ ერთი მდინარე; სწორედ ამ მდინარეში ჩაედინებოდა აქაურ ორ ხალხს შორის საზღვრად დადებული შენაკადი, რომელიც გზად უნდა გადაელახათ.

მდინარის ორთავე ნაპირზე უამრავი პატარა ხე ხარობს. პირველი მდინარე, უდავოდ, სოფრანი (Sopran) უნდა იყოს, გუმუშხანეს შენაკადი, რომელსაც ხარშითი (Karchout) ეწოდება; მის ნაპირებზე მართლაც სხვადასხვა ჯიშის ხეებია თავმოყრილი და ამ მშვენიერი ბაღების ხილვა კარგ ამინდში მართლაც რომ თვალს იტაცებს.

ერთ დღეში თორმეტი ლიე გავიარეთ, დაახლოებით ორი საათის განმავლობაში მიეყვებოდით ქარშეთის მარცხენა ნაპირს და გუმუშხანეში ჩავედით. აქ ბინა უნდა დამედო ერთ სომეხ სოვდაგართან, უწინ ბარათის მფლობელ და ფრანგულის მცოდნე თარჯიმანთან (14). შესაძლებელია, ეს ქალაქი იმ ადგილსაა გაშენებული, რომელიც

(13) იხილეთ „ათი ათასი უკან დახევა“, მ. ლეშერის (Laicher) თარგმანი, წიგნი 4, გვ. 138.

(14) თურქეთის მთავრობა ევროპელ ელჩებს ეწინააღმდეგებოდა რაოდენობის ბარათებს (barats) აძლევდა, რომლებსაც ისინი დიდი სენიორის ქვეშევრდომ ბერძნებსა და სომეხებს უთმობდნენ თითო; 12—15000 პასტრად. ამ სიგელით ალექსანდრე პირველმა ხელისუფლების მუარველობის ქვეშ ექცეოდა, მისი მებრძოლი ხდებოდა და ხარაჩისაგან<sup>76</sup> (karatch) თავისუფლდებოდა; ხოლო საბაყო გადა-

რომისაგან მიმავალ გზაზე ბილის (Byle) სახელწოდებითაა აღნიშნული; იგი აფეთქატრისებურადაა განლაგებული ბორცვის ფერდობზე და ნახევარწრეს ქმნის. აქ თითქმის ყველა სახლი ერთსართულიანია, ნაგებია ხისაგან ან თიხისგან, მაგრამ აშენებულია იმაზე უკეთ, ვიდრე თურქეთის სხვა ქალაქებში. სახლები ზემოდან მიწითაა გადახურული, ისევე როგორც არზრუმში. ქალაქში ხუთი ქარავალა და ორი აბანოა. ქალაქს დასცქერის მთა, რომელზეც ციხეა აგებული; სადღეისოდ ციხე თითქმის დანგრეულია და იქ აღარაფერია ცხოვრობს. პროკოპის (15) მიხედვით, ამ ციხესიმაგრეს ბოლუმი (Bolum) ჰქვია, აქ თავდებოდა თეოდოსიოპოლის (Thiodosiopolitain) ქვეყანა და სპარსეთის მეფეებსაც აქ ჰქონიათ ოქროსა და ვერცხლის საბადოები. ეს ქვეყანა რომაელებს გადასცა ნერსეს<sup>77</sup> (Narscs) ძმამ ისაკმა (Isaces).

გუმუშხანეში დაახლოებით ხუთი ათასი კაცი ცხოვრობს. მათ შორისაა: თხუთმეტი კომლი კათოლიკე სომეხი, სამასი კომლი სქინზმატიკოსი, ოთხას ორმოცდაათი კომლი ბერძენი და სამასი კომლი თურქი. ქრისტიანები აქ საკმაოდ დიდი თავისუფლებით სარგებლობენ და სულაც არ არიან ისე შევიწროებულნი, როგორც ანატოლიის სხვა ქალაქებში. სომეხებს აქეთ ხუთი ეკლესია და ჰყავთ ერთი ეპისკოპოსი. ბერძნებს მხოლოდ ერთი ეკლესია აქეთ, რომელსაც ეპისკოპოსის გარდა კიდევ რვა მღვდელი ემსახურება.

გუმუშხანეს მმართველი ატარებს ემინის<sup>78</sup> (Emini) ტიტულს; მას ნიშნავს ზარაფხანის გამგებელი, ანუ კონსტანტინოპოლის ზარაფხანის ემირი (Tarap-Khanèli-Emini). მის იურისდიქციაში შედის ყველა აქაური მალაროს ზედამხედველობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი პატრონობს პაიბურთიდან ოთხი ლიეს ფარგლებში მოქცეულ სამოც სოფელს, ბალახორას (Balakhora) ჩათვლით. ხელოსუფლების სხვა წარმომადგენლებად ითვლებიან ყადი, ანუ მოსამართლე, და სარდარი (serdar), ანუ იანიჩარების მეთაური.

ხახლს როგორც მღვდელს, ისე ვაგზანულ საქონელზე მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებას შერ დადგენილი ტარიფით იბღიდა; ამჟვე დროს მებარათე იღებდა უფლებას ვტარებინა ყუთელი ფერის საშინათ ფეხსაცმელი, რაც თურქეთში მცხოვრებ რაიებისათვის (raias) აკრძალული იყო. ბარათების განახლება ხდებოდა მამის, როცა ტახტზე ასალი სულთანი დაქცებოდა, ან როცა ელჩის სუვერენი გარდაიცვლებოდა; რამდენიმე წლის წინათ ოტომანთა პორტამ გააუქმა ეს ბარათები, რადგან მისი მფლობელები ბოროტად იყენებდნენ თაჟანას პრივილეგიებს. ასეთი ბარათი ხელს აძლევდა ელჩებსა და თარჯიმნებს, მაგრამ საშელმწიფო ხაზინისათვის მას ზიანი მოჰქონდა.

(15) D. S., გვ. 1.

ქალაქის მოსახლეობის ერთადერთი სამრეწველო დარგია დაბალ-  
ყელიანი და მაღალყელიანი წინდების წარმოება.

სახელწოდება გუმუშხანე, რაც ვერცხლის სახლს ნიშნავს, ამ  
ქალაქს სამართლიანად შეაჩქევს. აქ ძალზე ბევრი მაღაროა. მართ-  
ლაც, ქალაქის ირგვლივ მდებარე მთების გაყოლებაზე ყველგან მო-  
ჩანს მღვიმეები. თურქეთის მთავრობა მაღაროებს პირადი სარგებ-  
ლობისათვის ამუშავებს. ყველა კერძო პირს, ვისაც საამისო სახსარი  
გააჩნია, შეუძლია რისკი გასწიოს და მაღარო დაამუშაოს: ნამდვილად  
რომ ძალით არ დაჰყუდოს იმის ბედს, ვინც მდიდარი მადნის ძარღვს  
მიაკვლევს! მაგრამ მეტწილად მეწარმეთა გარჯა და გაწეული ხარჯი  
უშედეგოა ხოლმე. და თუკი მაღაროში ისინი მაინც მიაკვლევენ რა-  
იმე მადანს, მაშინ ტყვიის მადანიც კი აუნაზღაურებს მეწარმეს არა-  
თუ ექსპლოატაციისათვის გაღებულ ხარჯებს, არამედ დიდ მოგებასაც  
მისცემს მას. მეწარმე ვალდებულია ვერცხლი სახელმწიფოს მიჰყი-  
დოს; ერთ ოყაში (16) მას 80 პიასტრს უხდიან, თუმცა კი ერთი ოყა  
ვერცხლის ფასი ორასი პიასტრია.

საბადოდან შოშავო და მტვრევალი ქვა აპოაქვთ. მისი დამუშავე-  
ბის პროცესი ასეთია: მადანს ჭერ ქურებში ჩაყრიან, სადაც იგი გაჰ-  
ყარდება; შემდეგ ამ მასას ათი ფუტის სიგრძის, რვა ფუტის სიგანისა  
და ოთხი ფუტის სიღრმის კირხსნარით ნაგებ ქურაში ჩაყ-  
რიან, ხოლო ზემოდან გარკვეული რაოდენობის ხის ნახშირსა და ლი-  
თონის შემცველ შენაერთს მოაბნევენ. ტყვიის უხავი როფში ჩაედი-  
ნება, ხოლო ამ გამყარებული ქვის შემადგენელი ოქროს, ვერცხლისა  
და ტყვიის ნაწილაკები ქურის ფსკერზე რჩება და ერთ მასად იქცევა.

წლის გარკვეულ პერიოდში გუმუშხანეში მთელი დატვირთვით  
მუშაობს თორმეტი ქურა. თითოეული მათგანი კვირაში სამ ოყა  
ვერცხლს იძლევა, ხოლო ყოველი დრაჰმა ვერცხლიდან იღებენ ერთ-  
ნახევარ დრაჰმა ოქროს. ამ ორი ლითონის ერთმანეთისაგან გამოსა-  
ყოფად იყენებენ შინის ქურას, რომელსაც დიდ ცეცხლს შეუნთებენ  
ხოლმე. ამ მიზნისათვის თიხის ქურები არ გამოიყენება. ლითონს  
იგივე ნივთიერებით შლიან, რითაც ჩვენი ქიმიკოსები სარგებლობენ.

მაღაროებში, ჩვეულებრივ, მხოლოდ ბერძნები მუშაობენ. სამი  
მათგანი ზედამხედველად ითვლება და განმასხვავებელ ნიშანს —  
განსაკუთრებული ფორმის ქუდს ატარებს.

---

(16) ოყა არის წონის ერთეული, რომელიც შეიცავს ოთხას დრაჰმას; ას ორმოც-  
დაცამეტი დრაჰმა შეადგენს ერთ ლივრს. ძვ. წონის ერთეულით.



გუმუშხანეს შემოგარენში არსებობს სპილენძის საბადოებიც; აქ ოქროს საბადოც აღმოუჩენიათ, მაგრამ მდინარისათვის შიშართულება ვერ შეუცვლიათ და ამიტომ მისი წარმოება შეუწყვეტიათ. ევროპელებს ხელში ეს ქვეყანა კემშარტი პერუ გახდებოდა.

გუმუშხანეში მთელი ერთი დღე დავრჩი. ვეწვიე ემონს. მან გახსაკუთრებული თავაზიანობით მიმიღო. ასეთი თავაზიანობა სურჩებს ევროპელებთან მუდმივი ურთიერთობების შედეგად აქვთ შეძენილი.

გუმუშხანე 6 მარტს, საღამოს ათ საათზე დავტოვე. ჩაყუევით ხევს, დიდხანს მიუღუყვებოდით ბალებით დამშვენებულ ხარშითის (Carchout) ნაპირებს, მერე კი გზიდან გადაუხვიეთ და ხრიოკ ბორცვებზე ავედით. ექვსი საათის სვლის შემდეგ ჩვენს ცხენებს ძალა გამოეცალათ და იძულებული გავხდით არდასაში (Ardassan) შეგვესვენა, სადაც ღამე ქარვასლაში გავათეთ.

მეორე დღეს, დაახლოებით სამი საათის განშვალობაში ვიარეთ ოღროზოღრო და მთაგორიან ადგილებში და ქარვასლებს მივადექით. ამ ტერიტორიაზე არავინ სახლობს, ამიტომ მოგზაურთა და ქარავანთა თავშესაფრად აქ რამდენიმე ქარვასლა აუვიათ.

შემდეგ გადავიარეთ ზიგანა-დაღი (Zigáná-Dágh) ანუ ყარა-ყაბანი (Kara-Kaban), იგივე ზიგანას მთა, ანუ შავი მთა<sup>17</sup>. ალბათ, სწორედ ამ მთის წვერზე იყვნენ კოლხები (Colchidiens) დამანაკებულნი, როცა შეტევაზე წამოსულ ათიათასიან არმიას უნდა შებრძოლებოდნენ. ამ ვერსიის სისწორეს ისიც ადასტურებს, რომ ბერძნები სწორედ ამ გზით ჩამოსულან ტრაპიზონში: მათ ხომ ორ დღეში გაიარეს შვიდი ფარსანგი<sup>18</sup>, რაც ამ ორ პუნქტს შორის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოანგარიშებულ მანძილს შეესაბამება. მთიდან როცა დავეშვით, ქვემოთ, თვალჩაუწყდენელ სივრცეში ღრმულებს ვხვდავდი. ფეხქვეშ რომ მიწა არ მეგრძნო, ვიფიქრებდი ჰაერში ვარმეთქი გამოვიდებული. მალე უზარმაზარ ტყეში აღმოვჩნდი, რომლის ერთ მხარეს ბოლო არ უჩანდა; ამ ათასწლოვან ტანჯვარ ხეებს ალბათ უმძვინვარესი ქარიც ვერაფერს დააკლებდა. ტყე ციცაბო ფერდობზე იყო შეფენილი და სოფელ იერქოფრუშდე (Jerke-upri) გადაჭიმულიყო, რომლის შორიახლო ხომ-ოღლანი<sup>19</sup> (Koch-Oglan) მიედინება, მდინარე, რომელსაც ძველად პიქსიტე (Pixitis) (17) ერქვა. იგი სათავეს იღებს სუმელას (Soumela) მთაში, რომლის

(17) In orá ánte Trapezuntcm flumen Pixitis. (პლინუსი, წიგნი 6, გვ. 4).

შესახებაც ქვემოთ ვილაპარაკებ. იერქოფურს ახლოს შევნიშნე აზოტ-ნარევი გოგირდოვანი წყლები.

მცირე ხნით შევისვენეთ და გზა განვაგრძეთ: მზის ჩასვლისას კი შთებს შორის ჩადგმულ ქარვასლაში შევიჩერდით. მართლაც, ჭერ კიდევ საკმაო სიმაღლეზე ვიმყოფებოდით. მაგრამ ეგრძნობდით, რომ გუშუშხანედან გზა სულ თავდაღმა ეშვებოდა და ჩვენც ზღვას ვუახლოვდებოდით.

7 მარტს, დილაადრიან გაუღდექით გზას; კვლავ თავიკე დავეშეით. ჩვენგან ხელმარჩენივ ხოშოლლანი მოედინებოდა, ხოლო ხელმარცხნივ და ოდნავ მოშორებით დაბა მაზუჯა (Mazzuca) მოჩანდა, რომლის სანახებშიც ტრაპიზონისათვის საჭირო ხის ნახშირის მარაგი მზადდება. ორი საათის სიარულის შემდეგ სოფელ ქევიზლიქში (Djèvizlik)(18) ჩავედით, რომელსაც ეს სახელწოდება აქ გაშენებული უამრავი კაკლის ხის წყალობით შეერქვა. აქედან მცირე მანძილითაა დაშორებული პატარა სოფელი მათარაჯი-ოღლუ (Materaggi-Oglou), სადაც მცირე ხნით შევიჩერდით. გვიწოდდა შეგვეტყო, რა ზღვებოდა ქალაქ ტრაპიზონში, რომელიც იმ დროს შინაურ შფოთს მოეცვა: შეიარაღებული თურქები, რაიები, ხელოსნები და მეზღვაურები ორი ძღაერი დერებეის<sup>22</sup> (Derebeys) ირგვლივ დაჯგუფებულიყვნენ. ზოგნი ქალხი-ოღლუ-მემიშ-აღას (Calzi-Oglou-Mémich-Aga) მხარეზე იბრძოდნენ, ზოგნი კი — შათირ-ოღლუ-ოსმან-აღას (Chatir-Oglou-Osman-Aga) მხარეზე. ვიმედოვნებდი, რომ მე და თანმზღვებ თათარს პატივისცემით მოგვეპყრობოდნენ, ამიტომაც ცხენზე ავმზღვდრდი და გზას გაუღდექი. გზად ქალები, ბავშვები და სოფლელები შემოგვიერთდნენ ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ჩვენი მფარველობით ქალაქში უხიფათოდ შევიდოდნენ.

გავიარეთ პატარა სოფელი მუჰურჯი (Muhurji), სადაც ყველა სახის გატანილ საქონელზე გადასახადს ახდევინებენ. უსწორმასწორო გზაზე ერთნახევარი ლიე გავიარეთ და საღამოს სამ საათზე ტრაპიზონში ჩავედით, სადაც საფრანგეთის კონსულს ვეწვიე.

(18) ქევიზი თურქულად ნიშნავს კაკალს. ეს ის ადგილია, რომელსაც ბ-ნი კინეი (Kinnei) შეედომით იემიშეეს (jemischee) უწოდებს. (ახლეთ Journey, Trough Minor, Armenia and Koordistan, გვ. 345).

თოკათი — ძველი კომანა (Comana), გაშენებულია ბალ-ვენახებში, ჩაფლულ თოზანლუს (Tozanlu) ხეობაში და გარშემორტყმულია წითელმიწიანი მოებით. ეს ქალაქი უფრო კარგად არის ნაგები, ვიდრე ანატოლიის სხვა რომელიმე ქალაქი. აქ თითქმის ყველა სახლი ორსართულიანია და ამფითეატრისებურადაა განლაგებული წაწვეტებულ კლდეებში გამოქრილ ბაქნებზე. ორი ყველაზე მაღალი კლდის თავზე დგას ნანგრევებად ქცეული თითო ძველი ციხე, სადაც ფრანგები ყოფილან დატყვევებულნი მათი ეგვიპტეში ლაშქრობის დროს.

თოკათის მოსახლეობა თითქმის მთლიანად თურქულია და დაახლოებით სამოც ათას სულს ითვლის. მათ შორის არიან სომხები, ბერძნები და ებრაელები, სულ ათი ათასიოდე კაცი. თურქები და სომხები ძირითადად ვაჭრობას მისდევენ. თურქებს შორის ბევრია მდიდარი სოფდაგარი; ბერძნები და ებრაელები კი მეტწილად ხელმოკლედ ცხოვრობენ და თიუქმის ყველა მათგანი თავს ხელოსნობით ირჩენს.

თოკათი ანატოლიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქია, მას განაგებს ვოევოდა<sup>19</sup> (vaivode) (19), რომელსაც უშუალოდ პორტა ნიშნავს. 1792 წლის ხანძარმა და ამბოხებებმა ძლიერ გააჩანაგა თოკათი, დიდად შეარყია მისი სვებედნიერად ყოფა. მაგრამ აქ წარმოებული ვაჭრობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია. რადგანაც თოკათში თავს იყრის მცირე აზიიდან მოსული ყველა ქარაუანი (20).

კონსტანტინოპოლიდან თოკათში ქარავენები ოც დღეში ჩაღიან, ხოლო სმირნადან — ოცდაათ დღეში; მათ შემოაქვთ ფრანგული, ინგლისური და ბელგიური მაუდი, აბრეშუმის ქსოვილები, შაქარი,

(19) ვოევოდა სლავური სიტყვაა და ნიშნავს არმიის სარდალს. პოლონელები აქ უწოდებენ პროვინციების მმართველებს, ხოლო თურქები — მათი მოხარკე მოლდავეთისა და ვლახეთის ქრისტიან მთავრებს. ამ ტიტულის ტარებზე პატივს მამნიაც უწყალობებენ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ადგილის მმართველს, როცა აქაურ ფაშას ტიტული არა აქვს. ზოგიერთ ქალაქში ეს ტიტული პოლიციის მოხელესაც ეძლევა. მაგალითისათვის შეგვიძლია კონსტანტინოპოლში გალათას<sup>20</sup> გარეუბნას ვოევოდა მოვიყვანოთ.

(20) მეითხველს რომ არ მიეუთითო ჩემ მიერ უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული „სპარსეთში მოგზაურობა“, აქ ნაწილობრივად ვიმეორებ ცნობებს თოკათის ვაჭრობის შესახებ, რომელიც ხსენებულ ნაშრომში უფრო დაწვრილებით მაქვს გადმოცემული. ვიმედოვნებ, მეითხველი შემინდობს ამ განმეორებას.

ნარკოტიკები, ყაენული, ქუდები, ქალაღი, კიაფერი საღებავი, ინდიგო და სხვა ევროპული საქონელი.

მაგნეზიიდან წამოსულ ქარავენებს რომლებსაც აქ ჩამოსასვლელად ოცდარვა დღე სჭირდებათ, შემოაქვთ ქსოვილების დასამზადებელი ბამბა როგორც ადგილობრივი, ისე პროვინციაში მოქმედი მანუფაქტურებისათვის.

ალეპოდან ქარავენები ოცდათხუთმეტ-ორმოც დღეში ჩამოდიან და შემოაქვთ მათი წარმოების ქსოვილები, ყავა და ზოგჯერ ცოტაოდენი ევროპული საქონელიც.

აფიონ-ყარა-ჰისარიდან<sup>85</sup> (Afion-Kara-Hissar) ქარავენები ექვს დღეში ჩამოდიან და შემოაქვთ ოპიუმში და სხვა ნარკოტიკები, ხოლო სამღებროებისათვის ენდრო და სხვა სახის საღებავები.

აბრეშუმით დატვირთული ქარავენები ბურსიდან ოც დღეში მოდიან.

ანგარიდან<sup>86</sup> ქარავენები ორ კვირაში ჩამოდიან და შემოაქვთ კამლოტები და შალეული (chälits).

კასტამბოლიდან (Castambol) ქარავენებს მოაქვთ ბაქირ-კურეს (Bakeur-Kurè) მაღაროების დაუმუშავებელი სპილენძი. ეს მაღაროები შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროდან ხუთი ლიეს დაშორებით მდებარეობს. შემოაქვთ აგრეთვე სელის ძაფისაგან დამზადებული საპერანგე ტილოები. ეს სელი სინოპის სანახებში მოჰყავთ.

არღანა-შაღენიდან ქარავენებს შემოაქვთ სპილენძი, რომელსაც სოკათში ამუშავებენ, ისევე როგორც ბაქირ-კურედან შემოტანილ სპილენძს; შემდეგ იგი დაუმუშავებელი სახით გააქვთ სახმელეთო გზით აზიის შიდა რაიონებში ან სამსუნში, საიდანაც ბურგასისა და ვარნის გზით იგი რუმელიაში გააქვთ.

არზრუმიდან ქარავეანი ათ დღეში ჩამოდის და მოაქვს ნინივად წოდებული მატყლი, სპარსული საქონელი და ქაშმირის შალეული.

დიარბექირიდან ქარავეანი თვრამეტ დღეში მოდის; მოაქვს ტილო, წითელი ტარსიკონი და ქურთისტანული მელნის გუნდა.

მოსულიდან ქარავეანი ორმოცდაათ დღეში ჩამოდის, თეთრი ტილოთი და ფერადი თავსაფრებით, დატვირთული.

დაბოლოს, ბაღდადიდან ქარავეანი ორ თვეში მოდის და შემოაქვს სუფთა ინდური ტილო, ყავა და ქაშმირის შალეული.

თოკააში საქონელზე ერთადერთი და თანაც მცირე გადასახადი დაწესებული, რომელიც იცვლება საქონლის სახეობის შესაბამისად და იზრდება, თუკი ტვირთს აქლემი ეზიდება.

ქალაქში ვაჭართა მისაღებად ოცი დიდი და მცირე ზომის ქარვასლაა. ყველა მათგანს აქვს ოთახები, რომელთაც უცხოელი და ადგილობრივი სოფელები ქირაობენ, ისინი აქ მანამდე რჩებიან, ვიდრე თავიანთ საქმეებს არ მოაგვარებენ. ამ ქალაქის მანუფაქტურისათვის ძირითადი საქონელია მწვანე ტარსიკონი, შეღებილი ტილო და დამუშავებული სპილენძი.

### სინოპი

შუა საუკუნეებში სინოპი წარმოადგენდა ტრაპიზონის პატარა ბერძნული იმპერიის ნაწილს<sup>27</sup>, თუმცა კი მას ე. წ. დამოუკიდებელი მთავრები განაგებდნენ, რომლებიც გამოირჩეოდნენ ძლიერებით და ცნობილი იყვნენ შეკობრებით (21). 1461 წელს ისმაილი, სინოპის უკანასკნელი მთავარი, იძულებული გახდა დაეთმო ქალაქი მუჰამედ II-ისათვის, რომელიც ებრძოდა მას, რადგან ისმაილს კავშირი ჰქონდა სპარსეთის მეფე უზუნ-ჰასანთან (Uzum-Hassan)<sup>28</sup>.

სინოპის მდებარეობა ემთხვევა ცნობილი აზიისელი გეოგრაფოსის მიერ მოცემულ მის აღწერაობას (22). ეს ქალაქი, რომლის ჩრდილოეთის განედი აღმოსავლეთისა და დასავლეთის  $42^{\circ}2'14''$ -ს, ხოლო პარიზის აღმოსავლეთის გრძედი ჩრდილოეთისა და სამხრეთის  $32^{\circ}58'38''$ -ს (23) შეადგენს, განლაგებულია ნახევარკუნძულის სანაპიროზე. ამ ნახევარკუნძულის პერიმეტრი დაახლოებით სამ-ოთხ ლიეს უდრის. იგი მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და არა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, როგორც ეს რუკებზეა აღნიშნული. ნახევარკუნძული მთავორიანია. მის ყველაზე მაღალ ნაწილში პატარა ტბაა. საუცხოო მტენარი წყლით. იგი აშარაგებს ქალაქის მრავალრიცხოვან წყალსატევს. რომლებშიაც წყალი ძველი ბერძნების მიერ გაყვანილი მიწისქვეშა არხებით ჩაედინება. ეს ტბა კოროკონდამეს ტბა უნდა იყოს. სტრაბონის მიხედვით, თავისი სახელწოდება მან ამავე დასახელების მქონე ზღვიდან ათი სტადიონის მანძილზე მდებარე დასახლებული ადგილის წყალობით მიიღო (24). წყალსატევები და მათზე ამოკვეთილი რამდენიმე

(21) აბულფედა. გვერდი 318.

(22) სტრაბონი, წიგნი 12, თავი 2.

(23) მ-ნ გოტიეს დაკვირვება, რომელიც მან აწარმოა ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

(24) წიგნი 11.

ბერძნული წარწერა გვაფიქრებინებს, რომ ისინი ბიზანტიის იმპერიის პერიოდს განეკუთვნებიან.

სინოპი პატარა ქალაქია და დაახლოებით შეიღ-რვა ათას მცხოვრებს ითვლის. მათგან ოთხასი ბერძენია, რომლებიც ქალაქის გარეუბნებში ცხოვრობენ. იქვე ცხოვრობს სამი სომხური კომლი, ხოლო საკუთრივ ქალაქში თურქები სახლობენ. სინოპს აკრავს ორმაგი, კოშკებით დატული გალავანი. კოშკების უმრავლესობა სამი ან ხუთწახნაგაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ერთწახნაგოვან შთაბეჭდილებას ქმნიან. ზღვის შორიახლო აშენებულ ერთ-ერთ კოშკზე ბერძნული წარწერა შევნიშნე, რომლის შუა ნაწილს ჯერის გამოსახულება ამშვენებს. ეს ნიშანი მათემატიკურ ბიზანტიის იმპერიის დროსაა აშენებული. კოშკის იმავე კედელზე, ოღონდ უფრო მაღლა, გამოკვეთილია ნიშა, სადაც გამოსახულია მარმარილოსაგან ნაკვეთი და ძალზე დაზიანებული ანტიკური ბიუსტი. გამოსახულების თმა და ყელი ჯერ კიდევ კარგად არის შემონახული. ჩემი აზრით, ეს ქანდაკება ბერძნული კულტურის უძველეს ეპოქას, განვითარებული ხელოვნების პერიოდს განეკუთვნება. უნდა ეივარაუდოთ, რომ ვიღაც ბარბაროსს კოშკის მშენებლობისას იგი ჩვეულებრივ ქედ მიუჩნევია და თავისი სამშენებლო მიზნისათვის გამოუყენებია — კოშკის კედელში ჩაუსვამს. იგივე შეიძლება ითქვას თხუთმეტი ფუტი სიმაღლისა და ოცდაათი ფუტი სიგანის ბარელიეფის შესახებ, რომელიც იმავე კოშკზე აღმოვაჩინე ზღვის მხარეს აშენებულ კედელზე. ეს ბარელიეფი შედარებით კარგადაა შემონახული და გამოსახავს საწოლზე წამოწოლილ შიშველ მამაკაცს, თასით ხელში. იქვე მეორე ფიგურა დგას, ასევე თასით ხელში, ხოლო მოშორებით შიშველი ბავშვის გამოსახულებაა, რომელსაც ხელები ფიალაზე აქვს ჩამოწყობილი.

სათემატიკოა, რომ ძველ სინოპს ეჭირა ჩვენ მიერ შემოსხენებულ ციხესიმაგრესა და აღმოსავლეთის მხრიდან მოსახლერე მთას შორის მდებარე ტერიტორია, ე. ი. სინოპი განლაგებული იყო არა ნახევარკუნძულის ყელზე, არამედ თვით ნახევარკუნძულზე. დღეს ქალაქის არცერთი იმ კედელთაგანი აღარსად ჩანს, რომლის შესახებ სტრაბონი ლაპარაკობს, ხოლო შეშორჩენილ ნანგრევებზე შეიცნობა ევროპული, ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელ ბერძენ იმპერატორთა დროისათვის დამახასიათებელი არქიტექტურა. ქალაქს ჩრდილოეთის მხრიდან ციხე გადაჰყურებს. იგი თურქების მიერაა აშენებული, მაგრამ მისი საძირკველი უფრო ძველი უნდა იყოს. ნაწილი ქალაქის

მხრილებსა ამოშენებულია ტაძრებისა და სსახლებების ნანგრევებისა—  
გან; აქ ყველგან მოჩანს ძველი სვეტები და არქიტრავები. ეკვი არ  
არის, რომ ეს ციხე აშენებული უნდა იყოს სტრაბონის მიერ სინოპის  
აღწერაში მოხსენიებული გიმნასიონისა და მისი უზარმაზარი  
პორტიკების ნანგრევებისაგან. სვეტების სამრავლე, ქვათა ნაყარისა-  
საფლაოზე, მითრიდატეს სასახლის კედლები, რომელიც ისევე რო-  
გორც ჩვენში, მშვენიერი სამმაგი ზომის აგურითაა ნაგები, სტრაბო-  
ნის მიერ მოხსენიებული უზარმაზარი გიმნასიონის ნანგრევები, ამ  
ერცელ შენობათა დავეგმარების პრინციპი თუ მათი ინტერიერის  
წყობა. რომლის შესახებ წარმოდგენა გვექმნება ჯერ კიდევ შემორჩე-  
ნილი ნანგრევების მეშვეობით. — ადასტურებენ სინოპის ძველ სი-  
ლიაიდეს და სწავლული გეოგრაფოსის მიერ მის აღწერის სიზუსტეს  
(25).

ბჰელეთის მხრიდან ციხე ნახევარწრეს ქმნის. ციხისა და ქალაქის  
კედლებს ორი მხრიდან ზღვის ტალღები ეხეთქება. ქალაქის ყველაზე  
ვიწრო ადგილი, ნახევარკუნძულის ნავსადგურთან შემეერთებელი  
ისარა, დაახლოებით რუასი ნაბიჯია (ორნახევარი ფუტი). ირწმუნე-  
ბიან, რომ წინათ ციხესიმაგრის კედელთან არსებობდა არხი,  
რომელზედაც ხიდი იყო გადებული, და საიდანაც ნაგები და პატარა  
გემები ზღვაში გადიოდნენ. მაგრამ ძველი აგურები ამის თაობაზე  
არაფერსა ცნობას არ გვაწვდიან: სტრაბონი ლამაზაკობს მხოლოდ ქა-  
ლაქის საზღვაო არსენალებისა და მისი ორი ნავსადგურის შესახებ,  
რომლებიც ნახევარკუნძულის ყელის ორსავე მხარეს ყოფილა განლა-  
გებული. ძირითადი ნავსადგური დაცულია თითქმის ყველა მხრიდან  
და ღია მხოლოდ აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარე-  
ბისათვის, მაგრამ ამ მხრიდან დანაქროლი ქარი ზღვაზე არაფერსა  
საფრთხეს არ ქმნის, და ნავსადგურიც უსაფრთხო და მოხერხებულია.  
უამინდობის დროსაც კი გემებს აქ მხოლოდ ერთი ღუზა აქვთ ჩაშვე-  
ბული და მთელი ზამთრის განქვალობაში ასე დგანან ხოლმე ყოველ-  
გვარი საფრთხის გარეშე. ზღვის ფსკერი აქ ძალზე კარგია; ნავსად-  
გურის შუა ნაწილში, ოცი-ოცდაათი საზღვაო საყენის გაყოლებაზე,  
ფი მკვრივშლამიანია, ხოლო ნაპირის გასწვრივ, ერთ-ორ კაბელტო-  
ვის, ანუ ოთხი, რვა და თოთხმეტი საზღვაო საყენის მანძილზე შლამ-  
ში ქვიშაცაა შერეული.

მეორე ნავსადგური, რომელიც ნახევარკუნძულის მოპირდაპირე

(25) „გეოგრაფია“, წიგნი 12, თავი 2.

შხარეს მდებარეობს და აქლიმანი (Akliman) ჰქვია, მხოლოდ პატარა გემებისათვის გამოდგება, რადგანაც იგი ღიაა ყველანაირი ქარებისათვის.

ბერძნული გარეუბნის ბოლოში მდებარეობს ნავსაშენი, სადაც სახაზო გემების მშენებლობა წარმოებს. აქ აგებული სამოცდათხუთმეტი გემიდან მე მხოლოდ ერთი ვნახე. არსენალის უფროსს მუსტაფა (Mustapha) ჰქვია; იგი მოწაფეა ცნობილი გემთმშენებლის ბნ ბრუნისა (Brun), რომელიც კონსტანტინოპოლში დირექტორიის დროს გაიგზავნა. ციხე-ქალაქში მეორე ნავსაშენიცაა, სადაც სავაჭრო გემებს აგებენ.

სამშენებლო ხე-ტყეს სინოპში სამსუნიდან ეზიდებიან, რადგანაც ნახევარკუნძულზე ტყე არ ეგულებათ. სამაგიეროდ აქ მნიშვნელოვანი კულტურების უხვ მოსავალს იწევენ; ქალაქის გარეუბნებში დიდი რაოდენობით მოჰყავთ ხორბალი და ზეთისხილი.

ქალაქ სინოპს განაგებს მუსელიმი<sup>89</sup> (musselim), რომელიც ჯანიყის ფაშას ემორჩილება. ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები არიან იანიჩართა ალა,<sup>90</sup> დიზდარი<sup>91</sup> (disdar), ანუ ციხისთავი და ყალი.

ქალაქში ვაჭრობა თითქმის ჩამკვდარია. აქ შეიძლება გაიყიდოს ცოტაოდენი საპონი, კალა, ფოლადი და თანაც იმ შემთხვევაში, თუკი რამდენიმე ვაჭარი გაერთიანდება და აღნიშნული საქონლის ერთ ან ორ ყუთს შეიძენს.

არც საექსპორტო ვაჭრობაა უკეთესად განვითარებული, მაგრამ აქ მაინც იშოვება:

ცვილი,

ბრინჯი,

საქონლის ქონი,

კანაფი და ფაცარი,

კამეჩის ტყავი,

ხარის ტყავი.

ყოველ ხუთშაბათს სინოპში გამართულ ბაზრობაზე ჩამოაქვთ ზემოთ ჩამოთვლილი საქონელი და ადგილობრივი მოხმარებისათვის განკუთვნილი ცოტაოდენი უხარისხო მატყლის მაუდი. რაკი სინოპში დიდი რაოდენობით მოჰყავთ საუცხოო ხარისხის ხორბალი, უპრიანი იქნება, რომ აქ ხორბლის საწყობი აშენდეს.

ჩემი მოგზაურობის დროს სინოპი წარმოადგენდა რუსეთისა და საფრანგეთის ორი გენერალური კონსულის რეზიდენციას.

დღეს ამ ქალაქში საფრანგეთის დიპლომატიური აგენტი აღარ არის, რუსეთს კი აქ მხოლოდ ვიცე-კონსული ჰყავს.



სინოპში ყოველ ფეხის გადადგმაზე ნახავთ წავსა და შელიახ,  
თხას, კატასა და გარეულ ძალს.

პავა აქ ზომიერია. ეს ადგილი მდიდარია ზეთისხილით, დაფნით,  
მურტითა და ველური ლეღვის ხეებით.

ქალაქში დიდი რაოდენობით აწარმოებენ სელის ტილოს, რომე-  
ლიც ყირიმსა და კონსტანტინოპოლში გააქვთ.

აღწერის დასასრული

# კონსტანტინე

## წინათქმა

1. ნეოლაევი — ქალაქი სამხრეთ ბუგაჲს პარკენა ნაპირზე (უკრაინის სსრ); დაარსებულ იქნა 1788 წელს, როგორც გემშენებლობის ცენტრი სამხრეთ რეგიონში.
2. ხერსონი — ქალაქი დნეპრის მარჯვენა ნაპირზე (უკრაინის სსრ).
3. მენონიტები — ანაბაპტისტური რელიგიური სექტის მიმდევრები; სექტა ჩამოყალიბდა 1536 წელს გერმანიაში, მისი დამაარსებელია მენო სიმონსი (1496—1561 წწ.), ვისი სახელიც საფუძვლად დაედო ამ სექტის სახელწოდებას. მენო სიმონსის მიმდევრები იზიარებდნენ ბიპლას, აღიარებდნენ ქრისტეს ღვთაებრიობას, მაგრამ უარყოფდნენ სამებას; თავიანთ ჩაცმულობაში მათ შექონდათ უსაურობის ელემენტები (კრძალვდნენ ღილები, ხმარებას და სხვ.). 1581 წლიდან მენონიტები გაიფანტნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში: ნიდერლანდებში, შვეიცარიაში, ჩრდილო ამერიკაში, გერმანიაში და სხვ. XVIII საუკუნეში ეკატერინე II-ის დროინდელი მთავრობის მოწვევით, რომელიც დანტერესებული იყო რუსეთის განაპირა რაიონებში ახლის დასახლებით, მენონიტები ჩამოსახლდნენ რუსეთშიც, დამკვიდრდნენ უმთავრესად ტაურისსა და ეკატერინოსლავის (დღევანდ. დნეპროპეტროვსკი) გუბერნიებში და აქ თავიანთი კოლონიები დააარსეს.
4. ტავანროგი — ქალაქი და ნავსადგური ტავანროგის ყურეში, აზოვის ზღვაზე; დაარსებულ იქნა 1698 წ. პეტრე I-ის მიერ, როგორც სამხედრო პორტი და ციხენიშაპრე.
5. ლაპარკია: იმპერატორ ალექსანდრე I-ზე. რომელიც 1825 წლის 16 ნოემბერს ჯარდაიცვალა ტავანროგში მოგზაურობის დროს.
6. აქ იგულისხმება დონის ნახევანი, რომელიც დაარსდა ეკატერინე II-ის ბრძანებით (1778 წ. 9 მარტი) ყირიმიდან გადმოსახლებული სომხების მიერ; დღეს იგი დონის როსტოვის ერთ-ერთ რაიონს წარმოადგენს.
7. ნოვოჩრკასკი — დონის კახათა ადინისტრაციულ ცენტრად ჩამოყალიბდა 1805 წელს, მას შემდეგ, რაც მათი ცენტრი ჩერკასიიდან აქ გადმოიტანეს.
8. Catchalni, ვფიქრობთ, უნდა იყოს კალაჩი — დონის შენაკადების პოლგორნაძასა და ტოლჩეკას ნაპირებზე გაშენებული ქალაქი (ეორონევის ოლქი, რსფსრ).
9. ლიე — ძველებური საგრძის სახომი ერთეული, რომელიც დაახლოებით 4 კმ უდრის, საზღვაო ლიე კი — 5555,5 მ (დაახლოებით 5,556 კმ) (იხ. Dictionnaire encyclopédique Larousse, Paris, 1979, გვ. 819).
10. ღუბოკა — ქალაქი ვოლგის მარჯვენა ნაპირზე (რსფსრ)
11. სანტიმი — ფრანკის მესამედი ნაწილი.
12. ასტრახანი — ქალაქი ვოლგის დელტაში; XV საუკუნის 60-იანი წლებიდან ახდ ასტრახანის სახანოს ცენტრი. XVI—XIX სს. წარმოადგენდა აზხასთან ვაჭრობის მნიშვნელოვან პუნქტს.
13. შიიტები და სუნიტები — ისლამის ორი ძირითადი მიმართულება. წარმოიშვა VII საუკუნის II ნახევარში არაბეთის სახალიფოში, ისლამის დამაარსებლის მამადის მემკვიდრეებსა და მის მიმდევრებს შორის ძალუფლებისათვის წარმოებული თეოდალური ომების შედეგად. შიიტები პირველ ხალიფად აღიარებენ ალის — მამ-

ბადის ბიძაშვილსა და მისი ქალიშვილს ფატიმას ქმარს. სუნიტები კი პირველ ხელ-  
ნჯელ ცნობდნენ აბუ-ბეგრს, ომარსა და ოსმანს, რომლებიც მამადის არც შემ-  
ყვირებები იყვნენ და არც მისი ოჯახის წევრები (იხ. II. П. Петрушевский, Ислам  
в Иране в XII—XV вв., М., 1966, გვ. 38-39, 350-376). შიიზმი ძირითადად  
გავრცელებულია ირანსა და ერაყში. სუნიზმი — თურქულში, არაბეთში, სირიაში,  
ჩრდონაოსსა და სხვ. საბჭოთა კავშირის ცხოვრობენ ოთგორც შიიტი, ასევე სუნიტი  
მასწავლებლები (აზერბაიჯანის სსრ, თურქმენეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ჩრდილოეთ  
ავღანისა, ციმბირი).

14. ლამა (ტიბ. უმაღლესი) — თავდაპირველად უმაღლეს ქურუმს აღნიშნავდა.  
წმინდევში კი — ზოგადად ბერს. ლამასაგან მომდინარეობს ბუდუზმის ერთ-ერთად  
ფორმა ლამაიზმი, რომელიც წარმოიშვა ტიბეტში, შემდეგ გავრცელდა მონღოლეთ-  
ში, ხოლო XVIII საუკუნეში შემოიჭრა რუსეთში, სადაც მისი მიმდევრები გახდნენ  
ბუდიტები, ყალმუბები, ტუველები.

15. ზოროასტრი (სპ. ზარათუშტრა) (ძვ. წ: 1000-500 წლებს შორის) — შინას-  
წარმტყველი, ძველი სპარსული რელიგიის ზოროასტრიზმის დამაარსებელი; შექმნა  
ანათლისა და სიბნელის სამყაროს დუალისტური მოძღვრება. ზოროასტრიზმი გავ-  
რცელებული იყო ირანში, შუა აზიაში, ავღანეთში, აზერბაიჯანსა და ახლო და შუა  
აღმოსავლეთის ქვეყნებში. ზოროასტრიზმი ერთ-ერთი უძველესი რელიგიაა, წარ-  
მოიშვა ბაქტრიანში. მისი ლიტერატურული ძეგლია წმინდა წიგნი „ავესტა“, რომელ-  
შიც გადმოცემულია ზოროასტრიზმის ძირითადი პრინციპები. იგი შეიცავს უძვე-  
ლესი ხალხების თქმულებებსა და მითებს. რელიგიის საფუძველია ბრძოლა ობ-  
სკურის შორის — სიკეთესა და ბოროტებას შორის; სიკეთის საწყისად ითვლება  
ცეცხლი, ბოროტებას — წყვილიად. ამჟამად ზოროასტრიზმის მიმდევრები არიან  
ღარსები ინდოეთში და გუბრები ირანში.

16. ყიზლარი — ყოფილი სამაზრო ქალაქი შდ. თერჯის მარცხენა ნაპირზე; და-  
არსდა 1736 წ. და ჩრდ. აზერბაიჯანის, დაღესტნის, საქართველოსა და რუსეთის  
სამხელეთო ეპარხის ცენტრად იქცა.

17. მოზლოცი — ყოფილი სამაზრო ქალაქი, შდ. თერჯის მარცხენა ნაპირზე.

18. ერმოლოვი ილქისი პეტრეს ძე (1772—1861) — რუსეთის გენერალი, 1812  
წლის სამხელეთ ომის გმირი, 1816 — 1826 წწ. იყო საქართველოს „პროკონსული“  
და კავკასიის ქარების მთავარსარდალი. სამსახურიდან გადაყენებულ იქნა ნიკოლოზ  
პაის შიერ დეკაბრისტებისადმი თანაგრძნობის გამო.

19. რიშელიე არმან ემანუელ დიუ პლესი (1766—1822) — ჰერცოგი, ფრანგი არის-  
ტოკრატი, სახელმწიფო მოღვაწე, ბურბონების პრემიერ-მინისტრი; ბურჟუაზიულ-  
რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გაქცეულ იქნა საფრანგეთიდან, ჩამოვიდა რუ-  
სეთში (1790 წ.) და მონაწილეობას იღებდა რუსეთ-თურქეთის ომში (1787—1791 წწ.);  
1803 წელს დაინიშნა ოდესის ქალაქის მმართველად; 1803 — 1814 წწ. იყო ნოვო-  
როსიის გუბერნატორი. ბურბონების რესტავრაციის შეწყვეტ 1814 წ. დაბრუნდა  
საფრანგეთში და მსახურობდა ლუი XVIII-ის კარზე; ორჯერ იყო პირველი მინისტ-  
რი და სავარყო საქმეთა მინისტრი (1815 — 1818 წწ.; 1820—1821 წწ.). ბურჟუ-  
აზიული ისტორიკოსები დიდად აფასებენ რიშელიეს მოღვაწეობას. ქვემოთ დავი-  
წაბეთ, როგორ ზოტბას ასხამს გამბა როგორც მის პიროვნებას, ასევე მის მოღვა-  
წეობას ოდესში.

20. გრაფი ლანეერონი — ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი 1815—1822 წწ.

21. ტმანი — ქალაქი ტმანის ყურის სანაპიროზე.
22. ენიკალე (თან. ქერჩი) — შას შემდეგ, რაც თურქები დაეპატრონენ ყირიმს, აქ ცხესიმაგრე ააგეს; შვედურებმა ვარაუდობენ, რომ ენიკალეს ადგილას მღებ-  
რობდა მცირე ბერძნული ქალაქი პართენიონი. |
23. „ანალები“ („Nouvelles annales des voyages“) — ფრანგული ეურალა, სადაც გამბამ პირველად გამოაქვეყნა ინფორმაცია თავისი მოგზაურობის შესახებ.
24. მალტ-ბრუნი (მალტ კონდრატ ბრუნი) (1775 — 1826) — დანიელი პუბლიცისტი და გეოგრაფოსი; საფრანგეთის რევოლუციის იდეებისადმი თანაგრძნობის გამო ძალადგებული გახდა შვეიციაში გადასახლებულიყო შემდეგში დამკვიდრდა საურბან-გეთში, სადაც ეწეოდა პუბლიცისტური საქმიანობას; 1821 წ. დააარსა პარიზის გეოგრაფიული საზოგადოება; ავი ავტორია რამდენიმე გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომისა („მსოფლიოს ყველა ქვეყნის პოლიტიკური, ფიზიკური და მათემატიკური გეოგრაფია“, რომელიც გამოვიდა 1803 — 1807 წწ. და სხვ.).

### შესავალი

1. კიბრები — გერმანული მოღმეს ტომი; 113 წ. (ძვ. წ.) ისინი ტეეტრონებთან ერთად შეიპრნენ რომის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შემდეგ დაიპყრეს ესპანეთი, გალია; 101 წ. გაიუს მარტუსმა დაამარცხა ისინი კრეტელსთან (ჩრდ. იტალია), როცა ისინი იტალიაში აპირებდნენ შექრას.
2. ქუნები — თურქული მოღმეს მომთაბარე ტომი; თავდაპირველად მოსახლეობდნენ ჩრდ. ჩინეთში, შემდეგ გადმოინაცვლეს კასპიის ზღვის სანაპიროებზე. V საუკუნეში შეიპრნენ ევროპაში. მათი მხედართმთავრის ატილას მეთაურობით შექმნეს ძლიერი სახელმწიფო; მისი სიკვდილის შემდეგ (453 წ.) გაიფანტნენ ევროპისა და აზიის სხვადასხვა იდგილებში.
3. ვანდალები — გერმანული ჯგუფის ხალხები; თავდაპირველად ცხოვრობდნენ გისტულასა და ოდერის შორის (III ს.); შემდეგ გადაინაცვლეს სამხრეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს (დუნაი, მაინი); 406 წ. დაარბიეს გალია; 409—411 წწ. დაიპყრეს ესპანეთი; 439 წ.—ჩრდ. აფრიკა და შექმნეს ვანდალთა სახელმწიფო, რომელსაც დიდხანს არ უარსებია; 534 წლისათვის ვანდალების სახელმწიფო დაიპყრო ბიზანტიამ და ვანდალები ისე განადგურდნენ, რომ მათგან აღარავითარი კვალი აღარ დარჩა.
4. გუთები (გოთები) — აღმოსავლეთ გერმანიული ტომი, წარმოშობით სკანდინავიიდან; ახ. წ. დასაწყისში გადმოსახლდნენ ბალტიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე; 150—200 წლისათვის მოვიდნენ შავი ზღვის სანაპიროზე; 230 წ. დაარბიეს მცირე აზია და ბალკანეთი; ბარბაროსებს შორის გუთებმა პირველებმა შილდეს ქრისტიანობა; IV ს. II ნახევარში გაიყვნენ ვესტგუთებად და ოსტგუთებად, ანუ დასავლეთ და აღმოსავლეთ გუთებად. შავი ზღვის სანაპიროზე ყირიმში გუთები XV ს. II ნახევარამდე იყვნენ, ვიდრე ისინი გენუელებთან ერთად არ განდევნეს თურქებმა და ყირიმის თარბებმა. დარჩენილი გუთები შეეროვნენ ბერძნებსა და თათრებს.
5. ჟაროსნული ომები — დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მერ „წმინდა იდგილები“ განთავისუფლების მიზნით აღმოსავლეთის ქვეყნებში მოწყობილი ლაშქრობები 1096 — 1270 წლებში. ამ ლაშქრობებმა მძარცველური ხასიათი ჰქონდა.

6. ევსტაქიის ხელშეკრულება დაიდო 1648 წლის 24 ოქტომბერს მიუნსტერში, ოცდაათწლიანი ომის შემდეგ (1618—1648 წწ.).

7. ლეი XIV (1638—1715) — საფრანგეთის მეფე 1643—1715 წწ., ლეი XIII-ისა და ანა ავსტრიელის ვაჟიშვილი; მისი მეფობის დროს საფრანგეთის აბსოლუტუზმმა უმაღლეს წერტილს მიაღწია (მას ეკუთვნის გამოთქმა: „სახელმწიფო — ეს მე ვარ“), ხოლო მის მიერ წარმოებულმა ომებმა (პოლანდიის წინააღმდეგ — 1672—1678 წწ., ესპანეთის მემკვიდრეობისათვის — 1701—1713 წწ.) და სხვ.) ლეი XIV-ს „დიდის“ სახელი მოუხვეჭა.

8. ტაღლირანი შარლ მორის პეროგარი (1754—1838) — ცნობილი ფრანგი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე.

9. ლეიზიანა — შერათებული შტატების სამხრეთში, მექსიკის ყურესთან მდებარე მხარე. ფრანგები ლეიზიანას დაეპატრონენ XVII საუკუნეში; 1762 წელს მისი დასავლეთი ნაწილი ფრანგებმა ესპანელებს დაუთმეს, ხოლო 1763 წელს ლეიზიანას აღმოსავლეთი ნაწილი ინგლისელებს გადასცეს. 1800 წელს ნაპოლეონმა ლეიზიანა ესპანელებისაგან მიიღო, 1803 წელს კი იგი შერათებულ შტატებს მიჰყიდა.

10. კანაღის სრული კოლონიზაცია ფრანგების მიერ მოხდა 1618 წელს, ხოლო 1763 წელს მას ინგლისელები დაეპატრონენ.

11. აკადია — თანამედროვე ახალი შოტლანდია, საფრანგეთის აღმოსავლეთ კანაღის ძველი რაიონი; 1604 წ. აქ ფრანგებმა საფუძველი ჩაუყარეს პორ-რუაილს — ევროპელთა პირველ მდგომარეობა დასახლებას ჩრდ. ამერიკაში. იგი წამოაღდგენდა მუდმივი დეიუს საგანს ინგლისსა და საფრანგეთს შორის; 1713 წ. უტრახტის ზაჟის თანახმად ინგლისელებს გადაეცა ახალი შოტლანდია. მაგრამ ინგლისელების მიერ აკადიის სრული კოლონიზაცია და ამ მხარიდან ფრანგული მოსახლეობის განდევნა მოხდა მხოლოდ XVIII ს. II ნახევარში (1755 წ.); 1763 წ. პარიზის ხელშეკრულებით აკადია საბოლოოდ გადაიქცა ინგლისის კოლონიად.

12. სტერლინგი — ინგლისური ფულის ერთეული, უდრის 20 შილინგს, ანუ 240 პენსს.

13. ტურაღი — ფრანგული მონეტა, რომელიც XIII ს. ქვარ ტურში იჭრებოდა, შემდეგ ი სხვა ქვეყნებშიც.

14. გრენვილი ქოჩ (1712—1770) — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, პრემიერ-მინისტრი 1763—1765 წწ.; მან შეცვალა ბუტი და ამ უკანასკნელის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო.

15. ნორტი (1732—1793) — ლორდი, ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე; 1770—1782 წწ. — პრემიერ-მინისტრი.

16. პატი უილიამ უმცროსი (1759—1806) — ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, შვილი პიტი უილიამ უფროსისა; 1781—1801 წწ. და 1804—1806 წწ. პრემიერ-მინისტრი; გაატარა მთელი რიგი რეფორმები, მათ შორის ინდოეთის მმართველობის რეფორმა (1784 წ.); 1786 წ. საფრანგეთთან დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება; იგი იყო ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი კოალიციისა, რომელიც მიმართული იყო საფრანგეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკისა და იმპერიის წინააღმდეგ. მისი მოღვაწეობის ძირითადი ხაზი იყო ბრძოლა საფრანგეთის რევოლუციისთან და ნაპოლეონის წინააღმდეგ, რაღაც საფრანგეთი ინგლისისათვის ძირითად მოკითხვად მიჰყიდა წარმოადგენდა.

17. ანტილია—ანტილიის კუნძულები, არქიპელაგო, რომელიც ატლანტიკის ოკეანეს გამოყოფს ანტილიის ზღვისაგან. შედგება დიდი ანტილიის კუნძულები-საგან. (კუბა, ჰაიტი, იამაიკა, პორტო-რიკო) და პატარა ანტილიის კუნძულებსაგან. თავდაპირველად იყო ესპანეთის კოლონია, ხოლო XVI საუკუნიდან საფრანგეთი, ინგლისი და ჰოლანდია მუდმივ იბრძოდნენ ერთმანეთს წორის ანტილიის სულს ჩასადღებლად.

18. ადინგტონი ჰენრი (1757—1844)— ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე. იყო ინგლისის პრემიერ-მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი. გამოსცა კანონები სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ. 1824 წლიდან გადაჯგა პოლიტიკური მოღვაწეობის სარბიელიდან.

19. კანინგი ჯორჯ (1770—1827)— ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, პიტის პოლიტიკის გამგებლებელი; 1807—1809 წლებში იყო საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდიანი; გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ეკავა პრემიერ-მინისტრის პოსტი.

20. კასტლერიგი ჰენრი რობერტ სტუარტი (1769—1822)— ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე; ირლანდიის პირველი მდივანი 1798—1801 წლებში; პიტონ გრათად იგი საფრანგეთის რევოლუციის მოწინააღმდეგე იყო; ებრძოდა ნაპოლეონს; მონაწილეობა მიიღო და დიდი როლი ითამაშა 1814 და 1815 წლების პარიზის ხელშეკრულების გაფორმებაში; შემდეგში იგი განუღმა საღვთო კავშირის რეაქციულ პოლიტიკას.

21. შარონი პიერ (1541—1603)— ფრანგი მორალისტი, ცნობილი თეოლოგი, მას ეკუთვნის ნაშრომი: „Livres de la sagesse“ (1601 წ.), რომელშიაც იგი ქადაგებს რქულშეწყენარებლობას და ილაშქრებს ათეიზმის წინააღმდეგ.

22. ნეპალი — სამხრეთ აზიის სახელმწიფო. ინგლისელები ნეპალს 1814 წ. დაეპატრონენ.

23. ავა — XIV—XVIII სს. წარმოდგენდა ფეოდალურ სახელმწიფოს ზემო ბირმას. XVII ს. აქ შემოდიან ევროპელი კოლონიზატორები. XVIII ს. დასაწყისში წარმოებული შინაომებისა და ხალხთა მასების აჯანყებებს შედეგად 1752 წლიდან ავას სახელმწიფომ შეწყვიტა არსებობა. მაგრამ სახელწოდება ავა შინარჩუნებულ იქნა XIX ს. ბოლომდე. იგი პირობითად აღნიშნავს მთელ ბირმას ან ზეოლოდ ზემო ბირმას.

24. კლაივი რობერტ (1726—1774)— ინგლისელი გენერალი, სახელმწიფო მოღვაწე; 1743 წლიდან ინგლისელი კოლონიზატორი ინდოეთში; 1755 წ. მას შემდეგ რაც კალკუტა იგდო ზელო, მან ფრანგები განგის ნავსადგურებიდან განდევნა; 1764 წ. დაინიშნა ბენგალის გუბერნატორად. კლაივმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფრანგი კოლონიზატორების გავლენის შეზღუდვისათვის ინდოეთში; ინგლისში დაბრუნებულს მას ბრალი დასდეს მექრთამეობაში, რადგან ინდოეთში დიდი სიმდიდრე დააგროვა.

25. ყუშმის კუნძული ჰორმუზის სრუტეში მდებარეობს.

26. ახალი სამყარო — ამერიკის წყნარებული შტატები.

27. ტურვილი ან ილარიონ (1642—1701)— ფრანგი აღმწირალი, ესკაფრის მეთაური; 1693 წლიდან საფრანგეთის მარშალი; 1690 წ. გამარჯვება მოიპოვა ინგლისისა და ჰოლანდიის ფლოტზე (1672—1674 წწ.; 1688—1697 წწ.); 1680—

1688 — 1697 წწ.); 1660 — 1666 წწ. აწარმოებდა ბრძოლას მეკობრეების წინააღმდეგ სპელთაშუა ზღვაში.

26. დიუკენი აბრამი (1610 — 1688) — შარკიზი, ფრანგი ზღვაოსანი; ოცდაათწლიან ომში, მოყოლებული 1627 წლიდან, მონაწილეობდა იღებდა საფრანგეთის მიერ ჩატარებულ დიდ საზღვაო ბრძოლებში პოლანდის, ალგირის და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, სადაც ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა.

29. ლი XVI (1754—1793)—საფრანგეთის მეფე 1774 — 1792 წწ;

30. 1763 წლის ზევი დაიდო პარიზში და საფრანგეთმა, რომელმაც მარცხი განიცადა ინგლისთან, მთლიანად დაკარგა თავისი ფლოტი და იმედბული გახდა ინგლისისათვის დაეთმო კოლონიები ამერიკაში. ინდოეთსა და აფრიკის ქვეყნებში.

31. პიეტონტი — ჩრდილო იტალიის ოლქი, ვედაქალაქი — ტურინი, შეუდგება ევგის პროვინციასთან; ფრანგებმა მას დაეპატრონენ 1796 წელს და ფლობდნენ 1814 წლამდე.

32. ტურგო ან რობერ ეაკი (1727—1781) — საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწე; ფილოსოფოსი, ეკონომისტი; მას ეკუთვნის ვრცელი ნაშრომი „Réflexions sur la formation et la distribution des richesses“ (1776 წ.), რომელშიაც გამოთქმულია იქნის მოსაზრება, რომ სახელმწიფოს არსებობის საფუძველს შეადგენს მარკეტული და რომ ამ საკითხს უნდა მიაყრონ უპირველესი ყურადღება ეკონომისტებმა და ფინანსისტებმა, როგორც 1774 წელს იგი ფინანსთა გენერალურ კონტროლორად დაინიშნა, მან დაიწყო მოითხოვა თავისუფალი ვაჭრობის განხორციელება და გაატარა რიგი რეფორმები; მაგრამ მის რეფორმებს, რომლებიც მიზნად ისახავდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას, ყოველთვის სასურველი შედეგი არ მოჰქონდა. 1775 წ. მოუსაგლანობის გამო მოჰხდარი ამბოხებას შემდეგ ტურგომ დაკარგა ხელთა ხალხში და არისტოკრატების მოთხოვნით შედგა იგი 1776 წელს თანამდებობიდან გადააყენა.

33. პატრისტონი ჯონ ჰელი (1757 — 1832) — ლირდი, ინგლისელი გენერალი.

34. ფინიციელები — ბელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ევროლი ქალაქი-სახელმწიფო. ფინიციის მცხოვრებლები, ვაჭრობის ტყობებით დააგროვეს დიდი სამდიდრე, შექმნეს კოლონიები სპელთაშუა ზღვაში. ივ. წ. VI საუკუნეში ფინიციელები დაიპყრეს სპარსელებმა, ხოლო 332 წ. ალექსანდრე მაკედონელმა.

35. ფოკეელები — მცირე აზიის (იონიის) მცხოვრებლები. მათი სახელმწიფო ძვ. წ. X საუკუნეში ჩამოყალიბდა და უკვე ძვ. წ. VII საუკუნეში მათ ვაჭრობის მეშვეობით ძლიერი სახელმწიფო შექმნეს, დააარსეს კოლონიები მცირე აზიის ჩრდილო ნაწილში; ძვ. წ. 545 წ. ფოკეელები დაამარცხეს სპარსელებმა, შემდეგ კართაგენელების, ეტრუსკებისა და ბოლოს რომაელებისაგან შეეწირებოდნენ. მათი სამარეთ იტალიაში გადასახლდნენ. დაახლ. 1300 წ. ფოკეელები დაიპყრნენ ელებმა. მათი ბატონობის ხანაში ფოკეელების მიწა-წყალზე კვლავ აღიწიორო სახელმწიფო არსებობდა.

36. ტირო (თანამედ. სური ლივანში) — სპელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ფინიციელთა ქალაქი-სახელმწიფო. წარმოიქმნა ძვ. წ. IV საუკუნეში. ხანგრძლივი ალყის შემდეგ ქალაქი აიღო ალექსანდრე მაკედონელმა. ტირო მოხსენიებულია ძვ. წ. XIX—XVII საუკუნეების ეგვიპტურ ტექსტებში, მაგრამ მისი აყვავების ხანა იწყება ძვ. წ. XII ს. ზღვაზე გაბატონების შემდეგ მან სპელთაშუა ზღვის სანაპიროებზე შექმნა კოლონიები, რომელთა შორის უკვე

ლაზე ძლიერი იყო კართაგენი (ძვ. წ. IX ს.). ასირიელთა შემოსევებმა ტირის დაცვა გამოიწვია. ილექსანდრე მაკედონელმა აიღო ქალაქი შეიღთთან ალყის შემდეგ (ძვ. წ. 332 წ. ინანარი-იფესტო). მაგრამ არაბთა შემოსევამდე (638 წ.) იგი მაინც ვაჭრობის ცენტრად დარჩა.

37. ალექსანდრე მაკედონელი (ძვ. წ. 356—323 წწ.) — სახელგანთქმული მხედართმთავარი, მაკედონიის მეფე 336—323 წლებში.

38. კართაგენი — მონათმფლობელური ქალაქი-სახელმწიფო ჩრდ. აფრიკაში ტუნისის ყურის ნაპირზე; ჩამოყალიბდა როგორც ფინიკიელთა კოლონია ძვ. წ. 146 წ.; მესამე პუნიურ ომის შემდეგ მთლიანად განადგურდა რომაელების მიერ.

39. პირველი პუნიური ომის შემდეგ (ძვ. წ. 264—241 წწ.), როცა კართაგენი რომის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდა და იძულებული გახდა მოწინააღმდეგისათვის დაეთმო სიცილია, თან კონტრიბუცია გადაეხადა, დაქირავებულ ქარში მღელვარება წარმოიშვა იმის გამო, რომ კართაგენის ხელისუფლებამ დააკვირა ქარისთავის ჩამაგირის გადახდა; აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ გლეხებიც და ლტოლვილი მონებიც. კართაგენის ხელისუფლებამ დიდი გაქირავებით ჩაახშო აჯანყება.

40. სიჟაკიები (სპარს.) — ინგლისელთა დაქირავებული ქარი ინდოეთში.

41. იგულსხმება შეიღწლიანი ომის (1756—1763.) შედეგად პარიზში დადებულ ხელშეკრულება (იხ. კომენტარი № 30).

42. სტიუარტი მელ ჯეიმსი (1773—1836 წ.) — ინგლისელი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და ეკონომისტი; ევთუნის ნაშრომები: „Histoire de l'Inde britannique“ (1818 წ.), „Principes d'économie politique“ (1822 წ.), „Analyse des phénomènes de l'esprit humain“ (1829 წ.).

43. დუქი (ლათ. dux, ducis — ბელადი) — ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მეთაურების ტიტული.

44. დანდოლო ენრიკო (დაახლ. 1108—1205) — ვენეციის დუქი 1192 წლიდან; IV ჯვაროსანთა ლაშქრობის ერთ-ერთი ბელადი. იგი შეუთანხმდა ჯვაროსანთა მსვეურებს, რომ ჯვაროსნებს ზღვაზე გადაიყვანდა, სამაგიეროდ მოითხოვა ზარუს დაკრობა; მართლაც მან პირადად მიიღო მონაწილეობა მამადიანთა წინააღმდეგ ლაშქრობაში თავისი ქართა და ფლოტით — 50 ხომალდით, გამოიყენა ჯვაროსანთა გამოუვალი მდგომარეობა, დაიპყრო ზარუ და დაღამა 1202 წ. დანდოლამ მოგვიანებითაც გამოიყენა ჯვაროსნები თავის სასარგებლოდ და მათთან ერთად დაღამა არა ეგვიპტე და სირია, არამედ ბიზანტია; 1204 წ. მათ აიღეს კონსტანტინოპოლი, რის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ლათინური იმპერიის დაარსებას.

45. Jeanne de France (ou de Valois) — ალბათ იგულსხმება ლუი XI-ისა და შარლოტა საეოიელის ქალიშვილი (1464—1505), ლუი XII-ის მეუღლე. წინდინად შერაცხილა.

46. ბროგე — ქალაქი ნიდერლანდებში. ფლანდრიის მთავარი ჯოჰა: თავიდანვე სახელგანთქმული იყო ვაჭრობით და საერთაშორისო ვაჭრობის მსხველ ცენტრად ითვლებოდა, რასაც ხელს უწყობდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა.

47. ტორეს ვედრასი — ქალაქი პორტუგალიაში; ველანტონის მიერ გამაგრებული ქალაქი შეიქმნა მასენა 1810 წლის ოქტომბრიდან 1811 წლის მარტამდე და იგი იძულებული იყო ესპანეთში გადასულიყო.



48. მასენა ანდრე (1756—1817) — საფრანგეთის მარშალი. ჭარში სამსახური დაიწყო 1775 წელს; თავი ისახელა იტალიაში ლაშქრობის დროს 1797 წ., რის გამოც ნაპოლეონმა მას „L'enfant chéri de la Victoire“ უწოდა. 1799 წ. მისმა ბრწყინვალე გამარჯვებამ ციურისში საფრანგეთი დაღუპვისაგან იხსნა; 1804 წლიდან იგი საფრანგეთის მარშალია; 1808 წ. მასენა რიეოლის ქერცოგი გახდა; 1810 წ. — ეროვნის თავადი; 1810 წ. ნაპოლეონმა იგი პორტუგალიის წინააღმდეგ საბრძოლველად გაუზავნა. მაგრამ ტორეს ველასთან მან ინგლისელებთან დაპირისპირება იცემა. ამგვარად, მასენა საფრანგეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკისა და იმპერიის ბრძოლების მომწილე იყო; ბურბონების დაბრუნების შემდეგ იგი მათ მხარეზე გადავიდა და 1815 წლამდე საფრანგეთის პერი იყო.

49. ბენარესი — ქალაქი ინდოეთში, განვის ნაირზე. ფორატერმა იმოგზაურა ბენგალიდან პეტერბურგამდის და თავისა მოგზაურობის შთაბეჭდილებები გადმოსცა ცნობილ ნაშრომში „Voyage du Bengale à Petersbourg à travers les provinces septentrionales de l'Inde de Cachemyr, la Perse, sur la mer Caspienne...“ I—III, Paris, 1802.

50. ასტრადი — ჩრდ. ირანის ოქვის ქალაქი, თანამედროვე გორგანი.

51. ჭამერი — ინდოეთის ძველი სამეფო, ძველთაგანვე ცნობილი იყო შალის მსუბუქი ქაოვლის წარმოებით, რომელსაც „ჭამერი“ ეწოდება.

52. ლორდი მაკარტი (1737—1806) იყო პირველი ოფიციალური ელჩი ჩინეთში, რომელიც პეკინში ჩავიდა 1793 წ. მან ევალდებოდა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ინგლისსა და ჩინეთს შორის და ჩინეთის პორტების გახსნა ინგლისელ ვაჭართათვის. მაკარტის მოგზაურობის ანგარიშს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აფრონიული ჩინეთის გაყვობის საქმეში.

53. მორიერი ქეიპს იუსტინიან (დაახლ. 1780—1848) — ინგლისელი დიპლომატი, მწერალი, მოგზაური; კონსტანტინოპოლის აღმოსავლური კომპანიის გენერალური კონსულის ვაჟი; 1807 წ. იყო სერ პარფორდ ქონსის საელჩოს მდივანი ირანში; 1810 წ. — სერ გორ აუზლის საელჩოს მდივანი ირანში; მონაწილეობდა ინგლის-ირანის 1814 წ. საზავო ხელშეკრულების დადებაში. ამავე წლიდან 1815 წლამდე მსარულებდა ინგლისის ელჩის მოვალეობას თეირანში. 1815 წლის ბოლოს კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. 1817 წლიდან ვადაღვა დიპლომატიური სარბიელიდან და ხელა მიჰყო ლიტერატურულ მოღვაწეობას.

54. აიზ მალკოლა (1769—1833) — ინგლისელი დიპლომატი, ავტორი ისტორიული თხზულებებისა ინდოეთისა და ირანის შესახებ. 1800—1801, 1809 და 1811 წლებში ვაიგზავნა ირანში დიპლომატიური მისიით. 1801 წ. ხელი მოაწერა ირანთან დიპლომატიურ და საეკონომიკურ ხელშეკრულებებს. მისი დიპლომატიური მისიის ძირითადი მიზანი იყო ირანის დამორჩილება და ამ ქვეყანაში ინგლისური საქონლის თავისუფალი შეზიდვის უზრუნველყოფა; ამავე დროს იგი უოქენაირად ხელს უშლდა საფრანგეთის მთავრობას, რომელსაც ირანზე გაცილთ ხურდა ინდოეთს დასაზოდა თავს.

55. სერ გორ აუზლი — ინგლისელი დიპლომატი. რომელიც ირანში 1811 წელს მივიდა და შაჰს დიდძალი საომარი იარაღათა და ფულით დაეხმარა რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. (დაწერილებით მორიერის, მალკოლის, აუზლის მოღვაწეობის შესახებ ირანში იხ. ზ. შარაშენიძე, ირანის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობანი XIX ს. დასაწყისში, თბ., 1984).

56. ყანდაპარი — ქალაქი თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიაზე. XVI—XVII სს. მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი.

57. ინგლისური „მოსკოვის კომპანია“ დაარსდა 1555 წ. ლონდონში; მისი მიზანია იყო რუსეთზე ტრანზიტით და ვოლგა-მარტახანის გზით აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარება, რამდენადაც მსოფლიო ვაჭრობის დიდ სარბიელზე გამოსული ინგლისისათვის ამ პერიოდში ეს იყო ერთადერთი სავაჭრო მავიქრალე აღმოსავლეთთან სავაჭრო კონტაქტის დასამყარებლად (იხ. ვ. გაბაშვილი, ფილოლოგიური საქართველოს ქალაქების ურთიერთობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებთან, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, თბ., 1966. გვ. 179; ი. კუცია, სეფიანთა ირანის ქალაქები და სავაჭრო ცხოვრება, თბ., 1966. გვ. 43).

58. ბილბო — ქალაქი ჩრდილო ესპანეთში, ბასკეთის ცენტრი.

59. პორტო — პორტუგალიის ნავსადგური ღეროს ჩრდილო ნაპირზე.

60. ლისაბონი — პორტუგალიის დედაქალაქი.

61. კადისი — ქალაქი და ნავსადგური ესპანეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

62. მადეირა — კუნძულთა ჯგუფი ატლანტის ოკეანეში. რომელთაგან უველაზე დიდია აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსთან მდებარე მადეირას კუნძული.

63. მალაგა — ქალაქი სამხრეთ ესპანეთში, ანდალუზიაში; მნიშვნელოვანი პორტი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე; დაარსებულია ფინიკიელების მიერ.

64. კართაგენა — ქალაქი და პორტი ესპანეთში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

65. ალიკანტე — ქალაქი ესპანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ვალენსიაში. ცნობილი იყო მეღვინეობით. აქ დამზადებულმა ტყეღმა ღვინოებმა „ალიკანტეს“ სახელი მიიღო.

66. ბარსელონა — ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ ესპანეთში, კატალონიის ცენტრი, განლაგებულია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

67. გენუა — იტალიის ნავსადგური გენუის ყურეში.

68. ლივორნო — იტალიის პორტი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ტოსკანიაში.

69. ნეაპოლი — ქალაქი იტალიაში.

70. ალუპო — ქალაქი სირიის ჩრდილოეთში, მდ. ნაზრ-ქუვერზე.

71. სმირნა — ქალაქი თანამედროვე თურქეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირზე, ეგეოსის ზღვის სანაპიროზე; თანამედროვე იზმირი.

72. მედიჩები — ფლორენციის ცნობილი სავაჭრელო; თავიანთი სავაჭრო და სამეცნიერო ოპერაციებით დიდ სიმდიდრე დაგროვეს და ფლორენციის მმართველობის სათავეში მოექცნენ; ფლორენციის მართავდნენ 1434 — 1737 წლებში. მედიჩების სავაჭრელოდან მომდინარეობენ საფრანგეთის დედოფლები: ეკატერინე მეორე (1519 — 1589) და მარია მედიჩი (1573 — 1642).

73. რაინი — მდინარე დას. ევროპაში. სათავეს იღებს შვეიცარიის ალპებში. ჩადის ჩრდილოეთის ზოგაში. თავდაპირველად სანაოსნოდ გამოსადგეი იყო ჟინების მხოლოდ ქვედა წელზე, ზოლო XIX საუკუნეში არაბების ინტენსიური ვაჭრის შემდეგ იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სარაზმით მდინარედ.

74. სტრანსბურჯი — პორტი მდინარე ილზე, რაინთან ალოს; აქ ერთდგება მარნა-რაინისა და რონა-რაინის არხები.

75. დუ — მდინარე აღმოსავლეთ საფრანგეთში, სონას ნეწაყადი.

76. სონა — მდინარე საფრანგეთის აღმოსავლეთ ნაწილში, რონას ყველაზე დი-

ლი შენაკადი. სონა შეეერთებულა აზებით რაინთან (დუს საშუალებით). მარნასთან და სენასთან (პერგუნდიის არხით, რომლის მშენებლობაც დაიწყო 1775 წ. და დასრულდა 1834 წ.) და ლეიასთან (ცენტრალური არხით, რომელიც გაყვანილ იქნა 1794 წელს).

27. ბონა — საფრანგეთისა და შვეიცარიის მდინარე, ჩადის ლიონის ყურეში; ჩონას სხვა მდინაოკებთან უამრავი არხი აკავშირებს.

28. სენ-დიზე მდებარეობს ზემო მარნაზე, მარნასა და მარნა-სონას არხს შორის.

29. დივანი — დიდი საპეო და დარბაზი, სადაც წყლებოლა სვედასხვა საყოთბე-  
ვა, მათ შორის დიპლომატიურის მოლაპარაკებები.

30. ჰინდი — მდინარე ინდოეთში.

31. დიუბრე აღრიან — ფრანგი მოგზაური. ახალგაზრდობიდანვე დიპლომატიურ ბისტეში ეკავა აღმოსავლეთის ქვეყნებში. 1799—1822 წწ. იყო საფრანგეთის კონსული ტრანზონში, სადაც ერთ პერიოდში ასრულებდა რუსეთის ვიცე-კონსულის პეულეობას. მის ერთ-ერთ თხზულებაში „მოგზაურობა სპარსეთში...“ არის საინტერესო ცნობები კავკასიის შესახებ (იხ. Nouvelle Biographie Universelle; M. A. Podnievskov, *Европейские путешественники по Кавказу 1800—1830 гг.*, Тб., 1946, გვ. 79—80). დიუბრეს გამოუქვეყნებელი ნაშრომი „Description de quelques villes et ports de la mer Noire“, გამბამ დაურთო თავისი თხზულების I ტომს.

32. ასირია — ძველი იმპერია დასავლეთ აზიაში, ჩრდილოეთ შუამდინარეთში (თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე); ძვ. წ. IX—VII სს. ბატონობდა მთელს ძველ აღმოსავლეთზე. ძვ. წ. 605 წ. განადგურებულ იქნა მიდიისა და ბაბილონის მიერ.

33. იუდეველთა სამეფო — სამხ. პალესტინაში მდებარე ძველი სახელმწიფო, წარმოიშვა ისრაელ-იუდეველთა სამეფოს დაშლის შემდეგ; დაპყრობილ იქნა ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოზორ II-ის მიერ.

34. სირია — დასავლეთ აზიის სახელმწიფო; XVI საუკუნიდან ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა.

35. ბითინია — ისტორიული ტერიტორია შვირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს (თანამედროვე თურქეთის ტერიტორია); XIV საუკუნიდან დაიპყრო თურქეთმა.

36. სემირამიდა — ასირიისა და ბაბილონის ლეგენდარული დელოჟალი (ძვ. წ. IX ს.). რომლის სახელთანაც დაკავშირებულია დიდი დაპყრობითი ომები და ცნობილი სემირამიდის ბაღის მშენებლობა.

37. სელუკიდები — ელინისტური მმართველები, რომლებიც მეფობდნენ ძვ. წ. 312—64 წწ. ალექსანდრე დიდის იმპერიის აზიურ ნაწილში. დინასტიის დამაარსებელია ალექსანდრე მაკედონელის სარდალი სელუკე I (ძვ. წ. 355—280 წწ.), რომელიც მეფობდა ძვ. წ. 312—280 წწ. სელუკიდების სახელმწიფომ დიდ წარმატებას მიაღწია III ს. მისი ცენტრი იყო ჯერ ბაბილონი, შემდეგ სელუკია და ანტიოქია.

38. მიდია — ისტორიული ოლქი ირანის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, კასპიის ზღვის სამხრეთით. ძვ. წ. VII—VI სს. წარმოადგენდა ძლიერ სამეფოს, რომლის დედაქალაქი იყო ექტამანი (თან. ჰამადანი). ძვ. წ. 550—549 წწ. მიდია დაიპყრო სპარსეთმა. ძვ. წ. IV ს. ბოლოს მიდიის სამეფოს ეკავა სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორია.

39. პართია — სახელმწიფო კასპიის ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავ-

ლეთ ნაწილში (ძვ. წ. 247 წ. — ჩვ. წ. 224 წ.); მისი დამაარსებელია არმაკ დიდი (ძვ. წ. 247—212 წწ.), საიდანაც დინასტიამ მიიღო სახელწოდება ირმაქილები. ამ სახელმწიფოს დედაქალაქი იყო ნისა (თანამედ. აშხაბადთან ახლოს). ძვ. წ. I საუკუნეში პართიის სამეფოს ტერიტორია საგრანობლად გაიზარდა, ხოლო 224 წლიდან იგი შედიოდა სასანიდების სახელმწიფოში.

90. ქაბული — ევლანეთის დედაქალაქი 1773 წლიდან.

91. შეიხი (არაბ. — უხუცესი) აღნიშნავს ტომის ბელადს, ლეთის ქვეყელს, სამართლის მცოდნეს.

92. ბელუქები — ირანულენოვანი მომთაბარე ტომი; მომთაბარეობდნენ ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

93. ბაქტრია (ბაქტრიანა) — შუა აზიის ისტორიული ოლქი (თან. ავღანეთის ჩრდილო ნაწილი, ნაწილობრივ უზბეკეთის სსრ და თურქმენეთის სსრ ტერიტორიები); მისი ცენტრი იყო ბაქტრა; ძვ. წ. VI—IV სს. შედიოდა აქემენიდების სახელმწიფოში. შემდეგ იგი ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო. ძვ. წ. III ს. შუა ხანებში ბაქტრა დაიყო ბერძნულ-ბაქტრიულ სამეფოდ. ბაქტრიანა ზორაოსტრის მის პირველი კერა და დასავლეთიდან ჩინეთისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა იყო.

94. თემურ-ლენგი (1336—1405) — აღმოსავლელი დამპყრობი, შექმნა უძლიერესი სახელმწიფო შუა აზიაში, რომლის დედაქალაქი იყო სამარყანდი.

95. აბას-მირზა (1789 — 1833) — ირანის სახელმწიფო მოღვაწე, შაჰის მმართველი აზერბაიჯანში, ფათა-ალი-ხან ყაჯარის უფროსი ვაჟი და მემკვიდრე.

96. 4 შაბანი — 16 აპრილი.

97. 1238 წ. ჰაჯირთ — 1822 წ.

## თ ა ვ ი I

1. 1821 წლის 8 ოქტომბრის კანონი ითვალისწინებდა საქართველოსა და რუსეთის ამიერკავკასიის პროვინციებში როგორც შემოტანილ. ისე გატანულ და სარჩანზიტო საქონელზე შეღავათიან ტარიფს — 5%-იან საბაჟო საფასურს. ბრძანებულება ძალაში შევიდა 1822 წლის 1 ივლისიდან და 10 წლის ვადით განისაზღვრებოდა. რუსეთის ვაჭრობისათვის ასეთი შეღავათი თითქოს არ უნდა ყოფილიყო ხელსაყრელი, რადგან რუსეთი გზას უხსნიდა ევროპულ საქონელს ამიერკავკასიისაკენ, საიდანაც იგი ირანისა და შუი აზიის ბაზრებზე გადიოდა. მაგრამ რუსეთის მთავრობა ითვალისწინებდა ამ გარემოებას, რომ რუსეთში ამ პერიოდისათვის მრეწველობა იმდენად ჩამორჩენილი იყო, რომ მას არათუ არ შეეძლო გაეზიდა უცხოურ ბაზრებზე თავისი სპირტოვანი საქონელი, არამედ თვით საკუთარი შინაგანი ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც კი უჭირდა. ხოლო 10 წლის შემდეგ, ბრძანებულების ვადის გასვლისას, რუსეთს შერჩებოდა შექმნილი ბაზრები, ამასობაში იგი განავითარებდა თავის მრეწველობას და დაკმაყოფილებდა მომხმარებელთა მოთხოვნებს. ამიერკავკასიის შეღავათიანი ტრანზიტო, როგორც ცნობილია, ვადის გასვლამდე 6 თვით იდრე გაუქმდა.

ქვემოთ გვამბო ლაპარაკობს თავის დამსახურებაზე ამ კანონის შემოღებისთან დაკავშირებით. მართლაც. ამ კანონის გამოცემის პირველი მრჩეველი და ინი-

ციატორი თვითონ გამბა იღო, რომელსაც კარგა ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს მთავარმართებელ ერპოლოვთან; გამბა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და კომერციული საქმეების ორგანიზატორის სახელი ჰქონდა საზოგადოებრივი. მისი რჩეობა და კარნახით ერპოლოვმა შეადგინა კანონპროექტი, რომლის საფუძველზეც გამოიცა ბრძანებულება (იხ. *Акты собранные Кавказскою Архивско-Ресурсной Комиссией (АКАК), ტ. VI(I), № 333, გვ. 251—262; 3. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, ტ. I, თბ., 1949, გვ. 135—257; მისივე. შეღავათიანი ვაჭრობა და ტრანზიტის საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1821—1831 წწ., თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, III, V; 2. სამსონაძე, საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, თბ., 1980, გვ. 153—168).*

1) 2. სლექჟანდრე—ალექსანდრე I (1777—1825), რუსეთის იმპერატორი 1801 წლიდან.

3. გრიგოი ალექსი სამეილის ძე (1775—1845) — რუსი აღმირალი; 1816 წლიდან შავი ზღვის ფლოტის მთავარსარდალი და სევასტოპოლისა და ნიკოლაევის სამხედრო გუბერნატორი (იხ. *Ф. Ф. Веселого, Краткая история русского флота, М.-Л., 1936; А. Асланбеков, Адмирал Алексей Самуилович Грейг, Биографический очерк, СПб., 1873).*

4. რედუტ-ჯალე (ყულუევი)—სავაჭრო-ეკონომიური მნიშვნელობის მქონე დიდი ნავსადგური შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ფოთიდან ჩრდილო-დასავლეთით 15 კმ-ის დაშორებით, მდ. ხობის შესართავთან (იხ. *მ. პაქკორია, რედუტ-ჯალე, თბ., 1968 წწ.*

5. რედი—ხომალდებისა და ნაევების სადგომი ნაბირთან შორიასლო, რომელიც ქარისაგან დაუცველია და ამდენად აქ დიდი ხნით ხომალდების გაჩერება არ შეიძლება (იხ. *თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981, გვ. 25).*

6. ჰაიბები—ოღესის ძველი სახელწოდება; სხვადასხვა წყაროებში ქალაქი სხვადასხვაწარად იწოდებოდა (ყოცუბევეი, კაჩუკლენოვი, ჰაიბები, კაიბები, აფიბები). ქალაქს ოღესა ეწოდა იმის გამო, რაღაც შეცდომით ფიქრობდნენ, თითქოს ჰაიბების იდგილზე ძველბერძნული კოლონია ოღესისი არსებობდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, აღნიშნული პუნქტი ბულგარეთის დღევანდელი ქალაქის ვარნას იდგილზე იყო ქალაქი ოღესად 1795 წლიდან იწოდება.

7. გენერალი დერიბასი ოსიმ შიხეილის ძე (1749—1800)—რუსეთის ფლოტის აღმირალი; დაიბადა ნეაპოლში, 1772 წლიდან მიღებულ იქნა რუსეთის სამსახურში. მონაწილე იყო *ამ ექსპედიციისა* (1792—1793 წწ.), რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალი ა. ვ. სუვოროვი და რომელსაც ევალებოდა ამ მხარეში ციხესიმაგრის აგება. ამავე დროს დაიხსნა საკითხი იმის შესახებ, რომ ჰაიბების იდგილზე აგებულყო სავაჭრო და სამხედრო პოსტი; დერიბასის მიერ შედგენილი პროექტი წარუდგინეს ეკატერინე II-ს და 1794 წელს გამოიცა ბრძანებულება ამ ოღესის აშენების შესახებ.

8. ეკატერინე—ეკატერინე II (1729—1796), რუსეთის იმპერატორი 1762 წლიდან.

9. ეოლინი — უკრაინის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მხარე.

10. პოლონი — მხარე უკრაინის დასავლეთით, კარპატების მთისწინეთი, დნესტრის აუზში; კიევის რუსეთის დაცემის შემდეგ იგი გაიანჭილა პოლონეთმა და დატოვა; 1672 — 1699 წწ. მას ოსმალები ფლობდნენ; 1793 წ. პოლონეთის დი-

ჯოჯის შემდეგ აღმოსავლეთი პოდოლი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო მისი დასავლეთი ნაწილი ავსტრიას მიეკუთვნა (1772 წ.). ამჟამად იგი უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფარგლებშია.

11. ბუვა — მდ. ვისლის მარჯვენა შენაკადი.

12. ფრანკი — ფულის ერთეული, უდრის 100 სანტიმს; ხმარებშია საფრანგეთში, ბელგიაში, ლუქსემბურგსა და შვეიცარიაში. შემოღებულ იქნა 1803 წლიდან.

13. როგორც ჩანს, ივლისხმება იასის საზავო ხელშეკრულების შედეგად (1791 წლის 31 დეკემბერი) რუსეთის მიერ მიღებული შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიები (სამხრეთი ბუგიდან დნესტრამდე) (ეს. Т. Юзефович, Договоры России с Востоком. СПб, 1869, გვ. 41).

14. ნოღალები — თურქული მოდგმის ხალხი, ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიაში, ყირიმსა და სამხრეთ უკრაინაში. ნოღალების ურდო ჩამოყალიბდა XIV საუკუნის ბოლოს ოქროს ურდოს დაცემის შედეგად; მომთაბარეობდნენ ვოლგადან ირტიმამდე და კასპიის ზღვიდან ყაზანამდე და ტრუმენამდე. XV ს. ნოღალები ურდო დაიყო მცირე და დიდ ნოღალებად. ასტრახანისა და ყაზანის რუსეთთან შეერთების შემდეგ დიდი ნოღალები ურდო 1557 წლიდან მოსკოვს დაემორჩილა. 1634 წ. ყალმუხების თავდასხმის შედეგად ნოღალები გადავიდნენ ვოლგის მარჯვენა მხარეს, შეუერთდნენ მცირე ნოღალები ურდოს და ყირიმის ხანთა ქვეშევრდომნი გახდნენ. XVII—XVIII სს. ნოღალები განდევნეს კაზაკებმა ჩრდილო შავიზღვისპირეთისაკენ. XIX საუკუნის დასაწყისში ნოღალები ძირითადად რუსეთის ქვეშევრდომნი იყვნენ და მომთაბარეობდნენ ჩრდილო კავკასიაში. შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. დღეისათვის ნოღალები ძირითადად ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობენ.

15. ახალი რუსეთი (ნოვოროსია) — ისტორიული მხარე შავი ზღვისა და აზოვის ზღვის სანაპიროზე. XVIII საუკუნის შუა წლებიდან კაზაკები დასახლებულნი ეს მხარე რუსეთის შემადგენლობაში შევიდა და მიიღო სახელწოდება — ნოვოროსია. 1764 წ. აქ წარმოიშვა ნოვოროსიისა და ეკატერინოსლავის გუბერნიები. დღეისათვის ეს ტერიტორია შედის მოლდავეთის სსრ, უკრაინის სსრ (ოდესის, ყიროვოგრაძის, ნიკოლაევის, ხერსონის, დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს; ყირიმისა და სხვა ოლქების) და რსფსრ (როსტოვის, კამენსკის, ვოლოგრაძის ოლქების, სტავროპოლის მხარის ნაწილის) შემადგენლობაში.

16. იმპერატორი პავლე — პავლე I (1754—1801) — რუსეთის იმპერატორის 1796 წლიდან.

17. 1806—1812 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ბუქარესტში დაიდო ხელშეკრულება (1812 წლის მაისი). რომელიც რუსეთისათვის მეტად ხელსაყრელი იყო. რუსეთმა შეიერთა მოლდავეთის მიწები პრუტსა და დნესტრს შორის (ბესარაბია).

18. ვლახეთი — თანამედროვე რუმინეთის სამხრეთი ნაწილი კარპატების მთებსა და დუნაის შორის. ვლახეთის სამთავრო შეიქმნა XIV საუკუნეში ამ ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა წვრილი საგოეოლოების შეერთების შედეგად.

19. ტრაიანე მარკუს ავრელიუს — რომის იმპერატორი (98—117 წწ.).

20. დავია — თანამედროვე რუმინეთისა და უნგრეთის ტერიტორიაზე მდებარე ანტიკური ქვეყანა. მის წინააღმდეგ იბრძოდნენ რომაელები; 89 წ. მათ ზავი და-

დეს დაკიელებთან და აიძულეს ისინი ზარკი ეხადათ რომისათვის; მოგვიანებით ტრაიანემ ოჩჩერ მიიღო მონაწილეობა დაკიის წინააღმდეგ ბრძოლაში (101—102. და 105—107.), დაიპყრო დაკიის დედაქალაქი სარმიზგეტუზე და აიძულა დაკიის მეფე თავი მოეკლა. 107 წლიდან დაკია რომის პროვინციად იქცა. აქ დიდად იყო განვითარებული მესაქონლეობა (იხ. А. Д. Дмитриев, Падение Дакии, Вестник Древней Истории (VIII), 1949, № 1; И. Т. Кругликова, К вопросу о романизации, ВДИ, № 4, 1947).

21. კარლოს XII (1682—1718)—შვედის მეფე 1697 წლიდან; ცნობილია თავისი საომარი წარმატებებით დანოს, პოლონეთის, რუსეთის (1700 წ. ნარვასთან მოპოვებული გამარჯვება) წინააღმდეგ; 1708 წ. დამარცხებულ იქნა პოლტავასთან პეტრე დიდის ჭარბების მიერ; შემდეგ 5 წლის განმავლობაში ოსმალეთში იყო გაზიზნული. დაიღუპა ნორვეგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ვოლტერის ცნობილი ნაშრომის („კარლოს XII ისტორია“) წყალობით იგი ისტორიას შემორჩა როგორც თავდადებული, უმამაესი და ამავე დროს ბედღაცარული გმირი.

22. ფუტი—ძველი სიგარძის საზომი ერთეული, უტოლდება დაახლოებით 33 სმ; სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სიღაღისაა; ინგლისური ფუტი, ისევე როგორც რუსული, უდრიდა 0,3048 მ.

23. ლემბერგი—ლუოვის გერმანული სახელწოდება.

24. მილი—სიგარძის საზომი; გეოგრაფიული მილი უდრის 7.420 მ.; საზღვაო—1,852 მ. (Словарь иностранных слов, М., 1954.)

25. ზალეშიკი—ქალაქი დნესტრზე, უკრაინის სსრ.

26. ხოტინი—დნესტრის ნაპირზე, ჩრდილოეთ ბესარაბიაში მდებარე ქალაქი, შედიოდა კიევის რუსეთის, მოლდავეთის სამთავროს, თურქეთის, ხოლო 1812 წლიდან რუსეთის შემადგენლობაში; XVII—XVIII სს. თურქებმა აქ ააგეს ციხესიმაგრე, რომელიც წარმოადგენდა დასაყრდენ პუნქტს, საიდანაც თურქები თავს ეხმოდნენ უკრაინასა და პოლონეთს.

27. მოგილევი—ბელორუსიის აღმოსავლეთ მხარეს, დნესტრის ნაპირზე მდებარე ქალაქი.

28. გრაფი პოტოკი—უკრაინაში დამკვიდრებული პოლონელი მსხვილი მაგნატი და დიდვაჟარი.

29. იაშოლი—მდებარეობს დნესტრის ნაპირზე (უკრაინის სსრ).

30. დუბოსარი—ქალაქი მდ. დნესტრის ნაპირზე (მოლდავეთის სსრ).

31. ბენდერი—მდებარეობს ბესარაბიაში (მოლდავეთის სსრ) დნესტრის მარჯვენა ნაპირზე, ლიმანთან მისი შეერთების 80 კმ-ის დაშორებით.

32. სლობოქე—ქალაქი მოლდავეთის სსრ-ში.

33. პრუტის ლაშქრობა, როგორც ცნობილია, პეტრე I-ისათვის უიღბლო აღმოჩნდა. 1711 წ. 12 ივლისს დაიღო საზაეო ხელშეკრულება რუსეთისათვის მძიმე და არახელსაყრელი პირობებით: თურქეთს დაუბრუნდა აზოვი, ტავანროგი, სამხრეთ ხაჭინიში აგებული ციხესიმაგრეები უნდა დანგრეულიყო, რუსეთს აეკრძალა შეეზღუებე ვაჭრობა.

34. ვალაქი—ქალაქი და პორტი რუმინეთში.

35. მინსი, ფონ ბურგარდტ ქრისტეფორე, გრაფი (1683—1767)—რუსეთის არმიის ფელდმარშალი, სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი; წარმოშობით გერმანელი; პეტრე I-მა იგი, როგორც ინჟინერი, რუსეთში მოიწვია. რუსეთ-

თურქეთის 1735 — 1739 წწ. ომის დროს რუსეთის არმია გენერალ-ფელდმარშალ მინიზის მეთაურობით გადავიდა დნესტრის მარჯვენა ნაპირზე ხოტინიდან 60 კმ-ის დაშორებით.

36. ტუზი — ძველი ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული. ტოლია 1,949 მ.

37. პოსპოლარი (უკრ. მზრძანებელი) — სულთნის ქვეშევრდომი მთავრების ტიტული უმთავრესად მოლდავეთსა და ვლახეთში.

38. იგულასხმება 1821 წლის ბერძენთა შეიარაღებული აჯანყება, რომელიც მიმართული იყო თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ. მიზნად ისახავდა დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს შექმნას; აჯანყებას სათავეში ედგა ალექსანდრე იპსილანტა. რუსეთის ინტერესებში შედიოდა ბერძენთა განთავისუფლება თურქეთის ბატონობისაგან, რადგანაც ამით რუსეთი ამტკიცებდა თავის გავლენას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მაგრამ როდესაც აჯანყებამ მთელი პელაგონის ნახევარკუნძული მოიცვა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი მიიღო, ალექსანდრე I-მა უარი განაცხადა დახმარებოდა ბერძნებს. როგორც ცნობილია, ამ აჯანყებაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია რუსეთ-თურქეთის 1828 — 1829 წწ. ომმა. აღრიანოპოლის საზავო ხელშეკრულება (1829 4. 14 სექტემბერი) ითვალისწინებდა პუნქტს საბერძნეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ამგვარად, საბერძნეთი განთავისუფლდა თურქეთის უღლისაგან.

39. პორტო ფრანკო — თავისუფალი პორტი. ოდესა წარმოადგენდა მსხვილ სავაჭრო-სატრანზიტო პუნქტს უცხოური საქონლისათვის. 1819 წლის 4 ივლისიდან ქალაქი თავისუფალ პორტად იქცა, ე. ი. აქ ნებადართული იყო გაეყიდათ და შეენახათ უცხოური საქონელი საზავო გადასახადის გარეშე. ოდესამ თავისუფალ პორტად იარსება 1859 წლამდე.

40. კარაიტი ებრაელები — ებრაული სექტის წევრები, რომლებიც უარყოფენ თალმუდს და აღიარებენ საღვთო წერილს. ისინი ოდესაც ცხოვრობენ ყირიმსა და ლიტვაში. მეფის რუსეთი, რომელიც ყოველნაირად დევნიდა და ავიწროებდა ებრაელებს, კარაიტების მიმართ შემწყნარებლობას იჩენდა (იხ. С. А. Тукарев, Правия в истории народов мира, М., 1964, გვ. 361).

41. ოდესის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მართლაც შეადგენდნენ უცხოელები. ქალაქის დაარსების პირველივე დღიდან ოდესაში გადმოსახლდნენ თურქეთის უღელს გამოქცეული ბულგარელები, სერბები, ბერძნები, ალბანელები და სხვ. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გადმოსახლდნენ ბერძნები საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს, XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში თვით მთავრობასაც კი თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდა რაც შეიძლება მეტი უცხოელი დაესახლებინა აქ. ოდესის კრელ მოსახლეობაზე ნათელ სურათს ძძლევა პუშკინი აევეგნი ონეგინში“:

«Там долго ясны исбеса,  
Там хлопотныя торг обильный  
Свои подъемлет паруса;  
Там все Европой дышит, все,  
Все блещет югом и пестреет  
Разнообразностью жвьюй.  
Язык Италии златой



Звучит по улице веселой,  
 Где ходят гордый славянин,  
 Француз, испанец, армянин,  
 И грек, и молдаван тяжёлый,  
 И сын египетской земли,  
 Корсар в отставке, Моралии.

42. კოდმა — სამხრეთ ბუგის შენაჯადი.

43. სევერან პორტოცი (1762 — 1829)—პოლონეთის მსხვილი მაგნატებია წარმომადგენელი. იოსებ პორტოცის ვაჟი. პოლონეთის დაცემის შემდეგ თავის ძმასთან ივანე პორტოცისთან ერთად რუსეთში ჩამოვიდა.

44. ივანე პორტოცი (1761—1815)—რუსი მეცნიერი. XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში ისტორიული და არქეოლოგიური მიზნით მოიარა სამხრეთ რუსეთის ტერიტორიები, ყირიმში და კავკასია. იგი იყო ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, გეოგრაფი, რუსეთის აკადემიის ნამდვილი წევრი. პორტოცი განსაკუთრებით დაინტერესდა სლავების ძველი ისტორიით, რასაც რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი მიუძღვნა, რომელშიც თაემოყრილია უამრავი მასალა. პორტოცის ნაშრომი ჩრდილო კავკასიის შესახებ კლასროთმა გამოსცა 1829 წ., მისი სიყვდილის შემდეგ.

45. დესტრინა — მეტრული სისტემის შემოღებამდე რუსეთში გავრცელებული მიწის საზომი ერთეული, უდრიდა 2.400 კვ. საყ. (1.0925 ჰე).

46. არპანი — ადგილიადა მხედვით განსხვავებული ძველი მიწის საზომი ერთეული, უდრიდა დაახლ. 58,47 მ. (191,8 ფუტს).

47. ეკატერინოსლავი — დღევანდელი დნეპროპეტროვსკი; დაარსდა 1787 წ.

48. ტავრიდა — ყირიმის ნახევარკუნძულის ძველი სახელწოდება. 1802 წ. ნოვოროსიისკის გუბერნია დაიყო. სამ გუბერნიად: ეკატერინოსლავია, ტავრიდის და ხერსონესის გუბერნიებად.

49. ისარა — გრძელი და ძალიან ვიწრო ნახევარკუნძული (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. IV, თბ., 1955, გვ. 803).

50. Cursus Achillis — აქილევის სარბენი; გრძელად წაზიდული ნახევარკუნძული (ისარა) შავ ზღვაში, დნეპრის შესართავთან. ასეთი სახელწოდება ამ ადგილმა იმის გამო მიიღო, რომ გადმოცემის თანახმად აქილეუსი აქ სირბილში ვარჯიშობდა, როცა შეჭობრებისათვის ეშხადებოდა. საერთოდ, აქილეუსის კულტი ძალზე გავრცელებული იყო შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე. გადმოცემის თანახმად, აქილეუსის დედამ თეტიდამ იგი ცეცხლიდან გამოიყვანა და შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე თეთრ კუნძულზე (აქილეუსის კუნძულზე) წაიყვანა. აქ უკვდავად ქცეულმა აქილეუსმა შეირთო ელენე. ამ კუნძულზე ოდესღაც მისი სახელობის ტაძარი არსებობდა და უკვე ძვ. წ. IV საუკუნეში მისი ქანდაკებები იდგა (იხ. Русские древности в памятниках искусства, издаваемые И. Кондаковым, вып. I, С—П, 1889, გვ. 15—16).

51. ინგულეცი — დნეპრის მარჯვენა შენაჯადი, სამხ. უკრაინაში.

52. ვორონოვი — იგულისხმება მხეილ სიმონის ძე ვორონოვი (1782—1856) — რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ზენერალ-ფელდმარშალი, გრაფი; მონაწილეობდა XIX ს. დასაწყისში გამართულ ბრძოლებში; განსაკუთრებით გამოიჩინა თავი

1813—1814 და 1815—1818 წლებში. მან შეცვალა ლანკერონი ნოეოროსიის გენერალ-გუბერნატორის პოსტზე (1823—1844 წწ.); 1844—1854 წლებში იყო მეფისნაცვალ კავკასიაში.

53. ფრეგატი — (იტ. *fregata*) — მსუბუქი და სწრაფმავალი სამანძიანი ხომალდი; გამოიყენებოდა როგორც საომარი საზღვრო ხომალდი; შორეული დაზვერვისათვის; დიდი ზომის ფრეგატი საომარ ხაზზე გავლიდა.

54. ხერსონი, ხერსონები — ქალაქი — სახელმწიფო შავი ზღვის სანაპიროზე, ყირიმის დასავლეთ ნაწილში. სიტყვა „ხერსონესი“ ბერძნულად ნაბევარქუნელს ნიშნავს; დაარსებულია ძვ. წ. V საუკუნეში დორიელი ქალაქის ქრატელადან გამოსული კოლონისტების მიერ; იგი ერთადერთი დორიული კოლონია იყო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე (იხ. *Античные города Северного Причерноморья*, М.—Л., 1955, გვ. 65—95).

55. პონტოს სამეფო (ძვ. წ. IV ს. — ახ. წ. I ს.) — ელინისტური სახელმწიფო მცირე აზიაში, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროზე. ძვ. წ. 53 წ. პონტოს სამეფო დაიპყრეს რომაელებმა და რომის პროვინციად აქციეს. პონტოს სამეფომ ძლიერებას მიაღწია მითრიდატე VI ევპატორის დროს, ხოლო პომპეუსის მიერ მითრიდატეს ძველის შემდეგ (იხ. ქვემოთ) იგი დაქუცმაცდა (ძვ. წ. 65 წ.) (იხ. ლ. სანიციძე, პონტოს სამეფო, თბ., 1956 წ.).

56. ქრატელა — ქალაქი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე.

57. მითრიდატე ევპატორი — მითრიდატე VI ევპატორი (დაიბ. ძვ. წ. 120—63 წწ.) — პონტოს სამეფოს მეფე; მისი მეფობის განმავლობაში პონტოს სამეფო დიდად გაძლიერდა; ებრძოდა რომაელებს; პირველი დამარცხება ძვ. წ. 70 წ. რომელი მხედართმთავრის ლეკულუსისაგან იგემა. ხოლო მეორედ იგი პომპეუსმა დაამარცხა (ძვ. წ. 66 წ.); მითრიდატე ევპატორი ბოსფორში გაიქცა და პატრიკეაში თავი მოიკლა (დაწერილებით იხ. *Мохаси, История Рима, I, М., 1936; ლ. სანიციძე, დასახ. ნაშრ.*).

58. ბოსფორის სამეფო — ელინისტური სახელმწიფო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, დედაქალაქი — პანტიკაპეა; შეიქმნა დაახლ. ძვ. წ. 480 წ. ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოთა საფუძველზე.

59. მარტინ I (დაიბადა დაახლ. 590 წ., გარდაიცვალა 655 წ. ხერსონესში). პაპობდა 649—655 წწ. მონოთეიზმის დაგმობის გამო გადასახლებულ იქნა ხერსონესში იმპერატორ კონსტანტინე II-ის მიერ.

60. იუსტინიანე II ფლავიუს, ცნობილი რინომეტის, ანუ ცხვირმოჭრალის, სახელით (დაიბადა დაახლ. 670 წ., გარდაიცვალა 711 წ.), ბიზანტიის იმპერატორი 685—695 და 705—711 წლებში. 695 წ. აქანყების შედეგად გადაყენებულ იქნა ტაბტიდან და ჰელადის სტრატეგმა ლეონსმა იგი ხერსონესში გადაასახლა. ხერსონელებს იგი არ უყვარდათ და დევნიდნენ მას. როდესაც 705 წ. იუსტინიანე მოაქრბა ტაბტის დაბრუნება, იგი სასტიკად გაუსწორდა ხერსონელებს; მოკლულ იქნა ხერსონელების წინააღმდეგ ბრძოლაში. იუსტინიანე II პერკელიძის დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელია.

61. ლეონსი — ჰელადის სტრატეგი (695 წ.), რომელმაც ტაბტიდან ჩამოაგდო იუსტინიანე II.

62. ბალაკლავა (ძვ. პალაიონი) — ქალაქი სევასტოპოლის რაიონში, მდებარეობს ვიწრო და ღრმა ყურეში.

63. ჩეჩქანი — მდებარეობს თანამედროვე სევასტოპოლის ახლოს; ეს იყო კლდე-ში საეკეთი ქალაქი კალამიტა, რომელსაც XV საუკუნის ბოლოდან ჩეჩქანი ეწოდა (-ბ. Русские древности в памятниках искусства, издаваемые графом П. Толстым и П. Кондаковым, Вып. IV, Христианские древности Крыма, Кавказа и Киева, С.-П., 1891, გვ. 24 და შესდ.).

64. ტომე (ტომე // ტომი) — ქალაქი ღუნაის შესართავთან, შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, დღევანდელი კონსტანტას მიდამოებში.

65. პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი (ძვ. წ. 43 წ. — ახ. წ. 17 წ.) — ცნობილი რომელი პოეტი. ახ. წ. 9 წელს ოქტავიანე ავგუსტეს ბრძანებით გადაასახლეს ტომეში, სადაც გარდაიცვალა ახ. წ. 17 წელს. გადასახლებაში შექმნილი ნაწარმოებები („პონტოდან გამოგზავნილი წერილები“) იღვასეა სეველიანთან (იხ. ყაუბჩიშვილი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1971, გვ. 417—419)..

66. ოლეა (ახლანდ. ოჩაოეო) — ბერძნული ქალაქი — სახელმწიფო შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. დაარსებულ იქნა ძვ. წ. VI ს. მიღებებზე მიერ და იწოდებოდა ახ. წ. V საუკუნემდე. გარშემორტყმული იყო ქვის ძლიერი კედლით, მაღალი კოშკებითა და კარიბჭეებით (იხ. В. В. Матвеев. Исследования об истории и государственном строе города Ольвии, СПб., 1887; Е. Фармаковский. Ольвия, М., 1915; Л. М. Славин. Ольвийские городские кварталы Северо-восточной части верхнего города, «Советская археология», VII, М., 1941, გვ. 294; Античные города Северного Причерноморья..., გვ. 30—65).

67. მილეტი — ქალაქი მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე შავი ზღვისპირეთში მილეტელების კოლონიები უკვე VII—VI საუკუნეებში გაჩნდა.

68. ტეხლა — გრძელ წახედული ნახევარკუნძული (ჩხარა), რომელსაც ძველად „აქილევას სარბენა“ ეწოდებოდა (იხ. Русские древности..., вып. I, გვ. 15—16).

69. გეზლევე — თანამედროვე ევპატორიის ტერიტორიაზე არსებული ქალაქისა და ციხის სახელწოდება, რომელიც თესალიელებისაგან მომდინარეობს, რუსებმა კი „ეოზლოვად, კეზლევად, გეზლევად“ გადმოიღეს. ყირიმის რუსეთთან შეერთების შემდეგ 1783 წელს ქალაქს ევპატორია ეწოდებოდა, პონტოს მეფის მითრიდატე VI ევპატორის მიერ დაარსებული ციხის ევპატერიონის სახელწოდების მიხედვით.

70. დიანას (ბერძ. არტემიდა) ტაძარი — იდგა პართენონის კონსტზე, ხერსონის მახლობლად (იხ. Русские древности..., გვ. 17).

71. ფეოდოსია — ბერძენ კოლონიზატორ მიერ დაარსებული ქალაქი ყირიმში ძვ. წ. VI საუკუნეში. XIII—XV სს. გენუელების კოლონია იყო. ქონდა დიდი ციხე. შემორჩენილი იყო ქვის გალავნით; 1475 წ. თურქებმა დაიპყრეს ქალაქი, გააძევეს იტალიელები და ქალაქს კათა უწოდეს. ყირიმის რუსეთთან შეერთების შემდეგ (1783 წ.) მას კვლავ ფეოდოსია ეწოდა.

72. პახტაკავე — ქალაქი ტავრიდან ხერსონესში, თანამედროვე ქერჩი. დაარსდა ძვ. წ. VI ს. პირველ ნახევარში მილეტელების მიერ; ძვ. წ. V საუკუნიდან გახდა ბოსფორის სამეფოს დედაქალაქი. იგი ცნობილი იყო სიმდიდრითა და ვაჭრობით; ემორჩილებოდა მითრდატე ევპატორს, პონტოს მეფეს, და თავისი არსებობა შეწყვიტა რომაელთა ბატონობის დროს. რომაელებთან ბრძოლაში დამარცხებულმა მითრიდატემ აქ დაასრულა თავისი სიცოცხლე.

73. ლობტერი (პოლ.) — სატვირთო გემი.

74. ანატოლია — ოსმალეთის იმპერიის მცირეზიური ნაწილის სახელწოდება. ოსმალეთის იმპერიაში ანატოლიის პროვინციას (ვილაიეთს) ეკავა მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი.

75. სინოპი (სინოპე, ახლანდ. სინაპ) — შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, პატალაგონის ნახევარკუნძულზე მდებარე ანტიკური ქალაქი; იგი მცირე აზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კოლონია იყო, დაარსებული მილეტელების მიერ ძვ. წ. 631 წელს; მითრიდატე VI ეპატორის დროს პონტოს სამეფოს ცენტრი; სინოპიდან პირდაპირი გზა მიდიოდა ყირიმისაკენ (იხ. М. И. Максимова. Античные города юго-восточного Причерноморья, М.-Л., 1956).

76. ტრაპიზონი — ქალაქი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე; XIII—XV სს. იყო ცენტრი ტრაპიზონის იმპერიისა (იხ. М. И. Максимова, დასახ. ნაშრ.).

77. შარდენი — XVII ს. ცნობილი ფრანგი მოგზაური, იუველირი, ავტორი შრავალტომიანი თხზულებისა „Voyages du chevalier Chardiu en Perse et autres lieux de l'Orient...“ რომელიც ძვირფას ცნობებს შეიცავს საქართველოს შესახებ. კახაში შარდენი 1672 წელს იყო. „შავი ზღვის არცერთ ნავსადგურში, — წერს შარდენი, — არ იმართება ისეთი დიდი ვაჭრობა, როგორც აქ. იმ ოკმობი დღის განმავლობაში, რომელიც იქ გავატარე, ვნახე ოთხასზე მეტი შექონილი და გასული იალქანი, თუ არ ჩავთვლით სანაპირო ნაოსნობის პატარა გემებს“ (იხ. ეან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ცნობები საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 96).

78. ხანი — 1. მმრძანებელი. 2. ოსმალეთის სულთნის ტიტული, რომელიც სახელის შემდეგ თქმობდა. 3. ოსმალეთის აღმოსავლეთ მხარეებში ადგილობრივი ბეგებისა და ყირიმის თათართა მმართველების ტიტული. 4. ირანის ოლქების, სახანოების მმართველები“ (ეგლათ ჩელების მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურჩიძე, ნაკვ. II, თბ., 1973, გვ. 171).

79. მამლუქების ზუსტი განსაზღვრება მოცემული აქვს ბ. სილაგაძეს: „შეძენილი, არამუსლიმური სარწმუნოების უცხოელი თეთრკანიანი. რომელიც მამლუქი დაიწყო სამყაროში მოხვედრისთანავე მუსლიმდებოდა, თავისი პატრონი, შეიარაღებულ რაზმში ირიცხებოდა, მისი ნება-სურვილის შესაბამისად მოქმედებდა და ერთგული სამსახური შეიძლებოდა თავი დაეღწია უფლებებო მდგომარეობიდან, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო. განთავისუფლებული და სრულუფლებიანი უკვე მამლუქი კი აღარ იყო, არამედ მამლუქთა წრედან გამოსული ანუ ყოფილი მამლუქი“ (ბ. სილაგაძე, ერაყი მამლუქთა გამგებლობის ხაზაში, თბ., 1978, გვ. 114).

80. ხალიფები (არაბ.) — მუსლიმურ სახელმწიფოებში უმაღლესი მმართველები, რომლებიც აერთიანებენ როგორც სასულიერო, ასევე სამოქალაქო მმართველობას.

81. დიდი სენიორი — ასე უწოდებდნენ ევროპელები ოსმალეთის სულთანს.

82. იალბუზის უმაღლესი შვეყრვალის სიმაღლეა 5633 მ., ხოლო მონღანისა — 4310 მ.

83. სტრაპონი (დაახლ. ძვ. წ. 64/63—23/24 წწ.) — ძველი ბერძენი ისტორიკო-

სი და გეოგრაფოსი, ავტორი მრავალტომიანი ისტორიულ-გეოგრაფიული თხზულებებისა, რომელიც შედგება ჩვიდმეტი წიგნისაგან და შეიცავს საინტერესო ცნობებს საქართველოსა და კავკასიის შესახებ (იხ. თ. ყაზბეგი, სტრამონის გეოგრაფია, თბ., 1957 წ.).

84. ვერსი — მეტრული სისტემის შემოღებამდე რუსეთში გავრცელებული ძველბურთი სიგრძის საზომი ერთეული, უდრიდა 1,0658 კმ.; XIX საუკუნიდან იხმარებოდა საქართველოშიც.

85. საენი — რუსული ზომის ერთეული, იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე. უდრიდა 2,13360 მ.

86. Pouce ჩვენ ყველგან ვიარაგნით „გოჭი“. სიტყვა-სიტყვით pouce ნიშნავს ცერა თითს; ეს არის ძვ. ფრანგული სიგრძის საზომი, უდრიდა 27,07 მმ, იგი შეადგენს ფუტის მეთორმეტედ ნაწილს და იყოფა 12 წირად (Petit Robert, I, P. 1978). გოჭი — მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე, იხმარებოდა სიგრძის საზომად, უდრის დაახლოებით 4 სმ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, II).

87. Linge — ხაზი, წიაი — ძველებური ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული. ტოლია დაახლოებით 2,25 მმ.

## თ ა ვ ე II

1. ტებუ დე მარინი — ეან ვიქტორ ელუარდ ტებუ დე მარინი (1793—1852). დრანგი არისტოკრატი, 1809 წლიდან რუსეთის სამსახურში; 1813 წლიდან ანაპაშია; 1818 წ. მონაწილეობას იღებდა კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს ექსპედიციაში, კერძოდ, აღდგომი. 1821 წ. ტებუ დე მარინი გახდა ნიდერლანდების ვიცე-კონსული შავი ზღვის ნავსადგურებისა. ნიდერლანდიის მთავრობას უნდოდა გამოეყენებინა შავ ზღვაში შესვლის უფლება, რომელიც თურქეთის მთავრობისაგან მიიღო 1680 წ. ამ მიზნით მან სამეცნიერო-საეკვრო ექსპედიცია გაგზავნა შავი ზღვის სანაპიროზე, რომელსაც სათავეში ედგა ტებუ დე მარინი. 1830 წ. იგი ნიდერლანდების კონსული გახდა ოდესაში, 1848 წლიდან კი — გენერალური კონსული შავი ზღვისა და აზოვის ზღვის ნავსადგურებისა. ტებუ დე მარინი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ოდესის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რედაქტორობდა „Journal d'Odessa“-ს; იყო წევრი ისტორიისა და საქველეთა ოდესის საზოგადოებისა. გარდაიცვალა ოდესაში 1852 წ. ტებუ დე მარინის თხზულება „მოგზაურობა ჩერქეზეთში“ შედგება ორი ნაწილისაგან: 1. 1818 წლის მოგზაურობა და 2. 1823 და 1824 წლების მოგზაურობა ჩერქეზეთის სანაპიროზე. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოგზაურობა ძირითადად კომერციულ და პოლიტიკურ მიზანს ისახავდა, ჩერქეზეთში გატარებულმა წლებმა მას საშუალება მისცა თავის თხზულებაში გადმოეცა უდიდესი ფაქტობრივი მასალა ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიის, ხელოსნობის, ბუნებრივი სიმდიდრის, მატერიალური და სულიერი კულტურის, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების შესახებ (იხ. „Voyages en Circassie par chevalier Taitbou de Marigny“, Odessa, Simphéropol, 1836; M. A. Полшевков, Европейские путешественники по Кавказу 1800—1830 гг. გვ. 146—148; Адыги, Балкарцы, и Карачаевцы

в известиях европейских авторов XIII—XIX вв., Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В. К. Гарданова. Пальчик, 1974, гв. 291—322).

2. პეისონელი კარლ (1727—1790)—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე დიპლომატი და სწავლული. 1753—1757 წწ. იყო ყირიმის კონსული. მისი ორტომიანი თხზულება „ტრაქტატი შავი ზღვის ეპკრობის შესახებ“, რომელიც გამოვიდა 1787 წ. წარმოადგენს უძვირფასეს წყაროს შავი ზღვის ეპკრობის შესახებ. აქ დეტალურად არის აღწერილი ჩერქეზეთის საეკსპორტო და საიმპორტო ეპკრობა, რაც საშუალებას იძლევა ჩერქეზეთის იმპროვიზებული ეკონომიკური განვითარების დონის გასარკვევად (Peyssonnel. „Traité sur le commerce de la Mer Noire“, Paris, 1782; Аджиг. Балкарцы и Карачаевцы..., გვ. 179—203).

3. თემურჯი — ქალაქი და პორტი ყუბანის ნაპირზე, აზოვის ზღვისთან; შედის კასნოდარის მხარის ანაპის რაიონში.

4. ფანგორია (ახლ. გერასენი) — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი აზიურ ბოსფორში, ტამანის ნახევარკუნძულზე. ქალაქი დაარსდა ძვ. წ. VI საუკუნეში თესალიელების მიერ; ძვ. წ. IV ს. შევიდა ბოსფორის სამეფოს შემადგენლობაში და დიდ როლს ასრულებდა მის ისტორიაში.

5. პერაკლე — ათენის სახელმწიფოს პირველი სტრატეგოსი 443/429 წწ. ძვ. წ.; პერაკლეს დროს მონათმფლობელურმა დემოკრატებმა ათენში თავი გაწვითარების მწვერვალს მიაღწია.

6. ჩერქეზობრელი (შავიზღვისპირელი) კახაეები შავი ზღვისა და შდ. ყუბანის ნაპირებზე დასახლებულ კახაეებს ერქვათ. ისინი ზაპოროჟიელი კახაეების შთამომავლები არიან, რომლებსაც „ზაპოროჟიის სეჩის“ სახელწოდებით იცნობდნენ. „ზაპოროჟიის სეჩი“ გახლდათ დნეპრის ნაპირებზე მცხოვრებ კახაეთა გაერთიანება, რომელიც XVI ს. I ნახევრის დასასრულს შეიქმნა.

7. სულთან მურადი — ალბათ მურად IV, აქმედ I-ის შვილი; დაიბადა 1612 წელს. სულთნობდა 1623—1640 წწ.; იყო დიდად ენერგიული, გონიერი და მამაცი, მაგრამ ამავე დროს გამოირჩეოდა უადრესი სისასტიკით. ჰამერი მას „ოსმალეთის სერონს“ უწოდებს. მისი სულთნობის დროს ოსმალეთის იმპერიამ დიდ ძლიერებას მიაღწია.

8. სულთანი ოსმანი — ალბათ ოსმანი II, სულთანი 1618 — 1622 წწ.

9. ბორისთენი — შდ. დნეპრის ძველი სახელწოდება.

10. ევქსანის პონტი („სტუმართმოყვარე“) — შავი ზღვის ძველი სახელწოდება (იხ. თ. ბეჩაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, გვ. 5—6).

11. რაზუმოვსკი კირილე გრიგოლის ძე (1728—1803) — გრაფი, დედოფალ ელიზაბედ პეტრეს ასულის ფაეორიტის ალექსი რაზუმოვსკის ძმა, უკრაინის უკანასკნელი პეტმანი (1750—1764); ამავე დროს ჰქონდა ფელდმარშლის ტიტული. 1764 წ. ეკატერინე II-მ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად საბოლოოდ გაუქმდა პეტმანობა და შეიზღუდა უკრაინის ავტონომია. უკრაინის მმართველობა გადავიდა მალოროსიის კოლეგიის ხელში, რომელსაც სათავეში ედგა პრეზიდენტი პ. რუპინცევი.

12. პეტმანი — XVII—XVIII სს. უკრაინაში პეტმანებად იწოდებოდნენ კახაეთა წინამძღოლები, ხოლო მოგვიანებით (ზოგან ხმელნიცის დროიდან) — ასე იწოდებოდა სრულიად უკრაინის მმართველი.

13. ჰიანისი—მღ. ყუბანის ძველი სახელწოდება, რომელიც აგრეთვე ანტიკიტად იწოდებოდა.

14. ე. წ. „ჩრდილოეთის ლიუენი“ აიგო ოლესაში 1817 წელს იუბილე აბატის ნიკოლის გეგმათა და ჩრდილოეთ მარაქებით „ქეთილშობილთა ინსტიტუტის“ ბაზაზე.

15. პეტრე I. პეტრე დიდი (1672—1725)—რუსეთის პირველი იმპერატორი, რეფორმატორი და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე. რომორც ცნობილია, მის დროს მრავალი ღონისძიება გატარდა მაუღის მრეწველობის განვითარებისათვის და განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მისი ადგილობრივი ნეკლეულით მომარაგების საქმეს. ამ მიზნით გატარდა ღონისძიება მეცხვარეობის განვითარების შესახებ. გუბერნიაში დაარსდა მეცხვარეობის ფერმები. ცხვრის ჯიშების გაუმჯობესების მიზნით რუსეთის მთავრობამ გამოიწერა სიღებთან შლენერა ჯიშის ცხვარი, ხოლო ესპანეთიდან მერინოსის ჯიშისა. მეცხვარეებს დაეგზავნათ სხვა-აღური ინსტრუქციები ცხვრის კვების, მოვლის, კრეკისა და მოშენების შესახებ. მეცხვარეობა განსაკუთრებით განვითარებული იყო რუსეთის სამხრეთ რაიონებში და უკრაინაში (იხ. Н. П. Черноятов. Исторический очерк развития тонкошерстного овцеводства в России и обнародование письменного положения его, М., 1873 Очерки истории СССР. XVIII в. первая четверть. М., 1954, стр. 59—60).

16. Грано дуго (იტ.)—მყარ ხორბალი.

17. ჩეტვერტი—მოცულობის აღმნიშვნელი ძვ. რუსული საზომი ერთეული: 1 ჩეტვერტი მარცვლეული უდრიდა 9 ფუტს.

18. ანაპა—შავი ზღვის სანაპიროზე მნიშვნელოვანი სავაჭრო და სტრატეგიული პუნქტი იყო, ანატოლია თურქეთი მას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. 1794 წ. მათ აქ მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე ააგეს. რუსეთ-თურქეთის ომების დროს ანაპა არაერთხელ აუღიან რუსებს და შემდეგ კვლავ თურქეთისათვის დაუბრუნებიათ. საბოლოოდ რუსეთმა ანაპა 1828 წ. დასაკურთა.

19. კლაროთი ქენიხ-იულიუს (1783—1835)—გერმანელი ორიენტალისტი, რუსეთის სამეცნიერო აკადემიის წევრი, მოგზაური; დაიბადა ბერლინში: 1807 წ. არჩეულ იქნა ექსტრაორდინალურ აკადემიკოსად და გაიგზავნა კავკასიაში ისტორიულ-ფილოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევის ჩასატარებლად. კავკასიაში იყო ორჯერ—1807 წ. და 1808 წ. თავისი მოგზაურობა აღწერა ორიტომან შტრამში, რომელიც გამოიცა 1812 წ. გერმანულ ენაზე: „Reise in den Kaukasus und nach Georgien in den Jahren 1807 und 1808, (1812 — 1814): (უბრალოდ—1823 წ.). მისი თხზულება შეიცავს საინტერესო ცნობებს კავკასიის შესახებ. ქართულად გამოცემულია კლაროთისეული აღწერა თბილისისა: მ. პოლივექტოვი და გ. ნათაძე. ძველი თბილისი, 1930 (იხ. Адыги, Балкарцы и Карачаевцы... стр. 235; М. А. Подневытто, Европейские путешественники по Кавказу 1800—1830 гг., стр. 107—111).

20. ბეხარა—XVII ს. შუა წლებიდან უზბეკეთის ძლიერი სახელმწიფოს ცენტრი.

21. დერბენტი (დარუბანდი)—ქალაქი კასპიის ზღვის სანაპიროზე.

22. ყიზლარი—უნიშვნელოვანეს სავაჭრო და სამრეწველო ქალაქად ითვლებოდა. აქ თავს იყრიდა კასპიისა და თურგის ოლქებიდან შემოტანილი საქონელი.

ეზლარში დამკვიდრებული სომეხი და ქართველი ვაჭრები, რომელთაც აქ კოლონიები ჰქონდათ, ხელს უწყობდნენ ვაჭრობის განვითარებას რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის.

23. როკორც ჩანს, გამბა აქ გულისხმობს გენუელ კომერსანტს რაფაელ სკასს (იხ. ქვემოთ).

24. დე ლ'ეკლუზი სავაჭრო სახლის გამგებელი ბრიუგეში. მისი მხარდაჭერით განხორციელდა ნიდერლანდების მთავრობის მიერ გაგზავნილი ექსპედიცია შავი ზღვის სხაპიროზე, რომელსაც სათავეში ედგა ტებუ დე მარინი (იხ. „Voyages en Circassie...“).

25. ყონალი (ყუნალი) — თურქული სიტყვაა, ნიშნავს „მეგობარს“. ყონალია ერთ-ერთი წმიდათაშია ადამი იყო ჩრდილო კავკასიის ხალხებში. ყონალი იცავდა თავის მურვეობაში აყვანილ უცხოელს ყოველგვარი ხიფათისა და საშიშროებისაგან, რაც მას აღვილობრავ მცხოვრებელთაგან ემუქრებოდა.

26. გუდოვიჩი ივანე ვასილის ძე (1741—1820)—რუსი გენერალ-ფელდმარშალი, რუსეთ-თურქეთის სამი ომის მონაწილე. 1791 წელს 25 ათასიან განჯისაგან ერთად აიღო თურქეთის ციხესიმაგრე ანაპა, რომელიც იასის ზავით კვლავ დაუბრუნდა თურქეთს. 1806 წ. გუდოვიჩი დაინიშნა ქარების სარდლად კავკასიაში.

27. კუტუზოვი მიხეილ ილარიონის ძე (1745—1813)—ცნობილი რუსი მხედრობითაყარი, 1812 წლიდან გენერალ-ფელდმარშალი. 1811 წლისათვის, როცა რუსეთ-საფრანგეთის ომის გარდუვალობა ცხადი გახდა, რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა სასწრაფოდ დაესრულებინა ომი თურქეთთან და ოპერაციების წესმდგენლობა დაეცა გენერალ კუტუზოვს, რომელიც დაინიშნა მოლდავეთის ჯარის მეთაურად. კუტუზოვმა ომის მსვლელობაში შეცვალა ტაქტიკა, მოაპოვა ბრწყინვალე გამარჯვებები და მისეული დიპლომატიის მეოხებით მოახერხა თურქეთთან რუსეთისათვის მეტად სასარგებლო ზავი დაედო (ბუქარესტის საზავო ხელშეკრულება, 1812 წ.) ნაპოლეონის შემოსევაამდე ერთი თვით ადრე. ერთ-ერთი მუხლი მართლაც ითვალისწინებდა რუსების მიერ დაპყრობილი ანაპის დაბრუნებას თურქეთისათვის (ანაპისთან ერთად თურქეთისათვის უნდა გადაეცათ ფოფი და ახალქალაქი). სამაგიეროდ, თურქეთს ხელი უნდა აეღო დასავლეთ საქართველოზე. რაც რუსეთისათვის ამყარად უფრო მომგებიანი იყო, რადგან ამ ზავით იურადულად გაფორმდა დასავლეთ საქართველოს შეერთება რუსეთთან.

28. ფაზისი — ჩვეულებრივ მდინარე ჩოჩნთან აიგივებენ.

29. ეგორლიკი—მდინარე სტაეროპოლის მხარეში.

30. ე. წ. ათალიკობა—„ათალიკ“ თურქული სიტყვაა. აღნიშნავს პირს, რომელსაც ბავშვს მიამარტებენ აღსაზრდელად; ეს არის ხელოვნური ნათესაობის ერთ-ერთი ფორმა ადიღეში (იხ. M. O. Косов, Аташություն, „Советская этнография“, 1935, № 2).

31. ზეპულებებისა და სპარტელების ზნე-ჩვეულებათა მსგავსების შესახებ ვრცლად მოგვითხრობს ტებუ დე მარინი.

32. ფირმანი — ოსმალეთის სულთნის მიერ გაცემული წერილობითი საბუთი ბრძანებებისა და განკარგულებებისა.

33. სუქუე-კალე — აბლანდელი ნოვოროსისისკის მახლობლად მდებარე მცირე



ზომის ციხე; ძველად მნიშვნელოვან ნავსადგურს წარმოადგენდა შავი ზღვის სანაპიროზე.

34. ფშადი — ყოფილი მნიშვნელოვანი ნავსადგური ჩერქეზეთის სანაპიროზე; რუსებმა იგი დაანგრეს და მის ნაცულად ააგეს ციხესიმაგრე, რომელსაც ნოვოტროიცკი უწოდეს.

35. გელენჯიკი — ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით; ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო და სავაჭრო პუნქტი იყო ჩერქეზეთის სანაპიროზე. დღეს გელენჯიკი ზღვისპირა სავაჭრო ქალაქია.

36. სკასი რაუთუღ — გენუელი კომერსანტი; ჩერქეზეთში პირველად 1811 წელს ჩამოვიდა. მისი მიზანი იყო სავაჭრო ურთიერთობების დამყარება ჩერქეზეთში. მოღვაწეობდა ანაპასა და სუფუჯ-კალეში. აქ მის საქმიანობას ხელს უწყობდნენ ანაპის კომენდანტი გენერალი ბუხოლიცი მუდლითურთ და ადგილობრივი გავლენიანი თავადი მეჰმედ-ინდარ-ოღლუ, რომელიც ფშადში სავაჭრო ფაქტორიების გამგებელი იყო და ყოველნაირად უჭერდა მხარს რუსეთთან ვაჭრობის განვითარებას. სკასის საქმიანობამ საბოლოოდ კრაზი განიცადა; იგი გადაყენეს რუსეთის სახელმწიფო პოსტიდან. ჩერქეზეთში გატარებული წლების შედეგად (1811—1828 წწ.) სკასი გაეცნო ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებას და დაწერა საინტერესო ნაშრომი ჩერქეზეთში მისი საქმიანობის შესახებ (იხ. М. А. Полневтков, Европейские путешественники по кавказу 1800—1830 гг., გვ. 281—290; Очерки истории Адигей, I, Майкоп, 1957, გვ. 300; М. О. Косвен, Материалы по истории и этнографии Кавказа в русской науке. «Кавказский этнографический сборник», I, М., 1955, გვ. 301—302).

სკასის საქმიანობა გამზას მოთხრობილი აქვს ტებუ დე მარინის ნაშრომის მიხედვით (იხ. „Voyages en Circassie...“, გვ. 14—16 და შექმ.).

37. გენუელები ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში XIII საუკუნეში მოვიდნენ, აქ თავიანთი ახალშენები დააარსეს და ბატონობდნენ XV საუკუნემდე, ვიდრე თურქები არ დაეპატრონენ მათ კოლონიებს. გენუელების კოლონიები მცირერიცხოვანი იყო და, ბუნებრივია, მათ არ შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ კავკასიის ხალხთა ეთნიკურ შემადგენლობაზე. მაგრამ ხალხურ გადმოცემებში დღე-ბანს შემორჩა გენუელების მოგონება და არსებობს არაერთი ლეგენდა, რომელიც გენუელების კოლონიზაციას უკავშირდება; შემორჩენილია გენუელების ნაგებობათა კვალი, უმეტესად სამხედრო და სამოქალაქო დანიშნულებისა (იხ. С. А. Токарев, Этнография народов СССР, 1958, გვ. 223; Е. С. Зевакин и И. Ф. Печко, Очерки по истории генуэзских колоний, Исторические записки, 1939, гв. 84—88).

38. ნიკეა — ბიზანტიის ქალაქი; მას შემდეგ, რაც 1331 წელს თურქებმა დაიპყრეს, ამ ქალაქს იზნიკი უწოდეს.

39. სკასის საქმიანობამ ჩერქეზეთში კრაზი განიცადა არა ჩერქეზთა თავადის ასულის მოტაცების გამო. რის შესახებაც ვრცლად მოგვითხრობს ტებუ დე მარინი (იხ. „Voyages en Circassie...“), არამედ იმას გამო, რომ მის საქმიანობას წინააღმდეგობა გაუწია მთავარმართებელმა ერპოლოვმა. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ისწრაფოდა კავკასიის დამორჩილებას ომის გზით. მანინ როდესაც სკასი ადგილებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებით ფიქრობდა ჩრდილო კავკასიის ხალხების დაკავშირებას რუსეთთან მშვიდობიანი გზით (იხ. А. В.

Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в., М., 1960, გვ. 63—65).

40. მეკმედ-ინდარ-ოღლი—მდიდარი და გავლენიანი ადგილი თავადი, ფშადის მფლობელი; ყოველწლიად უჭერდა მხარს რუსეთთან ურთიერთობას; ამ ფაქტს ხშირად ახსენებდნენ უცხოელი მოგზაურები, რომელთაც იგი მფარველობდა. აივ-თები იყენებდნენ ტებუ ღე მარინი, სკასი და სხვ.

41. ეკატერინე ბუხპოლიც — ანაპის კომენდანტის გენერალ ბუხპოლიცის მეუღლე, წარმოშობით ჩერქეზი თავადის ასული; გუდოვიჩის მიერ ანაპის აღების დროს იგი ტყვედ ჩაუვარდა რუსებს და მისი აღზრდა ითავა გრაფმა კოკოცსკიმ (იხ. Апу-гин, Палкарцы и карачаенцы..., გვ. 281—282). ეკატერინე ბუხპოლიც მოხსენიებულია ჰყავს ტებუ ღე მარინის, რომელიც აღნიშნავდა, რომ იგი ძალ-ღონეა არ იშურებდა იმისათვის, რომ თავისი თანამემამულეებისათვის რუსეთის მიმართ ნდობა და საყვარელი შთაენერგა. ამავე დროს იგი დიდ ღამაჩებებს უწყევდა უცხოელ კომერსანტებს, რომლებიც აქ სავაჭრო საქმიანობას ეწეოდნენ (მაგ., სკასის).

42. სტაშის ყურე — მღ. შახეს შესართავთან; ამავე ადგილას მღვდარობდა სტაშის ნავსადგური.

### თ ა ვ ი III

1. მამაის ყურე — მდინარე ფსახეს შესართავთან; მამაის ყურეში აშენებულია უცხო ნავსადგური და ციხესიმაგრე.

2. აღღერი — ქალაქი მდინარე მზიჭის შესართავთან, კრასნოდარის მხარეში.

3. დიდი პიტუსი (პიტინტი, პიტუსი და სხვ.—ბიკინთა)—ბერძენი კოლონია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ლოკალიზდება თანამედროვე ბიკინთის ადგილას. ანტიკური ავტორები (არტემიდორე ეფესელი, სტრაბონი და სხვ.) მას „დიდს“ უწოდებდნენ, რადგან იგი უდიდეს სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა.

4. გიბონი ედუარდ (1737—1794.) — ინგლისელი ისტორიკოსი, ავტორი ვრცელი ნაშრომისა რომის იმპერიის შესახებ („The history of the decline and fall of the Roman Empire“, 1776—1788), რომელიც ისტორიული თვალსაზრისით დღეისათვის მოქველებულია, მაგრამ საყურადღებოა როგორც ლიტერატურული ძეგლი (იხ. II. А. Машкин. История древнего Рима. 1949, გვ. 33—34).

5. არკადუსი (377—408.) — აღმოსავლეთ რომის იმპერატორი (395—408.), თეოდოს I-ის ძე.

6. წმინდა იოანე ოქროპირი (მკერმეტყველი) (344—407.) — საეკლესიო მოღვაწე, მწერალი; კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი 397—404 წწ.; თავისი მკვერმეტყველებით, რას გამოც მან ოქროპირი (Chrysostome) უწოდებდა, მან დიდი პოპულარობა მოიწვევა ფართო მასებში; ხშირად გამოდიოდა პროტესტით იმპერატორის წინააღმდეგ, მოითხოვდა საეკლესიო რეფორმებს, რის გამოც მის წინააღმდეგ ახდებდნენ როგორც დიდებულები, ასევე უმაღლესი სამღვდლო პირნი. იოანე ოქროპირი გადასახლებულ იქნა აფხაზეთში, რომელიც ამ პერიოდისათვის რომის გამგებლობაში შედიოდა და როგორც გამბა აღნიშნავს, შერისხულთა სასჯელის მოსახვედლად ადგილად ითვლებოდა. იოანე ოქროპირმა ვერ მიაღწია დანიშნულების ადგილს და არზრუმის მახლობლად კუქუსოში გარდაიცვალა (იხ. Фараф,

7. დელოვალი ეელოკია (გარდ. 404 წ.)—ფრანკი სარდლის ბოტოს ქალიშვილი: 395 წ. დაქორწინდა იმპერატორ არკადიუსზე. რომელზედაც დიდი გავლენა ქონდა; აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურ საქმიანობაში; იგი სათავეში ედგა წმ. იოანე ოქროპირის წინააღმდეგ ამხედრებულ დიდებულებს.

8. იგულისხმება ბიქვინთის დიდი გუმბათიანი ეკლესია, რომელიც X საუკუნის ნაგებობას წარმოადგენს. ბიქვინთა იყო დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) რელიგიური ცენტრი, აქ იმყოფებოდა კათალიკოსი, ზოლო XV—XVI სს.—კათალიკოს-პატრიარქი.

9. Ex voto (ლათ.) — აღთქმის საუბუქელით.

10. გოლეთი — მცირე ზომის ორანძიანი ნავი, რომელიც გამოიყენებოდა როგორც სამგზავროდ, ასევე ტვირთის გადასაზიდად.

11. ხობას შესართავიდან სამღინარო გზის გარდა, რომელიც ყულევიდან მდინარე ხობით, მისი შენაყადი ციხით, რიონამდე გაყვანილი არსითა და რაონით ორპირამდე მიდიოდა (აქედან კი სახმელეთო გზით ქუთაისისა და სურამის გავლათ თბილისს უკავშირდებოდა), სახმელეთო გზაც არსებობდა, რომელიც ანაკლიას, სოხუმის, აგრეთვე ფოთისა და ქუთაისისავე მიემართებოდა (იხ. მ. პაქეორია, რედუტ-კალე..., გვ. 13, 29).

12. დიოსკურია (სებასტოპოლისი)—ძველი ბერძნული ქალაქი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე; ანტიკურ ხანაში დიდი სავაჭრო ცენტრი; დაახარსეს მილეტელებმა მითრიდატეს სიკვდილის შემდეგ რომაელებმა ხელთ იგდეს დიოსკურია და მის ახლოს ციხესიმაგრე სებასტოპოლისი ააგეს, ზოლო მოგვიანებით თვით დიოსკურიასაც სებასტოპოლისი ეწოდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ დიოსკურია მდებარეობდა თანამედროვე სოხუმის ადგილას. მაგრამ საფიქრებელია, რომ ძველი ქალაქის უდიდესი ნაწილი დღეისათვის ზღერს ესკერება.

13. იგულისხმება აფხაზეთის ანუ კელასურის კედელი, რომელმაც შემდეგში აფხაზეთის დიდი კედლის სახელწოდება მიიღო; იგი იწყება მდინარე კელასურის ხეობიდან, სოხუმიდან 4 კმ-ის დაშორებით; მისი მშენებლობა დაახლოებით VI საუკუნეში უნდა დაწყებულიყო (იხ. М. Иващенко, Великая абхазская стена, Изнавствия абхазского научного общества, вып. IV, 1926).

14. პორტა (ლათ. კარი)—აღნიშნავდა ოსმალების სულთნის საიმპერიო კარს; ფართო მნიშვნელობით — საერთოდ მთელი ოსმალეთის იმპერიას ნიშნავს, ევროპულ ლიტერატურაში იგი ხშირად სწორედ ამ უყანასკნელი მნიშვნელობით იმართება. ამავე დროს ხშირად ეპითეტებით არის შემკული. მაგ., „მალალო პორტა“, „ბრწყინვალე პორტა“.

15. ანაკლია (ქართულ წყაროებში გვხვდება აგრეთვე ანაკრიას ფორმით)—შავი ზღვის სანაპიროზე ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი, მდებარეობს ზუგდიდის რაიონში მდ. ენგურის შესართავთან, მის პირველ ნაპირზე. XV—XVII სს. იგი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო ნავსადგურს. XVIII ს. იგი თურქების ხელში იყო და აქ მათ ციხე ააგეს. 1805 წ. რუსეთის ჯარმა ანაკლიის ციხე აღიღო, მაგრამ იძულებული გახდა ეს ციხე კვლავ თურქეთისათვის დაებრუნებინა. საბოლოოდ ანაკლიას ციხე რუსეთის ხელისუფლების ხელში გადავიდა 1810 წელს, როცა აფხაზეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

16. 1822 წ. იმერეთის მმართველმა გორჩაყომა ერმოლოვს პატაკი წარუდგინა, რომელშიაც ასაბუთებდა რედუტ-კალს (ყულევის) უსარგებლობას და მოთხოვდა ამ ნაესადგურის მიტოვებას.

17. 1774 წ. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით (1768—1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი) თურქებმა ნება დართეს რუსეთის საეკრო გემებს თავისუფლად ემოგზაურათ დარდანელის სროტში: რუსეთს გადაეცა ქერჩი და ენიკალე ყირიმში. კონბურნი დნეპრის ლიბანის ნაბიჭუ.

18. ბრიგი — შვირე ზომის ორანძიანი და სწრაფმავალი იალქნიანი გემი; თავდაპირველად გამოიყენებოდა ალფირელი მეფობრებების მიერ; ბრიგის ორთავე ანძას პირდაპირი იალქანი აქვს.

19. იგულისხმება ამ პერიოდში საქართველოში მყოფი მისიონერები.

20. ბერბერები — ჩრდ. აფრიკის ტერიტორიაზე მცხოვრება ხალხები, რომელთა სახელწოდება დაკავშირებულია მარბაროსებთან (ბერძნ. Barbaros).

21. სოუკ-სუ (თურქ. — „სოვი წყალი“) — ლიხნი; გუდაუთიდან 4 კმ-ზე მდებარე აფხაზი მთაერების რეზიდენცია XIX ს. დასაწყისში აფხაზეთის მთავარმა გიორგი ჩაჩბამ (საფარ-ბეგო, გიორგი ჩაჩბა, შარვაშიძე) ლიხნს სახელწოდება შეუცვალა და მას სოუკ-სუ უწოდა. 1863 წლამდე სოუკ-სუ აფხაზეთის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. აქ ღვას ლიხნის ცნობილი ტაძარი, რომლის მშენებლობასაც ვარაუდობენ არა უგვიანეს X საუკუნისა. აქვეა აფხაზი მთაერების სასახლის ნანგრევებაც, რომელიც XIX ს. პირველ ნახევარში უნდა იყოს აგებული აქ არსებულ უწინდელ ნანგრევებზე. სასახლე დანგრეულ იქნა 1866 წლის აჩანყების შემდეგ.

22. ქელეშ-ბეი — აფხაზეთის უკანასკნელი მამალიანი მთავარი, რომელიც მორჩილებდა სულთანს. ამხანად აფხაზეთის სამთავრო ქერ კიდევ არ იყო რუსეთთან შეერთებული, მაგრამ 1803 წლადან მოყოლებული მას ფარული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული რუსეთის მთავრობასთან და მის ქვეშევრდომობაში შესვლას ითხოვდა; რაც უფრო მწვედებოდა ურთიერთობა რუსეთსა და ოსმალეთს შორის, მით უფრო მტკიცდებოდა კავშირი აფხაზეთსა და რუსეთს შორის. ქელეშ-ბეის ურთიერთობა ოსმალეთთან განსაკუთრებით გაწვეადა მას შემდეგ, რაც 1806 წ. აფხაზეთს თავი შეაფარა არზრუმის ფაშამ, სულთნისაგან დევნილმა თაიარ-ფაშამ, რომელსაც ბრალად ედებოდა სახელმწიფო ღალატი. თაიარ-ფაშამ ქელეშ-ბეისთან არა მარტო თავშესაფარი პოვა, არამედ მისი დახმარებით რუსეთიც მთავრულად გაიხიდა. ოსმალეთი დაინებებით ითხოვდა ქელეშ-ბეისაგან თაიარ-ფაშას გაყვამს და რადგან აფხაზეთის მთავარი არ დაემორჩილა სულთნის ბრძობას, ამ უკანასკნელმა ქელეშ-ბეის საკუთარი შვილი ასლან-ბეი აუქანყა. როგორც სობილია, ასლან-ბეი ქელეშ-ბეის პირველი ცოლის — ძაფში-იფასაგან ჰყავდა და რადგანაც აფხაზეთის მთავარსა და ძაფში-იფებს ერთმანეთთან მტრული ურთიერთობა ჰქონდათ, იგი გაეყარა თავის ცოლს და მისგან ნაშობი შვილი ასლან-ბეიც შეიძულა. 1808 წ. 8 მაისს ქელეშ-ბეი მუხანათურად მოკლა მისმა შვილმა ასლან-ბეიმ; მან არც თავისი ძმები დაინდო, საიყვილიოდ დასკრა ბატალ-ბეი, სიციო-ზღეს გამოასალმა ორი უმცროსი ძმა, შემდეგ სასახლე დაარბია და სოხუმს შეაფარა თავი. მაგრამ ასლან-ბეიმ მაინც ვერ განმტყიცა ძალაუფლება და ჩერქეზეთში გაიხიზნა. 1806 წ. ქელეშ-ბეი შარვაშიძემ რუსეთთან საიდუმლო ხელშეკრულება დადო და აფხაზეთისათვის რუსეთის მფარველობა ითხოვა. გამმა

ცდება, როცა წერს, ქელუშ-ბებემ ქრისტიანობა მიიღო (იხ. მ. ღუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 210—220; ა. კიციანი, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954, გვ. 70).

23. საფარ-ბები (სეფერ-ბები)—ქელუშ-ბების უმცროსი შვილი; ცოლად ჰყავდა გრიგოლ დადიანის და თამარი. საფარ-ბებემ ფარულად მიიღო ქრისტიანობა და მონათლის შექმნე გიორგიდ იწოდებოდა. ქელუშ-ბებემ საფარ-ბები თავიდანვე გამოაცადა თავის მემკვიდრედ, მაგრამ სამთავრო ტახტზე იგი ვერ ავიდა, რადგან იძულებული გახდა სამეგრელოში გახიზნულიყო და დახმარება რუსეთისათვის ეთხოვა. 1810 წ. რუსთა ქარები სოხუმში შევიდნენ; დამარცხებულმა ასლან-ბებემ შთების შეაჯარა თავი, ხოლო გიორგი შარვაშიძემ რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა და 1809 წ. გაფორმებული „სათხოვართა პუნქტები“ ძალაში შევიდა; მან შეინარჩუნა მხოლოდ საშინაო თვითმმართველობის უფლებები (იხ. მ. ღუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 220—223).

24. მასან-ბები (მასან-ბეგი, ასლან-ბეგი)—გიორგი შარვაშიძის უმცროსი ძმა; იგი ოპოზიციაში ედგა საფარ-ბების და არ სცნობდა რუსეთს მიერ დასმული მთავრის ხელისუფლებას. 1821 წ. რუსეთის მოხელეებმა იგი მოტყუებით შეიპყრეს (მ. ღუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 239).

25. გიორგი შარვაშიძე (საფარ-ბები) გარდაიცვალა 1821 წლის თებერვალში. აფხაზეთის მთავარი გახდა მისი ვაჟი პოლკოვნიკი დიმიტრი (ომარ-ბები) შარვაშიძე, რომელიც 1810 წლიდან იზრდებოდა პეტერბურგში იმპერატორის პაეტა კორპუსში (იხ. ნაყო დადიანი, ქართველთა ცხოვრება..., გვ. 209).

26. 1822 წ. დიმიტრი შარვაშიძე მოკლეს და მთავრად დასვეს 13 წლის მიხეილ შარვაშიძე. 1822—1824 წლებში აფხაზეთის სამთავროში განუწყვეტელი არეულობა იყო.

27. ბატავია — ჩაყარტას ძე. სახელწოდება; ქალაქი იყავს ევნძულზე, ინდონეზიის დედაქალაქი. 1619 წ. პოლანდიელებმა აქ ციხე ააგეს, რომელსაც ბატავია უწოდეს და ქალაქმაც ეს სახელწოდება მიიღო. ბატავია მანვე კლიმატის მქონე ქალაქად ითვლებოდა პოლანდასთან ვაჭრობის მეოხებით XVII—XVIII საუკუნეებში აქ დიდი სიმდიდრე დაგროვდა. ინგლისელები ამ ქალაქს 1811 წლიდან დაეპატრონენ. გაშა საესეებით სამართლიანად აღნიშნავენ ინგლისელების როლს ქალაქის კლიმატური პირობების გაუმჯობესების საქმეში.

28. გუდაუსთის რაიონში, დურაფშის პლატოზე არსებობს ორი მღვიმე: ქვედა ლიხნი (მღ. გუდაუს აუზის ზედა ნაწილი, სოფ. ქვემო ლიხნის ტერიტორიაზე) და ზემო ლიხნი (მღ. ხიფსთის აუზში, ზემო ლიხნის ტერიტორიაზე) (იხ. შ. ყიფიანი, ზ. ტინტილოზოვი, ირს. ოქროჯანაშვილი, ვ. ჭიშკარიანი, საქართველოს კარსტული მღვიმეების კატასტრი, თბ., 1966, გვ. 214—216; ბ. გერგელაია, მეტეოროლოგიური დაკვირვებანი დურაფშის პლატოს მღვიმეებში, „საქართველოს მღვიმეები და გამოკვებულები. სპელეოლოგიური კრებული“, 3, თბ., 1965, გვ. 76—79).

29. ანაყოფია — ახალი ათონის ტერიტორიაზე მდებარე ციხესიმაგრე; ქართულ წყაროებში მოიხსენიება VIII საუკუნიდან. არქეოლოგები მას მიიჩნევენ IV—V სს. ჰეგლად.

30. თესტინიანე (483—565) — ბიზანტიის იმპერატორი. ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზეტმა ქრისტიანობა თესტინიანეს დროს მიიღეს, მომდინარეობს პროკოპი კესარიელისაგან: „... თესტინიანეს მეფობისას ამაზგების მდგომარეობა შეიც-

ვალ, უმჯობესი გახდა. იმათ მიიღეს საქრასტიანო რწმენა... მაშინ იუსტიციანე მე-  
ფეპ აბაზგების ქვეყანაში ლეთისშობლის ტაძარც აშენა და მათ მღვდელმსა-  
ხურნი დაუყენა და მიადწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრასტიანო წესები“. (გეორგია, ბიზანტიელი შწერლების ცნობები საქართუელის შესახებ, ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაერთო სიმონ ყ. ენჭიშვილმა, თბ., 1965, გვ. 134—135). ლაზეთში (ეგრისში) რომელს შემად-  
გენლობაშია შედიოდა აუზახეთი, ქრისტიანობა ოფიციალურ, სანდლმწიფო ბრე  
რედიგად გამოცადა 523 წელს, თუმცა ახსებობს მოსახრება, რომ ეს უნდა  
მომზარყო IV საუუენში, დაახლოებთ იმ პერიოდში, როცა იბერია ე. ქრის-  
ტიანდა (იხ. საქართუელის ისტორიის ნარკუეები (მეჭდეგები: სან), II, თბ., 1973,  
გვ. 158; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1963, გვ. 112—120).

31. ილორი მდებარეობს აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსაუელთ ნაწილში, ოჩამჩი-  
რედან სამ კილომეტრზე. ილორის ეკლესია დარბაზული ტიპისაა და აგებულა  
XI საუუენში. ეკლესია ნაკურთხია წმ. გიორგის სახელზე. გვიან შესასაუუენებ-  
ში გადაუთებული და სახეშეუცილი იგი დღესაც მოქმედი ეკლესიაა. მასთან და-  
კავშარებულია უმარაე ლეგენდა. ილორის წმინდა გიორგის ხატ-საღმი შიში და  
თაყუანისცემა დიდად გავრცელებული იყო აფხაზეთსა და მეგრელებს შორის.  
წმინდა გიორგის სასწაულებზე დეტალურად მოგეიბრობენ ლამპეტა. შარდენი.  
აქ მეგრელები მოდიოდნენ თაიანთი მტრების დასაწყუედად, რასაც ილორის  
ხატზე „გადაცემა“ ეწოდებოდა (იხ. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთ-  
ნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 348—358; А. К. Кашия, Илори, Сухуми, 1963).

32. აბაზი—ეერცხლის მონეტა, აბას I-ის მიერ შემოღებული ირნში, საადანაც  
გავრცელდა სხვა ქუეუენებში, იჭრებოდა საქართუელოშიც; რეუოლუციამდელ სა-  
ქართუელოში და დღესაც ოცი კაიიის ღირებულების აღმნიშვნელია.

33. ფარა—თერქული წერილი მონეტა, ფრანგულ ფულზე დაახლოებთ 4 სან-  
ტიმ: უღრის.

34. ოყა—წონის ერთეული, უღრის 1200 გრ.

35. კაშარა—მცირე ზომის და ვიწროთადიანი ნაეი, რომელიც იტეეს დაახლო-  
ებთ 25—30 კაცს. სტრაბონის განმარტებით, ეს გახლავთ „პატარა, წერილი და  
მსუბუქი ნაეები, რომლებიც დაახლოებთ 25 კაცს იტევენ. ელინები მათ უწო-  
დებენ „კაშარებს“ (თ. ყაუზნიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია..., გვ. 118). დაწ-  
ეროლებით ამის შესახებ იხ. თ. ბერაძე, ზღუაისნობა ძუელ საქართუელოში, გვ. 63  
და შემდ.

36. ქლამილი—მაკაეიის ზედა სამოსელი; მოსახსამი, რომელიც უღეში შალას  
ქლოეილისაგან იყო შეყერილი და მყერდთან იყერებოდა.

37. ფოიონი—ათენის მხედართმთაყარი, სახელმწიფო მოღვაწე და ცნობილი  
ორატორი (დაახლ. ძვ. წ. 402—318 წწ.), არისტოკრატიული, ე. წ. „მაეილონური  
პარტიის“ მომხრე. 45-ყერ იყო არჩეული ათენში სტრატეგოსად. იგი უსამარ-  
თლოდ იქნა საეედილმისცილი. როგორც ბრწყინვალე ორატორს, მას დიდად აფა-  
სებდა მისი მოწინააღმდეგე დემოსთენე. მისი ნაშრომები დაყარგულია.

38. შეად. დიუმასთან: „მხედლეთ ფოიონის ქანდაეებას პარახის მუზეუმში.  
მას მანტია აქვს; წამოსხმული და ეფიქრობ, რომ ქართული ნაბადი ამ მანტიის  
თარგზეა გამოქრილი“ (ა. დიუმა, კეეკასია, მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, თარგმ.  
ფრანგულიდან თინათინ ქიქოძისა, თბ., 1970, გვ. 416).

39. ყაბალაბი.

40. არქიელავი — ენძელთა გუფი ბალკანეთის ნაბეარკუნძულსა და მცირე აზიას შორის. „...რა არის ყაბალაბი, — წერს დიუმა, — თუ არა ბმელთაშუა ზღვისა და არქიელავის მეზღეაურთა კაიუშონი?“ (ა. დიუმა, დასახ. ნაშრ., გვ. 416).

41. 1824 წ. მთელი აფხაზეთი აჩანყებამ მოიკცა. გენერალმა გორჩაკოვმა დამსჯელი ექსპედიციები გაგზავნა სოფლებში, სადაც გლეზთა აჩანყებები მძიანარებდა. მთი გადწვევს სოფელი აკაეა, უკან დამარუნებისას კი გლეზები თავს დაესხნენ ღამსჯელ რაზმს, გაანადგურეს იგი და მოკლეს პოდპოლკოვნიკი შიზინი, რომელიც რაზმს მეთაურობდა.

42. 1909 წ. რუსეთის შუქალგენლობაში გურიის სამთავროს შესვლის შემდეგ რუსეთის მთავრობას აქ დასაყრდენი სამხედრო ბაზა უნდა შეექმნა. ამის გამო 1813 წ. საქართველოს მთავარმართებლის რტიშჩევის დავალებით შამაა გურიელმა მღ. ნატანების შესართავთან შეკვეთილში (მდინარეების ჩოლოქისა და ნატანების ხერთვისში) ციხესიმაგრე ააგო, რომლის მშენებლობაც 1815 წლისათვის დათავრებული იყო. მას წმინდა ნიკოლოზის სიმაგრე უწოდებ. 1820 წ. შეკვეთილის ციხესიმაგრიდან, ასევე როგორც ანაკლიიდან, გაიყვანეს რუსეთის ჭარის ნაწილები და რუსული გარნიზონი აქ მხოლოდ 1829 წ. დააბრუნეს.

## თავი IV

1. კოდორის კონცხი — კონცხი მღ. კოდორის ნაპირზე, რომელსაც აგრეთვე ისკუტირის კონცხი ეწოდებოდა (მ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოდონიზაცია, თბ., 1962, გვ. 45).

2. ჰერაკლეა (იხ. თავი I, კომ. 56) — სტრაბონის მიხედვით პონტოს სამეფოს ქალაქია (თ. ყუზხიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია..., გვ. 200). ანაკლიას ჰერაკლეს სახელით იხსენიებს ლეი გრანეიე 1615 წლით დათარიღებულ წერილში (იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 40). შარდენი (შარდენის მოგზაურობა..., გვ. 215).

3. Agis — გაურკვეველია რომელ მდინარეს გულისხმობს ავტორი. ანაკლია მდებარეობს ენგურის შესართავთან.

4. სტროგანოვი გრიგოლ ალექსანდრეს ძე (1770—1857 წწ.) — გრაფი, რუსი პოლიტიკური მოღვაწე. დიპლომატი: 1816—1821 წწ. იყო ელჩად კონსტანტინოპოლში.

5. 1820 წ. რუსეთის ჭარის ნაწილები გამოყვანილ იქნა ანაკლიის ციხიდან.

6. გორჩაკოვი პეტრე — რუსი სახელმწიფო მოღვაწე; იმერეთის მმართველად დაინიშნა 1820 წ. (1819—1820 წწ. იმერეთის აჩანყების დროს).

7. თავადი ჭიანხი შესაძლოა სკასის მიერ მოხსენიებული თავადი იყოს, რომელსაც ცოცხა და სონის შეერთების ადგილას ბორცუზე ხის კოშკი — ყულევი აუგია. სადაც დაცვა ჰყავდა და საიდანაც მეთაურობას უწევდნენ ზღვის სანაპიროს (იხ. მ. პაჭკორია, რედუტ-ქალე..., გვ. 6).

8. ცივი — მდინარე ხობის შენაკადია, რომელიც ყულეთან ერთვის ხობს, თავისი ტოტით — მდინარე ციით.

9. შარი — ლაპარაკია იაკობ შარზე, რომელიც წარმოშობით შოტლანდიიდან

21. ე.ე. ფრანსუა გაბბა.

იყო. თავდაპირველად იგი ოდესაში ჩაეღია, აქ გუგია „კავკასიაში უცხოელები სავაჭრო ბეგარისაგან არიან თავისუფალნი და თბილისში მოსულა 1821-ს ოქტ. 1822 წელს“ (Ю. Марр, II. В. Мегрелидзе, К. II. Чайкин, Перешинская и вопросы ирригации и грузиновождения, Подготовка и печати, редакция текста, предисловие и примечания II. В. Мегрелидзе, Тб., 1980). პირადად კვლევაში მოღვაწეობის შესახებ იხ. ქვემოთ.

10. ეტუელი — ერთ-ერთი უცხოური ფირმა, რომელიც ოდესაში იმ პერიოდში დაემკვიდრა, როცა იგი პორტო-ფრანკოდ იყო გამოცხადებული.

11. კიანეის სახელწოდებით მდ. ხობს არცერთი ავტორი არ იხსენიებს. არანგს მიერ მოხსენიებულ ქარიენტს აგივეებენ ხობთან (იხ. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკლევა. კომენტარები და რუკა ნ. კვციანიძისა, თბ., 1961, გვ. 40, 68, 69, 88).

12. რონისკაია — მდ. რონის მარჯვენა ნაპირზე რუსების მიერ აგებული ციხესიმაგრე.

13. ნაბადა — მდ. რონის მარჯვენა შენაკადი.

14. პეროდოტე — ძველი ბერძენი ისტორიკოსი (ძვ. წ. 484—425 წწ.). კლასიკოსების მამამთავრად წოდებული. წარმოშობით მცირე აზიის ქალაქ პერიკარნასიდან იყო. მისი ცნობილი თხზულება „ისტორია“ შეიცავს ძვირფას ცნობებს საქართველოსა და კავკასიის შესახებ (იხ. თ. ყუბნიშვილი, პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960; პეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო თ. ყუბნიშვილმა, ტ. I, თბ., 1975).

15. იაზონი — ოლიოსის მეფის ესონისა და პოლომედეს ვაჟი, აკონანტისა და შქრობის ხელმძღვანელი (იხ. II. A. Kyu, Legendy и мифы древней Греции, М., 1955).

16. ფრიქსე (ფრიქსოსი) და ქელე — ათამანტისა და ღრუბელთა ქალღმერთის ნეფელეს შვილები, რომლებიც გამოექცნენ დედინაცვალს (ინოს), რადგან დედინაცვალს შათი მსხვერპლად შეწირვა უნდოდა ღმერთებისათვის. ქალღმერთმა ნეფელემ თავის შვილებს ღრუბლები შემოაბოვა, შესვა ოქროს ვერძზე და კოლხეთში გაისტუმრა. ზოგიერთი ვერსიის თანახმად (ტაციტუსი და სხვ.) ისინი კოლხეთში წავსულან, თან ოქროს ქანდაკება წამოიღოთ. მგზავრობისას ქელე ვერძიდან ეღმობოვარდნოდა და ზღვაში დამხრჩვალა. მას აქვთ ამ ზღვას ქელესპონტი ეწოდა (იხ. II. A. Kyu, დასახ. ნაშრ., გვ. 213—214).

17. რაულ-როშეტი (1789—1854 წწ.) — ფრანგი მეცნიერი. არქეოლოგი. ვიკონტი პრავალი მეცნიერული თხზულებითა, რომელთა შორისაც აღსანიშნავია 1814—1815 წწ. პარიზში გამოცემული ნაშრომი „Histoire critique de L'Établissement des colonies grecques, I—IV“. მისი დებულებები ბერძენაზიულ იდეოლოგიას ემყარებოდა, იგი აღიქვამდა ბერძნულ კოლონიზაციას. აღნიშნავდა მის პროვინციულ როლს, ხოლო მიზეზად ვაჭრობის განვითარებას, ბერძენთა მცირეპიროვნობას და კარბ მოსახლეობას მიიჩნევდა. ამ მოსაზრებას იმეორებს თვით გამბაც კოლონიზაციის საკითხებზე მსჯელობისას. ცხადია, ბერძენაზიულ მკვლევარებს ამით იმპერიალიზატურ სახელმწიფოთა კოლონიური პოლიტიკის გამართლება სურდათ (დაწერილები იხ. К. М. Колосова, К истории вопроса о греческой колонизации, ВДИ, 1969, № 2, გვ. 123).



18. არგოსი — ფრიქსესა და ქალიკოპეს ძე, რომელმაც ხომალდი „არგო“ აავსო და მონაწილეობდა არგონავტების ლაშქრობაში.

19. მოსხები (მესხები) — თავდაპირველად (ძვ. წ. VIII ს. ბილომდე) მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში სახლობდნენ; შემდეგ კიმერიელების შემოტევის გამო ჩრდილოეთისაკენ აიღეს გეზი და შვეი ზღვის სანაპიროზე გადმოსახლდნენ. (იხ. ნ. ხაზარაძე, სტრაბონის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის, ეურნ. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1934. № 1, გვ. 105—116).

20. ლევკოთა — იგივე ინო (ფრიქსესა და ქელეს ღვინავალი), რომელიც ზღვაში გადავარდა და ზღვის ღვთაებად ლევკოთად იქცა. „...მოსხების ქვეყანაში მღვდარობს ლევკოთას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად“ (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია..., გვ. 124).

21. „იბერიაში არას ერთი პატარა ქალაქი ფრიქსოპოლისი. ახლანდელი იდუენსა, კარგად გამაგრებული ადგილი კოლხიდის საზღვრებზე“ (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია..., გვ. 125). პ. ინგოროყვა მის ლოკალიზაციას ახდენს ოლთისისწყლის ხეობაში (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 438).

22. პელაზგები — წინაბერძნული მოსახლეობის უძველესი ტომი, საბერძნეთისა და ეგეოსის ზღვის კუნძულების უძველესი მოსახლეობა. ანტიკური ავტორების თანახმად, ისინი აქ ელინების მოსვლამდე მოვიდნენ.

23. ტროა (ილიონი) — ქალაქი მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს; გადმოცემის თანახმად, დააარსა ილოსმა ძვ. წ. IV—III ათასწლეულში; წარმოადგენდა აქტიურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს, რომელსაც შვიდრო საეპიკრო ურთიერთობა ქონდა საბერძნეთთან, ბალკანეთის ნახევარკუნძულთან, კვიპაროსთან, ხეთების სამეფოსთან. ძვ. წ. XII ს. ტროას სამეფო დაიპყრეს და განადგურეს აქელმა ბერძნებმა.

24. პლინიუსი — პლინიუს უფროსი (ახ. წ. 23—79 წწ.) — სახელოვანი რომაელი მწერალი. სწავლულ, სახელმწიფო მოღვაწე; დაიღუპა ვეზუვის ამოფრქვევის დროს; დაწერა ენციკლოპედიური ნაშრომი „Naturalis Historia“ („ბუნების ისტორია“).

25. არიანე ფლავიუსი — II საუკუნის (95—175) ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი, იმპერატორ ტრაიანე აღრიანე აეგუსტეს მოხელე, რომლის დავალებითაც იმოგზაურა შვეი ზღვის სანაპიროებზე. მისი თხზულება „მოგზაურობა შვეი ზღვის გარშემო“ წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს შვეი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროს ისტორიის შესწავლისათვის, ხოლო თხზულებას პირველი ნაწილი დასავლეთ საქართველოს შვეი ზღვის სანაპიროების აღწერას ეთმობა (იხ. ყლაიუის არიანე, მოგზაურობა...).

26. რაინექსი (1744—1793) — გერმანელი მეცნიერი; სწავლობდა ლაიფციგის უნივერსიტეტში; 1773 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მედიცინის დარგში; 1776 წ. დაიწყო მოგზაურობა აღმოსავლეთში. 1779 წ. ჩამოვიდა თბილისში, ერთეულ II-ის კარზე. აქ ეწეოდა ფართო მოღვაწეობას, როგორც სამედიცინო დარგში, ასევე საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის შესწავლის საქმეში, ამუშავებდა აღმინისტრაციული რეფორმების პროექტებს. პოტიომკინმა, რომელიც იმ

პერიოდში განაგებდა რუსეთის მთელს აღმოსავლურ პოლიტიკას, დაავალა მას „კომისიონერის“ მოვალეობის შესრულება ერეკლეს სამეფო კარზე. მაგარი რაინექს-მა იერი შეესლო ამ დავალების შესრულება და 1783 წ. იგი რუსეთში გაიწვიეს. ერთხანს ცხოვრობდა ასტრახანში, შემდეგ პეტერბურგში გადავიდა. თავი დაანება დიპლომატიურ სამსახურს და მუშაობდა ექიმად. რაინექსი ტიპური ავანტიურისტი იყო. საქართველოში უფნის დროს მან შეადგინა კავკასიის ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა. მისი თხზულება შეიცავს საინტერესო ცნობებს კავკასიის ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ეკონომიკის შესახებ; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რაინექსის ცნობები საქართველოს სამთო საქმის შესახებ (იხ. М. А. Полиевктов, Европейские путешественники XIII—XVII вв. по Кавказу, Тб., 1935, გვ. 165—168; Адыги, Балкарцы и Карачаевцы..., გვ. 209).

27. ივულისძე ა. ა. მუსინ-პუშკინი, (1760—1805), ცნობილი რუსი მეცნიერი (ქიმიკოსი, ფიზიკოსი, მინერალოგი) და სახელმწიფო მოღვაწე, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (1796 წლიდან), სამთო საქმის კოლეგიის ვიცე-პრეზიდენტი. საქართველოში იმოგზაურა 1799 წ. რუსეთის მთავრობის საგანგებო და ამგვ დროს საიდუმლო დავალებით. მას დაევალა მეცნიერულად შეესწავლა კავკასიის ბუნებრივი წიაღისეული სიმდიდრეები. 1800 წ: რუსეთის მთავრობის წარუდგინა ანგარიში, სადაც დაწვრილებით იყო აღწეხული საქართველოში არსებული საბადოები და სადაც იგი დაიწებოდა ურჩევად იმპერატორს საქართველოს სამთამადნო საქმიანობა რაც შეიძლება მალე ჩაეგდო ხელში. 1801 წ. მუსინ-პუშკინი განაგებდა სამთამადნო საქმიანობას საქართველოში, ხოლო 1804 წ. რუსეთში დაბრუნებულმა, მან საქართველოდან ქვებისა და მინერალების მდიდარი კოლექცია ჩაიტანა (იხ. М. А. Полиевктов, Европейские путешественники XIII—XVII вв по Кавказу..., გვ. 49—50). პლატონ იოსელიანის ცნობით, „მუსინ-პუშკინი მწუხარებით მოკვდა თფილისს და დასაფლავდა ქვარის-შაშის ეკლესიას“ (პლ. იოსელიანი, ცხოვრება, გიორგი მეცამეტისა, თბ., 1976, გვ. 199).

28. 1737 წლის რუკა, რომელსაც გამბა არაერთხელ იხსენიებს და უწოდებს „ლოლომონ მეფის რუკას, სინამდვილეში შედგენილია ალექსანდრე მეფის დროს, რომელსაც იგი გაუგზავნია რუსეთის იმპერატორ ანა იოანეს აპულისათვის ტომთე გაბაშვილის ხელით. ამ რუკის ისტორია და მისი სრული ანალიზი მოცემულია შ. ბურჯანაძის სტატიაში: „ლიბთ-იმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო“ (იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, ხელნაწერთა ინსტიტუტი, მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 177—198).

29. სტრაბონის მიხედვით სინოპი არგონავტთა ერთ-ერთი მოლაშქრის აეტროკეს მიერაა დაარსებული (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია..., გვ. 201):

30. პროპონტილა -- მარშარლოს ზღვა.

31. პელესპონტი -- ღარდანელის სრუტე, აერთებს მარშარილონა და ეგეოსის ზღვებს.

32. ლემნოსი -- უნაქული ეგეოსის ზღვაში:

33. იხ. შესავალი, კომ. 88.

34. პარმენიონი -- ფილიპე მაკედონელისა და შემდეგ ალექსანდრე მაკედონელის ცნობილი სარდალი; იგი სიკვდილით იქნა დასჯილი თავის ვაჟიშვილ ფილოტასთან ერთად, რადგან მასზე ეკვი მიიტანეს როგორც ალექსანდრეს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეზე (იხ. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, ძველებრძნე-

ლიდან თარგმნა. შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკად. ურუშაძემ, თბ., 1975, გვ. 439; მ. ალექსიშვილი, ალექსანდრე მაკედონელი, თბ., 1950, გვ. 104—106).

35. შეად. დიემასთან „...იბერიაში, არმენიაში და მიდრეღოთა ქვეყანაშიც კი ქალაქები, ტაძრები და ყოველგვარი ძეგლები ატარებდნენ იაზონის სახელს და თუ მათი კვალი დღეს წაშლილია, ეს იმიტომ, რომ პარმენიონმა, ალექსანდრეს მეგობარმა და მისმა პირმოთნებმა, მისი შიშით, რომ გრანციუსი არბელის და ისუს მძლეველის სახელი არგონავტების სახელს არ დაეჩრდილა, ბრძანა დაენგრაათ ისინი და მოესპით იაზონის თაყვანისცემა, რაც იმთავითვე არსებობდა ბარბაროსებში“ (ა. დიუმა, ეკვასია..., გვ. 416).

36. ტაციტუსი პუბლუს კორნელიუსს (დაახლ. 54/57 წ. — 120 წ.), ცნობილი რომაელი მწერალი, ისტორიკოსი. მისი ერთ-ერთი თხზულება „ანალები“ შეიცავს ძვირფას ცნობებს II საუკუნის იბერიის შესახებ

37. პომპეუსი — I საუკუნის რომაელი ისტორიკოსი. 44 წიგნად დაწერილი მსოფლიოს ისტორიის ცნობილი ავტორი.

38. ანტიკური ტრადიციით დიოსკურია დაარსებულ იქნა დიოსკურების (ტყუპი ძმების — პოლიდეკესა და კასტორის) მიერ, რომლებიც იაზონს ახლდნენ ექსპედიციაში; ამ ვერსიას იზიარებს პომპონიუს მელა (იხ. ა. გამყარლიძე, პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა. I. თბ.: 1965). ზოგი ავტორი (სტრაბონი, პლინიუს უფროსი) გადმოგვცემს, რომ იგი დაარსებულია კასტორისა და პოლუქსის მეეტლეების — ამფიტრიუსისა და კერკიუსის მიერ (ამფიტრატოსი და რეკასი.)

39. იაზონის კონცხი მდებარეობს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. „ანატოლიის კონცხს დღესაც იაზონის კონცხს ეძახიან“ (ა. დიუმა, ეკვასია..., გვ. 416).

40. აპოლონიუს როდოსელი (დაახლ. ძვ. წ. 295—215 წწ.) — ალექსანდრული ეპოქის ელინისტი მეცნიერ-გრაზმარტოკოსი და პოეტი; კალიმაქეს მოწაფე, შემდეგ მისი მეტოქე. ცხოვრობდა ალექსანდრიაში თა კენძულ როდოსზე. მისი პოემა „არგონავტიკა“ შეიცავს უძვირფასეს ცნობებს ძველი ქართული ტომების შესახებ (იხ. აპოლონიუს როდოსელი, არგონავტიკა, აკად. ურუშაძის გამოცემა, თბ., 1970; ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თხზულებაში, თბ., 1964; აპოლონიუს როდოსელი, არგონავტიკა, თარგმანი და შესავალი ა. გელოვანისა, რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებელი ა. ურუშაძისა, თბ., 1975; ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 11, თბ 1949).

41. კოზენი — ფრანგი ავტორი, რომლის მიერ შესრულებულია აპოლონიუს როდოსელის თხზულების პირველი ფრანგული თარგმანი (Apollonius de Rhodes, L'expédition des Argonautes ou la conquête de la Toison d'or. Traduit pour la première fois du grec en Français par I. I. A. Causin. A Paris, L'an v de la République Française).

42. ეა (იგივე აია) — ქალაქი ფაზისთან; „არგონავტიკის“ მიხედვით ქუთაისი (იხ. ურუშაძე, საქართველოს უძველესი ქალაქი, „ძველის მეგობარი“, თბ., 1971, 27—28, გვ. 17—20).

43. მარსი (ბერძნ. არესი) — თავდაპირველად დაკავშირებული იყო მიწათმოქმედებასთან, შემდეგში ბერძნ. არესთან (ომის ღმერთთან) შერწყმის შედეგად მასთან დაკავშირებულმა კულტმა წმინდა სამარხი ხასიათი მიიღო. „მარსისადმი

შეწირული ტყე... - იგულისხმება კოლხეთში არსებული არსის ქალა, სადაც ოქროს საწმისი იყო, რომელსაც სასწაულებრივი ღრეკონი მფარველებდა (ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონაუტების თქმულებაში, გვ. 275).

44. ქალაქი ფაზისი — მკვლევართა ვარაუდით ქ. ფოთის მიდამოებში მდებარეობდა (იხ. მაქს: ბერძნული, ქალაქი ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969, გვ. 178; ვეორგია, ტ. 1, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა, თ., 1961, გვ. 112, 154; ტ. II, გვ. 4; М. Ипадзе. Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1962, гл. 123; И. Ломоурн. Из исторической географии древней Колхиды, ИДМ, 1957, № 4, гв. 96 და შემდ.: ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, გვ. 36—42).

45. სეზოსტრისი (სესონქოსისი) — ეგვიპტის ფარაონი რამზეს II, ცხოვრობდა ძვ. წ. XIII საუკუნეში. ანტიკური ტრადიციის თანახმად კოლხეთის შკვიდრნი სეზოსტრისის დაშქრობის დროს ჩამოსახლებული ეგვიპტელების შთამომავალი არიან. ეს ვარაუდი თავდაპირველად ჰეროდოტეს ეკუთვნის, რომელიც ამ მოსაზრებას გამოთქვამს ეგვიპტელებისა და კოლხების გარეგნული მსგავებადან (ისინი შავგვრემანები და ხუჭუქთმანები არიან), მათი ცხოვრების წესისა და ენის მსგავსებიდან გამომდინარე. ჰეროდოტე თავის აზრს იმთაყ ილასტრებს, რომ კოლხები და ეგვიპტელები ერთნაირად ამუშაებენ სელს (იხ. ჰეროდოტე. ისტორია: ტ. I, გვ. 156). ლეგენდას კოლხების ეგვიპტური წარმოშობის შესახებ შედარებით გვიანი ხანის ავტორებიც იმეორებენ (ვეორგია, I, გვ. 111—112; ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონაუტების თქმულებაში... გვ. 57, 152, 332; თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ..., გვ. 71).

46. კიბელე (კიბელა) — ფრიგიელი ღმერთქალი. «ღმერთების ღელა». მისი კულტი ღილად იყო გავრცელებული მცირე აზიაში და აღრევე შეერწყა ბერძნულ ღმერთქალს რეას ელტს. მითის მიხედვით, კიბელე მთის მწვერვალებზე ცხოვრობდა და ეტლით მოგზაურობდა. რომელშიაც ლომები და ჩიქები ჰყავდა შემზღული. ფაზისის კუნძულზე კიბელურ-რეას სახელზე ნაყურთბი ტაძრის შესახებ ლაპარაკობს შარდენი: «მე შემოუფარე ფაზისის კუნძულს, რათა აღმოემჩინა რეას ტაძრის ნანგრევები. რომლის შესახებაც არიანე ამბობს, რომ მის დროს იგი არსებობდა, მაგრამ მისი ვერავითარი კვალი ვერ ვნახე. ისტორიკოსები კი ირწმუნებიან, რომ ეს ტაძარი მთელი იყო, რომის იმპერიის დაცემის დროს» (შარდენის მოგზაურობა..., გვ. 259). არიანე: «ფაზისში, რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ქალღმერთ ფასიანესი. გარეგნობის მიხედვით ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს. აგრეთვე მისი საუარძლის წიწ წვანან ლომები და თვით ის ზის როგორც ფილიაის ქანდაკება ათენის მეტრონში» (გვ. 39). მისი კულტის საქართველოში გავრცელების შესახებ იხ. П. В. Бардавелидзе, Древнейшее религиозное и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, гв. 61, (იხ. ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია..., გვ. 65—68).

47. იხ. თ. ბერაძე, ზღუასნობა ძველ საქართველოში, გვ. 145—146.

48. კარაბი (იბ. კარაბა) — ქალაქი იტალიაში, ტოსკანის ცენტრი; უძველესი დროიდან ცნობილი იყო მარშარტოს წარმოებითა და ვაჭრობით

49. გურისის სამთავრო რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა 1811 წლიდან.

50. ლასარია მამია გურიელზე (სიმონ გურიელის ვაჟზე), რომელიც მთავრობდა 1809—1826 წწ.

51. ობილსში დასახლებული იაკობ მარი სავაქრო საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ მას „ღურბლევია სავაქრო წესი. — ბითუმად ვაქრობის მაგიერ ცალობით დაუწყია აპრეჟია, ბაშისა და სხვა თესლების გაყიდვა“ (K. H. Mapp, H. B. Mergeliidze, K. M. Chaikhi, Перениска..., გვ. 214), რის გამოც მისმა საქმიანობამ კარბი განიცადა (იხ. АКАК VI(1), გვ. 263) და იძულებული გახდა არა გურიის, მთავარ გურიელის მამულში დასახლებულიყო. აქ მან შეზღუდობის დარგში დაიწყო მოღვაწეობა და დიდად შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის განვითარებას, გააშენა ზოგიერთი სტრუქტურული ელტერა („მამაჩემმა მოახდინა პირველი იღბლიანი ცდა საქართველოში ჩაის ბუჩქის დარგვისათ“ წერდა ნაყო მარი. იხ. Ю. H. Mapp, H. B. Mergeliidze, K. M. Chaikhi, დასახ. ნაშრ., გვ. 214), რამაც ხელს უწყობდა თავის სამშობლოში მიღებული საბუნებისმეტყველო-ისტორიული განათლება. 1841 წლიდან იაკობ მარი ქუთაისში მოღვაწეობს, სადაც მას სოფლის მეურნეობის სკოლა (ი. წ. ფერმა) დაუარსებია, მაგრამ გაბა ამის შესახებ არაფერს ლასარიაკობს ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ იაკობ მარი დაქილდოებულ იყო გამოთქმულზე წარდგენილი თამბაქოს გამო. იაკობის პირველი ცოლი ესპანელი ქალი იყო, სახელიად ფაუნდა (იხ. П. А. Михалкова. Николай Яковлевич Мapp. М. Г., 1948. გვ. 3—9).

52. ანალოგიური ცნობა აქვს შოტლანდი დიუმასაც: „იგი (მარდენი — მ. მ.) მოგუთხრებდა, რომ მის დროს სამეგრელოს ელჩი კონსტანტინოპოლში ჩაიღია ამაღლით რომელშიც ორასი ყმა შედიოდა. და ეს ელჩი თურქეთის სატახტო ქალაქში მხაშენკელენ ფეუტის წარმოდგენდა. სამეგრელოს ელჩი თავისი აშლის ყაყებს ყოველ ნობიჯზე ჰყრიდა, ისე რომ უკან დაბრუნებისას სამი თუ ოთხი ყაყიღა დარჩა ხელზე მოსამსახურედ. მარდენი დასძენს, იგივე მეგრელებმა ელჩმა ერთ სათამაშოების მიტეხვისთან პატარა საყვირი დაიწება, რომლის ხმა სასიამოვნო თუ საოცარი იქნება, იყავა და ბაზრიდან სახლში დაეკრათ დაბრუნდო“ (ა. დიუმა, ეკუთვნიან..., გვ. 447).

53. ლეჟანია: „თოჯე ცეკვა“. მეშაით — „სახელზედ მოთამაშე“ (სანა). მეშაითა ხელოვნების შესახებ იხ. კ. ეუთა, მეშაითის ხელოვნება, „თავატრადური მოამბე“, 1982 № 3, გვ. 61—55, აგრეთვე Д. Джаниелидзе, Грузинский театр с древнейших времен до второй половины XIX века, Тб., 1959, გვ. 355.

54. ქსენოფონტე — ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი, ბერძნული ისტორიოგრაფიის კლასიკური პერიოდის უკანასკნელი წარმომადგენელი (ძვ. წ. 444—354 წწ.); იგი საკლებდა ბერძენთა მრავალათასიან დაქირავებულ ჯარს, რომელიც სპარსეთის სამეფოს ტახტის პრეტენდენტთა ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას, როდესაც სპარსეთის ხელმწიფე კირის უმცროსი 401 წელს თავისი ძმის არტაქსერსე II მნემონის წინააღმდეგ იბრძოდა. თავის თხზულებაში „ანაბაზისი“ ქსენოფონტეს სწორედ ეს ომია აქვს აღწერილი. ამავე დროს თხზულებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სამშობლოში დაბრუნებისას მის მიერ შემოვლილი შავიზღვისპირეთის ქვეყნების აღწერას (იხ. თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბაზისი“, თბ., 1967; სინ. I, 1970. გვ. 42, II. Сергеев. История древней Греции, М., 1939, გვ. 232—233). კოლხეთში მართობდა თავის არსებობის შესახებ იხ. ქსენოფონტეს „ანაბაზისი“, IV, 8, 20; ანალოგიური ცნობები აქვთ სხვა ავტორებსაც: სვილას (გეორგიკა, IV, ნაყ.

11. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952, გვ. 322), სტრაბონს, პლინიუსს.

55. კოროკონდამე — პუნქტი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, ტამარს ნახევარუნძულთან (იხ. არიანე, მოგზაურობა..., გვ. 94, 112; თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია..., გვ. 115, 120, 285),

56. სტადიონ — სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 177,6 მ.

57. — სინდიკე — ქალაქი-სახელმწიფო შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე; ჩამოყალიბდა ძვ. წ. V ს. II ნახევარში; ძვ. წ. VI ს, შეუერთდა ბოსფორის სამეფოს; მისი დედაქალაქი იყო გორგოპია (თან. ანანის ტერიტორიაზე). ეს იყო პირველი სახელმწიფო ჩრდილო კავკასიაში (იხ. II. В. Амфилов, Древнее население Прикубанья, Краснодар, 1953).

58. დანვილი (დ'ანვილი) ენ ბატისტი (1697—1782) — ცნობილი ფრანგი გეოგრაფოსი და კარტოგრაფი, ავტორი არა ერთი გეოგრაფიული თხზულებისა, მათ შორის „ძველი გეოგრაფიისა“; მისი კოლექცია, რომელიც მოიცავს 10000 რუკას, ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში.

59. ბატა — პუნქტი შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე, BDU-ის მიხედვით ლოკალიზდება დაახლოებით თანამედროვე ნოვოროსიისკის მიდამოებში (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია..., გვ. 274); „კოროკონდამედან აღმოსავლეთისაკენ პირდაპირ მდის საზღვაო გზა. 180 სტადიონზე არის სინდიკე, ნავსადგური და ქალაქი. ზოლო 400 (სტადიონზე) უკრეთ წოდებული ბატა, სოფელი და ხავთსადგური. რომლის საპირისპიროდ სამხრეთისაკენ ამ ნაპირზე, ჩანს, მდებარეობს სინოე ისევე როგორც კარამბისი — კრიუმეტოეს (მ-მართ) როგორც უკვე ითქვა“ (იქვე, გვ. 120).

60. კრიუმეტოი — კონცხი ტავრიდის (ყირაძის) ნახევარუნძულის სამხრეთ მხარეს; „კრიუმეტოონ“ ბერძნულად „ვერძის შუბლს“ ნიშნავს.

61. კარამბისი (თანამედ კერემისი) — კონცხი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე პათლაგონიის მახლობლად.

62. აქეელები (აქაეელები) — შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომი. ანტიკური ტრადიციის თანახმად შავიზღვისპირეთის აქეელები ბერძენ აქეელთაგან მომდინარეობენ; ტროას ომის შემდეგ მათ იაზონთან ერთად ილაშქრეს, დამკვიდრდნენ პონტ ევქსინის სანაპიროზე და ადგილობრივ ტომებს სუეროვნენ. ამ ლეგენდას ვაღმოგვეცნა ბევრი ანტიკური ავტორი, მათ შორის აპიანე, სტრაბონი, აპიანე მარკელენე და სხვ; იხ. აპიანე, მიثრიდატეს ომები; ისტორია, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და სქიზებული დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959, გვ. 140, 196—197; თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია..., გვ. 104; გეორგიკა, I, გვ. 112, 155; Г: А. Меликшвили, К истории древней Грузии. Тб. 1959; რ. გორდენზიანი: „ილიადას ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები“, თბ., 1970). თანამედროვე მეცნიერები აქეელებს კავკასიურ ტომებად მიიჩნევენ.

63. ზიგები (ზიხები, ჭიქები) — შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ჩრდილო კავკასიის ტომი; ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისში მათ განდევნეს კურეტები და დაიკავეს მათი ტერიტორია. ზიგები ითვლებიან აფხაზურ-ადრდიურ ტომთა წინაპრებად. ქართული სპეციალისტები ზიგებს აიგივებენ ჭიქებთან. მოგვიანებით ამ ტომის სახელწოდება სხვადასხვა ფორმით გვხვდება: ზიქები, ზიხები, ზინხები და

ა. შ. (იხ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია..., გვ. 253; 3, ინგოროყვა, გიორგი მერჩულე გვ. 125, 135).

64. ადილეები — ჩრდილო კავკასიის მონათესავე ტომების (მაფსულები, ნატუხაელები, ბუელულები, ტუშირგოელები, ხეგაეები და სხვ.) კვლეფი, რომელთაც აერთიანებდა ერთი საერთო კრებითი სახელი — ჩერქეზები. ქართულ წყაროებში ადილე-ჩერქეზები იწოდებოდნენ ჩიქეზად. ამჟამად ადილეები — ადილეების, ჩერქეზებისა და ყაბარდოელების საერთო სახელწოდებაა.

65. ტინდარიტები — დიოსკურების — პოლიდეკესა და კასტორის სახელწოდებაა.

66. ქენიონები — შავი ზღვის პირას. დაახლოებით აფხაზეთის ჩრდილოეთ მხარეს მოსახლე უძველესი ტომი. ბერძნულად „ქენიონს“ (ლათ. auriga) „მეეტ-ლეებს“-წმნავენ. ამის საფუძველზე ბერძენი და რომელი ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ ქენიონებმა თეიანთი სახელწოდება დაკარგეს მვეტლევებისაგან (ამფიტროსისა და კერკოლისაგან შიილეს, რომლებიც თან ახლდნენ დიოსკურებს (პოლიდეკესა და კასტორს) კოლხეთში. ამ ვერსიას იზიარებენ სტრაბონი, არიანე, პლინიუს უფროსი და სხვ. ქენიონები მიჩნეულია დასავლურ-ქართულ ტომად, კერძოდ, კანურ ტომად. მათი ზუსტი ლოკალიზაციის შესახებ იხ. ი. ჟაუხიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1913, გვ. 32; 3. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. გვ. 122, 124, 135 და შემდ.; შ. ინაძე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის, მასალები, ნაკვ. 32, გვ. 13—21; გეორგიჯია, I, გვ. 154. სტრაბონი: „ამბობენ რომ იაზონის ლაშქრობიდან ფთიელმა აქაველებმა დაასახლეს აქაური აქაა. ხოლო დაიკონებმა — ქენიონთა რომლებსაც მართავენდნენ რეკასი და ამფისტრატე, დიოსკურების მვეტლევები, ხოლო ქენიონებმა ამთგან შიილეს სახელი“ (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია..., გვ. 118).

67. დაიონა (დაიონი) — ოლქი ძველ საბერძნეთში, პელეპონესის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს; აქ მდებარეობდა ქალაქი სპარტა, საიდანაც წარმოსდგა მისი მეორე სახელწოდება — დაილეონი

68. პომეროსი — ძველი საბერძნეთის ლეგენდარული ეპიკური პოეტი, ავტორთ ვენიადორი პომეებისა „ილიადასი“ და „ოდისეასი“.

69. კურლანია — სამხრეთ ლატვიის ოლქი, მდ. დასავლეთ დვინის სამხრეთით; წარმოიშვა ლიონის ორდენის დატყობის შემდეგ; 1561 წლიდან იყო სასერცოგო, ექვემდებარებოდა პოლონეთს, 1795 წლიდან კი კურლანდია რუსეთს შეუერთდა.

70. ლიკონია XIII ს. II ნახევრიდან დღევანდელი ლატვიისა და ესტონეთის ტერიტორიას მოიცავდა, რომელიც გერმანიელი რაინდების მიერ იყო დაპყრობილი.

71. კორაქსი მოხსენებული აქვს ამიანე მარკელინეს, მაგრამ ს. ყაუხჩიშვილი ეჭვს გამოთქვამს კოდორთან მის გაიგებებაზე (იხ. გეორგიჯია..., I, გვ. 113, 156). ჩვეულებრივ კორაქს კოდორთან აიგივებენ.

72. წიბელი (წებელა) — მდებარეობს კოდორის ხეობაში.

73. სამურაკანო (Tmourakane) — გამბას მიერ ძალზე დამახინჯებული ფორმა — მდ. დალიძასა და მდ. ენგურს შორის მდებარეობდა, აფხაზეთის უშუალო მომიჯნავე მხარე იყო; წარმოადგენდა შარვაშიძეთა ერთი შტოს სათავედოს და მდებარეობდა დავის საგანი იყო (XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში) სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებს შორის.

74. ლამბერტი არქანჯელო — იტალიელი მისიონერი, თეათინელი ბერი წარმო-

შობით ნეაპოლიდან. საქართველოში სამისიონერო მოღვაწეობისათვის ჩამოვიდა 1651 წელს ღონ ქუბუკე ქუდიჩესთან ერთად. თავდაპირველად ცხოვრობდნენ გორში, მაგრამ აქ შექმნილი პოლიტიური მდგომარეობის გამო იძულებული გახდნენ სამისიონერო საქმიანობა სამეგრელოში გადაეტანათ. სამეგრელოში ლამბერტიმ თექვსმეტი წელი დაყო, ხოლო 1649 წელს სამშობლოში დაბრუნდა, სადაც 1654 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაშრომი „Relazione della Colchide“, 1657 წელს კი მეორე თხზულება: „Sacra Istoria dei Colchi“, Napoli. 1657. მისი პირველი თხზულება, რომელიც თარგმნილია ქართულად, წარმოადგენს უძვირფასეს წყაროს საქართველოს ისტორიისათვის (იხ. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე კუონიასი თბ., 1938). გამაას ცნობა, რომ ლამბერტი 1672 წელს იყო სიპიასის მონასტერში, სინამდვილეს არ შეესაბამება. ამ დროისათვის მისი სამისიონერო მოღვაწეობა სამეგრელოში უკვე დასრულებული იყო. 1672 წლისათვის სამეგრელოში მისიონერად იყო ძამბი. რომელმაც შესანიშნავად გაუწია ამ დროისათვის აქ ჩამოსულ შარდენს (იხ. შარდენის მოგზაურობა..., გვ. 15).

75. სიპიასი — სიფორია, სიპურია, წიფურია, კიპურია (იხ. შარდენის მოგზაურობა..., გვ. 382—333; აგრეთვე მ. პაქოიას რეცენზია: გაზ. „ლენინელი“, № 89 (3764), 25 ივლისი, 1975 წ.).

76. ლამბერტის სამისიონერო მოღვაწეობის პერიოდში სამეგრელოში მთავრობდა: ლევან II დადიანი (1611—1657 წწ.). ლამბერტი აღნიშნავს, რომ „ამ ყამად მთავრობს, სამეგრელოში მეხუთე მთავარი შემდეგ აყანებოსა...“ (არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა..., გვ. 15). XVI ს-ში იმერეთის სამეფო რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულად დაიყო. „ერთ დროს საქართველოს მეფის მიხედვით ერისთავი დადიანი, XVI ს. შუა წლებიდან დამოუკიდებელ მთავრად იქცა, იმერეთის მეფეს აღარც ხარკს აძლევდა და აღარც ლაშქრით უწყევდა სამსახურს, სამეგრელოს მთავარი იშვიათად და ფორმალურად-ღა აღიარებდა იმერეთის მეფის შორჩილებას“ (ნ. ბერძენიშვილი, ე. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, ვ. ჯაბიანი, საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 271). ამ პერიოდისა და ანგარიშობს ლამბერტი სამეგრელოს მთავრების რიგს: 1. ლევან I (1533—1572 წწ.); 2. გიორგი III (1582 წ.); 3. ძამია IV, ძმა გიორგი III-ისა (1590 წ.); 4. მანუჩარ I, ძმა გიორგი III-ისა (1611 წ.); 5. ლევან II, ძე ძამია IV-ისა (1611—1657 წწ.) (იხ. მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, II, ტფი. 1900, შთაშობაელობითი სია სამეგრელოს დადიანთა).

77. ლევან-გიორგი — ლევან V გრიგოლის ძე დადიანი (მთავრობდა 1812—1846 წწ.); 1805 წ. როდესაც გრიგოლ დადიანი გარდაიცვალა. ლევანის მკირეწლიანების გამო სამეგრელოს მმართველად და მემკვიდრის მემურვედ დაინიშნა დედოფალი ნინო, გიორგი XII-ის ასული. ლევანი გამთავრდა 1812 წ., როცა მას 20 წელი შეუძრებლდა (იხ. ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება..., გვ. 195—196).

78. ლევან დადიანის მეუღლე იყო მართა, იმერეთის სახლთუხუცესის, თავდაზურამ წერეთლის ასული.

79. ამორძალები (ამაზონები, ამპონები) — მეომარ ქალთა ლეგენდარული ტომი, რომლებიც, გადმოცემის თანახმად, თითქოს მეოტიდის ზღვის სანაპიროზე თუ მკირე აზიასი ცხოვრობდნენ. გადატანითი მნიშვნელობით ამორძალები მებრძოლი ვაჟკაცი თვისებების მქონე ქალებს ნიშნავს.



მე. მოგზაურობის დროს მთაყრებსა და დიდებულებს ქვეითად ხლება მოყალ-  
მე. ანუ მებეგრე ჯღებების, ვალდებულებას წარმოადგენდა (ს. კაკაბაძე, საქართვე-  
ლის ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფ., 1922, გვ. 123).

81. რეჟან დადიანის შეილები: დავითი (შემდეგში სამეგრელოს მთაყარი) და  
გრიგოლი.

## თავი V

1. ხორვა მღებარეობს მღ. ხობის ნაირზე, მისი შესართავიდან 20 კმ დაშორე-  
ბით.

2 ასეთ მერხებს „ტაბაკი“ (იგივე - ტაბლა) ეწოდება.

3. ალბათ იველისხმება მაქსიმილიანე სული (1560—1641), რომლის ბარონი, ჰერ-  
ცოკი, ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, პროტესტანტი. იგი დიდი გაცენით სარ-  
გებლობდა ჰენრიხ IV-ის კარზე; მისი მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო: იყო სამხედ-  
რო საქმის კარგი მკოდნე, ფინანსისტი; მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა  
არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება სოფლის მეურნეობის დარგში: გაუმჯობეს-  
და სეკონდარული გზები, გამოიყენა ბრძანებები გლეხების სასარგებლოდ, მუშარ-  
ველობა და ხელს უწყობდა ცნობილ ფრანგ აგრონომს ოლივიე დე სერს  
(Olivier de Serres) (დაახლ. 1539—1619), რომელმაც თავის საკუთარ მამულში მო-  
აშენა საფრანგეთის სოფლის მეურნეობისათვის მანამდე უცნობი სხვადასხვა ჭიშები,  
ხოლო ჰენრიხ IV-ის ბრძანებით ტრულტების სასახლეში დარგო 25000 ძირი თუთის ხე.  
სულს ევლეთენის ნაშრომი „სამეფო ეკონომიკა“ (Petit Roberi, 2, Paris, 1930, გვ.  
1760, 1591).

4. ლეკულესი, ლეკუსი ლეკინიუს (ძვ. წ: 106—56 წწ:) — რომაელი სარდალი,  
წარმატებულ იბრძოდა მთარადატესა და სომხეთის მეფის ტიგრანს წინააღმდეგ, მაგრამ  
პონტოს მეფეზე საბოლოო გამარჯვება მომეხერს ხედა წილად. სახელმწიფო საარ-  
მუიოდან გადაყენების შემდეგ ტრესკულუმთან ახლოს დასახლდა და აზიიდან ჩამო-  
ტანილი უამრავი სიმდიდრის წყალობით განცხრომასი ცხოვრობდა. — ლეკულესმა  
რომა მშენებელი ბალებით მორთო. მან, სხვათა შორის, პირველად შემოიტანა აზი-  
იდან ევროპაში ალუბლის ხე“ (ალეტარქე, რჩეული ბიოგრაფიები..., გვ. 664, მენ.  
103; იხ. აგრეთვე ლ. სანიკიძე, პონტოს სამეფო...

5 ქართული ხალხის ამ ეროვნულ და სოციალურ უბედურებას ხშირად ასე  
მარტივად „ხსნიან“ ევროპელი მოგზაურები (დელა მორტე, ტებუ დე მარინი და  
სხვ.).

6. ე. ი. მჭადი.

7. ელა — „ჭის სასმისი ვშიანი“ (აბა)

8. ტეკის, ანუ ტეკის, ხე — (*Tektona grandis*) იზრდება ინდოეთის, ინდო-  
ჩინეთისა და ინდონეზიის ტროპიკულ მესონტრ არეში (სიმაღლე 30 მ-მდე, დამკრ-  
არი 1—1,5 მ). მერქანი მკვრივი და მაგარია, კარგად მუშავდება და ხასიათდება დიდი  
გამძლეობით. ტეკის ხე გამოიყენება გემთმშენებლობაში. ყველაზე საუკეთესო ტე-  
კის ხე გააჩნია ბირმასა და ტაილანდს (ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში, ქართ-  
ული აზნაურის რაფიელ დანიშვამულის მოგზაურობანი, თბ., 1971, გვ. 63).

9. ეარჩინა — აშშ-ის აღმოსავლეთ ნაწილში მღებარე მტაც: ტერატორია აღ-

მოჩენილ იქნა 1585 წ. 1607 წლიდან ვირჯინია ინგლისის კოლონია, ხოლო 1776 წლიდან აშშ ერთ-ერთი შტატია. თამბაქოს მოშენებას აქ 1612 წლიდან მისდევენ. რამაც დიდად შეუწყო ხელი კოლონიის აღზევებას. 1624 წლიდან იგი ინგლისის პირველ ძირითად კოლონიად ითვლებოდა. 1676 წლის ამბოხების შემდეგ ვირჯინიაში ჩასულმა მონებმა ხელი შეუწვეეს თამბაქოს პლანტაციების კიდევ უფრო წარმატებით მოშენებას.

10. მასკევიჩისადმი გაგზავნილ და 1830 წლის 5 აპრილით დათარიღებულ წერილში მორენასი წერს, რომ მან ამოღო ეძება იმერეთსა და სამეგრელოში გამბას მიერ ნანახი ზეთისხილის ხეები. მორენასმა მხოლოდ ქუთაისსა და ბაღდადს შორის მდებარე პატარა სოფელ როკოთში აღმოაჩინა ზეთისხილის ხეები და ამის საფუძველზე იგი დაასკვნის, რომ ეს მცენარე ველური სახით ამ მხარეში სულაც არ არსებობს (იხ. AAKK, VII, გვ. 211).

11. „ლორის ხორცი აქ დიდი რაოდენობითაა და ხარისხით საუცხოაა ვერსად სხვაგან უკეთეს ხორცს ვერ იგემებ“ (შარდენის მოგზაურობა..., გვ. 113).

12. ტეხური — რიონის მარჯვენა შენაკადი, სათავეს იღებს ტეხურში დუღის შთის ძირში. „იწოდა ჩქარად დინებისაგან, რამეთუ შემუსრავს და მტეხარე ჰყოფს ხიდსა თუ სხვასა რაის. გამოსდის მასეე კეკეასსა, შერათვის ისუღეს ჩრდილოდამ რიონს“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბ., 1941, გვ. 166).

13. აბაშა მდებარეობს მდ. აბაშასა და მდ. ნოღელას შორის.

14. ბიჭი — „...ზომით იქმნების ხუთი ტერფი“ (საბა); „სიგრძის საზომი ერთეული ფეოდ. საქართველოში... გვიანდ. შუა საუკ. ბიჭი ზომით გაუტოლდა აღღს“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 2, თბ., 1977, შემდეგში ქსე).

15. მდინარე აბაშა — მდ. ტეხურის მარცხენა შენაკადი.

## თ ა ვ ი

1. მარანი ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე (დღევანდელა სამტრედიის მახლობლად) მდებარეობს. აქ დაახლ. 1805 წ. რუსეთის მთავრობამ სიმაგრე ააგო, დააარსა საგუშაგო პოსტი და სურსათის საწყობები მოაწყო.

2. ჰიპოს ცხენისწყალთან აიგივებენ (თ. ყაუხჩაშვილი, სტრამონის გეოგრაფია..., გვ. 301), მაგრამ ზოგი შეკლევარის ვარაუდით ჰიპოსი კოდორის საცელწოდება (არინე, მოგზაურობა..., გვ. 70).

3. გამბა ალბათ გულისხმობს გენერალ ივანე ნეკოლოზის ძე აფხაზს (1784—1831) (დაწერილებით მის შესახებ იხ. მაქსიმე ბერძენიშვილი მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1980, გვ. 159—161).

4. სენეგალი — სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში; 1960 წლიდან დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

5. სენ-ლეი — ქალაქი და პორტი სენეგალის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს.

6. გუბისწყალი — სოფელი მდ. გუბისწყლის მარცხენა ნაპირზე, წვალტუმბოთან ახლოს.

7. გუბისწყალი — პატარა მდინარე იმერეთის დაბლობზე, მდ. რიონის მარცხენა

ნა შენაკადი. „...მოერთის რიონს ჩრდილოდამ გუბისწყალი გამოსდის იყ-  
რებასა და ეყეს შორისს მცირეს მთას, და დს ფრიალ ფლატოიანსა და ბარდნა-  
ლიას აღვირსა ზედა... ამ გუბისწყალს ეწოდა სახელი ესე გუბელ მომდინარეო-  
ბისათვის“ (ვახუშტი, აღწერა... გვ. 150),

8. გამბას მიერ მოხსენიებული ხიდი მკვლევარების აზრით აგებული უნდა იყოს  
VIII საუკუნის 90-იან წლებში (იხ. ვ. ჩანკვეტაძე, ქუთაისის ისტორიიდან, თბ.,  
1960, გვ. 85).

9. ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიურმა შესწავლამ და ანტიკურ  
წყაროებში არსებული ცნობების ანალიზმა მკვლევარებს შესაძლებლობა მისც-  
დადგინათ, რომ ქუთაიში, როგორც ქალაქი ძვ. წ. VI საუკუნიდან უნდა არსე-  
ბობდეს (იხ. ვ. ჩანკვეტაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 7—38);

10. საგუნტი (საგუნტო) — ეპანეთის აღმოსავლეთ მხარეს მდებარე ქალაქი;  
უძველესი ქალაქი ეპანეთის იბერიამი. რომის მოკავშირე და განთქმული თაყისი  
ეპრობით: დაახლ. 219 წ. გაანადგურეს კართაგენელებმა.

11. იგულისხმება ბაგრატის ტაძარი, ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი  
უბრწყინველესი ნიმუში, აგებული მეფე ბაგრატ III მიერ X—XI საუკუნეთა მიჯნა-  
ზე. წარწერის მიხედვით ტაძრის მშენებლობა დამთავრებულა 1003 წელს. მისი  
განაყოფიერებით უზეად მორთული დასავლეთისა და სამხრეთის კარიბჭენი აშუაყ-  
ბულია რამდენიმე წლით გვიან; ამდენად ამ ნაგებობას იუსტინიანეს დროინდელ  
ეპოქასთან (VI ს.) არავითარი კავშირი არა აქვს. XVII ს. დასასრულს ტაძარი  
თურქებმა ააფეთქეს. გამბას მოგზაურობის დროს იგი ნანგრევებს წარმოადგენდა.  
რასაც ადასტურებს მისი თხზულების ტექსტი, მაგრამ რაკი აქ კანდელები მდგა-  
რა და კედლებზე „უცნაური ნახატებიც“ (თავდაპირველად ტაძარი მთლიანად იყო  
მოხატული; გამბას აღბათ ამ მოხატულობის ნაშთები დახვდა) ყოფილა შესორ-  
ჩენილი. საფიქრებელია, რომ ტაძარი, ან მისი ნაწილი შიინტ. ამ პერიოდშიც ფუნქ-  
ციონირებდა.

12. გირვანჯა — „წონის ერთეული (რუს. „ფუნტი“ შესატყვისი), სპ. წონა  
409,5 გრამი. საქართველოში გავრცელდა XVIII საუკუნიდან და იხმარებოდა მეტ-  
რული სისტემის შემოღებამდე“ (ქსე. 3).

## თბ 30 VII

1. ანტუან პადუელი — წმინდანი, ფრანცისკანელი ბერი (1195—1231) ქადაგებ-  
და აფრკჰში, იტალიაში, საფრანგეთში. მისი სახელობის დღეა 13 ივნისი; მისა  
ცხოვრება ლეგენდებითაა შემკული.

2. ქალაღი — სოფელი, მდ. რიონის ორსეე ნაპირზე.

3. ამ არხის მშენებლობის შესახებ იხ. თ. ბერაძე, ზღვაოსნობ. ქველ საქარ-  
ველოში... გვ. 145. -146

4. აღბათ ლაპარაკია ნიკოლოზ გიორგის ძე დადიანზე („დიდი ნიკო“), რომე-  
ლიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამეგრელოს სამთავროს გამგებლობის საქ-  
მეში. 1805 წლიდან იყო სამთავრო საქმეთა უმაღლესი გამგეობის წევრი; ეკავა  
მსაჯულთუბეცისის თანამდებობა; ხელს უწყობდა აფხაზეთში საფარ-ბეგის დამკე-  
რებას, იბრძოდა იმერეთის 1810 და 1819—20 წლების აჯანყების ჩასაქრობად, მო-  
წაწილეობა მიიღო 1806—1812 და 1828—1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომებში,

რის გამოც დიდად იყო დაფასებული რუსეთის მთავრობისაგან: მიღებული ჰქონდა იმპერატორ ანას პირველი ხარისხის ორდენი და გენერლის ტიტული. ამავე დროს იყო თავისი დროისათვის დიდად განათლებული პიროვნება. მას ეკუთვნის ისტორიული თხზულება „ქართველთა ცხოვრება“ და „დასტურლამა“ (სამეგრელოს სამთავროს მართვა-გამგეობის განწესება). ლევან დადიანი ნიკო დადიანის დედის მარიამ აბაშიძის აღზრდილი და ამავე დროს მისი მკვიდრი ბიძაშვილი იყო (იხ. ი. შეუნიარგია, ქართველი მწერლები, თბ., 1957, II, ნიკოლოზ გორგის ძე დადიანი, გვ. 92—96; ნიკო დადიანი, ქართველთა ცხოვრება, ტექსტი გამოსცა წინასიტყვაობა, გამოკლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962).

5. პალიასტომის ტბა მდებარეობს ქალაქ ფოთის სამხრეთით, ზღვისთან აქლოს. „კვალად ფოთის სამწიკთ. ზღვის კიდზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდან შესდის ზღვას მდინარე ამისიე. აქილამ შემოვლენან წავნი და დგებთან ტბასა შინა განსვენებისათჳს. იპყრობის თვეზნი სხვადასხვანი მას შინა ურიცხვნი“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 174).

6. ტერნა — გაურკვეველია რომელ პუნქტს გულისხმობს გაგმა.

7. კალიცა — ასევე გაურკვეველია.

8. ტერასონი — გაურკვეველია.

9. დამა კოდორი აბაშის რაიონში, მდ. რიონზე მდებარეობს.

10. განჯა — განჯის სახანოს დედაქალაქი; 1804 წ. რუსეთთან შეერთების შემდეგ ქალაქს ელიზავეტპოლი ეწოდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კვლავ განჯა ეწოდა, ხოლო 1935 წლიდან — კიროვანადი. დაარსდა 1754 წ. როგორც სიმაგრე; იყო მსხვილი საეპრო ცენტრი. აქ დიდი რაოდენობით აშენებდნენ ენდროს, რომლის ფესვებისაგან მზადდებოდა მუქი წითელი ფერის საღებავი.

## თ ა ვ • VIII

1. 1814 წლიდან სიმონოვიჩის პროექტით იმერეთი ოთხ ოლქად დაიყო (ნაკვლად ექვსი ოლქისა: ვაისი, ოკრიბის, საჩხვიძოს, არგვეთის, რაჭისა და ლეჩხუმისა); ქუთაისის, ვაისი, შორაპნისა და რაჭის ოლქებად, „სასიჩქავამოს-სალომინოს, რიონს გაღმით. სამჭრეთით არს ვაკე, და ისახელების მათ აღგილთა სივაციასათჳს, და ამას მზღერის; აღმოსავლეთით წყალ-წითელა ყვირილიდამ კვახჭირის მთამდე; სამხრით მზღერის ყვირილა და რიონი, დასავლით ცხენის-წყალი და ცხენის-წყლიდამ წასული ხაზი ისულეთამდე და რიონამდე; ჩრდილო კვახჭირის მთიდამ წარსული ხაზი დასავლით, კახნაურს ქვეით, ირიბად, ქუთაისის დასავლით, და ჰაღარის და ოფიშკეთის აღმოსავლით, და გუმის-წყლის სთაისის გორაებზედ, ვიდრე გვასტიბის ბოლოდ ცხენის-წყლამდე. და არს სამკეთხედ აღგილი ესე“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 164).

2. ხონი — დღევანდელი წულუკიძე; XIX ს-ში ითვლებოდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქად.

3. „ნოდას ზეით არს ვარციხე. ეს ყოფილ არს ციხე დიდი და დიდშენობა, და გამომდინარეობს წყარო შიგ კეთილი“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 150).

4. შაბაში — ებრაული რელიგიის თანახმად ნიშნავს კვირის ბოლოს, შაბათს, დასვენების დღეს.
5. შარლენს „დაკარგული“ ნაშრომი არ უნდა ჰქონდეს.
6. ადგილმდებარეობის მიხედვით უნდა იგულისხმებოდეს ზონის წმ. გიორგის ეკლესია, აგებული XI საუკუნეში. „...არს ხონსა ეკლესია დიდი, გუშათიანი, ჴვენთიერ-ნაგები. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ვაჲსა. ეს იყო ერთობასა შინა ქართლის მთავარეპისკოპოზისა“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 150), ეკლესიის კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. აქვეა სამრეკლო და გალავნი ნანგრევები, რომლებიც გვიან შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ნაგებობებს, რა თქმა უნდა, გოტიკურ სტილთან არაფერი საერთო არა აქვთ.
7. ცხერის ასეთი ჭიში უცნობია.
8. Toachnesy — გაურკვეველია რომელ სოფელს გულისხმობს გამბა.
9. „მეორე პოლიტიკური ხერხი, რომელსაც ხმარობს დადიანი თურქეთის მიმართ, ის არის, რომ ცდილობს მტიყედ დაარწმუნოს თურქები, რომ სამეგრელოზე უფრო ღარიბი და უბედური ქვეყანა დედამიწაზე მეორე არ მოიძებნება. ამისათვის, როცა თურქეთიდან ელჩები მოვლენ, დადიანი საზღვარზე თავის კაცებს დაახვედრებს, რომელთაც სამუდამოდ ნაბრძანები აქვთ, გვერდი აუხვიონ კარგა პირდაპირ გზებს, მშვენიერს და კარგს ადგილებს და სანახავეებს, და გამოატარონ უცაბო კლდეებზე, ტალახიან გზებზე, დაბურული ტყეებით და ცუდი ადგილებით; მდინარეებში გასვლის დროს უნდა ამოერჩიათ უფრო ღრმა ფონი, ღამით უნდა დაეზინავებინათ რომლისავე ღარიბი გლეხის სახლში, სადაც ლოგინათ დაეგოთ მხოლოდ თივა და საკმელად ემოვნათ ყველი და მწვანელი“ (ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა..., გვ. 25).
10. უნცია — ძვ. წონის ერთეული, უდრას დაახლოებით 30 გრ.
11. Scvalepy — გაურკვეველია.
12. ვერგილუსი, პუბლიუს მარონ (ძვ. წ. 70—19 წწ.) — რომელი პოეტი, გარდაიცვალა ბრუნდიზიუმში.
13. ფრანსუა I (1494—1547), საფრანგეთის ხელმწიფე (1515—1547 წწ.), შარლ დე ვალუასა და ლუიზა საეოელის ვაჟი; გამოირჩეოდა ძლიერი ფიზიკური აღნაგობით.
14. კომოდი, ლუციუს აერელიუსი (161—192), რომის იმპერატორი 180—192 წწ., მარკ აერელიუსის ვაჟი; გამოირჩეოდა სისასტიკით, იყო არაჩვეულებრივი სიდიდისა და ფიზიკური სიძლიერის განსახიერება. იგი თავის თავს ჰერკულესს ეწოდებდა და აიძულა სენატი ეცნოთ იგი, როგორც ღმერთი ჰერკულესი, რომელიც ანტონინების დინასტიის მფარველად ითვლებოდა. იყო სანახაობების მოტრფილად და ხშირად გამოდიოდა გლადიატორად. მოკლულ იქნა მისი ხარკის მარციას ნებარე. კომოდი იყო უკანასკნელი წარმომადგენელი ანტონინების დინასტიისა, რომელიც რომის იმპერიას ერთი საუკუნის მანძილზე განაგებდა.
15. Spotchunfy — გაურკვეველია.

## თ ა ვ • IX

1. კვახტირი — სოფელი იმერეთში, არგვეთის მხარეში, მდებარეობს მდ. წყალწითელას ხეობაში.

2. „ბოლო ყვირილას, რიონის შესართავს ზეით, მოერთვის წყალწითელა ჩრდილოდამ, რომელმან მოიგო სახლი წითლის მიწისაგან, რამეთუ მას ზედა დინებითა წითლდების. ეს გამოსდის გაჭრილის მთას და მოდის ჩრდილოდამ სამჭრით“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 151),

3. „...აქამეთს, არს სანადირო მეფეთა. აღესილი დიდმცირთა ნადირთა, აქებელ-ფრიაღ. ზამთარ თბილი, ზაფხულის ცხელი, გაძღუბი“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 152).

4. „უარციხეს ზეით ერთვია რიონს ხანის-წყალი. გამოსდის ფერსათს, მოდის ჩრდილოთ და მიერთვის რიონს სამჭრადამე“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 150).

5. დიმი — სოფელი მთაიკოევის რაიონში. „ხანის წყლის აღმოსავლით და ყვირილას მდინარის სამჭრით, ფერსათის კალთას, არს დიმი, სადაცა ჰყო პირველმან მეფემან ფარნაოზ ციხე მტკიცე, და აწ არს დაბა“ (ვახუშტი, აღწერა... გვ. 150),

6. ანტუან ეან სენ მარტენი — ცნობილი ევროპელი არქენსტი, რომელსაც ეკუთვნის ნაშრომი „Mémoires historiques et géographiques sur l'Arménie“ (1811—1819).

7. კლდაშვილები აზნაურები იყვნენ, სიმონეთის სამოურავოს მოურავები (იხ. მ. გონიკ-შვილი, იმერეთი XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1979, გვ. 56).

8. „ბოლო კვალად ყვირალას ერთვის, ძვერის-წყლის შესართავს ზეით, ჩრდილოდამ, ჩოლაბურთი. ეს გამოსდის ნაფიხურევის მთას და დის ქალატყემდე ჩრდილოდამ სამჭრითთ, და ქალატყიდამ აღმოსავლეთიდაი დასავლეთად“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 153):

9. „...ძირულას მდინარე გამოსდის პერანგის მთასა, და ხეფინის-ჭვეის ვერტყელამდე აღესწერეთ ქართლზედ, და ხეფინის ჭვეის ვერტყვილიდამ ხარაგაულამდე დის სამჭრეთს-დასავლეთ შუა და ხარაგეულიდამ შორანამდე დის აღმოსავლეთად დასავლეთად“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 154).

10. „ყვირილასა და ძირულას შორის შესართავს შინა არს შორაძანა, რომელი აღაშენა ამეფმან ფარნაოზ, ქალაქი და ციხე, დაყო საერისთაოდ, და არს დიდშენობა ფრიაღი. ამას ჩრდილო-დასავლეთ უდის ყვირილა, აღმოსავლეთ-სამჭრით ძირულა. აღმოსავალ-ჩრდილოთ შუა აქუს კლდე გორა მცირე და გვირაბი დიდი, ჩასულა წყალმდე. ეს შემუსკრალი აღაშენა გიორგი აბაშიძემ, არამედ შეამუსკრინეს მასეე ოსმალთა, მერმე მისცა ზურაბ აბაშიძემ ოსმალთა, და აწ უპყრავთ მათ, დგანან იენგაჩარნი“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 154).

11. აბაშიძეები — ფეოდალური ხანის ერთ-ერთი ძლიერი და გავლენიანი საგვარეულო იმეხეთის სამეფოში.

12. როგორც ჩანს, იგულისხმება ვასალ ბებუთოვი (1789—1858), ანტონტერიის გენერალი; იყო იმერეთის მმართველი 1825 წლიდან; ეს ის ბებუთოვია, რომელიც დადად მეგობრობდა სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს და მფარველობდა დაჯთის (იხ. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, თბ., 1957, გვ. 97).

13. კადეტთა სასაწავლებელი (კადეტთა კორპუსი) — სამხედრო სასწავლებელი უმთავრესად თავადაზნაურთა შვილებისათვის, რომელთაც ამზადებდნენ სამხედრო და სამოქალაქო სამსახურისათვის; დაარსდა რუსეთში 1732 წ.

14. პაეთა კორპუსი — დაარსდა პეტერბურგში 1759 წელს; დახურული ტიპის

სამხედრო სასწავლებელი თავდაზნაურობის; თავდაპირველად ამზადებდა შო-  
ლოდ პაეზს, შემდეგ კი საერთოდ სამხედრო პარებს.

15. რანეჟსმა (იხ. თავი IV; კომ 26) თავისი ნაშრომი პოტიომკინის მეშვეო-  
ბით ენატერანე II-ს წარუდგინა, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ მიიჩნია საჭიროდ  
მისი გამოქვეყნება. ამიტომ იყო, რომ რანეჟის თხზულება გამოქვეყნდა მოგვიან-  
ებით. მისი სიყვდილის შემდეგ 1796 წ. გერმანულ ენაზე.

16. გელათის მონასტერი მდებარეობს მდ. წყალწითელას ხეობაში და ქუთაისი-  
დან 11 კმ არის დაშორებული; დაარსებულია დაეთ აღმაშენებლის მიერ; იყო შუა  
საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურის ცენტრი;  
წარმოადგენს ხუროთმოძღვრულ ანსამბლს. მთავარი ეკლესია, ის, რომელსაც გაგმა  
უფრო გვიანდელად თვლის, ღვთისმშობლის სახელობისაა და აშენებულია 1106—  
1130 წლებში. ამავე პერიოდს განეკუთვნება საკურთხეველის მოზაიკა — ქართული  
მონუმენტური ხელოვნების ერთი უბრწყინვალესი ნიმუშთაგანია. მეორე, უფრო პა-  
ტარა ეკლესია წმ. გიორგის სახელობისაა (გამბასთან — Grigore — გრაგოლი); თა-  
რიღდება XIII საუკუნით. სამონასტრო ანსამბლში შედის სხვა ნაგებობებიც, მათ  
შორის ცნობილია გელათის აკადემია. შენობა. მონასტერში დღემდეა შემორჩენილი  
ტიტანს კარის ერთი ფრთა, რომელიც შეფუ დემეტრე I-ს (დაეთ აღმაშენებლის ძეს)  
1138 წელს ჩამოუტანა განჯიდან და გელათისათვის უბოძებია. მთავარი ტაძრის  
ჩრდ. კედელზე გამოსახულია დაეთ აღმაშენებლის პორტრეტი; იგი შეარქვლებუ-  
ლია XVI საუკუნეში (იხ. P. Меницашвили, Архитектурный ансамбль Гелати,  
Тб., 1966).

17. ივლიანსება ექვთიმე გენათელი, რაქის ერისთავის როსტომის ძე რომე-  
ლიც 1820 წ. 4 მარტს, იმერეთის აჯანყების დროს, რუსეთის მთავრობამ დონითვის  
ქუთათელთან ერთად დაპატიმრა და რუსეთში გაგზავნა. გარდაიცვალა 1822 წ.  
ოლონეცკის მაზრის ხეობის მონასტერში, დასაფლავებულია იქვე (იხ. მაქს. ბერძ-  
ნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრი-  
ვ-ისტორიისათვის, გვ. 241—242).

## თავი X

1. ... არის მთის ძარს ჩხარო. ეს ყოფილა ქალაქი, არამედ აოჭრდა ლევან  
დადიანისაგან. აწ არს დაბა“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 153); XVII ს. 40-იან წლებში  
ლევან დადიანისაგან განადგურებული ჩხარი XVIII ს. 30-იან წლებში კვლავ აღდგა  
და იგი ქალაქად ითვლებოდა. 1819—1820 წწ. იმერეთის აჯანყების დროს ჩხარი,  
რუსეთის არმიის იმერეთის ბეერო სოფელი, დაღად დაზარალდა (იხ. ქვემოთ ტექსტი).  
მათ მდგომარეობაში დახვდათ ჩხარი მოგზაურებს 1822 წ.

2: ჩხარში არის ... ეკლესია უგუმბათო, რომელსა შინა ასვენია ჭვარი დიდ ფრი-  
ად. მდებარეობს მას შინა ბეჭი მთავარ-მოწამის გიორგისა, მარადის სასწავლო-  
მოქმედი. ეს ჭვარი პირველი იყო ყოვანათს, შემდგომად სამცხეს. მერმე ატოცს ლა  
... აქა... (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 153); ჭვარი, რომლის შესახებაც ლაპარაკობს გამ-  
ბა, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია სადგურის ჭვრის სახელწოდებით; მას  
... გრეთვე ჩხარის ჭვარსაც უწოდებენ, რადგანაც იგი დაბანას ჩხარის ეკლესიაში  
ინახებოდა (ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში). იგი შეს-

22. ე.ე. ფრანსუა გამბა.

რულებულია ცნობილი ისტატიას მამნე ოქრომკედლის შიერ XVI საუუუნეში (ზოგი მკეუეუარის აზრით XV ს.) (იხ. ა. ჩხარტიშვილი, მამნე ოქრომკედელი, თბ., 1978, გვ. 8—74).

3. „ბოტევის-წყლის დასავლით, არს ბოტევი და ციხე შიის დიდი, დიდ-შენი. და სახლობენ აქა ურანი ვაჰარნი და ვაჰარბენ“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 159).

4. „აქანეებელთა თოღისა ლეუცება“ სქლებსა და ხანყოებისაგან ვორჩაიკის პრძანებით სალდათება ამზადებდეს ლერსმანს, საეეებებსა და სხვა მანალებს სოფ. ბოტევი ანაშენებელი ყაზარმისათვის“ (ა. კეევიძე, საქართველოს ისტორია..., გვ. 117; II. Махарадзе, Восстание в Имеретии 1819-20 гг., მასალები საქართველოსა და ეეეისის ისტორიისათვის, თბ., 1942, ნაე. III, გვ. 111—112).

5. შოტლანდია — დიდი ბრიტანეთის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი

6. როგორც ცნობილია, რაჭის შაზრაში აქანეებას განსაუეთრებელი ფართო მასობრივი ხასიათი ქონდა და მუხედდაედ იმისა, რომ რუსეთის ქარებმა არაერთხელ სძლეეს აქანეებულებს. საბოლოოდ მათი განადგურება ვერ შესძლეს მანამ, სანამ რუსების შიერ ტყეეექმნილმა ერთ-ერთმა შეთაურმა ლომეეეც ლეეეეამ არ გასქეეეა აქანეებულთა მოთაეეეები. ამ დღღღით ლომეეეც ლეეეეამ დიდი დახმარება გაუწია რუსეთის დამსქეეეე ექმნილებს შეთაურს ვორჩაიკის, რომელმაც ხელთ ივლო აქანეებულთა გეეეებებს შექმნილ ერთდროულად შეეეეეეე შეთაურება. ლომეეეც ლეეეეას ეს ამ დღღღებზე აქანეებულთა მოტეეეობამ ქილდობი უბოძა. შესაძლებელია ამ ფაქტს გუღღებობდეს გამბა (იხ. II. Махарадзе, დ. ს. ნაშრ., გვ. 110—111 ა. კეევიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 116).

7. „მოერთვის რაონს სამჭრითავე ყრახუღას მდინარე. რომელი ეს-ხელა დაბის ყრახისა აგან. გამოზღის საღორისა, ნოქიხურეეეეხა და საწალიკის შიას, შოდის ჩრდილოეთ ყერძით, რაონის სამჭრით და ყრახუღის აღმოსავლეთით, ამბროლაურს.“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 158).

8. როგორც ჩანს იგუღღ-სხმება ეელამინოვი ალექსა ალექსანდრეს ძე (1785—1839). — რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, შრავალი ომის მონაწილე; 1816—1827 წწ. იყო ეეეეისის ქარების შტაბის უფროსი და ერმოლოვის მოადგილე. მონაწილეობდა 1819—1820 წწ. იბერეთისა და გურეთის აქანეებების ჩახშობაში და მთავრობის ქილდობებზე დამისაზურა. ამ პერიოდში საქართველოში მოღვაწეობდა აგრეთვე ეელამინოვის ძმა ივანე ალექსანდრეს ძე ეელამინოვი (1771—1837 წწ.), რომელიც საქართველოს სამოქალაქო შმართეელი იყო. მისი ძმის მსეეეესად, ისიც მონაწილეობდა აღნიშნული აქანეებების ჩაქრობაში, თაეეეეეე ხელმძღვანელობდა ბრძოლას აქანეების წინააღმდეგ. ამასთანავე იგი ცნობილია თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით; მან შექმნიის რამდენიმე ნაწარმოები თარგმნა რუსულად (იხ. II. Махарадзе, დ. ს. ნაშრ., გვ. 108; ა. კეევიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 114). რადგანაც გამბა ეელამინოვს გენერალ-მაიორის ჩინით მოიხსენიებს, ამიტომ ეეეეეეობთ. რომ ლაპარაკია ალექსი ალექსანდრეს ძეზე; მისი ძმა ივანე გენერალ-ლეიტენანტი იყო.

9. ანტიუერო მწერლები კამბ სესს (კამბიზესი) ჩეეეელებრივ აეეეეებენ მდინარე იორთან (იხ. გეორგიეეეე..., I, გვ. 160).

10. ბეღანი ფრანსუა (1787—1850) — ცნობილი ფრანგი მინერალოგი; მან პარ-



ველმა შექმნა ნაშრომი ქიმიურ შენაერთთა იზომორფიზმის ერთიანობას შესახებ (1818 წ.).

11. Tsui — ეფიქრობთ, წესი უნდა იყოს. ვახუშტის მიხედვით აქა იტყვიან ვერცხლის ლითონს“ (ვახუშტი, აღწერა... გვ. 159).

12. „...ლუხენის აღმოსავლეთ კიდის მაღალ კლდის გორასა ზედა და ჩიონის ჩრდილოთ არს ციხე შინ და. მაგარი და აუღებელი მტრისაგან, და ეის უპყრავ ციხე ესე, არს ერისთავი რაქვისა“ (ვახუშტი, აღწერა... გვ. 159).

13. „...ბარულას-წყლის შესართავს ზეით მოერთვის ჩიონს ჩრდილოდამ მდინარე ლუხენი, გამოქვიანარე კვეყასისა, რაქ-სეანეთს შორისისა, და შილის სამჭრეთად“ (ვახუშტი, აღწერა... გვ. 159).

14. გამბას მიერ მოხსენიებული სამლოცველო შიას წმინდა გიორგის ეკლესია უნდა იყოს, რომელიც ქვემო რაჭაში, რაქის ქედის სამხრეთ კალთაზე, მაღალ კლდეზე დგას. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული ეკლესია ლეონარის წმინდა გიორგის სახელითაა ცნობილი. (იხ. თ. ბერაძე, რაჭა, თბ., 1933, გვ. 119—122).

## თ ა ვ ი XI

1. აბეტი (აბეტი) — კოლხთა მეფე, ილიისძის მეფეს მამა;

2. კიროსი — ძველი სპარსეთის მეფე (ძვ. წ. 558—429 წწ.), აქემენიდების დინასტიის პირველი წარმომადგენელი. მ. დროს შეიქმნა სპარსეთის ძლიერი სახელმწიფო, რომელმაც უზარმაზარი ტერიტორიები მოიპოვა. ძვ. წ. VI საუკუნეში სპარსეთის მეფეებმა ისტორიული კოლხეთის სამხრეთი რაიონებიც დაიმორჩილეს, ხოლო ჩრდილოეთით მცხოვრებმა კოლხებმა ქეროლოტეს ცნობით „საჩუქრად დაიწესეს და ეს გრძელდება ჩვენს დრომდე, რომ ყოველ მეზუთემ გადაიხადონ 100 ყომა და 100 ქაღწული“ (ქეროლოტე, ისტორია, ტ. I, გვ. 227). ამავე დროს კოლხები მონაწილეობას იღებდნენ სპარსელების მიერ მოწყობილ ლაშქრობებში, რაც არადაცულებ სამშობლო იყო.

3. ქვარკვე I. დარიაოს ძე, აქემენიდური ხანის ირანის მეფე ძვ. წ. 486 წლიდან, იბრძოდა საბერძნეთის წინააღმდეგ. მის ლაშქარში ქეროლოტე იხსენიებს კოლხებს, მარებს, მოსხებს, ტიბარელებს და სხვ. და აღწერს მათ საომარ აღქურვილობას (იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ქეროლოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 111).

